ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

7

1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

325

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

7

ივლისი

1984

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პოეზია და პროზა


3. **თამაზ ბიბილური** — შვიდი ხმისა და ტოროლასათვის. რომანი. დასასრული
52. **ტარიელ ჭანტურია** — ლექსები
56. **დოდო ჭუმბურიძე** — ლექსები
59. **გიორგი ხორგუაშვილი** — კვირისა. მოთხრობა
71. **ნინო ქუთათელაძე** — ლექსები
73. **ირაკლი ციგროშვილი** — ლექსები
75. **ჯემალ დავლიანიძე** — შემობრუნება, რომანი. გაგრძელება
95. **დალი ცაავა** — ლექსი
97. **ალექსანდრე გიგიტაშვილი** — ლექსები
98. **გიორგი მეტრეველი** — ლექსები


## ახალი თარგმანები


99. **სტანისლავ ლეცი** — დაუვარცხნელი აზრები, გაგრძელება. თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა**


## დიალოგი


107. ოპტიმიზმისათვის გვაქვს მტკიცე საფუძველი


## წერილები


119. **რევაზ ჯაფარიძე** — მწერლის პირუთვნელი სიტყვა
125. **გურამ ბენაშვილი** — დრო ხედავს ახალ გზისკენ გადახრას... დასაწყისი
180. **გიორგი ჩარკვიანი** — ვისთვის რას იტყვი
143. **ტატო გელენავა, რევაზ ჩხარტიშვილი** — „უჩვეულო სიმბიოზის“ გამო
148. **რევაზ სირაძე** — ქართული ესთეტიკის სპეციფიკისათვის. დასასრული



მთავარი რედაქტორი

**ჯანსუღ ღვინჯილია**

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
**თედო ბექიშვილი**
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუბლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
**ავთანდილ ჩხიკვიშვილი**
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაზ ბიბილური

# შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

რომანი

## თავი მეშვიდე

## ეპილოგი ჩალაურში

როგორ შეიკვრება ერთი პატარა თემი, აქ, ადიდებული მდინარის პირას, სადაც შვიდი ადამიანი, განგების ნებით, ერთმანეთს შეხვდა? რა იქნება ის ძალა, რაც შვიდივეს ფიქრს ერთი აზრისკენ მიაპყრობს და ცოტა ხნით მაინც დაავიწყებს იმ ტკივილს, რამაც გამოიყვანა და შორეული ჩალაურის გზას გაუყენა? ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან ეს შვიდნი, რა ამბავია ამათ თავს? თითქოს დამწყვდეულნი იყვნენო, როგორც იყო, კარები გამოტეხეს და გამოიქცნენო... გამორბიან! ვინც გამორბის, იმას მდევარიც მოსდევს... მდევარი კი ჯერ არ ჩანს. შვიდივენი დამფრთხალნი იყურებიან აქეთ-იქით და ასე ჰგონიათ, მთელი ქვეყანა მათ წინააღმდეგ დაძრულა. ჯერ ერთმანეთს სულაც არ იცნობენ, და არც კი იციან, რომ რაღაც ძაფი, აქ, მდინარის პირას მოსვლისთანავე გაბმულა. ეს ძაფი სუსტია, როგორც ხავსი და თუ ახლავე რამე მოხდა, ამ ძაფის იმედი შვიდთაგან ერთსაც არა აქვს. შვიდივენი ჯერ მხოლოდ იმას ფიქრობენ, როგორ გადაიარონ მდინარე და თავის საკუთარ გზას გაჰყვნენ; საკუთარს, რადგან როცა აქეთ მოდიოდნენ, ანუ როცა ჩალაურის გზას დაადგნენ, არც ერთს არ უფიქრია, შვიდთა თემის წევრი გავხდებიო. საკუთარი გზა ყველას უკაცრიელი წარმოედგინა...

ამ დროს წამოვიდა წვიმა...

მაგრამ ვიდრე წვიმა დაიწყებოდეს, ჯერ შიში ჩამოივლის მდინარის პირას. ნისლივით ჩუმი და გაურკვეველი შიში: რად დახვდათ მაინცდამაინც ეს მდინარე ადიდებული? რა ეგულებათ მდინარის იქით, ან რა გადალახავს ამოდენა წყალს? როგორ მოხდა, რომ აქ შეხვდნენ ერთმანეთს და თანაც ყველანი ჩალაურს მიმავალნი? ვინ არის ის გულჩათხრობილი კაცი, ან ეს ხარებისკენ მზირალი დედაკაცი? რა ალაპარაკებს გაუთავებლად ამ კაჭკაჭივით დედაკაცს, ჯერ რომ ახლა მოვიდა, ჯერ რომ ხეირიანად არც კი იცის ვის შეხვდა და ვის შესჩივის თავის ამბავს? ხმას რატომ არ იღებს ეს გოგო? ამ ბიჭს საიდანა აქვს ამოდენა სიმშვიდე და დაჯერება? რატომ დგანან განცალკევებით ეს ქალაქიდან წამოსული დედაკაცი და იმისი შვილიშვილი? მოსვლით

---

დასასრული, დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 2, 3, 4, 5, 6.

კი მოვიდნენ აქამდე, მაგრამ ამის იქით რაღა იწყება? იქნებ არც ღირდა წამოსვლა, იქნებ ყველაფერი, რაც სადღაც დაწყებულა, იქვე უნდა დასრულებულიყო? რა უნდათ აქ, სადაც, საცაა წვიმაც წამოვა, ეს მდინარე კი, კაცმა არ იცის, როდის ჩაივლის და როდის შეეძლებათ რომ გადაიარონ და გზა განაგრძონ. ხო, ამ ფიქრებში მოდის წვიმა და შიშიც, რომელიც აქამდე ნისლს ჰგავდა, ნისლივით ჩუმი და გაურკვეველი იყო, წვიმის სახეს იღებს, წვიმის შიში ჰქონიათ სხვა არაფრისა! წვიმა წამოვა და დაასველებს ამ შვიდ ადამიანს. იწვიმებს მთელ ღამეს, შეიძლება ხვალე და ხვალის იქითაც და ამ შვიდმა არ იცის, რა ქნას, საით გაიხედოს, უკან გაბრუნდეს თუ დადგეს და დაუცადოს. და სწორედ ამ წუთში, როცა ცაზე ღრუბლები ჩამოშავდნენ, როცა პირველი წვეთი დაეცა მუხის ფოთლებს, შიშმა ამ წვიმისამ ერთბაშად შეაკოწიწა შვიდი ადამიანი. ახლა ისინი ერთად არიან და მათ წინაშეა წვიმა. ისინი ერთად უნდა შეებრძოლონ თუ ერთად დანებდნენ წვიმას და შვიდივენი, როგორც ერთი გუნდი, ერთხმად შესჩივიან ერთმანეთს, ზეცას თუ წვიმას, ქვეყნიერებას თუ მარტო ამ ტყეს და მდინარეს, რომლის ამარადაც ახლა დარჩენილან:

— ისევ წამოვიდა ეს ოხერი ღრუბლები!

— მთაში ეგრე იცის, უცებ წამოვა და უცებ გადაიღებს...

— ვაითუ არ გადაიღოს?

— გადაიღებს თუ არ გადაიღებს, ამაღამ მაინც აქ მოგვიწევს დარჩენა.

— წვიმამ რა უნდა დამაკლოს, ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია.

— ნეტა იმისთანა წვიმა მოვიდოდეს, რომ მიწამ პირი მიყოს და თან ჩამიტანოს.

— წვიმაში არ გავიყვანე მაშინ ჩემი ხარები გაცოფებულ მდინარეში?

— დავსველდები და დავსველდე, აქ რა, ჩემი მიხა დამიწუნებს...

— კარავი უნდა წამომეღო.

— წვიმა რას დაგვაკლებს. ერთი დიდი ცეცხლი და იმისი ჯანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთი გაგახაროს, ბიჭო, ერთი კარგი ცეცხლი დავანთოთ და დავძახოთ!

— ნეტა შენ მაგრე გაკაკანა...

მაგრამ შვიდივემ იცის, რომ ერთი ცეცხლის დანთება ვერაფერს უშველით, ცეცხლი ჭერის მაგივრობას ვერ გასწევს. შიში უფრო ძლიერდება და წვიმის წვეთებიც აქა-იქ უფრო ხშირად ეცემიან ფოთლებზე. ყველანი ჩუმად არიან. მახაური ისე ჩასცქერის მდინარეს, თითქოს პასუხის ამოკითხვას იქიდან ცდილობს. ბიჭს და ბიჭის დიდედას სოფლისკენ მიურბით თვალი. სოფელი ქვემოთ არის, ხეობის ბოლოში მიყუჟული, ანუ იყო, რადგან ახლა ნისლში აღარც ის სოფელი ჩანს, აღარც ხეობა. სოფელი მხოლოდ იგულისხმება. გარსოს დედა თავის ხარებისკენ მიდის. თითქოს ეს წვიმა სხვას არაფერს და ამ ხარებს კი მართლა ემუქრება. გელა არხეინად არის. კაჭკაჭი ისევ რაღაცას ამბობს და ახლა ყველანი კაჭკაჭისკენ იყურებიან. ყველაფერი ამისი ბრალია, ხო, ეხლა ყველას კარგად ახსენდება: პირველად ამანა თქვა, ამას მოადგა ენაზე, ნახეთ თუ წვიმა არ წამოვიდესო. ჯერ მოსული არ იყო და ჯადოქარივით წვიმის მოსვლა ივარაუდა. ხმა ჩაგიწყვიტოს მამაზეციერმა, — ფიქრობს ლელა ღუდუშაური. გარსოს დედას კი ეშინია, თუ ამ დედაკაცმა ყველაფერი წინასწარ გამოიცნო, ვეღარ ავსულვარ ჩალაურში და ეგ არიო. გოგო გაშტერებული ზის და თითქოს არც წვიმა აღელვებს, არც ადიდებული მდინარე. აბრია მახაური თავის თავზე ბრაზობს, რომ მარტო არ დაადგა გზას, ამ ღვთის ნებით შეკოწიწებულ გუნდს შემოუერთდა და ახლა უკვე გვიანიც არი, ვეღარ მიატოვებს, თავისთვის ვეღარ დაადგება გზას. წვიმის წვეთები კი უფრო და უფრო ხშირად ეცემიან ფოთლებს. სოფელიც, ხეობის ბოლოს წვიმის მოლოდინში ჩაჩუმდა და სწორედ ამ დროს ამბობს ლელა ღუდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაური იმას, რამაც ერთბაშად მთელი თემი შეაშფოთა: ისევ სოფელში მოგვიწევს ჩასვლა! ეს სიტყვები ქუხილივით გადაივლის მდინარის პირას თავმოყრილ თემზე და ლელა ღუდუშაურმაც უკვე იცის, რომ ამათგან სოფლისკენ წამომსვლელი არავინ არის. რაო? სოფელი რათ გვინდაო? ხო არ დაგვხოცავს წვიმაო. ვისაც უნდა, წავიდეს, ჩვენ კი აქედან ფეხის მომცვლელნი არა ვართო. ლელა ღუდუშაური თავის შვილიშვილს ეხუტება: ამ ხალხს სოფლისა ეშინია! სოფელში ჩასვლა არავის უნდა! არც ამ ბერიკაცს, არც ამ დედაკაცს, არც ამ ბიჭსა და გოგოს, მარტო კაჭკაჭი დარბის მხიარულად. მარტო კაჭკაჭისთვისაა სულ ერთი, საით წავლენ და თავს სად შეაფარებენ. ოღონდ ჭერი იყოს და ცეცხლი ენთოს. ცეცხლის პირას კი რამდენი რამის თქმა და გახსენება შეიძლება...

— იწვიმოს და იწვიმოს... ბოლოს და ბოლოს ხო გადაიღებს?

— გადაუღებელი ქვეყანაზე არაფერია... როცა შვიდნი ვართ, აღარაფრისა არ უნდა გვეშინოდეს, წვიმისაც კი აღარ.

— ასანთი ვიღაცას ექნება, დიდ ცეცხლს დავანთებთ.

— იმ ხურჯინში რაღაცა იქნება... იმ ზურგჩანთაშიც!

— მშიერი არავინ დარჩება!

— ოღონდ მალე გადაიღოს წვიმამ... წვიმამ მალე უნდა გადაიღოს...

— აბა ეს ხმელი ფიჩხი დროზე მოვაგროვოთ, ვიდრე ნესტი გაუჯდება, ცეცხლი მთელი ღამე უნდა გვენთოს.

— რაღა ცეცხლი გნთებია ტყეში და რაღა ზარბაზანი გქონია.

— ვიცით, განა პირველადა ვართ ტყეში, განა პირველად დავრჩით მარტონი?

— მარტონი რათა ვართ, გეთაყვათ, შვიდნი ვართ, შვიდი ცოტაა?

ღრუბელი კი მოდის და მოდის. ქედის წვერები კარგა ხანია აღარ ჩანან. ყველაფერი ღრუბლებში იძირება. აქაიქ ტკაცატკუცით ეცემა წვეთები, მერე მიჩუმდება და გულში იმედი ღვიძებს. მერე ისევ დაიწყებს. ჯერ ხეირიანად ვერ გაუბედია.

— გაბედავს, არხეინად იყავით.

— გაბედვით კი გაბედავს, მაგრამ ვერ გვიმეტებს.

— გაგვიმეტოს, რას დაგვაკლებს!

ამას ერთმანეთს ეუბნებიან, ერთმანეთს ამხნევებენ, რადგან ძაფი, რომლითაც შეკოწიწდა შვიდთა თემი, უფრო და უფრო მაგრდება. ეს აღარ არის ხავსივით სუსტი ძაფი. ახლა უკვე წვრილ წნელსა ჰგავს და ამ წნელით იქსოვება ამათთვის ჯერაც უნახავი და არგაგონილი თემი. ჯერ მხოლოდ იწვნება. ჯერ შიში ისევ ძლიერია. შიში ამ წვიმისაც, ამ ნისლისაც, ამ ნისლში ჩაბუდებული სოფლისაც, საიდანაც ჩამიჩუმი აღარ ისმის, ამ ცისაც, რომელიც ისე ჩამოშავდა, თითქოს შუადღე კი არა, დაღამების პირია. გამხნევების ხმა კი ისევ სუსტდება, ცეცხლივით ინავლება და საცაა ჩაქრება. ყველაფერს მაინც შიში ჯაბნის, შიში ისევ იმარჯვებს და ამ დროს ახლა ბიჭის ხმა ისმის, ამ ბიჭისა, სულ ბოლოს რომ მოვიდა და გელა რქმევია: წავალ, მოვძებნი, იქნებ ახლომახლო ქოხი იყოს სადმე! ქოხიო? ქოხი როგორ არ იქნება? ან ბოსელი, ან ბინა საქონლისა, ან სულაც მიტოვევებული სახლი? სადაც სოფელია, იქ ახლომახლო ქოხიც უნდა იდგეს. გადაგვარჩინა ამ ბიჭმა და ეგ არი, ქოხი როგორ არ იქნება? ქოხს მოძებნიან და მერე იწვიმოს რამდენიც უნდა... და ახლა ყველანი ამ ბიჭს, რომელსაც გელა რქმევია, ისე ამზადებენ, თითქოს დიდ გზაზე მიდიოდეს, ელჩად მიდიოდეს და მთელი ქვეყნის გადასარჩენი საქმე ევალებოდეს. წავა და იპოვის, მაშ რა იქნება? იწვიმოს, თვალიც გამოხეთქია ამ ცას!

ბიჭი მიდის და ყველანი აცილებენ. აბა, შენ იცი. ამ ნისლებში არ დაიკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო, გზა არ აგებნესო. თუ რამემ შეგაკრთოს, დაგვიძახე და მაშინვე შენთან ვიქნებითო. რამ უნდა შემაკრთოსო? რა ვიცი, ათასი რამეაო... ეს ბიჭიც ხო არ გამოგაყოლოთო? მაგრამ ამის თქმაზე ქალაქელი ბიჭის ბებია თავის შვილიშვილს ეხვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდედა თავის შვილიშვილს ვერსად გაუშვებს. ზაზა ღუდუშაური დარცხვენილი დგას. გოგო უყურებს და თვალს არ აშორებს. გელა იცინის და ბილიკს მიჰყვება. ცოტა ხანიც და ნისლში იკარგება...

— მაინც რათა ვთქვით უარი სოფელზე? — არ ისვენებს კაჭკაჭი.

— ვის მივდგომოდით? — გარსოს დედა თავის ხარებს უყურებს.

— აბა თუ ერთი წამით მაინც გაჩერდეს, — ამას მახაური ფიქრობს, კაჭკაჭზე, აბა სხვა ვისზე?

— კარდაკარ ხო არ ვივლით, სამათხოვროდ.

— სამათხოვრო რა გვჭირს, ჩემი ხურჯინი ერთ კვირას გვეყოფა.

— ეეხ, გაფუჭდა ქვეყანა!

— აბა თუ ერთი წამით გაჩუმდეს.

— ჩვენი ხევი რო ადიდდა, ერთხელ მთელი სოფელი კინაღამ წაიღო, სამი დღე მყვანდა შინ უცხო მგზავრები. დედალიც დავუკალი, კარგი შოთებიც დავუცხე და ღვინოც კარგი მოვუხადე...

— ღრუბლები მაინც მოდიან...

— რაღა მოდიან, წინწკლავს და ეგ არი.

— მთაში ეგრე იცის-მეთქი. შეიძლება ამ წუთს ისევ გადაიკაროს და ლურჯი ცა გამოჩნდეს.

— აგე, აგე გამოჩნდა კიდევაც!

— არა, ისევ დაიფარა...

— ერთხელ, შუაღამისას, რუსები მოგვივიდნენ, მანქანა გაფუჭებოდათ. განა ცოტანი იყვნენ, ოცნი მაინც იქნებოდნენ. ოცი ქათქათა ლოგინი გავშალე. მერე წასულიყვნენ და გაზეთში დაეწერნათ ჩემზე, მავანმა და მავანმა, აქა და აქ, იმისთანა ქათქათა ლოგინი გაგვიშალა, შიგ ჩაწოლა გვენანებოდაო. უბედური ჩემი მიხა, მაშინ ცოცხალი იყო...

— თუ მოვა, დიდი წვიმა მოვა!

— მოვიდეს და მოვიდეს!

— ცეცხლი ჯერ არ დაანთოთ.

— მემრე, რო დათვრნენ, ერთი კაცი ამიტყდა, გინდა თუ არა, რატო რუსული არ იციო... რატო შენ არ იცი ქართული-მეთქი?! დაიხოცნენ სიცილით... ეგრე ვიცი, გავაცინებ ხოლმე ხალხსა.

ბიჭი კი არა ჩანს. ამ ნისლმა ჩაყლაპა ბიჭი და სამუდამოდ წაიყვანა. სამუდამოდო? — ეს რომელმა თქვა? არავის უთქვამს. გულში კი უკვე ყველანი ფიქრობენ. ვინ იცის, ვინ არის ეს ბიჭი, სულ ბოლოს მოვიდა. ჯერ სახელიც არ იციან იმისი, წვიმას აპირებსო, შეეშინდა და წავიდა. გასაპარი რა იყო? ეთქვა მაინც... ვინ დაიჭერდა? ამას ფიქრობენ; ფიქრობენ კი არა, ლელა ღუდუშაური ფიქრობს... იქნებ გოგოც ფიქრობს? იქნებ აბრია მახაურიც? არა, აბრია მახაური ამას ვერ იფიქრებს, აბრია მახაურს არაფერი უთქვამს, მაგრამ პირველი შეხედვისთანავე მოეწონა ბიჭი. ჩემ გიორგის ჰგავსო, გაიფიქრა და ეს მოწონებაზე მეტი იყო. მაგრამ ეჭვი ბიჭის წასვლისა და ჩაყლაპვისა მაინც აწუხებს ახლად შეკოწიწებულ შვიდთა თემს. მოსვლით კი მოვა, მოვა და ქოხიც ექნება ნაპოვნი. მაგრამ სად დაიკარგა? და ამის გაფიქრებაზე ქალები ნისლებს გასძახიან:

— ეჰეი!

— ეჰეი, ბიჭო!

— არ გეყურება, ბიჭო!

— გაიგონე ჩვენი ხმა?

გაიგონა! საიდანღაც, სწორედ ნისლებიდან, როგორც ქვესკნელიდან, ისმის ბიჭის ხმა:

— გავიგონე!

— იპოვნე?

— ჯერ ვერა!

ვერ უპოვნია! მაგრამ შვიდთა თემის სულში მაინც რაღაც ნათელი იღვრება. თვითონაც არ იციან რატომ და როგორ, ეს ნათელი ათბობს ყველას გულს. ბიჭი არ გაპარულა! ბიჭი არ დაკარგულა!

ახლა ამაზე უფრო დიდი რამ ამათთვის არ არსებობს. ქოხი გინდა იპოვოს, გინდა არა! არ გაპარულა და ეს არის მთავარი! და რაკი არ გაპარულა, ქოხსაც აუცილებლად იპოვის. მაინც ეძახიან. რაკი ხმა იქამდე სწვდება, ეძახიან, მაგრამ ქოხი ჯერ არა ჩანს და აღარც ბიჭის ხმა ისმის.

ზაზა ღუდუშაური გოგოს უყურებს. აბრია მახაური ამ აყაყანებულ ქალებზე ბრაზობს. გოგო, რომელსაც ელისო ჰქვია, ყველაფერს ხვდება და ბიჭის დიდედას გასცქერის. დაინახა! დიდედამ ყველაფერი დაინახა. შეშინებული გოგო ჰალისკენ მიდის. თითქოს დაავალეს რამეო, ზაზა ღუდუშაურიც თან მიჰყვება. ლელა ღუდუშაური ბიჭს მაშინვე ეძახის, შენ აქეთ მოდი, დიდი ქვები მოიტა, ცოტა ხანს ჩამოვჯდე, სული მოვითქვაო. ზაზა ღუდუშაური უკან არ იხედება და დიდედას გული სწყდება. გარსოს დედა ამ დროს თავის ხარებს დასტრიალებს, ხურჯინიდან თოკებს იღებს, ხარებს ყულფს უკეთებს, სადაც კარგი ბალახია, იქით მიჰყავს. მერე ხმამაღლა ამბობს: ახლა, რაც გინდათ, გამაკეთებინეთო. პასუხს არავინ იძლევა, ყველა თავისი საქმით გართულა. მარტო კაჭკაჭი წამოხტება და იძახის, ჩვენ კიდე აგე, მინდორზე გავიდეთ, ცოტა ხმელი თივა მოვხვეტოთ, სანამ წვიმა დაასველებს, წამოსაწოლად დაგვჭირდებაო. აბრია მახაური ისევ მდინარეს გასცქერის. ლელა ღუდუშაურიც ისევ ჰალისკენ წასულ შვილიშვილსა და „ტყიდან გამოვარდნილ გოგოს“ არ აშორებს თვალს. შვილიშვილს მაინც ეძახის. აქეთ მოდი, აქა მჭირდებიო. ბიჭი პასუხს არ იძლევა და დიდედას უფრო მეტად ეშინია, ახლა უკვე იმასაც ფიქრობს, რას გადაეკიდე ამ ხალხს, ბიჭი გვერდითა მყავს, ჩავიდოდით ქვემო სოფლამდე და ღამესაც იქ გავათევდითო, ამათ, რა ვიცი, რად ერიდებათ სოფლისა, მე კი მივადგებოდი ვინმეს, სახლს და ჭერსა ვთხოვდი. დავიჯერო, მთლად გაუკულმართდა ქვეყანა და უარს მეტყოდნენო? მაგრამ თავის თავს იქვე ტუქსავს, ვინმე და ამისთანა შიში, ბიჭია, გოგო ხო არაა, რო კაბის კალთაზე გამოვიბა და გვერდზე აღარ გავახედოო. ამის გაფიქრებაზე ცოტა გულზე მოეშვება და შვილიშვილის ზურგჩანთაში იწყებს ქექვას, ვიცოდე მაინც, რა გვაქვს, რა დოვლათის პატრონები ვართ, რომ ამათ წინ თავი არ შევირცხვინოო.

ღრუბლები უფრო და უფრო ძირს ჩამოდიან და ზედ მუხებისა და თელების კენწეროებზე წვებიან. ორ ნაბიჯზეც კი აღარაფერი ჩანს. სოფელი, რომელიც მაინც იმედივით იყო ხეობის ქვემოთ გადაშლილი, თითქოს იყო და აღარ არის. მარტო ძაღლის ყეფა ისმის შორიდან, როგორც დასტური სამყაროს არსებობისა. წინ კი ამღვრეული მდინარე ქოთქოთებს. ეტყობა, მთაში უფრო იწვიმა. სადაცაა აქაც წამოვა წვიმა...

— ამ ღრუბლებმა არ მოგატყუოს!

— ეს კაცი პირში რო არ მეცეს, გული არ მოუსვენებს...

— ღრუბელი რო ძირს ჩამოწვა, უფრო დარი იქნება.

— შენ პირს შაქარი, ჩემი მიხაც ეგრე იყო, იმედითა ცოცხლობდა.

— საცაა დაღამდება და ჯერ კი არაფერი ვიცით...

— ის ბიჭი კი ჩაიყლაპა და...

— რათ ჩაიყლაპა? ახლა არ გვეძახოდა?

— ერთხელაც გავძახოთ, დედაკაცო.

— თავი დაანებეთ. ეძებს, იგრე ხო არა დგას?

— ისევ მეცა პირში ეს კაცი!

— რო ვერ იპოვოს, რაღა ვქნათ?

— მე რა ვიცი...

— რა უნდა ვიცოდეთ, აქ არ არი სოფელი?

სოფლის ხსენებაზე შვიდთა თემს ისევ შიში ერევა. გარსოს დედა ისევ თავის ხარებს გასცქერის. აბრია მახაური

უფრო დაძაბული ჩასცქერის მდინარეს. ლელა ღუდუშაური შვილიშვილს ეძახის, მოდი, სად დაიკარგე, არ იცი, უშენოდ ვერ მოვისვენებთ! ზაზა ღუდუშაური აქეთ მოდის. ელისოც მოჰყვება. ხელში ორივეს დიდი, ქოლგასავით გადაშლილი ბუერის ფოთლები უჭირავთ. კაჰკაჰი რაღაცაზე კვდება სიცილით. აბრია მახაური უკვე მიჩვეულა და გულში ამბობს, რამდენიც გინდა, იკაკანე, მე რას დამიშლით. ლელა ღუდუშაური ხან შვილიშვილს შესცქერის, ხან გოგოს და ცდილობს იმგვარი რამ ამოიკითხოს, რაც ჰალაში წასვლამდე იმათ სახეზე არ იკითხებოდა, მაგრამ ცვლილება არ ჩანს და მშვიდდება. გარსოს დედა თავის ხურჯინში რაღაცას ეძებს, კაჰკაჰი ისევ ხითხითებს. ნეტა რა აცინებსო, — ფიქრობს აბრია მახაური. — იცინოს, მე რას მიშლისო? იცით, რა მაცინებსო, თავს იმართლებს კაჰკაჰი, — თქვენისთანა კარგი ხალხი დიდი ხანია არ შემხვედრია და ამ წუთში წვიმის მოსვლა კი არა, ის მაწუხებს, ხვალ დილას, ჩვენ-ჩვენი გზით რომ უნდა წავიდეთ და ვინ იცის, ერთმანეთი ვეღარც ვნახოთო. მთა მთას ვერა, თორემ, კაცი კაცს კი შეხვდებაო, — რომელიღაცა ამშვიდებს. ეჰ, რატო ჩემმა მიხამაც არა გნახათ, მაშინ დაიჯერებდით, რა კაცი იყოო. იცით ახლა რასა ვფიქრობ, რა იქნება, ჩვენ ჩვენს საქმეს რო მოვითავებთ, ყველანი ჩემთან წამოხვიდეთ, ერთი კარგად ვიქეიფოთ, განა ზოგიერთივით შაქრით ვაკეთებ ღვინოს, იმისთანა ზედაშე მიდგას, ჩემი მიხას სახელზე, სამწლიანი, რაღა ისა და რაღა უკვდავების წყაროო, ჰა, ლამაზო ქალაქელო, წამოხვალო? რატომაც არ წამოვალო? შენც წამო, გოგო, ჯვარი გადაგწეროთო!

შეშინებული ელისო ლელა ღუდუშაურისკენ იყურება. ლელა ღუდუშაური იბღვირება და შვილიშვილს ისე ეხვევა, თითქოს წართმევას უპირებენო. ზაზა ღუდუშაური თვალს არ აშორებს დიდედას. აბრია მახაური ყველას ისე შესცქერის, თითქოს ახლა დაინახა [illegible]სივენი და ახლაღა მიხვდა, რომ აქ მარტო შვიდნი კი არ არიან, უბრალოდ და მხოლოდ ანგარიშის აღმნუსხველი შვიდეული ციფრით, სხვადასხვანი არიან, სხვადასხვა გზით მოსულნი და ბოლოს ისევ სხვადასხვა გზაზე წამსვლელნიო. ერთი ხმას არ იღებს და ვერც გაიგებ რას ფიქრობს (გარსოს დედა). ერთი ღობემძვრალასავით დაძვრება და ხან თავის მიხას აქებს, ხან თავის ბიჭებს (კაჰკაჰი). ერთს თავი სტუმარივით უჭირავს და ათასში ერთხელ ღიმილით თუ გაუგებ, რო აქ არი, შვიდთა თემის წევრია, ამ ქოხში უნდა გაათენოს ღამე და სხვებთან ერთად, თუ ღმერთმაც ინება, დილაადრიანად გაუდგეს ჩალაურის გზასა (ზაზა ღუდუშაური). ერთს რაღაცა არ ასვენებს, ტანს თითქოს ხელებით იფარავს, სამოსელი არ ჰყოფნის, თვალებში შემოხედვას ვერ ბედავს და სულ ტყისკენ გაურბის თვალი, ჰა და ჰა, საცაა გაიქცევა, როგორც ძალით დაჭერილი შველი (ეს გოგო, ელისო). ბიჭი? ბიჭი რაღა იქნა, მართლა სად დაიკარგა? გელა რქმევია, რაღა გელა და რაღა გიორგი! და მახაური, თვითონაც არ იცის, რატომ და როგორ, იმ ბილიკისკენ მიდის, საითაც ბიჭი წავიდა. ბილიკი ნისლში იკარგება და მახაურმა არ იცის რა ქნას, გაჰყვეს ამ ბილიკს თუ დადგეს და თვითონაც მოიცადოს როგორც ეს დედაკაცები იცდიან. ეს არის და ეს, მეტი არაფერი, შვიდთა თემიდან არავინ იცის რა მოხდა, რად გავიდა ბერიკაცი ბილიკზე და რად უნდა, რომ მალე დაბრუნდეს ბიჭი.

შორიდან ბიჭის ხმა ისმის:

— ვიპოვე!

იპოვა! შვიდთა თემს უხარია. შვიდთა თემი ბედნიერია. აკი ამბობდნენ, იპოვისო. ვინ იფიქრა, წავიდა და აღარ მოვაო? არა, არავის უფიქრია. ვინა თქვა, ვერ იპოვისო? არავის უთქვამს. ყველანი იქითკენ გარბიან, საიდანაც ბიჭი უნდა გამოჩნდეს. მარტო ზაზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდუშაური დგას თავისთვის. ეს ახალი ქოხი არაფერს ეუბნება. ქოხის პოვნას სხვებისთვის რაღაც აზრი ეძლევა. ქოხი სახლს ნიშნავს და ამ სახლში თუ იცხოვრებენ, ერთი ღამეც რომ გაიყვანონ, შინაურები ხდებიან. რაღაც ვალდებულება იბადება, ან უნდა დაიბადოს, ის ვალდებულება, აქ რომ ასე უბრალო და ბუნებრივი ჩანს, ქალაქში კი გაუგებარი იქნებოდა. ზაზა ლუდუშაურს უნდა, რომ ეს ვალდებულება დაიბადოს. შვიდთა თემი უკვე ერთი ოჯახი ხდება. ერთი ჭერი იპოვეს და თუ ამ ჭერქვეშ შეხვალ, ამათიც უნდა იყო. ზაზა ლუდუშაურს არ უნდა ამათ გარეშე დარჩენა და თავს აჯერებს, რომ თავადაც ყველაფერი უხარია. თავადაც იმ ბიჭისკენ მიდის, ვისაც გელა რქმევია და ვინც ქოხი აღმოაჩინა. ცოტა ხნის წინ ზაზა ლუდუშაურს ისიც კი შეეძლო, რომ ამდგარიყო, დიდედასთვის ხელი მოეკიდა და აქაურობას ისე გასცლოდა, დამშვიდობებაც არ ჩაეთვალა საჭიროდ. ახლა ამას ველარ იზამს, რადგან იპოვეს ქოხი და ეს ყველას ქოხია. ამის მერე, თუ სადმე წავლენწამოვლენ, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც საერთო ქოხს შეჰფერის, — დამშვიდობებით და გულდაწყვეტითაც.

ბიჭი ნისლებიდან გამოდის.

ბიჭი ბედნიერად იღიმება:

— ქოხი კი არა, სახლია...

— ვისი სახლია, შვილო?

— მიტოვებული სახლი.

— არც ხალხი, არც ჯამაათი?

— უკაცრიელი სახლია...

ბიჭს ცარიელი სახლი უპოვია. სახლი დგას, ჭერი ახურავს, შინ კი არავინ არის. ხალხი სადღაც წასულა, გაპარულა. ამის გაფიქრებაზე ახლა ამ სახლის შიში ეუფლება ახლად შეკრებილ შვიდთა თემს. რად მიატოვეს ეს სახლი? სად წავიდნენ? რა ძალა იყო ისეთი, რამაც ხალხი აყარა და სადღაც წაიყვანა? შეიძლება კი ამგვარ სახლში ღამის გათევა, თუნდაც ერთი ღამისა? იქნებ ამგვარ სახლს ღამლამობით ეშმაკები და ალქაჯები ეპატრონებიან? ეს ფიქრი მხოლოდ ერთი წამით გაღვიძებენს შვიდთა თემზე. მერე ყველაფერი თავისთავად ხდება, ყველანი ერთად აიყრებიან. ყველა თავის ბარგი-ბარხანას აიღებს. გარსოს დედა ხელს ჩაავლებს თოკებს და თავის ხარებს მოუძღვება. აბრია მახაური სულ ბოლოში მისდევს ქარავანს. მიდიან, ნისლში იკარგებიან. სიჩუმეში მარტო კაჭკაჭის ხმა ისმის:

— მიველ და მოსამართლე მეუბნება, ამ კაცს იცნობო? ვისა-მეთქი? უჯრას ნელა აღებს, თან თვალებში მიყურებს, თან ხელით რაღაცა სურათს იღებს... დავხედე და გული არ გამისკდა? ჩემი მიხა! საიქიოდან დაბრუნებულივით გამომეცხადა! ვეუბნები, შენ გიჟი ხო არა ხარ-მეთქი! შეეშინდა და მიხას სურათი უჯრაში ჩადო. უჯრაში ნუკი ინახავ, აქ მამე-მეთქი! საქმისთვის მჭირდებაო... არ დაიჯეროთ, ფული უნდოდა... საქმისთვის სურათი რაში სჭიროდა? შუბლზე არ მეწერა, რო ჩემი მიხას ქვრივი ვიყავი?

გარსოს დედა იმ მძიმე ტვირთზე ფიქრობს, რომელიც აქ, მდინარის პირას ცოტა ხნით ჩამოიხსნა; არ იცის, რომ ეს ტვირთი ამ ხალხთან შეხვედრამ ჩამოხსნა. დედაკაცი მხოლოდ შვებას გრძნობს და იმას, რომ ახლა, ამ წუთში, ქვეყნიერებაზე აღარაფრისა ეშინია. ჯერ არც თავისი ამბავი უთქვამს, ამ კაჭკაჭმა ვის დააცადა, არც თანაგრძნობა მიუღია, მაგრამ სჯერა, რომ თუ იტყვის, განა მარტო მოუსმენენ, გაგებითაც გაუგებენ, და, თუ საჭირო გახდება, ამ დედაკაცის მხარეზეც დადგებიან. რა უცბად შეიცვალნენ! პირველად, როცა ეს გაქვავებული კაცი დაინახა (აბრია მახაური), გარსოს დედამ გაიფიქრა, ათი წელიწადი რომ ვიყო ამ კაცის გვერდით, ამ მდინარის პირას, ალბათ ერთ სიტყვასაც ვერ ვეტყვით. გოგოზე ის გაიფიქრა, ეს გოგო მარტო არ უნდა იყოს, ალბათ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა მოსდევს და საცაა მდევრებიც გამოჩნდებიანო. ბიჭი, რომელსაც გელა რქმევია, სულ ბოლოს რომ შემოუერთდათ და ქოხიც მან აპოვნინათ, გამოქცეულსაც ჰგავდა და მდევარსაც. შავი, ჭოკივით მაღალი დედაკაცი, ქალაქიდან რომ მოდის, მოლაპარაკე დედაკაცად მოეჩვენა, მაგრამ უბედურებისაგან ჩაჩუმებულად და დაბეჩავებულად. მისი შვილიშვილი კი იმად, სულ რომ უცხოდ დარჩება და მარტო დამშვიდობებისასღა დაგიქნევს თავს, ჩუმად და ღირსეულად. მარტო კაჭკაჭი იყო თავიდანვე კაჭკაჭი და არც გამოჩენისას ანაღვლებდა რამე, არც ალბათ ახლა, ხან წინ რომ წავა, ხან უკან ჩამორჩება და ისევ თავის მიხას და თავის ბიჭებს იხსენებს. პირველი შთაბეჭდილება გაქრა და ყველანი რაღაცით მოშინაურდნენ. ეს ბერიკაცი მართლა ქვა არა ყოფილა, გარსოს დედამ კარგად დაინახა, როგორ გავიდა ბილიკზე და როგორ ელოდა ბიჭის გამოჩენას და იმ წუთშივე, ქალის თვალწინ, ეს კუშტი კაცი ადამიანად გადაიქცა. გოგოც დამშვიდდა. ის შიში, პირველად რომ ედგა თვალში, გაუქრა. ის კი არადა, გაუღიმა კიდეც (ქალაქელ ბიჭს გაუღიმა). ტყისკენ აღარ გაურბის თვალი და უხმოდ აღარ გეკითხება, რამე რო მოხდეს, ის მდევარი რო გამოჩნდეს, მიშველით თუ არაო. ეს გელაც დაწყნარდა, ალბათ ის რაღაცა დაავიწყდა, ის რაღაცა სამუდამოდ სადღაც დარჩა. აქ მარტო იმიტომ მოსულა, რომ დაღამებამდე თუ წვიმის მოსვლამდე, სადღაც მიტოვებული სახლი იპოვოს და შვადივენი დაიფაროს. ჭოკივით მაღალი დედაკაციც დედაკაცია და მეტი არაფერი, და თავის შვილიშვილს წინ იმგვარად მიუძღვება ბილიკიდან გვერდზე რომ არ გადაახედებს. ქალაქელი ბიჭი? მგონი ამასაც ჩაუქრა თვალებში ის სიტყვები, რომელიც გარსოს დედამ ერთი შეხედვითვე დამარცვლით ამოიკითხა: აქ რა მინდაო... ქალაქელი ბიჭიც ისე მიჰყვება ბილიკს, როგორც აქაურობაში სამუდამოდ მოსული. ნისლები კი ისევ ჩვევენ და ხვევენ თავის რუხ ფთილებში მუხებს და ნეკერჩხლებს, რცხილებს და თელებს, გადადიან ჯაგებზე, ტრიალებენ მინდორზე და ხან ზევით აიწევენ, ხან ზედ დედამიწაზე ეშვებიან. ძაღლის ყეფაც ისევ ისმის, რაც იმას ნიშნავს, რომ სამყარო აქვე, ნისლებში არ მთავრდება, სამყარო არსებობს და თავისი არსებობის ნიშანს იძლევა.

სახლი!

შვიდთა თემი ჩერდება და სახლს შესცქერის. ამ წუთში ეს მარტო სახლი არ არის. ყველაფერი რაღაც იდუმალ სამოსელში ეხვევა. ამ იდუმალ სამოსელს ნისლის ფერი აძევს და ჩუმია, როგორც ნისლი. სახლი ამ ნისლში თრთის, როგორც გუბეში არეკლილი შემოდგომის გაყვითლებული ტირიფი. მერე ნელ-ნელა იკვეთება, ნისლიდან გამოდის როგორც ცოცხალი და შვიდთა თემის წინ ჩერდება. სახლს ძველი სამოსი აცვია. ძველი ქუდი ახურავს და დაკონკილ ბოძებზე შედგმულა. სახლს წარსულის ფერი აძევს. დღეის დღისთვის მხოლოდ აჩრდილი დარჩენილა და ამ აჩრდილსაც რაღაც ხავსის, ობის თუ მიწის თალხი ფერი აძევს. სახლი მოჩვენებას ჰგავს, ნისლიდან გამოსულს და თუ შვიდთა თემი ახლავე გონს არ მოეგება, კაჭკაჭი მაინც თუ არ იტყვის ორ სიტყვას, როგორც მოჩვენებას შეჰფერის, როგორც გამოვიდა ნისლიდან, ეგრევე გაუჩინარდება. სახლის თავხეზე ყვავები ყრანტალებენ. ნისლის ფთილები იკეცებიან და ყველაფერი საცაა მართლა ისევ ნისლში ჩაიძირება, თუ გელა არ შეაღებს წაფერდებულ ჭიშკარს და ისევ უკან არ დაიხევს. ჭიშკარი ჭრიალებს, რაც თითქოს ამ სიჩუმეში იმას ნიშნავს, რომ აქ რაღაც მაინც ყოფილა ნამდვილი, რაღაც მაინც გამოსცემს ხმას, ანუ ცოცხალია. ეს ჭრიალი ჭიშკრისა თან ამხნევებს მოსულებს, თან აკრთობს. ამხნევებს სინამდვილე ჭიშკრისა, აკრთობს აუცილებლობა იმ სიტყვა-პასუხისა თუ შეძახილისა, რაც უცხო კარზე მომდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარ ყარიბ მგზავრს შეეფერება. ხო, ამ სახლის ჭიშკარს შვიდი უცხო ყარიბი მოსდგომია და თუ სახლია, მასპინძელსაც უნდა შესძახონ. კარის ზღურბლზე გადაბიჯების უფლებაც უნდა ითხოვონ. მაგრამ შეძახილს ვერავინ ბედავს. აქ ძახილი არ შეიძლება. თვითონ სახლი, ეს წუთია ნისლიდან გამოსული და მოსულთა წინაშე მორჩილად თავდახრილი, არ იძლევა შეძახილის უფლებას. ამას ერთ წუთში ყველა გრძნობს, მთელი შვიდთა თემი და შვიდივენი, ვიდრე უხმოდ და უსიტყვოდ მიიღებენ გადაწყვეტილებას, კიდევ ერთხელ შესცქერიან ერთმანეთს, კიდევ ერთხელ ავლებენ შიშით თვალს მთელ ამ ბურუსსა და დუმილში ჩაძირულ კარ-მიდამოს და ასევე, ჩუმად შედიან ეზოში. აქაურობა ახლა ჰგავს პაწაწინა ცთომილს, რომელზეც მხოლოდ ერთი ჩახავსებული სახლი ეტევა, ბალახებში გაბურდული ეზო და ორიოდე ნეკერჩხალი. ამ ცთომილზე მხოლოდ შვიდნი დასახლდნენ, მაგრამ პატარა ცთომილს ეს არ შეაწუხებს, ამაყად გასწევს ვეება პლანეტებით და ათასი მზეებით მოფენილ უსასრულო სამყაროში და სამყაროს შემქმნელს მადლობას ეტყვის, თუ თავის მცირე ნაკვალევს დატოვებს, თავის პაწია შუქს გამოსცემს. პატარა ცთომილი მიდის და არ უწყის, რომ რომელიღაც დიდი პლანეტებიდან გამოწვდილი ტელესკოპებით ცნობისწადილით აკვირდებიან. ცთომილზე ცხოვრება იწყება.

ახლა კი მართლა უნდა მოვიდეს წვიმა...

●

წვიმს. ფოთლები ჯერ ერთხმად იწყებენ ჩურჩულს. ჩურჩული უფრო და უფრო ძლიერდება, და ბოლოს ყველა ერთხმად მოჰყვება ძახილს. მთელი ტყე რაღაცას იძახის, ხმამაღლა, სულმოუთქმელად! სახლის საჩეხში შეყუჟულები ჯერ უსმენენ წვიმას, მერე ისინიც ფოთლებივით თრთიან და ცას შესცქერიან. ცა უფრო შავდება. წვიმასთან ერთად საცაა ღმეც წამოვა და თუ ცეცხლი არ დაანთეს, თუ ზეცას ამით მაინც არ ამცნეს თავიანთი აქ ყოფნა, შეიძლება ცასა და დედამიწას შუა გამოკეტილები დარჩნენ.

— დამაცა, ბებო, მე დავანთებ ცეცხლსა.

— რაღას უყურებ?

— ცას ვუყურებ, ვერა ხედავ, ჩამოქცევას აპირებს.

— დედაკაცებო, აემ ნაბადზე დასხედით.

— სულ იმასა ვფიქრობდი, აბა თუ ეს ნაბადი მოიხსნას და გადმოგვიგდოსმეთქი.

— მარტო ეს ნაბადიც რო გვქონოდა, წვიმა ვერაფერს დაგვაკლებდა...

— მარილი ხო არავის წამოგიღიათ?

— ამ გოგომ ორჯერ გამიშტერა თვალი!

— ხურჯინში იმდენი რამე მაქვს, ორ დღეს გვეყოფა.

— სტერსაც ნუ ჰქონია!

— ეს ხარები მაინც რად ჩაჩუმდნენ?

— ნუ გეშინია, აქ არიან, არავინ მოგპარავს... შენ არაფერი მოგიპარია, გელავ!

— ატმის მეტი არაფერი.

— შენა, ქალაქელო?

— არაფერი...

— მოდით, ამაღამ ჩავუხტეთ სოფელს...

— კაკანებს და კაკანებს...

— წინ ამ ნაბდის პატრონს გავიძღოლოთ.

— ნეტა რა გაძლება ჰქონდა, ის მიხა იყო თუ ვიღაცა.

— ერთი სიტყვა შენცა თქვი, კაცო! რა ჰქვია, ის მაინც გვითხარი!

— აბრია ვარ, მახაური...

— არშიყობა არ დამიწყო, აბრი!

— მოპარვაზე თუ მიდგა საქმე, ამ გოგოს მოვიპარავდი.

— კამიარშიყდი, ნუ გეშინია, აქ რა, ჩემი მიხა მოგთხოვს პასუხს...

— იქ რო ჩახვალ, რა პასუხს აძლევ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა მაშინვე ვახარებ, ეგრე და ეგრე-მეთქი...

— ღმერთი მაღალია, ღმერთი ყველაფერსა ხედავს!

— ამ ყიამეთში რას დაინახავს?

ბინდი ჩამოდის. ელავს და წამით ნათდებიან ნეკერჩხლები. საჩეხთან ორი ხარის თვალები ბრიალებენ. ცეცხლი ჯერ ბჟუტავს, მერე ნელა იკლაკნება და კვამლი დგება. ეს საამო, თბილი კვამლია და ყველას თითქოს თბილ საწოლში ეპატიჟება.

— ნუ დაგვახრჩე, ბიჭო!

— რა ჩემი ბრალია, ბებო!

— არა გცოდნია ცეცხლის დანთება!

— ყველაფერი ამან იცის, ალბათ მიხამ ასწავლა.

— ეს წვიმა რაღა ჩვენი ჯიბრი იყო?

— ეს წვიმა კარგიც არი, ჩემი ხარების დევნა დაეზარებათ...

— მამაჩემი მთვრალია, ან ლოგინში წევს და ხვრინავს, ან მეძებს.

— ნეტა გოგია-შოფერი სად არი?

— არა გცოდნია ცეცხლის დანთება!

— სად იქნება, ალბათ დადის და დათრევს იმ გოგოს.

— ესეც ცეცხლი!

— გცოდნია, ტყუილად გეჩხუბებოდი...

ცეცხლის ალი უფრო იკლაკნება და ზემოთ და ზემოთ ადის, ნათდებიან სახეები: პირქუში მახაური, ჭოკივით აწოწილი ლელა ღუდუშაური, დამფრთხალი ელისო, გაბადრული გელა, განზე გამდგარი ზაზა ღუდუშაური, მუდამ ხარებისკენ მაცქერალი გარსოს დედა. ცეცხლზე ხელებმიფიცხებული მხიარული კაჭკაჭი.

— ცოტა ხანს მაინც ჩამოჯექ, პელო, მუხლი ჩახარე!

— ნულა აყრი, ბიჭო, არ გადაგვიწვა ეს სიმწრით ნაპოვნი სახლი!

— თორე შენ იპოვე, აი...

— შენ-ჩემობა ვინა თქვა, სუყველამ ვიპოვეთ!

— აკი ვთქვი, დედაკაცები ნაბადზე დასხედით-მეთქი.

— დასხედით, ქალებო, კაცმა ერთი სიტყვა თქვა და ესეც არ გავუგონოთ?

ქალები გაშლილ ნაბადზე სხდებიან. გელა კუნძზე ჩამოჯდება. აბრია მახაური — საჩეხის ზღურბლზე. მარტო ზაზა ღუდუშაური დგას ფეხზე და უხმოდ გასცქერის ეზოს. წვიმა უფრო ხშირდება. ელვა უფრო მალიმალ იკლაკნება. ღამე წვება გარშემო და ყველაფერი სიბნელეში ეხვევა. რაღაც მილაწუნობს ტყეში. შორს, სოფელში ძაღლები ყეფენ.

— ესეც ჩვენი ჯიბრია, მაშ რა არი? კიდევ იტყვიან, ღმერთი არიო...

— არი, მაშ არ არი?

— ღმერთი რო ყოფილიყო, ამ დღეში ჩაგვაგდებდა?

— გოგია თბილათ ზის და გვერდით ის გოგო უზის. გარეთ წვიმს, მაგრამ რა, გინდა წვიმდეს, გინდა არა...

— ჩემი რძალი აღარ მეძებს...

— თუ დამედევნენ, აქ უნდა დამწეოდნენ... ამ ხარებს მაინც არ დავანებებ...

— ეს გოგო მიყურებს... ცოტა ხანიც და ისევ გამოიხედავს...

— ჯერ არა მიჭირს რა, მუხლები აღარ მიკანკალებს, აღმართები რო დაიწყება, მაშინ არ ვიცი...

— აკი ვთქვი, გამოიხედავს-მეთქი.

— ერთხელაც გავიხედავ და მეტჯერ აღარ, რო მოკვდე, ზედაც აღარ შევხედავ...

— აჰა, გამოიხედა!

— ცხონებულ ჩემ მიხას ქუხილისა ეშინოდა...

— ყველანი ერთნაირები არიან, ზედგამოჭრილი ის ბიჭია, თითქოს თან გამომყვა-მეთქი...

— ღმერთი მართლა ვერა გვხედავს...

— აკი დავანთეთ ცეცხლი, ბებო!

— ან გვხედავს და გამოცდა უნდა ჩვენი, აბა, ეშინიათ თუ არაო.

— საშიში რა არი?

— იქუხოს, თავში ქვა უხლია!

— აქეთ გადმოჯექ, კაცო, თავში არაფერმა დაგკრას... ქუხილში ჩემ მიხას გარეთ ვერ გაიყვანდი.

— ეს დილამდე არ გადაიღებს.

— არც დილამდე და არც ხვალ საღამომდე.

— მაშინ აქ დავრჩენილვართ და ეგ არი!

— არა გცოდნია, ბებო, ამისთანა თავსხმა, უცებ მოვიდა და უცებ წავა.

— შენ პირს შაქარი, ბიჭო...

— თავის თავს უთხრა, აღარ გავიხედავო...

— ხარებს საჩეხში შემოსვლა უნდათ...

— აბა ნახეთ, თუ ამ წუთში არ გადავაღებინო, ღმერთსა ჰგონია, ეშინიათო... არაფრისაც არ გვეშინია, იქუხე რამდენიც გინდა! აი, ვზივართ, ცეცხლთანა ვთბებით და ვმღერით! ჰა, ამყევით ხალხნო!

— ნეტა შენ ეგრე გაკაკანა...

— ამყევი, კაცო, რა თავპირი ჩამოგტირის!

— მარტო მე მცოდნია სიმღერა და ყური დამიგდოს იმ მაღალმა ღმერთმა...

— ამაღამ არ ვიცი რა მოხდება...

— აკი ვთქვი, გადავაღებინებ-მეთქი!

— ეს არი გადაღება?

— გადაიღო და ეგ არი... ხო ხედავთ, აღარც ელავს, აღარც ქუხს...

— ხო, ქუხილი შორს წავიდა, გადაიარა...

— ნახეთ, ცოტა ხანში ვარსკვლავებიც თუ არ გამოვაჩინო.

— ალბათ გადაიღებს...

— შენ რაღაზე ატყობ, დედაკაცო?

— ჩემი ხარები ბალახისკენ წავიდნენ.

— აკი გითხარით, გადავაღებინებ-მეთქი!

— ახლა კი დავსხდეთ... აი, ყველაფერი ამოვიღე, ცოტა რაღაცა გვაქ...

— საგზალი ყველას გვეყოფა...

— აბა ეს პამიდვრები ნახეთ, ეს მჟავე კიტრიც გემრიელია!

— აქეთ მოდი, გოგო, ხელი გადმოიწოდე, რისი გრცხვენია?

— მობრუნდი, კაცო, რა ზურგი შეგვაქციე?

— შენ რაღასა დგეხარ, ქალაქელო, ჩამოჯექი!

— მოდი, ბიჭო, შენ მაინც რაღა ხვეწნა გინდა, შენს სახლში არა ვართ?

— ჩემი სახლი რად არი?

— შენი ნაპოვნია!

— მობრუნდი-მეთქი, კაცო, აბა თუ მობრუნდეს!

— მოტეხე ეს პური, გოგო, თორემ პირში ლუკმას არ ჩავიდებ.

— რა სულ გაჩუმებული ხარ, ლამაზო ბიჭო, ხმა გაგვეცი, ამ გოგოს მაინც უთხარი რამე...

— ნეტა მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს!

— ამ გოგოსთან რა აქ სათქმელი, ხო არ გაგიჟდა ეს დედაკაცი?

— ჩემი მიხა, სუფრაზე როგორ დაჯდებოდა, თუ სიმღერას არ იტყოდა?

— ეს პამიდორი მაინც აიღე, კაცო, ჩემ ბოსტანშია მოყვანილი...

— ჩემი ძროხის ყველია, გემრიელია...

— ვატყობ, ჩემი მოტყუება არ იქნება.

— მიხა კი მაატყუე და...

— ეს რომელმა თქვა?

— მე ვთქვი...

— რაკი შენა თქვი, გაპატიებ... ხმა ამოვაღებინე, ხალხნო, გავაცინე კიდევაც!

აბრია მახაური მართლა იცინის. კაჭკაჭი სიხარულით ლამის ჭერში ახტეს. ბიჭებიც იცინიან. ახლა გარსოს დედაც იცინის და ლელა ღუდუშაურიც. მარტო გოგო ზის თავისთვის და ცეცხლს ჩასცქერის. დამაცა, შენც გაგაცინებ, — იმუქრება კაჭკაჭი. ცეცხლიც მხიარულობს, საჩეხის ჭერზე ლანდები ირევიან. ერთმანეთში გადადიან გაწვდილი ხელები, გრძელდებიან და პატარავდებიან ცხვირები, დიდი პირიდან სიცილი ამოდის. ამ ლანდებში ყველაზე უფრო ერთი ლანდი ქოთქოთებს, ხმაურობს, მოძრაობს, იწვის, ინთება, ერთი მხრიდან მეორეზე გადადის. ხან გოგოს ეფერება, ხან ბიჭებს ეხვევა. დედაკაცებს ყურში რაღაცას ეჩურჩულება და იცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის, იცინის, კვდება სიცილით. კაჭკაჭი პელო საკუთარ სახლშია. ეს მისი სახლია, ეს გელა, ვინც სახლი იპოვა, — მისი შვილიშვილი. ესენი კი სტუმრები არიან... გრძელი გზა გამოუვლიათ და ბინდისასლა მოსდგომიან პელოს ოჯახს.

— მართლა, არაყი არ დავლიოთ?

— რატომაც არა... აბა ერთი გადაჰკარ, ბებერო...

— ბებერი შენა ხარ...

— ხო, მეც ბებერი ვარ, რაო, მერე? გადაჰკარ და მერე მელაპარაკე, ეგრე, მოგიხდება. არ დაგიარა ტანში სითბომ? გაგითბა ძვლები? უფრო კარგად დაგეძინება!

— ეს დედაკაცი მართლა ჯადოქარია...

— აბა თქვენც გადაჰკარით, ბიჭებო!

— მოიტა, დამისხით ერთი ჭიქა!

— შენა, ლამაზო ქალაქელო? დაგისხამ, მაშ არ დაგისხამ? შენ თუ არ დალიე, სხვამ ვინ დალიოს? შენღა? შენ რატომ არა სვამ, ბიჭო?

— არ მიყვარს არაყი...

— კიდევ ხო არ დაგისხა, ბებერო?

— მეყოფა...

— ერთსაც დაგისხამ, მიხას შესანდობარი დალიე.

— მეც დავლევ მიხას შესანდობარს...

— ისევ შენ, ქალაქელო?

— მეტი აღარ დაუსხა, ხვალე დიდი გზა გვაქ გასავლელი...

— ნუ გეშინია, ბებო!

— რისა უნდა მეშინოდეს... მეტი აღარ დაისხა.

— ერთიც და მეტი აღარ...

— ღმერთი სამობით არი, დედაკაცო!

— კარგით, ეგ მესამეც და მეტი აღარ...

— ამასობაში კი გამოიდარა! აგე, ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ!

— აბა, საით?

— კენწეროების თავზე... ერთი, მეორე!

— ხო, გამოჩნდნენ, ეხლა მეც ვხედავ...

— გამოდარებას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, ბებო!

ყველანი ნაწვიმარ ბალახზე გამოდიან. ხარები იქვე სძოვენ. ღრუბლები დამფრთხალან, სწრაფად იკარგებიან და მთელი ცა ვარსკვლავებით იჭედება.

— საცაა მთვარეც ამოვა!

— ჯერ არ ამოვა, ვახშმობს!

— ამოდენა ვახშმობა გაგონილა?

— ჩვენც ხო ვივახშმეთ, გეთაყვათ...

— აგე, რამოდენა ვარსკვლავია!

— ეგ ვარსკვლავი არ არი, ბებო!

— მაშ რა ჯანდაბაა?

— სახლია, ქვემოთ სოფლისა. განაპირა სახლი!

— ვარსკვლავს კი გავს შორიდან!

— ხო არ დათვერი, დედაკაცო?

— მთვრალი შენა ხარ, რას გადამეკიდა ეს კაცი, აქაოდა, მიხა აღარ არიო...

— გამოდი, ქალაქელო, გარეთ, ვარსკვლავები დაინახე!

— ვხედავ!

— ამ წუთისოფელში ან სიკვდილი რა მოსაგონი იყო, ან ამდენი უბედურება, ან სიბერე.

— ძნელია სიბერე, ბებო?

— ღმერთმა დაგაბეროთ და მერე გაიგებთ...

— მე არ დავბერდები!

— მეც ეგრე მეგონა... შენც ეგრე არ გეგონა, კაცო, უთხარი, თორე ჩემი არა სჯერათ!

— ხო, მეც ეგრე მეგონა...

— ნეტა ახლა ამსვა-დამსვა და იმ ვარსკვლავზე დამსვა.

— ის ვარსკვლავი ცეცხლია, ბებო, აგე, მეორე ინატრე, ის ცეცხლი არ არი, ჩვენ დედამიწასა ჰგავს.

— ამ ქალაქელებმა ხო ყველაფერი იციან, თითქოს გუშინაც იქ ვიყავიო...

— რატომაც არა, მთვარეზე ხო იყო კაცი...

— მერე, რა ჩამოიტანა?

— რა უნდა ჩამოეტანა?

— იცი რა, შვილო, რაღაც-რაღაცები შორიდან უფრო ლამაზი ჩანს ხოლმე. აი, ხო წასული საქმეა და გამოვტყდე-

ბი, სანამ შორს იყო ჩემი მიხა, თითქოს ვარსკვლავივით ენთო, როგორც კი ჩემად დავიგულე, ვფიქრობდი ხოლმე, მარტო ეს იყო, შორიდან რო შევხაროდი-მეთქი?

— გული გაგინელდა, ბებო?

— გული რად გამინელდა, უფრო ჩემი გახდა... მარტო ეგ არი რო, ვარსკვლავი აღარ იყო. დახეთ, დახეთ, ჩავარდა!

— რა ჩავარდა?

— ვარსკვლავი ჩავარდა...

— ეგ მეტეორია, გაიელვა და ჩაიწვა.

— მეტეორი რაღაა?

— პატარა ნატეხი, სამყაროში მილიონობით ნატეხები დაძრწიან.

— როგორც ჩვენ, არა?

— ჩვენ რათა ვართ ნატეხები?

— ნატეხები ვართ, მაშ რა ვართ? იქნებ ნატეხებიც არა ვართ?

— ამ კაცმა რო წყალი არ გადაგასხას, არ იქნება...

— საით მიდიხარ, ზაზავ?

— არსაით, ბებო...

— ეს გოგო რაღამ გააშტერა, თითქოს პირველად დაინახა ვარსკვლავებიო.

— მაინც რათა ვჭამთ ხოლმე ერთმანეთს? აი, შვიდნი ვართ და რა კარგია ერთად ყოფნა.

— ზოგი მე მკითხე...

— ამას ჩემ ჯიბრზე ამბობს. მითხარი, ხო ჩემ ჯიბრზე ამბობ, კაცო?

— თავი დამანებე, დედაკაცო...

— შვიდნი ვართ და რა კარგია ერთად ყოფნა! მარტო რო მივდიოდეთ, ხო შიშით სული გაგვძვრებოდა? მითხარით, მართალს არ ვამბობ?

— ხო, მართალს ამბობ, სად მარტო ყოფნა და სად ერთად...

— მთვარე უკვე ამოვიდა, ახლა აღარაფერია საშიში...

— ან აქამდე რისა გეშინოდა?

— იმ სახლში შუქი ჩაქრა. ეტყობა იძინებენ...

— რომელ სახლში?

— განაპირა სახლში...

ზაზა ღუდუშაურს ზურგჩანთიდან ტრანზისტორი ამოაქვს. მსოფლიო სიმღერასა და ლაპარაკზეა გადასული. დიქტორი მსმენელებს უმტკიცებს, რომ კომბოსტოში ბევრი ვიტამინია. აიათოლა ხომეინიმ ჯაზი აკრძალა. ვიღაც ბიჭმა ამერიკის პრეზიდენტს ესროლა, ამბობენ, ეჭვიანობის ნიადაგზეო... ცნობილი ფრანგი მომღერალი გარდაიცვალა. წყნარი ოკეანის კუნძულზე წყალდიდობაა. მარკესმა გამოაცხადა, სანამ ჩილეში ხუნტა არსებობს, რომანებს აღარ დავწერო. კოსმოსში კიდევ ერთი თანამგზავრი გაუშვეს, ბოლოს და ბოლოს ვინ მოკლა პრეზიდენტი კენედი? ახლა კი ფეხბურთის შესახებ, მეგობრებო... აღმოსავლეთი, როგორც ყოველთვის, ტირის. სადღაც ყრუდ ისმის მოცარტი.

— რა გვინდაო, შვილო, რას ამბობენ?

— არაფერს, ბებო...

— ომი იქნებაო?

— არა, არ იქნებაო...

— რა ვიცი, მე კი სულ იმისი მეშინია, თავში არაფერი დაგვეცეს-მეთქი...

— ნუ გეშინია, ბებო...

— რაზე ჩხუბობს ეგ ბიჭი, შვილო?

— მღერის.

— მე მეგონა, ჩხუბობს-მეთქი.

ზღვა შრიალებს. ჩიტები ჭიკჭიკებენ. საათი ჩხაკუნობს... „სეიკო" ყველაზე საუკეთესო საათებს უშვებს მსოფლიოში. ედიტ პიაფი კვლავ ცრემლებს ჰგვრის პარიზელებს. მოდამ დაკარგა ახლის გრძნობა, ყველაფერი ძველია მოდაში, შარვალიც, სიმღერაც, კაბაც, საჭმელიც... ტირილი სირცხვილად აღარ ითვლება.

— ეს ქალი ამბობს, შვილო?

— ხო, ბებო, თან ტირის, თან მღერის.

— ნეტავი იმღერონ, ოღონდ თავში არაფერი დაგვცენ... ამასწინებზე მითხრეს, მთვარიდანაც კი გვაქ დამიზნებულიო.

---

**თამაზ ბიბილური**

შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ დაგვიმიზნაო?

— მიხა იტყოდა ხოლმე, ადამიანი ძაღლია, ადამიანი ომს არ მოიშლისო. ეგ კაცი რაღას ამბობს, შვილო?

— თუ მოწევაზე მიდგება საქმე, „მალბორო" მოსწიეთო.

— მართალია, აქ რო ბნელა, ამერიკაში დღე არიო?

— მართალია, ბებო!

— ამიტომ არ მინდა ხოლმე სიკვდილი, რას არ გაიგებ ამ ქვეყანაზე...

— ფიქრი აგიშალა ამ ვარსკვლავებმა, ბებო?

— რატომაც არა? ამ ცისქვეშეთში არ დავბერდით? ამ კაცს ეძინება, მე კი ვრაკრაკებ და ვრაკრაკებ. თქვენც ხო არ გეძინებათ, ქალებო?

— ჩვენ რა დაგვაძინებს?

— თქვენ არ გეძინებათ, ბალღებო? ვერა ხედავთ, ერთი სინათლე ჩანდა და ისიც ჩაქრა. ცეცხლი ჩაიღველფა...

— ცეცხლს ისევ ავანთებთ!

— ნუღარ აანთებ, ბიჭო, ხო გაგვინათა, ეყოფა... აგე, ბებერმაც დაამთქნარა, მეც მამთქნარებს, ქალებო...

— მოდით, დავიძინოთ, ხვალ დიდი გზა გვაქ გასავლელი.

— ღმერთო, კარგი ამინდი მოგვეცი!

— ვაითუ ხვალეც იწვიმოს. ვაითუ ხვალეც აქ დავრჩეთ?

— რას დაგვჩხავი, დედაკაცო!

— ღმერთი განა მე დამიჯერებს?

— რო დაგიჯეროს?

— მაშინ პირდაპირ გეტყვი!

— მით[illegible]რი!

— დილაზე წვიმა წამოვა!

— კუდიანი ხარ, მაშ რა ხარ?

— არ დაუჯერო, პაპავ, შენ გასაბრაზებლად ამბობს.

— აკი არც ვუჯერებ.

— ზაზავ, არ გეყურება, ზაზავ! მოდი, დაიძინე!

— შენ ახლოს მოწექ, გოგო, არ შეგცივდე!.

— არ შემცივდება, ბებო.

— არ გეყურება, ზაზავ?

— ნუ გეშინია, არსად დაგეკარგება.

— რისი უნდა მეშინოდეს?

— აჰა, მოვიდა, დაისვენე!

— სულ ამ შიშში ხარ?

— საშიში რა არი?

— არაფერი. რა უნდა იყოს.

— ხვალე თუ არ იწვიმა, საღამოზე ჩალაურში ვიქნებით.

— ისევ წვიმას გაიძახის ეს დედაკაცი.

— კარგი, კაცო, ხმა აღარ ამოვიღო?!

— ღამე მშვიდობისაა...

— მშვიდობა მოგცეს...

— ღამე მშვიდობისა, ბიჭებო...

— შენც გვითხარი, რამე, გოგო.

— ღამე მშვიდობისა, ბებო...

— ჩამობნელდა...

— ნუ გეშინიათ, მთვარე ღრუბლებს მოეფარა.

— აჰა, ისევ გამოვიდა.

— ნეტა რა დრო იქნება?

— მამლებს ჯერ არ უყივლიათ.

— აქ მამლებს რა უნდათ?

— აი, ნახე, თუ არ იყივლონ, აქვე არ არი სოფელი?

— ხვალ საღამოს ჩალაურში ვიქნებით...

ყველას თვლემა ერევა. კაჭკაჭი პელო ჩაჩუმდა. მახაურს ერთი სიტყვის თქმაც აღარ უნდა. გარსოს დედა ადიდებული მდინარის ხმას უსმენს დაძაბული და ყველა ჩქამს აღნუსხავს. არავინ იცის, რას ფიქრობს ზაზა ღუდუშაური. ელისო ბნელში მიყუჟულა. ლელა ღუდუშაური შვილიშვილს ხელს არ უშვებს, რათა ბიჭმა იმ ცდუნებას გაუძლოს, რაც მის სახეზე უფრო და უფრო ნათლად იკითხება. გელა ვერაფერს ხვდება, რა ხდება გარშემო და მარტო იმაზე ფიქრობს, ან წყალი არ ჩამოვიდეს სახურავიდან, ან ცეცხლი არ ჩაქრესო.

დუმილის წუთებია. შორიდან ცხენის ფეხის ხმა ისმის. ეს ხმა ფეხზე წამოაგდებს თვლემაში წასულ შვიდთა თემს. ცხენის ფლოქვების თქარუნი სულ უფრო ახლოს ისმის, მერე უფრო ახლოს და შვიდთა თემიც მოლოდინით თრთის. ეს მდევარია! და თუმცა ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთს არაფერს უმხელენ, ყველა, გარდა კაჭკაჭი პელოსი, მდევრის მოახლოებას გრძნობას და ცხენის ფლოქვების თქარუნთან ერთად მატულობს შეშფოთებაც. გარსოს დედა თავის ხარებთან ჩადის, მათ შუა ჩადგება და ისე ელის მდევარს, როგორც მზადმყოფი — მკერდით დაიცვას ის, რისი დაცვაც უსიკვდილოდ ევალება. ელისო ხსნას გარსოს დედაში და მის ხარებში ეძებს და ბოსელს ისე ეხუტება, როგორც დიდი ხნის ნაცად მეგობარს. არა, ეს მანქანისა კი არა, ცხენის ხმაა, მაგრამ გელა ტყის გულიდან გოგია შოფერის გამოჩენას ელის. ჩემმა რძალმა შეყარა ქვეყანა, — ფიქრობს აბრია მახაური და ხელი თავისი ნაბდისკენ მიაქვს. ლელა ღუდუშაურმა არ იცის, რა ხდება და თავის შვილიშვილს ეხუტება. ცხენის ფლოქვების თქარუნი ჯერ ისევ ახლოვდება, მერე ცხენი შეჩერდება და შვიდთა თემი ჩაჩუმებულ მხედარს უფრო მეტი შიშით ელის. ბოლოს ცხენი ჭალას გადაივლის და ფეხის ხმა ნელნელა მიწყდება, როგორც მიწყდება ხოლმე ცაზე გადავლილი ქუხილი.

— რამ შეგაშინათ, ხალხო? — ეს კაჭკაჭი დედაკაცია. — შესაშინებელი რა იყო, ვიღაც ცხენოსანმა აიარა და თავის გზას ეწია. გზა იმიტომ არი, რომ ცხენოსნებმა იარონ...

აბრია მახაურს აღარავისი ეშინია. არც გარსოს დედას ეშინია, რადგან იცის, რომ თავის ხარებს ცოცხალი თავით არავის დაანებებს. არც გოგოს ეშინია, რადგან თუ მამა წამოეწევა და მოკლავს, რაც უნდა მწარე იყოს სიკვდილი, გოგო მაინც მშვიდად შეხვდება და იტყვის, ახლა კი დავისვენეო. ლელა ღუდუშაურის რძალი ამ მთაში ამომსვლელი მართლა არ არის, აქ ამომსვლელი რომ ყოფილიყო, ამ ოც წელიწადში ერთხელ მაინც ამოვიდოდა. გოგია შოფერი სამუდამოდ დაიკარგა, იყო და აღარ არის...

— მოდი, ისევ შეუკეთე ცეცხლსა, — ამბობს აბრია მახაური და გელას შესცქერის.

— გელა ცეცხლს შეშას უმარჯვებს.

მაგრამ გადავლილი ქუხილიდან თავის დაღწევის მერე მაინც რჩება პაწაწკინტელა შიში და ეს შიში თითქოს იქვე, ჩაბნელებულ ეზოში დაფაჩუნობს: მაინც ვინ იყო ის მხედარი, სად ეჩქარებოდა, სად გარბოდა ამ ყიამეთში? ღმერთო, ხელი მოუმართე, თუ საკაიკაცოდ მიდის... ღმერთო, გზა გაუმრუდე, თუ გულში ავი რამე უდევს...

— მაინც კარგია სითბო... — იცინის კაჭკაჭი.

აბრია მახაური მოქრუშული იყურება.

უცებ ვიღაცას ახსენდება და კითხულობს, ნეტა ქვემო სოფელში ვინმემ თუ იცის, აქ რო დავსახლდითო. დასამალი რა გვაქვსო, — კაკანებს პელო. დასამალი რა უნდა გვქონდეს, მაგრამ არც გაშარავება გვინდაო... ამის თქმაზე გელას ეკითხებიან, წელან, სახლის საპოვნელად რო იარე, ვინმე ხო არ შეგხვდა, ხო არა გკითხა, ვინა ხართო? როგორ არაო, ერთმა კაცმა მიმასწავლაო.. გელა შუაში ექცევა, გარშემო დანარჩენები ეხვევიან და ეუბნებიან, აბა, წვრილად გვიამბე ყველაფერი, რა როგორ იყო, რა გკითხა იმ კაცმა და რა უთხარიო. რა უნდა მეთქვა, მგზავრები ვართ, გვაწვიმს, ქოხის პოვნა გვინდა-მეთქი! ვინ მგზავრებიო, სად მიდიხართო? ჩალაურისკენ მივდივართმეთქი! რა ხანია, ჩალაურისკენ არავინ წასულაო, კიდევ არი ეგ თქვენი ჩალაურიო? რატომაც არ იქნებაო, — ბრაზობს ლელა ღუდუშაური. მაშ სად წავიდოდაო, — თავისთვის ჩივის გარსოს დედა. იქნება მართლა გაიპარა სადმე ის ჩალაური და ჩვენ არაფერი ვიცითო, — იცინის კაჭკაჭი პელო და ახლა პელოს ეჩხუბებიან, დაგვაცადე, დედაკაცო, გაგვაგებინე, რას ამბობს ეს ბიჭიო. პელო მაინც იცინის და უფრო კი იმას კვირობს, მაინც რისი გეშინიათ, რომელი ყაჩაღი დაგვესხმის თავსა, ან

**თამაზ ბიბილური**
**შვიდი ხმისა და ტოროლასათვის**



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ.

თუ დაგვესხმის, ამ დაკონკილი ნაბდის მეტს რას წაგვართმევსო. მახაურს სწყინს, მის ნაბადს დაკონკილი რომ შეარქვეს და პელოს ქვემოდან უყურებს. პელო ახლა მახაურს უცინის, ვითომდა, სიტყვამ მოიტანა და ისე ვთქვი, არ გეწყინოსო. მერე თქვენკენ რო მოვდიოდი... რაო, რო მოდიოდიო? — ყველა ერთხმად კითხულობს. ის კაცი დიდი ხანი იდგა და თვალს არ მაშორებდაო. მერეო? მერე წავიდა და სანამ ნისლებში არ დაიკარგა, სულ უკან იყურებოდაო... გელას თხრობა ამითი მთავრდება და შვიდთა თემიც თავს იმშვიდებს. კვლავ სიჩუმე დგება და მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნი ისმის. მაინც რა გინდათ და ვინა ხართო? — ცოტა ხნის მერე ისევ კითხულობს გარსოს დედა. ხო, ვინა ხართ და რა გინდათო... მეხი შენც დაგეცესთქო, ვერ უთხარი? — მრისხანებს კაჭკაჭი. ცაზე ღმუილით გადადის თვითმფრინავი, ღმუილიც, მსგავსად ცხენის ფლოქვებისა, შორიდან ნელ-ნელა ახლოვდება.

— ეს მანქანის ხმაურია!

— აქ მანქანას რა უნდა! მანქანის გზა სოფელთანა წყდება...

— მანქანა კი არა, თვითმფრინავია!

— ამ წვიმაში, ხალხნო?

— ხო, წვიმაში.

— ახლა იმაშიც კაცი ზის?

— მაშ უკაცო თვითმფრინავი სად გაგონილა?

— დედა მოუკვდეს...

— ნუ გეშინია, არცა სცივა და არცა შია, ზის თბილად და დაგვცქერის ზემოდან.

— ამ შუაღამისას რას დაგვინახავს?

— განა დაგვინახავს-მეთქი...

— გერმანელებისა რო გადაივლიდა ხოლმე, მაშინ იყო საშიში, ახლა საშიში რა არი? თქვენ არ გემახსოვრებათ, ბალღებო, თქვენ არაფერიც არ გახსოვთ! შიში მაშინ იყო...

— შიში ახლაც არი, რა იცი, როდის რა დაგეცემა თავში.

— ნეტა დამაძინებდეთ და ძილში რაც უნდათ, ის დამცენ...

— რაც ამან იქაქანა, დაეძინება, მაშ რა იქნება...

— სამჯერ რო დამამთქნარებს, მერე დამეძინება ხოლმე.

— მესამედ დაამთქნარე, ბებო?

— აი, ვამთქნარებ და ეგ არი...

არავისი ხმა აღარ ისმის. აღარც ძაღლი ყეფს, აღარც თვითმფრინავი ღმუის, აღარც წვიმის წვეთები ტყაპუნობენ ბუერას მსხვილ ფოთლებზე. ქვეყნიერებას სძინავს და შვიდთა თემსაც ძილი ერევა. ყველანი ჩაბნელებულ მიწურში წვებიან. ქოხი ძილის ბურანში იძირება. და ვიდრე მართლა ჩაიძინებდეს, გარსოს დედა კვლავ შეშინებული წამოჯდება, სიბნელეს გასცქერის და რალაცას დაძაბული უსმენს.

— რა იყო? — ჩურჩულებს ლელა ლუდუშაური.

— ისევ ცხენის ხმა მომესმა.

— მე არაფერი გამიგია.

— აბა, კარგად დაუგდე ყური...

— არა, არაფერი მესმის...

— ხო, აღარც მე მესმის.

— დაიძინე, ალბათ მოგეჩვენა.

— მომეჩვენებოდა, თვლემაში ვიყავი წასული.

ცეცხლი ჩაინაცრა. მთვარე კვლავ მოეფარა ღრუბლებს. ქოხში უფრო ჩამობნელდა... სიბნელეში მხოლოდ საჩეხთან მომდგარი ხარების ოთხი თვალი ვარვარებს. დარჩნენ მხოლოდ სულები. შვიდი ადამიანის აფორიაქებული სული ბნელ ტყეში დაძრწის, ჩივის, შველას ითხოვს. ყველანი ხესა და ქვას ედებიან და საკუთარ სიმართლეს ეძებენ. აღარ აშინებთ არც სიბნელე, არც ადიდებული მდინარე, არც მანძილი. ისინი ყველგან არიან. ფიქრად ქცეულნი მთელ უსაზღვრო სამყაროს სწვდებიან, რათა დილით, როგორც კი სინათლე განდევნის ბნელს, დაღლილ-დაქანცულები ისევ აქ დაბრუნდნენ და ისევ შვიდთა თემში ჩასახლდნენ. აბრია მახაური რძალზე ფიქრობს. კაცმა რომ თქვას, რა დამიშავა, — თავს იმართლებს მახაური. — მარტო ეგ არი, რო არ მინდა სიკვდილის წინ იმისი თვა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები დავინახო. ამისი ნება ყველა კაცსა აქვს. სიკვდილის წინ რასაც მინდა, იმას ვუყურებ, ვინც მინდა, იმას მოვიხმობ. ეგ იყო და ეგ, სხვა არაფერი მითხოვია, ისე მოვკვდე, როგორც მე მინდა-მეთქი. ან რძალს რა უნდა ეწყინოს, ან ღმერთს... ღმერთს კი ეწყინება! როგორც მე მინდაო, იტყვის, ეგლა მაკლია თქვენ ნდომაზე ვიაროო, და თვალს იქ დამიხუჭავს, სადაც არ ველოდები. ხვალინდელი დღე მაინც დამაღამებინოს. ეს აღმართები ამატაროს და მერე რაც უნდა ისა ქნას. ხვალ საღამოს ჩალაურში ვიქნები. ხვალ საღამოს გიორგისა ვნახავ და ვეტყვი, ცოტა ხანს თავთან დამიჯექი, თავთან კი არა, წინ, რომ კარგად გიყურო, ვკვდები-მეთქი. ვიცი, არც ის დამიჯერებს, შენ რა მოგკლავს, პაპაო, მეტყვის, მაგრამ ბოლოს მაინც მიხვდება, რომ არ ვატყუებ და ფერი წაუვა. ფერი კი უნდა წაუვიდეს, უნდა დაენანოს პაპა! იმისთვის ვიცხოვრე, იმისთვის გამოვიარე ეს ამოდენა გზა! გამოვიარე კი? რატომაც არა, გამოვიარე... აი, ვხედავ კიდეც. ახლოს მოდექი, ბიჭო, ხელით მოგწვდე. ნამდვილი ბიძაშენი ხარ, შე მამაძაღლო. ისიც შენოდენა იყო, შენოდენა წავიდა. სიმაღლითაც იმსიმაღლე ხარ... გეტყვი და არავისთან გამცე: სულ იმისი მეშინოდა, დაბალი არ იყოს-მეთქი. მაღალა გამოხველ, როგორც ბიძაშენი! ღმერთი ზოგჯერ შეისმენს ხოლმე და იმას აგვისრულებს, რასაც გულით ვეხვეწებით. ერთ რაღაცას გადმოგვიგდებს, აჰაო, როგორც შენ გინდაო, თავში ქვა იხალეო, აი, მეც თავში ქვა ვიხალე და მოვდივარ. დამხვდი მაინც მანდა, სადმე არ იყო წასული. ახლა ყური კარგად დამიგდე: თვალები შენ დამიხუჭე, ჩვენებიანთ ლევანასავით თვალებდაჭყეტილი არ დამარჩინო. ჩუმად იტირე, სხვებმა არ დაგინახონ, მაინც პაპა ვარ, მეტი ხო არა, დაგცინებენ. ბევრ ხალხს არ დაუძახოთ, მარტო ისინი დაიბარეთ, ვისაც მართლა დავენანები. ჩემ ქელეხში ნურავის ამღერებ, თუ ვინმემ გაბედოს, ერთი შენებურად წამოენთე და ჩაუწყვიტე ხმა, თორემ ხო იცი, ხალხსა ჰგონია, მარტო სხვა კვდებაო, ჩვენ არასოდეს მოვკვდებითო... აბა იმაზე თქმა რაღად გინდა, რომ მაიკოს გვერდით უნდა დამმარხო. ჭინჭრები და ანწლებია მოდებული, გაწმინდე იქაურობა, ვინმეს არ ეგონოს, უპატრონოები არიანო. მართლა, თუ ძალიან არ მოგბეზრდეს, ჩვენი მარანი არ დაანგრიო. იყოს, რას დაგიშლის? ვიცი, კარგი ბიჭი ხარ, გაიზრდები და ყველაფერს კარგად გაიგებ. იცოდე, ხვალ საღამოს მანდ ვიქნები. აქ უცხო ხალხში ვარ. უცხო ხალხში სიკვდილი ძნელი იქნება. ცუდებიო? ცუდები რათ იქნებიან, სუყველანი კარგები არიან. ერთი ბიჭია, ზედგამოჭრილი შენა ხარ! თუ შეგხვდეს, მადლობა უთხარი. მადლობა რაზეო? შენ რო გგავს იმაზე...

ელისო სოფლის შარაზე გამორბის და უკან დედა მოსდევს. შუა შარაზე გუგულა ზის, მტვერში ამოგანგლული და მღერის. წამოველ, მანდ აღარა ვარ, მორჩა და გათავდა! ჩალაურში მივდივარ! მაინც რა არი ჩალაური? რას მიშველის? ჩალაურში ავალ და ყველაფერი გაქრება? ვითომ ის დღე არა ყოფილა? ყველაფერი იყო... ნეტა ამ ბიჭს მაინც რა უნდა? მთელი საღამო თვალი არ მოუშორებია. ესეც ბედია... დავდგომოდი გზასა და მარტოკა მევლო. ნეტა რა თქვა მამაჩემმა? ვაითუ ჩალაურში ამომივარდეს. იქიდან სადღა გავიქცე? ჩალაურიდან გასაქცევი აღარსად მექნება. საწყალი ავთო! მეყვარებოდა, მაშ რა იქნებოდა, ის რო არ გამოჩენილიყო... იმან არია ყველაფერი! ეგრე ვიცით, რასაც ღმერთი გვაძლევს, იმას არა ვჯერდებით. სხვა გვინდა, უფრო მეტი გვინდა... არაფერი მინდა, მარტო დამაძინა, თვალები დამახუჭინა და დამაძინა, მკვდარივით, უხორცოდ, უსულოდ და უსიზმროდ. რო იტყოდნენ, ხოლმე, ყველა გზა მოჭრილიაო, მეცინებოდა. მოჭრილია, მაშ რა არი! მაინც შინიდან არ უნდა წამოვსულიყავი. სა-

ეროვნული

კუთარი სახლის გარდა არაფერი გიშველის. საწყალი დედაჩემი... რა იქნება, რო ავდგე და გავიპარო? ამ შუაღამისას სად უნდა გავიპარო? ნეტა თუ სძინავთ... ვისა? ვისა და ამათ, ექვსივეს...

კაჭკაჭი პელო უკვე ჩალაურშია, თავის დობილთან და, რაღა თქმა უნდა, მიხაც იქვე ჰყავს.

მანქანა მიჰქრის. გოგია შოფერი საჭესთან ზის და ტირის. ალბათ იმ გოგომ უღალატა... მანქანა ნისლებში ეხვევა და სულ ზემოთ და ზემოთ ადის. გოგია შოფერს არ ეშინია ნისლებისა, უფსკრულებს თავზე ევლება, ქედებს ქვემოთ იტოვებს და სულ ზევით მიიწევს. აჰა, უკვე ღრუბლებში არიან! გოგია შოფერი კი მაინც ტირის. გელას უნდა რამე უთხრას, დაამშვიდოს, ტირილის მიზეზი ჰკითხოს, მაგრამ ვერაფერს ეუბნება. სიტყვები თითქოს აღარ არსებობენ, სადღაც გამქრალან და გელას ისღა დარჩენია, რომ უხმოდ დაემორჩილოს ამ მანქანას, რომელმაც ღრუბლებიც ქვემოთ მოიტოვა და თვით დედამიწასაც კარგა ხანია გასცდა. გელა თვალებს ხუჭავს. ნეტავი არ დაეხუჭა... თვალებს გაახელს და აღარც მანქანაა, აღარც გოგია, აღარც მაღალი ზეცა. ბიჭი თავის სახედარზე ზის. აკი გითხარი, გოგრები ამამატანინე-მეთქი, — ეჩხუბება პაპა. გელა ვერაფერს ამბობს და სახედარს ვენახისკენ მიაჩაქჩაქებს. მერე სახედარიც ქრება და გელამ უკვე იცის, სადაც არის. ქოხში სიბნელეა, საჩეხთან ხარები დგანან, კაჭკაჭი ხვრინავს. ბერიკაცი ახველებს. გოგო წრიალებს, ტყეში ჭოტი კივის. ჭოტს ტურებიც აჰყვებიან, ქოხის ქვემოთ რაღაც მილაწუნობს ბარდებში. შორს, სოფელში, ძაღლები ყეფენ. გელას სულს რაღაც აუხსნელი სიმშვიდე ეუფლება. ისევ ძილის ბურანში ეხვევა. ახლა უკვე მართლა სძინავს, უსიზმროდ და მადიანად.

გარსოს დედა ქალაქიდან გამოქცეულ დედაკაცზე ფიქრობს. ესეც ბედია, რაღა ამას შემახვედრა ღმერთმაო... გარსოს დედას ეშინია ამ ქალისაც და იმისიც, რომ ოდესღაც ეს ქალი ქალაქში წავიდა და ახლა, დიდი ხნის მერე, ისევ თავის ჩალაურში ბრუნდება, როგორც აღთქმულ ქვეყანაში. ჩალაური მისთვის ყველაფერი ყოფილა. ჩალაურით უცოცხლია და ახლაც იმისთვის მიდის, რომ ჩალაურში მოკვდეს. ეს ხარებიც დაბერდებიან. დაბერდება გარსოს დედა. დაიფანტება გონება. ძალა გამოელევათ მუხლებს. ველარ მოწველის ძროხას, ვერ მოთიბავს ბალახს, თვალის გასადევარზე ვეღარაფერს დაინახავს. ცეცხლზე მდუღარე ქვაბი დაავიწყდება. წყლის მოსატანად სხვას დაუწყებს ხვეწნას და ერთ დღეს, როცა შვილი ამოვა, ერთბაშად, თითქოს ახლა აღმოაჩინაო, ისიც დაინახავს, რომ დედა დაბერებულა, ის დედა, ყველას რომ მარად ჯეელი და მუხლჩაუხრელი ეგონა. შვილი უძლურს მარტო ვერ დაარჩენს, თავისთან ამყოფებს, ექიმებს დაიბარებს, წამლებს დაუწყობს სასთუმალთან და ეს მოხდება იქ, იმ დიდ ქალაქში, იმ ოთხ კედელშუა, რომელსაც ეს დედაკაცი გამოქცევია, თავის ჩალაურში რომ მიდის თავის შვილიშვილთან ერთად. ამ დედაკაცს თურმე ძილში მგლების ყმუილი ესმოდა. გარსოს დედამ არ იცის, ვინ და რა ჩასძახებს ყურში, მაგრამ ის კი იცის, რომ თავისი კარ-მიდამოდან ფეხს ვერსად მოიცვლის. მარტო ერთხელ, პირველად და უკანასკნელად, უღალატებს შვილს, გადავა მის სიტყვას და ისე რომ ხმასაც არ ამოიღებს, ქალაქში წაყოლაზე უარს ეტყვის. უარს იტყვიან ქალის ჩაღამებული თვალები, დამშრალი, ქერეჭიანი ხელები, გახუნებული, შავი მანდილი, შინ ნაქსოვი თბილი ხალათი, მიწისფერი კაბა და ძველებური, წვეტიანი სატუცავები. ყველანი ერთხმად იტყვიან უარს. დედაკაცი კი ეტყვის, რომ ეს საქმე ცაშია გადაწყვეტილი, რომ ბოლომდე ამ სახლს უნდა უერთგულოს, მართლაც იქ იცხოვროს, სადაც შეუძლია ცხოვრება. შორიდან მოჩანს დიდ ამბად, თორემ ამბავი ძალზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალოა: ყველანი იქ უნდა ვიყოთ, სადაც უნდა ვიყოთ. ეს რომ ასე არ იყოს, ამოდენა დედაკაცი თავს არ დააღერებდა და თავის ჩალაურის საძებნელად არ წამოვიდოდა, იმ ჩალაურისა, რომელზეც ოცი წელიწადია არაფერი გაუგია. ყველანი თავისი გზით უნდა წავიდნენ, — შვილებიც, რძალიც, შვილიშვილებიც და ერთ დღეს, თუ გაიგებენ, დედამ თქვენი ჭირი წაიღოო, ესეც უბრალოდ უნდა მოხდეს, ესეც ადვილად გასაგები უნდა იყოს. გარსოს დედამ იმათთვის იცხოვრა და სიკვდილის წინაც, თუმცა მარტო იყო, თუმცა ოთახის კუთხეში მხოლოდ თაგვი ფხაკუნობდა და დადარაჯებული კატა ნახტომისთვის ემზადებოდა, თუმცა ძაღლი ყველაფერს გრძნობდა და ქალს თვალმოუშორებლად შემოსცქეროდა, თუმცა ხარებიც აივანს მოსდგომოდნენ და ამათ გარდა, კაციშვილი არა ჩანდა, გარსოს დედა მაინც შვილზე და შვილიშვილებზე ფიქრობდა, ამ ფიქრით დალია სული. ეს ფიქრი წაიღო იმ ქვეყანაში, რომლის არსებობაც არავინ უწყის და რომლისკენ წასვლისაც ყველას გვეშინია. გარსოს დედას ეშინია იმოდენა ქალაქისა და იმ საფლავისა, სადაც უცნობიცა და ნაცნობიც, ახლობელიც და გადამთიელიც, ერთად მარხია. ამ დედაკაცს სოფლის პატარა სასაფლაო უნდა, სადაც იქნებიან მისი მეზობლები და ახლობლები, ყველანი, ვისთანაც იცხოვრა, გაატარა წუთისოფელი და რომელთა წასვლის მერეც გაიფიქრებს, ყველანი წავიდნენ, მეღა დავრჩი ამ უცხო ხალხში და მეც იმათთან უნდა წავიდეო. გარსოს დედის ახლოს ის ყორანა პაპა უნდა იყოს, რომელმაც ამ ქვეყნიდან ყომრალი კაცის სახელი წაიღო, გარსოს დედას კი „ივნისის პაპად“ ახსოვს. ეს სახელი თავად დაარქვა, რადგან სწორედ ივნისში, ეს ყომრალი ყორანა, მთიდან ისე არ ჩამოივლიდა, ამ ქალის სახლის წინ თავისი ურემი არ გაეჩერებინა, კალათიდან ერთი კონა წითელი მინდვრის მარწყვი არ ამოეღო და არ ეთქვა, „გოგო, აჰა, აიღე...“ სხვა სხვაგან იყოს, გარსოს დედა კი სწორედ ამ ყორანა პაპას ახლოს უნდა დაიმარხოს...

ცაზე ღრუბლები მიდიან და ვარსკვლავები ხან ჭუჭრუტანიდან იჭვრიტებიან, ხან ღრუბლებში იმალებიან. ქალაქიდან გამოქცეულ დედაკაცს სძინავს. სადღაც მგლები ყმუიან, ხო, მგლები არიან. ეს ყმუილი ხშირად გაუგონია გარსოს დედას და მხოლოდ ახლა, ამ შუაღამისას, ამ ქალაქელი თუ ჩალაურელი დედაკაცის გვერდით ახარებს ამ ყმუილის გაგონება. გარსოს დედა დედაკაცისკენ იყურება. დედაკაცი გულაღმა წევს და მშვიდად ფშვინავს. გარსოს დედას უნდა, რომ ხელი შეახოს, გააღვიძოს და ჩასჩურჩულოს: გესმის, დედაკაცო? არ მესმის... როგორ არ გესმის, ნამდვილი მგლები ყმუიან... მაშინ ალბათ დედაკაცი წამოდგება, ქოხის ზღურბლთან მივა, მგლების ყმუილს ყურს მიუგდებს და იტყვის: ხო, ნამდვილი მგლები არიან, ახლა კი ვიცი, რომ ჩალაურში მოვედით... ხვალ საღამოს ჩალაურში ვიქნებით. მთელი ეს ქოხი ჩალაურის იმედით ფშვინავს. მთელი ეს ზეცა, თავის ღრუბლებიანად, თავის მთვარიანად და ვარსკვლავებიანად, დაგვცქერის და თავისთვის არხეინად ფიქრობს: რა გვინდა, რა მიგვაქვს, რა დაგვრჩენია იმ ჩალაურში. მგლები კი ისევ ყმუიან, დედაკაცსაც ისევ სძინავს...

ზაზა ლუდუშაურასათვის ჩალაური არ არის აღთქმული ქვეყანა. რაც აქეთ წამოვიდნენ, ჩალაურზე ფიქრი გონებიდან არ შორდება. ბებომ იცის, სად მიდის და რატომაც მიდის. მთელი ოცი წელიწადი მარტო ჩალაურზე ლაპარაკობდა, ქალაქშიც ჩალაურს ეძებდა. ალბათ იპოვის კიდეც, რასაც ეძებს, მაგრამ ზაზას არაფერი აქვს საძებარი. ზაზამ ისიც არ იცისი, რა მოხდება, რით დამთავრდება ეს გაუგებარი მოგზაურობა. წვიმაც გადაიღებს, სულ ხომ

არ იწვიმებს, დაადგებიან ამ აღმართებს, მდინარის იქით რომ იწყება და ბოლოს და ბოლოს დაუსრულებელი არაფერია, ეს გზაც დასრულდება. ჩალაურში ავლენ! იქნება კი იქ ვინმე? მამა იყო ჩალაურში, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვინ ნახა და რა ნახა მამამ ჩალაურში? ხო, ჩალაური დიდებულია, ჩალაური სამოთხეა, ჩალაური თვალს ხიბლავს... მერე? ორი დღის მერე, პირველი აღტაცება რომ გაივლის? ზაზა ლუდუშაურმა ისიც არ იცის, ბებოს იქ დაარჩენს და უკან გამობრუნდება თუ ორივენი ისევ ქალაქში წამოვლენ. და თუ მთლად გულახდილი იქნება, თვით სიტყვა „ჩალაური“ არაფერს ეუბნება. ზაზა ლუდუშაური ჩალაურელი არ არის, და იქაურობის სიყვარულისათვის თავს ვერ გამოიდებს. ყველაფერი რაღაც უკვე წაკითხულსა და მრავალჯერ განცდილს ჰგავს. ესენი თითქოს წარსულის მობრუნებას ცდილობენ, დღეს კი ასე აღარ ხდება. დღეს ადამიანი იქ ცხოვრობს, სადაც ბედნიერია. იქნებ ესენი ჩალაურში არიან ბედნიერები, ან უკვე იყვნენ და ისევ იმ ბედნიერების საძებნელად მიდიან? ზაზა ლუდუშაური იქ არა ყოფილა და იმის საძებნელად ვერ წავა, რაც არ უნახავს. ამ ღამით თბილი, სუფთა ლოგინი ყველაფერს ურჩევნია. შინ რომ იყოს, ჩართავდა მაგნიტოფონს და იმ მუსიკას მოისმენდა, სადაც უკლებლივ ყველაფერი იქნებოდა, ეს ღამეც, ეს მთვარეც და ვარსკვლავებიც, ბედნიერების ძებნაც და წარსულის ნოსტალგიაც. ან წაიკითხავდა წიგნს, და იმ წიგნშიც ყველაფერი იქნებოდა, ისიც კი, რაზეც ალბათ ეს ბებრები ფიქრობენ და ჰგონიათ, რომ ეს ნაფიქრალი მარტო მათი აღმოჩენაა, სხვას არასოდეს არ უფიქრია. მარტო მათ არგუნა ბედმა სევდისა თუ სიხარულის ზიდვა ან მიუსაჯა ავლა იმ აღმართებისა, ხვალ რომ უნდა აიარონ. ეს ყველაფერი უთვალავჯერ ყოფილა და ალბათ კვლავაც იქნება. უჩვეულო არაფერია და არც გასაზვიადებელი. ბევრჯერ მომხდარა და კვლავაც მოხდება. და ამათი პირ-ვარამიც ისევე უბრალო გამოჩნდება, როგორც უთვალავი პირ-ვარამი მოჩანს უბრალოდ, შორიდან, ჟამთა სვლის მერე. ბოლოს და ბოლოს რა უფრო ნამდვილი იქნებოდა, შინ დავრჩენილიყავი და პირდაპირ მეთქვა, რომ ეს რაღაც ჩალაური გულზე არ მეკარება, თუ ის, რომ ჩალაურისაკენ წამოვედი, გულში კი მაინც ვწყევლი აქეთ წამოსვლის წუთებს? იქნებ ეს ხალხი ჩემზე უფრო ბედნიერია? იქნებ ამაშია ჭეშმარიტება? იქნებ სწორედ ეს არის ყველაფერი, რომ შვიდი გზააბნეული ადამიანი სადღაც, ჩალაურში მიდის, სჯერა, რომ ეს ჩალაური არსებობს და იქ სიხარულსაც იპოვის, პატარა ადამიანურ სიხარულს. ამ გოგოს მაინც რა უნდა? შეშინებული რად იყურებოდა? აქ ყველანი შეშინებულნი იყურებიან, ყველას რაღაც აწუხებს, ყველას თითქოს უკან მოსდევს ვიღაცა და საცაა ის მდევარიც გამოჩნდება. აგერ, ფეხის ხმა ისმის, აგერ, რაღაც აჩრდილები დაძრწიან, მდევარი ახლოვდება... გარეთ ღამეა, ნამდვილი ტყის ღამე და არავინაც არ ახლოვდება, ყველაფერი ისე ხდება, როგორც უთვალავჯერ მომხდარა. გოგოს კი, თავს მოვიჭრი, რომ არ სძინავს... მოდი, გავალ გარეთ, მშვენიერი ღამეა, მაინც არ მძინავს...

ზაზა ლუდუშაური ჩუმად დგება, ქოხის ზღურბლს გადააბიჯებს და გარეთ გადის. გარეთ გრილა. ნაწვიმარი ბალახი ფეხებს უსველებს. ცაზე ღრუბლები მიდიან. აქა-იქ ვარსკვლავები მოჩანან, ზაზა ლუდუშაური დგას და ქოხისაკენ იყურება. ეცინება, თავის თავს დასცინის, თავის თავს უტყდება: გარეთ იმ რწმენით გამოვიდა, გოგოც ადგება და გამომყვებაო... არ გამოჰყვა! ზაზა ლუდუშაური ისევ იცინის და მართლა გულით უნდა ამ გოგოსთან ყოფნა. პაპიროსს ეწევა და ისევ ცას შესცქერის. ღრუბლები უფრო და უფრო მოდიან და ცის პატარა ნაგლეჯზედა ჩანან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილი ვარსკვლავები. ხვალ წვიმა იქნება! ამის გაფიქრებაზე ყველაფერი თავდაყირა დგება და ზაზა ღუდუშაურმა უკვე აღარ იცის ხვალ რა მოხდება. თუ ხვალ წვიმა მოვიდა, ღმერთი მართლა რაღაცას აწყობს, ღმერთს ჩვენი გამოცდა უნდა... პაპიროსი ჩაინავლა. ზაზა ღუდუშაური ფრთხილად ბრუნდება ქოხში და თავის კუთხისკენ მიდის. არა, გოგოს ნამდვილად არ სძინავს...

ლელა ღუდუშაური ყვითელ ტყეშია. ყვითლად მოფენილან ფოთლები და მთელ ტყეს, სადამდეც თვალი გასწვდება, ყვითელი ფერი ადევს. გაშიშვლებულ ხეებზეც აქა-იქ თრთიან ყვითელი ფოთლები და ქარის დაქროლვაზე შიშით ელიან ჩამოვარდნას. იციან, ყველანი უკვე წასულან და იმათაც არ ასცდებათ წასვლა. აბუზული ნაცრისფერი ჩიტი შემოჯდება ტოტზე და აცახცახებულ ფოთლებს ნამს გადმოაფრქვევს. ფოთლები ზემოთ იხედებიან და მშვიდდებიან. ჩიტი ყოფილა! ზემოდან სხვა ჯერ კიდევ არაფერი მოდის. ყვითელი ტყის იქით, ხევებისაკენ რუხი ნისლი იზლაზნება, ხეებს ედება და ისევ უკან ბრუნდება. ხის კენწეროებზე მიტოვებული ჩიტის ბუდეები მოჩანს. ყველანი აყრილან და სადღაც გაფრენილან. დაცარიელებულ ბუდეებში მხოლოდ შემოდგომის სევდა დაჩურჩულებს, არც სახე აქვს, არც ფერი ადევს, მაგრამ მაინც დადის, დადის და ვიღაცას ეძებს. შავი ბუდეები შიშველ ტოტებზე! ქვემოთ კი ყვითელი ფოთლებით მოფენილი მიწა... მთელი სურათი შიშითა თრთის, და საცაა, მსგავსად ტოტზე შერჩენილი ყვითელი ფოთლისა, ძირს დაემხობა. ნაცრისფერი ჩიტი ტოტიდან ტოტზე ხტება და ვიღაცას უხმობს. ის ვიღაცა არა ჩანს. ჩიტი ყვითელი ფოთლის ქვეშ ჯდება და თვალდახუჭული რაღაცას ელის. ხო, რაღაცა უნდა მოხდეს... ყვითელი ფოთოლი უმწეოდ წყდება და მიწისკენ მოდის. ჩიტი ჩასცქერის. ყველაფერი დასრულდა. ჩიტი ხმის ამოუღებლად აფრინდება და სადღაც ხევებში გადაიკარგება. ხევებიდან ნისლები ამოდიან, რუხი, დაბამბული ნისლები. გადმოივლიან ფერდობს და ძირს ჩამოდიან. ყვითელი ფერი რუხ ფერში იძირება. ხეებიც იძირებიან ნისლში. ტოტები თავს ზემოთ იწვდიან, მაგრამ რუხი ნისლი ტოტებსაც ფარავს. ჩიტის ბუდეები იკარგებიან.

— ღმერთო, უშველე, გაჭირვებულთ...

— გღვიძავს, დედაკაცო? — ჩურჩულებს გარსოს დედა.

— ხო...

— გესმოდა?

— რა იყო?

— მგლები ყმუოდნენ.

— რატო არ გამაღვიძე?

— ვერ გაგიმეტე.

— უნდა გაგეღვიძებინე...

— საცაა გათენდება.

— მამლებმაც იყივლეს?

— აგე, ყივიან...

— ხო, მეც მესმის... ყივიან...

●

მეორე დილით კვლავ წვიმს.

— წვიმს! აკი ვთქვი, იწვიმებს-მეთქი...

— კუდიანია, მაშ რა არი, თითო კუდიანი ყველგან თან დამდევს.

— ამ ღმერთმა მართლა ჩვენთვის მოიცალა...

— სულ ხო არ იწვიმებს, ბოლოს მაინც გადაიღებს.

— რაღაცა რო არ მოხდეს, არ იქნება.

— იწვიმოს, თავში ქვა იხალოს, ხო არ დაგვხოცავს.

სიკვდილის ხსენებაზე წვიმა ყველას ავიწყდება.

— მე სიკვდილისა არ მეშინია.

— მაშ მე მეშინია? ჩემი მიხა მაშინვე იმას მეტყვის, სად იყავი აქამდე, დედაკაცოო.

---

თამაზ ბიბილური
შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

— ნეტა შენ მაგრე გალაპარაკა...

— გზას დავადგეთ და გადაიღებს, სულ ხო არ იწვიმებს, გეთაყვათ...

— ამ მდინარეს ვერ უყურებ? იქნება ათჯერ მაინც უნდა გადავიაროთ...

— ჩაუწყვიტეთ, ბიჭო, მაგ რადიოს ხმა! ამათ არაფერი ენაღვლებათ...

— მგონი ფიქრობენ, ნეტავი აქედან არსად წაგვიყვანაო...

— გაჩუმდით, მგონია ვიღაცა იძახის...

— იძახოს, ჩვენთან რა საქმე ექნება?

— თუ იძახის, მაშ ვისთან ექნება საქმე?

შვიდთა თემი საჩეხში დგას და წვიმას გასცქერის. ეს წვიმა აღარასოდეს გადაიღებს. იწვიმებს ქვეყნის დასასრულამდე. აღარასოდეს გამოჩნდება ზეცა. არ გამოანათებს მზე. ეს ქოხი სამუდამო სამყოფელია, პატარა წუთისოფელი, სადაც შვიდმა ადამიანმა თავისი დარჩენილი სიცოცხლე უნდა გალიოს... ამას თვითონ წვიმა ამბობს. წვიმის მეტი ამას ვერავინ იტყვის. წვიმა ზეიმობს, რადგან შვიდთა თემს ისევ შიში შეეპარა. გუშინ ქოხს ეძებდნენ, ღამის ერთად გათევას აპირებდნენ, რაღაც მიზანი ჰქონდათ და ამ მიზანმა შეაკავშირა ეს პატარა თემი. დღეს მიზანი გაქრა. ერთად ყოფნა ხელსაც კი უშლით. ცალ-ცალკე ყველას ჰგონია, რომ თუ არა აქ გაჩერება, ეს ქოხი და დანარჩენები, კარგა ხანია ჩალაურში იქნებოდა. ბრალდება ტყუილია, ამას ცალ-ცალკე ყველა გრძნობს. მაგრამ ბრალდება მაინც დაძვრება და ხან აერთიანებს შვიდთა თემს, ხან ნაკუწ-ნაკუწად შლის. აღარაფერი აღარ დარჩა გუშინდელი დღიდან. ამ წუთში შეუძლიათ ისევ წავიდ-წამოვიდნენ, დამშვიდობებაც კი აღარ ჩათვალონ საჭიროდ. ეს წყეული წვიმაღა დარჩა. წვიმაღა აერთიანებს შვიდთა თემს. შვიდივეს სძულს წვიმა და თუ გულში კარგად ჩაიხედავენ, უკვე ერთმანეთთანაც ეძნელებათ ყოფნა. კაჭკაჭის კრიახზე ყველას გული ეწურება. პირგამეხებული აზრია მახაური შიშის ზარს გცემს, მსგავსად სიკვდილისა, შორიახლოს რომ დამჯდარა, ჯერ კიდევ ვერ გაუბედია გამოჩენა. ფიქრში წასული გარსოს დედა თავის ხარებიანად უკვე ქურდია და შვიდთა თემიდან არავინ იცის, მდევარი როდის წამოეწევა. ლელა ლუდუშაურმა თვითონაც არ იცის, რას გააკეთებს, რა გზას დაადგება. ლუდუშაურის შვილიშვილს თვალი გაურბის... ჯერ კარგად არ იცის შვიდთა თემმა, საით გარბის ზაზა ლუდუშაურის თვალი, მაგრამ ბიჭი თითქოს აქაც არის და აღარც არის აქა, თვალდახელშუა ქრება. ეს გოგოც რაღაცას გადაეყრება და, ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს აქ, ამათ თვალწინ მოხდეს... მარტო ეს ბიჭი დარჩა, გელა რომ ჰქვია და ისიც თითქოს იმიტომ, რომ ამათთანაც იყოს და არც იყოს. ბიჭი ამ ქოხის პატრონია, აქაურობის მამასახლისი და თუ ფხიზელი გონება ან ჭაბუკური ღონე გახდა საჭირო, ერთიც და მეორეც ამ ბიჭსღა თუ მოეთხოვება. წვიმა კი მოდის და მოდის. ნისლები ხეობებში იბაწრებიან. მდინარე უფრო ადიდებულა. ქვემო სოფლიდან არც ხმაური ისმის, არც ძაღლის ყეფა. სამყარო ჩამკვდარა. მხოლოდ ეს წვიმაღაა ცოცხალი, ყველაფერზე გადაფოფრილი და ყველაფრის მფლობელი.

შვიდთა თემი ჩუმადაა. კაჭკაჭი პელო ან დაიღალა, ან სათქმელი აღარაფერი დარჩა. ერთმანეთთან ყოფნისა და ერთმანეთთან ლაპარაკის სურვილი დაშრა. ათასში ერთხელ თითო სიტყვას თუ იტყვიან. ამ სიტყვებსაც აზრი გამოსცლიათ. საიდანღაც თავგივით გამოძვრა უკან გაბრუნების თუ შვიდთა თემის დაშლის, თავ-თავის გზაზე გადახვევის, უკან დახევის თუ საკუთარი თავის სხვათა გარეშე მიხედვის იდუმალი სურვილი. მაგრამ კვლავ წვიმს და აღარც წინ წასვლა შეიძლება, აღარც გვერდზე გადახვევა, აღარც უკან დაბრუნება. წვიმამ ყველა გზა მოჭრა, შვიდთა თემს ისღა დარჩენია, კვლავ ერთმანეთს უყუროს, ერთმანეთით შეიქციოს თავი, ერთმანეთში ეძებოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსება ან მიუტევებელი მწიკვი: ზაზა ღუდუშაური გოგოს თვალს არ აშორებს. გოგო ამას ხვდება და ჯერ კარგად არ იცის, სწყინს თუ უხარია. აბრია მახაური აღარც იმაზე ფიქრობს თუ ხვალ რა მოხდება და აღარც იმაზე, თუ სად და როგორ მოკვდება. გარსოს დედისთვის ეს გოგო და ქალაქელი ბიჭი ღვთისგან გამოგზავნილი ორი ნაშიერია, რომელთაც მარტო ის ევალებათ, რომ ამ შვიდთა თემში, რომელიც უკვე პატარა სოფელს ჰგავს, რაღაცა მოახდინონ. რაკი სოფელი ეთქმის, რაღაცა უნდა მოხდეს, ის კი არადა, რაკი სოფელია, ვიღაცა უნდა მოკვდეს კიდეც. გელა უკვე ბრაზობს ქალაქელ ბიჭზე, უნახავივით იქცევაო, ფიქრობს და გოგოც კარგი სულელი ჰგონია, რომ ვერ მიმხვდარა, რა ხდება. ამ ქალაქელი ბიჭისთვის ახლა სულ ერთია, ვის გვერდით იქნება და ვისთან გაერთობა, ოღონდ ეს წვიმიანი დღე როგორმე მოკლას. ამ წვიმიან დღეს ბედმა სწორედ ეს გოგო გადმოუგდო და სხვა არავინ. ამაზე უფრო ადვილი გასაგები რა უნდა იყოს? გოგოს კი არაფერი ესმის. ვინ იცის, ოცნებაში რას არა ფიქრობს და რას არ აპირებს... ბიჭის ბებია კი უკვე შფოთავს, ადგილს ვერ პოულობს, ხან შვილიშვილს დაუძახებს და გვერდით მოისვამს, ხან გოგოს დაავალებს რაღაცას. მაგრამ ასპარეზი ერთობ ვიწროა, ადგილი, სადაც ამბავი ხდება, ერთი ხელის დადებაა. თუ ამბავი უფრო გაიზარდა, ეს ადგილი აღარ ეყოფა, წვიმამ უნდა უკან დაიხიოს და ადგილი ცოტა გააფართოვოს. მაშინ მოხდება ის რაღაცა, რაც ყველა სოფელში ხდება. თუ სოფელია, არ შეიძლება რამე არ მოხდეს.

ღმერთო ჩემო, ამ ქალაქელმა ბიჭმა ყველაფერი იცის! — ფიქრობს გოგო და აღარ იცის თავისი მოკლე და თხელი კაბით როგორ დაიფაროს სხეული. ამქვეყნად დაფარული არაფერი ყოფილა! ყველა ამბავს თავისი მაყურებელი და გამგონი ჰყოლია, თუნდაც ეს ამბავი სოფლებიდან და ქალაქებიდან კარგა მოშორებით, ძეძვიანებში ხდებოდეს. ყველაფერი თურმე სახეზე გვაწერია, ოღონდ კი ვინმე გამოჩნდეს, ვინმემ არ დაიზაროს და მოიწადინოს მისი წაკითხვა... ყველას შეუძლია უცთომლად ამოიკითხოს ისიც, თუ რა გადაგხდა, ისიც. ამ წუთში რას ფიქრობ და ისიც, სახვალიოდ რას აპირებ. ყველაფერი იმისი აქვს — ჩაციებული, უძრავი გამოხედვა, შეუპოვრობა, საკუთარ თავში დაჯერება: ყველა გზა ხსნილია, წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება, უარს ვერავინ შეჰბედავს, ეს არის ქვეყნის მბრძანებელი... ქვეყნისა არა, ის არ გინდათ?! ჩემი მბრძანებელი, ჩემნაირი ბრიყვისა და დამჯერისა! რატომაც არა? თუ ორ წვიმიან დღეს იმაზე მეტი სხვა არაფერი იფიქრე, როგორ გაასულელო ჩემნაირი გოგო, გაასულელებ, მაშ რა იქნება? მაშ რატომ ეს ბიჭი არ ფიქრობს, ეს, გელა რომ ჰქვია? საიდან მოდის ამოდენა სიმშვიდე, როცა ამ გელას გვერდით ვარ და რათ მეშინია, რათ მიკანკალებს მთელი ხელ-ფეხი, როცა ის მიყურებს, უძრავად, ჩაციებით და იმის რწმენით, რომ თვითონ ხელსაც არ გაანძრევს, ერთ ნაბიჯსაც არ გადმოდგამს, მე მივალ საკუთარი ფეხით და მუხლებში ჩავუვარდები, მე ვეტყვი, წამიყვანე და იბატონე-მეთქი... ამის გაფიქრებაზე ელისო ბრაზისაგან ითენება: ერთი გაბედე და რამე მითხარი! და ეს სიტყვები იმდენად მოსწონს, რომ საკუთარი თავისა ეშინია, აქეთ-იქით დამფრთხალი იყურება, ხომ არავინ მიხვდა, რაც გაიფიქრეო. უნდა გელასთან მივიდეს, მის გვერდით დაჯდეს და რაღაცა უთხრას, ის სიმშვიდე მოიპოვოს, რაც ამ ბიჭიდან უშურველად მოდის და იხარჯება, მაგრამ ვერ მიდის, დამარცხებულივით კუთხეში იყუჟება, ქოხის გაჩორკნილ ბოძს ეფარება და მარტო იმასღა ფიქრობს, რომ მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოს. ზაზა ღუდუშაური კი

თავისთვის დგას და იცინის. ნეტა რა აცინებს... ალბათ ამასაც მიხვდაო, — ბრაზობს გოგო. და უცებ ხმამაღლა იძახის:

— აღარ გადაიღებს ეს ოხერი?

გოგოს ხმა მეხივითვარდება! გოგომ ის დაიძახა, რისი დაძახნაც, ყველას უნდოდა. სწორედ გოგომ დაიძახა, იმან, ვისგანაც ხმის ამოღებას არავინ ელოდა. საწყალი არა ყოფილა, — ფიქრობს ლელა ლუდუშაური და შვილიშვილს აკვირდება. ბიჭი ისევ გოგოს უყურებს და ლელა ლუდუშაური საბოლოოდ ეუბნება თავის თავს, რომ თუ ფრთხილად არ იქნება, აუცილებლად რაღაცა მოხდება. დედაკაცი ჯანყდება. მის სულში იმ აფთრის გამბედაობა იღვიძებს, რომელსაც ერთადერთი ლეკვილა შერჩა და ახლა იმის გადასარჩენად დაძრწის მიუვალ ლაქაშებში. ესღა მაკლდაო, ფიქრობს ლელა ლუდუშაური და მარტო ფიქრს კი არ სჯერდება, ხმამაღლა ამბობს.

— ესღა მაკლდა!

შვიდთა თემი დედაკაცისკენ იხედება.

კაჭკაჭი იცინის:

— რაზე ამბობ?

ლელა ლუდუშაური გოგოს თვალს არ აშორებს.

— წვიმაზე ვამბობ, რაზე უნდა ვამბობდე?

გოგო ქოხის კართან იყუჟება.

არა, წვიმაზე არ ამბობს, წვიმაზე არა, ის არ გინდათ! — ამას აბრია მახაური ფიქრობს. — ყველაფერს წვიმას ვაბრალებთ! ეს გოგო ამ დედაკაცმა ლამის შეჭამოს. აბრია მახაურს ეცოდება გოგო. მახაური გრძნობს, რომ შვიდთა თემს უკვე ამ დაუპატიჟებელ წვიმაზე ფიქრი კი არა, ამ გოგოზე ფიქრი აერთიანებს. ეს ბიჭი ამ გოგოს აწვალებს... განა რამეს ეუბნება, რა უნდა უთხრას, აქ არა ვართ, მაგრამ წვალებით კი აწვალებს. მახაური აქ მაინც არავის არაფერს აპატიებს... როცა ეს გოგო მოვიდა, მდინარისპირას მარტო მახაური იჯდა. ეს გოგო იყო პირველი, ვისაც მთელ ამ ჯოჯოხეთურ გზაზე, რაც შინიდან გამოვიდა და სიკვდილის გზას დაადგა, მახაური შეხვდა. პირველად ამან უთხრა, გამარჯობაო და ამას დაელაპარაკა აბრია მახაური. ამ გოგომ გამოაფხიზლა და თითქოს მოაბრუნა კიდეც იმ გზიდან, რომელსაც მახაურმა, ისე რომ არაფერი უთქვამს, სიკვდილის გზა უწოდა. ახლა ეს გზა ჩალაურის გზაა და ალბათ ჩალაურის გზა ვერ იქნებოდა, ეს გოგო რომ არ მოსულიყო მახაურის გვერდით და, გამარჯობაო, არ ეთქვა. სხვები მერე მოვიდნენ, შვიდნი მერელა გახდნენ. ამ გოგომ თავადაც არ იცის, რამოდენა საქმე გააკეთა. როცა მართლა დიდ საქმეს აკეთებენ, არც კი იციან ხოლმე, რა გააკეთეს. ამ გოგომ დიდი საქმე გააკეთა, მახაურს გვერდით მაშინ დაუჯდა, როცა მახაური აღარაფერს ელოდა! აბრია მახაურს უნდა კარს ამოფარებული გოგოს მზერა დაიჭიროს. განა რა ხანია, რაც ერთადა ვართ, ერთი დღე და ღამე არც კი, და რაღაც იმგვარი ხდება, რაც მთელ ქვეყნიერებაზე ხდება ხოლმე. ერთი დღე არც ისე ცოტა ყოფილა... ღმერთი მაღალია, თუ ერთი დღე კიდევ ვიცოცხლე, თუ ღმერთმა ჩემი ბიჭიც მაჩვენა, დამშვიდებული წავალ ამქვეყნიდან. რა იქნა გოგო? ხო, წყაროსკენ მიდის და ბიჭიც თან მიჰყვება, რაღა თქმა უნდა, ბიჭის ბებოც იმიზეზებს რაღაცას და ისიც წყაროსკენ მიდის. სამივეს წვიმა ასველებს. საჩეხში მდგარნი კი ისე უცქერიან, როგორც საასპარეზოდ გასულებს, ოყაყანებული ხალხის თვალწინ, შემაღლებულ ადგილზე გასულებს, სადაც აუცილებლად რაღაცა უნდა მოხდეს... არაფერი ხდება! გოგო სვამს წყალს და ქოხისკენ სველი წიწილასავით გამორბის. ბიჭიც სვამს წყალს და დიდედას გამომცდელად შესცქერის. დიდედამ არ იცის რა ქნას, სხვა რა გზა აქვს, ისიც წყაროს ეწაფება, წვიმა კი ასველებს მის ზურგს, რომელზედაც შვილიშვილი შეუცდომლად კითხულობს წყაროსკენ წამოსვლის მიზეზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა დრო და კაჭკაჭმა პელომ უნდა დაიძახოს:

— ხო არ გაგიჟდნენ?

ეს ძახილი აფხიზლებს შვიდთა თემს. მახაური გოგოს ეძახის:

— მოდი, აქ დაჯექ...

გოგო გამომცდელად შემოსცქერის. მერე მოდის და საჩეხის თავში, მორჩილად ჯდება ბერიკაცის გვერდით.

შვიდთა თემში კვლავ სიმშვიდე დგება.

წვიმა კი ისევ მოდის. ნისლები ისევ იძენძებიან კენწეროებზე. ყორნები ყრანტალებენ. ყორნების ყრანტალს ქვემო სოფლიდან ძაღლები უერთდებიან და ბოლოს ისევ სიჩუმე დგება. მერე ტყიდან ცულის კაკუნი ისმის. ამ ყიამეთში ვის ექავება ხელები? ვინ არის, რას დაძრწის ამ ტყეში? მერე თითქოს ნისლები აიკრიფებიან, ტყისპირები გადაიხსნება და მხოლოდ იმისთვის, რომ შვიდთა თემის თვალწინ ის კაცი გამოჩნდეს, ვინც წეღან ტყეში ცულს აკაკუნებდა. ხო, ის კაცი იქნება, ხელში ცული უჭირავს! კაცი დგას გახევებული და ქოხისკენ იყურება. რა ხანია ამ სახლში თუ ქოხში აღარავინ უნახავს და კაცის თვალებში გაოცებასთან ერთად იმის სურვილიც იკითხება, გაიგოს, ვინ არიან, ვის დაჰკარგვიან, საიდან მოდიან და სად მიდიან ეს შვიდნი. გახევებული დგას და იყურება. მერე ერთბაშად, თითქოს რაღაცისა შეეშინდაო, გაბრუნდება და ნისლებში უჩინარდება.

— შესაწინებელი რა დაინახა?

— მოსულიყო, კაცი არ იყო?

— ახლა წავა და იტყვის, ტყეში ქაჯები შემხვდნენო!

— ქაჯები არა, ის არ გინდა?

— იტყვის, მე და ჩემმა ღმერთმა. ერთხელ ჩემ მიხასაც შეხვდნენ!

— მაინც რატომ არაფერი თქვა?

— წადი, ჰკითხე, რატო არაფერი თქვითქო...

— ზოგიერთი რა ღვთის პირისგან არი შერისხული, გამარჯობა მაინც ეთქვა...

შეგვნიშნეს... — შიშით გაიფიქრა შვიდთა თემმა და კვლავ ეს სახლი თუ ქოხი ნისლში ჩაძირულ პაწაწკინტელა პლანეტად გადაიქცა. ამ პლანეტამ დანარჩენ სამყაროს თავისი არსებობა აუწყა. ამან შეიძლება შიშიც მოგგვაროს და სიამაყეც... ჯერ კი პლანეტას მხოლოდ ეშინია. პლანეტას კიდევ ერთი საფიქრალი მოემატა: როგორ მიიღებს დიდი სამყარო ამ პაწაწკინტელა ცთომილის არსებობას, ზედაც არ შეხედავს, როგორც მირიად მოხეტიალე ცთომილს, თუ თავის ყველაზე მძლავრ ტელესკოპებს დაუმიზნებს, როგორც იმ ორბიტაზე გამომხტარს, სადაც არაფერი ესაქმებოდა და სადაც არავინ ელოდა.

— გაიხედეთ, ცამ არ გადაიხსნა პირი? იქით, მზის ჩასვლის მხარეს!

— ხო, ცის პატარა ნაგლეჯი მოჩანს!

— აბა, თქვენ გაიხედეთ, ბიჭებო, მართლა მოჩანს ცის ნაგლეჯი?

— მოჩანდა და ისევ დაიფარა...

— ეს წვიმა აღარ გადაიღებს!

— ცის ნაგლეჯი აღარ გამოჩნდება.

— ყველაფერი ამ წვიმას დააბრალონ...

გოგო კვლავ მახაურის გვერდით ზის. დიდედა კუთხეში მიმჯდარა და შვილიშვილს თვალს არ აშორებს. მარტო გელა თლის დანით რაღაცას და თავისთვის უსტვენს. კაჭკაჭი პელო ცეცხლზე ითბობს ხელებს. გარსოს დედა თავის ხარებს უყურებს. ხარები იქვე, სახლის წინ დგანან და პატრონს შემოსცქერენ.

ხო, ყველაფერი წვიმის ბრალი იქნება... ეს ლიტერატორის ფიქრებია, ათასჯერ წაკითხული და გაგონილი. და, კაცმა რომ თქვას, მთელ ამ მოგზაურობაში ზაზა ლუდუშაური მხოლოდ ლიტერატურას ხედავს. ქალაქიდან დიდედასი და შვილიშვილის წამოსვლა ლიტერატურული იყო. ლიტერატურულად მოჩანდა არარსებული ჩალაური და ჩალაურის გზაზე დამდგარი დიდედაც,

რომელმაც იქ დაბრუნება გადაწყვიტა, საიდანაც დიდი ხნის წინათ წამოვიდა. მერე ეს შვიდნი, ეს წვიმა, გადაულახავი მდინარე, ქოხის დადგმა და უცხო ადამიანებთან გათეული ღამე, ბოლოს კი ეს გოგო... იქნებ ამ გოგომ გახადა ყველაფერი ლიტერატურული? ზუსტად იმ დროს შემოვიდა, რა დროსაც უნდა შემოსულიყო და ზუსტად იმგვარად, როგორადაც პიესებში შემოდიან ხოლმე: შემოდის გოგო, გოგოს აცვია თხელი, მოკლე კაბა, დაბნეულია და აფორიაქებული, ეტყობა, რაღაცა მოხდა, სად, როდის? იქ, წარსულში, იმ დროში, რომელიც პიესის დაწყებამდე არსებობდა. პერსონაჟები ხომ რომელიღაც დროიდან შემოდიან პიესაში. შემოვიდა და დახვდა ეს ვიღაც ზაზა ლუდუშაური.

იწყება წვიმა... ხო, ყველაფერი ამ წვიმას დააბრალონ... ვინ უნდა დააბრალოს ამ წვიმას? რა თქმა უნდა, დიდედამ! ან იქნებ! ამათ? რა თქმა უნდა, ამათ! დამბრალებელი და განმსჯელი ნაწარმოებში ყოველთვის ხალხია ხოლმე, ანუ ქორო. ჯერ ქორო გახევებული ზის და ღმერთებს მარტო იმას სთხოვს, რომ წვიმამ გადაიღოს და ხვალისთვის მაინც მზიანი დღე მოუვლინოს. მე უკვე აღარ მაღელვებს წვიმა. მე ჩემს ნაწარმოებს ვწერ და ეს გოგო მაღელვებს. სამყარო აღარ არის დიდი და უსაზღვრო. სამყარო აქ იწყება და აქვე, ხელისგაწვდენაზე, ზედ ნისლებთან მთავრდება. ჩვენ აღარა ვართ ვალდებულნი ქვეყნიერების წინაშე. ქვეყნიერება ეს არის, ეს ბერიკაცი, ეს მხიარული დედაკაცი, ეს დაღონებული და დაქანცული ხარების პატრონი, ეს ბიჭი, რომელიც იქნებ მხოლოდ აქა ჩანს კარგი ბიჭი... პიესის უხილავი ავტორის ნებით მე მხოლოდ ამ გოგოს უნდა შევხვდე. შევხვდი კიდეც და აღარ ვიცი, რა მოხდება. ხო, ვინა თქვა, ჩემი პერსონაჟები ჩემს დაუკითხავად მოქმედებენო? ვინ აღარა თქვა... ამისი მთქმელები ალბათ ისევე ტყუიან, როგორც მე ვტყუი. ჩემს უნებურად ამ წუთში არაფერი ხდება. მგონი წვიმა მართლაც გადაიღებს... გადაიღო! — კივის კაჭკაჭი. — აგე, ცის ნაგლეჯი! გოგო ეზოში ჩარბის, თითქოს ცის ნაგლეჯს მისდევსო. გაჰყვეს, ჩემი პერსონაჟი ჩემს დაუკითხავად მოქმედებს და მეც რეგვენი უნდა ვიყო, რომ არ გავყვე, რომ ასეთ დროს მარტო დავტოვო...

ყველანი გარეთ გადიან. წვიმას გადაუღია და იმედად ჯერ მხოლოდ ცის ერთი პატარა ნაგლეჯი მოჩანს. ყველანი იმ ცის ნაგლეჯს შესცქერიან. გოგო კი პირდაპირ მისკენ მიდის.

— აკი არ გამოიდარებსო?

— რა გიხარია, გუშინ საღამოსაც ეგრე არ იყო?

— ამ დედაკაცმა რო არ ჩაგვაშხამოს, არ იქნება!

— ნუ გეშინიათ, ხვალ მართლა კარგი დარი იქნება...

— მარტო კარგი დარი რას გვიშველის, ეს მდინარე ხო უნდა დამშვიდდეს?

— დამშვიდდება, მაშ რა ჭირი მოუვა?

— ეს გოგო მაინც სად მიდის?

— გახარებულია, გამოიდარაო...

ლელა ლუდუშაური სველ ბალახზე მიფრატუნობს და ბიჭს ეძახის: ზაზავ, არ გეყურება, ზაზავ! ბიჭს მართლა არაფერი ეყურება და დიდედა ისევ ეძახის: არ გეყურება, ბიჭო? ბიჭი ჩერდება და ერთბაშად მოიხედავს. აბრია მახაური შეშინებული შედრკება: მამაზეციერო, ამ ბიჭს ეზიზღება დიდედა! ამის გაფიქრებაზე აბრია მახაური წამოდგება და ზაზა ლუდუშაურისკენ მიდის, უნდა კარგად დაინახოს მისი სახე, ჩახედოს თვალებში და დარწმუნდეს, ამ ცისქვეშეთში, ამ წუთში, მიწის ამ პატარა ნაგლეჯზე მდგარ ბიჭს მართლა ეზიზღება თუ არა თავისი დიდედა. ბიჭი, თითქოს ყველაფერს მიხვდაო, თავს ხრის და აბრია მახაურიც ჩერდება. ეგრე თვალებში ვერავის ჩახედავ... ყველას თავისი საქმე აქვს და ყველას ფიქრის ამოკითხვა მარტო ღმერთის საქმეა. გოგო ისევ ცის იმ ლურჯ ნაგ-

ლეჯს გასცქერის. დიდედა თავის შვილიშვილს ეხუტება და შვილიშვილი გრძნობს, როგორ უთრთის დიდედას მთელი სხეული. გარსოს დედას თავისი ხარები მიჰყავს დასარწყულებლად. აკი ვთქვი, დაუსრულებელი არაფერიამეთქი, — ეს კაჭკაჭი პელოა. გელა წამოხტება და სოფლისკენ უნდა დაეშვას, მაგრამ იქვე აჩერებენ. რა იყო, სად მიდის, რა უნდა სოფელში? გელამ არ იცის, რა უნდა სოფელში, მაგრამ, რაკი სოფელია, რაკი ნისლები გადაიხსნა, სახლები გამოჩნდა და კვამლიც შეერია ჯერ კიდევ დაბინდულ ზეცას, ჩასვლაც შეიძლება. მაგრამ არა, შვიდთა თემს არსად არ სურს ჩასვლა. შვიდთა თემი თავისთვის არის და ქვეყანა თავისთვის. ამ ქოხმა სხვათა თვალის დაუნახავად უნდა იცხოვროს და სხვათა უნახავად დარჩეს ისევ მარტო, როგორც აქამდე იყო. ეს კი ხვალ დილით მოხდება, როცა კაჭკაჭი დედაკაცი გარეთ გამოვარდება და დაიძახებს: გახედეთ, მზე! ხო, ხვალ მზე ამოვა. ხვალ გზას დაადგებიან. დღეს კი ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ანუ იმგვარად, როგორც გუშინ და წუხელ იყო.

გელა უკან ბრუნდება და ქოხის წინ ჯდება. გოგო კვლავ ცის ლურჯ ნაგლეჯს ეძებს. აგერ კიდევ ერთი, აგერ მესამეც! მთელი დასავლეთი მოკრიალდა... ღრუბლები აირივნენ და სადღაც გარბიან. გოგოც გარბის სველ ბალახზე და ტყისპირებში ხან გამოჩნდება, ხან თვალს ეფარება. ზაზა ღუდუშაური ვეღარ ისვენებს. დიდედა კვლავ თრთის და ხელს არ უშვებს. აბრია მახაური ლელა ღუდუშაურს არ აშორებს თვალს და ფიქრობს, რომ აჰა, დადგა დრო, როცა ეს ქალი, მსგავსად წელანდელისა, რაღაცას გაიფიქრებს, მაგრამ ჩუმად, თავისთვის კი არა, ხმამაღლა და ყველას გასაგონად. ლელა ღუდუშაური კი ხმას არ იღებს, შვილიშვილს შორდება, აბრია მახაურს გადახედავს, მერე სხვებსაც მოავლებს თვალს და თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტა, რაც აქამდე ტანჯავდაო, ტყისკენ მიდის, შვიდთა თემი ჩუმდება და ეს სიჩუმე აღიზიანებს ზაზა ღუდუშაურს. ეს ლიტერატურული სიჩუმეა. ბიჭმა იცის, რომ ამ წუთში აუცილებლად უნდა მოხდეს რაღაც. ამას კომპოზიციის კანონი მოითხოვს, უმკაცრესი კანონი, რომელსაც ვერავინ გადაუხვევს და ვერავინ დაარღვევს. ჩვენ უძლურნი ვართ ამ კანონის წინაშე. სწორედ ამ კანონის მომნუსხველი ძალაა, შვიდთა თემს რომ ერთბაშად აჩუმებს. ხუთი ადამიანი მაყურებელთა დარბაზად იქცევა. დარბაზი სულგანაბული ელის თუ რა მოხდება, რას ეტყვის ერთმანეთს სცენაზე გამოსული ორი პერსონაჟი.

●

— შენ, ეი, აბა აქ მოდი!

გოგო ნელა მოდის, ფეხქვეშ სველი ბალახი შრიალებს. მოდის და უშიშრად ჩერდება დედაკაცის წინ. შემოსცქერის დედაკაცს.

ლელა ღუდუშაური თვალებში შესცქერის, ზომავს და სურს, როგორმე ის საძრახისი სურვილი ამოიკითხოს, რაც, მისი რწმენით, გოგოს სხეულში ნამდვილად ჩაბუდებულა.

გოგო მშვიდად კითხულობს:

— რა უნდა მითხრა, ბებო...

ეს სიმშვიდე ახელებს დედაკაცს.

— არაფერი, რა უნდა გითხრა...

— ვიცი, რაც უნდა მითხრა...

— თუ იცი, ნულა მათქმევინებ.

გოგო იცინის.

რაღა უნდა იცინოდეს, თუ მართალია?

— თქვენა გგონიათ, მართლები მარტო თქვენა ხართ.

— ვინ ჩვენ?

— რა ვიცი... თქვენა... მთელი ქვეყანა...

ლელა ღუდუშაური ვერაფერს ხვდება და თითქოს თავისი ვალი ბოლომდე პირნათლად მოიხადაო, სიჩუმეში ჩანთქმულ „მაყურებელთა დარბაზისაკენ" მოდის...

---

**თამაზ ბიბილური**

შვიდი ხმისა და ტოროლასათვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრია მახაურს სხვა არაფერი დარჩენია:

— მოდი, აქ დაჯექი, გოგო!

შვიდთა თემი ჩუმადაა. ცაზე ყორნები ყრანტალებენ. სოფელში ვიღაცა ეძახის ვიღაცას. რაღაცა უკვე მოხდა... ამას მთელი შვიდთა თემი შეუმცდარად გრძნობს. ის ცის ლურჯი ნაგლეჯი, რომელიც წელან გამოჩნდა, ყველას ავიწყდება. შვიდთა თემი ფიქრში წასულა და დაქუცმაცებულა. მარტო ერთი ძაფი განასკვულა, — გოგოსი და ლელა ღუდუშაურისა. ამ ორმა უთხრა ერთმანეთს რაღაც იმგვარი, რაც ყველასათვის მიუწვდომელი დარჩა და რაც ზაზა ღუდუშაურის შეთხზულ კომპოზიციას აღარ ემორჩილება. დიდედა ზის და გოგოს თვალს არ აშორებს. სწორედ თვალის მოხუჭვამ დაღუპა კინაღამ დედაკაცი და ხელიდან ლამის ის გამოსტაცა, რასაც ცოცხალი თავით არავის დაანებებს. ლელა ღუდუშაური გოგოს ზურგს ხედავს და იმ ბერიკაცის ზურგს, რომელიც პირველად მოსულა აქ, მდინარისპირას და მაშინაც ეგრე ქვად ქცეული მჯდარა, ვიდრე ეს გოგო არ მოუჯდა გვერდით. ეს ორნი — ბერიკაცი და გოგო, მარტო დარჩენილან, შვიდთა თემიდან განმდგარნი და ფიქრში იმის მაძიებელნი, თუ რა მოხდება იმ მოკლე საუბრის მერე, გოგოსა და ლელა ღუდუშაურს შორის რომ გაიბა.

— ჩალაურში რა გინდა, ძიავ? — ჩურჩულებს გოგო.

— შვილიშვილი უნდა ვნახო...

გოგო აღარაფერს ამბობს და აბრია მახაური ჩუმად უმატებს:

— თუ ცოცხალი ავაღწიე... მინდა იმის უნახავად არ წავიდე.

— ნუ გეშინია...

ბერიკაცს რისა უნდა ეშინოდეს? იცხოვრა, ყველაფერი ნახა და საშიშიც აღარაფერი დარჩა. ამას გოგო ფიქრობს და თვითონ მარტო იმისიღა ეშინია, მეც არა მკითხოს, რად მიდიხარ, რა დაგრჩენია იმ ჩალაურშიო. გოგო არ იცნობს აბრია მახაურს და არ იცის, რომ ამგვარ რამეს მახაური არა-დროს არ ჰკითხავს. მახაური მარტო თავისთვის მიხვდა რაღაცას, რაღაცას კი არა, მთავარს: ეს გოგო უბედურია! შეიძლება იყო ბედნიერი, შეიძლება ხვალაც იყოს ბედნიერი, ახლა, ამ წუთში კი უბედურია. სხვა უფრო მეტი, და ამაზე უფრო მეტი რაღა უნდა იყოს, მახაურს არც უნდა რომ გაიგოს, და რომ არა შვიდთა თემი, და რომ არა ის კდემა, რაიც ოთხმოცს მიტანებულ ბერიკაცს უთუოდ უნდა გააჩნდეს ოციოდე წლის გოგოსადმი, მახაური თავზე ხელს გადაუსვამდა და მოეფერებოდა. მაგრამ ეს არ შეიძლება. ამისი გაფიქრებაც კმარა... მახაურს ისღა დარჩენია, რომ გოგოს გაუცინოს იმ სიცილით, რასაც ორი დღეა ელის კაჭკაჭი პელო და რაც ვერა და ვერ დასტყუა...

მახაური გოგოს უღიმის და ჩურჩულებს:

— ნურც შენ გეშინია.

გოგო თვალებში შესცქერის.

— არც მე მეშინია.

ლელა ღუდუშაური შფოთავს და ეზოსკენ წახრილ ორ ზურგს, ბერიკაცის და გოგოს ზურგს, გადაშლილი წიგნის ფურცლებივით აკვირდება, რომელზეც არაფერი მოჩანს და ვერაფერი იკითხება. ლელა ღუდუშაური ახლა შვილიშვილს უყურებს. შვილიშვილი გოგოს გასცქერის. მორჩა! დედაკაცს უნდა, რომ მდინარისკენ გაიქცეს და მთელ ქვეყანას უხმოს მშველელად.

— ღმერთო, მიშველე...

ღმერთსაც ესმის მისი ვედრება, ღმერთი მართლა ყოფილა...

— ჰე-ჰეეიი! — იძახის ვიღაცა.

გოგოს და ქალაქიდან წამოსული დედაკაცის ამბავს მაინც იმ ვიღაცის ხმა დაასრულებს, ქვემოდან შვიდთა თემის ქოხს რომ გამოსძახის და მთელი სამყაროსაგან გათიშულ პატარა პლანეტას ისევ სამყაროს უბრუნებს.

შვიდთა თემი შედრკება.

ჩვენ გვეძახის თუ სხვა ვინმეს? ჩვენთან რა საქმე აქვს, ოხერია ვიღაცა! ისევ იძახის... იძახოს, რამდენიც უნდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ წამოვიდა ღრუბლები! ნუ გეშინიათ, ხვალე წვიმა აღარ იქნება, დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი. სამი დღე და ღამე გადაუღებელი წვიმა, გაგონილა და თქმულა? სამიცა თქმულა და მეტიცა! ასე მგონია, მთელი ჩემი სიცოცხლე აქა ვარ-მეთქი, ამ ადგილას, ამ ქოხში! ასე მგონია აქამდე არაფერი იყო-მეთქი. განა რა დრო გავიდა, გუშინ არ მოვედით აქა? ხო, გუშინ მოვედით...

ის ვიღაცა ისევ იძახის და შვიდთა თემი მოლოდინად ქცეულა.

— ნურაფერს ეტყვით!

— იძახოს რამდენიც უნდა...

ის ვიღაცა ჩუმდება.

შვიდთა თემი ელის, მაგრამ ძახილი აღარ მეორდება.

თემი მაინც მშვიდდება და აქეთ-იქით იხედება:

გოგო აღარ არი!

გოგო აღარსადა ჩანს!

ლელა ლუდუშაური მდინარის პირას დგას და თავისთვის იღიმება...

— გადავრჩი!

ეს მშვიდობიანი დასასრულის ღიმილია და დედაკაცს ამ ღიმილით ღმერთის წინაშეც შეუძლია წარსდგომა. კარგი გოგო ყოფილა, ყველაფერს თავისით მიხვდა და გაეცალა. ლელა ლუდუშაურმა მარტო ის გააკეთა, რომ რაიმე არ მომხდარიყო, თორემ მოხდენით არაფერი მომხდარა. გზა, რომელსაც ეს ქალი დაადგა, არ გამრუდებულა. ეს გზა ჩალაურში მიდის და თუ, ღვთით, ამინდი გამოვიდა, ხვალ საღამოსთვის უნდა დასრულდეს. იქ რა იქნება, ეს ღმერთმა იცოდეს... ამაზე დედაკაცს ჯერ არ უფიქრია. ჯერ იქ უნდა ავიდეს. დანარჩენზე მერე იფიქრებს, ან ყველაფერი უფიქრელად მოხდება, იქნება ის, რასაც თავად ჩალაური მიუსჯის დიდი ხნის წინათ წამოსულ თავისი მიწის ნაშიერს.

— გოგო! არ გესმის, გოგო, შე მიწადასაყრელო!

— მიწადასაყრელი რატო არი?

— მაშ, ეგრე უთქმელად უნდა წასულიყო?

— უნდოდა და წავიდა!

— არ გესმის, გოგო!

— ერთი სიტყვა მაინც ეთქვა?

— თქვენ მაინც არაფერი გითხრათ, ბიჭო!

— არ გესმის, გოგო, ეგრე უთქმელად სად წახვედი?

— რა დაგიშავეთ, რა დაგაკელით, სითბო თუ ტკბილი სიტყვა?

— ამისთანა არაფერი მსმენია...

— არ გესმის, გოგო?

—თავს ხო არაფერი აუტეხა?

— ნუ გეშინიათ, თავს არაფერს აუტეხავდა.

ეს რომელმა თქვა, თავს არაფერს აუტეხავდაო?

— მე ვთქვი, — ამბობს ლელა ლუდუშაური.

შვილიშვილი დიდედას უყურებს.

აბრია მახაური — ჯერ დიდედას, მერე შვილიშვილს და მერე იმ ბილიკს, რომელსაც გოგო უნდა დასდგომოდა.

გორგალი უკვე დაირღვა... შვიდთა თემს ერთი უკვე გამოაკლდა და თანაც ის, ვინც ექვსთაგან აბრია მახაურის გვერდით პირველი დაჯდა. ეს რაღაც დასასრულის მოახლოებას ჰგავს და აბრია მახაურმა არ იცის, ეყოფა თუ არა მუხლებში ძალა, რომ დასასრულამდე თავი გაიტანოს. მახაური ნელა დადის ეზოში, თითქოს თავის თავს სცდისო... მდინარეს გასცქერის, გადაღმა იყურება, მერე მთას ახედავს, რომლის იქით მისთვის სამყარო მთავრდება და სხვას ველარაფერს ახერხებს: დაიხრება, ქვას აიღებს და მდინარისკენ ისვრის. მერე მეორეს იღებს და იმასაც მდინარეს ატანს. ქვებს სანსლავს მდინარე, თავად კი არაფერი ეტყობა. ეს პატარა ქვები მდინარეს ვერაფერს აკლებენ. და, კაცმა რომ თქვას, ამისი გაგების სურვილი არცა აქვს აბრია მახაურს. მისი დამჭკნარი ხელები აზრმიუცემლად იღებენ ქვებს და მდინარეს ატანენ. გარსოს დედა შეშინებული გასცქერის თავის ხა-

რებს. ხარები აქ არიან, ხარები არსად წავიდოდნენ. კაჭკაჭმა კარგად არ იცის რა მოხდა და აბრია მახაურს ეუბნება, ამისთანა უმადურობა თქმულა? შენ მაინცა თქვი რამე, კაცო, შენ მაინც არ დაგემშვიდობაო? აბრია მახაური მდინარეს უყურებს და ბუტბუტებს: წავიდა... აქ რაღა უნდოდაო. ლელა ღუდუშაური ზურგს აქცევს ყველას და ქოხისკენ მიდის.

შვიდთა თემი ამ ქოხივით საცაა დაინგრევა. ღრუბლები ისევ მოდიან და არავინ იცის, ხვალ დარი იქნება თუ ავდარი.

ზაზა ღუდუშაურის პიესა აქ მთავრდება. პიესა დიდი არ გამოდგა და როგორც თურმე ხშირად მომხდარა, პერსონაჟებიც თავის ნებაზე მოიქცნენ, ავტორს არაფერი დაუჯერეს. გამოუცდელი ავტორის ხელში მთავარი პერსონაჟი, ანუ გოგო, პირველ მოქმედებაშივე გაქრა და ყველაფერი დაუსრულებელი დატოვა. რაც წუთის წინ მოხდა, ახალგაზრდა კაცის ლიტერატურულ ფიქრებში არც კი გაჭაჭანებულა.

არავინ იცის ახლა რაღა მოხდება და მხსნელივით ისევ ის ვიღაც კაცი გამოჩნდება, დილას რომ გამოჩნდა.

კაცი შორიახლოს დგას და სახლისკენ იყურება.

კაჭკაჭი მასპინძელივით მიდის ჭიშკრისკენ და ეძახის:

— მობრძანდი, რა გინდა?

— რა უნდა მინდოდეს...

— შენ ის არა ხარ, დილას რო იყურებოდი?

— ისა ვარ.

— რას იყურები? მგზავრები ვართ...

— იყავით, მე რას გიშლით?

— რა უნდა დაგვიშალო...

კაცმა აღარ იცის რა ქნას და ტყისკენ მიდის.

შვიდთა თემი ზუზუნებს. ამ კაცის დანახვაზე კვლავ ცოცხლდებიან ის კითხვები, რაც მთელი აქ ყოფნის დროს ყველას აწვალებდა: ვინ არი? რა უნდოდა? იქნებ მოგზავნილი კაცია? იქნებ მდევარი? ვის უნდა გაგება, ან რას ვაკეთებთ ან საით მივდივართ?

კაჭკაჭი გარბის და ტყისკენ წასულ კაცს ეძახის:

— ჰეი, კაცო! გზაზე გოგო არ შეგხვედრია?

— ისიც თქვენიანი იყო?

— ხო, შინ გავაბრუნეთ!

ეს ტყუილია, მაგრამ ტყუილი სჭირდება შვიდთა თემის ქოხს. ამ ტყუილის უთქმელად აქ ერთი ღამის გათევაც აღარ შეიძლება, უამისოდ ეს ქოხი შვიდთა თემს თავზე დაემხობა, ან მეხი დათრგუნავს, ან მეწყერი წაიღებს. ჩვენიანი იყო და შინ გავაბრუნეთ... შინ გაბრუნებაზე კარგი რა უნდა მომხდარიყო? მეტი არაფერი მომხდარა, მეტი არც არაფერი გაგვიგია, არც არაფერი დაგვინახავს. ოღონდ ეს ღამე გათენდეს მშვიდობით, ოღონდ ხვალაც არ იყოს წვიმა.

ვალმოხდილი კაჭკაჭი ქოხისკენ მოდის.

ლელა ღუდუშაური მდინარეს უყურებს.

შვილიშვილი შორიახლოს დგას. ხვდება, რომ ყველამ უკვე ყველაფერი იცის. გოგოს უჩინრად წასვლას გულში მხოლოდ ამას და დიდედას აბრალებენ, მაგრამ არაფერს ამბობენ. სიტყვას აღარა აქვს მნიშვნელობა. ეს ბერიკაცი ადრე ათასში ერთხელ მაინც გაუღიმებდა, ახლა ზურგშექცეულია და ხმას არ იღებს. არც ის დედაკაცი უსწორებს თვალს, თავისი ხარების მეტი აღარაფერი აინტერესებს. გელაც კი აღარაფრად აგდებს, მარტო მაშინ იტყვის ერთორ სიტყვას თუ ზაზა რამეს ჰკითხავს. ზაზა ღუდუშაური ლანძღავს თავის თავს, თავის გაჩენის დღეს და... დიდედას. დიდედა კი მარტო იმაზე ფიქრობს, კარგად დაინახოს რა ხდება მდინარის გაღმა, დაიკლო ამ ოხერმა წყალმა თუ უფრო იმატებს. ის შვება, გოგოს წასვლამ რომ მოჰგვარა, მალე ქრება და ერთბაშად თავზე სხვა ფიქრი ატყდება, იმოდენა ფიქრი, რომ ერთი გოგოს აქ ყოფნა და ბიჭის ირგვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივ ტრიალი მასთან შედარებით პაწაწკინტელა ამბად მოჩანს. დედაკაცი ცხადად ხედავს შვილიშვილის ჩალაურში წაყვანის უაზრობას. შვილიშვილი ყველაფერს მხოლოდ დიდედას ხათრით აკეთებდა და დედაკაცი ხვდება, რომ ეს ხათრი ბოლოს და ბოლოს დიდხანს არ გაჰყვება. ბიჭი სხვაგანაა გაზრდილი, სხვა ფიქრით ატანილი და ეს რაღაც მოგონილი ჩალაური მის გულს არაფერს ეუბნება. ლელა ღუდუშაური ბრაზობს, რომ ამის მისახვედრად ამოდენა გზის გამოვლა და გადაუღებელი წვიმა დასჭირდა, რომელმაც ალბათ, თვითონაც არ უწყოდა როგორ, ყველაფერი თავთავის ადგილზე დაალაგა. ბიჭი აქ არის და არც არის აქა. და ის საწყალი გოგოც ალბათ იმიტომ მოხვდა თვალში, რომ სხვა ცხოვრება მოუნდა, თავისი საკუთარი ცხოვრება, რომელიც ცოტა ხნით დიდედას ხათრით შეწყვიტა და რომელსაც ისევ მალე უნდა დაუბრუნდეს. ბიჭისა აქ მარტო სხეულია, სული კი სადღაც სხვაგან დარჩენილა, საკუთარ სამყაროში, საკუთარ ჩალაურში, რომელსაც დიდედას ჩალაურთან არაფერი აკავშირებს. ამას ის მირჩევნია, ადგეს და გაიპაროს! — ამბობს დიდედა და ბიჭზე ბრაზობს, რატომ მართლა არ ადგება და არ გაიპარებაო. ამისი გაფიქრება აშინებს დიდედას. და ვიდრე მართლა გაუჩინარდებოდეს ბიჭი, ვიდრე გაიფიქრებდეს, ერთხელ, მარტო ერთხელ ვუღალატებ დიდედასაო, ისევ დედაკაცი იხმობს და სხვათაგან დაფარულად ჩურჩულით ეუბნება: მოდი, გაბრუნდი, შვილო.

ზაზა ღუდუშაური ხმას ვერ იღებს და დიდედა ხვდება, რომ მართალი გამოდგა. ბიჭი მართლა უნდა გაბრუნდეს და თუ დიდედა თავისი ნებით (ისე რომ დანარჩენთა თვალში ყველაფერი ლამაზად გამოჩნდეს) არ ვააბრუნებს, რაღაც ძალა, ბოლოს და ბოლოს მაინც იმას ჩაადენინებს ბიჭს, რასაც საკუთარი სული და სხეული კარნახობს. დიდედას უნებურად კი ბიჭის გაბრუნება კი დედაკაცს მეხივით დაატყდება. ეს კარგად იცის დედაკაცმაც და მისმა შვილიშვილმაც. ესეც მეხია, — ბიჭის სიჩუმე, თავის ჩაქინდვრა, დუმილი თანხმობისა, მაგრამ იმგვარი მეხი, რომლის ხმაც მხოლოდ დიდედას ჩაესმის და რომლის ძალაც მხოლოდ დიდედას მოხრილ ზურგს აწვება. სხვამხრივ ყველაფერი ძველებურად რჩება... ბიჭი ხმას ვერ იღებს და აცახცახებული დიდედა ჩურჩულით ამბობს: ისე წადი, ამათ არ დაგინახონ... საცაა დაღამდება. ბიჭი მდინარის პირას დადის და თითქოს მართლა გასაქცევად ემზადება. დიდედა უყურებს და თავის თავს ეკითხება, ეს ბიჭი მართლა ის ზაზა ღუდუშაურია თუ სხვა ვინმე, ამ შვიდთა თემში ბედის დაცინვით გადმოგდებული, რომლის თვალებიდან ჩვეული სითბოს ნაცვლად საშინელი სიცივე მოდის. არა, ეს ბიჭი შვილიშვილი აღარ არის, სხვა არის, ვიღაცა, უცხო, რომელსაც მარტო ის შესძლებია, რომ დიდედა ან დაეხატა, ან რაღაც კინოში გამოეყვანა, ან ელაპარაკებინა და მისი ხრინწიანი ხმა ჯადოსნური მანქანით დაეჭირა. ეს არის და ეს, ამ ბიჭს სხვა მეტი არაფერი შესძლებია... და ლელა ღუდუშაური ჩურჩულებს: მე რა მიჭირს, ამდენ ხალხში ვარ... კარგი მგზავრები შემხვდნენ, ბედი მქონია...

ბიჭი ხმას არ იღებს. მის მზერას დიდედა ვერ იჭერს და ფიქრობს: ღმერთო, აქამდე რატომ ვერ დავინახე, აქამდე რატომ ვერ მივხვდი... ამოდენა გზაზე ტყუილად ვატარე...

ამით ყველაფერი მთავრდება.

შვიდთა თემში კვლავ რაღაც მოხდა. უკვე ღამდება და ფიქრში წასული ქოხი დასაძინებლად ემზადება. ყველანი ჩუმად არიან. იქვე გაფენილ ტაბლას არავინ ეკარება. დაბნეული კაჭკაჭი აქეთ-იქით იყურება და ისიც უხმოდ წვება ქოხის ბნელ კუთხეში. გაგრძელება რაღაც ამბისა ქოხს არ აძინებს. ეს აღარც შიშია, აღარც მდევრის მოლოდინი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები აქვე ხდება. ქვეყნიერებას აქაურობასთან არაფერი ესაქმება. შვიდთა თემი საცაა დაიშლება. აქ იყვნენ და აქედან მიდიან. გოგო უკვე წავიდა. ახლა აღარ იციან ვინ წავა. და იმ შფოთიან ფიქრში მაინც მოდის ძილი. შუაღამისას მაინც დგება ქოხში ღრმა ძილის სიჩუმე.

ბიჭის წასვლა მხოლოდ აბრია მახაურს ესმის. კარგად ხედავს, როგორ დგება ბიჭი, როგორ მოიკიდებს თავის ზურგჩანთას და ფეხაკრებით გადააბიჯებს ქოხის ზღურბლზე, მერე კი იქვე, ქოხთან მომდგარ რიყრაყის ნისლში გაუჩინარდება. წავიდა და წავიდა... ჩუმად ეუბნება თავის თავს აბრია მახაური და თანაც იმის ღრმა რწმენით, რომ ბიჭი სამუდამოდ წავიდა და უკან აღარასოდეს მობრუნდება. ხო, წასვლა უკვე დაწყებულა. გუშინდლის შემდეგ, რაც გოგო გაქრა, ბიჭის გაქრობაც ისევე უბრალოდ მოჩანს, როგორც ღამის შემდეგ რიყრაყის მოახლოვება. აბრია მახაურმა მაინც სცადა ბიჭის შეჩერება, როცა ზღურბლზე გადაბიჯებულ ღუდუშაურის შვილიშვილს რაღაც ხმა დაადევნა, რაღაც სიტყვა თუ ჩახველება, ოხვრა თუ ჩურჩული, მაუწყებელი იმისა, რომ მისი წასვლა შეუნიშნავი არ დარჩენილა. მაგრამ ამ ნიშანმა ვერ შეაჩერა ლელა ღუდუშაურის შვილიშვილი. ხო, რაც მართალია, მართალია, წამით თითქოს შეაყოვნა, მაგრამ ეს მართლა წამით მოხდა, მერე კი ნისლებს მისცა თავი და გაუჩინარდა. მაშინ აბრია მახაური წამოდგა. ქოხის ზღურბლისკენ ხელის ცეცებით წავიდა და ჯირკზე ჩამოჯდა.

ბიჭი გაიპარა და მახაურმა არ იცის, ამის მერე რაღა უნდა მოხდეს, როგორ გაიგებს ქოხი ამ ამბავს და რა მოჰყვება ამ წასვლას. ჯერ კი ქოხს ისევ სძინავს. მახაური ჯირკზე ზის და ნისლებს გასცქერის, ნისლები ტყიდან გამოდიან და ისევ ტყეში შედიან, ქოხის ზღურბლთან ტრიალებენ, ხის კენწეროებში იწეწებიან, მდინარეზე წვებიან, მდინარეში თავჩარგულ მურყნებს თეთრ საბურველში ხვევენ და მერე თავადვე გაეცლებიან. მახაურს გათენებისა ეშინია: ნეტა მეც სადმე გადამკარგა, ნეტა ეს ქოხი თვალით აღარ მაჩვენაო, — ფიქრობს, მუხლების კანკალით ეზოში ჩადის, ამტყუნებს საკუთარ თავს და ხარებთან ჩერდება. ხარები გახევებულნი შემოსცქერენ. ნისლების მოტანილი სიჩუმე ქოხის გარშემო ტრიალებს. მახაური მიდის. თვითონაც არ იცის საით მიდის და რად მიდის. შიში, რომელიც ამ დილამ მოიტანა, ერთ ადგილზე ველარ აჩერებს. მდინარისპირას ჩადის და დიდ ლოდზე ჯდება. გარშემო ჯერ ისევ სიჩუმეა, მაგრამ მახაურმა იცის, რომ ამ სიჩუმეს ერთბაშად გაპობს იმ დედაკაცის ყვირილი, გუშინ რომ თავის შვილიშვილს გვერდიდან არ იშორებდა. მახაური სწორედ ამ ყვირილს ელოდება. ნისლები უფრო და უფრო თეთრდებიან. ტყისპირები უფრო ნათლად იკვეთებიან. დილას ხეობა ამოუვლია, გადმოსულა მდინარეზე და უკვე ქოხის გარშემო ტრიალებს. ყვირილი კი ჯერ არ ისმის. დაიხოცნენ თუ რა მოხდაო, — ფიქრობს მახაური და ახლა ფეხზე წამომდგარი, დაძაბული ელის ყვირილს, რომელიც ქოხიდან აუცილებლად უნდა წამოვიდეს. მაგრამ არაფერი ისმის. დედაბერი თავის შვილიშვილს არ ეძახის და მახაური ფიქრობს, რომ ამ ქოხში მართლა რაღაც ხდება იმგვარი, რაც სხვათათვის გაუგებარია და რამაც გუშინ ის უცხო კაცი ამოიყვანა, ტყისპირას გააჩერა და შვიდთა ქოხისკენ დაჟინებით გამოახედა.

— ზაზა! — იძახის დედაკაცი...

მახაურს აკრთობს ეს სიმშვიდე და ქოხისკენ გაოცებული იყურება.

ეს ის ძახილი არ არის, რომელსაც მახაური ელოდა.

ქოხის წინ ლელა ღუდუშაური დგას და ტყისკენ იყურება.

მახაური ქოხისკენ მიდის. ლელა ღუდუშაურის მიწისფერ სახეზე მხოლოდ თვალებს ხედავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახაური ზურგს აქცევს ამ თვალებს და კვლავ მდინარისკენ მიდის:

— მეტი რაღა უნდა მომხდარიყო...

ყველანი გარეთ არიან. ხმის ამოღება არავის უნდა. ყველანი ნისლებს გასცქერიან და ყველა იმაზეღა ფიქრობს, როგორ დატოვოს აქაურობა და როგორ დაადგეს საკუთარ გზას. შვიდთა თემი მართლა დაშლილა. ერთი გუშინ წავიდა, უბრად, ხმის ამოუღებლად, ისე რომ სიტყვაც კი არ დაარჩინა. ერთი წუხელ გაიპარა. დიდედასაც არ უთხრა არაფერი. ახლა ვისი ჯერი დადგა? ყველანი ერთმანეთს' უყურებენ. ერთმანეთს და ამ დედაკაცს, ეზოში რომ ხესავით დგას და ერთი პატარა ტოტიც არ ერხევა ტანზე. ეს ხე შავია, შავი ქერექით და ჩაშავებული ხავსით. ამ ხეზე ერთი ფოთოლიც აღარა თრთის. საცაა ზამთარი მოვა, ქარი დაუბერავს და ამ ხესაც გადააქცევს. მაშინ სხვა ხეები ოხვრას გაატანენ და ამით დასრულდება ყველაფერი... მაგრამ ხეს არ უნდა დამორჩილება. ის უძრაობა, ყველას რომ თვალში მოხვდა, ერთი წუთისა ყოფილა... ეს უძრავად მდგარი შავქერექიანი ხე ლელა ღუდუშაურია. ხე ახლა მიიხედ-მოიხედავს, ყველას თავს დაუქნევს, მადლობას ეტყვის, თავის ბოღჩას აიღებს და თავის გზას დაადგება. ამ დედაკაცს აღარც წვიმისა ეშინია, აღარც მდინარისა, იწვიმოს, რამდენიც უნდა, დედაკაცი ჩალაურის გზას უნდა დაადგეს...

— აბა, სარარაოდ ემზადები, დედაკაცო?

— რა ყველანი დაიშალენით, რა კარგი ქოხი გვქონდა...

— თუ წვიმა ისევ წამოვა, აქ ერთი კვირაც ვიქნებით.

— პურიც ყველას გვეყოფა, წყალიც აქვეა, ცეცხლსაც დავანთებთ, ადამიანს მეტი რა უნდა?

— აქვე სოფელია, ხალხი, ჯამაათი, მარტო რად ვიქნებით?

— შენც ეგრე უბრად ნუ წახვალ, ერთი სიტყვა მაინც გვითხარი, რას აპირებ, საით გაგიწევია?

— ჩალაურში, სხვაგან სად უნდა მიდიოდეს?

— ჩვენც ჩალაურში არ მივდივართ? ჩვენ რაღა დავუშავეთ, მარტო რათ უნდა წავიდეს?

— მესამე დღეა ერთადა ვართ, ერთად ვიცხოვრეთ, ერთად დავანთეთ ცეცხლი, ახლობელივით არი, როგორც ახლობელს შეჰფერის, ისე წავიდეს.

— მე არ ვიცი, თქვენ როდის მოდიხართ...

— როცა ცაზე მზე გამოვა, როცა ეს მდინარე ჩაივლის, ვერ ხედავ, რა ყოფაშია?

— თქვენ იცით, თქვენი საქმისა, მე აქ დამრჩომი აღარა ვარ, ეს წვიმა ალბათ აღარ გადაიღებს, აღარც მზე გამოვა, გზაზე რო გამოველ, არ მიფიქრია მზე იყოს-მეთქი.

— მარტო როგორ გაგიშვებთ, ბებო, ქვეყანა რას იტყვის, ხალხი ჩაგვქოლავს!

— მარტოკა უნდა წავიდე, მაშ რა? თქვენ რომ არ შემხვედროდით, არ წავიდოდი? იქნებ სულაც არ შემხვედროდით?

— ხო შეგხვდით, ბებო!

— ხო შეგხვდით, დედაკაცო, ღმერთს უნდოდა ჩვენი შეხვედრა!

— ღმერთს ჩემი მარტო დარჩენა უნდოდა და დამარჩინა კიდეც.

— შენ იცი შენი საქმისა, დედაკაცო...

— ამ მდინარეზე მაინც გადაგიყვან, ბებო! მარტოს ვერ გადაგიშვებთ.

— აი, ჩემი ხარები, ხარები და ბიჭი გადაგიყვანენ!

დასამალი აღარაფერია. ლელა ღუდუშაური ხმამაღლა ტირის. წეღან გამშრალი იდგა, გახევებული, ახლა მართლა ტირის, როგორც დედაკაცს შეჰფერის, აღარავისა ერიდება. ყველა ყველაფერს მიმხვდარა, სამ დღეს ამაოდ არ ჩაუვლია, ერთ ქოხში ყოფილან, ერთ ცეცხლთან გამთბარან და დამალ-

ვასაც აზრი დაჰკარგვია. როგორც სხვა ბევრი რამ, დამალვაც უაზრობა გამხდარა.

დამფრთხალი ლელა ღუდუშაური აქეთ-იქით იყურება:

— სხვამ რად უნდა გადამიყვანოს?

— სხვა რადა ვარ, ბებო?

ლელა ღუდუშაურის წინ ის ბიჭი დგას, ვისაც გელა ჰქვია, ვინც ქოხი იპოვა, ვინც ცეცხლი დაანთო და მაინც დედაკაცის თვალებში გაოცება ჩამდგარა: სად იყო აქამდე ეს ბიჭი? საკუთარი შვილიშვილით გართულს სხვა ვერავინ დაუნახავს... დედაკაცს სცხვენია ამ დაუნახაობისა, თვალებს იმშრალებს, თავშალს ისწორებს, წელში იმართება და ამბობს: კარგი, გადამიყვანე!

თავით ფეხებამდე სველი ლელა ღუდუშაური უკვე მდინარის გაღმა დგას.

ხარს გადამჯდარი ბიჭი გამოღმა გამოდის.

— იცოდეთ, თუ ჩალაურში ამოხვიდეთ და ვეღარა მნახოთ, ძებნა არ დამიწყოთ. მარტო სოფლის ბოლოში რო სახლი დგას, იმ სახლის ეზოში მიდით, ნუ დაგეზარებათ, შემავედრეთ, აპატიეთქო... თუ ჩემი ბიჭი სადმე შეგხვდეთ, უთხარით, მარტო ერთხელ უღალატე ბებოს, სხვა დროს არ გიღალატნია და ეს ერთხელაც გაპატიათქო!

ახლა ის დროა, რომ ნისლები ხეობას ჩამოჰყვნენ, მდინარისპირა ჭალა გადმოიარონ და გაღმა ეულად მდგარი შავი, ყორანივით დედაკაცი, რომელსაც ლელა ღუდუშაური ჰქვია და რომელიც თავისი ჩალაურის გზას მარტოდმარტო დაადგა (რადგან ამგვარი იყო ღმერთის ნება), რუხ საბურველში გახვიოს.

სიჩუმეში ვიღაცა ტირის.

ეს ვინღაა?

ხო, ის არი, კაჭკაჭი პელო, თავი ჩაუქინდრავს და ტირის.

ისევ იწყება წვიმა. ცის პატარა ნაგლეჯი ისევ ქრება. ნისლებიდან მცირე ხნით გამოსული მთები ისევ ნისლებში იკარგებიან. წვიმა შიშით ავსებს შვიდთა თემს, სადაც უკვე შვიდნი კი არა, ოთხნილა არიან. ამ წვიმამ კიდევ რამე უნდა მოიტანოს, კიდევ რაღაცა უნდა მოხდეს, ვიღაცა წავიდეს ან ვიღაცა გამოჩნდეს. შვიდთა თემი დაშლის გზაზე დამდგარა. ამ ძველ ქოხსაც რაღაც შეჰპარვია, საცაა წაიქცევა. ცეცხლი კარგა ხანია ჩამწვარა და აღარავინ არის, რომ შეშა მოუმარჯვოს. სალაპარაკო გამქრალა. რაც სათქმელი იყო, უკვე თქმულა, თუმცა შვიდთა თემს გული ერთმანეთისთვის არც გადაუშლია. რაც სათქმელი ჰქონდათ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვეს და ლამის ერთმანეთს ისე დაშორდნენ, ხეირიანად არც იცოდნენ, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ, ვინ რატომ მიდიოდა ჩალაურში, ვინ ვის გამოექცა, ვინ ვის ეძებდა. ამ მდინარის პირას ორი დღის წინ მოვიდნენ. აქ მოსვლამდე ერთმანეთი არასოდეს ენახათ, თუ არ ჩავთვლით დიდედასა და იმის შვილიშვილს, ვინც უკვე წავიდნენ, ერთი — დაღმა, მეორე — აღმა. შეიქმნა შვიდთა თემი და ამ თემმა აქ იცხოვრა: იპოვა საცხოვრისი. გაინაწილა პური. გაათენა ღამე. უკვე დამდგარა დრო დასასრულისა და ყველანი თავ-თავისი გზით მიდიან. სამნი უკვე წავიდნენ. დანარჩენები კი თავის ჯერს, ანუ განგების ძალას ელიან. აქ ბედი ხლართავს თავის კომპოზიციას და ამათგან ჯერ არავინ იცის, ვისი ჯერი დამდგარა, ვინ უღალატებს შვიდთა თემს, რათა მერე ერთი-ორჯერ გაიხსენოს, ბოლოს კი სამუდამოდ დაივიწყოს, როგორც ვივიწყებთ წუთისოფლის დიდ გზაზე შეხვედრილ მრავალ ამბავს. შვიდთა თემი ისე მიმდგარა დაშლის პირას, რომ ერთმანეთისა ვერაფერი გაუგიათ და ახლაღა უკვირთ თავიანთი სიბრმავე. აქ არავინ იცის, რად გამოიქცა აბრია მახაური და სიკვდილის წინ რად მიდის მაინცდამაინც ჩალაურში, ან თუ მიდის, ვინ დასწყვიტა გული, რომ სიკვდილის წინ სწორედ თავის შვილიშვილს, გიორგის ეძებს, რათა მის წინ მოკვდეს, მან დაუხუჭოს თვალები და სხვამ არავინ. აქ არც ის იციან, ვის მოჰპარა გარსოს დედამ ხარები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის გამოექცა, ან ეს ხარები რა გახდა ისეთი, რომ ამათ გულისთვის ამდროულმა დედაკაცმა ცხრა მთა გადმოიაროს. ის ხომ არ იციან და არ იციან, რად ეძებს თავის სახედარს ეს ბიჭი, რომელიც თავადაც ჯერ ისევ ჩოჩორს ჰგავს, ან რა სახედარი აუტყდა, როცა მთელი ქვეყანა მანქანებზე გადამჯდარა. და, რა თქმა უნდა, არავინ იცის, ვის გაურბოდა ის გოგო, რომელსაც ელისო ერქვა, რად ერცხვინებოდა ხალხთან ყოფნა, რად შეეშინდა იმ ქალაქელი ბიჭისა, ან იმ ქალაქელ ბიჭს რა ჯადო ჰქონდა იმისთანა, რომ გოგო უცებ გააგიჟა და დიდედას იმგვარი რამ ათქმევინა, რამაც გოგოს პირზე კლიტე დაადო. ყველაფერი გაუმხელელი და უთქმელი დარჩა! შეხვდნენ აქ, სადაც შეიძლება სულაც არ შეხვედროდნენ, თუ არა ეს გადაუღებელი წვიმა და ადიდებული მდინარე; იცხოვრეს, როგორც კარგმა მეზობლებმა და ახლა საცაა დაიშლებიან. წავლენ და მარტო ის გაჰყვებათ, რომ ამ კაჭკაჭ დედაკაცს ოთხი შვილი და ორი შვილობილი ჰყოლია, რომ ის მიხა სწორედ ამ დედაკაცის ქმარი ყოფილა და სხვა არავისი. ხო, ეს იციან, მაგრამ ესეც ხეირიანად არ იციან, ამისი დამტკიცებაც კი გამხდარა საჭირო და კაჭკაჭი პელო ჩალაურში მოწმის მოსაძებნად მოდის, თუ ესეც არ მოიგონა თავის გასართობად და სხვებიც არ გაართო. არავინ არაფერი იცის და ამისი უცოდინარობა გატანჯავს კიდეც შვიდთა თემს, ამის გამო აწრიალდა კაჭკაჭი და სწორედ მაშინ, როცა ის იყო, გაღმა გასული ლელა ღუდუშაური ნისლებში უნდა გაუჩინარებულიყო, მდინარეს მიაწყდა და დაიძახა: ყური მიგდე, დედაკაცო! ეგრე რო მიდიხარ, ამბავი მაინც დაგვიგდე შენი, ვინა ხარ და საიდან მოდიხარ, რა დაგრჩენია იმ ჩალაურში, ან ის ბიჭი მართლა შენ გააგდე თუ თვითონ წავიდა! არ გეყურება, რამე გვითხარი! მაგრამ ლელა ღუდუშაურმა არაფერი უთხრა. სწორედ მაშინ გადმოიარეს ნისლებმა და ქალი თეთრ საბურველში გახვიეს. მაშინ ჩაქინდრა კაჭკაჭმა თავი და მაშინ დაიწყო ტირილი.

და მაინცო, — უმატებს თავის მხრივ შეთხზული ამბის ავტორი, — ამ ადამიანებმა ოდნავადაც არ უწყიან, ბედის განგებით მოწყობილ უბრალო შეხვედრით ერთმანეთს რამდენი რამ უწილადესო. იქნებ მართალიც იყოს შეთხზული ამბის ავტორი, მაგრამ რომ არც იყოს მართალი, არც ამითი დაშავდება რამე... რადგან (ესეც შეთხზული ამბის ავტორის სიტყვებია) შეთხზული ამბავი იმიტომ არის შეთხზული, რომ იქ ყველაფერი ნამდვილი ვერ იქნება. ამქვეყნად მარტო ის რომ გვჭირდებოდეს, რაც უკვე ნამდვილად გვაქვს, არც ამბების შეთხზვა იქნებოდა საჭირო. ამბები კი მას მერე ითხზვება, რაც კაცთა მოდგმას თავისი თავი ახსოვსო...

●

— ნახეთ, თუ ისევ არ მობრუნდეს!

ამ სიტყვებს კაჭკაჭი პელო ხმამაღლა იძახის. კაჭკაჭი პირდაპირ მდინარის პირას ლოდზე ჯდება, თითქოს საცაა გაღმიდან მდინარეს ლელა ღუდუშაური მოადგებაო. მაგრამ მისი სიტყვები მარტო მობრუნებასა და მდინარის გამოტოპვას არ გულისხმობენ, მათში სხვა, უფრო იდუმალი აზრიც ჩანს, და სწორედ ეს აზრი აკრთობს შვიდთა თემის ფრთამოტეხილ ოთხეულს. აკი ვთქვი, ეს დედაკაცი კუდიანია-მეთქი, ფიქრობს აბრია მახაური და მდინარის პირას მოკუნტულ დედაკაცს გასცქერის. გარსოს დედა თავის ხარებს აძოვებს და ისიც დედაკაცისკენ იხედება. გელა ცეცხლთან შრება. იმანაც გაიგო კაჭკაჭის სიტყვები და ისიც ისე იყურება, თითქოს კაჭკაჭის ნათქვამი ახლავე ასრულდება. ისევ იზლაზნებიან ღრუბლები ქედის თავზე და ხან ხეობისაკენ ჩამოდიან, ხან ცოტა ხნით ზევით იწევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გააწყალა გული!

კვლავ ხმამაღლა გაიძახის კაჭკაჭი და ყველა ხვდება, რომ ეს სწორედ ამ შავ ღრუბელზეა ნათქვამი.

აბრია მახაური კაჭკაჭს თვალს არ აშორებს:

— ესეც გაბრაზდა... ბოლოს ყველანი გავბრაზდებით...

გელა ცეცხლს ეფიცხება და ოხშივარი ასდის.

— არ შეგცივდეს, ბიჭო!

ბიჭი მახაურს უცინის:

— არ შემცივდება.

გაბრაზებული კაჭკაჭი კვლავ მდინარისპირა ლოდზე ზის და ალბათ იმას ელოდება, ვინც დიდი ხანი არ არის, რაც აქედან წავიდა და ვიზედაც თქვა, ნახეთ, თუ ისევ არ მობრუნდესო. მახაურიც ბრაზობს კაჭკაჭზე, ჯერ თავისი კაკანით გააწყალა გული, ახლა კი მდინარის პირას დაჯდა და მართლა კუდიანივით დაუწყო მოლოდინი იმას, რასაც თავის გულში მეც ველოდებიო. ვერა, ის დედაკაცი მარტოდმარტო, იმ სიმაღლე ჩალაურში ვერ ავა, მარტო ვერ გატოპავს ამ მდინარეს და თუ სადმე ნასახლარს არ შეეფარა, შეიძლება მართლა ისევ უკან მობრუნდეს. ეს რა ქვა დედაკაცი გამოდგა, არავისი სიტყვა არ შეისმინა, არც ეს ბიჭი გაიყოლა... ამის გაფიქრება მახაურს აშინებს. მას არ უნდა ბიჭის წასვლა და გულის სიღრმეში სწორედ ამ ბიჭის იმედი აქვს, როცა ჩალაურის მაღალ გოლგოთას დაადგებიან. გოლგოთა კი აუცილებლად იქნება. ასე ყოფილა. ასე გაუგონია მახაურს ჩალაურის გზა. იქნებ არ შემხვედროდა ეს ბიჭი, თავიდანვე ყველაფერზე უნდა იფიქროს კაცმაო,— ფიქრობს მახაური, — იქნებ არც ეს ქალები შემხვედროდნენ და არც მე შევხვედროდი ამათ, ნეტავ რას აპირებდნენ, ნეტავი ვისი იმედით მოდიოდნენო. და მახაურს ისევ თვალწინ უდგება თავისი წამოსვლა, როცა აღარც ფიქრი შეეძლო და აღარც იმისი განსჯა, თუ მას მერე, საკუთარ ეზოს რომ გამოსცდებოდა, რა მოხდებოდა, რა წამოეწეოდა, ვის შეხვდებოდა, ან როგორ გაივლიდა ამოდენა გზას! მე გამოვიქეცი! — ფიქრობს მახაური, — გამოქცეულს აღარაფრის თავი არა აქვს და არც იმაზე დარდობს, ამის მერე რაღა მოხდებაო. გამორბის, გამოქცევის მეტი აღარაფერი დარჩენია... ამისი თქმაა და ახლა სხვა ეჭვი იბადება: იქნებ ესენიც გამოიქცნენ? ეს კი დაუჯერებლად ეჩვენება მახაურს... არ შეიძლება, შვიდივენი ვერ გამოიქცეოდნენ და შვიდივენი აქ, ამ მდინარის პირას ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთსო. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა არის დაუჯერებელი? მაშ რამ აპოვნინათ ის ქოხი და რამ შეკრა შვიდთა თემად ეს ორიოდე ადამიანი, თუ არა საერთო ბედმა და იმან, რომ შვიდივენი ვიღაცას თუ რაღაცას გამოექცნენ? ხო, ამაში უკვე დაჯერებულია მახაური, შვიდივენი ვიღაცას თუ რაღაცას გამოექცნენ! გაოცებით კი სულ სხვა რამღა აოცებს: რატომ დარჩნენ ერთმანეთისთვის მაინც უცხონი, რატომ ცოტა რამ მაინც ვერ გაიგეს ერთმანეთისა, რატომ ვერ მოასწრეს იმისი თქმა, რაც მცირე რამეს მაინც გახდიდა ნათელს და ამ შვიდთაგან ყველას გულში ხინჯად არ დარჩებოდა, რომ აქ, გადაკარგულში, ერთმანეთს შეხვდა შვიდი უცხო ადამიანი და ერთმანეთს ისე დაშორდა, თან არაფერი გაიყოლა. მე ვკვდები და ამისათვის არა მცალია, — თავს იმართლებს მახაური და სიკვდილის გახსენებაზე ისევ ბიჭს გასცქერის. ბიჭი ცეცხლზე შრება და მახაურს იმედიანად უღიმის. კაჭკაჭი პელო კვლავ ლოდზე ზის და მდინარის გაღმა იყურება.

— მართლა კუდიანია...

ბიჭი ყველაფერს ხვდება და იცინის:

— ვიზე ამბობ, პაპავ?

ახლა პელოს გვერდით გარსოს დედაც ჯდება. მდინარის პირას უკვე ორი დედაკაცი ზის და ორივენი რაღაცას თუ ვიღაცას ელიან, ვიღაცის ჩამოვლას, ვიღაცის ავლას... მახაური მხოლოდ მათ წახრილ, შავ ზურგებს ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავს, მაგრამ ეს შავი ზურგები სწორედ მოლოდინს გამოხატავენ და მეტს არაფერს.

— რას უყურებენ, პაპავ?

— რა ვიცი, ნახეთ თუ არ მობრუნდესო.

— იმას რაღა მოაბრუნებს?

— არ იცი ქალების ამბავი?

ახლა მახაურსაც თვალი იმ მდინარისაკენ მიუდის, თავადაც გაღმა იყურება, სადაც თვალს მოეფარა ის დედაკაცი და სადაც, თუ გამოსაჩენია, უნდა გამოჩნდეს... მაგრამ შუადღე საცაა წამოვა, ნისლები ზემოთ და ზემოთ მიდიან, ჰა და ჰა, გამოანათებს, იქნებ მზემაც გამოიხედოს, ეს მდინარეც თითქოს იკლებს და არც იკლებს, ის დედაკაცი კი არა და არ ჩანს და რად უნდა გამოჩნდესო. თავის თავზე ბრაზობს მახაური. ბოლოს მაინც თვითონაც იქ ჯდება, სადაც დედაკაცები სხედან.

ბიჭი უკვე გამშრალა და ისიც მდინარის პირას ჯდება.

ხმას არავინ იღებს.

შუადღისას ის უცხო კაცი ისევ გამოჩნდება, ნისლებიდან ორჯერ რომ გამოკრთა და მერე ისევ გაქრა. კაცი ისევ იმ ადგილზე დგას და ისევ იმგვარად იყურება, როგორც გუშინ. ქუდი წარბებამდე ჩამოუფხატავს და მიმინოსავით მზირალი, ქოხს თვალს არ აშორებს. მერე ხელს იქნევს და საიდანაც ახლა სხვა ორი კაცი გამოდის. ორს კი ისევ ორი ემატება და ხუთნი ხდებიან. ის ერთი, ადრეც რომ გამოჩნდა, ცოტა წინ წამომდგარა, დანარჩენნი შორიახლოს გაქვავებულან. ნარჩენი შვიდთა თემისა ბრაზობს. ლამის არის კეტს ხელი დასტაცონ: ესენიღა გვაკლდნენო! მობრძანებულა და სხვებიც მოუყვანიაო! რა უნდათ, რას დადიან, ხალხი არ უნახავთო? ამისთანა არაფერი გვსმენიაო... მახაური ქოხისკენ მიდის. ბიჭი ცეცხლს შეშას უმარჯვებს. გარსოს დედა თავის ხარებს ეძახის, კაჭკაჭი ისევ ლოდზე ზის და მდინარის გაღმა იყურება. ის კაცი, იმ ოთხს რომ მოუძღვის, პირდაპირ ქოხისკენ მოალაჯებს და ოთხნიც მორჩილად და საქმიანად მოჰყვებიან. ქუდები ყველას წარბებზე ჩამოუფხატავს. ერთი დედმამიშვილებივით ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. ქოხის წინ ჩერდებიან, წინამძღოლი ქოხში იყურება, იქაურობას ათვალიერებს და ისევ უკან ბრუნდება.

გაშავებული გარსოს დედა ხარებს ეხვევა:

— გამარჯობა მაინც გეთქვათ!

აბრია მახაური გარსოს დედას უყურებს:

— ესეც გაბრაზდა... ეს რა გაბრაზება სცოდნია...

ის კაცი, დანარჩენები ვინც მოიყვანა, ხან გარსოს დედას აკვირდება, ხან ხარებს. ხან ბიჭს და ბერიკაცს:

— ვინა ხართ, აქ რა გინდათ?

გარსოს დედა ხარებს ხელს არ უშვებს:

— ჯერ გამარჯობა გვითხარი, როგორც წესი და რიგია... ეგრე იყო თაობითვე...

კაცი ბრაზობს და მისი ხმა მდინარის პირას ქუხილივით გადადის:

— მე ჩემ მიწაზე ვარ... ეს ჩვენი მიწაა!

კაჭკაჭი ქოხისკენ გამორბის.

— მიწას ვინ გართმევს, შე მიწადასაყრელო!

კაცი ისევ გრგვინავს:

— რა ვიცი, სამი დღეა აქ დასახლდით... ეს ხარები მაინც ვინ მოგცათ?

შვიდნი იყავით, ოთხნიღა ხართ. რომელი ციდან ჩამოფრინდით? ან საბჭო არ იცით, ან თავმჯდომარე, ან მთავრობა? ეგრე ჩიტებივით რო ჩამოსხედით, რომელ ქვეყანაში მიფრინავთ?

ჩიტები ხართო? მიფრინავთო? მთავრობა არ იცითო? — კაჭკაჭი გიჟდება!

— შენ არ იყავი, აქ რო იდექი ხოლმე?

კაცი კაჭკაჭს უბღვერის:

— ხო, მე ვიყავი.

— ამისთვის გაგზარდეთ, ეს იმედი გვქონდა შენი?

— ვინც გამზარდა, იმას თავი დაანებე!

— რა გითხრა რო გაგზარდა, დადექ და სხვებს უყურეო?

შვიდთა თემი შფოთავს, ბობოქრობს, იმუქრება.

შვიდთა თემს ეშინია...

კაცი კი ერთ ადგილზე დგას და იფურთხება.

— სუყველანი გიჟები ხართ!

დანარჩენი კაცები ხმას არ იღებენ, მაგრამ ის ეჭვი, რამაც ისინი აქ მოიყვანა, ოდნავადაც არ ქრება. მარტო იმის გასაგებად მოსულან, რა უნდა აქ, მათ მიწაზე, სხვის ქოხში, უნებართვოდ და დაუკითხავად, რაღაც საეჭვო ხალხს, რომელნიც თავის თავს მგზავრებს უწოდებენ, მაგრამ არც მიდიან და აღარც წასვლას აპირებენ, წვიმას თუ ადიდებულ მდინარეს იმიზეზებენ და, კაცმა არ იცის, ამის მერე რას ჩაიდენენ. ხო, მარტო ამისი გაგება სდომებია მოულოდნელად გამოჩენილ ხუთეულს და რაკი ვერ გაუგია, აღარც რაიმეს ამბობს, აღარც უკან იხევს.

ტყისკენ წასულ კაცებს გარსოს დედის ხმა მისდევს:

— მაინც რად მოხვედით, ვინა ხართ?

კაცები ისევ აქეთ იხედებიან.

— რა თქვი, დედაკაცო?

— მაინც რად მოხვედით, ვინა ხართ-მეთქი!

— სოფელი ვართ, ქვეყანა ვართ...

ხო, შენიშნეს, დაინახეს... პაწაწკინტელა ცთომილი, რომელიც სხვის ორბიტაში შემოიჭრა, უკვე ცნობილი გახდა! სოფელ-ქვეყანა გაოცებულა ამათი გამოჩენით და თავის ცნობისწადილს ვეღარ მალავს: საიდან მოდიან, ვინ არიან, სად მიდიან...

— მზე! მზემ გამოიხედა!

— ღრუბლები სადღა გაქრნენ?

— რა ერთბაშად გაქრნენ!

— აგე, შერცხვათ და გარბიან!

— ჩვენ კი აქ დაგვაბეს და...

— ეს ყორნები საიდანღა მოდიან? ესენიც ამ მზის გამოსვლას ელოდებოდნენ?

— ვერა ხედავ, მდინარეს მოჰყვებიან...

— რამდენნი არიან, სად იყვნენ, სად მოგროვდნენ...

— ჩვენც ეგრე არ გვითხრეს, სად იყავით, სად მოგროვდითო?

— რა უხარიათ?

— მზე უხარიათ, ჩვენ თუ გვიხარია, მაგათ რაღას ვამტყუნებთ?

— აჰა, მზე! სამი დღეა ამაზე ვლაპარაკობთ, გამოვიდა და თითქოს არაფერიო.

— ნაბადი გარეთ გამოიტა, ბიჭო, ნესტიანია, გაშრება!

— ნეტა ეგ ცეცხლი რაღად გვინდა?

— რა იცი, ბებო, იქნებ დაგვჭირდეს?

— ღმერთო მაღალო, მაინც არ დაგვწყიტე გული...

— ერთი გაგვიცინა და ყველაფერი დაგვავიწყდა...

— თუ გზაში არ მოვკვდი...

— ვინ შენა და სიკვდილზე ლაპარაკი, კაცო, ვერა ხედავ, მივდივართ!

— ნუ გეშინია, პაპავ!

— სიკვდილზე ვიფიქრებ? ახლა მაგაზე გავიხეთქამ გულსა. რო ვიცოდე, მართლა ვკვდები, მაშინაც იმას ვიტყვი, ალბათ მეძინება-მეთქი! ძილია, მაშ რა ჯანდაბაა! ერთი ჩემი მიხა სადმე შემახვედრა და, თუ გინდა, ჯოჯოხეთში წამიყვანონ...

— შეგხვდება, ისიც იქ არ არი წასული?

— ეთქვა მაინც რამე და იგრე წასულიყო, ადგილიც კი არ დამითქვა, რა ვიცი სად დამხვდება.

— აბა, ვიჩქაროთ, საცაა შუადღე წამოვა, იქნებ დაღამებამდე ავუსწროთ ჩალაურში...

— რაკი ეს მზე დავინახე, აღარაფრისა მეშინია.

— დედაკაცო, მზად არიან შენი ხარები?

— ესენი სულ მზად არიან!

— ჰა, პაპავ, ავიდეთ ჩალაურში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გზაში არ გვიღალატო, კაცო, ამ აღმართებში თუ კარგად იარე, იქნება შენზე რამე ვიფიქრო... აბა, ერთი წამით ჩამოსხედით, პატივი ვცეთ აქაურობას...

— აჰა, ჩამოვსხედით!

— შენც დაჯექ, ბიჭო, წესია ეგეთი...

მდინარის პირას ოთხივენი ჩუმად სხედან. სოფლიდან ყრუ ჟრიამული მოდის...

— ასე მგონია, მთელი ცხოვრება აქ გავატარე-მეთქი.

— მეც დიდი დრო მგონია...

— შენც რამე თქვი, კაცო, რა უმადური ყოფილხარ!

— რა უნდა ვთქვა, მადლობის მეტი რა მეთქმის.

— ღმერთო, კეთილ გზაზე გვატარე!

— აბა, ხელი მაგრათ ჩავავლოთ ერთმანეთს, მდინარემ არ წაგვიღოს!

— ხელის ჩავლება რად გინდათ, ეს ხარები რისთვის არიან?

— აბა, ბებო, მოდი, შეგსვა, ყოჩაღად დაჯექი, წყალს არ უყურო, თვალები არ აგიჭრელდეს!

— რაღა პირველად მე შევჯდე, შვილო...

— პატივსაცემი ქალი ბრძანდები...

— ეგე, შეჯდეს, რაც არ უნდა იყოს, კაცია!

— ჩემ ხარებთან ნურაფრისა გეშინიათ...

— ოხ, ახლა ჩემი მიხა მიყურებდეს!

— ნეტა, გიყურებდეს...

— ამ კაცს სულ ჩემ გვერდით უნდა ყოფნა, დამინახა თუ არა, თვითონაც შესკუპდა!

— სულ შენი ჯავრი მაქ!

— რა ყეენივით გაჭიმულხარ, კაცო, ხელი მაგრად ჩასჭიდე, არ გადაგაყირაოს!

— ნუ გეშინია, დედაკაცო! ნურც შენ გეშინია, კაცო, სანდო ხარები არიან!

— არ მეშინიან...

— ოხ, ერთი ჩემი მოსამართლე გადამაგდებინა აქა!

— ჰაამო, ხარო, შენი კვნესამე!

— წყალს ნუ აშტერდები, კაცო!

— ჩემ სიცოცხლეში ეგრე მხიარულად არ მიმგზავრია...

უკვე გაღმა არიან.

— მშვიდობით, ჩვენო ქოხმახო!

ქოხი ნელ-ნელა ტყეში იძირება და ბოლოს სულ იკარგება. ბილიკი ხეობიდან უხვევს და სულ ზემოთ და ზემოთ მიიწევს. მერე ისევე ქვემოთ ჩადის და მდინარეს აღმა მიჰყვება. მერე ისევ ფერდობზე მიიკლაკნება და აღმართებზე გადაივლის.

— დაიცათ, სული მოვითქვათ!

— რა დროს სულის მოთქმაა, ახლა დავადექით გზასა.

— ვერა ხედავ, ძლივს მოდის კაცი. აბა, ვინ გამოიცნობს, ჩვენი ქოხი სად იდგა?

— გამოცნობა რად უნდა, ბებო, აგე ქოხიც!

— საით შვილო, აბა გამახედე...

აგე, კლდის გადასწვრივ, ზედ მდინარის პირზე!

— ზედ მდინარის პირზე რო არ იყო?

— აქედანა ჩანს ეგრე...

— დაიცა, დაიცა, დავინახე...

ბილიკი ქედიდან ისევ ქვემოთ ეშვება და ჰალა-ჰალა ასდევს მდინარეს. მზე აცხუნებს, ცაზე ძერა აკეთებს ირაოს საიდანღაც წვრილ-წვრილი ჩიტები მოფრინავენ და ბარისკენ მიიჩქარიან. არწივი გადაჭრის ზეცას და ჭიუხებში გადაიკარგება. ჰალა მთავრდება და მდინარე დიდ ლოდიანებში ექცევა. ვიწროებში მარტო წყლის შხუილიღა ისმის.

— ნახეთ, თუ გზაში არ დავეწიოთ.

— ვისა?

— ჩვენ დედაკაცს.

ბილიკი ქედის თავზე ექცევა. მდინარე ქვემოთ რჩება, რუხი კლდეების ვიწროებში ლურჯად გაწოლილი.

— ცოტაც ჩავყვეთ ბილიკს და დაკისვენოთ.

— ჭამა სულ დაგვავიწყდა, ხალხო...

---

თამაზ ბიბილური

შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

— ბარემ დავნაყრდეთ და მდინარე მერე გავტოპოთ...

ტრაპეზი მწირია. შვიდთა თემი თავადაც მწირდება და ხურჯინიც ღარიბდება.

ჩალაურამდე აღარც ისე დიდი გზა დარჩა და შვიდთა თემი სასოებით ელის იმ წუთს, როცა წინ წასული ბიჭი ქედს თავზე მოექცევა და დაიყვირებს: ჩალაური! ჯერ კი ბიჭი არაფერს ამბობს. ეს მერე იქნება, როცა მზე ქედს იქით გადავა... ჯერ კი მზე მხოლოდ დასავლეთისკენ გადახრილა და წითლად ვარვარებს. ნეტა რა დროა? ეს დრო აუცილებლად უნდა დაიმახსოვროს შვიდთა თემმა: კლდის ქიმზე გადამდგარი კაჭკაჭი ერთბაშად ჩერდება, უკან იხევს და ყვირის:

— აკი ვთქვი, მობრუნდება-მეთქი!

ყველანი მდინარისკენ იყურებიან.

— ეგ რა მოგსვლია, ლელა ლუდუშაურო!

გარსოს დედა შავ თავშალს მოიხდის.

აბრია მახაური ქუდს მიწაზე დაახეთქებს.

ბიჭი მდინარისკენ გარბის.

— სად გარბიხარ, ბიჭო, არ დაგვეღუპო!

— შენი ცოდვა არ გაატანო მაგ უბედურს...

— ატეხილი იყო და აჰა, იპოვნა თავისი გზა!

— წავიდა და მორჩა, შენ რაღას უშველი შავ დღეზე დაბადებულს!

აბრია მახაური ბიჭს ეხვევა და ბიჭი გრძნობს, რომ ბებრებს ის შიში მორევიათ, რასაც ველარა ძალა ვერ დათრგუნავს. ეს ბებრული შიშია, ეს ბებერი მახაური კანკალებს.

ბიჭი ეხუტება ბერიკაცს და ჩურჩულებს:

— ნუ გეშინია, პაპავ...

მდინარეს იმ მიწისფერი და მწუხარლად მზირალი დედაკაცის გვამი მოაქვს, შვიდთა თემის მკვიდრისა, ვინც დიდი ხანი არ არის, რაც დაემშვიდობა დანარჩენებს და ნისლებში გაუჩინარდა. ქალაში გადმოხრილ ლოდებს შორის მოტივტივებს გვამი დედაკაცისა. თითქოს ზღვა ხალხის დათალხულ და თავდახრილ პროცესიას დიდი ადამიანის ამაყი ცხედარი ცისკენ აუზიდავს და სამუდამო განსასვენებლისაკენ მიაქვს. პროცესია მიდის ჩუმად და, ამაყი ცხედარიც, ამ ზღვა ხალხში, ხან გამოჩნდება, ხან ჩაიკარგება, გარშემო „მთელი ქვეყანა" მოგროვილა. ქალაში ჩარიგებული ტირიფები და წნორები თავჩაქინდრულნი დგანან და ყვითელი ფოთლები ნეკერჩხლებისა პროცესიას თავზე ეფინება. შორიახლოს ცხედარს ფრინველთა გუნდი მოაცილებს. რომელიღაც ჩიტი გულამოსკვნილი ტირის. წვრილწვრილი ჩიტბატონები ერთმანეთს გასძახიან, რათა ამბავი ამ უცნაური ცხედრისა მთელ ქვეყნიერებას მოეფინოს. ქალის პირებში გამოსულან ისინიც, ვინც არ უწყის, რა ხდება და ვის მოასვენებენ ესოდენ დიდი პატივით, მაგრამ სიდიადეს პროცესიისა მაინც ყველა მოუნუსხავს და ისინიც, სხვებთან ერთად, ხმის ამოუღებლად აცილებენ ამაყ ცხედარს. ხო, ყოველივე შეთხზული ამბის ავტორის ფიქრში იხატება. ამას ვერ შენიშნავს ვერც კლდის თავზე მდგარი ორი გამშრალი დედაკაცი, ვერც სიკვდილის შიშით აცახცახებული ბერიკაცი და ვერც უფრო ბიჭი, რომელიც ბალახებში ჩამხობილა და სიკვდილის წინაშე საკუთარ უმწეობაზე სხვათაგან დაფარულად, ჩუმად ტირის. ისინი ამბის მონაწილენი არიან და ამბავს შორიდან ვერ ხედავენ. ამბის შორიდან დანახვა მხოლოდ იმას ევალება, ვინც თავს იდო და ამბის ქაღალდზე გადატანა გადაწყვიტა. შორიდან კი ყველაფერი მართლაც ამგვარად ჩანს: ტირიფები მართლა ხრიან თავს, მართლა ფენენ ყვითელ ფოთლებს და ის ტოტზე შემომჯდარი ჩიტიც მართლა გულამოსკვნით ტირის. და თუ ამისი დაჯერებაც არ შეგვიძლია, რაღად მოვდივართ დედამიწაზე, რაღად ვებღაუჭებით სიცოცხლეს, რად გვინდა, რომ რაც შეიძლება დიდხანს ვუყუროთ ზეცას, სადაც ანათებს მზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოდის მთვარე და ვარსკვლავები კრთებიან. ხო, ასე ფიქრობს ამბის მთხზველი, ასე იმართლებს თავს, რადგან, რასაც ის ფიქრობს, ისევე ძველთაძველია და მრავალგზის ნაფიქრი, როგორც თვითონ დედამიწა, ეს მთები, ეს ზეცა და ეს მდინარე, რომელიც ახლა ცხედარს მოასვენებს და რომელიც ამბის მთხზველის თვალში სამგლოვიარო პროცესიას ჰგავს.

— ეგ რა მოგსვლია, შე უბედურო.

— აკი ვთქვი, მობრუნდება-მეთქი...

ქედის თავზე გადმომდგარი მზის შუქი ლელა ღუდუშაურის სახეს ნათლით მოსავს. ორი დედაბერი, ერთი ბერიკაცი და ბიჭი ჩალმა მისდევენ მდინარეს. ქარაფებზე დგებიან, ლოდებს ებღაუჭებიან, ხის ტოტებს ეჭიდებიან, ვიღაცას შესთხოვენ შველას, ერთმანეთს უხმობენ, ერთმანეთს შეშინებულნი ეხუტებიან, რათა ისევ დაიშალნონ, ისევ ცალ-ცალკე გაჰყვნენ დინებას... ხეობის ვიწროებში ჩაღვრილ მდინარეს, რომელიც თავის გზას თავჩაქინდრული აგრძელებს, თავისი საკუთარი ცხედარი მიაქვს.

— ლელა ღუდუშაურო!

— შენცა გძლია წუთისოფელმა?!

— აკი გეხვეწეთ! აკი გემუდარეთ!

— წახველ და ეგე!

— ვერა ნახე შენი ჩალაური, დედაკაცო!

— ხო არ დაგემდურა, უკან ხო არ გამოგაბრუნა!

— ჩვენი წყენა არ წაიღო, დედაკაცო!

— სანამ ცოცხლები ვართ, არ დაგვავიწყდები!

ლელა ღუდუშაურის ცხედარი ლოდებს ეფარება და უჩინარდება. მერე ისევ გამოჩნდება. მერე კვლავ ლოდებს ეფარება, რათა სამუდამოდ გაუჩინარდეს.

დაკრძალვა მთავრდება. შვიდთა თემი ლასლასით აივლის აღმართს და კლდის ქიმზე ხმის ამოუღებლად ჩამოჯდება. ბებრებს სიკვდილისა ეშინიათ. ბიჭს რაღაც სიცარიელე ეჭჯინება ყელში. თითქოს ყველაფერი დასრულდა, თითქოს გზის გაგრძელებამ მნიშვნელობა დაკარგა. შორეული ჩალაური რაღაც უაზრობად იქცა.

— ღმერთო, შეუნდე ცოდვილთ!

ამას გარსოს დედა ამბობს.

კაჭკაჭი ისევ მდინარეს გასცქერის. მახაური ცახცახით მიდის ბიჭისკენ.

— რა პატარა ყოფილა, რა საწყალი...

ბიჭი წამოდგება. აქეთ-იქით იყურება, მდელოსკენ გარბის და ყვავილებს კრეფს, წითელ, ყვითელ, ცისფერ ყვავილებს. კრეფს და თან აქეთ-იქით იყურება... ხო, არასოდეს დაუკრეფია და არც არასდროს მისულა ცხედართან, ეგრე, პირდაპირ, ყვავილებით... ამას ბიჭი საკუთარი თავის დაუკითხავად აკეთებს, ეტყობა ასეა საჭირო, ამგვარია წესი, თაობითვე ასე ყოფილა, და რაც თაობითვე ყოფილა, ის ამ ბიჭის სისხლში ტრიალებს და ყველაფერს სწორედ ისე აკეთებინებს, როგორც იყო, როგორც ყოფილა. ბიჭი კლდისკენ მიდის, აქეთ-იქით იყურება და ისე, რომ სხვებმა ვერ დაინახონ, ყვავილებს მდინარეს ატანს.

მახაური თავის ცივ ხელებს მზისკენ იშვერს. ხელები ცახცახებენ. მახაურს არ უნდა, რომ ბიჭმა დაინახოს ეს გამოფიტული და აცახცახებული ხელები, მაგრამ ბიჭი დიდიხანია ყველაფერს ხედავს. ღმერთო, შემაძლებინე იქამდე ასვლა, ღმერთო, სადმე გზაში ნუ მომკლავ... ამ დედაბრის ცხედარმა დასასრული უფრო ახლოს მოიყვანა. სიკვდილი უკვე აქვე, ჭალაში ტრიალებს. ის სიკვდილი კი არა, რომელმაც დედაბრის სული მიიბარა, მახაურის წილი სიკვდილი, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია დარაჯობს, მარნის ღრიჭოებში იჭვრიტება, შუაღამისას სახლის კარს მოადგება და ყოყმანობს, მივიდე თუ არაო. სწორედ ეს სიკვდილი იყო, ჩუმად რომ ჩაიცინა, როცა მახაურმა თა-

ვისი ნაბადი აიღო, საკუთარი ეზო სირბილით გადმოიარა და გზას დაადგა. ბრძენი ვარო, სიკვდილმა, და ბრძენი კი არა ყოფილა... იმას ეგონა, მე გამექცაო, ჩემი შეეშინდა და იმიტომ გარბისო. შენ კი არა, ჩემ თავს გავექეცი! განა არ ვიცი, ჩემი წილი რომ ხარ და სადაც წავალ თან გამომყვები... იმ წუთიდან, რაც საკუთარ ეზოს გადმოსცდა, მოდის მახაური და თან მოსდევს, გაჩერდება მახაური და ისიც გაჩერდება. არაფერი აქვს, არც სული, არც ხორცი და მახაური მაინც ზედ ყურის ძირში გრძნობს მის სუნთქვას. ის მახაურთან იყო მაშინაც, როცა წვიმდა, როცა ქოხი იპოვეს და როცა შვიდთა თემი ისე დამკვიდრდა, თითქოს სულ ერთად იყვნენ, ერთად გაატარეს წუთისოფელი და დარჩენილი დღეების გატარებასაც იქ, იმ ქოხში აპირებდნენ. მაშინ ცოტა შერცხვა, ცოტა ხანსაც მოვუცდი, რა მენაღვლებაო, ჩაიცინა და შორიახლოს, ჭალაში დაიბუდა, იქ ათევდა ღამეს, იქ ელოდა მოთმინებით, როდის აიყრებოდა შვიდთა თემი, შვიდთა თემი კი არა, ეს საცოდავი მახაური და როდის დაადგებოდა გზას, რათა ისევ უკან გაჰყოლოდა და თავისი თვალით ენახა, როდემდის გაუძლებდა ამ გზას, როდემდე ეყოფოდა სადღაც სხეულში ჩარჩენილი ერთი ბეწო ძალა, უფრო მეტად კი ის ჯიუტი სული, რომელიც არა და არ ტოვებდა ბერიკაცის მიმქრალ სხეულს. აქ იყო, სულ ახლოს და მახაური მარტო იმასღა ევედრებოდა, ბარემ ეს ერთი გზაც ეპატიებინა, ბარემ აევლო უკანასკნელი აღმართი და მერე რაც უნდოდა ის ექნა, საითაც უნდოდა იქ წაეღო მისი სული. ღმერთო, შემაძლებინე იქ ასვლა! ამ სიტყვებს მახაური ერთხელაც იტყვის, სწორედ იმ უკანასკნელ აღმართზე, რომელმაც ჩალაურში უნდა აიყვანოს. მაგრამ ჯერ ჩალაური ისევ შორს არის. მახაური ჯერ აქ არის, ამ კლდის თავზე მზისკენ ხელგაშვერილი და მაცქერალი იმ ბიჭისა, რომელიც არა და აღარ არის უცხო და გაოცებული მახაური იმასაც კი ფიქრობს, რად უნდა ყოფილიყო ეს ბიჭი ოდესმე უცხო, მარტო სხვისი შვილი ან სხვისი შვილი-შვილი. მახაურს უნდა ბიჭს რამე უთხრას, ჯერ რომ არ უთქვამს, იმგვარი, მაგრამ ვერაფერს ამბობს. თავის აცახცახებულ ხელებს მალავს და მდინარეს გასცქერის. ბიჭიც თითქოს ყველაფერს ხვდება, ან ვერაფერს ვერ ხვდება და ცისკენ იყურება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ყოფაში არიან?

— ხო, ყორნები ტრიალებენ! ცხედრის ამბავს პირველად ყორნები წაიღებენ-ხოლმე.

სამგლოვიარო პროცესიამ, ახლახანს რომ მდუმარედ და თავდახრილმა ჩაიარა, კლდის თავზე, სადაც ის ოთხნილა ისხდნენ, შიში დატოვა. შესაძლებელი რომ იყოს, აქ, ამ კლდის თავზე დარჩებოდნენ და სამუდამოდ დაივიწყებდნენ იმ დღეს, როცა პირველად ჩალაურის გზას დაადგნენ. მათ ეშინიათ დარენილი გზისაც და თვით ჩალაურისაც, საიდანაც პირველ მაცნედ სწორედ სიკვდილი წამოვიდა. ბიჭი შორიახლოს დგას და ბებრებს შესცქერის. ბებრები კვლავ მდუმარედ სხედან და კვლავ იმ გრძლად გაწოლილ მდინარეს გასცქერიან, რომელმაც ღელა ღუდუშაურის გვამი ბარისკენ წაიღო. ფეხზე ადგომა არც ერთს არ უნდა. ფეხზე ადგომა გზის გაგრძელებას ნიშნავს. გზა კი თავისი მდინარით, კლდეებითა და აღმართებით, მხოლოდ შიშითაა სავსე, რადგან ამ გზამ, ამ მდინარემ და ამ კლდეებმა დააბრუნეს უკან ღელა ღუდუშაური.

ბიჭმა არ იცის, რა თქვას, რითი გადარეკოს ეს ბებრული შიში...

— არ გითხარით, რაზე მივდივარ ჩალაურში?

ბებრები ხმას არ იღებენ.

— ჩემი ვირია იქა... მწყემსებს წაუყვანიათ...

ვირის ხსენებაზე კაჭკაჭი წამოდგება და იღიმება:

— ვირი რად გინდა, ბიჭო? რაღა დროს შენი ვირია.

— რატომაც არ მინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრია მახაური და გარსოს დედა ბიჭს უყურებენ.

მერე ყველანი იცინიან.

გამარჯვებული ბიჭი ამბობს:

— ახლა კი წავიდეთ...

ბებრები ვაი-ვაგლახით დგებიან ფეხზე.

წინ ბიჭი მიუძღვით, მერე აბრია მახაური მიდის, მერე — კაჭკაჭი, ბოლოს გარსოს დედა — თავისი ხარებით.

— თუ ვინმე დაიღალოთ, ხარზე შეჯექით...

ხმას არავინ იღებს. ხარზე შეჯდომა არავის უნდა.

ბილიკი ისევ ჭალაში ჩადის და იმედიც ისევ იკარგება, რომ ის წყეული ჩალაური ოდესმე გამოჩნდება.

მდინარის პირას დგანან და ფონს ეძებენ.

— ალბათ აქ ჩაითრია...

ბიჭმა არ იცის, ახლა რაღა თქვას და იმ სიტყვებს ამბობს, რაც დღეს ბევრჯერ უთქვამს:

— ნუ გეშინიათ...

ბებრები ერთხმად ამშვიდებენ:

— რათ უნდა გვეშინოდეს?

— არაფრისაც არ გვეშინია.

— რაც მოსასვლელია, მოვიდეს...

ოთხივენი ერთმანეთს ჰკიდებენ ხელს. ბიჭს ცალი ხელი ხარის რქაზე უჭირავს და მდინარეში შედიან.

წყალი ცივია. ფეხებს ქვები ეხეთქებიან. მიწა ირყევა და ფეხქვეშ სიცარიელე რჩება.

— ხო, აქ ჩაითრევდა....

— შეიძლება ეგრეც იყო.

— რა იცი, მდინარეა...

მერე ისევ აღმართი იწყება.

— ამას მერე კიდეა აღმართი?

მაგრამ არავინ არაფერი იცის. ჩალაურში არავინ ყოფილა.

— დაიცა, სული მოვითქვათ...

— რა დროს სულის მოთქმაა, მზე საცაა ჩავა.

— აბა სად არი მზე?

— აგე, ქედებისკენ გადაიხარა.

— აქ ხო არ ჩავრჩებით, ამ კლდეებში.

ბებრები ლოდზე სხედან და კვლავ ეძნელებათ წამოდგომა. ისევ იმ დედაკაცზე ფიქრობენ: იმ დედაკაცის გვამმა ჩაიარა... ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს? წერტილი უკვე დაისვა და გზის გაგრძელებამ აზრი დაკარგა. ამბავი დასრულდა. ამბავმა ჩალაურში ასვლას არ დაუცადა და ახლა ამოდენა აღმართის ავლა და ძებნა იმ ჩალაურისა იმგვარ გაუგებრობად იქცა, რომლის დაძლევაც დაღლილ ბებრებს აღარ შეუძლიათ. მთავარი ეს გზა და ამბავი ყოფილა! ამისთვის წამოსულან და არა იმ რაღაც ჩალაურისათვის, რომელიც არის კიდევ თუ არა, არავინ იცის. მახაური ამ მდინარის პირას, საიდანაც ახალი აღმართი იწყება, მოკვდებოდა კიდევაც, თუ არა ის რაღაც ვალდებულება, ამ ორ დედაკაცთან და განსაკუთრებით ამ ბიჭთან რომ აკავშირებს. გარსოს დედა თავის ხარებს ზედაც აღარ უყურებს და მარტო იმაზეღა ფიქრობს, ღირდა თუ არა ამოდენა გზაზე ამ ხარების გამორეკვა, იყო კი „ხარების ამბავი“ ამხელა, რომ ამოდენა გზას და ამოდენა ფიქრებს გასწვდენოდა? სად იმ დედაკაცის ჩალაური, ღამეც კი რომ ესიზმრებოდა და სად ჩემი ჩალაური, მარტო იმისთვის რომ მჭირდება, ცოტა ხნით ეს ხარები გადავმალო და მერე ისევ უკან დავბრუნდე... ეს ფიქრი არ ასვენებს და ამ დედაკაცისათვისაც ჩალაური უაზრობა ხდება, ამის თვალშიც მთელი ამბავი მაშინ დასრულებულა, როცა ის დედაკაცი „ჩაატარეს“. ხო, გარსოს დედას თავის ხარების ამბავი ერთი ბეწოდ ეჩვენება და მარტო იმასღა ფიქრობს, როდის დასრულდება ეს გზა და როდის დადგება ის დღე, როცა ეს რაღაც ჩალაური შორეული სიზმარივით გაახსენდება. კაჭკაჭმა არ იცის, რა ქნას: მოდი ამ ხარზე შევჯდები და თვალებს დავხუჭავ, სადაც უნდა, იქ წამიყვანოს, გინდა ჩალაურში, გინდა ჯანდაბაში, ოღონდ დამთავრდეს

ამოდენა გზა და ოღონდ ერთხელ კიდევ მომალხინა ჩემ შვილებსა და შვილიშვილებშიო. ბიჭს სხვა ფიქრი აწუხებს. მისთვის ჩალაური მარტო ის ადგილია, სადაც ეს ბებრები უნდა აიყვანოს, ამათი გზაში დარჩენა არ შეიძლება, ზურგით რომ ატაროს, მაინც უნდა აიყვანოს...

ბილიკი ახლა დიდ ყვითელ ლოდებს შორის ადის.

ლოდებზე ჯოჯოები სხედან და ამ უცნაურ მგზავრებს თვალგაშტერებულნი აცილებენ.

ქვიშაში ხვლიკები დაძვრებიან.

— აქ წყეულიც იქნება...

— ჩვენ რას გვერჩის...

— ეგრე გეგონოს...

— ვიღაცა გვძრახავს, იცოდეთ.

— ნეტა თუ ვინმეს ვახსენდებით...

— რატომაც არა, დედა ენაცვალოთ... ექვსნი ტყუილად გავზარდე?

— იციან აქ რო ხარ?

— რას ამბობთ, აქ გამომიშვებდნენ?

ზემოდან ქვები ცვივა და შეშინებული ბებრები ლოდებს ეფარებიან. ქვები ხრიალით გადაჭრიან ბილიკს და ქვემოთ, მდინარეში ცვივიან.

— ეჰეი, რომელი ხარ მანდა!

— ეს რა სეტყვა დაგვაყარე!

— ვერა ხედავ, მგზავრები ვართ!

— არავინ არ იქნება, ნადირი გადაირბენდა, ან არწივი დაჯდებოდა.

— ნადირი გადაირბენდაო? — და ბებრებს ახლა ნადირისა ეშინიათ.

არაფერი არ მინდა შენი, ღმერთო, — ჩურჩულებს აბრია მახაური და თან ოფლი ღვარად ჩამოსდის. — ეს ერთი თხოვნა არ დამამადლო, ეს აღმართი ამატარე, აქ ნუ მომკლავ. ამ ბიჭს ნუ გაუხდი ჩემ თავს სათრევად. ვიცი, აქ არ დამარჩენს... არც ეს დედაკაცები დამარჩენენ. ამატარე ეს აღმართი. დავწვები მწვანე ბალახზე და მაშინ რაც გინდა, ისა ქენი... ბიჭი წავა და ჩემ გიორგის ეტყვის, აბრია მახაური კვდებაო...

— ხო არ დაიღალე, პაპავ?

— რა დამღლიდა?

— ნუ გეშინია, ერთი აღმართი და მორჩა...

— ჩვენ აღარ გვეკითხები, ბიჭო?

— შენ რა კითხვა გინდა, ბებო.

აღმართი კი არ ილევა. ყვითელ ლოდებს ზემოთ ისევ ყვითელი ლოდები ჩანს, მზე ვარვარებს. ცაზე ირაოს აკეთებს არწივი. ყორნები ისევ თავს დასტრიალებენ მდინარეს და კაჭკაჭი პელო ამტკიცებს, რომ იმ საწყალი დედაკაცის ცხედარს მიჰყვებიან. „ბანზე გადმომდგარი“ ჯოჯოები ისევ იყურებიან გაყინული თვალებით. ერთი მოსახვევის შემდეგ კვლავ მეორე მოსახვევი ჩნდება, ერთი ფერდობის ზემოთ ახალი ფერდობი იწყება.

— აბა, დაწინაურდი, ბიჭო, გადაიხედე, არ გამოჩნდა?

— ახლავე, ბებო!

ბიჭი წინ გარბის და მალე თვალს ეფარება. ბებრები ქვებზე სხდებიან. ხარები ქვის ქვეშ ამოფარებულ ეკალა ბალახს წიწკნიან. აბრია მახაური ოფლში ცურავს. გარსოს დედა თავშალს იხდის და სახეს იმშრალებს. კაჭკაჭი ზემოთ იყურება.

— არ გეყურება, ბიჭო!

— ხოოო!

— გამოჩნდა?

ბიჭი ხმას არ იღებს.

— გამოჩნდა-მეთქი?

— ჯერ არა...

არ გამოჩენილა, არაფერიც არ გამოჩენილა. ის რაღაც ჩალაურია, ან იმალება, ან სულაც გამქრალა და გადაკარგულა. ბებრები ერთმანეთს უცქერენ და ამ წუთში სამივე იმას ფიქრობს, რომ აქედან ფეხსაც ვეღარ მოიცვლიან, აქ მოკვდებიან და ეს ქრისტიანი ბიჭი აქ მოიყვანს ყველას, ვისაც ამ სამი ადამიანის სიკვდილი რამედ უღირს. ჩალაური მართლა აღარ არსებობს, ჩალაური არსად აღარ არის, და რაც არ არის, ის ალბათ აღარასოდეს გამოჩნდება. ამოდენა აღმართი მხოლოდ ზეცაში შეიძლება მიდიოდეს, მხოლოდ ზეცას არა აქვს დასასრული. ზეცამდე

სიარული კი ბებრების ულონო სხეულებს უკვე აღარ შეუძლიათ. ზეცაში მათი სულები თუდა წავლენ.

— აბა, გელოდებით! — იძახის ბიჭი.

ბებრები ერთმანეთს შესჩქერიან.

ჯერ გარსოს დედა წამოდგება, ხარებს წქეპლას გადაჰკრავს და გზას დაადგება. მერე კაჭკაჭი პელო ისწორებს თავშალს, ჩამოიბერტყავს კაბას და ბილიკს ქოთქოთით მიუყვება.

აბრია მახაური მარტო რჩება.

ქალები მიდიან და უკან არ იხედებიან.

აბრია მახაურს გული სწყდება.

— აღარ მოდიხარ, კაცო!

— მოვდივარ, მოვდივარ...

აბრია მახაური ძალას იკრებს, თავის ჯოხს ეყრდნობა და ბილიკზე ლასლასით მიდის.

— ხარზე გადაჯექი, კაცო!

— ხარი რაღაა? ხარი არ არი ცოდო?

კაჭკაჭი იცინის:

— მაინც რო თავს გვაწონებს?

მახაურს უნდა, რომ გაუცინოს, მაგრამ ძალა არ შესწევს. დასასრული მახაურის დიდი გზისა სადღაც, აქვე უნდა იყოს, ან იქ, ბილიკი რომ ისევ ზემოთ უხვევს, ან იმ ლოდების თავზე, ბილიკს რომ ფარავენ და იმას იქით რა არის, არც ერთმა არ იცის. მახაური ბიჭს ანიშნებს, ახლოს მოდიო და ბიჭიც მოდის. მახაურს უნდა რამე თქვას, მაგრამ დედაკაცებისა ერიდება, ბიჭი გვერდზე გაჰყავს და ყრუდ ამბობს:

— თუ რამე მოხდეს...

— რა უნდა მოხდეს, პაპავ...

— თუ რამე მოხდეს, ან აქ, გზაზე, ან ცოტა ზემოთ, მაშინვე გაიქეცი... ჩალაურს გადასწვრივ მწყემსები იქნებიან. გიორგი იკითხე, შენოდენა ბიჭია... პაპაშენი აქ არი, აქა კვდება და შენა გკითხულობსთქო... მაშინვე წამოვა, კარგი ბიჭია...

— რას ამბობ, პაპავ.

— რას ამბობ კი არა, ეგრე გააკეთე...

მახაური ჩუმდება. მერე ისევ რაღაცის თქმას აპირებს.

— თუ ვერ მომისწროს, უთხარი, მოდიოდა და სულ შენზე ფიქრობდათქო.

— კარგი, პაპავ, ნუ გეშინია...

— არაფრისაც არ მეშინია...

დედაკაცები დგანან და დასალიერისაკენ იყურებიან. მზე საცაა ჩავა. გრილი ქარი უბერავს. ქედის თავზე უძრავად დამხობილან თეთრი ღრუბლები. ყორნები კვლავ ქვემოთ, ხეობის თავზე ყრანტალებენ. გარშემო მხოლოდ მთებია და უკაცრიელი სივრცე. მზე მართლა საცაა ჩავა და ამ ლოდებში ბიჭი ამ ბებრებს ვერ დაარჩენს. უნდა იარონ, უკანასკნელი ძალა მოიკრიბონ და გზას დაადგნენ, ეს ბერიკაცი უნდა დაადგეს გზას! ქალები ივლიან, ქალები ხმას არ ამოიღებენ...

ბიჭი იცინის:

— მართლა შენი ქმარი იყო მიხა, ბებო?

— მიხას გზაზე იაროს ჩემმა აქ გამამგზავნმა.

ახლა ყველანი იცინიან და სიცილთან ერთად, დროა, გზასაც დაადგნენ.

— აბა, ერთხელაც აირბინე, ბიჭო, გადაიხედე არ გამოჩნდა ის დაწყევლილი ჩალაური?

ბიჭი წინ გარბის.

აღმართებიდან ცხადად ისმის ბიჭის ფეხის ხმა და ქვიშის ხრიალი.

მერე ფეხის ხმა წყდება.

ბებრები ელიან.

— გამოჩნდა! — ყვირის ბიჭი.

●

ბებრები ქედის თავზე მოქცეულ ველზე მიდიან. უკვე აღარსად ეჩქარებათ. მთავარი ის გზა ყოფილა, ის აღმართები, რომელიც უკვე უკან დარჩენილა და ამიერიდან წარსულში უნდა ჩაიძიროს. სიცარიელის გრძნობა ყველას აკრთობს და ყველა მზად არის ერ-

თმანეთს უთხრას: მოვედით ჩალაურ-
ში? ეს იყო ყველაფერი? შორიდან კი რა დიდი ამბავი გვეგონა... ჩალაური...

„შვიდთა თემიდან“, ერთ წვიმიან დღეს მდინარის პირას რომ დასახლდა და ისე იცხოვრა, როგორც მთელ გრძელ წუთისოფელს შეჰფეროდა, ქედის თავზე ოთხნიღა არიან: აბრია მახაური; გარსოს დედა თავისი ხარებით — ბოსელათი და ლაღათი; პელო ბებო, რომელსაც კაჭკაჭს ეძახდნენ; ბიჭი, რომელსაც გელა ჰქვია.

აბრია მახაური ღმერთს მადლობას სწირავს.

— ახლა რაც მოსასვლელია, მოვიდეს...

შორიდან ყეფით გამორბიან ძაღლები.

ძაღლებს კაცები მოსდევენ.

ვიღაც ორი ცხენოსანი გამწარებული მოაჭენებს.

ბებრები ერთმანეთს ეკვრიან. რა ხანი გასულა, რაც ერთად არიან, რაც ერთად მოდიან და ერთმანეთის მეტი აღარავინ იციან... სხვა დანარჩენს გადაჩვეულან. დანარჩენები გამქრალან და ახლა, ამათ დანახვაზეღა გაულვიძიათ, ჩვენც აქა ვართ, ხო არ დაგავიწყდით, ამ დედამიწის ზურგზე მარტო თქვენ არა ხართ, წუთისოფელი დიდია, თქვენ კი რაღაც სამნი დარჩენილხართ და ასე გგონიათ, ყველაფერი, სხვა დანარჩენი, დაგვიწყებიათო. „დანარჩენები“ ხმაურით, ცხენის ფლოქვების თქარა-თქურით და ქოფაკების ყეფით მოდიან:

— გარსოს დედავ, უჯიათი დედაკაცი ხარ! რა გეგონა, ველარ შევხვდებოდით?

გაოცებული მახაური გარსოს დედას შესცქერის. ჩალაური აღარ არსებობს, აღარც ის გზა, ჩალაურისკენ რომ მოდიოდა. აღარც ის ვნება, მახაურის გაცვეთილ სხეულში რომ ცახცახებდა. ამ წუთში მარტო ეს დედაკაციღაა, თავისი გაოცებული თვალებით, ისეთი ნაღვლიანი თვალებით, მის ხარებს რომ აქვთ, თავისი ბრტყელი, ნაჯაფი ხელებით და უმწეო ღიმილით, ახლაღა რომ დასცდა, ამ ცხენოსნების დანახვაზე, თავის ორ ხარს შორის ჩამდგარს და ლოდინით შეპყრობილს:

— თქვი რამე, დედაკაცო! — ყვირის მახაური და თვითონაც არ იცის რატომ ყვირის.

დედაკაცი თავისთვის ჩუმად ამბობს:

— ის ჩვენი თავმჯდომარეა. მეორეს ვერა ვცნობ...

მახაური ისევ დედაკაცის გაოცებულ თვალებს შესცქერის, რომელშიც ყველაფერი იკითხება: შიში, წყრომა, სიბრალული...

და დედაკაცი ისევ იღიმება.

— როგორ დამშვენდა ღიმილი... — ფიქრობს მახაური.

დედაკაცი კვლავ იღიმება და ისე მშვიდად, თითქოს არც ამოდენა გზა გამოევლოს და არც ამოდენა შიში გამოეცადოს, თავისთვის ამბობს:

— ღმერთო მაღალო, მარტო ჩემი ხარებისათვის მოუცლიათ.

მერე ხარებს ხელს გაუშვებს, მახაურისკენ მიდის, მის წინ ჩერდება და თითქოს მარტო მას ეუბნება:

— როცა ხარები შინ იყვნენ, ასე მეგონა, ოჯახში კაცები ტრიალებენ-მეთქი.

მერე მიიხედ-მოიხედავს, თითქოს იქვე მდგარ ბიჭსა და კაჭკაჭს ახლაღა დაინახავს და ყველას გასაგონად ხმამაღლა ამბობს:

— ხო, თითქოს კაცები ტრიალებენ-მეთქი!

●

მზე ჩავიდა.

„შვიდთა თემიდან“ სამნიღა დარჩნენ: აბრია მახაური, პელო ბებო, რომელსაც კაჭკაჭს ეძახდნენ და ბიჭი, რომელსაც გელა ჰქვია. გარშემო ყველაფერი მდუმარე სიცარიელეში ჩაძირულა. ერთმანეთზე გადახლართული ქედები და ხეობები ერთ მთლიან ცისფერ სივრცეს ქმნიან, არარსებულს და მარადიულს. ეს სივრცე არც მყარია, არც ნამდვილი. ნაბიჯიც რომ გადადგა, ვე-

ღარაფერს დაებჯინები, ფეხქვეშ მიწა გამოგეცლება და რაღაც დაუსაბამო და უძირო სამყაროში გადაეშვები.

მახაური ყვავილებით მოჩითულ ველისკენ მიდის და სახლიდან გამოქცეულ ბებერ ცხენს გავს.

მახაური გულაღმა წვება ბალახზე.

გელა აღარსადა ჩანს, აღარც ის დედაკაცი, კაჭკაჭს რომ ეძახდნენ.

მდელო ლურჯი და ყვითელი ყვავილებითაა მოფენილი. შორს თეთრი ცხენები სძოვენ ბალახს. სადღაც, ცის ქვეშ, ცხვრის ფარა შეხიზნულა. საიდანღაც ვიღაც ცხენოსანი მორბის, სადღაც ძაღლები ყეფენ. სადღაც სახედარი ყროყინებს. ცის თაღზე ერთი პატარა ჩიტი ფართხალებს. მახაური ველარაფერს ხედავს. მის სხეულს საამო მოთენთილობა ერევა, სხეული რაღაც შეუცნობი ბედნიერებით თრთის და ის წამი დგება, როცა აღარაფერი სურს, გარდა უსაზღვრო დუმილში ჩაძირვისა. გაელვება წამიერი ბედნიერებისა მახაურის სხეულს ნათლით მოსავს და არაფერი არღვევს ამ ბედნიერებას, არც ჩქამი, არც რამ სიტყვა კაცთაგან ნათქვამი... სამყარო ჩუმდება მახაურის ბედნიერების წინაშე და უცდის, ვიდრე ბერიკაცის დალეული სხეული ბედნიერებით პირთამდე აივსება.

●

მზიან შუადღეს მთის ბილიკზე ეშვება მხიარული სახედარი.

სახედარზე კაჭკაჭი პელო ზის.

ბიჭი, რომელსაც გელა ჰქვია, წინ მოუძღვის.

კაჭკაჭი პელო გაბრწყინებულია! გოგუცუნობის მერე სახედარზე აღარა მჯდარა და ყველაფერი თითქოს თავიდან იწყება. ამ ბიჭის სახედრით ჩავლილი ამოდენა გზა მის ცხოვრებაში მარად დაუვიწყარ და, შეიძლება, უკანასკნელ ბედნიერ ამბადაც დარჩეს. ინაზებოდა, ამ სიბერეში ქვეყნის სასაცილოდ ნუ გამხდი, ბიჭოო, ხალხი რას იტყვისო? ხალხს სადა ხედავ, ბებო, გარშემო მარტო ცარიელი მთებიაო! ახლა ჩემმა მძახალმა რო დამინახოს, მეტიც არ უნდაო, ეგე, მაგის ღირსი იყავი და აფრიალე მანდილიო! და მაინც ის წუთი, როცა კაჭკაჭი სახედარზე ჯდებოდა, დიადი წუთი იყო... ბიჭი მიხვდა ამ სიდიადეს და გულში თავის სახედარს სთხოვა, მასაც ეგრძნო სიდიადე ამ მოგზაურობისა, რათა თავისი ვალი ისევე ღირსეულად მოეხადა, როროგორადაც ბევრჯერ მოუხდია.

— აღარც ჩალაური მინდა, აღარც აღარაფერი. წამიყვა, ბიჭო, ჩემ შვილებთან. ეს რა ლაჯუნი დავიწყე ამ სიბერეში — ჩივის დედაკაცი.

— რა გითხრა იმ დედაკაცმა, ბებო? — ეკითხება გელა.

— რომელმა?

— მოწმეთ რო გინდოდა...

— იჯდა შუა ეზოში და გაშტერებული მიყურებდა... ჩავძახე, დუდან, მამხედე, მე ვარ, პელო მეთქი... რომელი პელოო? ღმერთმა რო არ იცის შენი თავი და ტანი მეთქი... გამოვბრუნდი და წამოველი...

ცხელა, შუადღეა. ცა მოკრიალებულა. დაწმენდილი მდინარე მოჩხრიალებს. ზლაყუნითა და სიცილ-ხარხარით ეშვებიან:

— ხელი არ გამიშვა, შვილო!

— წელში გაიმართე, ბებო, ნუ გრცხვენია!

— რისი უნდა მრცხვენოდეს, ბიჭო, განა უცხო ვარ, ახლობელი ვარ შენი! პაპაშენი რო ადრე შემხვედროდა, შენი ბებო მე ვიქნებოდი...

— რატო არ შეგხვდა...

— აბა, ნელა, ნუ გაუტიე, კინაღამ შვილიშვილო!

— ნუ გეშინია, კინაღამ ბებო!

სახედარი მოჩაქჩაქებს.

მდინარე ხარხარებს.

პირიმზეები იცინიან.

დეკიანები თვალს აყოლებენ და ისინიც ხარხარებენ.

—პაპაშენს ჩემი მოკითხვა უთხარი!

---

თამაზ ბიბილური

შვიდი ხმისა და ტორილასათვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ცოლის შერთვა დააპიროს, მე გამაგებინეთ, აფსუს, რა დროს მოკვდა, ჩემ დობილს გავურიგებდი, იმას, ნივთები რო მამპარა.

— მე შენს მეტი ბებო არ მინდა!

— რა ვქნა, ჩემ მიხას ვერ ვულალატებ, რალა სიკვდილის წინ წავიწყმიდო სული?

მდინარე ისევ ხარხარებს.

სახედარი წყაროსთან ჩერდება. დედაბერი მუჭით წყალს იღებს, სახეზე იხხამს და ჩუმად ამბობს:

— ხუმრობა იქით იყოს ბიჭო, და თუ კიდევ ვიცოცხლე, თუ ერთ მშვენიერ დღეს გაგახსენდეს, ნეტა სად არი ახლა ის დედაკაცი, მთელი ოთხი დღე, რაც ენაზე მოადგებოდა, სარეკელასავით რო არაკუნებდაო, თუ ვაჟკაცი ხარ, იმ წუთში ადექი, გზაზე გამოვარდი, ჩვენ სოფელში ჩამოდი და მნახე.

— კარგი...

— კარგი კი არა, მართლა მნახე.

— გნახავ, რატომაც არა გნახავ...

— აი, მაშინ ვიტყვი, წუთისოფელი რა კარგი ყოფილა-მეთქი.

მდინარე ისევ ხარხარებს.

— ვითომ მართლა ნახავს? — იცინის ჯაფარა.

— თქვან, შენ რა გენაღვლება, — შრიალებენ ვერხვები.

სითბოს და ალერსის დღეა.

ირგვლივ დიდი, ლურჯი მთები დაყუდებულან.

მთებზე წვანან თეთრი ღრუბლის ქულები.

წუთისოფელი მართლა ლამაზია.

●

აქ მთავრდება ჩალაურის ამბავი, როგორც ნამდვილად იყო, როგორც ნამდვილად მოხდა... როგორ მოკვდა აბრია მახაური, რომელსაც სიკვდილის წინ მხოლოდ ერთი სურვილი ქონდა, ყველა დაეთხოვა და მარტო თავისი შვილიშვილისთვის ეცქირა? სიკვდილით მაინც ჩემ ნებაზე მომკალითო — ამბობდა ბერიკაცი, მაგრამ რაკი არც სიკვდილი მოდის ჩვენს ნებაზე, შეიძლება მახაურის სიკვდილიც სულ სხვანაირად მოხდა. მახაური სწორედ იქ წაიქცა, სადაც ჩალაურის მაღმა გაწოლილი უსაზღვრო და უძირო სივრცე იშლებოდა. ამის იქით კაცთა მოდგმა მხოლოდ ვარაუდებში იხლართება, რადგან აქედან ის გზა იწყება, რომელზე წამსვლელიც ბევრი გვინახავს, ამბის მომტანი კი აღარავინ. შეიძლება სწორედ იმ დროს, როცა მახაურის ცა ჩამობნელდა, ხო, სწორედ იმ დროს გახდა ყველაფერი ნათელი, ყველაფერს მოეძებნა უბრალო და გასაგები პასუხი: მახაურმა მიაგნო ჭეშმარიტებას! მაგრამ სიკვდილს მახაურის მიგნებული ჭეშმარიტებაც, როგორც ბევრი სხვა რამ, პაწაწკინტელად მოეჩვენა და ამის გამო თქმაც არ დააცალა, რადგან სიკვდილიც იმ დიდი და დაუსაბამო სამყაროდან მოდიოდა, რომლის ბოლომდე შეცნობაც არავის ძალუძს. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, ანუ ფიქრი კაცისა, რომელსაც სამყაროს უსაზღვროება პაწაწინა პლანეტას მოსწყვეტს და სადღაც შორს, მისთვის მიუწვდომელ სივრცეში წაიყვანს.

შეთხზული ამბის ავტორი ამბობს, რომ იმ წუთში, როცა ყვავილებით მოჩითულ მდელოზე გულაღმა მწოლი მახაური სიკვდილს ხვდებოდა, ცაზე ტრიალებდა პატარა ჩიტი, რომელსაც დედამიწის ერთ ნაგლეჯზე ტოროლას ეძახიან.

ტოროლამ ერთბაშად იგრძნო, რომ ზემოთ აფრენა აღარ შეეძლო, სხვა დროს კი როდის აღარ აფრენილა, სწორედ ლაჟვარდის იმ კამარაში, სადაც ყველაზე უფრო ლაღად სტვენდა, ყველაზე უფრო აუხსნელი სიხარულით თრთოდა. მიიხედ-მოიხედა და უკვე სრულიად მარტო იყო. ის ქინი მაღალ სივრცეთა მოხილვისა, უკვე გამქრალიყო. ლაჟვარდი უფრო და უფრო ზემოთ რჩებოდა, დედამიწა კი ახლოვდებოდა. სიხარულს კი არა, მხოლოდ დაღლილობას გრძნობდა. ლაჟვარდის შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეული კამარა აღარაფერს ეუბნებოდა. და ტოროლამ შიშით გაიფიქრა: „მგონი კვდები“. გაიფიქრაო, ამას ამბის მთხზველი იტყვის, თორემ ტოროლა მხოლოდ უსტვენდა, და თუ ისევ ამბის მთხზველს დავუჯერებთ, ტოროლა, სიკვდილის სიმღერას მღეროდა — გაქრობის შიშზე, ამქვეყნად მოსვლის ამაოებაზე, არარაობად ქცევის გარდუვალობაზე... მაგრამ ტოროლამ ეს არ იცოდა, მხოლოდ ხმას გამოსცემდა და არ უწყოდა, რომ მის ხმას ქვეყნიერებაზე ვინმე უსმენდა, თუ ეს ხმა ვინმეს ჭირდებოდა, თუ ამ ხმას ვინმე ეძებდა. ტოროლამ არ იცოდა რისთვის მოვიდა ქვეყნად და რისთვის ეთხოვებოდა სიმღერით. ეს რომ სცოდნოდა, მაშინ ტოროლაც არ იქნებოდა. ამის ცოდნას მხოლოდ ის დაიჩემებს, ვისაც ჰგონია, რომ ერთი პატარა ტოროლას უკანასკნელი სიმღერა, ანუ სიკვდილი, ამოდენა სამყაროში რაიმეს ნიშნავს. ხო, ტოროლა მხოლოდ შეთხზულ ამბავში ფიქრობს სიკვდილზე, ამბავში, რომელიც შეიძლება მხოლოდ იმით გახდეს ღირებული, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეთხზული კი არა, ნამდვილი გამოდგეს. იმ შეთხზულ ამბავში ტოროლამ შიშით გაიფიქრა: მგონი კვდები... ამ ფიქრს მაშინვე სხვაც მოჰყვა: ცაში მაინც მოვკვდე და მერე დავეცე დედამიწაზე. აქ მაინც სხვაა, რაც არ უნდა იყოს, ლაჟვარდია... ლაჟვარდი კი უცნაურად უცხო, ცივი და შორეული გამხდარიყო: თითქოს სულ ერთი არ იყოს, სად მოვკვდები... ამის გაფიქრებამ საკუთარი თავი შეაზიზღა, ისევ დაავიწყდა თავისი უღონობა და მცირე ხანს ისევ ლაჟვარდისკენ აიწია: სიბერემ გამომაჩერჩეტა, ამოდენა გზას ეხუმრები? რა თქმა უნდა, ზეცაში სიკვდილი მაინც სხვა არი, ზეცა მაინც ზეცაა.

იმ წამში გაუშვა ფრთები და მიწისკენ ქვასავით წამოვიდა.

შეთხზული ამბის ავტორს თუ დავუჯერებთ, აბრია მახაურს, სიკვდილს რომ ხვდებოდა, ტოროლას გალობა ჩაესმოდა. იმ წამში კი, მზის ერთ პატარა პლანეტა დედამიწაზე, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარიელ ჭანტურია

## ფიქრი ახალი წლის წინა დღეებში

უატომო ზონა? — რის
უატომო ზონა! რის
უატომო ზონა, როს
მკვლელს უჭირავს ზონარი!

სულ უბრალო შეხება ზონარის თუ ღილაკის!
და გაწყდება მსოფლიოს გვარ-ტომი და ჯილაგი!

საჭიროა სილა და
პანღური და სილაქი,
ვისაც ხელში უჭირავს
ზონარი და ღილაკი!

დროება რომ დაბრუნდეს ავადმოსაგონარი,
ამისათვის არსებობს ღილაკი და ზონარი!

მაგრამ იმედიანი
დგება დილა. დილა კი
გვახსენებს, რომ არსებობს
ზონარი და ღილაკი!

...და შიშით და იმედით ცხოვრობს ნოეს ჯილაგი!
და ბრჭყვიალებს ნაძვისხე, ქათქათებს ჩიჩილაკი!

## ლექსპრომტი განთიადისას

ცის ეკრანზე უცებ უშბა რომ გაკრთება მსხვილი პლანით,
შეარცხვინა ღმერთმა მასთან ფუძიამაც და მონ ბლანიც!
ცის ეკრანზე როცა თოვლიც გაიელვებს სანჭაროსი,
შეარცხვინა ღმერთმა მასთან თოვლი კილიმანჯაროსი!
ფუძის ან რა თავში ვიხლი, ანდა ვინ რა თავში მახლის! —
მე ჩემს უშბას შემოვევლე,
მის თოვლებს და
მის სიმაღლეს!

●

სანამ გინდა, ფერხთით მეჯდე
და ცრემლები მიღვარღვარო:
აი ასე მიყვარხარო!
აი ისე მიყვარხარო!
კი! მიყვარხარ!

ჰო! გიყვარვარ!
სიყვარული გულით დაგვაქვს!
მაგრამ მგონი ის დრო ჯობდა —
შორით ალვა... შორით დაგვა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

წყალწმინდიდან
მოფრენილმა
გვრიტმა
მოიტანა
საკუთარი
რითმა!

რითმის გამო
გაჩნდა
მითქმა-მოთქმა!
გაფრინდა და...
დარჩა
მოთქმა-მითქმა!

●

ირმის თეთრი ნახტომი —
ვარსკვლავების ქორალი!
მზის და მთვარის წრებრუნვა —
დაუსაბამო რალი!
...და მდიდრდება ურანი! —
ღარიბდება ურალი!
..და ძვირდება მარილი! —
იაფდება მორალი!

როცა წყალი მძიმეა,
სული მაშინ — მჩატეა...

ერთ ქარქაშში განგებამ
ორი სული ჩატია...

მძიმე წყალი არ მიყვარს!
არც მდიდარი ურანი! —
დაუკარგა ქვეყანას
სიყვარულის უნარი!
მზის და მთვარის ბრუნვა მსურს! —
დაუსაბამო რალი...
სევდა შორეულისთვის! —
შეუცვლელი მორალი!..

●

ჩაიქროლეს კარეტებმა!
დარჩა დროის გარეთ ის!
ჰორიზონტზე მიიწევა
ლანდი დროის კარეტის!

ბზინავს მთვარე! შუქი მისი —
მირიადი კარატის!
აღარც მზე და აღარც მთვარე —
დარჩა დროის გარეთ ის!

აღარც ღვინო! აღარც კვამლი
ნაცნობი სიგარეტის! —
დარჩა დროის კარეტის და
დარჩა დროის გარეთ ის!

მოირეცხა წვიმა წვიმით,
დადუმდა საქარეთი!
ჰორიზონტთან მიიმსხვრევა
ლანდი დროის კარეტის...

●

ლექსი, დაწყებული
გალაკტიონ ტაბიძით
და დამთავრებული
უკანასკნელ ტაპისტით —
ორ სიმაღლეს უმღერის:
სიყვარულს და სიკვდილს.
მიყვარს სიყვარული და
მიყვარს ალერსი ღვთის...

ცხოვრება კი — თეატრი:
კუნაპეტი სცენა!

სილუეტი რამპასთან —
ავი ბედისწერა!
ქალიც — წაგებულია,
კაციც — წაგებული,
და ბიბინებს საფლავი,
კოხტად დაგებული...
(სახლი? — აგებული.
ფული? — აგე, ფული!
მაინც: ბედისწერის წინ
ფეხქვეშ გაგებულნი...).

დიდი სოლდის პატრონიც
და საწყალი ტაპისტიც,
ბრალი კია — ყველანი
ერთნაირად დამიწდით!
მეც ჩამოვალ! თქვენ კი,
სხვა რა გზა გაქვთ! — დამიცდით...

●

ოქროსთმიანი ქალბატონი! მაღალი, ქერა ქალბატონი!
დაუჯერებლად ლურჯთვალებას თვალებზე ესვა ალბათ ტონი!
გემბანზე ისე დაგოგავდა, როგორც სონეტში — ალბატროსი!
მეც მთელი ღამე სონეტს ვწერდი ლურჯთვალებიან ქალბატონზე!
კაცის გუნება ასეთია — შეუძლებელი შეძლო გინდა...
ჩამოჯდებოდა დროდადრო და ცას გასცქეროდა შეზლონგიდან!
. . .
გამოჩნდა ბოლოს დახლიდარი! — უცებ იპოვა ქალის ფონი:
ამას, არც მეტი, არც ნაკლები — დასჭირდა თურმე ასი ბონი...

●

პიჯაკს ვიხდი, ხალათს ვიხდი
და შარშანდელ ვალებს ვიხდი.
„გმადლობ, ძმაო!“
„გმადლობ, დაო!“ —
მადლობასაც იქით ვიხდი.
უცებ — ვხედავ: ფერად ქვებზე
მილეული სუფსა მიხტის! —
პიჯაკს იხდის,
ხალათს იხდის
და ოდინდელ ვალებს მიხდის...

## ვარდობისთვის ღრუბელი ნიავს ეთამაშება

თეთრი ბელი, შავი ბელი, კოჭლი ბელი, ყრუ ბელი —
იცვლებოდა,
იცლებოდა,
თამაშობდა
ღრუბელი!

ინგლისელი, ესპანელი, ინდოელი, კუბელი —
მიდიოდა.
მოდიოდა,
სეირნობდა
ღრუბელი!

როგორც წიგნის, დიდი წიგნის, ლურჯი წიგნის სუპერი —
ფურცელ-ფურცელ
იშლებოდა
ვარდისფერი
ღრუბელი!

აღმოსავლელ-დასავლელი, მაშრიყელ-მაღრიბელი —
ახლაც ისევ
თამაშობს და
მიდი-მოდის
ღრუბელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორეული, შორეული, და მაინც — ახლობელი—
არ იდარდო —
ბალღთ ცრემლსაც
დაგაპკურებს
ღრუბელი!

(ვისაც უნდა, ერთხელ მაინც დაინახოს უფალი —
გრანდ-ოპერის
ფარდასავით
გადასწიოს
ღრუბელი).

— შე პრანჭია, შე ეშმაკო, შე არგასაქრობელო,
ტახტზე ფეხით
როგორ გადი,
ეს რა ქენი,
ღრუბელო!

...მოიარა მესტია და ლატფარი და ჭუბერი!
ახლა აგერ,
მცხეთის თავზე,
წყალს მიირთმევს
ღრუბელი!

იალბუზის „ბაჩონკიდან“ ღვინის გამომწრუპველი —
დაბანცალობს
დაბალ ცაზე
ნამთვრალევი
ღრუბელი!

თუკი უნდა — როცა უნდა, საცა უნდა, იქ წავა!
უნდა? — წვიმად,
უნდა? — თოვლად,
უნდა? — სეტყვად
იქცევა!

ამიტომაც, ამიტომაც გვიყვარს ღრუბლის ყურება!
დღე იქნება —
ჩემს საფლავსაც
ცრემლად
დაეპკურება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დოდო ჭუმბურიძე

### განთიადი თბილისში

როცა მტკვარში ლურჯ ბილიკს
წაუყვება წყლისას
თეთრი, თეთრი თოლია და ქაღალდის
ნავი,
როცა დაემდურება ნარიყალა ყისმათს,
როცა დაავიწყდება ორთაჭალას თავი.
როცა ალტაცების ოხვრა გაემეტება
გზად ჩამოვლილს ყველას,
სამოყვროდ თუ სამტროდ,
მე შევხვდები გორგასალს
ჩამოცრემლილ მეტეხთან
ცხენით გასეირნებულს განთიადზე
მარტოს.
ის გახედავს სივრცეს, ვით მომავალს
ერის,
მერე ფიქრიანი გაუყვება მტკვრისპირს
სად სიონის ეზოს წყალს ასხურებს ბერი
და თბილისი ჩემი ემზადება დღისთვის...

●

ჩემი სარკმელიც ანათებს სივრცეს
ამაღამდელი ღამის უკუნეთს,
ვუყურებ ღამის ბილიკზე ცირცელს
და ჩაბნელებულ სივრცეს ვუყურებ.

მტკვრიდან ჰაერი გამოდის გრილი
აკაციების კენწეროს თავზე,
თითქოს ქანაობს ხით შენი ჩრდილი
და ფრინველი სტვენს ნაღვლიან ხმაზე.

ვწვები და ღამე ჩუმ სხივებს მაქსოვს
თითქოს თბილ ხელებს შენ მაფარებდე,
ასეთ ღამეში აღარც კი მახსოვს,
რომ როსმე სიკვდილს უნდა
დავნებდეთ...

●

ერთი სანთელი ანათებს, უფალს
მე რომ დავუნთე ამაღამ თრთოლვით,
ვუსხედვართ ორნი ჩვენ ღამის სუფრას
მე და შენ, ჩემო სიცოცხლევ, ორნი...

და ვიცი რადგან ამბავი ძველი
ჯოჯოხეთის და ქალის ცდუნების, —
მე გიფრთხილდები ხანდახან ცრემლით,
თავისგანწირვით და რუდუნებით.

მე ვუფრთხილდები ამ ჭალებს ტურფას,
მინდვრებს, ავსილებს მთვარით და
თოვლით...
ერთი სანთელი ანათებს, უფალს
მე რომ დავუნთე ამაღამ თრთოლვით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეთილი ტყუილი

რადგან სიმართლე არ არის ზუსტი
და არც ტყუილი არსებობს მტკიცე,
ერთმანეთისგან იმ სათქმელს ვუცდით,
ჩვენ იმგვარ სიზმრის მოლოდინს
ვიწყებთ,
რომელიც გაგვხდის ამაყს და
ფრთამალს,
ბედნიერს, ქარის ფრთებივით მჩატეს,
შენც ნუ დაეძებ რაიმეს ლამაზს,
ადექ და ისე უბრალოდ სცადე —
მითხრა რაიმე ისეთი სადა
როგორც ივლისის მზით ბრწყინვა
კორდის,
ბედნიერება არ არის რადგან —
მას მივამსგავსოთ ცხოვრება—მოდი!..

●

ერთხელ, მიწაში, ბალახების ქვეშ
გავირინდები როცა,
გულზე თუ ვიგრძნობ თბილ აპრილის
თქეშს
და ჭიაღუას მცოცავს.
ან რა ვიქნები დარჩენილთათვის,
ან წასულთათვის მაშინ,
თუ ვიგრძნობ, ზევით რა ჩუმად ივლის
ღამე ვარსკვლავით თმაში.
თბილ საღამოებს,
მარტის წვიმის თქეშს
როგორ შესცინებს ბავშვი...
ერთხელ, მიწაში, ბალახების ქვეშ
რომ გავრინდდები, მაშინ...

●

გადავლილ დღეებს მე არ ვნატრულობ,
არც ბავშვურ და არც ქალწულურ ასაკს,
დარდი კლებულობს,
კი არ მატულობს,
მალე ავიხდენ, ვინატრებ რასაც...
მაგრამ რაც არ მაქვს, არც არის ნაღდი
და მისი ნატვრაც არ ღირს არაფრად,
ვუახლოვდები მას, რაიც გახდის
ქვეყნად ყველას და ყოველს თანაბრად.

●

სულ ერთი წუთით შემოდი ჩემთან,
მითხარი რამე, სულს რომ ეამოს,
თორემ შემჭამა უაზრო სევდამ,
ერთმანეთს ზოგჯერ შევეხმიანოთ.
მითხარი რამე, მიშველო იქნებ,
თორემ ამგვარად ცხოვრება მიჭირს,
ვით ქართლის მთებში ნაშენი ციხე —
ვიჩერებ ყოფას გაძლების ნიჭით,
სამშობლოს ფერი—მტვერთა და
ცრემლთა
ნისლივით მოდგა, რომ დარდით მცემოს,
სულ ერთი წუთით შემოდი ჩემთან,
სულ ერთი წუთით,
სიცოცხლევ ჩემო.

●

შენ კაცი ხარ და მე ქალი ვარ —
ჩვენ ისე ცუდად ვიცნობთ ერთმანეთს—
სულ მოტყუებულები ვრჩებით
ერთმანეთით,
მაგრამ სიყვარული თუ ჩადგა ჩვენს
შორის,
სიყვარულმა თუ გაგვინათა სივრცეები,
ბედნიერები, საყვარლები და კეთილები
ვხდებით უსაშველოდ ორთავე...
შენ კაცი ხარ და მე ქალი ვარ,
სიზმრებიც კი ვიცით ერთმანეთის,
ერთმანეთის სუნთქვით ვარსებობთ და
სიცოცხლეს ვატარებთ ერთმანეთით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შემოდგომის რვეულიდან

აეფარება მზის სხივებს ნისლი,
ჭრიჭინობლებიც უკვე მიწყნარდნენ,
მიწიდან რაღაც ჩურჩულიც ისმის
და დაჰკარგვია დღეებს სიცხადე.

შავი ღვინოა, რომ ვსვამ, ბადაგი,
დამტკბარა მთელი ქვეყნის ხმაური,
და მეეზოვე გზებს რომ გადაჰგვის
მზით იფარება გზა უცნაური.

ხარ უბინაო, მაგრამ ჩიტივით
შენი ბინაა ცაც, ტყეც, მინდვრებიც,
ხარ გადასაფრენ ჭკებზე მითვლილი
და შემოდგომის გზებს ენივთები...

●

მინდა ახლა შენთან ვიყო და ვთრთოლავდე ნიავივით,
მე ვმღეროდე, შენ უკრავდე და ტიროდეს პიანინო.
მზის ჩასვლისას, სამხრეთის ცა გულივით რომ ტკივა ზეფირს,
მე დედოფლის გრძნობა მქონდეს, შენ კი—გამარჯვებულ მეფის
ჩემმა სულმა, შენმა სულმა
მარად ერთად უმარტვილოს
საქართველოს — უდიდეს და, უვრცელესს და უნაპიროს.

●

ცისფერი ჭალების იქით, მაღალი ტყეების პირას
ჭრიალი უმძიმეს ჰიშკრის, ვის შეეგებება მტირალს,
დარეკავს, დარეკავს ზარი და სულს უცნაურად
აღანთებს,
ყვითელი, ყვითელი ჯვარი სადაც აღმართეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ხორგუაშვილი

# ქვირისა

## მოთხრობა

ალმა და ალმა უფრო ვიწროვდებოდა ხეობა. ჩქაფანაც პატარავდებოდა. ძალა კი დიდი მოსდევდა· ვკვირობდი კიდეც: ამ პატარა მდინარემ როგორ გახლიჩა შუაზე ეს უზარმაზარი მთა-მეთქი, თანაც პიტალო კლდოვანი, გახლიჩა და ისე ჩაიკარგა, რომ მთის წვერზე წამოსკუპებულ არწივსაც შეუშინდებოდა თვალი. ასეთი რიხით მორბის და მოსძახის, თითქოს ეს ვიწრო ხეობა კი არა, მთელი დედამიწა ქუხდეს. ისიც მიკვირს, საიდან და როგორ მოუგორებია ის უშველებელი კლდის ნაგლეჯები, ზედ რომ ვეფხვივითა ხტუნაობს და დაძვრაც რომ გაუჭირდებოდა საქვეყნოდ სახელგავარდნილ მდინარეებსა, ვრცელ ვაკეებზე რომ მოიმდორებიან.

ერთ ადგილას უცებ მოვიწროვდა ხეობა. თვალს ისე მოეჩვენა, თითქოს კლდის კედელი ყოფილიყოს ოდესღაც, — მთლიანი და შეუვალი, თვალშეუწვდენი და ფრიალო, მერე კი ისე ვიწროდ ჩაეჭრა და ჩაეუფსკრულებინა ძალგულოვან ჩქაფანას, რომ მხოლოდ თვისი გამოსატევი და ღერწკალა ურმის გამოსატარებელი დაეტოვებინა, ჩვენც — მე და ჩემი მხლებელი ამირან ცქიმანაური იმ გადმთაღებულ კლდეს გავუძვერით ჩვენი „ნივათი“. კლდის მიღმა უცებ გაიხსნა ცა და თვალის მოულოდნელად გამოჩნდა ვეება ქვაბური, გარშემო მოკედლებული პიტალო კლდეებითა, ისეთი მაღლებითა, რომ ქონდრის ძირებივით მოჩანდა ქეჩოზე აყრილი მუხები და პანტები. კლდეები შიშველი იყო, თუმცა აქა-იქ ჩამოეფერადებინათ ჭანგა ბალახსა, ოქროსცოცხას, ჩაგველა ფიჭვებსა თუ თეთრრცხილეებსა, ფესვის მოსაკიდებელი ადგილი რომ ძლივს ეპოვათ, მაგრამ მაინც ხარობდნენ. დაბლა სამიოდე დღიური მიწა იყო დაგდებული, ადრე რომ ხან კარტოფილსა თესავდნენ მახლობლად მცხოვრები, ხან თეთრკბილა სიმინდსა, თუ გრილოს ლობიოსა· ბოლოს კი გაყამირებულიყო, ტრაქტორის შეტანად არა ღირსო და, საბალახოდ ქცეულიყო.

სულის გასალაღებელი მიდამო მოჩანდა. ჩვენც ლაღად ამოვისუნთქეთ.

მდინარის პირას, კლდის ქიმზე ზურგშექცევით იჯდა ბეჭებში მოხრილი კაცი და დაფიქრებით ჩასცქეროდა კლდეღრეებზე გადმოჯირითებულ მდინარეს, ზემოდან რომ გაგიჟებული მოიზათქებოდა, იქ, კლდის ზურგზე გადმომხტარი კი უცებ დინჯდებოდა, კარგა ჩაღრმავებულ ქვაბურში მორევდებოდა, ქათქათა ქაფს იბრუნებდა, მერე კი დაღლილ-ნატვრენი მოიტალღებოდა მეორე გადასახტუნამდე.

— ვაჰ! ეს ჯუანშერი არ არის?! — შორიდანვე შესძახა ამირან ცქიმანაურმა, ბირილედ რომ იყო მონათლული.

კლდის ქიმზე ჩამომჯდარმა გვიან აიღერა თავი, წარბები გადმოჩრდილვით შემოგვათვალიერა და სალამზე გვიპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხა მხოლოდ თავის დაქნევით, ისიც ძუნწად.

— როგორა ხარ, ჯუნა?! — ღიმილად დაიღვარა ცქიმანაური, გადასახვევადაც შეტოკდა, მაგრამ დამხვდურის სიპირქუშემ შეაოკა.

— არა მიშავსრა! — ცივად, დაბალი ხმით მიუგო.

ბირილემ მაინც არ გაიტეხა იხტიბარი, თავისებური ხალისით გაგვაცნო ერთმანეთი, ხელიც ჩამოგვართმევინა.

ცნობისმოყვარედ შევათვალიერე: ახალ დაღვინებული ჩანდა, გამხდარი, დაფანჩული, წრიოკა კანჭებზე ჯინსის შარვალი შემოტმასნოდა, ფეხებზე ქალამნებივით ამოეკრა მწვანე კედები, გრილი ნიავი უფარფარებდა გახუნებულ, მოკლესახელოებიან პერანგს. სახე, უფრორე თვალნი მეტად დაღლილი მოუჩანდა, თითქოს გამობრუებულიყო მეტისმეტი ფიქრისა თუ ოცნებისგან. რა ფიქრ-ოცნებას გაეპირქუშებინა, ამას როგორ მივუხვდებოდით პირველად ნახულ კაცს, ის კი ვიგუმანე, რომ საჩვენოდ მოქცევა უჭირდა.

ჩვენი მისვლა არ ესიამოვნა, პირიქით, ჩვენ უფრო შევუმღვრიეთ გუნება. მარტოდმარტო ყოფნა და იმ ფიქრ-ოცნებაში ღურღური ათასწილად ერჩივნა. ამას მივუხვდი და გამორიდება ვარჩიე.

ბირილე კი თავისას განაგრძობდა.

— „ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“ — კვლავ გაემხიარულა.

ჯუანშერი ისევ გაოგნებულივით იდგა.

— რას ჩასცქეროდი, ბიჭო, ეგრე ღრმადა, რომ ველარ გამორკვეულხარ.

ჯუანშერმა საყვედურით მოხედა, წარბი შეიქნია და პირი მოგვარიდა.

— ემანდ მათრახიც არ გადმომაწნა! — არ ეშვებოდა ბირილე.

ჯუანშერს ცივი ღიმილი გაუკრთა სახეზე და ცნობისმოყვარედ მიმოგვავლო მზერა.

— ესა იცი ვინ არის? — მოახედა ჩემკენ.

მე ვიუხერხულე.

ჯუანშერმა ეჭვით გააქანქარა თავი. ამირანმა წარმადგინა.

— კეთილი და პატიოსანი!

ოდნავი მოხალისება ჩაემჩნა თვალებში.

— ხელი შეგიშალეთ! — მოვუბოდიშესავით.

— არა, წუხანდელი ღამე ვტეხე და მთვრალივითა ვარ.

ვერ მივუხვდი, იცრუა თუ მართალი თქვა.

ამ საუბარში ვიყავით, რომ მდინარის გაღმიდან გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა, ისიც ახალი დაღვინებული ჩანდა, ფრენა-ფრენით გამოიქროლა ქვახიდაზე, ჩემს ბირილეს სიცოცხლეო, შორიდანვე შესძახა, გადაეხვია და გულიანად გადაჰკოცნა, სიხარულით მიიკითხ-მოიკითხეს ერთმანეთი.

— იცნობდეთ მზეჭაბუკ მახარობლიძეს, — უმალვე წარმომიდგინა ბირილემ. ჭაბუკი მკვირცხლი და ხალისიანი მეჩვენა.

— საით გივლიათ? — იკითხა მზეჭაბუკმა.

— არსაითა... ხეობისკენ გამოვისეირნეთ... ერთი უნახავი ეკლესია უნდა ვანახო ბატონ გიორგისა.

მზეჭაბუკმაც ცნობისმოყვარედ მომხედა.

— ხომ იცნობთ?

მზეჭაბუკმა თავი გაიქნია.

ბირილემ მასთანაც წარმადგინა.

— სასიამოვნოა.

მეც მესიამოვნა.

— შენ საითლა გივლია, ეს კაცი რომ მარტოკა მიგიტოვებია.

— ჯუანშერი მარტოობით არ მოიწყენდა, პირიქით... აი ამ ფერდობს ავუყევი... „ქვეყნის გულს“ ვეძებდი... სიდედრი მყავს ავად, იმას ენაცვალოს ჩემი თავი, აი, ამ პატარა ქედს რომ გადასცდები, იქითა ღელეში ძაან ბევრია „ქვეყნის გული“, მართლა უებარი წამალი ყოფილა ეგ ბალახი... გადავედი და კრეფა დავუწყე და დედავ, დედავ, რა ნახეს ჩემმა თვალებმა.

— რაი?

— დიდი ტრაგედია, დიდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც?

— ჩემს თვალწინ სასიკვდილოდ დაჰკრეს ორი ირემი, ერთი კი არა, ორი — ფური და ხარი, ახალი ათქვირებულები, ერთმანეთზე უკეთესები, თვალს ვერ ვიძლობდი იმათი ცქერითა, დაჰკრეს და რა დროს, როცა ერთმანეთს ბალახს უშვერდნენ და მოწყურებულები ეალერსებოდნენ. ვინ იცის, შეყვარებულები იყვნენ. ვინ იცის კი არა, ნამდვილად ეგრე იქნებოდა, თავდავიწყებით ჩასცქეროდნენ თვალებში. ისეთი თავდავიწყებითა, მიჯნურმა ბიჭმა და გოგომ რომ იციან. მეშვიდე ცაში იყვნენ ნამდვილად. ირმებსაც ხომ აქვთ თავიანთი მიწანი და ცანი. რა ქნეს, კაცო, იმ მარჯვენა მოსატეხებმა, რა ქნეს!

— ვინ იკისრა ეს ცოდვა?

— იმან, ვინც ჩვენი ბედის გამგებლებად მოგვევლინეს, ვისაც ყველაზე მეტი ჭკუა უნდა ეკითხებოდეთ, ყველაზე დიდი ყანწები უჭირავთ და მამულისა და სიკეთის სადღეგრძელოდ ილექსებიან. — და მოგვიყვა, თუ როგორ გადმოუღებეს შუბლი და მკერდი ირმებს.

ჩვენც შევღონდით.

— არა, არა, არავითარ შემთხვევაში არ ვაპატიებ ამას! — იქადნიდა ჰაბუკა, — ირმებს კი არა, მე მომარტყეს გულში, მე...

გული რომ მოიოხა „იმათი“ ლანძღვა-გინებითა და ქადილ-მუქარითა, კვლავ გამოიდარა და გვებოდიშებოდა, რომ გუნება შეგვიმღვრიეს უამური ამბის გახსენებით.

— წავიდეთ! — ვუთხარი ჩემს მეგზურს.

— მოიცათ, კაცო, სასალმოდ ხომ მაინც უნდა გავიცნოთ ერთმანეთი, ქართველები არა ვართ? — შემოგვღიმა მზეჰაბუკამ.

— გაცნობას ხომ იცით, რაც უნდა? — უმალვე მიუგო ბირილემ.

— ვიცით და მაგის საშუალებაც გვაქვს, შენ რას იტყვი, ჯუნა? — შესცინა მზეჰაბუკამ.

ჯუანშერმა მხრები აიჩეჩა და ძლივშესამჩნევი ღიმილი გაუკრთა, რაც ჩვენკენ მოქცევის ნიშნად მივიჩნიეთ.

— არა, არა, ის ცივი წყალი რომ მიქეთ, მარტო ის დამალევინეთ, მეტი არაფერი მინდა, — მივმართე ამირანს.

— ცივ წყალსაც დაგალევინებთ და ცივ ღვინოსაც! — სიტყვა გაითამამა ჰაბუკამ და წაგვიძღვა.

ათიოდე ნაბიჯი წარვდგით, შუბლიან კლდეს მივადექით, აყოყოლავებულსა და ლიშხიანსა. კლდე ერთ ადგილას შუაზე იყო გახეთქილი, საიდანაც უხვად გადმოსჩქეფდა მოღურჯო წყალი, ჯერ მე მიმიშვეს, ორივე ხელი მოვიმუჭე, ოფლიან სახეზე შევიშხეფე, სიამოვნებით ავფრუტუნდი, მერე დავეწაფე და აღარ მინდოდა პირიდან მომეშორებინა ყინულივით ცივი წყალი, ახლა ბირილემ შეუშვირა პირი, მერე მასპინძლები დაეწაფნენ.

— იფ, რა წყარო ყოფილა ეს დალოცვილი!

— მაშ, მაშ!

— დიდებულია, დიდებული! — აღტაცებას ვერ ვმალავდით.

— არა, ძმაო, მართლა დიდებულია, მაგრამ ჩემ თავკვერთან მაინც ვერ მოვა. ღვინოა, როგორც მირონი. განა შორსა მაქვს. აი აქვე ცივდება! — გვითხრა ჰაბუკამ და ათჩარექიან მოწნულ ბალონზე დაგვახედა, წყაროს ძირში რომ მიეწვინა.

— არც ჩვენ მოვსულვართ ხელცარიელნი. ისეთი ატენური მოგვაქვს, რომ ტუჩებიდან ვერ მოიშორებთ! — გაეჯიბრა ბირილე.

— ქებას ნახვა სჯობია! — ხმა გაიღო ჯუანშერმა, რომელიც უფრო მოხალისდა და მოგულთბილდა.

— მომწონს ეგ სიტყვა, შენც მომეწონე! — სიხარულით წამოიძახა მზეჰაბუკამ.

საგაცნობო საუბარს შევუყევით, ჯუანშერი არქეოლოგი გამოდგა, ექსპედიციის ხელმძღვანელი, არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა დიდი ქალაქის

მახლობელ რეგიონში, მზეჭაბუკი — ხელოვანი სულ ახლახან რომ დაენიშნათ თავისი სოფლის კულტურის სახლის დირექტორად. სიყრმის მეგობრები ყოფილიყვნენ. ერთნაირი სატკივარი სტკიოდათ და ერთნაირი სალხინელი ულხინდათ, შემოქმედების ჭიაც აწვალებდათ, ამიტომაც შესძმობილებიან ერთმანეთსა. ამ ხეობაში ამოჩვეულან, მოცლილობის ჟამს ჰყვარებიათ აქეთ გამოლაღება. იმ სადასვენებო დღესაც აქეთ გამოუწევიათ გულისა და გონების გასანიავებლად.

მზეჭაბუკი და ამირანი გამოგვეცალკევნენ და საპურმარილოდ გამარიფათიანდნენ. მდინარის პირას, მწვანიანზე გაშალეს სახელდახელო სუფრა, რომელზეც დაყარეს შემწვარი ვარიები, გოჭის ხორცი და დეკეულის ხაშლამის ნაჭრები, ისევ თბილ-თბილი, შუშა კიტრი, შეღვინებული პამიდვრის მწნილი, გუდის ყველი, ყველას მოგვშივოდა და გემრიელად შევექცეოდით. ჭაბუკა და ბირილე თავ-თავიანთ ბოცებს წასწვდნენ, ღვინოები შეაჯიბრეს, ორივე დავაჭაშნიკეთ, ერთმანეთზე უკეთესები გამოდგა. ორივეს ვუქეთ. კმაყოფილებით უბრწყინავდათ თვალები. სასმელმა ყველა გაგვახალისა, ჯუანშერიც ავიყოლიეთ. ხასიათებიც მოვუსინჯეთ ერთმანეთს და ვცდილობდით გუნება-განწყობილებაც მიგვესადაგებინა. მალე გავშინაურდით და კაიხნის ნაცნობებივით ვესიყვარულებოდით ერთმანეთს.

სამწვადე ჩვენცა გვქონდა და „მასპინძლებსაც“ (ასე შევარქვით ჯუანშერს და მზეჭაბუკს). ხმელმა შეშამ მალე დადო ნაკვერჩხალი და აშიშინდა კიდეც ცვრიანი მწვადი. ყველაფერი გვეგემრიელებოდა. ნებისად ვსვამდით მომცრო სასმისებით ჭაბუკა თამადობდა, მაგრამ ბოლომდე ვერ ვამეფეთ სუფრაზე. რიგრიგობით ვითხოვდით სადღეგრძელოს, ჯერ ესე ვიტყოდით მოსურვილებულ სათქმელს, მერე დაუკითხავადაც წამოვიძახებდით. პირველ რიგში იმ წყაროს სადღეგრძელო ვთქვით, გაპობილი კლდიდან რომ გამოსჩქეფდა, ამოქვავრებულ კლდეში რომ ბრუნ[illegible] ღვინის ამბოხივით მოეგდო ქათქათა ქაფი. მერე სხვებიც მივაყოლეთ. გავიხედებოდით და რაც გულთან ახლოს მოდიოდა, ყველას სადიდებელს ვსვამდით. აი, იმ ციხეს გაუმარჯოს, მთის მწვერვალიდან რომ დაგვყურებსო, აი, იმ მუხას გაუმარჯოს, მწვანიან ბექობზე რომ გაჯგიმულაო, აი, იმ ჩიტს გაუმარჯოს, რომ არა ჩანს და ისე გვატყვევებს თავისი ტკბილი გალობითაო. იქვე მობორიალე არწივი ვადიდეთ, მაღლა რომ შეიყაშყაშა და თავისუფლებას ზეიმობდა. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სადღეგრძელოების თქმაში და ხალისით ვწრუპავდით ცინცხალა ღვინოს, უნებლიედ გვეცლებოდა და სიყვარულით ვირწყავდით აცმუკებულ გულებსა. ამ „აწყვეტაში“ გადაგვისწრო ჯუანშერმა, რომელიც ისე გაეხალისებინა ნაპერწკალა ღვინოს, რომ ვეღარ იცნობოდა, პირქუში კი არა, პირმცინარი უფრო შეერქმეოდა. მისი ნათქვამები, თუნდაც სადღეგრძელოები გვეორიგინალებოდა და ცოტა გვეუცნაურებოდა კიდეც.

— აი იმ კალმახს გაუმარჯოს, იმ დღეს რომ წყლიდან ამოხტა და ჰაერში შეინავარდა! — სასმისი ასწია ჯუანშერმა.

ყველამ მაღლა ავმართეთ ჭიქები.

— კალმახსა?!

— წყლიდან ამომხტარსა?!

— ჰაერში შენავარდებულსა?! — სიხარულით უფრო ვიკითხეთ.

— ჰო, კალმახს გაუმარჯოს წყლიდან ამომხტარსა და ჰაერში შენავარდებულსა.

— წეღან რომ თავს წამოგადექით და საჩვენო პირი არა გქონდა, იმ კალმახს ხომ არ მისჩერებოდი, ბატონო ჯუანშერ? — შეაწყვეტინა ცქიმანაურმა.

— ჰო, იმას ვუცქერდი და ვესაუბრებოდი კიდეც.

— ესაუბრებოდი?

— კი ვესაუბრებოდი. რა მოხდა. იცი, როგორ მსიამოვნებს მასთან საუბარი. განა მარტო მასთან, სხვებთანაც.

— სხვებთანაც?

— კი. აქ ბევრი ნაცნობი თევზი მყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაცნობი?

— კი. ნაცნობიც და მეგობარიც. რას გაიკვირვეთ, მარტო თევზებში როდი მყავს ნაცნობ-მეგობრები.

— თქვენ მინდიასი რა ხართ? — გაეხუმრა ცქიმანაური.

— რომელი მინდიასი, ვაჟა-ფშაველას ღვიძლი ძმისა? — ხუმრობითვე ჰკითხა.

— ჰო.

— რა ვარ მინდიასი, ჩემო ბირილე და, რაც შენ და ყველა ადამიანი.

კვლავ მალულად შევათვალიერე ახლად გაცნობილი, დავაკვირდი და ღვინოს დავუბრალე მცირეოდენი უცნაურობა.

— დიდი ხნის მეგობრები ხართ, თქვენ და კალმახი, ბატონო ჯუანშერ? — უფრო გაუთამამდა ბირილე.

— კი, დიდი ხნის. ნაცნობები და მეგობრებიც არიან. ისინი ამ მდინარის პირას გავიცანი პირველად. აი, იმ ადგილას, წეღან რომ ვიჯექი. ვიჯექი და ვუყურებდი ხოლმე შორიახლოს მოცურავეებსა, ცალი თვალი რომ ჩემკენ ეჭირათ, რაკი არას ვერჩოდი, აღარ მიფრთხოდნენ, თითქოს მომიშინაურდნენ კიდეც, გამიქროლებდნენ და გამომიქროლებდნენ, ცელქობდნენ და ნავარდობდნენ, არ ვიცი, მეჩვენებოდა, თუ მართალი იყო, ხუმრობის ხასიათზეც დადგებოდნენ. მეც გადავუსვრიდი პაწია კენჭსა, მოსაფერებლად უფრო, ისინიც გამოეკიდებოდნენ და დაესეოდნენ, რაკი გაწბილდებოდნენ, სამდურავით მოიქნევდნენ ბოლოს, შიოდათ და მიტომ. მერე პურის გულის სორსოლას ჩავუგდებდი, თევზები დაესეოდნენ და რაკი მათი საკბილო გამოდგებოდა, სიამოვნებით სძიძგნიდნენ. რა თქმა უნდა, არა ჰყოფნიდათ, უფრო დიდ სორსოლას ჩავთავაზებდი, უფრო გატაცებით გამოეკიდებოდნენ და ეძგერებოდნენ. არ ყოფნიდათ, მაგრამ მადლიერნი იყვნენ. ნაპირზე გამოიკრიბებოდნენ, თვალებშიც მოიყუნებდნენ სამადლობელო ღიმილს და პირზეც, ლაყუჩების ცაფცაფითა და ბოლოების ქნევითაც მიხდიდნენ მადლობას, მერე გაიფანტებოდნენ, ყაბახის მსგავს სანახაობას გამართავდნენ ჩემს სასიამოვნოდ. მართლაც, რომ დიდებული სანახავი იყო, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვაში, ხტუნაობაში, მალაყში, ლამაზ, ნარნარ მოძრაობაში. თითქოს ღიღინებდნენ და მღეროდნენ კიდეც. დიახ, ეგრე იყო ნამდვილად. თორემ ისე გააზრებულად და რიტმულად არ აამოძრავებდნენ ტუჩებსა და ლაყუჩებსაც, წყალში ასევე მწყობრად ამოდიოდა პატარ-პატარა რგოლები. წყლის ზემოთ ვერ ამოაღწევდა ღიღინსიმღერის ხმა, მაგრამ მე ვგრძნობდი რასაც ღიღინებდნენ, სიცოცხლესა და სიყვარულს შეჰხაროდნენ. დიახ, მართლაც დიდებული სანახაობა იყო. გულს რომ იჯერებდნენ სიხარულისა და სილამაზის დემონსტრირებით, მერე ისევ გამოიკრიბებოდნენ ნაპირას, ლაყუჩებს ააცაფცაფებდნენ და თვალებითაც მემუდარებოდნენ. საჭმელი უნდოდათ. მეც გადავუგდებდი პურის ნაჩეხს, სიხარულით მიესეოდნენ და ერთ ამბავში იყვნენ. უფრო და უფრო მივეჩვიეთ ერთმანეთს. დაუდგრომელი ყმაწვილებივით შემიყვარდნენ და, ვგრძნობდი, არც ისინი მრჩებოდნენ ვალში. წეღანაც ჩავაგდე დიდი პურის ნაჩეხი, მძიმე-მძიმედ ჩაეშვა სიღრმეში, აგორავა და კლდის ძირში მიჩურთა. დაბარებულივით გამოიკრიბნენ ჩემი ნაცნობი თევზები, პურის ნაჩეხს მიესივნენ, ჩქარ-ჩქარა გაციცქნეს და თქვენი ხმა რომ გაიგონეს, უცებ გაფრთხნენ და მიიმალნენ მიუგნებელში. ჰო, მოხვედით, თევზებიც დამიფრთხეთ და მათ გამო აშლილი ფიქრებიცა.

ჯუანშერს ერთხელ კიდევ ჩავხედე შემღვრეულ თვალებში, ასნაირი კითხვა ამომეშალა.

— ძაან დიდრონები არიან? — ჰკითხა ამირანმა.

— არა, ეს ერთი დაწაფება მდინარე ძალიან დიდრონებს როგორ გაზრდის, მაგრამ არც ისე ციცქნებია, სამეგობროდ რომ არა ღირდნენ... ზოგი ორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკაველსაც აღემატება... არა, არა, ძალზე საყვარლები არიან, ძალზე. ვითომ ცელქი ყმაწვილებისთვის გიცქერიათ, ვითომ იმ კალმახებისთვისა.

— საინტერესოა!

— იმ კალმახების საუბარია საინტერესო, ეგენი ხომ თვალებით მეტყველებენ. არაფერი დარჩებათ უთქმელი... ერთი კალმახი მიყვარს გამორჩეულად, კვირისა მიქვიან. კვირა დღეს ვიხილე პირველად და იმიტომ დავარქვი კვირისა. ხო-ხო-ხო, რა მოხდენილია ის დღეგრძელი, ისა! ტანს რომ მოიქნევს და აღმა შეცურდება, ასე გგონია, ცისარტყელა მოიქნიაო უფალმა. ცისფრადვე დაწინწკლული, თვალებიც ცისფერი და ცის სიღრმისა აქვს. თუ ერთი დალანდე, თვალს ვეღარ მოაშორებ. პირველად რომ დავინახე, ცა გამეხსნა სიხარულისგან და ვინატრე კიდეც...

ჯუანშერი გაჩუმდა, მდინარეს ჩააშტერდა და ოდნავი ღიმილი მოიკიდა თვალის კილოებში.

— რა ინატრე?

— რაზეც ჩემი პროფესიის ადამიანი ოცნებობს.

— მაინც?

— ისეთი რამ მაპოვნინა-მეთქი, რომ ჯერ არავის ენახოს.

— ეგ ნატვრა არქეოლოგების სენია.

— კეთილი სენი, რომელიც თვითონ ჩვენმა წინაპრებმა შეგვყარეს. იმდენი რამ შექმნეს, რომ პოვნასა და დამუშავებას ვერ ავუდივართ. თანაც ისეთი შექმნეს, რომ შიგ დააუნჯეს ერის სული. მისი გამომზეურება ფრიად საკეთილო და აუცილებელი საქმეა, რადგან დიდად გვშველის დღევანდელი კაცის სულის სიწმინდესა და ამაღლებაში.

— მერე?

— წარმოიდგინეთ, რომ ამიხდა.

— რა იყო?

— მინიატურული ქანდაკება, ოქროსი. ხო-ხო-ხო! რა მშვენიერია, თვალს ვერ მოაშორებ. რა ხელმა შექმნა, რა ნიჭმა?! თითქმის დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, რომ იგი ადამიანის ნახელავია.

— რა არის გამოქანდაკებული?

— ქალღმერთი.

— რომელი?

— ესე უცებ თქმა, მე კი არა, ივანე ჯავახიშვილსაც გაუჭირდებოდა, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ მეტად განზოგადებული, ღრმად სიმბოლური და ამაღლებულია. ქალღმერთ ვენერაზეც დიდია, ამურზეც, აფროდიტეზეც, ათენაზეც, ყველა ქალღმერთზე მაღლა უნდა იდგეს. იგი დედაღმერთია, ყველა სიყვარულის დედა, სიცოცხლისა და სიმშვენიერის დედა.

— ასეთი სენსაციური რამ აღმოგიჩენიათ და ჩვენ კი არ ვიცოდით.

— მხოლოდ კოლეგებმა იციან.

— რატომ არ გაახმაურებთ?

— მალე იხილავთ ინფორმაციას.

— რითი ასაბუთებთ, რომ...

— ჯერ არ დამისაბუთებია, ჯერ მხოლოდ წინასწარი ვარაუდი გითხარით. მეცნიერული დადასტურება იოლი არ არის, მაგრამ... შევეცდებით.

— სხვებიც გეთანხმებიან, ალბათ.

— ჰო, ის კალმახი, კვირისა რომ ვიხილე პირველად, — ბანზე აგვიგდო სიტყვა, — ცა გამეხსნა, ვინატრე და ამიხდა კიდეც... იმ ქალღმერთს მზისო დავარქვი.

— მზისო?! რატომ?

— მეორედ რომ ვნახე, — აგვიხტუნა სიტყვა, — უფრო დიდად გამეხსნა ცა და ერთი რამე კიდევ ვინატრე.

— რა?

— მაგას ვერ ვიტყვი, როცა ამიცხადდება...

აღარ ჩავეძიეთ.

ჯუანშერმა განაგრძო:

— ძალიან მიყვარდა ის კალმახი, ძალიანა. ყოველმხრივ გულმისავალი იყო, სიმშვენიერითაც ხომ უმშვენიერესი იყო, ქცევა-მოქმედებითაც ირჩეოდა სხვებისგან. და ეს იყო მთავარი. ზანტი კალმახი სადა თქმულა, მაგრამ ის ჩემი კვირისა მეტისმეტად დაუდგრომელი იყო. გამბედავი და თავგანწირულიც, ნავარდი უყვარდა, ისე დაჰქროდა აღმადაღმა, როგორც არწივი ცაში. ის ქრო-

ლვა იყო მისი სიცოცხლის არსიც და ზედნიერებაც. მიტომ უფრო მიყვარდა. ის რომ ნავარდობდა, მეც ამიკალმახდებოდა გული. მისნაირად მივეცემოდი თავდავიწყებასა. ასეთი სიხარულის მოლოდინით მივაჩერდებოდი ხოლმე იმ ხავსიან ლოდსა, შუა წყალში რომ გდია. ადრეც ხომ იმ ლოდის ძირიდან იჩინა თავი ჩემმა კვირისამ. ქვიშაში შერეული ნამცეცები მიკიკნ-მოკიკნა, თავი მაღლა შეიღერა, გაინაბა და ცნობისმოყვარედ მომაჩერდა. გავუღიმე, იმანაც შემომღიმა. თვალებით გავესაუბრეთ, გულებიც გავუჩურჩულეთ ერთმანეთსა. ნეტავი შენს ბედს-მეთქი. მინდოდა დიდხანს მესაუბრა, მაგრამ კალმახმა არ ინება, უცებ მოიქნია ბოლო, შურდულივით გამოქანდა, წყალი გამოაპო, აღმა შეიკალხა, შეხტა, შეფრთხიალდა, წყალი ამოაპო და თან აიყოლია თეთრი შხეფი, ჰაერში შეშხუილდა, გამეტებით შეინავარდა, შხეფ-ქაფი გაიბერტყა, თითქოს შეიფრუტუნა კიდეც და ისეთი ხმა გამოსცა, მეგონა სიხარულით შეიკივლა-მეთქი. ნამდვილად ეგრე იყო. შეიკივლა და მზეს შესჭვრიტინა თვალებგაბრწყინებულმა, შესჭვრიტინა და უზენაესად აზეიმდა, უმაღლესად ინეტარა, ეს ნეტარება აღემატა ყველა სანეტაროს, თვით სიყვარულსაც კი. გაუტოლდა სიყვარულის სიყვარულსა, ანუ დედა სიყვარულსა. მაგრამ მაინც ვერ ჩაიცხრო გულვა, უფრო მაღლა ისწრაფოდა, თითქოს უნდოდა, რომ ღმერთი ეხილა. ამ სწრაფვით შეიფრთხიალა უფრო მაღლა. ჰაერში შემობრუნდა თვალის დახამხამებაზე, ერთი წამით შესჭვრიტინა მზეს და ასე ვიგუმანე, რომ შემოქმედივით გადმოხედა სამყაროს, მთელ სიცოცხლეს გაუტოლა ის ერთი წამი, უნდოდა, რომ კვლავ გაგრძელებულიყო ეს წამი, მისი შეჩერება ვერ შეძლო, მაგრამ არ დასცხრობოდა გულის ქავილი, სიხარულის შეკივლებით შეიბზრიალა და მერე დაეშვა თავდაყირა კივილ-კივილითა. გამეტებით ჩაეხეთქა წყალში და ისევ გაერია იმ თევზებში, შურით რომ შესცქეროდნენ ჰაერში შენავარდებისას. ვნება რომ დაიცხრო დაღლილ-დაქანცულმა და გონებაც დაიდინჯა, მერეღა ამოიცნო მოშურნეთა თვალებში ვება. ამოიცნო და გუნება შეემღვრა, სიმხიარულე დაეკარგა, თითქოს სამდურავით მიმართა· რატომ მიცქერით ასე თვალვიწროდაო, ვის რა მოგტაცეთო· თუ ჩემსავით შენავარდება გინდათ, მიდით და დაისრულეთ ნატვრაო, ეს სივრცე ყველა სულდგმულს ეყოფა სანავარდოდაც და საოცნებოდაცო. ეს მზე და ეს თქვენაო. პასუხიც რომ ვერ მისცეს, განმარტოვება ირჩია, სიპ ქვას ამოეყუჟა და ფიქრიანად ამოიცქირა მაღლა. კურცხალი დავულანდე თვალებში.

მაგრამ სულდაუცხრომელმა კალმახმა მალე განიქარვა დარდი-ვარამი, ისევ მომხიარულდა თავისებურადა, ისევ მოსწყურდა შენავარდება, საამგანზრახვოდ მოიკრიბა ძალა და თავდავიწყებით მოიქნია ბოლო, მოიქნია და ისე ღონივრად სთხლიშა თაღლითას, რომ ლიპ ლოდს მოენარცხა, კვირისას ყურადღება არ მიუქცევია, თითქოს არც ჩათვალა ამის ღირსადა. კვლავ გამეტებით მოიქნია ბოლო, კვლავ ლაყუჩები სთხლიშა დარეტიანებულ თაღლითას და გაცხარებით შეინავარდა გაგულისებულმა.

კვირისამ წყრომაც იცის და სიყვარულიც. ჰო, ეგრეა, რას გეცინებათ?! უწყრება სხვა თევზებს, უფრო თავისიანებს, ალბათ, იმიტომ, რომ თავის ჭკუაზე ვერ მოუქცევია, თავის გზაზე ვერ გამოუყოლებია, უდარდელნი და თავმოყვარენი არიან, მარტო ჭამას და სიამტკბილობაზე ფიქრობენ, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, არხეინად მღერიან, სხვისი ტკივილი არა სტკივათ, სხვისი სიხარული არ უხარიათ, არც წარსულზე ფიქრობენ და არც მერმისზე, აწმყოსაც მხოლოდ სათავისო თვალებით უცქერიან, სულაც არ ედარდებათ, რომ უთვალავი მოცილე შემოსევიათ თავიანთ სალხინობელში და წყალსაც უმღვრევენ და ცხოვრებასაც, სულაც არ ენაღვლებათ, მთლადაც რომ დაშრეს მდინარე, ანდა ღვარ-

ცოფი მოვარდეს და ერთიანად წალეკოს თავიანთი დაყრილი ქვირითიც, მათი ნაშიერი ლიფსიტებიც, გულზეც ობი მოჰკიდებიათ და ტვინზეც. ათადანბაბადან დაკანონებულ წესს მისდევენ, მხოლოდ ჭამენ და უთავბოლოდ დაგელაობენ, ცურაობენ უმიზნოდ, ვერ წარმოუდგენიათ თავიანთი ცხოვრების წესის შეცვლა. თავს არ იწუხებენ, რომ გული მისძრან-მოსძრან და გონებაც აამოქმედონ, იქნებ მაშინ მაინც გაარჩიონ თეთრი და შავი, მტერი და მოყვარე, კეთილი და ბოროტი, იქნებ გადაახალისონ თავიანთი ერთფეროვანი ცხოვრებაც და სხვისთვისაც რაიმე სასიკეთოზე მიუწვდეთ აზრი. თავს არ იწუხებენ და იმიტომაც ვერ ამოსცილებიან წყალსა. ამიტომაც არ იციან შეკალმახება-შეხტუნავების ყადრი. არ იციან, რა დიდებულია ზეცა, ზედ მობდღვრიალე მთვარე, ქვეყნის მანათობელი მზე, ამომავალი ცისკარი, მოკაშკაშე ვარსკვლავები. ესენი ხომ მხოლოდ წყლიდან ექნებათ დანახული ბინდბუნდად. ანდა იქნებ სულაც ვერ ხედავენ იქიდან. არ იციან მათი ყადრი და ამიტომაც არ ისწრაფვიან მათი ხილვისათვის. იმიტომაც უწყრება ხოლმე ჩემი კვირისა. უცნაური წყრომა იცის, დაიპირისპირებს და „ფსიქოლოგიურ სეანსებს" უტარებს. ჯერ სამდურავით დაუბრიალებს თვალებსა, დასაყოლიებლად მიაჩერდება. მერე, როცა დაიმორჩილებს, მშვიდად მიაცქერდება, რაღაცას ელაპარაკება უხმოდ, მშვენივრად ტყობილობს მოპირისპირის ფიქრსა და გულის მოძრაობას, თუ გულის სარქველი აუხადა და სიწრფელე ამოაშუქებს, წამოწითლდება, შერცხვება, ცოდვას მოინანიებს ცოდვილი, უმალვე მოულბება გული კვირისას, ღიმილს გაიმრავლებს, მოალერსებაც მოეძალება, საკოცნელადაც აუქავდება ლაყუჩები. ხოლო თუ იუკუღმართა შესარცხვენ-შესაჩვენებელმა, მაშინ ისე გაგულისდება ჩემი კვირისა, რომ დასაბმელი გახდება. მაშინაც სწორედ იმიტომ გაცეცხლდა თაღლითაზე, რომ უკუღმართობა ამოუცნო. ამიტომაც აუხურა ლაყუჩები.

ჩვენ გაკვირვებულნი მივჩერებოდით ჯუანშერსა. იმან კი ფიქრიანი ღიმილით შემოგვხედა და უკითხავად მოგვიგო:

თაღლითა თევზის ჯიშია, ციდის ტოლა იზრდება, მეტი კი არა, ის არგასაზრდელი. ხალხი ეგრე სწყევლის, მაგრამ იმას ლოცვად ექცა ღმერთის წყევლაც კი. ბარე სამ-ოთხჯერ მაინც ტოფობს წელიწადში და ათი ათასამდე ქვირითს ანაყოფიერებს. ქვირითის დიდი უმრავლესობა ისწრაფვის სიცოცხლისკენ — ლიფსიტდება და თევზდება, ანუ თაღლითავდება. როგორ გაუკუღმართდა სიცოცხლის წესი. ბოროტნი ფრიად მრავლდებიან, კეთილნი კი ძუნწად. თაღლითა, თაღლითა! ვინ დაანათლა ეს სახელი იმ მამაცხონებულმა. ეგეთი ჯილაგის მნახველი არა ვარ. დიდი უკუღმართი ვინმეა, თუ რამეა, დიდი მეხელეჩოვე, სულ თავისკენ ითლის. არაფერში არ წაადგება სხვასა, პირიქით. სხვები რომ სასიკეთოდ ილვწვიან, ის უკეთურობას სჩადის, ყველა ღონესა ხმარობს წყეული ზრახვების განსახორციელებლად. სიმუხლანტობაშიც პირველობს. სხვები რომ საჭმლის საშოვნელად დაქარავნდებიან, თაღლითა მაშინ მოიავადმყოფებს თავსა, რას აღარ აიტკიებს, საცოდავად ამობრიცავს თვალებსა, გულს შეიწუხებს და სიკვდილის პირას მისულივით კვნესის ბუნაგში მიყუჟული. გულმართალა თევზებს შეეცოდებათ და შინ სტოვებენ მოფერებითა და მობოდიშებითაც კი. რა თქმა უნდა, სარგო საჭმელს უტოვებენ და უკეთესის მოტანასაც ჰპირდებიან. ქარავანი რომ მიეფარება თვალსა, ჯანმოკრებილი და მომხიარულებელი თაღლითა უცებ გამოხტება და უსირცხვილოდ შეინავარდებს. „ჰე, ჰე! ვერ ვაჭამე?!" — გაეტრაბახება თავის თავს და ჭამის გახსენებაზე მუცელი აღურღურდება, ჯერ თავის წილ კერძს ეცემა, მერე სხვის დანატოვარს დაუწყებს თქვლეფას. გემოზე რომ მოისიკნება, მერე მდედრისათვის აზმორდება, გასწევს სახეტიალოდა, ჭადაეყრება თავისფერ თაღლითასა (ალხანას ხომ არ დაელევა

ჩალხანა), გადაეყრება და მალე გამოიბამს კიდევაცა გულზე. მაშვრალი თევზები რომ საშოვნელზე იჯაფებიან, ანდა სხვა საერთო საქმისათვის შეუგდიათ სასწორზე სიცოცხლე, თაღლითა თევზები დიდ ალერს-განცხრომაში არიან, წუთიერი სიხარულით ტკბებიან და ამრავლებენ თავიანთ მოდგმას, თავდავიწყებას ეძლევიან, მაგრამ დროს არ ივიწყებენ, იციან, როდის უნდა დაბრუნდნენ სამუშაოდ გასულნი; იციან და თან დარილობენ, დრო რომ მოატანს, დედალმამალი თაღლითა ერთმანეთს დაშორდება მალე შეხვედრის იმედით, დაშორდებიან და თავ-თავიანთ ბუნაგს მიაშურებენ. ნაჯაფარი ქარავანი რომ დაბრუნდება, დოვლათსა და ბარაქას რომ მოიყოლებს, თაღლითა კვლავ მოისაცოდავებს თავსა, მისავათებულის იერს მიიღებს, ვითომდა მთელი დღის ნაშიმშილარია, ვითომდა ჭამის თავიც აღარა აქვს და საწყალობლად შესცქერის გამრჯე თევზებს, რომელთაც გული მოუბრუნდებათ თაღლითასაკენ, შეეცოდებათ, საჭმელი არ გინდაო? მოფერებით მიმართავენ.

„გული არა თხოულობს!“ — ნამდვილი ავადმყოფივით გადააგდებს თავსა.

„გუშინდელი დანატოვარი რა უყავი?“ — მორიდებით შეახსენებენ.

„ვიღაც უცხო მოვარდა და შემიჭამა!“ — საცოდავის კილოთი მიუგებს.

„ჰაი, თუ დავიჭირეთ, ნახე რა დღეში ჩავაგდებთ შენს თვალწინა!“ — თაღლითას გულის მოსაბრუნებლად უფრო იქადნიან. კვლავ მიეფერებიან, საკადრისად მოუვლიან, საუკეთესო სასუსნავს მისთავაზებენ. თაღლითა პირველ ხანებში იაზიზმაზიზებს, მერე კი არჩევანზეც გადადის. სხვისი ქვირითის ჭამა უყვარს, უფრო კალმახისა, მისი უფრო ეგემრიელება, გულმოწყალე თევზნიც იმას უმარჯვებენ, რაც „ავადმყოფს“ ესიამოვნება, თაღლითა იმათ თვალწინ ძალიან ნაზად და უნდო-მანდოდ იკიკნება, მერე კი, თავს რომ დაიმარტოვებს, მიადგება მიგროვებულ საჭმელს და ისეთი ხარბად თქვლეფავს, თითქოს მოკლე ყანა ემკოს გაგანია სიცხეში, და ამ ჯაფაში დამშეულიყოს, თქვლეფავს და თან მზე ამოსდის თვალებში. დიდი ღორმუცელა ვინმეა, ან კი როგორ ჩასდის მუცელში იმდენი.

ამ თაღლითობას და თამაშ-ხიეშმაკეს, რასაკვირველია, ბევრი ვერ უგებს. კვირისას კი გამოუცნობი არა რჩება, იმიტომ გაგულისდება, იმიტომ გაულაწუნებს ხოლმე. მაგრამ თაღლითა რისი თაღლითაა, თუ ბოლომდე არ ითაღლითავა. არავითარ შემთხვევაში არ შეეწინააღმდეგება გამლაწუნებელსა (ვინ მისცა საამისო ძალა და ვაჟკაცობა), პირიქით, თავს მოიკატუნებს, ახია ჩემზეო, თვალცრემლიანი ამოიზლუქუნებს, მეტისმეტად მოისაცოდავებს თავსა, სულ ხელში მოუკვდება გამლაწუნებელსა და გაფართოვებული თვალებით ევედრება, რომ აპატიოს. კვირისასაც მოუბრუნდება გული და შენდობას უბოძებს.

ის კი არ აპატია, იმ დღეს რომ ამურს მისცუცქვოდა და... ამურიც ჩქარი მდინარის თევზია, ჩვენი ჯილაგისა, დაუდგრომელი და უგემრიელესი, გულმისავალი და მისანდობი, სიკეთისა და სიმშვენიერისაკენ მლტოლველი, თავისუფლების ტრფიალი, კალმახის სულის მონათესავე, მასავით ჩქარი მდინარის და თავდასავიწყებელი ცურვის მოყვარული, სულ სათავისკენ რომ ისწრაფვოდა, მაღლა შენავარდება რომ უყვარდა, თავდაპირველად მხოლოდ ჩვენთან ბინადრობდა, მერე კი სხვებმაც გაითავისეს, ვიღა აღარ ეხარბებოდა, თავიანთ საგუბარში მოაქცევდნენ კიდეც, მაგრამ იგი მუდამ ილტვოდა თავის სანავარდოსკენ. წინაპრებისაგან მოსდგამს ეს სწრაფვა. მის წინაპრებს ჩანჩქერა მდინარეები ჰყვარებიათ, მისი ყადრიც იცოდნენ და მზისაც, მეტადრე ამომავალ მზეს ეტრფოდნენ, მთაზე რომ შემოიხტუნავებს და მდინარეში აბანავებს სხივებს. თავდავიწყებით უმზერდა მზეს, მეტადრე ნაფლარი, ისიც ღიღინებდა ვიღაცისაგან ოდესღაც გაგონილსა: „ნეტავ რა

---

გიორგი ხორგუაშვილი
კვირისა

არის მისთანა, ამომავალი მზისთანა.“ იმ სხივებს აუყვებოდა, რა თქმა უნდა, ოცნებითა, სინამდვილეში კი ტალღებში ლივლივებდა. მზე უცინოდა, ხვდებოდა ამურის გულისთქმას, რაკი ამურს ვერ ძალუძდა მაღლა ასვლა, თვითონ მზე ჩამოდიოდა წყალში, ამურთან ერთად ლივლივებდა. უხაროდა მზესთან ყოფნა და ალერსი.

მაგრამ...

თალლითას დაუდგამს თვალი, თავისკენ მიუტყუებია და ვინ იცის, რა დღეში ჩააგდებდა, კვირისა რომ არ მოვლინებოდა, კვირისას უცებ დაულანდია დატყვევებული ამური. გაცეცხლებულა და თალლითასათვის იმ დროს გაუტყლაშუნებია ლონივრად მოქნეული ბოლო, როცა დამტყვევებელს ჯერ მოულოდნელად გადაულოშნია ტყვე და მერე გატაცებაც დაუპირებია, გაუტყლაშუნებია და დაურეტიანებია კიდეც. შეშლილს დამსგავსებული ამური კი წყლის სიღრმეში ჩაყურყუმელავებულა და ქვის ქვეშ შეყუჟულა, სამუდამოდ დაშინებია გული, მას მერე ამურის მოდგმა ღირსით ველარ ბედავს მაღლა ამონავარდებას და მზის მზერას. სულ სიღრმეში მიიწევს, სულ სამალავს ეძებს. დღე ეგრე იმალება, ღამე კი გამოდის სანაპირო ზოლში და ხან ყვავილებს ეალერსება, ხან მთვარის სინათლესა.

ამურს ყველა დროს უხარის სიცოცხლე. მაგრამ გაზაფხულზე მეტადაა გახარებული. სწორედ გაკვირტებისას იკვირტება მისი გული. გააპრილებისას ტოფობს.

კვირისამ აღარ მოაშორა თვალი ერთ ულამაზეს ამურს, ნანა რომ შეარქვა, გული დაუტოლა გულს. იმ დღესაც ჩემი თვალით ვნახე, როგორ გადარეული დაეძებდა ცისფერთვალა ნანას, ღურღურ წყალში რომ იმალებოდა. კვირისამ მიაგნო, მიუახლოვდა, მიიჩვია, მიეალერსა, ნანა ამოდ გაუტვრინდა, ალერსს ალერსი მიაგო, სიყვარულს—სიყვარული. სიხარულით ცას მოსწეოდნენ. დღე რომ ვერ იკლავდნენ სიყვარულის წყურვილს, ღამესაც ერთად ათენებდნენ. ღამე უფრო თამამობდნენ, მეტადრე ნანა. კუდრაჭა გოგოსავით გაუსხლტებოდა და გაექცეოდა ამური, კალმახიც გულაცმუკებული ბიჭივით გაეკიდებოდა, დაჭერობანას თამაშობდნენ, დაჰქროდნენ ალმა-დალმა და თან ფრთხიალებდნენ სიყვარულმოძალებულნი· რომ დაიღლებოდნენ, მერე მდინარის პირას გამოცალკევდებოდნენ, ერთმანეთს მიეტყუპებოდნენ და შესცქეროდნენ მოკაშკაშე მთვარეს, შესცქეროდნენ და თან გულში ენთოთ ჩაუქრობელი სანთლები, ენთოთ და უხმოდ ლოცულობდნენ თავიანთ სიყვარულზე, მშობელ წყალსა და სინათლე-სიკეთეზე. მერე ისევ აფორიაქდებოდნენ. ალმა-დალმა გაიქროლგამოიქროლებდნენ, მეტადრე კალმახი გიჟმაჟობდა თავდავიწყებამდე. სწორედ ამ თავდავიწყების დროს ამოხტა იგი პირველად წყლიდან, მაშინ შეიშხუილა და შეიკამარავა მაღლა. ამბობენ, კვირისას შორეული წინაპარი კალმახები დიდად არა სხვაობდნენ სხვა ჯიშის თევზებისაგან, მაგრამ ერთ-ერთმა შორეულმავე წინაპარმა რომ სიყვარული იგემა, მას მერე იქცა ალმა-დალმა მიმქროლავ ცქმუტა ჯიშის თევზად კალმახიო. კვირისა რომ ამურის სიყვარულით გადაირია, იმის მერე ახტა წყლის ზემოთ· დიახ, მეტისმეტი გაგიჟებისას ამოხტება წყლიდან, შეინავარდებს და შეჰხარის დღე—მზეს, ღამე—მთვარეს. ცის გახსნას უტოლდება ის თავდავიწყებული შენავარდება· აი, მაშინ უნდა ინატროს კაცმა სანატრელი და აუსრულდება კიდეც. სწორედ მაშინ ვინატრე ჩემი ყველაზე დიდი სანატრელი და ხომ აუსრულდა — ხომ ვიპოვე მზისო.

— როდის გვანახებ მზისოს? — მორიდებით ვკითხე.

ჯუანშერმა ფიქრიანად შემომხედა და კვლავ აგვიგდო სიტყვა ბანზე:

— კალმახისა და ამურის სიყვარული შეშურებია თალლითას. დიდხანს უდარილებდა თურმე. საამისო ჟამიც დასდგომია. კვირისა რომ საჭმლის საშოვნელად გაჰყოლია ქარავანსა, სწორედ მაშინ მიჰპარვია თალლითა ამურს. მიჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარვია და მოუხელთებია კიდეც, მოუხელთებია და გადაულოშნია, გატაცებაც დაუპირებია. მაგრამ, გულს უგრძვნია, თუ ამურის ალერსი მოსწყურებია, ქარავანზე ადრე გამოსწრაფებულა კვირისა, ასეთ სურათს რომ წასწყდომია, ელდა სცემია. გაცეცხლებულა, ჯერ თავისი გულის სწორი გამოუხსნია, მერე გამოსდგომია გაქცეულ თაღლითას, დაუჭერია და ისე უცემია, რომ დედის ხსენი ურწყეინებია. მისიკვდილებულ თაღლითას ხვეწნა-მუდარის თავიც არა ჰქონია. კვირისას თავად მოჰგონებია ღმერთი — სულის ამოსახდენად ველარ გაუმეტებია და გაუფრთხილებია: თუ გულში რაიმე უკადრისი გაგივლია ჩემს ნანაზე, იცოდე, შენ კი არა, მისხისმისხს ამოგიწყვეტავო. მერე მოუბრუნდა გულის სწორსა, მიეფერა, მიეალერსა. კვლავ ამოიფართხალა წყლის ზემოთ, კვლავ შემღერა სიხარულით, ისევ ყურებში მიშრიალებს ის სიმღერა, იცით, რას მღეროდა, არ გეცოდინებათ. ეგ მხოლოდ მე და კვირისამ ვიცით, მხოლოდ ჩვენია ის სიმღერა, მარტო მე და კვირისა ვმღერით ხოლმე, ისიც თვალებით.

მე მაშინ ცოტა მოშორებით ვიჯექი, აი, იმ მუხის ძირზე ვიყავი ზურგმიყუდებული.

სხვა დროსაც მინახავს კვირისა თავდავიწყებას მიცემული, მაგრამ ეგრე გაგიჟებული — არა. არასოდეს შეუნავარდებია ისე მაღლა, შეიფრთხიალა და ბარე სამჯერ ამობრუნდა ჰაერში, სამჯერ აიტყორცნა მაღლა-მაღლა, აიტყორცნა და წისქვილის ბორბალივით მოისროლა თეთრი შხეფები. მესამე სიმღერაზე რომ შეიფრთხიალა, ნახევარ წამს შეიჩერა ტანი მზისკენ შევედრებულმა, თითქოს რაღაცას შესთხოვსო, ეგრე უცაფცაფებდა ლაყუჩები. მერე სამყაროს მიმომზირა და კვლავ ააცაფცაფა ლაყუჩები, ისეთი სიხარული ედგა თვალებში, თითქოს ღმერთი ეხილოს და მასთან ელაპარაკოს კიდეც. ერთ უკვდავებად უღირდა ის ერთი წუთი. მე არ ვიცი ის რას შესთხოვდა მამაზეციერსა, მე კი გულში წავიღიღინე:

> კალმახმა შეიკალმახა,
> მზისკენ არწივებრ აფრინდა,
> ნეტავ მეც ისე მალალა,
> ჩემი ოცნების აფრითა.

მე და კვირისა ასეთ ოცნებაში ვიყავით და... საიდან გამოტყვრა, უცებ დააფრინდა ყორანი, დასწვდა და უმალვე მოიქცია კლანჭებში, ყაშყაშით გააქანა მაღლა-მაღლა, დარეტიანებული წამოვხტი და რიყის ქვალა გავადევნე ელდანაცემმა. უცებ თოფმაც იგრიალა და იღლია შეუგლიჯა ყორანს, რომელმაც სიმწრისაგან დაიყეფა, დაბლა-დაბლა დაფართფატდა და მსხვერპლიც გაუვარდა კლანჭებიდან. თავდახსნილი კვირისა ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდა. ორივე მდინარეში ჩაეშვა, მკერდშეგლეჯილი ყორანი ტალღებმა შეიტივტივა, კლდეს მიანარცხა და მერე სულაც გაუჩინარდა, ტკივილებისაგან გაცეცხლებულმა კალმახმა კი ღონივრად მოიქნია ბოლო აი ამ შეტბორებულში, მაღლა შეფართხალება ველარ გაბედა, უცებ კლდეს გადაახტა, მთელ მდინარეს რომ იტარებს ზურგზე, შეგუბებულში ჩახტა, იქაც ერთი გაინავარდა თავდავიწყებით და ალმა-ალმა აუყვა. მას მერე თავი აღარ უჩენია. მაგრამ იმედი არ გადამწურვია. წელანაც იმ კლდეს მივშტერებოდი, საიდანაც გადმოხტებოდა ხოლმე ჩემი კვირისა. გაოგნებული ვიყავი მეტისმეტი ფიქრისაგან, აღარც ფრინველის ჭიკჭიკი მეყურებოდა და აღარც ამ მდინარის შხუილი. მხოლოდ კვირისა მელანდებოდა. მასზე ფიქრიც კი მაამებს. მხოლოდ ის მელანდებოდა და მაპატიეთ, რომ ვერც დროზე შეგამჩნიეთ და ვერც გული მოვიქციე თქვენკენ.

ახლა უფრო ცნობისმოყვარედ შევათვალიერე ჯუანშერი. „ეს ჯეელი ცოტა ხომ არ...“ — გავივლე გულში. მაგრამ ბოლომდე გაფიქრებაც მეაფსუსა. ცოდო იყო მეთქვა: „ხომ არ აფრენს-მეთქი“, ანდა ცოტა მეშელავათა: „ხომ არ ულიტინებენ“, ანდა „ჭკუაშემღერებული“ შემერქმია, ან „ჭკუამხიარული“,

„ჭკუახალისიანადაც“ ვერ გაიმეტებოდა. უფრო მეოცნებედ მეჩვენა მზექაბუკივით, მასზე უფრო დადინჯებულ და გულჩაკეტილ მეოცნებედ.

მაგრამ უცნაური თევზების ლანდები რითი ავუხსნათ? ნუთუ სიმართლესა ჰყვებოდა, თუნდაც შეოცნებებულ სიმართლესა? იქნებ სულაც მტკნარი ოცნება აჩვენებდა ასე. იქნებ სინამდვილეც იყო და წარმოსახვაც, იქნებ სულაც ღვინომ ამოადგმევინა ენა, იმან წაუშალა საზღვარი სინამდვილესა და ოცნებას შორის. ასნაირი „იქნება“ წამომეშალა და კვლავ მალულად შევათვალიერე. იმანაც მალულად ამხედ-დამხედა.

— კალმახების სადღეგრძელო იყო, ხომ? — შეგვახსენა ამირან ცქიმანაურმა.

— კი, მაღლა შემხტარი კალმახისა, — დაუმოწმა მზექაბუკმა.

— ჩემი კალმახისა — კვირისასი, უპირველესი მოცურავისა, უმოძრაობისა და ერთფეროვნების მოძულისა, სიცოცხლისა და თავისუფლების ტროფიალ-გიჟისა! — ხმამაღლა წამოიძახა ჯუანშერმა და ერთი აქნევით გამოსცალა ყანწი, ფრჩხილზე დაიბერტყა შერჩენილი წვეთები და თქვა: — ასე მტერი დაეცალოს კვირისასაც და ჩვენცა!

ყველამ ბოლომდე გამოვცალეთ კალმახის სადღეგრძელო.

კარგა შევხალისდით. მე მეტი აღარ მინდოდა, აქეთ-იქით მიმიწევდა გული, იმ წყალში ბანაობა მომწყურდა, იმ მწვანიანზე წამოგორება მომინდა, იმ მთის მწვერვალზე ასვლაც მოვინატრე, არაფერი იყო აუცხადებელი, მაგრამ მოქეიფეებს ეადრევებოდათ იქაურობის მიტოვება, ჯუანშერი ქეიფის ეშხზე იყო, უფრო მართლად უკვე გამომთვრალიყო კიდეც, მაშინ უფრო შევიტყეთ, რომ წაიბარგანავა და გვიბრძანა:

— მოდით აქა.

— რა მალე მოსწყდა კინწი! — მის არგასაგონად თქვა ბირილემ.

— მართლა წუხანდელი ღამენატეხია და ისედაც მალე ეკიდება, — მიუგო მზექაბუკმა.

ჯუანშერი კვლავ წამობარბაცდა წინა.

— დაიჭერი, ჯუნა? — გაეხუმრა ბირილე.

— თქვენი სიყვარულით დავიჭერი! — უფრო მეტად წამობარგანავდა და:

— მოდით აქა-მეთქი!

მივედით.

ჯუანშერმა მხრებზე ხელები მოგვხვია, ჩვენც მოგვახვევინა ერთმანეთს, ეგრე დაგვაყენა ხორუმის მოცეკვავეებივითა და უცებ წამოიწყო:

— ჰეიიი, არწივი ვნახე დაჭრილიიიი!

ჩვენც ავყევით,

— კარგია, დაასხით, ახლა დაჭრილი არწივის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ!

— გვეყოფა, ჯუნა! — ისევ ცქიმანაურმა გაუბედა.

— აი ეგ „გვეყოფა“ და „კარგია“ არ მიყვარს. დაასხით-მეთქი, თორემ სავსე სალვინეთი ვიტყვი! — ისეთი კილოთი თქვა, რომ თუ არ შევუსრულებდით, უარესს იზამდა.

დაჯერება ვარჩიეთ.

ჯუანშერი ამ სადღეგრძელოზეც ენად გაიკრიფა. ისე ლხინობდა, თამამობდა და მთვრალობდა რომ მე კი არა, დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრებიც ველარ სცნობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნინო ქუთათელაძე

●

დგას მოკეცილი ფრთების ტაძარი
და ალმაფრენას ელის და ელის,
მხოლოდ იმიტომ დატოვებს მიწას,
რომ მწუხარება წაიღოს შენი.

ალავერდივით თეთრია გული,
ალაზნის ველზე ღამეა ვრცელი...
დგას მოკეცილი ფრთების ტაძარი,
სამშობლო სევდის, აზრის და რწმენის...

### მეგობრებს

რომლებიც ხართ და რომლებიც არ
ხართ,
ან თუნდაც ერთ დღეს იყავით ჩემში,
რომელთაც გქონდათ აზრი და განცდა
სასხვისოდ, არა ჩემთვის და თქვენთვის.

თუკი ოდესმე დაუშვით აფრა,
ან გაიცვალეთ უწმინდურ ვერცხლში,
დაიმახსოვრეთ, მე ისევ აქ ვარ
და თქვენ ვერასდროს ვერავინ
შეგცვლით.

●

ნუ დამიშრიტე ყველა ღრუბელი,
მე კიდევ მინდა ცრემლი და დარდი!—
ასე უნაღვლო და ულმობელი
ამოეფარე თეატრის ფარდებს
და სიტყვა ჩემთვის შესაწევარი
საფლავის მძიმე ლოდივით გადევს.

### (ციკლიდან: „თანამედროვე საგალობლები“)

1.

ჩემი სული მიიწევს მაღლა!..
არ მეკარება ღამით ძილი,
დღისით — სიმღერა
და როგორც სხივი
შენი სახლის სარკმელთან ვდგავარ,
ჩემო უტყვო და პირმეტყველო!
მომეცი ძალა,
ვიგრძნო შენი სიშორის სითბო
და დავინახო უნახავად შენი თვალები,
ის მწვერვალები სიკვდილივით
მიუკარები,
მხოლოდ თვითონ რომ გეხება ხელით,

ან სუნთქვით გზარავს...
მითხარი, როგორ დავრჩე მიწაზე,
რამეთუ სული მიიწევს მაღლა
ჩქარა და ჩქარა!

2.

წვიმა ვერცხლია,
ცხელი სითბო
მოჰყვება ივლისს,
გული სავსეა
შენი მზით და შენი სიშორით...
არაფერია,
ჩემი თეთრი ხელები გებრძვის,
რომ დღესაც როგორმე
მოიგერიოს შენი ალმური!
მაგრამ როდემდე,
როდემდე გასტანს
მკაცრი ცხელება?
მოგეახლები, როგორც წამება
სექტემბრის თვეში,
ჩემში იქნება
მხოლოდ ზამთრის გარდუვალობა
და შიში, რომ შენ ვერავინ შეგცვლის!..

მერე იქნება
უსაშველოდ ბევრი გალობა
წვიმა ვერცხლია
და მოდის ვერცხლი!

3.

ქარსამკაულო,
ჩემი მიწის
მკათათვეში მიგატოვე
საკვამურთაგან
მოსულმა კვამლმა, —
სხვათა სითბომ
და ფერებმა შენი ლანდების...
რადგან მეც სხვა ვარ,
მიიღე ჩემი სითბო და განცდა,
ხელისგულებზე დამაყრდენი
შენი მკლავები,
ქარსამკაულო ჩემი მიწის!

4.

გადივლის ყველა
მწველი ალმური
და დაფერფლილი
ჩემი ხელები მოგეფერება,
დედაო მიწავ, დადამიწავ,
შენი ნაჟურით
აივსება ჩემი თვალები
ყოვლისმნახველი
და ყოვლის მხილველი...
და შეძახილი ჩემი პირველი
იქნება დარდი,
და შეძახილი ჩემი მეორე
იქნება სხივი,
და შეძახილი ჩემი მესამე
იქნება მიწა!
გავივლი ათას ბილიკს
და საცდურს
და არაფერი არ დარჩება ჩემში,
შენს გარდა.

# ირაკლი ციგროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლაშარის ტყე

სეტყვა გკორტნის
თუ სიმშვიდის ხმაზე
გუგუნებ, დგახარ ცად მაცქერალი...
წარსულითა და დღეის დღით სავსევ
ტოტებს გიშოლტავს ქარი ვერანი.

არცარა დელგმა გეუცხოვება
და განა მეხი არ გაქვს ნანახი?..
გახსოვს ყრანტალი ქამის ყორნების,
გახსოვს,
აქ იჯდა ორბი ფრთალაღი.

მზე თუა,
მზისკენ ხელაპყრობილხარ,
ღმერთმა ოდითგან ასე ინება...
ცისიერი ხმა,
ხმა მწყალობელის,
შენი ყმათათვის მოგაქვს იმედად.

მტერს თუ მოყვარეს,
წამსვლელს თუ მომსვლელს
ამაყად ხვდები ტყეო, ზღაპრულო.
ტყეო, ზღაპრულო,
კურთხეულ გორზე
გაშალე მხრები საგაზაფხულო!

## ოცდათერთმეტი დეკემბრის დღიური

გამოვიხედავ ამაღამ გარეთ
და ქარი მხოლოდ ფიფქებს მომაშლის
ალბათ არც ნისლი არ შეწყვეტს
თარეშს
საარაგვოზე, გაბმულ თოვაში.
კარს შემომიღებს მთვარე და თოვლი,
თოვლი და მთვარე მეწვევა მეკვლედ.
რით მანუგეშებს მნათობი შორით,
რას მეტყვის, ნუთუ რაიმეს შეძლებს?..

რას მეტყვის ღამე გრძელი და გულქვა,
თოვს და თოვს... ისევ შორიშორ
ვრჩებით
და დაბარდნილი ხეების სუნთქვას
ინაწილებენ მთვარეში მთები.

ბჟუტავს სანთელი... წამიწამ ისმის
ჩემი წყალ-ჭალის მგლების ყმუილი.
ხევი თუ ხრამი სავსეა ნისლით,
სივრცე — არაგვის ცივი შხუილით.
ფიქრში ძილფხიზლობს ქათქათა არე,
ფიქრი — შორი გზის მგზავრი მოვა
შინ...
ალბათ არც ნისლი არ შეწყვეტს
თარეშს
საარაგვოზე, გაბმულ თოვაში.

●

მეგზურო,
ჩემო ფიქრო, ჩამოვსხდეთ,
წუთით ჩამომხსენ ტვირთი
მხრებიდან,
რამე შევევედროთ ნათელს
მწყალობელს,
სანამ დაისი ქედებს შებინდავს...

დამიახლოვეს სთველის აფრებმა,
მაინც მწუხრვალი ვრჩები წყაროზე,
ქარიც უფრო და უფრო მძაფრდება,
არსად შვებაა,
არსად სამოთხე.

მეგზურო — ფიქრო,
ჰირხლის წამწამზე
და ღრუბლის ფრთებზე გადამავალო,
ჩამოვისვენოთ... კვლავაც საწადელს
მივყვეთ, ვილხინოთ და... ვივალალოთ.

## ლანდი ხოშარის სასაფლაოდან

აქვე დაფრინავს
გარდაცვლილი ხვარამზეს სული,
აქვე დაფრინავს
გარდაცვლილი ხვარამზეს მზერა,
აქვე ლოცულობს
გარდაცვლილი ხვარამზეს რწმენა
და მიტოვებულ ფუძეზე ღვიძავს...

დასრულდა მისი მარტოობა —
სიმწარის ცრემლი.

მიმქროლავ ქარს ემსგავსება მისი
სული,
გაფრენილ ვარსკვლავს გავს მისი მზერა
ღრუბლის ლახტია გორიდან გორზე,
სახლიდან სახლზე გადამავალი...

დასრულდა მისი მარტოობა —
სიმწარის ცრემლი.

ტყემ და ბალახმა შეიერთა მისი
სუნთქვა,
ტყე და ბალახი იყურება მისი
მზერიდან.

## ცრემლი

რადგან არსებობს ცრემლი ორგვარი:
ერთი სიხარულის არის,
რტოზე გაზაფხულის მძივად ჰკიდია
და კვირტთა სკდომის მოთვალთვალეა.

ხოლო მეორე — წუხილისა,
მიწის გულში ბრუნდება,
ღარავს მიწის პირს და მწუხრეულ
სამოსით მოსავს.

იყო სიცილი...
გაზაფხულის სიცილი — წვიმა,
მდინარეების ჩქამი გაბმული.

მწვანე ნისლები
მთის ფერდებზე გადაეფინენ,
ცხრა მთა,
ცხრა წყარო,
ცხრა ბილიკი გადაირბინეს...
დღეს სხვა ქარი გცემს
მაშინდელი ზღაპრების სახლო.

წლები...
ო, წლებმა დაგაბრუნეს ამ
თავდაღმართზე,
ცხადის ეკლებზე,
ზამთრისპირის ხმელ ბალახებში.

ჩამხობილი ხარ მიწის გულზე ლოცვა-
კურთხევით,
მგზავრო,
ორივე ცრემლის ორწყალთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ დავლიანიძე

# შემობრუნება

რომანი

ადამიანს მოგონების უნარი გააჩნია. ეს რომ არა, სხვაგვარი (თუმცა არც აყირავებული და არც ცალთვალა) იქნებოდა ცხოვრება. უბრალოდ (შეიძლება ბრალიანადაც), სხვანაირი იქნებოდა. მაგალითად, ომების ნაცვლად შეიძლება ამავე (ომების) მასშტაბის ქორწილები და ქეიფები გაეჩაღებინათ (რისკენაც, გულახდილად რომ ვთქვათ, არის კიდეც მიდრეკილება), მაგრამ სულ მოგონებების, გახსენების ბრალია... მაშ ასე, როგორც ჩანს, უიმათოდ (უმოგონებოდ) არ შეიძლება (რატომ? ეს უკვე სხვა დროის გასარჩევია...) ...ვთქვათ, თქვენ ზღვის პირად ან ტყის პირად დგახართ, —იქვე რაღაცის მოგონებაა, თქვენ გოგონა მოგეწონათ ავტობუსში, — ვიღაცას (ან რაღაცას) იგონებთ, (ანდა გაგონებთ), ვინმე გარდაგეცვალათ — აუცილებლად მოგონებები გტანჯავენ. თქვენ საავადმყოფოში ხართ — უმოგონებოდ როგორ გაძლებთ? თქვენ ბავშვი შეგეძინათ? აი, მაშინ არის მოგონებების კორიანტელი... თვითმფრინავში ზიხართ და შეიძლება ის გაიხსენოთ, რაც არასოდეს გინახიათ, თქვენ პატარების თამაშს უცქერით — მოგონებებით ტკბებით; თქვენი უკანასკნელი წუთი დგება — მოგაგონდებათ ყველაფერი... აი, მაშინ ნახეთ!

მოგონებები იმდენად აუცილებელია, რომ უიმათოდ არსებობა (რომელიც მოიცავს სიცოცხლეს და მასთან ნებსით თუ უნებლიეთ დაკავშირებულ გრძნობებსა და სურვილებს...) წარმოუდგენელია... იმდენად დიდია მოგონებათა მნიშვნელობა, რომ მათი არსის აღქმა (ნურავის ეწყინება) ძალზე ძნელია (ისევე, როგორც სამყაროა შეუცნობელი)... თვით წადილიც კი — როგორმე შევიცნოთ მოგონებათა ჭეშმარიტი მიზეზი — ისევ და ისევ მოგონებებით დასრულება, რომელიც ან აგვატირებს, ან გაგვაცინებს, ან გაგვალაღებს, ან გაგვამწარებს და ბოლოს ეს ყველაფერიც ისევ და ისევ მოგონებათა სასაფლაოებზე დასამარდება დროებით, რომ საჭირო შემთხვევაში უცბად აღსდგეს მკვდრეთით და რაღაცა მოქმედებას შეუწყოს ან შეუშალოს ხელი...

ჯონდო ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა და მრავალსართულიანი შენობის მშენებლობას მიაცქერდა... ამან მოაგონა, რომ არსებობს სხვა ფორმის მშენებლობებიც, რომელნიც ვინმე ადამიანის გამოგონებული გეგმით უნდა აშენდეს... რა აგონდება ადამიანს? ის ხომ არა, რაც უკვე ნანახი აქვს? ამას კითხვაც აღარ უნდა — ნაღდად ის გვაგონდება, რაც იმ უსასრულო ჭეშმარიტებაში გვაქვს თვალდაკრული, რომლის შვილებიც ვართ, მაგრამ... მაინც უცნაურობასთან არის დაკავშირებული ეს (უცნაურად აკვიატებული მოგონებები) გახსენებების მოგონებები. როცა ჯონდო ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა და მშენებლობა დაინახა, მან უკვე დამთავრებულადაც ჩათვალა იგი და ასეთადაც დაინახა. ესეც მოგონება ხომ არ იყო? მაგრამ აქვე გაჩნდა მისი მახსოვრობის სასაფლაოდან წამომდგარი კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი — დედამისის დეიდაშვილის სიკვდილი და დასაფლავება... იმ კაცს გიგა ერქვა. ჯონდოს მოთხრობა ჰქონდა მასზე დაწერილი. —ათაშანგით დაავადებული დაბრუნდა ტყვეობიდან, არ იმკურნალა, ღვინოს მიეძალა და ერთ გაზაფხულზე ჭერმის ყვავილი კიტრის ყვავილად ეჩვენა... გიგა გაგიჟდა, ჯონდომ მოთხრობაში გიგა სიბნელით ამოლესილი გვირაბისკენ გააქცია, რომელიც (გვირაბი) სიკვდილის სიმბოლოა იმ შემთხვევაში (მაგრამ ჯონდომ ისეთი გვირაბი აარჩია, რომლის თავიცა და ბოლოც გახსნილია), მაგრამ მაშინ, როცა მოთხრობა დაწერა, გიგა ცოცხალი იყო, სულ ცოტა ხნის წინ მართლა გარდაიცვალა... საღამოს თერთმეტ საათზე ძმამ ჩამოუტანა ამბავი სოფლიდან... ჯონდოს ცუდად ეძინა იმ ღამით — გალიფეში გამოკვანწული გიგა აგონდებოდა. ასეთი მას პატარაობისას

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 4, 5, 6.

ჰყავდა ნანახი... დილით მატარებლით (უმოგონებებოდ) გაემგზავრა სოფელში... ნათესავები გიგას დასაფლავებისთვის ემზადებოდნენ. ყველას გაუხარდა ჯონდოს დანახვა... თებერვლის მზე იდგა და დეკემბრის ქარით დაჩვრეტილი ნიცივის ცხრილში გამოკვერილი სუსხი ფეთქავდა...

ჯონდომ ჯერ გიგას ძმებს მიუსამძიმრა. მერე მის შვილს და შიგნით შევიდა, სადაც ჯონდოს ბაბო და გიგას ცოლი იხნდნენ. მის დანახვაზე ტირილი წასკდათ და დაატირეს: ჯონდოც მოვიდა, ერთი მაინც წამოიხედეო...

ეხლა გიგას აღარ ეტყობოდა, რომ იგი წინათ გიჟად იყო, სხვა მკვდრებივით იწვა. თითქოს თებერვლის სიცივეს გაეცრიცა...

ეზოში, იქ, სადაც ხორცი (ხაშლამა, შილაფლავი) იხარშებოდა, ხმამაღლაც კი იცინოდნენ (სიცოცხლე ტკბილიაო), არყის ბოთლი ედგათ, შეციებული კაცები ქურდულად, გვერდულად მიიპარებოდნენ იქითკენ, თითო ჭიქას სვამდნენ, თითო ნაჭერ ხორცს აყოლებდნენ და უფრო მხიარულად იხსენებდნენ გიგას ახალგაზრდობას...

ჯონდოს ბიძები ცალკე, კაკლის ძირში იდგნენ. დეიდამისი და ბაბო გიგას უსხდნენ კუბოსთან... ჯონდოს დედა ვერ ჩამოვიდა, რადგან გულის მანკით იყო ავად.

კაკალი, რომელთანაც ბიძამისები იდგნენ, გიგას ბიძაშვილის ეზოში იყო. ეს ბიძაშვილი სიმთვრალისას მუდამ ცეცხლს უკიდებდა თავის სახლს, მერე (მეზობლების ჯინაზე) ისევ აშენებდა და ისევ ქეიფობდა... ახლაც მთვრალი იჯდა აივანზე... გიგას სიკვდილის გამო იგი არ წვავდა სახლს, სამძიმარზე მოსულ ხალხს აშტერდებოდა და ჩუმად აგინებდა, ეხლა გაგახსენდათ გიგას კაიკაცობაო? უფრო ხშირად კი მზარეულებისკენ იცქირებოდა და იმათ უკვე ხმამაღლა აგინებდა...

გამოსვენების დრო ახლოვდებოდა — ხალხი ემატებოდა. სულ უფრო მეტი ნაცნობი მოდიოდა და მოსაგონარიც მეტი ეძლეოდათ. გიგასი და მეზობლების ეზოები გაცილებით მეტი მოლიმარი სახეებით ამოივსო — ხალხი ერთმანეთს ესალმებოდა, რა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, ნუთუ ახლობლები რომ გავიხსენოთ, აუცილებელია, ჭირი დაგვემგზეროსო...

ერთი შორეული ნათესავი მოუახლოვდა ჯონდოს. იგი ათი წლით უმცროსი იყო ჯონდოზე. ძლივსღა იცნო, ისე დაკაცებულიყო ნაადრევად. ნათესავმა უსაყვედურა, მხარში წამოარტყა და მზარეულებთან მიიპატიჟა — თითო ჭიქა არაყი გადავუძახოთ, პატარაობა გავიხსენოთო... ჯონდომ იუარა. ეჯავრებოდა ყველა ადრე დაკაცებული. ნაცნობს ეწყინა. ისე დაემდურა, ვილაც ბიჭთან ერთად დალია არაყი, თავისი ბავშვობა გაიხსენა, ჯონდოს ბიძებთან მივიდა და ხელების შლით აუხსნა რაღაცა. ბიძებმა ჯონდოს გამოხედეს. ეტყობა, ნაცნობი ჯონდოზე ელაპარაკებოდა, როგორი დისშვილი გყავთ — მაგან არ იცის და მოყვარეო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამ საათზე კუბო გამოიტანეს. ეზოში დაასვენეს. ბაბო ბორძიკით ჩამოვიდა კიბეზე. ძველებურად, ჯვარედინად წამოესხა შალი და ცალი ხელი უკან, წელზე ედო...

მედოლემ დოლს შემოსცხო, მედუდუკეებმა ჩაჰბერეს და ჯონდომ იგრძნო მის სისხლში როგორ აიქოჩრა ის პაწაწკინტელა ბურთულები, რომელთა ნახლეჩები გიგას სხეულში იყვნენ ჩაყინულ-ჩაციებული. ყბა ველარ დაიმორჩილა... ვილაცები გიგას სურათს დაარბენინებდნენ — ბალღს ეძებდნენ, მოზრდილს ხომ არ დავაჭერინებთო. ბოლოს პატარა ბიჭს ჩააბარეს. მან ბავშვური სიამაყით, სიმორცხვითა და შიშით ჩაბღუჯა გიგას ახალგაზრდობის ფოტოსურათი, სადაც გიგას თმა გვერდულად გაეყო, საკინძეჩახსნილი პერანგი ეცვა და იღიმებოდა...

პროცესია დაიძრა. ადამიანები აფუსფუსდნენ. ვილაცა კუბოს გატანას ხელმძღვანელობდა — მაღლები უკან, დაბლები წინ მიდითო...

ერთაწმინდის აღმართთან გზაჯვარედინზე, გიგა კიდევ დაასვენეს... ჯონდო და ბიძამისი განზე გადგნენ. ფერდობებზე ალასტული სახლების ეზოებიდან ბავშვები იცქირებოდნენ. თვალებში ორი რამ — შიში და ცნობისმოყვარეობა დაენახვოდათ... არც არაფერი შეცვლილა თურმე... ჯონდოს პატარაობისასაც ასე იხოცებოდა ხალხი და ისიც ამგვარი შიშით, ზარით და ცნობისმოყვარეობის ნაფლეთებით აცილებდა გარდაცვალებულს, როგორც ეს ბალღები, რომლებიც გაიზრდებიან, ასევე იდარდებენ ახლობელის აღარ ყოფნას და ასევე შეათვალიერებენ ლობეებთან მომდგარ ბავშვებს... და მაინც, ამ ბავშვების დარდი ისეთივე იყო, როგორც ჯონდოს პატარაობისა... ახლა როგორც კი აატარებენ გიგას, ბალღები აირევ-დაირევიან, ჯოხებს დაამტვრევენ, ავჭალურს აჰკენწლიან, გაითვლებიან, გაიყოფიან, თამაშობას დაიწყებენ და მათი ცხოვრება გაგრძელდება ჩვეულებრივად, ყოველგვარი სიახლის გარეშე, რადგან ასეთი ცხოვრება უკვე იყო, სხვებს ჰქონდათ... ზოგს კი ჰგონია, მისი სიცოცხლის ხელმეორედ გამეორება უზრუნველ ცხოვრებას მიანიჭებს და ცდილობს სიცოცხლე გაიხანგრძლივოს და თავიდან დაიწყოს...

ჯონდო მარტოდ მიაბიჯებდა სასაფლაოსკენ. ნათესავი გოგონა მიეწია, უსაყვედურა, როგორ გაჭადარავებულხარ, ძლივს გიცანი, არადა, მეც რაღასა ვგავარ, ეჰ, რანი ვიყავითო...

ხალხი სამარესთან შეგროვდა. ჯონდო განზე გავიდა და ფავნისის საყდარში შევიდა... ბიძამისი რომ დაქორწინდა, მეორე დღეს სასაფლაოზე ამოვიდნენ (ზოგმა თქვა, „გავინადიროთო" ზოგმა — „დილის საარზე" გავიდეთო). არასოდეს ავიწყდება პაპამისი, დედის საფლავზე რომ დაიჩოქა მაშინ, ნაბდის ქუდი მოიხადა და დაატირა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ჯონდო შორიდან უცქერდა კაცებს, რომლებმაც გიგა ჩაუშვეს სამარეში და ქვა-ღორღიანი მიწა მიაყარეს. ციოდა, სწრაფად შეიწყალეს მიცვალებული და ხევისკენ დაეშვნენ. ზოგი გარბოდა, ბუჩქებს ეჭიდებოდა და ამ ლტოლვაში იგრძნობოდა დიდი სიმძიმის თავიდან მოშორება, უფრო მხუბუქად მიდიოდნენ სასაფლაოდან. მზე გამოჩნდა და ქარიც ჩადგა.

ჯონდოს ნათესავები ბიძაშვილის საფლავთან მივიდნენ. ათი წლისა გარდაიცვალა გოგონა... ისე იცოცხლა, ფეხზე ვერ გაიარა... ხალხი მისი დასაფლავების დროსაც იმასვე ამბობდა, რასაც ახლა გიგაზე ლაპარაკობდნენ — მოისვენა უბედურმაო... პატარა ლიას საფლავზე ალუბლის ხე ამოსულიყო. ჯონდოს ბიძა ნაღვლიანად დასჩქეროდა ხეს და ამბობდა: თავისით ამოვიდა, ვერცა ვჭრი, არადა, როცა გაიზრდება, ნაყოფს გამოიტანს, ბავშვები ავლენ ზედ, ტოტებს დაამტვრევენ და საფლავს აიკლებენო.. ვერავინ ვერაფერი ურჩია... მერე ისინიც ხევზე დაეშვნენ, — მოკლეზე. სამნი დარჩნენ უკან. ნელა მიდიოდნენ და ადამიანის გაჩენის ავკარგზე საუბრობდნენ ისე, როგორც ეს მხოლოდ ჭირისუფალს შეუძლია, სასაფლაოდან რომ ბრუნდება... ჯონდოს ბიძა ერთგან შეყოვნდა — ენძელა ამოსულაო, — თქვა და ისევ გზა განაგრძო... ჯონდოს ახსოვს, ამ ყვავილს წინათ, პატარაობისას, მახათაზე აგროვებდნენ და მის ფესვებს ჭამდნენ...

ჯონდო ზემოდან მოექცა სოფელს. მარტო დარჩა. ნელა მიუახლოვდა სახლს, რომელსაც აღარც სახურავი ჰქონდა, აღარც კარ-ფანჯარა, აღარც... ამ სახლში ბაბო ნატა (გიგას დედა) ცხოვრობდა, აქ გაჩნდა გიგა, ახლა კი აღარც სახლი იყო, აღარც ბაბო ნატა, აღარც პაპა აბრამა. აღარც გიგა, აღარც...

თამადამ აღნიშნა — სულ რომ არაფერი, გიგას მშობლებს ის ბედნიერება მაინც ხვდათ წილად, საკუთარი შვილის სიკვდილს არ შეესწრნენო... ნაწყალი ნატა ბაბო... რაც ის ქალი ახსოვს ჯონდოს, სულ თავს იტკივებდა. დილაადრიანად ჩამოივლიდა მათთან და ბაბოს ეტყოდა — გოგო, თავი მტკივა, სულ მირატრატებს, იქნება „პარაშოკი" მომცე რამეო... ბაბო ამოაქოთებდა ძველ სკივრს, ოხვრით, კვნესით, ტირილით იპოვიდა წამალს და ასმევდა...

თამადამ ხმას აუწია, რაც იმას ნიშნავდა, ხალხი შეზარხოშდა. ჯონდომ წამოიწია, მაგრამ ბიძამისმა დასვა — ჩვენ ნათესავები ვართ, ბოლოს ავდგეთ, უცხო დაგვინახავს და იფიქრებს, აშლის დროაო...

მარცხნივ ჯონდოს სოფლელი ბიჭები ისხდნენ. —ერთ მათგანს მუდამ დასცინოდნენ, მეორეს ბაჭყატს ეძახდნენ — სულ წყალში აყვინთიინებდნენ, მესამეს წიხლით სცემდნენ... ჯონდოს გაუკვირდა, ამათ ჯერ ერთად რა უნდათ, მერე აქ რას აკეთებენო. რა შუაში იყვნენ ისინი და გიგას სიკვდილი?.. ბიჭები საჭმელის ჩამომტარებლებს ელოდნენ — აბა ლობიო როდის მოვა, აბა ხაშლამა და შილაფლავიო... ხმამაღლა იცინოდნენ... ხაშლამა რომ ჩამოარიგეს, ბიჭებს მარილი მიაკლდათ. ჯონდომ ორი სამარილე მიუმარჯვა... ბიჭებმა ვერ იცნეს...

ბოლოს (ტრადიციისამებრ), ფული შეაგროვეს, სიები ჩამოწერეს და მორჩა გიგას ქელეხი...

გზაზე გამოშლილი ხალხის საუბარი მათი ჩაცმულობასავით ჭრელ-ჭრულა იყო: „ქელეხს არა უჭირდა რა, ძმაო"... „კი კაცო „ცოცხალი" იყო, ხაშლამა იყო, ლობიო იყო, შილაფლავი ცოტა გვიან კი შემოიტანეს, მაგრამ ხომ იყო?", „თამადად კი სხვა ვინმე უნდა აერჩიათ", „მუსიკოსები არ ვარგოდნენ, მაგრამ რას ერჩი, ხალხი კი ატირეს და... ეჰ, საწყალმა გიგამ კი მოისვენა და..."

ჯონდომ ფეხს აუჩქარა. ძლივს შეიკავა თავი. კინაღამ მოყაყანე ხალხს შეერია და ცემატყეპა აუტეხა, მაგრამ დროზე გაასწრო, თავდალმა დაეშვა, რომ არაფერი მოესმინა...

პაპამისი არ დაესწრო დასაფლავებას. შინ უცდიდა. ნათესავების დანახვამ გაახარა მოხუცი, ძირისახლიდან ზვრის ღვინო ამოიტანა და კვლავ გაიშალა ჭირის სუფრა. ჯონდო დააყენეს თამადად. ამ წუთში მას მოუნდა ღვინის დალევა, რადგან იგი იმ ოთახში იჯდა, სადაც დაიბადა, მისი ბაბო და პაპა ესხდნენ გვერდით, ბიძები თავჩაქინდრულები უსხდნენ, საწყალი გიგას მოსაგონარი იყო და ნათელ ჭიქებში ნაფუძარის მწვანე ღვინო ლივლივებდა...

როცა წინათ, ახალგაზრდობისას, დაიძახებდნენ გაბრიელა (ჯონდოს პაპა) ქეიფობსო, მათი სახლის წინ ეტლების გრძელი რიგი დგებოდა და რამდენიმე არღანი ღიღინებდა... დღეობებს შორის პაპას ყველაზე გამორჩეულად ერთაწმინდობა უყვარდა... ეს სიყვარული ჯონდოსაც გადმოჰყვა, მით უმეტეს, ერთაწმინდის ეკლესიაში იყო მონათლული... პაპამ ერთხელ ერთაწმინდობა დღეს (ოქტომბრის პირველ რიცხვებში იცის) ცამეტი არღანი და ათი ეტლი მიაყენა სახლს... ის საღამო ახლაც თვალწინ უდგას ჯონდოს. ვინ აღარ იყო: ჯონდოს დედ-მამა, დეიდას ქმარი — გოგია, ბიძები — ციკუნა, ბუსო; ნათესავები: აჩიკო, ცაცკა, ნანა, ქეთო, ძალო-მარიამი; ბაბოს დები — ნატა და მაშია; მეზობლები — წრიპა-გურამა, ბასარა შალა, ოქროსიაანთ ნოდარა; პაპას მეგობრები — ლოქო-კოლა ქიმა-მათე; ბაბო ნატას შვილები — კოლა, ვახტანგი, მარუსა, ლიპიანი გოგია, გიგა; ჯონდოს ტოლი ბიჭები — თათრიაანთ თემო, ყბაჩუაანთ ვანო, მევლუდა, ბაცაანკლიაანთ ვაჟა...

ჯონდოს პაპა რომ დაიკვანწებოდა, უკვე ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მთვრალი იყო, — ჯონდოს მამა ხელისგულზე ხანჯალს აბზრიალებდა, ლოქო-კოლა კბილებით მაგიდას დაატარებდა, აქეთ ბიძები შალახოს ცეკვავდნენ, იქით ტაში...

გაბრიელა ქეიფობდა....

ამ დილით კი პაპას ცარიელი თეფში ედგა წინ და ერთი ჭიქა ღვინის დალევისა ეშინოდა, დილას უკვე დავლიე და მეტი არ მომივიდესო... არადა, ყველაფრის ძველებური სურვილი აქვს პაპას. გული სინამდვილეში ბერდება, მაგრამ ჩვენში ის არის მარადიული, რაც მიზეზია თვით გულის ფეთქვისა... ის ჭეშმარიტებაა, ის მარადისობა და უკვდავი ჰარმონიაა...

ჯონდომ ერთაწმინდობის სადღეგრძელო თქვა. პაპამ ვერ მოითმინა, ღვინო დალია — სულიც რომ ამომძვრეს, მაინც ვადღეგრძელებო... ბაბომ გეყოფაო, უთხრა პაპას, კომბოსტოს მწნილს წასწვდა და ინატრა, ნეტავ იმას, ვისაც კბილები აქვსო...

შუადღემდე სვეს. უმცროსი ბიძა დაითრო. პაპა შეზარხოშდა. უფროს ბიძას თავი ასტკივდა. დეიდას ქმარი — გოგი ადრე ადგა სუფრიდან, ჯონდოს მაჯისცემა შეუნელდა... დაძინების წინ ტუბჰოსპიტალი გაახსენდა, რომლის ტუალეტში მხოლოდ შვიდი ნახვრეტი იყო და ერთმანეთისაგან გამომყოფი კედლები არ ჰქონდა... ჯონდოს მაშინ ეგონა, რომ ასეთი ტუალეტი სპეციალურად გაეკეთებინათ, რათა ავადმყოფს ერთი წუთითაც არ მოსწყლოდა ნაღველი ოთხ კედელში, ან სამკედელშუა მარტო ჯდომით.

ჯონდომ დიდხანს იტრიალა ლოგინში. თებერვლის ქარი მძლავრად უბერავდა, გიგას სახეს ატრიალებდა და ნაკვერჩხალივით აღვივებდა... ხალხის, სოფლელების, ნათესავების აზრით, გიგა გიჟი იყო... ამბობენ, რომ არსებობს ერთი მთლიანი სული, რომლითაც გაჟღენთილია ყველაფერი, თვით ვაკუუმიც კი... ჯონდომ ვეღარ გაარკვია, თუ ეს ასეა, გიგა რომ გაგიჟდა, სული რა მდგომარეობაში იყო? იგი ხომ მარადიულია? მას ხომ არაფერი ეკარება? ისე რომ გიგაში, ამ დალეწილ გონებაში, ალუფხულ ჭკუაში მკვანა აზროვნებაში მშვიდად განისვენა სულმა და ამდენ ტანჯვაში გაატარა კაცი? ჯონდომ მიტოვებული სოფლის გამოცარიელებული, მილეხილი სახლი წარმოიდგინა — მასში არ ცხოვრობს ადამიანი, სახლი კი დგას და კიდევ დიდხანს იდგება... ჯონდო შეკრთა — მაშასადამე, უსულო ადამიანებიც არიან? ეს საშინელებაა! კეთილი, ვთქვათ, სული არ ჩაერია გიგას მორჩენაში, იმიტომ, რომ გიგას ბრალი იყო მისი ავადმყოფობა, მან არასწორად იცხოვრა და დაისაჯა, მაგრამ რა რჩება? ვითომ სული არის ყველაზე მაღალი ადამიანში? ისიც გონებაზე ოდნავ მაღლა მდგომი საფეხურია და მეტი არაფერი? ან არადა, სულს სულაც არ ძალუძს განკურნოს ის სხეული, რომელშიც ცხოვრობს. ეს იმას ჰგავს, კაცს რომ სახლი გენგრეოდეს თავზე და ხელს არ ატოკებდე... ვითომც არ აინტერესებს? ვითომ, ვინც არ დაიჯერა მისი არსებობა, იმისგან კარი გაიხურა და განილტვა?

ჯონდო თავის თავზე გაბრაზდა — რატომ მსურს ყველაფერი ვიცოდე და ყველაფერში ხელი ვაფათურო, არამკითხე ვარო... ესე იგი, საჭირო არ არის იმის ცოდნა... დაიბადე? გაჩნდი? ადექი და, როგორც გასწავლეს, ისე იცხოვრე. გიყვარდეს დედ-მამა, ნათესავები, ადამიანი, სულდგმული, სიბოროტე არ ჰქნა... რაო, ეს ცოტაა? ჯერ შეძლი ამისი მიღწევა, რომ სხვასაც ეპოტინები?!

ეს სიტყვები თითქოს ქარს მოყოლილმა ცეცხლის გოლიათმა ჩასძახა ჯონდოს. პირქვე ჩაბრუნდა. ზუსტად ასეთ წინააღმდეგობაში ვარდება იგი, როცა ამგვარი ცხოვრებისეული კვანძების გახსნას ცდილობს. რაღა ეთქმის? რაღა უპასუხოს?! იფიქროს? კეთილი და პატიოსანი — იფიქრებს, მაგრამ იმ ფიქრებში არ გავიდა ის საუკუნეები, რომლებიც ახლა უხსოვარ დროდ ინათლებიან?.. თუმცა, რაღა დარჩენილა. მეტი რა ჯანია, ჯონდო იფიქრებს, მერე ფიქრს ჩაიწერს (უფილოსოფიოდ) და ფიქრის ფიქრზე იფიქრებს დაუსრულებლად...

ჯონდო ადრე ადგა. ადამიანთან სურდა გამოლაპარაკება. კიდევ კარგი, დეიდას ქმარიც ზეზე იყო, — მასაც არეული ჰქონდა სახე:

— რა იყო, ბიჭო? — გაუცინა გოგიმ.

— ცუდად მეძინა.

— ბევრი ვსვით, კაცო, ამდენი არ შეიძლება, მეც ვერა ვარ კარგად...

ჯონდოს უცბად მოეშვა ღამიდან გამოყოლილი უგუნებობა და უცბად გაეხარდა, რომ მას ჰყავს ბაბო, პაპა, მშობლები, მეგობრები, ნათესავები... აი, ისინი მიყვარდეს, ეს არის მთავარიო, გაიფიქრა.

ბაბომ ხელახლა გააწყო სუფრა. ჯონდომ და გოგიმ შეჰბედეს არაყს, — პაპამ ურჩია. გამოკეთდნენ, — ერთს ორიც მიაყოლეს, მერე თითო ბოთლი ღვინოც მიირთვეს და გარეთ გამოვიდნენ...

ჯონდო სათონესთან შეჩერდა. იქ, მონგრეული კედლის კუთხეში მიიკუნტა, ზუსტად ისე, როგორც ბავშვობისას იცოდა, ეს ადგილი ისევ ისეთი თბილი იყო და გაელიმა — მოგონებების აგურებით აგებული ნაგებობა ვარო... არადა, მართლა რამდენი რამ აიხორხლა ამ მოგონებებში: ჯერ მოგონება, მერე ტროლეიბუსიდან ჩამოსვლა, შენობის მშენებლობა, გიგას დასაფლავება, მოთხრობა, ძმა, დედა, კუსკო დალაქი ცეცხლს რომ უკიდებს ხოლმე თავის სახლს, პატარაობისას გარდაცვალებულის ცქერა, ფავნისის საყდარი, ბიძამისის ქორწილი, დიდედის საფლავთან მტირალი პაპა, ბიძაშვილის საფლავი, მამათას მთა, ენძელები, ბაბო ნატა, პაპა აბრამა, ნასახლარები, ოთახი, სადაც დაიბადა, პაპას ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდობა, არლნები, ნათესავები, ერთაწმინდობა, ტუბმოსპიტალი, სული...

ჯონდომ დაიჯერა, რომ იგი უმოგონებებოდ არაკაცია, რომ ადამიანები გამომგონებლების შვილები ვართ, მოგონებებით ვცხოვრობთ, მათს გამო ვიბადებით, მათს გამო ვართ... მოგონება ის გეომეტრიული პროგრესია, რომელიც სიცოცხლისა და ჩვენს მიღმითა ყოფიერებისგანაა შედგენილი და მისი შეწყვეტა წარღვნაა, მეტი არაფერი...

●

ვაჟა და ჯონდო მეცხვარეებთან მიდიოდნენ.

ვაჟა ჩუმად იჯდა საჭესთან.

ჯონდომ ჯერ შეხედა და მერე ჰკითხა:

— სულ რამდენ რაიონს ჩამოჰყავს ცხვარი ყიზლარში?

— ხუთს: დუშეთს, თიანეთს, ყაზბეგს, ჯავას, ლენინგორს...

— ვაჩე შენთან სწავლობდა?

— ერთად დავიზარდენით...

— ცოტა ჩხუბის მოყვარული ხომ არ არის?

— თავის ნათქვამაა... ძალიან კარგი ბიჭია...

— სკოლა დაამთავრა?

— არა... მეშვიდე კლასიდან გაანება თავი...

— იმის შემდეგ მუშაობდა სადმე?

— ცხვარშია...

— ალბათ იშვიათად ხედავთ ერთმანეთს.

— ხანდისხან მე თუ ჩამოვაკითხავ...

— ჰოჩუბეიში არ უყვარს ჩამოსვლა?

— *არ ჩამოდიან ეგენი საერთოდ... თავიანთი* საქმე აქვთ...

— საპარიკმახეროში მომხდარმა ამბავმა როგორ ჩაიარა?

ვაჟას გაეცინა:

— ღირსი კი იყო... არ მეგონა ვანეზა დალაქი თუ „ივაჟკაცებდა..."

...გამოჩნდა თუ არა მწყემსთა სადგომი, ხმელი ბალახისფერი ქოფაკები გამოცვივდნენ, თითო ბორბალი ამოირჩიეს და ყეფით გაჰყვნენ... ჯონდო შავდინგა ძაღლს დააკვირდა, წინა ბორბალს რომ მისდევდა... ახლა ნაღდად ირწმუნა თამაზ იაკობაშვილის ნათქვამი, რაღაც სპორტული აზარტის გამო დასდევენ მანქანებს ძაღლები..., ქოფაკს მხიარული, სიკეთით აღგზნებული თვალები ჰქონდა... აქამდე კი ჯონდოც სხვებივით ფიქრობდა, რა ბოროტი ძაღლი იქნება, მანქანას რომ არ ეპუება, კაცს რას უზამსო...

მეცხვარეთა ბინის გარშემო მავთულის ნაწყვეტები და ნამჯის გროვები ეყარა... არავინ შეგვებებიათ. ვაჟას გაუკვირდა — ერთი კაცი მუდამ მორიგეობს ბინაში და რა მოუვიდათო.

...ქერათმიანი ქალი დაფუსფუსებდა ბინაში, ხორცს ჭრიდა, ქვაბში ჰყრიდა... ჯონდო არ დაინტერესებულა ამ დედაკაცის ვინაობით, ჩამოჯდა ტახტზე, რომელზედაც ნაბდები და ცხვრის ტყავები ელაგა... მოშორებით, კუთხეში, რამდენიმე გრძელი მათრახი, ცხვრის თავი და ხორცი ეკიდა. ღუმელთან ხნეული ცხვარი კვნესოდა... უცელაფერი ტყავისა და ხორცის სუნით გაჟღენთილიყო.

ვაჟამ ცხვრის თავს შეხედა:

— გაძლებ, ჯონდო?

ჯონდომ ხმა არ გასცა, სარკმელთან მივიდა:

— თბილი ქარი ჰქრის...

— „მარიანა" ჰქვია ამიტომაც...

— კარგი გოგონა გაგახსენდება კაცს...

ჯონდომ კედლები მიმოათვალიერა, — რომლებზედაც ჟურნალებიდან ამოჭრილი, უმეტესად საბანაო ტრუსებში ჩაცმული ქალების ფოტოები იყო გაკრული.

...ქერათმიანი ქალი ჩუმად საქმიანობდა. გარეთ კასპიის ზღვის ქარი ჰქროდა, ღუმელთან ცხვარი კვნესოდა, მათრახები და ცხვრის თავი გაუნძრევლად ეკიდა.

— როდის ამოგაკითხო, ჯონდო?

— როგორც გითხარი...

— იქნებ უფრო ადრე ამოვიდე?

— ეგრე თუ გამიჭირდა, მე თვითონ ჩამოვალ...

— მაშინ მე წავალ, უშანგი მელოდება, რამინა გიორგაძის ბიჭის თაობაზე უნდა წავიდეთ ასტრახანში...

— სასწავლებელში უნდა ჩააბაროს?

— ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადმოგვყავს...

ვაჟამ იგრძნო, ჯონდო საუბარს აჭიანურებდა:

— ჯონდო, იქნებ უკანვე წამომყვე? რაც აქ ახლა ნახე, ხვალაც იგივე იქნება... ჩავსხდეთ მანქანაში, ტრამალებს დავუაროთ... ვაჩეს ხელდახელ ვიპოვით, გაესაუბრე...

— არა, — თქვა ჯონდომ.

ვაჟა წავიდა.

ჯონდომ სავაზნე შემოიკრა, თოფი აიღო და გარეთ გავიდა.

ძაღლები ერთი ხანობა ძუნძულით აედევნენ, მერე თავი მიანებეს. გაუკვირდა — ძაღლებს არ ვუყვარვარ, ესენი რა მალე შემეჩვივნენ, ნეტავ რა მოუვიდათო?

შემაღლებულ ადგილისკენ გაემართა, საიდანაც შეეძლო ადგილ-მდებარეობის უკეთესად დანახვა... თბილი ქარი ჰქროდა, მაგრამ არ ცხელოდა... ფრთხილად მიაბიჯებდა, გველს არ დავადგა ფეხიო... შემხმარი ბალახი შრიალებდა და ტკაცუნით იმტვრეოდა... ძირ-ძირებში მწვანე ბალახი ლალანებდა, აქაურები ლურჯს, ანუ თოხლის ბალახს უხმობდნენ... ჯონდო კვლავ ქალაქზე ფიქრობდა... ადრეც ასე მოსდიოდა, როცა სოფლის ტყეებს მიაშურებდა, წარმოუდგებოდა

ხოლმე მეგობრები, რომლებიც შინ იხსდნენ... ორი მოძრავი წერტილი შენიშნა შორს. თითქოს მარცხენა ხელზე ჩამოიდო და იგრძნო, როგორ გაიღვიძა მასში რომელიღაც მონადირე წინაპარმა, ლუკმაპურის საშოვნელად რომ დაძრწოდა ოდესღაც...

თოფი ისევ უცბად გადაიკიდა... როცა ორი წერტილი წეროდ იქცა, საწერ მაგიდასთან მჯდომი, კუზებამოყრილი მეგობარი წარმოიდგინა, რომელსაც კალამი ეკავა, ღრღნიდა და მერე ლექსებს წერდა... ნეტავ რა ელის იმ ნაწერებს? რისთვის წერს? თავისთვის? სხვისთვის? იქნებ შვილისთვის, ცოლისთვის, მარადისობისთვის? წიგნები, ნახატები, ქანდაკებები მათთვის განკუთვნილ ადგილებზე რჩება და მეტი არაფერი... ესენია მუზეუმები, წიგნთსაცავები, გამოფენები, მაღაზიები, სახლები და საკუთარი (პირადი) ბიბლიოთეკები... ყველა ამ ადგილზე ადამიანები დაფუსფუსებენ, ყიდულობენ (იძენენ) წიგნებს, ნახატებს, ქანდაკებებს, მიაქვთ-მოაქვთ. აგროვებენ... მერე, მყიდველები იხოცებიან, — შვილები, შვილიშვილები სხვა წიგნებს, ნახატებს, ქანდაკებებს (ანდა ახლებურად გამოცემულებს) ყიდულობენ, ძველებს (ადგილის უქონლობის გამო), ისევ მაღაზიებს უბრუნებენ, ზოგიერთს ასაჩუქრებენ, ზოგიერთი ეკარგებათ, ეხევათ და... ზოგიერთი (ვისაც ადგილი აქვს) ბოლომდე ინახავს, მაგრამ რომელ ბოლომდე? როდემდე? ალბათ ეჭვი არასოდეს არავის ეპარება, რომ შეიძლება არც ჩვენთვის ვწერთ, არც სხვებისთვის, არც ის ვიცით, — რატომ ვწერთ, არც და... ამ აზრს მოდავე უკვე გაუჩნდა, ეს ნაღდია... იგი შეხლა-შემოხლის მოყვარული ვინმეა, მოკამათეა და შეიძლება თავიც შეაკლას კაცს. მისი (მოდავის, მოკამათის, უკმაყოფილოს) აზრით, ყოველგვარი ხელოვნების ნიმუში (ალბათ „თვალსაჩინო" დაავიწყდა მოკამათეს) ადამიანებს რჩებათ... ტყუილად ნუ დააბრალებენ ჯონდოს ამის თქმას, ტყუილია, ეს აზრადაც არ მოსვლია. — რჩება, როგორ არ რჩება... თუ დროს დავარქმევთ მხოლოდ იმ საუკუნეებს, რაც მოკამათემ (უკმაყოფილომ) იცის, მაშინ იგი მართალია, მაგრამ რასაც უხსოვარი შევარქვით (ერთი სიტყვით, რა ადვილი დასამარხია, ათასობით საკამათო საკითხი!) იქიდან რამდენი წიგნი აქვს საკუთარ ბიბლიოთეკაში მოპაექრეს?.. ზღაპრები! აჰ თქვენ მართალი ბრძანდებით... ზღაპრებიღა შემოგვრჩა, — მარადიული ჭეშმარიტების ნაფლეთები... აპატიოს მოკამათემ ჯონდოს, მას მწერალს უხმობენ და იგი ამიტომ ხანდახან თავს უფლებას აძლევს რაღაც-რაღაცებში ეჭვი შეეპაროს... ასეთ უფლებაზე კი მოკამათეც არ ამბობს უარს... ახლა კი დარწმუნდა ჯონდო, რომ მოქიშპე დამშვიდდა. ეს ასეა, როცა ადამიანები ერთი აზრისანი არიან და ერთნაირ დღეში (სულ ერთია, შავია ეს დღე თუ თეთრი) ჩავარდებიან, უგებენ ერთმანეთს, უყვართ ერთმანეთი და იმის შეგრძნებით, რომ ისინი არიან — შეიძლება ცრემლიც აფრქვიონ... მაშინაც ასე იყო, ჯონდოს ბიძა რომ დაინიშნა: შებინდებისას რამდენიმე ავტომანქანა მოადგა ეზოს და წამსვლელი ხალხით გაივსო... ჯონდოც აძვრა ძარაზე, მაგრამ მათმა შორეულმა ნათესავმა — ტუხომ რომელიც დამთვრალიყო, — დაუყვირა, შენ სადღა მიეხეტები, აბა ჩქარა, ჩადი ძირსაო! — ჯონდო განზე გადგა და ბოღმისაგან ატირდა.. მერე ძია კოლა გამოჩნდა, ტუხოს უცქირა ცოტა ხანს, შენ სადღა მოეთრევი მთვრალი, ჩვენი თავის მოსაჭრელადო, — დაუყვირა... ტუხოც ჩამოსვეს მანქანიდან. მაყრიონი წავიდა, ტუხომ ხელი გადახვია ჯონდოს, ალუღლუღდა და ცრემლი მოერია...

... ტრამალებიდან შებინდებისას დაბრუნდა ჯონდო. ძაღლებმა კინაღამ დაგლიჯეს... თოფის გასროლითღა დააფრთხო.., ვაჩე და ორი მწყემსი გამოცვივდნენ გარეთ..,

ქერათმიანმა ქალმა გააწყო სუფრა. ხუთი მწყემსი უჯდა მაგიდას. ჩუმად იყვნენ. არც დედაკაცი იღებდა ხმას,.. პირველი ჭიქა არაყი უსიტყვოდ დაილია, მეორეზე სტუმარი ადღეგრძელეს, მესამეზე — ქვეყანა, მეოთხეზე — ცხვარ-მეცხვარე... მერე ვაჩემ ფანდური გამოიტანა, საკუთარი ლექსი დაამღერა. ერთი მწყემსი დანაღვლიანდა, ორი კი ერთმანეთს შეედავა:

პირველი: ის სიტყვა მაინც არ უნდა გეთქვა!

მეორე: რა სიტყვა?

პირველი: ვითომ არ გახსოვს.,. სულ გეუბნები, აფერისტი ხარ-მეთქი და ვერ დამიჯერებიხარ!

მეორე: ამიხსენი, კაცო, ქრისტიანი არა ხარ?

პირველი: მაშ ის სიტყვა აღარ გახსოვს?

მეორე: არა-მეთქი!

პირველი: მაშ სულ აღარაფერი გახსოვს?

მეორე: ღმერთი-რჯული!

პირველი: გულზე ხელი დაიდე, ისე მითხარი!

მეორე: აჰა!

პირველი: მართლა აფერისტი ყოფილხარ!

მეორე: კაცო, ვიღაც ნაბიჭვრისთვის მე მიმდურებ?!

პირველი: აკი არ მახსოვსო?

მეორე: რაა, კაცო?

პირველი: ვააჰ, კაცო?

მეორე: მანიაზე ამბობ?

პირველი: აკი ესე და ისეო?

მეორე: გამანებე რა თავი, პატივი მიცია!..

პირველი: კარგი პატივია, ჩემმა მზემ!

მეორე: მაინც, ისეთი რა ვთქვი?

პირველი: არაყი დილის ექვს საათზე საიდან მოიტანეო! გახსოვს მანიამ რომ გკითხა?

მეორე: მერე და, რაო?

პირველი: ჰოდა, მერე შენ რა უთხარი?

მეორე: რა ვუთხარი?

პირველი: მე რას მეკითხები?

მეორე: რა ვუთხარი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი: ის უთხარი, რომ არყის ფულს გადაინახავს და ცოლს ტრიკოს უყიდისო!

მეორე: გაეხუმრე კაცო... მეც არა ეთქვი... თფუი, მე ამისი!..

პირველი: ეგეთმა ხუმრობამ, ხომ იცი, რა იცის?

მეორე: რა იცის?

პირველი: ისა, რომა!..

მეორე: რის გულისათვის მიძულებ, გონს მოდი!

პირველი: მაგ ქალთან ორი წელიწადია ვარ... მერე რა, რომ კახპაა?

მეორე: მე არ მითქვამს ეგრეთია-მეთქი!

პირველი: ეგრე გამოდის!

მეორე: შარი ხარ, ძმაო?

პირველი: შარი შენა ხარ... ქალის გულისთვის ჩვენ არ უნდა შევძულდეთ ერთმანეთს, სირცხვილია...

მეორე: მეც მაგას ვამბობ...

პირველი: შენ ისა თქვი, რომ ხასმელში ჰკუასა კარგავ... რომ ვერ იტან, გაანებე თავი!

მეორე: შენ ჩემზე მეტსა სვამ?

პირველი: შენთან ყარამანი ვარ!

მეორე: შენა ხარ ყარამანი?

პირველი: არა, ბიჭო!

მეორე: ერთი რაღაც რომ გითხრა, არ გეწყინება?

პირველი: რა უნდა მითხრა?

მეორე: ისა, რომ ვინც კიდევ იქ წამოგყვეს, მე იმის დედა ვატირე ჩემდა თავად!

პირველი: მაშ შენ კაცი ხარ?

მეორე: აბა, აბა!

პირველი: რის გულისთვის, კაცო!

მეორე: იქ იმ ოლღას დედაცა და აქ მანიასიცა... ერთად დავზრდილვართ... ჰეე!

პირველი: მაგას ვინ ამბობს, კაცო, მაგრამ, ღვინოს როცა ვერ იტანს კაცი!..

მეორე: ვინ ვერ იტანს ღვინოს?

პირველი: მანიამ ერთი ჭიქა არ გამოტოვა და შენ უფრო დათვერი.

მეორე: არა ხარ კარგი კაცი!

პირველი: მეე?!

მეორე: არა, მე!

პირველი: მე არა ვარ კარგი კაცი?

მეორე: მაშ მე არა ვარ კარგი კაცი?

პირველი: რატომა?

მეორე: იმისთვის!

პირველი: რადა?

მეორე იმისთვის!

პირველი: ქალაჩუნა ხარ...

მეორე: რათა?

პირველი: იმიტომ, რომ ჩვენ იქ ვიცდიდით, შენ კი ოლღას ტუჩებში ჰკოცნიდი!

მეორე: ეს ვინა ყოფილა!.. კაცო, შენ მზე ხომ არ ჩაგიძვრა თავში? განა რამდენი დალიე?

პირველი:: სამი ჭიქა არაყი!

მეორე: შენ მანიამ ხომ არაფერი ჩაგცხო?

პირველი: შენ ცოტას ხომ არ აფრენ?

მეორე: ვინა, მე?

პირველი: შენა!

მეორე: მე მეუბნები?

პირველი: შენა!

მეორე: მეე, კაცო?!

პირველი: შენა!

მეორე: მაშ თუ მე და...

ფანდური უცბად გადაემტვრა თავზე პირველს... მერე ყველა წამოიშალა, სუფრა აირია... ჯონდომ შუაღამემდე ვერ გაიგო, რატომ ატყდა ჩხუბი და ბოლოს როგორ დამთავრდა...

ბოლოს ვის სად მიეძინა, ვის სად... ჯონდომ ვეღარ აიტანა აქ ყოფნა. მიუჩვეველი სიმძიმე, გამოფიტვა, უგუნებობა იგრძნო და ძაღლებსაც აღარ შეეპუა, გარეთ გავიდა...

ძაღლებს ან ეძინათ, ანდა... ჯონდომ ვერ ახსნა მათი სიჩუმე... ცა მოკრიალებულიყო, მაგრამ ვარსკვლავები ისე ახლოს არ იყვნენ, როგორც იქ, საქართველოში... ღამეც ისე არ აკრთობდა, როგორც იქ, თავის ქვეყანაში... ჯონდოს ნამცეცი შიში არ გააჩნდა, შეეძლო უსასრულოდ ევლო ტრამალში, სადაც აჩრდილები არ არსებობენ... არ არის ტოტები, შენობები, ხეები... ჯონდოს მთლად მოუდუნდა სხეული და აზროვნება... არა, ნაღდად დაწერს იმას, რასაც ამ ტრამალებში გრძნობს... ვინც რა უნდა თქვას... ამას წინათ, როცა მისი რომანის ნაწყვეტები დაბეჭდეს გაზეთში, რედაქციაში უთხრეს — ვიღაც ქალმა დარეკა, გაკაპასებული იყო, იმუქრებოდა: ეგ მწერალი სულ თბილისიდან ჩამოსულ ხალხზე წერს, მეცხვარეებზე არაფერს ამბობს და სულ ერთია, ვუჩივლებო... ჯონდომ ინატრა, ნეტავ ის ქალი ახლა, ამწუთში აქ იყოს და უკან მომდევდესო... მერე გაუკვირდა ნანატრი, რადგან უცბად მიხვდა — ეს უკვე წმინდად ქალის (როგორც ასეთის) წადილი იყო... ეს იყო ნდომა, რომელიც მუდამ მოუცილებლად კუდში დასდევს ადამიანებს. იგი ყველგანაა (თუმცა როგორღაც ცდილობენ იგი სირცხვილის კატეგორიაში შეჩურთონ): კინოში, თეატრში, რესტორანში, ავტობუსში, სამსახურში... მაგრამ, თვით სურვილი იმდენად არ იყო საინტერესო, რამდენადაც მიზეზი... ჯონდოს თავისი „მე“-ს განკარგულებაში ჰყავდა მოქცეული ყველა ქცევა... ახლა კი ძლიერად შემოუტია მის შინაგან წესრიგს, ჭებირები მიუნგრ-მოუნგრია და სათითაოდ წარმოესახა გონების მიხავსებულ მღვიმეებში დაობებული რამდენიმე დედაკაცის სხეული... ყველაზე წინ ის მომჩივანი ქალი იდგა, მერე ციო, ტატიანა და...

ჯონდო შეჩერდა. მანქანა ინატრა. ქალის წელანდელი ნატვრა და ეს სურვილი (მანქანისა) ტყუპებივით ერთნაირი იყო... არადა, ტრამალების სიცარიელე სქელი, დაგუბებული

ჯემალ დავლიანიძე

შემობრუნება

ნდომით აწვებოდა და აწვებოდა: შესდექი, ალვირახსნილო, წინ ნუ მიიწევ, ნუ იძაგრები, როცა სისხლით ამოგევსება ბრმა თვალები, ყალყზე შემდგარი ცოფიანი ულაყების ხვიხვინი ისმის, რომლის ფლოქვის ხმა შენს საცელქო მოძრაობაში ჩაბუდებულა...

ჯონდოს არც თვალები არევია, არც თავი აგუგუნებია, არც აკანკალებულა. მისი წადილი იყო, მოეშორებინა ტრამალების მოძალება,.. იგი უცბად მოსწყდა ადგილს, გაიქცა, ჯერ ერთი წრე შემოირბინა, მერე — მეორე და სიბნელეში ჩაინთქა...

●

კახაბერი რამდენიმე თვის წინ გაიცნო ჯონდომ. — სულ უბრალო ადამიანია, მთლად ჩვეულებრივი — არავიზე მაღალი, არც დაბალი, მელოტი, აზიური ცეცხლისფერი ულვაშებით... ერთხელ, კახაბერი დათოს და ჯონდოს საუბარს შეესწრო, ისინი ხუმრობით ფილოსოფოსობდნენ თვით ფილოსოფიაზე... კახაბერს ვიწრო თვალები გაუგანიერდა, ოდნავ დაპატარავდა, სავარძელში მოყუჩდა და ალტყინებული (ელვარებული) სმენად იქცა. ბიჭებმა იგრძნეს, კაცი სერიოზულად დაინტერესდა და განგებ გაწელეს საუბარი, რათა კახაბერში გაგრძელებულიყო მიზეზი, რომელსაც ალტყინებამდე მიჰყავდა იგი... საუბარი მალე ხუმრობად იქცა და კახაბერმა ველარაფერი გაარჩია, ალტყინება — სიელვარე ჩაეფერფლა და გაუგებრობით გაბადრული დარჩა... ბიჭებს თეონამ უშველა. იგი (როგორც თვითონ და სხვები ამბობენ ან ფიქრობენ) საინტერესო გოგოა, თანამედროვე, მოდური ჯაჭვები, სარეკელები, ორნაირი სათვალე ჰკიდია ყელზე, თახთახით დადის — თითქოს ხელ-ფეხი ერღვევაო.,. თეონამ სიგარეტი მოიკითხა და აყვირდა, ვის რა უფლება აქვს სამსახურში მოსვლისას ხელს რომ გვაწერინებენ ჟურნალში, ნუთუ მეოცე საუკუნე არ არისო... თეონა, რა თქმა უნდა, არავითარ კავშირში არ იყო იმასთან, რომ ბიჭებს მოშივდათ. სახადილოსკენ გაემართნენ და მისი ქალური ალტყინება მთლად ნაცარტუტად აქციეს..

კახაბერიც თან გაჰყვა ბიჭებს... იგი გემრიელად მიირთმევდა ლულა-ქაბაბს, ნახევარი კილო პურიც შეჭამა და ჯონდოს ჰკითხა, ამხელა კაცი ასე ცოტას რომ ჭამ, არ გეშინიაო?.. ბიჭებმა გაუღიმეს კახაბერს, რომელმაც უცბად წამოიწყო: თუ სულის არსებობას დამიმტკიცებთ, ასკაციან პურ-მარილს ვიკისრებო... ახლა ბიჭებმა დაკარკლეს თვალები — ეტყობა გაჭრა ჩვენმა ხუმრობითმა ფილოსოფიამო.,. ჯონდომ კიდევ ერთხელ შეათვალიერა კახაბერი, რომელსაც ჰქონდა: ვიწრო, დამრეცი, უნაოჭო შუბლი, იაპონური ბაფთუხი ჩეხურ პერანგზე, რკინისღილებიანი, იუგოსლავური პიჯაკი, მელოტი, პატარა თავი, ცეცხლისფერი, მაგრამ დიდი ულვაშები, უცხოური შარვალი, ჩალეწილი კბილები, კვამლისფერი თვალები... ამასთან, მისი სიტყვით რომ გავაგრძელოთ — იგი არის ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი (შეიძლება ვაჟკაციც), უცოლშვილო (მაგრამ დაცოლშვილების სურვილით), სამოთახიანი ბინის პატრონი, მანქანის შეძენის სურვილით, ღვინის ტრფიალით, ძმაბიჭური სიყვარულით, კაცური გაგებით და სხვა..

კახაბერის კითხვამ დათო დაბოლმა, ჯონდო კი ხუმრობის ხასიათზე დააყენა და ზუსტად მაშინ, როცა კახაბერმა ნახევარი ლულა-ქაბაბი ჩაიდო პირში, მოულოდნელად დაიწყო:

— კახაბერ, შენ ადამიანი ხარ (კახაბერი შეხტა)! შენ გაქვს ტვინი (კახაბერი შეეცადა მალე დაელეჭა ლუკმა), რადგან ტვინი გაქვს, მისი პროდუქციაც გაგაჩნია, ეს არის გონება (კახაბერმა ძლივს ჩაყლაპა ლუკმა)... შენ შენი გონებით, აზრით, სიტყვით ხშირად გითქვამს — „ჩემი ტვინი“, „ჩემი აზრი“, „ჩემი გონება“.,. აბა დაფიქრდი, ადამიანში მართლაც არ არსებობს ტვინზე მაღალი ორგანო თავისი პროდუქციით... — გონებით, აზრით (კახაბერი დაეთანხმა), მაგრამ დააკვირდი, ჩახვდი და აბა თუ მიხვდები, — ის კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ ვის ეკუთვნის? შენში ვინ უბედავს შენსავე ტვინს შეჰკადროს, ჩემი ხარო?

კახაბერი აენთო:

— ის არის? ის არის, მაშ, სული?

ბიჭები იღიმებოდნენ.

კახაბერმა თეფში პირწმინდად მოასუფთავა და იკითხა — თქვენც ხომ არ ინებებთ, მე კიდევ უნდა მივირთვა ერთი ულუფაო.

ბიჭებმა უარი უთხრეს. კახაბერმა ბიფშტექსი აიღო, პირველი ლუკმა გალეჭა და ეშმაკურად (სწორედ ისე, აზიელი დესპოტები რომ მომტყუებლებს მიმართავდნენ ალბათ) თქვა:

— არც ეგრეა საქმე... თქვენ ასე ადვილი მოსატყუებელი გგონივართ? არა, ბიჭებო, მე იმდენი რამ ვნახე ცხოვრებაში, ასე პრიმიტიულად ვერაფერს დამიმტკიცებთ.. უნდა მანახოთ! რა ვქნა, ძმაო, — ჩემი ხალხის ძველი ჭეშმარიტება მაქვს სულში გამჯდარი (აქ კახაბერი სულაც არ დაფიქრებულა, რომ თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის ახსენა სული, რომლის არსებობას მას ვერავინ დააჯერებს და... ღმერთმა არც დააჯეროს) — „სანამ ჩემი თვალით არ ვიხილავ, არა მწამს...“ უნდა მაჩვენოთ! მანახეთ ეს სული და ასკაციანს კი არა, ათასკაციან პურ-მარილს გაგიშლით!

... რამდენიმე დღის შემდეგ, შებინდებისას, კახაბერმა შინ მიიპატიჟა ბიჭები — კარგი ღვინო მაქვს ჩამოტანილიო (ჩვენში ღვინის ჩამოტანა მარადიულ მოდაშია)... ბიჭები წამოყვნენ... კახაბერს სტუმარი გოგონა ჰყავდა სახლში. იგი ლოგინზე იჯდა, ქერა თმა აპრეხოდა და ლურჯი თვალები ულვივოდა... სუფრა უცბად გაიშალა — ხბოს მწვადი შეიწვა და ღვინოც გაუტკბათ... ჯონდო გიტარას უკრავდა, დათო სტუმარ გოგონას ართობდა. გოგონა (ელენე) ბიჭებს ტოლს არ უდებდა ღვინის სმაში (რა მოხდა, ქალების ღვინოა,— თავს ინუგეშებდა კახაბერი)... ელენეს დათო მოეწონა და კახაბერს წაუხდა კიდეც ხასიათი... ხბოს მწვადის სიკეთეზე დაიწყო საუბარი, მაგრამ ვილას ახსოვდა მწვადი, როცა მაგნიტოფონიდან ელვის პრესლის ხმა გადმოჰქუხდა, ჯონდო შალახოს უკრავდა და კახაბერი მწვადს გლეჯდა...

კახაბერი მაინც მიუჯდა ელენეს. ჩაეხუტნენ, ხელი გადახვიეს ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავდა, ხინდისიც კარგი საქონელიაო... ისეთი წუთი დადგა, როცა დათო გაოცდა, კახაბერს გაეხარდა, ელენე დაიბოღმა, ჯონდომ მწვადს დახედა და იმ ხბოს ხორცად ეჩვენა, პაპამისს რომ ჰყავდა ჯონდოს დაბადებამდე... იმ ხბოს ამბავი კი მართლა საცოდაობაა — მგლობა ყოფილა ჯონდოს სოფელში, ერთი ძაღლი კიბიდან მოუტაცია მგელს, გარეთ გადგმული ერბოკვერცხიანი ტაფაც კი აულოკავთ... ხბო იმ ღამით გარეთ დარჩენილა, შუაღამისას მგლები დასცემიან დ ეზოსთან მოუმწყვდევიათ, პაპა გავარდნილა, ყველა წამოშლილა, აყვირებულან და მგლები გაუფრთხიათ... რამდენიმე დღეში კი ხბო დაუკლავთ...

ღვინო გაუტკბა ჯონდოს და ახლა უკვე მართლა ვერავინ გადაათქმევინებდა, რომ ამ წუთში, მაგიდაზე იმ ხბოს მწვადი არ ელაგა...

სანამ ბიჭები არ წამოვიდნენ, კახაბერი არ მოსცილებია ელენეს... სიხარულით გამოჰყვა გასაცილებლად, ოღონდ ჯერ ბუჩქებს შეერია, ეტყობა, სითხემ შეაწუხა... დიდხანს არ გამოჩენილა... ბიჭები გზატკეცილს გაუყვნენ. კარგად გასცდნენ სახლს, რომ უკნიდან ბღავილი შეესმათ... დათო თავდალმა გაიქცა. ჯონდომ ჯერ უკან მოიხედა და ისიც დათოს მიჰყვა. მისი მთვრალი აზრით, იგი იმ ხბოს გაურბოდა, რომლის მწვადითაც კახაბერი იყო დანაყრებული... მოკლედ, ყველა მაგრად დათვრა და თუ აუგი რამ მოხდა, შეიძლება ღვინოს დავაბრალოთ (რაც ძალზე ხშირად ხდება)...

...შაბათს კახაბერმა დაბადების დღე გადაიხადა. დათო და ჯონდო არ დაჰპატიჟა. ერთმა ენაჭარტალა გოგონამ, რომელიც მიწვეული იყო დაბადების დღეზე, ბიჭებს უთხრა, მშვენიერი პურმარილი გადაიხადა კახაბერმა, რომ იცოდეთ, რა ბრწყინვალე სტუმრები ჰყავდათო... თურმე ვინ ყოფილან: ერთი თვალსაჩინო (ყოველგვარი ირონიის გარეშე) პოეტი, სახელგანთქმული თეატრმცოდნე, და სამი ულამაზესი ქალწული...

კახაბერი მალე ჯონდოს ესტუმრა და უთხრა, გინდა თუ არა, უნდა ამიხსნა, ჩემზე რატომ ხარ დაბოღმილიო... ვერა და ვერ გააგებინა ჯონდომ, რომ იგი არ იყო დაბოღმილი, ბოლოს კი უთხრა—რა ვქნა, ეგეთი ცუდი ხასიათი მაქვსო. კახაბერი კმაყოფილი წავიდა და თავისი გაღიზიანება ჯონდოს დაუტოვა... მოკლედ, თუ ისე არ მოიქცევი, როგორც ეს სხვას სურს, დამნაშავე ხარ... თუ არა და, ესა თუ ის ადამიანი (მაგალითად, კახაბერი) ერთ მშვენიერ დღეს კოხტად გამოეწყობა, შეიძლება სახლშიც მოგადგეთ და გაარკვიოს — რატომ ხართ ცუდ გუნებაზე...

არადა, კახაბერი ისეთი ვინმეა, რომელსაც ჯონდო აღარასოდეს გაიხსენებს, თუნდაც იმიტომ, რომ ერთხელ, მისმა შემხედვარემ დაასკვნა — გახსენება ამაზრზენი მუხრუჭიაო... ამის გაფიქრება კი (დაეთანხმებით ჯონდოს) უდიდესი საშინელებაა, რადგან მთელი კაცობრიობა (თითოეული ადამიანი) გახსენებებით ცხოვრობს (უყვარს, ოცნებობს, განიცდის და ა. შ.) ეს კიდევ არაფერი, მაგრამ კახაბერი ერთითაცაა საინტერესო, იგი გეოსაცა ჰგავს... გეო და ჯონდო ერთ კურსზე სწავლობდნენ... ძნელია იმის ახსნა, რითი ჰგვანან ერთმანეთს კახაბერი და გეო... იქნებ იმით, რომ ჯონდოს ყოველი მათგანი სულ ორიოდე დღით ახსოვს?.. ძნელი სათქმელია, მაგრამ... გეო დაბნეული ბიჭი იყო. როცა ჯონდომ პირველად დაინახა, გაიფიქრა, — ტვინის ანთებას გადაიტანდა ბავშვობაშიო... ერთ საღამოს (მას სულ ორი საღამო იცნობდა ჯონდო) გეო უცბად მიიჭრა მასთან, მსხვილი თითი ცხვირწინ გაუქნია და დამარცვლით უთხრა: შენი იმედი მაქვს, იმედი ვიპოვე, დიდი იმედით განვიმსჭვალე შენდამიო! ჯონდოს მოთხრობებს გაუხარებია ასე... მერე გეო შეეცადა ჯონდო დაერწმუნებინა, შენში კეთილი დემონი ზის და ამიტომ ვიმედოვნებო... ბოლოს ერთ წამში დამწუხრდა, ამოიოხრა, შარვლის ტოტი აიწია, წასჩურჩულა, — ნახე, იცი როგორ მტკივაო და ორი წყვილი თბილი საცვლის ტოტი უჩვენა. მანამ ჯონდო ხმას ამოიღებდა, მუცელთან პერანგის ღილები ჩაიხსნა და ცხვრის ტყავი დაანახვა. — ბოლოს დიაგნოზი დაუსვა თავის თავს: რევმატიზმი მაქვს, შემცივა თუ არა, გული მწიწკნისო... ბალთან შეაჩერა ჯონდო, თხოვა — შევიდეთ, ჩამოვსხდეთ, შენთან საუბარი მსურსო. თან დააყოლა, ცუდი არაფერი გაიფიქრო, უკვე მეორე ცოლი მყავს, მერე რა მოხდა, რომ შვილი არ მიჩნდება... ეს

ბიბლიოთეკა

თქვა თუ არა, კარგა ხნით ჩააშტერდა თვალებში, მაგრამ სიბნელემ შეუშალა ხელი... ჩამოსხდნენ... გეოს პირიდან ელვისებურად გადმოსკდა (მისი აზრით) ცნობიერების ნაკადი: ჯონდო, ყური მიგდე... მეშინია, ჩვენი (ადამიანების), აკვიატება არ ყოს ყოველივე, რაც კი შეგვიქმნია... ვითომ არა? არა? ეგრე გგონია? ღმერთმა ჰქნას, მაგრამ მეეჭვება... აკვიატება საშინელებაა! იმიტომ, რომ ყოველივე აკვიატებულს ბოლოს და ბოლოს იჯერებ. ეს კატასტროფაა!.. ამის გამო სპეციალურად შევისწავლე ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია, ასტრონომია, ფილოსოფია... ყველაზე მაგრად მაინც ფილოსოფიამ დამაინტერესა: მხოლოდ იგი არ არის აკვიატება, რადგან, თუ ფილოსოფია აიკვიატე, მაშინვე მიხვდები, რომ ფილოსოფიას ასცდი... მოთხრობებს ვწერდი. თავი დავიღუპე — რად მინდოდა ამდენი მეცნიერების შესწავლა? იცი რა მოთხრობებს ვწერდი?! ლექსებიც მქონდა... რითმიან ლექსებს ვერ ვიტან, — მეზიზღება! მაშინ, როცა მე ვწერდი, კაციშვილს სიზმრადაც არ ელანდებოდა ურითმო ლექსი. აბა ყური მიგდე: „ჭაობები... ჭაობები... ჭაობები... ჭაობები! ბუტბუტი... ბუტბუტი... ბუტბუტი! შრება... შრება... შრება! იმტვრევა... იმტვრევა... იმტვრევა... ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს! და... სამწუხაროდ, მთვარიანი ღამე ანათებს ჭაობებს, რომლებზედაც იქცევა ღლევანდელი დღე... ჭაობები სარკეა ჟამისა... ვწუხვარ — ჭაობები და ბაყაყთ ყიყინილა შეგვრჩება ბოლოს!“.

აღარ იქნა გეოს გაჩუმება: რაო, ცუდი ლექსია? მაშ არ არის პოეზია? კეთილი, თუნდაც სუსტი ლექსია, მაგრამ, მაშინ, ერთ კითხვაზე მიპასუხე: გეომეტრიით, ალგებრით, ტრიგონომეტრიით, ასტრონომიით და ათასნაირი სწავლებით ვინმემ ამიხსნა ჩვენი არსებობის მიზეზი?.. რა გვინდა? ვინა ვართ?.. ჰო, ეს ძალზე ძველი კითხვაა... მაგრამ შეიძლება ამ კითხვის დაძველება და მისი უყურადღებოდ დატოვება ერთი წუთითაც კი? თუმცა, ეს, იურისპრუდენციის ტერმინოლოგიით, გაუხსნელი საქმეა, რომელსაც კარგი გამომძიებელი სჭირდება... ვიცი და ვხედავ — ჩნდებიან, იზრდებიან, მუშაობენ, აჩენენ, აშენებენ, იხოცებიან... არადა, ასტრონომია ამბობს — დედამიწა სამყაროს უერთობეწოესი წერტილიაო... დიდი სიმაღლიდან ჩვენი დედამიწა სრულიადაც არა ჩანს და ამ უმცირესობაზე ვცხოვრობთ ხალხი, რომელნიც ხშირად ვამბობთ: ჩვენ დავიმორჩილებთ ბუნებას, ჩვენ დავიპყრობთ კოსმოსს... რატომ? ჯერ ერთი, ბუნებას უსასრულო ძალა აქვს, მეორეც — რატომ ვებრძვით და ვიპყრობთ? არ შეიძლება სხვანაირად ვთქვათ? მაგალითად, ჩვენ შევიცნობთ, შევისწავლით!.. ამგვარ რამეებს რომ ვლაპარაკობთ, ეს უკვე ფილოსოფიაა და ამიტომაც არის იგი უკვდავი... ფილოსოფიაა პირველადი... ერთ მეზობელს დავხჯი უახლოეს ხანში, რადგან ერთი ფილოსოფიის წიგნი დამიკარგა... უჰ მე[illegible] თუმცა, მე უკვე დაღუპული კაცი ვარ... თავად გაუთხარე სამარე ჩემს ოცნებებს, ლექსებს, მოთხრობებს... რატომ დამჭირდა ტვინის ჭყლეტა? არ მერჩივნა მეწერა ეს რომანები და ბედნიერი ვყოფილიყავი? — პირველი ცოლი არ გამექცეოდა, მეორესთან აღარ ვიკინკლავებდი... არადა, ვფართოვდები, მასალა მოვზიდე, კარ-ფანჯარა შევუკვეთე... ვნერვიულობ, წიგნებს ვეღარ ვკითხულობ, ამის გარეშე კი კაპიკია ჩემი ფასი. მე მახალისებს იმის შეგნება, რომ მონა ვარ წიგნისა, მე მონა ვარ! მე მკითხველი ვარ! ვეთაყვანები ყველა ნაღდ პოეტს, მწერალს, ურომლისოდაც ჩემი ფილოსოფია კი იქნებოდა, მაგრამ, გამოგიტყდები — ხუთი წიგნი მაქვს დაწერილი ფილოსოფიაზე... სრულიად ახალი ფილოსოფიაა... აკვიატება არც ჩემთვისაა გამორიცხული, ამიტომ ჩემი ხედვა და მიზნები სხვაგვარადაა წარმართული და სხვებისთვის არ მინდა... ხუთი წიგნის დაწერას თორმეტი წელიწადი მოვანდომე. პირველს ჰქვია — „მოსვლა“, მეორეს — „ყოფნა“, მესამეს — „წასვლა“, მეოთხეს — „აღარ ყოფნა“, მეხუთეს „აღარ ყოფნის იქით მოსვლა“. არა, ერთი კი მაპატიე, — ვერაფრის დიდებით ვერ წაგაკითხებ... არავის არა აქვს უფლება წაიკითხოს ჩემი ხუთი წიგნის ფილოსოფია, რადგანაც სიკვდილის წინ უნდა გავანადგურო. ისინი საჭიროა მანამ, სანამ მე ვარ. მერე აღარავის გამოადგება, ისევე, როგორც ჩემი ნაკვალევი... ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არ ამკვიატებია რაიმეს დაწერა და დაჟინება — გინდა თუ არა ეს უნდა დამიბეჭდოთ, ხალხმა წაიკითხოს და მისი საკუთრება შეიქმნასო. მე თავი დავიხსენი აკვიატებული აზრებისაგან. ბედნიერი ვარ, ოღონდ ეს სიცივე ვერ მოვიშორე... ეს აკვიატებაღა შემრჩა. — სულ მტკივა და მწიწკნის. წიგნებს ვეღარ ვკითხულობ, რა ვქნა, არ ვიცი... იქნება შენ მიშველო რამე. ლექსომ მითხრა, ენერგიის გადაცემის უნარი აქვსო. დიეტა დამინიშნე, მომარჩინე! სახსრები მტეხს, მტკივა, გული მწიწკნის... კაცი არა ხარ? უნდა შეგეცოდო! უნდა მოიცალო ჩემთვის, წიგნებს უნდა ჩავუჯდე, ჩავუღრმავდე... უკვე ბევრი დამიგროვდა. სახლს ავიშენებ თუ არა, კაბინეტში ჩავიკეტები და... წიგნებს დავეწაფები... თვითონ აღარაფერს დავწერ — ჩემი საქმე გავაკეთე... ეგ არის, თვეში ერთხელ ჩემს ადრინდელ ნაწერებს წავიკითხავ, დანარჩენ დროს წიგნებს შევალევ. შენც გირჩევ, ჯონდო, აკვიატებული აზრები მოიშორე! სხვებიც დაარიგე — საშინელებაა აკვიატება... სულ მეშინია, სულ მტკივა — ასე მგონია, იმიტომ მტეხს, რომ აკვიატების მიზეზით დავიბადე... მწიწკნის ეს აკვიატება...

●

ჯონდოს ადრე გაეღვიძა, მაგრამ ბინაში აღარც ერთი მწყემსი არ ჩანდა. ქერათმიანი ქალი ჰგვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. მარცხენა თვალი ჩაელურჯებინათ, ხელები უკანკალებდა და საჭმლის ნარჩენებს ერთ ქვაბში აგროვებდა.

იგი ისევ იმ გორაკისაკენ გაემართა, სადაც წინა დღით იდგა. იქიდან კარგად ჩანდა ვაკეები, ანუ როგორც აქაურები უხმობენ — დუზები. ვაჩეს ნახვა უნდოდა... მიხვდა რომ მეცხვარესთან ძნელია დაახლოება... კეთილი, — ჩამოვიდა, გაიცნო, ნახა... მერე? აიღოს წიგნაკი (უბისას რომ უხმობენ) და ათასნაირი კითხვით მოსვენება აღარ მისცეს? (მაგალითად, ჟურნალისტური ასი ან ორასი, ან ორმოცდაათი კითხვა და სხვა) ...წერის ასეთი ხერხი ჰირივით სძაგდა ჯონდოს. არადა... წინადამინდელი პურ-მარილისა და ჩხუბის გახსენებამ ღონე გამოაცალა... გველს მოჰკრა თვალი. გვერდით გადახტა. მცურავი არც თუ ისე სწრაფად გასცილდა იქაურობას... ჯონდომ არ იცოდა, შხამიანი იყო თუ არა, მაგრამ იგრძნო, შიშისაგან როგორ მოემატა ძალღონე... ჯონდო ნელა მიდიოდა და ვერასგზით ვერ იჯერებდა შიშის აუცილებლობას... თუნდაც დროულს... არადა... რამდენი რამ გვაშინებს ჩვენივე არცოდნის გამო. იქნება უშხამო იყო გველი? სხვა მოკლავდა კიდეც... უშიშობამ ძალა გამოაცალა?.. ჯონდო მიწაში ჩათხრილ პატარა ხვრელს ჩააშტერდა... არ იცოდა რა სულდგმულისა იყო... რამდენი რამ არ ვიცით, — გაიფიქრა და შეეცადა მოცეკვავე, შიშველი ქალების სურათები მოეცილებინა თავიდან... ესენი საიდანღა გაუჩნდნენ?.. ტრამალების ბრალია, ნამდვილად!..

ვაჩე ახლოს აძოვებდა ცხვარს... ჯერ ძაღლები გამოიქცნენ ჯონდოსკენ, რომელიც უცბად ჩაცუცქდა... მიწაზე თბილოდა. მოირთხა. ვაჩე სიცილით მიუახლოვდა:

— როგორა ხარ, ჯონდო?

— ძაღლებს ვერ შევაყვარე თავი... პატარაობიდანვე ვეჯავრები...

დაუგლეჯიხართ ალბათ...

— ორჯერ.

— დაგიხრჩვია ძაღლი?

— არა.

— პატარობისას ქვებს აზელდი?

— ჰო.

— ჰოო.

— რა იყო?

— არაფერი.

— მარტოდ რომ მოიგდონ კაცი ველზე, ბოლოს და ბოლოს, რითი დამთავრდება საქმე?

— თუ არ ადგები, მობეზრდებათ და თავს გაგანებებენ...

— ბავშვებსაც ერჩიან?

— აქ რა უნდათ ბალღებს?

— მაინც? ვთქვათ და...

— წესით, წინათ ასე გეშავდნენ, ძაღლი თუ ქალსა და ბავშვს მიეტანებოდა — შუბლში ტყვია...

— გასაგებია...

ვაჩე გვერდით მიუჯდა ჯონდოს:

— ჯონდო, რასა წერ ჩვენზე... ვაჟამ მითხრა — წიგნსა წერსო...

— ვაპირებ... რა გამოვა, არ ვიცი...

— მაინც, რა უნდა დაწერო ჩვენზე?

— შენი აზრით, არაფერია დასაწერი?

— რა ვიცი... რაც არის, ეს არის... რასაც ხედამ, ეგ არის... მუდამ დღე ესეა... რა უნდა დაწერო, რა ვიცი... არის რამე დასაწერი?

— სულ მეცხვარეობას აპირებ, ვაჩე?

— მაშ რა უნდა ვქნა?

— რაღაცამ ხომ გაიძულა...

ვაჩემ შეაწყვეტინა:

— ამას წინათ ერთი იყო გაზეთიდან... იმანაც ზუსტად ეგრე მკითხა...

— შენ რა უთხარი?

— რა და... უბრალოდ, კაცმა რაღაცით უნდა იცხოვროს, რამე აკეთოს... მართალი რომ გითხრა, ბევრი ტინგიცა მოლექსე და მთქმელი არის თქვენში, მწერლებში... არ გეწყინოს და, არ მიყვარან... კითხულობ და... ძალიძალათი რომ ბერავენ ჩვენს ცხოვრებას, რაში სჭირდებათ... ვისაც უნდა, თქვენც რომ არა დაწეროთ რა, ისედაც წამოვა ცხვარში. რა ვართ ბოლო-ბოლო? უბრალოდ ვართ. ჩვენთვის. — ცხვარს ვუვლით, ვზრდით, ჯამაგირი გვაქვს, ვცხოვრობთ, ოჯახს ვარჩენთ... რამდენჯერ გაგვიცინია ჩვენზე დაწერილ ლექსებზე და სტატიებზე... და ერთი რამეა კიდე — რაღაც სულ ნაღვლიანადა სწერს ზოგიერთი, ზოგს კი ძალიან უხარიან... მოკლედ — დარდიანი თუ მხიარული ქება-დიდება არ გვაკლია... სიტყვა თქვენს ხელშია და როგორც გინდათ, ისე აბრუნებთ... ეგ არის და ეგა...

როცა ჯონდო ადგა, ვაჩეც აჰყვა.

— ვაჩე, ცოლი გყავს?

— ჰო, შარშან დავქორწინდი... მეორე დღეს ცხვარში წამოვედი... თავი უნდა გავანებო — მე ამისი! წინათ კიდევ ადვილი იყო, ეხლა...

ვაჩე გაალიზიანა ჯონდოს კითხვამ...

---

ჯემალ დავლიანიძე

შემოზრუნება

— ვაჩე, ის ქერათმიანი ქალი, მზარეულად გყავთ?

ვაჩემ არ უპასუხა, განზე წასული ცხვრისკენ გაემართა.

ტრამალებში ვაკეების შედედებული დუმილი იდგა... ჯონდოს სოფელში, თრიალეთისკენაც იცის სიჩუმე, მაგრამ... ის სიჩუმე სხვაა.. მთებისაა, ქვებისაა, საყდრებისაა, ტყეებისაა...

შორს დაღესტნელების ფარეხები მოჩანდა... ასე აუხსნა ვაჩემ... დაღესტანს ჩვენზე ბევრად მეტი ცხვარი ჰყავს... თანაც ნაზმატყლიანი, ორ ბატკანს იგებს... ჩვენი კი, რაღაც ნახევარ მილიონზე ცოტა მეტია, უხეშმატყლიანია, ერთ ბატკანს იგებს, მაგრამ გამძლეა, ძნელად იღუპება, გემრიელი ხორცი აქვსო...

ჯონდო პირქვე ჩაწვა ბალახში. კოლოები ჰკბენდნენ, მაგრამ უძლებდა... შეჩვევა იცისო, — უთხრეს, მაგრამ ამას ალბათ ვერასოდეს შეეჩვევა, თუმცა იქნებ ზუსტად ეს გაძლებაა შეჩვევა?.. ეს მიწები ქართველებს ათასნაირი გაჭირვებით, მუშტი-კრივით, ჩვენს დროში კი დადგენილებებით გვაქვს შემორჩენილი... ძალზე ხშირად კაუგონია — დაღესტანი სად იყო, ქართველმა კაცმა რომ ფეხი დადგა ამ მიწაზეო... და ვახტანგ მეექვსის ამალითურთ გავლასაც კი იხსენებენ. ქალაქ ყიზლართან კი ერთი ქართული სოფელია, სადაც ლურჯთვალება, ქერათმიანი ქართველები ცხოვრობენ... ენა აღარ აზხოვთ, მაგრამ ქართული გვარები კი აქვთ...

ნოღაეთისკენ რომ მოდიოდა, ერთმა მეგობარმა ურჩია — კოსმოპოლიტიზმი შეიძლება დაგაბრალონ, ერთი შეხედვით ამისი მონაცემები არის შენს ნაწერებში, შენს ქვეყანაზეც იფიქრეო... ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ... მეგობარი ნაღდად ტყუოდა. ჯონდომ იცის, რომ მისი ხალხი ერთ-ერთი მოწინავეთა შორის დგას ჭეშმარიტებისკენ მიმართული გზების გაკვალვაში...

ჯონდოს ფიქრი გაუწყდა, — კოღომ მწარედ უკბინა ტუჩზე, რაც მან კანონზომიერად ჩათვალა, წამოდგა, მაგრამ გაღიზიანება აჰყვა, ისეთ მოვლენებზე და საგნებზე დაიწყო განსჯა...

ისევ ტრამალებს მოავლო თვალი და მათ გადააბრალა ყველაფერი... რამდენიმე დღეც და, კოჩუბეიში უნდა დაბრუნდეს. ძნელია, როცა სტუმრად ხარ... თანაც სულ ხუთიოდე კაცთან, რომლებიც დილიდან საღამომდე ცხვარს უვლიან, შრომობენ, საღამოთი კი დახასვენებლად ბრუნდებიან... ჯონდოს მათთან პურის ჭამაც კი ეუხერხულებოდა... მას შეეძლო ყოველივე, რასაც ხედავდა, ფოტოგრაფიულად გადაეტანა ფურცელზე: ძნელი პირობები, კოღო, სხვანაირი წყალი, სამშობლოსგან შორს ყოფნა და ათასი ამგვარი, მაგრამ ეს სხვა კაცის [illegible] მას არ შეეძლო დაეწერა ის, უფრო ზუსტად, გამოეგონებინა ისეთი ამბები (ამნაირებს კი რა დალევს), მეცხვარეებს და მკითხველებს რომ გაახარებდა...

...ჯონდო მუდამ თვლიდა, რომ მას (და არა სხვას... თუმცა, ვინ იცის) არა ჰქონდა უფლება აღეწერა სულიერის გაჭირვებული ცხოვრება და ამითი ვინმე (ან თვითონვე აღწერილი) გაეხარებინა, მერე... ხომ შეიძლება ადამიანმა, რომელიც აღწერე, მართლა დაგიჯეროს მწერალს, შეიყვაროს საკუთარი გასაჭირი და ამითი იცხოვროს? აქ ჯონდოს ეჭვი შეეპარა საკუთარი აზრის სისწორეში... თუმცა აზრი განუწყვეტლად ვითარდებოდა: ადამიანის ცხოვრების ისეთი მოვლენები, როგორიცაა უხარისხო ნაბადი, სხვანაირი წყალი, კოღო, ქარი და ასე შემდეგ, ჯონდოს არც ისე აინტერესებდა, როგორც უფრო შორეული — სიღრმისეული მიზეზი, რაც დაახლოებით სიტყვა (ანდა კითხვა) „რატომ"-ით განისაზღვრება... რატომ? რატომ მიდის მეცხვარედ კაცი? აქ, ფაქტიურად რამდენიმე მიზეზია: იმიტომ რომ მეტი პროფესია არ გაგაჩნია, იმიტომ რომ ბევრ ფულს შოულობ, იმიტომ რომ ბალღობიდანვე ჩაგინერგეს ცხვრის სიყვარული, მაგრამ... „სიყვარულთან" უკვე გაუწყდა აზრი ჯონდოს... მერე გამორიცხა მთლიანი წინადადება: „იმიტომ რომ ცხვარი უყვარს..." აქ რომანტიკაც გამორიცხულია, რაც წინათ ჯონდოსაც ეგონა და დღემდე უამრავს ჰგონია... გაიფიქრა — ნეტავ თუ შემიძლია მეცხვარედ ყოფნაო და უმალვე განუსაზღვრელი მოწყენა მოეძალა... იგი ისეთ ადამიანებს არ მიეკუთვნებოდა, მათი წილხვედრი ცხოვრების დინება რომ ბევრს ვერაფერს ასწავლის... მერე ხელოვნურად იქმნიან, ირთულებენ (და სხვა) ცხოვრებას. ამიტომ ისინი სპეციალურად მიეშურებიან მშენებლობებზე, სამსახურებში, ტყეებში, გამოქვაბულებში, მთებში, ოკეანეებში... და იქმნება ნაწარმოებები...

ჯონდომ ფეხი წამკრა თეთრ ჩონჩხს და შეჩერდა. ჩონჩხი საიგაკისა იყო. თავზელა შერჩენოდა ტყავი და ბალანი... ხელი მოავლო თუ არა რქაზე, თავის ქალადან პატარა ჩიტი ამოფრთხიალდა... ჯონდო განზე გახტა, — ჩიტი ტვინს კენკავდაო, — დაასკვნა. ელდა გაუნელდა და გამოტრიალდა. გნოლები დააფრთხო, — შხივილით ამოვიდნენ და ისევ ახლოსვე ჩასხდნენ. ჯონდო საიგაკის თავის ქალიდან ამოფრენილ ჩიტზე ფიქრობდა... თავისი შვილის თვალებით შეეცადა შეეხედა ამისათვის... ცრემლი მოადგა. აჩქარდა, თანაბარი ნაბიჯით მიაბიჯებდა, ტრამალების სიჩუმე უზუზუნებდა ყურებში: ვაკეების ქარის თითები მარცვლიდნენ სიმებს საიგაკის ჩონჩხის არფაზე... გამოფიტვით გარდაცვლილ კორდზე უსიერების არწივები ჩამომ-

ხრჩვალიყვნენ... საიგაკის თავის ქალაში ჩამჯდარიყო პაწაწა ჩიტი... პატარა ბიჭი თავდახრილი, მხრებდაშვებული, სათამაშო მანქანით ხელში ჩუმად იდგა ბაკვლიანის ნეკნთან... ქუჩის ქარები მოიმღეროდნენ გამოფიტვის მრავალჟამიერს — თავის ქალაში პაწაწინა ჩიტი ჩამკვდარა, გარდაცვალების თეთრი სახლი ბუდედ ქცეულა...

ჯონდო გზაზე გამოვიდა. აღარ იცოდა, საით წასულიყო... მზისკენ გაუყვა. იცოდა, ფარეხებს შორდებოდა და უხაროდა... ხატვირთო ავტომობილი მოეწია. მძღოლი ქართველი იყო, ქალაქ ხუხოკუმსკში მოეშურებოდა და ცენტრალურ გზამდე გაიყვანო...

ჯონდო სასადილოსთან მარტო დარჩა. რამდენიმე ავტომობილს აუწია ხელი, — არავინ გაუჩერა. სასადილოში შევიდა. მთვრალებით იყო სავსე. დახლში ლოყაწითელა ბიჭი იდგა... მწყემსები არაყს სვამდნენ... ხორციანი კერძის მეტი არაფერი ჰქონდათ. ჯონდომ ყველი და პური იყიდა... სასადილოში ათამდე მაგიდა და შმორის სუნი იდგა... ერთგან დაღესტნელები ისხდნენ, მეორეგან — ქართველები, ერთი-ორი გამვლელი მგზავრიც მოჩანდა. როცა ჩხუბი ატყდა ჯონდოს გაუკვირდა, — ასე უსიტყვოდ, კინკლაობის გარეშე რა აჩხუბებთო... შეეშინდა, ოღონდ სიკვდილისა არა, — მისმა შიშმა გაბერვა იწყო და კოსმიურ კატასტროფის შიშამდე რომ მივიდა, — შეჩერდა, სასადილო მიმოათვალიერა და ინანა, სულ ამნაირი ადამიანებით რომ იყოს დედამიწა დასახლებული, რა გვეშველებოდაო... მუშტი-კრივმა სიტყვა „გაფუჭებული" ამოატივტივა... ეს სიტყვა გარყვნილების აღმნიშვნელად კი არ ჩაეგონა, არამედ მოშლილობად, აწყობილი ხელსაწყოს ფუნქციის დაკარგვად...

როგორც ყოველი და ყოველგვარი მასშტაბის მუშტი-კრივის შემდეგ, სასადილოში ერთი დასისხლიანებული კაცი დარჩა... ჯონდომააყენა. ფეხზე ძლივს იდგა, ისე დაეთეთქვათ... მერე გონებაც დაკარგა. ჯონდომ გზამდე მიიტანა. ავტომანქანის მძღოლები სისხლიანი კაცის დანახვაზე სიჩქარეს უმატებდნენ... კაცი მოსულიერდა თუ არა, იკითხა — დაჭრილი ხომ არა ვარო. ჯონდომ არაო, — უთხრა, გვერდით ჩამოუჯდა და ხელი დაადო მკერდზე:

— რა მოგივიდათ?

— უცხოები მაინც იყვნენ... ამხანაგები არიან...

— მერე? ეგრე მოდის თქვენში?

— გინდა თუ არა, სამი ტომარა იყო და ერთი სად წავიდა, თვითონ ხომ არ დაიძვრებოდა, ფეხს ვერ აიდგამდაო...

— შენ დაგაბრალეს?

— ჰო...

●

ჯონდო და გეო ბაღიდან გამოვიდნენ თუ არა, ლექსოს შეხვდნენ. შექეიფიანებული იყო, ხელდახელ გასტრონომისკენ გაიწია, ღვინო და მისაყოლებელი იყიდა, მერე სად დავლიოთო, — იკითხა. გეომ თავისთან მიიპატიჟა...

დალეწილი სახლის ეზოში შევიდნენ. სახლის შინაგანი ელფერი საკმაოდ არ ჰგავდა გარეგანს, ამის შემდეგარე ჯონდომ სახლის გარეგან მხარეს გეო მიამსგავსა, შინაგანს — მისი მეუღლე...

ლექსო თამადობდა. როცა გეოს სადღეგრძელო ითქვა, — ჯონდოს კვლავ ჩაესმა შიშით გაუღენთილი სტრიქონები: „...ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს... და, სამწუხაროდ, მთვარიანი ღამე ანათებს ჰაობებს, რომლებიდანაც იქცევა დღევანდელი დაჰაობება... ვწუხვარ, ჰაობების ამყაყება ბაყაყების ყიყინში რომ ჩაიძირება... ბოლოს და ბოლოს..."

ეს გეოს ლექსია, რომელიც ჯონდომ შინაგან მაგნიტოფონზე მოისმინა უკვე გარითმული... სამადლობელის შემდეგ, გეომ ხუთი სქელი შეკვრა შემოიტანა... ჯონდო მიხვდა — გეოს მიერ დაწერილი ხუთი წიგნი იყო და სული შეეხუთა... გეომ ჯერ ერთი ფურცლა, მერე — მეორე, ბოლოს მესამე არჩია, რომელსაც სათაურად „უოფნა" ერქვა.

გეო ნერვიულად კითხულობდა: „...დღეს აღარ იწერება არავითარი სიახლე, მხოლოდ დიმპიტაურია და მეტი არაფერი. თვალყურს ვადევნებ ყველა სალიტერატურო ჟურნალს, ალმანახს, კრიტიკას... ვიცით, ვიცით! საკმარისია რაიმე ვთქვა ახლებურად, რომ გამსრესენ თვით ლიტერატურელები... მაგალითს ჩემს თავზე მოვიყვან... მე ერთი ფილოსოფიური რომანი მქონდა, რომელიც არ დამიბეჭდეს... და, რატომ? იმიტომ, რომ არატრადიციული განვითარებაა ამბებისაო... გესმით? გაიგეთ? მისაყვედურეს, რომ ჩემს რომანში არ იყო... მაგალითად, ასეთი: კაცი, კაცს ოჯახი აქვს. ოჯახში ბავშვები. ბავშვები სკოლაში დადიან. კაცს ჰყავდა ცოლი, ანდა ჰყავს. თუ ჰყავდა—

უნდა იყოს მიზეზი —რატომ გასცილდა? ეს უკვე კონფლიქტია და, რაღა თქმა უნდა, საინტერესოცაა. მკითხველს აძლევ ოცნების საშუალებას, აცხოვრებ, აოცნებებ... მერე კი, — მოქმედი გმირი (კაცი) ვერ იტანს სამსახურში გამეფებულ უწესრიგობას და იბრძვის... ესეც ძალაზე საინტერესო და ყურადსაღები მოვლენაა, რაც აგრეთვე ძალიან აინტერესებს მკითხველს... რომანის შემდგომი (ლოგიკური) განვითარება-განვრცობა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ — კაცი განიცდის მოვლენებს, ურიგდება ცოლს (ანდა უამისოდ), ვიღაცა ხეპრეს გატყეპავს ავტობუსში (იგი იცავს მკითხველის ინტერესს. სამსახურს სტოვებს (ანდა მის უფროსს ათავისუფლებენ)... ბოლოს კაცი (მთავარი მოქმედი გმირი, პერსონაჟი) ან იმარჯვებს ან მარცხდება, მაგრამ მაინც იმარჯვებს...

აქ არის მკითხველისთვის სასურველი რომანის სხვა ვარიანტებიც: კაცმა ცოლს წაასწრო (ან გაუგო) ცუდი ზრახვანი; ქრთამი აიღო; სადღაც გაემგზავრა (მიატოვა) თავისი მხარე...“

— აი, უამეებო ჩემი რომანი არ მიიღეს, არ დაბეჭდეს, — ჩაურთო გეომ და ქვეშ-ქვეშად გახედა ბიჭებს. როცა დარწმუნდა მისმენენო, უფრო აღტაცებით გააგრძელა: „იმას არა აქვს მნიშვნელობა, დაბეჭდეს თუ არა რომანი... არა, სრულებითაც არა! სხვა რამ მაინტერესებდა, რაც ბოლოსა და ბოლოს შევიგენი... აბა დააკვირდით — თქვენს ირგვლივ უამრავი ადამიანია, რომლებიც გაიძახიან — მე თუ ნერვები არ ავიშალე!... მე თუ გული არ ვიგრძენი!... მე თუ არ მეტკინა რამე!... მე თუ არ ვიტირე!.. მე თუ არ ვიტანჯე ... მე თუ არ მიმატოვეს!... მე თუ არ განვიცადე!.. მე თუ არ ავღელდი... მე თუ არ შევცოდე... მე თუ არ!... და, მაშ რაღა ადამიანი ვარო...

მათ სულ ასე ჰგონიათ — რაღაცა უარყოფითი უნდა მოხდეს მათ (ან საერთოდ) ცხოვრებაში, რომ მერე მთელი სიცოცხლე მის წინააღმდეგ ბრძოლას შეალიონ... რომ არ მოხდეს ცუდი? სულ რომ არ მოხდეს?... ახლა ვიწყებ მთავარი ძარღვის გახსნას! ესე იგი, ადამიანმა შეიგნო, რომ, რამეთუ არსებობს დღე და ღამე, პლიუსი და მინუსი, მამაკაცი და ქალი, ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსები: მაღლა და დაბლა, მზე და მთვარე, სიხარული და ნაღველი, სიცილი და ტირილი (და ასე შემდეგ, ანუ, და სხვა) ამიტომაც ანალოგიურად (სხვათა შორის, ჩვენ გვიყვარს ანალოგია, რაზედაც მერე გაგესაუბრებით) მას გაუჩნდა სიკეთისა და სიბოროტის შეხლა-შემოხლის მარადიული (შეიძლება არამარადიულიც, ამაზე ვერ ვიდავებ) პრობლემა (და შეიძლება მოთხოვნილებაც)...

გაგაფრთხილებთ, როცა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებზე ვსაუბრობთ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, თორემ შეიძლება ჩიხში შევზიმზიმდეთ და უკან დავიხიოთ, ანდა ჩამოვრჩეთ... ეს კი ჩვენ არ გვეკადრება... არა ვარ მართალი? მართალი ვარ და ეს არის (უკანდაუხეველობა) ერთ-ერთი უდიდესი ჭეშმარიტება... მხოლოდ წინ და მეტი არაფერი!...

წელან სიკეთემ და სიბოროტემ დაგვაინტერესა და ხანამ განვბჭობდეთ, აუცილებელია (ამას ლოგიკაც მოითხოვს) გავარკვიოთ ათასჯერ გარკვეული, მაგრამ მაინც გაურკვეველი ამ ორი ცნების არსი. თუ ეს შევძელით, მერე უკვე ძალგვიძს მათი ხსენება, თუ არა და, სიცილის ჩიხში მოვემწყვდევით, ფერდები დაგვაწყდება ხარხარით და იქნება სულიც ამოგვძვრეს ბედნიერი სიმხიარულით... აქ შენიშვნაცა მაქვს— ადამიანს, აკვიატების გარდა, ერთი ჩვევაც აქვს — ახირება... საჭიროდ არ მივიჩნევთ ისეთი ელემენტარული ამბის ახსნას, თუ რითი განსხვავდებიან აკვიატება და ახირება... ახირებულებმა არ უნდა მოისმინონ ჩემი ნათქვამი, რადგან მათთვის უამრავი რამაა: სახაჭაპურე, სტადიონი, ბიბლიოთეკა, კინო, თეატრი, ჭადრაკი, რესტორანი, სიგარეტი, ქორწილი, ქეილები, მოგზაურობა, ქალების ალერსი, და როგორც უხმობენ „დროის მომკვლელი“ (ჰა, ჰა, ჰა, ჰა!), უამრავი საშუალება...

მაშ ვიწყებ, ყურადღებით იყავით! უპირველესად, სიკეთეზე და სიბოროტეზე როცა ვსაუბრობთ, დაისმის კითხვა — რომელია პირველადი (ანუ მიღებული ტერმინით — „წამყვანი“) მათ შორის? სასწრაფოდ უნდა გაირკვეს... მე გეტყვით, არც ერთი და არც მეორე... დავიწყოთ იმით, თუ როგორ გვესმის ეს ცნებები... ჯერ სიკეთეზე ვთქვათ: სიკეთეა: სიყვარული, კაცთმოყვარეობა, უდრტვინველობა, სიწყნარე, სილამაზე, მეგობრობა, დახმარება, თანაგრძნობა, გამრავლება — შვილები, შვილიშვილები, მათი შვილები და... დაბადება, სიბოროტესთან ბრძოლა, სინათლე, დღე, ბულბული, მტრედი, მშენებლობა, ჭკუის სწავლება (სხვას რომ ვასწავლით), ხის დარგვა, გაზაფხული, დარიგება, ჯანმრთელობა, ანგელოზი, ახალი თოვლი, ახალი წელი, დღეობა, დღესასწაული, ტკბილეული (სიტკბო), მზე, სიმხიარულე, მშვიდობა და სხვა.

სიბოროტეა: ღამე მკვლელობა, სიკვდილი, ომი, შავი ჭირი, ავადმყოფობა, დოზანა, ჯანდაბა, შავი ქვა, ცხელი ნაცარი, ხანძარი, მიქელ-გაბრიელი, ყვავ-ყორანი, ეშმაკი, გველი, ჭინკა, ნგრევა, კაფვა, სიძულვილი, სიმახინჯე, სიბნელე და სხვა.

ახლა, ჩვენ მოვსპოთ სიბოროტე, მაგრამ როგორ მოვიქცეთ? სად მივმალოთ სიტყვა „მოვსპოთ“? ეკუთვნის სიკეთეს ამ სიტყვის ხმარება ეტყობა ამიტომაც არ ვსპობთ, ან ვერ ვსპობთ, მაგრამ... არადა, სიბოროტე რჩება... რა ვქნათ? არასოდეს გიფიქრიათ, რომ ერთი სახელი დაგვერქმია მათთვის? შეიძლება? არა? საეჭვოა? ჰო, მეც ასე მგონია... გეთანხმებით, თქვენკენ ვარ.. მეეჭვება... ვერ დავარქმევთ... არც უნდა დავარქვათ იმიტომ, რომ ორივე სიკეთეც და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბოროტეც იმ ძალის ხელშია, რომელიც ჩვენს ხელში არაა (შეიძლება ვთქვათ — ჯერ-ჯერობით... ერთს კი გირჩევდით (ოღონდ დაძალების გარეშე), იქნებ გვეპოვა საშუალო სიტყვა, ტერმინი? მაგალითად, კომპოზიციურად როგორ ჟღერს — სიკეთე — „სი“, სიბოროტეც— „სი“... ესე იგი — „სისი“... იქნებ „სიბო“ სჯობს ან „სიკბორ“, „სიკბორო“, სიკეთ-ბოროტ...“ მე ავირჩევდი, „სიკბოროს“, ხედავთ? უცხოური ჟღერადობაც კი აქვს, რაც მოგეხსენებათ!..

ეეჰ, რა ხალხნი ვართ ეს ადამიანები... მილიონებმა არ იციან, რად აქვთ გული, ღვიძლი, ელენთა, თირკმელები, ტვინი, თვალები... არ იციან, რა ფუნქციებს ასრულებენ და სამაგიეროდ არკვევენ... რა ხალხნი ვართ, კაცო!..

გეო ხმამაღლა იცინოდა.

ლექსო დაიბოღმა. მისი აზრით, გეომ მას დასცინა.

ჯონდომ მალულად შეხედა გეოს, რომელიც ხან ლექსოს შესცქეროდა, ხან მას... თვალებში ცრემლი ჰქონდა გეოს.

ჯონდოს სჯეროდა, რომ გეო ვერასოდეს მიხვდებოდა, თუ რატომ ტიროდა. ეს იყო მისი უდიდესი არცოდნა, რომლის გარკვევასაც იგი ათასნაირი ავადმყოფური აზრით ცდილობდა, მაგრამ... თუმცა...

გეო ქვითინებდა...

●

ტრამალებთან შედარებით კოჩუბეი ხმაურიან ქალაქად ეჩვენა ჯონდოს... ნაცემი მწყემსი საავადმყოფოში მიიყვანა და პირდაპირ სახლისკენ გაემართა... გასაღები ფრთხილად მოარგო კარს... როცა შინ შედის გარკვეული (და არა გაურკვეველი) შიში ეძალება, ხომ არავინ არის ოთახებშიო... ჯონდოს გაუკვირდა ყველაფერი არეული დარეული იყო — ლოგინები მიყრილ-მოყრილი, მაგიდაზე ორი პორტფელი იდო, საფერფლე სიგარეტის ნამწვებით ამოევსოთ, რამდენიმე ბოთლი არაყი იატაკზე, მაგიდის ფეხთან ეყარა...

ჯონდო მეზობლების დასაძახებლად გავიდა. აპოლონის მოადგილე შეეჩეხა:

— ჟორა, რა ამბავია, ჩემთან იყო ვინმე?

— „ხაზეინმა“ გაგვალებინა... სტუმრები ჩამოვიდნენ.

— მერე, არ იცოდა?..

— არ ვიცი... ვუთხარით კი, მაგრამ ვინ მიგდია მწერალი, სამინისტროდან ჩამოვიდა ხალხიო...

ჯონდო გაბრაზდა. მასში უცბად გაიღვიძა ათიოდე წლის წინ ჩაძინებულმა ჩხუბისთავმა... სამმართველოსკენ გაემართა... „ხაზეინის“ კაბინეტი დაკეტილი აღმოჩნდა... ეზოში უცნობები იდგნენ... აპოლონის კაბინეტში შეიხედა. იგი მაგიდას უჯდა:

— შემოდი, ბიჭო, სად დამეკარგე, რას დამსგავსებიხარ?

— ტრამალებში ვიყავი...

— ახლა რა მოგივიდა?

— აპოლონ, ოთახი დამაქირავებინე, თუ ძმა ხარ... ეგ ვინ ყოფილა. მე მაგისი!

— თავი გაანებე... ერთი კარგი ოთახი და მორჩება ლაპარაკი...

აპოლონის კილომ დაამშვიდა ჯონდო.

— როგორ მოიარე, ბიჭო, ტრამალები?

— ძნელია აპოლონ... ტრამალები ტრამალებად... ეს ხაზეინიც ტრამალზე უარესი... რაც აქ ჩამოვედი, კაცი ვერა ვნახე მაგისი მადლიერი... ყველა აგინებს. ახლა კი გასაგებია...

— აგინებენო?

— ყველა ენაზე... რითი დაიმსახურა?

— ყველას ვერ მოიმადლიერებ, ჩემო ჯონდო... ალბათ მეც მაგინებს ვინმე, შენც არ იქნები უმაგისოდ...

— უამისოდ არავინა ვართ, მაგრამ უსასრულო გინებების კორიანტელში ნალდად თითებზე ჩამოსათვლელი ხალხია გახვეული...

აპოლონმა გაუღიმა:

— პური გეშიება, წამო ჩვენსა, დალის რამე ექნება, თითო ჭიქაც გადავკრათ...

...დალიმ უცბად გააწყო სუფრა.

ჯონდო ეკას და გოგიტას უცქერდა. ძალზე ლამაზი ბავშვები იყვნენ. წინათ, ჯონდო რომ სკოლაში სწავლობდა, იშვიათი იყო ამგვარი გარეგნობისა და შინაგანი სიმშვენიერით გაულენთილი ბავშვების ნახვა... ახლა კი, ამნაირი ბალღების შემხედვარეს უხაროდა, რომ დრო გადის, ადამიანები იბადებიან, უფრო და უფრო იხვეწება მათი შნო, გემოვნება, გარეგნობა... ჯონდო არასოდეს დარდობდა წლოვანების მომატებას, პირიქით, უხაროდა, რაც უფრო მეტი წელიწადი გადიოდა და ჭაღარავდებოდა...

დალიმ იმერული ყველი მოიტანა სუფრაზე, აპოლონმა დედამისის მოვლილ-ნაპატრონები ვანური ალადასტური ჩამოასხა და ჯონდოს გაუღიმა:

— ეგუება აქაობას?

— მაგარი გაძლება გინდათ... ბავშვები როგორ უძლებენ?

დალიმ მწუხარე სახით უპასუხა:

— როგორ იქნებიან... გოგიტას თირკმელები ვერ აქვს კარგად... აღარ ვიცი... ამ ჩემს ქმარს ვეუბნები, გაანებე თავი აქაობას-მეთქი და ვერაფერი გავაგებინე...

აპოლონს გაეცინა:

— თბილისელი გოგოა, უჭირს... მერე კი ტკბილი მოსაგონარი გექნებათ შენც, ეკასაც და გოგიტასაც... აქ, ძმაო, ქართველი კაცი ტორტის საჭმელად კი არ ჩამოსულა...

დააკაკუნეს. დაღესტნელი მილიციელი შემო

ვიდა. რუსულად მიესალმა აპოლონმა მოიწვია...

— აგაი, მოდი, გენაცვალე, დაგვეწვიე, მიირთვი, დაგვლოცე... აგაიმ იუარა:

— აპოლონ, ძმაო, ძალზედ გვიჭირს, ნათესავი გვყავს ავად, მახაჩყალაში გვინდა წავიყვანოთ, მანქანა რამე იქნება გვათხოვო...

— კი ბატონო... აგერ დგას, მაგრამ ჩემი მძღოლი თბილისშია.... წაიყვანე... სხვა რამე დახმარება ხომ არ გინდათ, არ მოგერიდოს...

...ჯონდო და აპოლონი გვიანობამდე ისხდნენ.... გამოთხოვებისას დალიმ სთხოვა ჯონდოს, ხვალ ჩვენს რაიონულ ცენტრში, — ტარუმოვკაში „წითელქუდას“ ვდგამთ გერმანულ ენაზე და იქნებ გენახაო...

...კოჩუბეისთან შედარებით ტარუმოვკა მართლა ქალაქს ჰგავდა. კულტსახლში პიონერები ირეოდნენ... დალი სატვირთო ავტომანქანასთან ტრიალებდა, — დეკორაციების გადმოტვირთვაში შველოდა ბავშვებს... ჯონდოც დაჰყავდათ ხოლმე პატარაობისას თოჯინების თეატრში და ეს იყო ერთადერთი ნაღდი სიხარული, რაც კი სკოლიდან გამოჰყვა თერთმეტი წელიწადის მანძილზე... ცელქი იყო და მასწავლებლები სცემდნენ. — რაღას არ ურახუნებდნენ თავში... თოჯინების თეატრშიც კი აუწეწიათ ყურები... ჯონდოს მოუსმენია, ადამიანები როგორი ნატვრით იხსენებენ სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში გატარებულ წლებს... ეს იმიტომ, რომ მას შემდეგ თავიანთ თავს ტანჯვის მეტი არაფერი მოუტანეს? თუ შემდგომ ცხოვრებაში აღარაფერია საინტერესო?.. ჯონდო კი პირიქით... ვისაც უნდა გაამტყუნოს... ვინც გაამტყუნებს ისინი საშიში ხალხია... სწორედ ისინი არიან ის მომავალი მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ყურებსა და თმას ააწიწკნიან... ჯონდო მეცამეტე წელიწადია უნივერსიტეტში სწავლობს... ბევრი წელიწადი გაუცდა — ერთხელ ავადობის გამო, მეორედ, — საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, საკუთარი ხელით დაწერა განცხადება — ამომრიცხეთო... თბილისში რომ დაბრუნდა და აღდგენა ითხოვა, უარი უთხრეს. — სამინისტროს საქმეაო... მინისტრმა კი დაარიგა (მგონი დაუყვავა კიდეც): ამხელა კაცი ხარ, რაღა დროს შენი სწავლააო... ბოლოს მწერალთა კავშირის შუამდგომლობით აღადგინეს, მაგრამ თანამედროვე ქართულ ენაში სამიანი არ დაუწერეს — კინაღამ გარიცხეს, დეკანმა უთხრა, შენი მწერლობა ჩვენ არ ვიცით, — ეს გენაცვალე, უნივერსიტეტი არის, ის კი არ გეგონოსო („ის კი არ“ — დღემდე ვერ გაარკვია ჯონდომ. მაგრამ რადგან დეკანმა თქვა...)... დიდი გაჭირვებით დაუწერეს სამიანი, მაგრამ ბოლოს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის არცოდნის გამო მაინც გარიცხეს... აქაც ასე უთხრეს — შენ ის ხომ არ გეგონაო...

ჯონდო მოურიამულე ბავშვებს შეჰყურებდა. ისინი მაღლები, სწორნაკვთებიანები, ლამაზები იყვნენ და ძალაუნებურად გაფიქრებინებდნენ კაცს, ამათგან გულქვა ადამიანი არ დადგებაო... ერთხელ კიდევ გაეხარდა, რომ დრო გადის, ადამიანები ბერდებიან, იბადებიან... კლუბში შევიდა... წინა რიგში ჟიურის წევრები ისხდნენ, მერე მშობლები, ბავშვები... დალი კულისებს მიღმა იდგა და ბავშვებს არიგებდა... ჯონდო მოზრდილებს შესცქეროდა, რომლებიც უდიდესი სიფაქიზითა და მოწიწებით შეჰყურებდნენ პატარებს. ჯონდომ ინატრა, ნეტა ყველა ადამიანი ზუსტად ამგვარი სიყვარულით იყო გამსჭვალული ერთმანეთისადმიო...

ბავშვები ეზოში დარბოდნენ და ჯონდო რწმუნდებოდა, მათი ცხოვრება, მათი ყოფა არ დაემგვანებოდა იმ ორი კაცის ყოფა-ცხოვრებას, ამას წინათ ავტობუსში რომ ისხდნენ და ერთურთს თავიანთ დარდს უზიარებდნენ... ერთი მათგანი თვალების ბრიალით ჰყვებოდა: „მის დღეში ღორს აღარ დავკლამ, ძმაო... მის დღეში... ჩემს ოჯახში ღორი არ დაიკვლის! თუ დავკლავ და, ჩემს ძმას აღარ დავპატიჟებ!...“

მსმენელი გაოცდა, ისეთი რა უნდა დაეშავებინა ძმას ზედ ახალი წლის დღესაო...

მთხრობელს ნაღველში ჩართული ირონიით გაეღიმა: „აბა ერთი ყური მიგდე!... ახალი წელი დავიყენე, ნუღარ იტყვი... ნასუქი ღორის დაკვლაზე მეგობრები, თანასოფლელები დავპატიჟე, ქალაქელ ძმასაც დავუძახე და კიდეც გამიწყრა მაღალი ღმერთი! ჩამოვიდა ძმა... ჯერ ერთი, იმწუთშივე ის მეწყინა, რომ მედოლე კაცი უინსტრუმენტოდ მესტუმრა, მერე, მეგობრებიც — მეგარმონეები, მედუდუკეები, კლარნეტჩიკები მომაყენა კარზე, ისინიც უინსტრუმენტოდ და ერთიც მწერალი... ვიღაც ჭაღარა, დახეული, ტანხაცმელგაცვეთილი... მოკლედ, მომატყუა... ეგრეთი მწერალი გაგიგია სადმე? ჯერ რა სახელების ხალხნი იყვნენ, ყური მიგდე: ლევუშა, ბილიმე, ონიკა, ზავენა, მაზეპა, თავთოხანა, გელდიბრანგი, ქორო, ტროყო, ჯემალა... ეს ბოლო იყო მწერალი ვითომა... რა უნდა მექნა? მოვიტანე და მოვზიდე ღვინო და იმ ჩემმა ძმამ, სტოპ! — ხელი ასწია, — ეს ღვინო არ გვეკადრება, გაკეთებულია, შაქარაშვილიაო... ადგა, თავისი ფეხით [illegible] მარანში, ნამდვილი, ნატურალი ქვევრი მოხადა, სალვინეები დაავსო, სუფრაზე დადგა, ცხვირწინ თითი გამიქნია — ციგანო, მე შენ გაჩვენებ, დამაცადეო და თამადადაც დადგა! სვეს და რა სვეს, — სულ დაიბრიცნენ... მოკლედ, რეები ქნეს, ცირკაჩობა, დაიწყეს — ლევუშამ თეფში მიიკრა წარბზე, ბილიმემ შვიდი ჭიქა ღვინო დალია ერთ ჯერზე, ზავენამ საათ-ნახევარი იმღერა უინსტრუმენტოდ, შეუჩერებლივ, მაზეპამ ღვინო გამაცხელებინა და ისე დალია, ონიკამ სულ ცხარე ცრემლი ჰვაღინა მუღამათებით — ამისას ცუდს ვერას იტყვი რა, ტროყომ ნაბშირიანად შეჭამა მწვადი, — მარგველიანი, — ჯემალამ — ვითომც მწერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იყო, — მზის სადღეგრძელოებით გამოჭედა ყურები... ბოლოს კი ლევუშამ სულ დაგვაგიჟა — ყურები აათამაშა, მთელი ქოჩორი აამოძრავა, ქუდი მოიხადა უხელოთა კბილების პროთეზი მოიხსნა, თვალზე იკბინა, ნიძლავი მოიგო, ჩემი ღორის ბარკალი ქალალდში გამოახვია და აღმუვლდა... ბოლოს მე ცოტა ხნით გარეთ გამოვედი..: როცა შევედი, ველარ მიცნეს, შენ ვინღა ხარო, — შემომძახეს, გარეთ გამომისტუმრეს და თავიც მომეჭრა სოფელში... აბა, რა მეღორებოდა, ან რა მეახალწლებოდა?!“

იმ კაცის ნაღველი ოდნავ (სულ ერთიბეწოთი) ჰგავდა ჯონდოს დარდს, რომელიც დღესასწაულებზე შემოაწვება ხოლმე... ამ დროს იგი ზღვისკენ, პლაჟებზე მიეშურება, სადაც, არ ისმის გოჭების ჭყვიტინი, სისხლიანი ხრიალი, თოფის გრიალი, მთვრალის სიმღერა, „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროს“ ძახილი და არ არის ხელიდან ხელში გადაცემით გაქუცული შოკოლადის კანფეტები...

...ჯონდოს მოეწონა „წითელქუდა“ და გადაწყვიტა — დალის მიერ მშვენივრად დადგმულ წარმოდგენაზე, რომელმაც ჯერ ბავშვების, მერე ჟიურის მოწონება დაიმსახურა (და რომლის შესახებ ტარუმოვკის რაიონულმა გაზეთმაც აღნიშნა), დაეწერა მომცრო ნარკვევი, სადაც თანამემამულე ქალებს ერთი-ორი სიტყვით გააცნობდა კოჩუბეიში მცხოვრები ახალგაზრდა ქალის ცხოვრებას.

●

საახალწლო გადაცემას იმეორებდნენ ტელემაყურებელთა თხოვნით. ვინ აღარ მოეწვიათ: ხოჯა-ნასრედინი, ჭარიჭკაცი შვეიკი, თოვლის პაპა, ყინულეთის დედოფალი, თოჯინები და მსახიობური ნიჭის, მიღწევების, მთელი რიგი სადღესასწაულო უცნაურობათა კლუბების უპირველესი თუ უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები, რომელთა ოხუნჯობასა და სირბილ-ხლართვას სიმღერები ენაცვლებოდა... ჯონდომ ამ უკანასკნელებს (სიმღერებს) მიაქცია ყურადღება. ყველა (და არა „თითქმის ყველა“) სიმღერა ათეული წლების წინანდელი იყო და თითოეული მათგანი სრულდებოდა ცივი, ტრადიციული, უკმეხი, მშრალი ინტონაციით (რომელშიც თუ კარგად დააყურადებთ, მუქარასაც იგრძნობთ), ტემბრით, მიმიკით, მოწადინებით და ასე შემდეგ... ტექსტებში ერთმანეთს ენაცვლებოდა: წვიმა, თოვლი, ყვავილი, სიყვარული, განშორება, შერიგება, დაბრუნება, სიყვარული, გოგო, ბიჭი, ჭაბუკი, ყმაწვილი, დარდი, სიყვარული; განქორწინება, გმირობა, შორეული წუხილი, სიყვარული; კაბის შარიშური, ხეების ფოთლებში თვალდაჭყეტილი ხათურები, სიყვარული; ფოთოლცვენა, შემოდგომა, ზამთარი, სიცივე, სიყვარული; ზაფხული, გაზაფხული, ვარდი, ჩიტი, ყვავილი, სიყვარული; სახარატო ჩარხი, ქარხნის შესასვლელი, აღზრდა, ბალახი, სიყვარული...

ის, რომ ყველაფერში (თვით უაზრობაშიც კი) სიყვარული გამოეჭყლიტათ, ახარებდა ჯონდოს, მაგრამ სიმღერების ასაკი აღიზიანებდა და ესახებოდა თმამოშვებული ბიჭები, რომელთა სიმღერები ათიოდე წელიწადში ყურებს გამოუჭედდა მაყურებელს... ჯონდოს ჰყავდა ერთი მეგობარი, — ლერი, რომელსაც, სანამ ოცდაათი წელიწადი არ შეუსრულდა, საკუთარი სიმღერების შესრულებას და გრძელი თმის ტარებას უკრძალავდნენ... ახსოვს, ერთხელ დილმის მასივში მოაბიჯებდნენ ღამის ორ საათზე და მათი გრძელი თმის გამო მილიციაში წაიყვანეს. როცა დარწმუნდნენ, ავაზაკები არ არიანო, ოდნავი ირონიით დაარიგეს, ჩვენ მაინც შემოგვხედეთ, როგორ თმას ვატარებთ, რატომ არ შეიძლება მაგალითი აიღოთ ჩვენგან და თქვენც ასე შეიკრიჭოთო... ეს იყო კარგა ხნის წინ. მერე კი მშვენიერი გადაცემა ნახა ტელეეკრანზე „ბითლზების“ შესახებ, რომელსაც ამ პოპულარული ოთხი ადამიანის ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა... გარკვევით დაიმახსოვრა მისი სინანული — ეს ანსამბლი თხუთმეტი წლის წინ არსებობდა და ჩვენში მხოლოდ ახლა ჰბაძავენ მათო...

ჯონდოს მუდამ ანაღვლიანებს მეგარმონე-მედოლეები, სახეგაბრწყინებული, მაგრამ ძალზე ჩამორჩენილი (ადამ და ევას დროინდელი) სიმღერათა შემსრულებლები, უგემოვნო, სასაცილო, ამაზრზენ ამბებისადმი მიძღვნილი ტექსტები თუ მელოდიები... ჯონდო ყოველივე ამას უდიდეს, დამამძიმებელ ლოდად თვლის, რომლის წონა ფეხს ათრევინებს სიმშვენიერის განვითარებას... თუმცა, ამას თვით ძველ ამბებზე (წარსულზე) შეყვარებული ხალხიც უწყობს ხელს (რა საშინელიც არ უნდა იყოს წარსული, ზოგიერთს იგი ურჩევნია ხვალინდელს)... ჯონდომ ისიც იცის, რომ ვინც ადრე თმის გაკრეჭას აძალებდა, სულაც არ იყვნენ დამნაშავენი, რადგან მათაც ჰქონდათ პატარაობა, მათაც აძალებდნენ, უშლიდნენ, აიძულებდნენ... უბრალოდ, ისინი ასეთები გაზარდეს და მაშ რა ჰქნან? იქნება ადამიანი უფრო ცოტა ხანს ცოცხლობს, ვიდრე ეს ეკუთვნის? იქნებ —ეს არის მიზეზი ამგვარი მოვლენებისა? მაგრამ ჯონდოს არასოდეს დაავიწყდება ოცდახუთი წლის შვილიშვილს რომ დაატირა, ოთხმოცდათხუთმეტი წლის ბებიამ — შვილო, მე ვარ მიზეზი შენი სიკვდილისა, ძალზე გამიგრძელდა სიცოცხლე, მე უბედურს და შენ წაგიყვანა ჩემს მაგიერო...

---

ჯემალ დავლიანიძე
შემობრუნება

ჯონდოს გვიან გაეღვიძა... თავი არ სტკიოდა, სახე არ დასიებოდა, უგუნებობა არ აწუხებდა და არავისი ნახვა არ სურდა... თოფი აიღო და სასაფლაოსკენ დაადგა გზას. ისე ჩაუარა საფლავებს, უსიამო არაფერი უგრძვნია. მოკლე ვაკე გადაჭრა. აცა-ბაცად ნაშენ, ნეხვით შეთხიპნილ სახლებს გვერდი აუარა და არხისკენ გაემართა... ჭილყვავები იროდნენ, ახლოს უშვებდნენ, არ ფრთხებოდნენ. ჯონდო ერთ მათგანს დააცქერდა. ფრინველი ლაპლაპებდა... არხთან მეთევზეებმა ჩაუქროლეს მოტოციკლეტით. ბილიკიდან გადაუხვია, ძეძვმოდებულ ფშატიანს გაუყვა, რომლის ბოლოზე ორმა ხოხობმა გადაუჭრა გზა და ბალახში შეძვრა. ჯონდოს ხელიც არ შესტოკებია თოფის ჩამოსაღებად... ფშატიანს გასცდა და მაღალ ბალახებს შეერია. მანამ იარა, სანამ ნათიბ, პატარა ახოს არ მიადგა. მიწაზე დაჯდა. ბაბო მოაგონდა, რასაც ელვისნაირი სინათლე დაერთო... ტიროდა, მაგრამ მისი ერთი (თუ მეშვიდე, ან მეცხრე) ნაწილი ფხიზლობდა, ყოველივეს მშვიდად აკვირდებოდა და სჯიდა, რომ ცრემლები ნაღდი ხორციელი მოვლენაა და სულიერთან კავშირი არა აქვსო... ის ფხიზელი თვალი (გონება, ვიღაცა, ნაწილი, კიდევ ერთი ჯონდო, „მე“) იმასაც ამტკიცებდა, ახლობელის გარდაცვალების გამო ატეხილი დავიდარაბა წმინდა წყლის ეგოიზმია ცოცხალთა მხრივ, რადგან თავის დამშვიდებაა და მეტი არაფერი. ოღონდ ცოცხალმა განტვირთვა მოიპოვოს, დაკმაყოფილდესო... ზუსტად ასეთივე იყო გალინა ციოს დეიდა — სქელი, ცხვირპაჭუა, მსმელი ქალი, რომლის ოცდაექვსი წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო. ამბობენ, შემთხვევით მოკვდაო... ჯონდოს არ სჯერა, რომ შეიძლება შემთხვევით თავის ჩამოხრჩობა... მით უმეტეს, გალინას რძალი წოლილა, ბიჭი მთვრალი მისულა შინ, რადიოს ანტენა შემოუხვევია ყელზე და ცოლისთვის უთქვამს — ოთხ მანეთს თუ არ მომცემ, თავს ჩამოვიხრჩობო. ცოლს ქოქოლა მიუყრია — თავში ქვა გიხლიაო... ბიჭს ჩასძინებია (როგორც მერე თქვეს) და... მთელი ამბავი ატეხილა... გალინა ყოველ დღესასწაულზე — საეროა თუ საეკლესიო, სასაფლაოზე დადის... ერთხელ ჯონდოც წაჰყვა, ოცდასამი თებერვლის დღესასწაულზე, ბევრნი წავიდნენ: გალინა, ქვრივი რძალი, ციო, მოხუცი კატუშა — გალინას დედა... თოვლი იდო და მაგრად ციოდა. სასაფლაო ისე იყო გამოყინული, პაწაწა შიშსაც კი ვერ იგრძნობდა კაცი... პელოვნური, ფერადი ქაღალდებისაგან შემკული თაიგული დადეს საფლავზე, გალინამ დაატირა — ხვალ ან ზეგ მოგპარავენ ამ თაიგულს, მაგრამ რას ვიზამთო... სამი ბოთლი არაყი დალიეს, იტირეს, საფლავი მოასუფთავეს და წამოვიდნენ...

ჯონდოს არ უყვარს გარდაცვლილი ახლობლების საფლავების ხშირი მონახულება, რადგან ჰგონია, რომ მიწაში თიხის (ანდა სხვა რამის) ჭურჭელია ჩაფლული... იქ თვით არაფერიც კი აღარ არის... თავბრუ ეხვევა მდიდრული აკლდამების შემხედვარეს და ისევ ჭირისუფლების ეგოიზმზე ფიქრობს, რომელნიც, რასაც ხედავენ, მხოლოდ ის ჰგონიათ სიცოცხლე...

შარიშური შეესმა ჯონდოს. — მოკლე ნაბიჯების ხმა იყო. წამოდგა, ბალახს დაუარა. წაქცეული ყვავილების დანახვაზე არ შემკრთალა. ეგ იყო, ბავშვობისდროინდელი ჯუჯა წარმოუდგა, — წვერანაანთ წყაროზე რომ ნახა... „ნაღდად ჩემს ფიქრებს აყურადებდა“, — გაიფიქრა და ხელახლა დაჯდა... ესეც თქვენი ეშმაკი. — უფრო სწორად, ის, რაც ყოველთვის არის ჩვენს გარშემო, ხანდისხან ვხედავთ საკუთარ ორგანიზმში უცნობი მიზეზებით გაღიზიანებული აპარატურის მეშვეობით, რის გამოც თმაც კი გვიდგება ხოლმე ყალყზე — მოგვეჩვენაო...

თვალები დაეწვა, ეს იმას დააბრალა — უწინ რომ ტვინი თეთრ კოცონს შეადარა... არხის მხრიდან ვიღაცამ დაიყვირა... ჯონდომ არ იცოდა იმ ვიღაცის ენა, მაგრამ დაღესტნურად ჩათვალა, — სულ ერთიაო... რამდენჯერ უფიქრია,—ერთი, რაღაც მავთულივით წვრილად გაბმული მიშლის ხელს, რომ ყველა ენა გავიგოო. ერთი ხანობა თვლიდა, რომ ენისა და ეროვნებების გაჩენა ადამიანების განვითარების შემაფერხებელიაო... ეს აზრი, ჯონდოს რომ აღეძრა, შეიძლება ვინმეს ჭურვივით აუფეთქდეს გონებაში, მაგრამ... იგი მეტყველების მიზეზად ტერიტორიულ ურთიერთდაშორებას თვლიდა. — ერთხელ მშვენივრად დალაგებულ-დაწყნარებული ქვეყნის აღრევასა და დანამცეცებას აბრალებდა ყველაფერს...

განმეორებით მოესმა ნაბიჯების ხმა. „რატომ არ მოდის ღირსად არა მთვლის? იქნებ ერიდება? ჰო, ალბათ იცის ადამიანის დოლრიალა ხასიათი — მომეჩვენება, მეტყვის, მასწავლის რაიმეს და მე ამას ფულის შოვნის საშუალებად ვაქცევ...“ ჯონდო გაწვა, თოფი გვერდზე გასწია. მერე გახედა იარაღს, წასწვდა, გადახსნა, ვაზნები ამოყარა და უფრო შორს გადააგდო... „ეს ყოველივე, მე რომ ცხოვრება მგონია, — მარადიული რეაქციაა. ადამიანისათვის კი შეიძლება მარადიული ყვავილობაა, გაზაფხულია“. ჯონდო გულაღმა იწვა მოდუნებული. შევძლებ? შევძლებ? ჯონდო მარტოა... მეცხვარეებიც მარტონი არიან, მაგრამ მათი მდგომარეობა ერთნაირი არაა... განმარტოება ძნელია... ჯერ ისაა საქმე, რატომ, რა გზით მიხვალ იქამდე... რა გაიძულებს? რისთვის? განმარტოება საშიშიცაა... ათასნაირ (ადრე ხმაურისაგან) მიჩქმალულ გრძნობას აღვიძებს. თუ მათ დაჭერას ვერ, შეძლებ ცუდად წაგივა (ანდა წაუვათ) საქმე... ჯონდოს რომ

ახლა ნაბიჯების ხმა ესმის, იცის რაც არის... ჯუჯა ქალი თავის დღეში ვერ წარმოედგინა. ამწუთში კი ზუსტად ის არსება დასტრიალებდა თავს — პატარა ქალი, ძუძუებდაბერილი, ტიტლიკანა, ბალნიანი...

მეცხვარეებიც მარტონი არიან დილიდან საღამომდე... ის კი არა და, როცა ბინაში ბრუნდებიან, მაშინაც კი ეულად არიან... მთელი დღეები, თვეები, წლები მარტოდ არიან... რადგან ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ეს ხალხიც ეგუება სიმარტოვეს, ოღონდ... რისთვის იყენებენ ისინი მარტოობას? „გამოყენება“ შეიძლება ცუდი სიტყვაა, მაშინ სხვანაირადაც შეიძლება ვთქვათ — როგორ ეხმარებათ ეს განმარტოება? განდეგილს, რომელიც ადამიანებს გაექცა, სიმარტოვე (თუმცა ყველა განდეგილს არა) ჭეშმარიტების გზის ძებნაში ეხმარება და შენი საწყისის, ხვალინდელი დღის (ანდა ყოველივესი ერთად), — ყოფიერების ამოცნობაში გიდგას გვერდით... აქ, ამ უთავბოლო ტრამალებში რა ხდება? ჯონდოს ახსოვს ამ მხარეში ნანახი ადამიანების სახეები. მშვიდნი არ არიან, — ჩაწითლებული თვალები, სწრაფი მოძრაობები, ხმაურზე ელვისებური რეაქცია, სწრაფი გულის მოსვლა... ჯუჯა ქალი ტრამალების მკვიდრია?.. ტრამალებში ისე იწმინდება ადამიანის ფსიქიკა, როგორც ზამთრის მდინარე. მანძილი, რომელსაც გასცქერი, უწინაალმდეგობას გიჩვენებს, თავბრუს გახვევს და პაწაწკინტელა გამღიზიანებელსაც კი გაცილებს.... კიდევ კარგი, გველის შიში და კოღოს ბზუილი მაინც არ გასვენებს... ჯონდომ იცის სიმარტოვე, იცნობს მას და არის მომენტი, — გაურბის, რადგან მის ატანას, მის მიერ დასმულ კითხვებს, წამოჭრილ ქაოსურ პრობლემებს გადამუშავება სჭირდება, თუ ვერ მოასწრებ, — სისხლს აგიმღვრევს, დაგარეტიანებს, გაგაცოფებს და სადმე ცხვირს წაგამტვრევინებს... ამიტომ ემალება ხოლმე სიმარტოვეს... ალმა-დალმა დაჭქრის — ცდილობს უკვე განცდილი დალანდოს მკაფიოდ და წმინდად... მეცხვარე ამას ვერ ახერხებს... რომც უნდოდეს, უცბად ვერსად წავა და გაიქცევა... ისე, მათაც ნაღდად ექნებათ ნაპოვნი ხერხი მარტოობასთან ბრძოლისა... ბრძოლისაო, — იმიტომ ამბობს, ეეჭვება, რომ მწყემსი შეძლებს ტრამალების სიმარტოვის თავიდან ბოლომდე. გამოყენებას.. თუმცა მეცხვარეები ყოველ მიზეზს გარეშე ჯონდოზე წინ არიან ამ მხრივ: უნდათ თუ არ უნდათ, — მოშორებული არიან ქალაქს, ადამიანების მიერ მოგონილ ყოველგვარ გართობას, ოჯახს... ის კი იარა და, ზოგჯერ ფილარმონიის კონცერტებსაც ბუზღუნით შეჭყურებენ... არ უნდათ — მორჩა და გათავდა... ნაღდად რაღაცა იციან და იმას ვერაფრით ვერ დასტყუებ... ჯონდოს არც ის გამოჰპარვია, რომ ამ მწყემსურ „შენ თავთან პირისპირ დარჩენის“ ვაი-ვაგლახში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს (თუ შეიძლება ვახსენოთ) ფულს, ანუ, როგორც ამჟამად ამბობენ — „ეკონომიურ მხარეს“... გინდა თუ არ გინდა, ეს არის ორჯერ ორი რომ ოთხია, იმაზე ოდნავ ზუსტი რამ... ფული ერთ-ერთი უპირველესი მიზეზთაგანია ამ მხრივ. ჯონდოს არ სჯერა იმათი, ვინც მეცხვარეობაში მხოლოდ გაჭირვებას, რომანტიკას, სიხარულს (და სხვას) ამჩნევენ... მას სწორედ ამგვარი შინაარსებით გამოჭედილი ნაწარმოების შექმნა არ სურს. — ისეთისა, სადაც იქნება: ჭედილების რქებით ურთიერთჯახება, მოლექსე, მეფანდურე, ძუნწი ან ხელგაშლილი მწყემსი, ყორუღების გადალახვის გამო ამტყდარი კინკლაობა, მწყემსთა დუხჭირი (თუმცა ეს უკვე საკმაოდ მოძველებული სიტყვაა დღევანდელ მწყემსთა ცხოვრების ეპითეტად) ცხოვრების ასახვა, გმირობა, — მაგალითად, ცხვარი დააფრთხო რაღაცამ და მწყემსი თავგანწირულად იბრძვის გადასარჩენად... ანდა აღწერა: გამურული ქვაბი, დარღვეული შარვალი, გაქუცული, უხარისხოდ მოთელილი ნაბადი, ფაფახის აღწერა, მხარზე ცხვარწამოკიდებული მეცხვარე, ოჯახისა და სამშობლოსაგან მოშორებით აღძრული დარდები: ხშირი ცრემლი, სლუკუნი... ანდა მათი ვაუკაცურ ჩვეულებათა ტკეპნა: რომ თავთით ბალიშის ამოდებას, ქვა სჯობს, რომ საკინძე არ უნდა შეიკრან, რომ... და ასე შემდეგ... ჯონდოს აზრით, კაცს როგორ უმარჯვდება და ეპრიანება, ისე უძლვება საქმეს... ეს მათი სამსახურია, მორჩა და გათავდა... ზემოთ ნახსენები ხასიათ-ჩვეულება—ადათ-წესების ფიქსირება ძალზე ადვილია, ეს არის ფოტოგრაფია იმისა, რაც ჩანს... თუმც, რაც ჩანს, იმისაგან უკეთესზე უკეთესის არჩევა-პოვნა არც თუ ისე ადვილია, მაგრამ ჯონდოს ესეც არ აინტერესებს... იგი ყოველივე ამას თავის საქმედ არ თვლის... სხვამ უნდა აკეთოს და არა მან... თავად სულ სხვა რამ უნდა დაინახოს, — ის, რისი ალბეჭდვა ობიექტივს არ ძალუძს. აქ სხვა, სარკეში რომ არ მოჩანს, იმგვარი აპარატია საჭირო, რომელიც ყველა ადამიანს გააჩნია, მაგრამ არ იციან მათი არსებობა. ანდა, იციან და ძებნა ეზარებათ. ან, ეძებენ და ვერ აგნებენ, ღიზიანდებიან და მალაზიებისაკენ მიეშურებიან, რომ მზამზარეული იყიდონ... ჯონდომ იცის, იმ ურთულესი, უხილველი აპარატით ადამიანთა დანახვა არც ისე იოლია, მაგრამ, რამეთუ ის უკვე ამ ხერხით ეძებდა, კვალშია ჩამდგარი, ეს გზაა... ეს გზის დასაწყისია, რომელსაც მერე მასზე უკეთესი ადამიანები, დღევანდელი, ხვალინდელი ბავშვები გაჰყვებიან, რომელთა დაბადებაც სწორედ (და მხოლოდ) ამიტომ უხარია... მომავლის ბალღები ძალზე ღონივრები, ლამაზები, ჭკვიანები არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის ცოდვილ ჩონჩხზე გადაივლიან ისევე, როგორც მან გადაიარა სხვებისაზე...

როცა მწერალი ან ნებისმიერი ხელოვანი ზუსტად აღნუსხავს ხოლმე ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ამბებსა და ნივთებს, თვით ის, ვისზეც საუბარია, ვისზეც შეიქმნა ნაწარმოები, გახარებულია... ხშირად და უმეტესად ხელოვანს ეს აკმაყოფილებს. მას ჰგონია, რომ ლელო გატანილია... მაგალითად, მეცხვარეს რითი გაახარებდა ჯონდო? — გამურული ქვაბით, კომბლით, ფაფახით, დაკოჟრებული ხელებით? არა. ჯონდოს ეეჭვება. ჯონდოს არასოდეს დააკმაყოფილებს მხოლოდ დამახასიათებელი ჩვევები და ლამაზი, ყველას რომ მოსწონს, ისეთი ამბავი — ინტრიგები... ოღონდ, როგორც კი ობიექტისთვის ნაცნობი ამბები შეწყდება, იგი ბუზღუნებს და შეიძლება ერთი მამაპაპურადაც შეგიკურთხოს. რადგან ის გაგინებს, ვისზეც ქმნი, ვინაიდან იგი უკმაყოფილოა, — უმეტესნი მუდამ ცდილობენ უარყოფითად შეაფასონ ნამუშევარი... ობიექტს კი სულაც არ ენაღვლება — მას შეუძლია არხეინად დაასრულოს: მე ჩემი თავისა არ ვიცი და, სხვამ რა უნდა გამიგოს!...

ჯონდომ თოფი მოითრია, ვაზნები ჩააწყო, წამოდგა, ტრამალების ჯუჯას მიერ გაქელილი ბალახი დაათვალიერა და ფშატებისკენ წავიდა... ბუჩქთან ჩოჩორი იდგა. ლამაზი სახე ჰქონდა, ჩიჩვირზე უნაზესი ღინღლი მოუჩანდა. ჯონდომ უპატრონოდ ჩათვალა, შეეცოდა და ამ მხარეებში ვირებისათვის მიკერებული სახელის გახსენებას შეეცადა... ასე დასცინიან უპატრონოდ მიტოვებულ ცხოველებს, რომლებითაც სავსეა ტრამალები... ჯონდოს სძულს ადამიანები, რომლებიც ცხოველებს აბუჩად იგდებენ, მას სწამს, რომ ასეთი ხალხი ძალზე ხშირად დაიარებიან საავადმყოფოებში, აფთიაქებში, მკითხავებთან და სულ იმას გაიძახიან, რა დავუშავე ღმერთს რომ ასე გამამწარაო... ინანა — პატარაობისას ისიც ესროდა ხოლმე ქვებს ძაღლებს და ამას არავინ უშლიდა... თუმცა ისიც სათქმელია, რომ არც ადრე დაბერებული ბავშვები უყვარს... იგი უკმაყოფილოდ შესცქერის კინოფილმებს, სადაც ყველაფრის მცოდნე, მეტიჩარა ბალღები მოზრდილებივით აზროვნებენ. ჯონდოს სჯერა — მოზრდილები ამით ბავშვებს ართმევენ იმ ამოუწურავი ცხოვრების მარაგს, რაც ძალზე საჭიროა მათი მომავლისათვის... ასეთ თემებზე მიძღვნილ წიგნებს კი საერთოდ არ კითხულობს... მისი აზრით, საკმარისია ბავშვობის რამდენიმე დღე გამოტოვოს ადამიანმა, რომ მისი ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართოს... მას უყვარს საკუთარი პატარაობა, სადაც ყოველ წერტილს შორის ტოლი მანძილია...

●

ჯონდო მეგობრის წიგნს კითხულობდა. მოსწონდა ეს რომანი. ბევრი რამ ისეთი ამოიკითხა, რაზეც მასაც უფიქრია, დაუწერია კიდეც... თუმცა სხვაგვარად, სხვა ამბებისა და გამოხატვის საშუალებებით, მაგრამ მაინც... ჯონდოს უხაროდა, რომ თავისი მეგობრის რომანს „სტუმარი" ერქვა...

ჯონდოს სახლში სიმყუდროვე იყო, რადგან რამდენიმე დღის წინ, თერთმეტ თებერვალს, მეგობარს ქორწილი ჰქონდა და მან ითამადა... პურ-მარილი, ტრადიციულად რომ ითქვას, ისეთი იყო „რა გინდა სულო და გულო..." ნათლიად ჯონდოს ძმა გაჰყვა... ჯონდოს შავები ეცვა, თმა, სხვების სიტყვისა არ იყოს, „მღვდელივით ჰქონდა მოშვებული". მეორე დღეს ძმამ უთხრა — წმინდა წყლის ხულიგანს ჰგავდი, მაგრამ კარგად კი ითამადეო... წინათ ხულიგნობა ვაჟკაცობად ითვლებოდა... ყველაფერი წინ მიდის და, ეტყობა, ხულიგნობაც განვითარდა, ფორმა იცვალა, ამიტომ სახელიც შეეცვალა... ახლა ძნელი სათქმელიცაა, რა ჰქვია ფორმაშეცვლილ ხულიგნობას... ასეა თუ ისე, ქორწილმა მშვიდობიანად ჩაიარა, ეგ იყო, ჯონდომ რამდენიმე სტუმარს თითი გაუქნია, — თქვენ კარგი ხალხი არ უნდა იყოთო და ნეფეს უთხრა: ეს „ელემენტები" საიდან გამოჩნდნენო...

ჯონდომ მთელი ღამე ვერ მოისვენა. როგორც ჩანს, ღვინის მსმელმა ხაშლამაზე უარი არ უნდა თქვას, თორემ... რამდენჯერ გამოუცდია, — როგორც კი დალევს, მეორე დღეს კეფის მარცხენა მხარე უსკდება ტკივილით, ერთიც კი შეამჩნია — თუ არ დაწვა, კარგად გრძნობს თავს...

ახლაც იჯდა, მეგობარი მწერლის წიგნს კითხულობდა... როცა თვალები დაეღალა, ეზოში გავიდა... თებერვლის ქარი ქროდა. ცა კაშკაშებდა, ვარსკვლავების მძივები ეკიდა და ის შეუცნობელობა, რომელიც ამ უდიდესი გაუგებრობის (ცის) მიღმა ლივლივებს, შიშით აკანკალებდა... ისიც იცის — თუ დაღამდა და შინ მივიდა, იმწუთში არაფრისაც არ ეშინია. შეუძლია ეზოში საათობით იდგეს... მაგრამ, საკმარისია მთელი დღე სახლში იჯდეს, მერე ღამით გარეთ გამოვიდეს, რომ უკვე ეშინია... იგი ცდილობს ამოიცნოს შიშის მიზეზი...

● გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დალი ცაავა

●

იღელვე, ზღვაო!
შენი არითმიული მაჯისცემა
უკანასკნელად ჩამაგონებს, რომ დასასრული
შეუსადარი მოგზაურობისა მოახლოვდა —

რომ უკვე იქცა ბერიკაცის მათრობელა ყვავილად
თეთრი ლოტოსი,
რომელიც ოქროსთმიან ჭაბუკს ეჭირა ხელში,
სანამ
სისხლისფერი ჰორიზონტი ჩაქრებოდა
და ცუდმავალი ვარსკვლავის კუდი გამოჩნდა ცაზე.

რომ აყვავებულ მარჯნის რიფზე მოიტეხს კისერს
ჩემი სურვილის თეთრი ფრინველი
და ნატვიფარი დარჩება იქვე.
აი, გემმა უძვირფასესი!

იფრინე, ჩიტო!
სანამ ფრთებსზევით ტაროსია, ფრთებქვეშ — ღრუბელი
და შენი სრბოლა
ნათლის სხივზე უფრო მალია,
პარკიხვევიას წმინდა ძაფივით უწყვეტია გზა
და მიზანი —
თვალსანახზე უცხადესია.

იღელვე, ზღვაო!
სანამ უბერავს ზურგის ქარი ჩემი ხომალდი,
როგორც რვაფეხა საკუთარი სამყოფელისკენ,
შეუცდომლად მიემართება.
საარაკოა იცვალოს გეზი!
თუმცა
ვირთევზას მაღალი კონცხი არ ჩანს აქედან
და აფართოებს თვალის გუგას მწუთხე ბურუსში
პოსეიდონის ბასრი სამკაპი.

ო, თუ აჩეხვას გადარჩა ხორცი,
შეურყეველი დარჩები, სულო...

შენ ხარ საწყისი ყველაფრისა,
ყველა ნაყოფი
ჩასახულია შენს წიაღში და კურთხეული —
სრულყოფილია შენი სახის ხუთივე ხატი.

მზე შენით ჩადის და სისხამ დილით,
როგორც ზამბაკში მარგალიტის გამოღვიძება
ჩაუმქრალია მისი კაშკაში.

შენ ხარ დამანი გამჭვირვალე
და შვიდფერია შუქი შენგან უკუფენილი.

პირველყოფილი შენ ხარ სიჩუმე
და როგორც ბალღი
მთვარის მოვანებისას შობილი
არის უმწიკვლო შენზე სიმღერა
და ყველა სიმი ხმაშეწყობილი.

ყუათიანი შენ ხარ მიწა
და შენს ზვრებზე ჭეშმარიტი ხარობს ვენახი.
შენ ხარ საწყისი ყველაფრისა,
შენ ხარ მოქცევა —
ძნელსაწვდომია შენი სიბრძნე
და უსაზღვროა შენი წყალობა
უკუნითი უკუნისამდე!

ალექსანდრე გიგიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუზა

მას ჩემთვის ფერფლიც არ ემეტება
სადღაც ოდესღაც ნანახი გედის,
ქარი მოდის თუ მოეხეტება,
ვინ მარტოობის ზეიმში შედის.

უშურველია ისევ თვალებით,
მაინც მოვიდა, მაინც მეძება...
მე ისევ ვთვრები იმ მწვერვალებით,
ანანურიდან რომ იხედება.

გაოცებული გავყურებ ტაძრებს,
საკვირველების მიჭირს მოთმენა
და გზაზე ქარი მავედრებს ჭადრებს,
სევდას მიქარვებს ეს ფოთოლცვენა.

იქ იმერეთში ასე ბერდებით;
ჩუქურთმებით და ძველი აივნით,
თქვენ შემომხედავთ და შეჩერდებით
და მერე ისევ იმ გზით აივლით.

და ვთვრები იმავ სახეთა ბინდით
და ვეღარ ვთვრები შენი ყურებით,
გაყვითლებული კუნელით, შინდით,
ამ შემოდგომით და ჭანჭურებით.

●

ასეთი გრძნობა მე არ მქონია —
რა ახლობელი გამხდარა მტკვარი...
შენი ტუჩები ზოგჯერ მგონია
დაკოცნილია აგვისტოს ქარით.

ამოუთქმელი ესაა ოხვრა,
წინ კი გზებია ჩემგან სავალი,
ქუჩებს ამხნევებს შენი მიმოხვრა —
ასეთი კარგი და წარმავალი.

●

თრობის წვიმები მე შენი მმართებს,
როდესაც სული სიზმრებით თვრება,
მივდევ ბინდებში მშიერ აღმართებს
და მონატრების წუთები დგება.

შემოდგომებს კი ქარვები შვენის,
არის სევდის და ტკბობის სამანი,
უუშორესი მწველი მოთმენის
შენთან მოჰქონდათ იასამანი.

ამ ჩემს ეზოში ტირიფი მაქსოვს
იმედებს, ქრება, წვიმა, ავდარი...
და შორეული ცრემლივით მახსოვს
ფოთოლცვენაში იდგა საყდარი.

## დაო

მეწვევა ფიქრი როცა დაოზე,
მშვენიერების ენითა რთულით,
ნეტა რა მინდა სასაფლაოზე,
როცა საფლავებს ვატარებ გულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი მეტრეველი

## ერთი წუთითაც

ერთი წუთითაც არ ვარ სხვა გვარის,
ჩემში ქართული ცხელი სისხლია...
სულ თვალწინ მიდგას ქართლის
მთა-ბარი,
ჩემია მისი ტყე თუ ნისლია.
მისთვის ავლესე ცელიც, ნამგალიც
და სხვისი ვაზი არ გამისხლია!...

კვლავ შენთან ვრჩები...
როგორც ბალახი
გზაჯვარედინზე ფეხით გამთელონ,
აქ არის ჩემი საძვლე-სამარხი
და აქ მსურს მხოლოდ ვაღამ-ვათენო.
სხვა უკეთესი რა მაქვს სანახი,
ჩემო მიწავ და ცაო ნათელო!

## მეგობარს

შენ გაგყვა ვალი ამ ნედლი მიწის,
შენ დაგავიწყდა ამ მიწის მადლი
შენს წასვლას (წყენად მიიღებ, ვიცი)
ბრძოლის ველიდან გაქცევას ვადრი.

და მე ვაბივარ უღელში ცალად,
შენი კუთვნილი გარჯაც მე მელის,
ქარი მოგძახის: არა და არა,
ბალახზე ნამის ბრჭყვიალებს ცრემლი.

ნუ, ნუ გაწირავ ურმის აპეურს,
იბრუნე ისევ სოფლისკენ პირი,
პატრონი უნდა მამა-პაპეულ
მამულს, რომელიც უშენოდ ტირის!

## ისევ აამღერე

ხოხობივით გამიფრინდა კიდევ ერთი წელი,
კიდევ ერთჯერ შევაკეთე ჩემი სახლის ჭერი!
კიდევ ერთხელ ავამღერე ჩემი ლერწმის ღერი,...
რაც მინახავს, გავიხსენე ისევ ყველაფერი

ძველზე მეტად მიალერსებს
ეს ახალი წელი,
ღმერთო, ისევ აამღერე
ჩემი სახლის ჭერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტანისლავ ლეცი

# დაუვარცხნელი აზრები

ტრაგედიას ბევრნი განიცდიან. მაგრამ ყველას სოფოკლე როდი უწერს.

ერიდეთ იმათ, ვისაც ვერაფრით ვერ გაექცევით!

ჰამლეტის საკითხი ყოველ ქვეყანაში თავისებურად ჟღერს.

კლასიკოსად დაბადებული არ კვდება. ივიწყებენ.

გენიალური ავტორების უდიდეს ნაწარმოებებს ერთი ადამიანის გული იტევს. დრამის მკეთებელთა ეგრეთ წოდებულ პიესებს ყველაზე დიდი სცენებიც ეპატარავებათ.

არ არის საჭირო ნაღვლის გაფანტვა პოლიციის ძალით.

საკვირველი ამბავია: „სასოწარკვეთის ფილოსოფია“ ყველაზე მეტად ოპტიმისტებს აძინებს.

სატირიკოსებო, სიტყვებს მოერიდეთ, დაე ციფრებმა ილაპარაკონ!

ოპერას თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს. განა არის ისეთი სისულელე, რომლის სიმღერაც არ შეიძლებოდეს?!

ვინც ტრაგედია განიცადა, მისი გმირი არ ყოფილა.

ენაბლუ მსახიობმა პრინციპულად არ უნდა ითამაშოს ენაბლუ.

ბევრი რკინისებური რეპერტუარი განწირულია საჯართედ.

ხან მეჩვენება, რომ ღმერთებისა და ადამიანების საქმეებს ვიღაც მესამე განაგებს.

ორი შავი პერსონაჟია და რაოდენ განსხვავებული საღებავებია!

აი პიესა! არც ერთ პერსონაჟს არ აკლია მასალა სცენაზე იმის სალაპარაკოდ, რომ ავტორს არაფერი აქვს სათქმელი.

ნეკროლოგი დიდებული სავიზიტო ბარათის მაგივრობას გასწევდა.

ხდება, რომ დაფნა თავში გაიდგამს ხოლმე ფესვებს.

საკუთარი ცხოვრების დრამაში ადამიანი მხოლოდ უმცირეს ეპიზოდს თამაშობს.

ეპოქის ტრაგიზმი მის სიცილშია გამოხატული.

ისტორიული მასალები ადვილად აალებადი უნდა იყოს.

ის თავისივე ძეგლის ქვებით ჩააქვავეს.

სხვებმა ყველაფერი სასაცილოდ აიგდეს, მე კი დაუმსახურებლად ვიდგამ სატირიკოსის დაფნის გვირგვინს.

ყველაფერი აღწერილია. საბედნიეროდ, ყველაფერზე ჯერ კიდევ არ უფიქრიათ.

ზოგიერთი პიესა იმდენად სუსტია, რომ სცენიდან ჩამოსვლა უჭირს.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 6.

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა.

წარმოიდგინეთ, რომ ერთმანეთს ებრძვის ორი ჰამლეტი — რომლის ყოფნა და რომლის არყოფნა წყდება?

ყურადღებით რომ მიმოვიხილე ამ მწერლის შემოქმედება, ჰომეროსიდან მოყიდებული შიგ ყველა ერთად დავინახე.

ზოგიერთ პოეტს თავში რომ თივა აქვს, ჩანს, მერნისთვის უნდა.

დროის გამოცდას გაუძლო? უჩვენეთ, რომელი დროისას.

ზოიგიერთი ლიტერატურული შეფასების შემდეგ თითქმის არც რა რჩება ფასეული. შემფასებელთ თურმე ყველაფერი თან მიაქვთ,

ვინ იცის, იქნებ გაჩნდეს ისეთი ხელოვნება, რომელიც უსიტყვოდ, ხელების უქნევლად, მარტოდენ მზერით გვაგრძნობინებს, რასაც ხალხი განიცდის.

დაკვირვებული ვარ, ადამიანებს ისეთი აზრები უყვართ, რომლებიც ჩაფიქრებას არ აიძულებენ.

ეპოქაზე უფრო მეტს ამბობენ ის სიტყვები, რომლებსაც არ იყენებენ. ვიდრე ისინი, რომლებსაც ბოროტად იყენებენ.

რასაც ერთი პოეტი მეორეზე ამბობს, იმის სათქმელად პოეტობა სულ არ არის საჭირო.

უკვდავი მწერალი თავის ეპიგონებში კვდება.

იმაზე შეიძლება უარყოფითად წერო მხოლოდ აღმატებით ხარისხში.

შთაგონების ზოგიერთ წყაროში მუზები ფეხებს იბანენ.

შუბლი იმას შევუმკოთ, ვისაც აქვს.

შედევრს ბრიყვიც კი გაიგებს. მაგრამ ვაი იმ გაგებას!

როდესაც პოლიტიკური იგავ-არაკის პერსონაჟები ცხოველები არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ეპოქაა არაადამიანური.

თითქოს მართლაცდა რა უნდა იყოს ცარიელ თავზე უფრო დამტევნელი?

გვიყვარს, რომ ჩვენი შინაგანი ხმა გარედან აღწევდეს ჩვენამდე.

რაც უფრო სუსტია საბუთები, მით უფრო მაგარია პოზიცია.

ვინც ექო მოიხვეჭა, ის მეორდება.

ჩამოჰგლიჯე დაფნის გვირგვინი! მაგრამ არა სხვის თავს.

დაე კრიტერიუმი იყოს, თუ რამდენი მოსახლე მოდის ერთ სულზე.

შეთხზეთ მითები საკუთარ თავზე, ღმერთები სწორედ ასე იწყებდნენ.

აზროვნება სოციალური ფუნქციაა თუ ტვინის ფუნქცია?

ადამიანიც სხვადასხვა პირთა გავლენის სფეროებად არის დაყოფილი.

ხან ქმნილება არჩევნის წინაშეა: ავტორის თხზულებად დარჩეს თუ ხელოვნების ნაწარმოები გახდეს.

სიმართლეს რომ უახლოვდები, სინამდვილეში არ ჩაეფლო.

იმის პრეისკურანტიც უნდა არსებობდეს, რის შეძენაც აუცილებელია ყველანაირი ფასით.

რომელი მწერალიც არ ღრმავდება, მუდამ ზედაპირზე ტივტივებს.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სულ მუდამ დრამატულ ეპიზოდებს ვთამაშობდე რომელიღაც გრანდიოზულ ფარსში.

წინა მეწინავე რაზმის ზურგის ნაწილი, ჩვეულებრივ, ახალი ზურგის ნაწილის მეწინავე რაზმია.

იმაზე აღტაცებით ამბობდნენ: „გენიოსებს ეწევაო“, მე შეშფოთებულმა ვკითხე: „რა მიზნით-მეთქი?“

ლაპარაკში ეტყობათ, რისი მიჩქმალვაც უნდათ.

ყველაზე მეტად ნაყოფიერი უსქესო ხელოვნებაა.

სილაჩრის გამო თავის აზრებს სხვის თავებში ინახავდა.

ყველგან ლელვის ფოთლებს აწებებდა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ კეთილსინდისიერად აღწერდა, რასაც ისინი ფარავდნენ.

შეიძლება თუ არა შედევრების ძალით შექმნა? შეიძლება, ოღონდ ძალა უნდა გქონდეს.

ყველა ადამიანი მსახიობია, სად ვუპოვნოთ ყველას რეპერტუარი?

უწინ მარადისობაც დიდხანს გრძელდებოდა.

ნიჭის უქონლობას ხასიათის უქონლობით ანაზღაურებს.

პოეტები ბავშვებივით არიან, საწერ მაგიდას რომ უსხედან, ფეხებს მიწას ვერ აწვდენენ.

ნაწარმოები თავის თავზე თვითონ ლაპარაკობს, მომსმენი ვინმე თუა.

სადაც მკაცრი კანონები ბატონობენ, იქ ადამიანებს უკანონობა ენატრებათ.

იმათ ცარიელი თავი აქვთ, პირთამდე ერუდიციით სავსე.

ყველა დიდ ტრაგედიას ბოლო კეთილი აქვს, მაგრამ ბოლომდე ჯდომა არ გინდა!

როცა ადამიანები ბედნიერები არიან, ხელოვნებაში დანაშაულის სუბლიმაცია ხდება.

ყოველი შეხვედრისას იყიდებოდა: როგორც შლაპას, ისე წამოიწევდა ხოლმე დაფნის გვირგვინს.

ხან უნდა იუხეშო, რათა დელიკატურობა დაგიფასონ.

ზოგი ღრმად მხოლოდ იმისთვის ყვინთავს, რომ ბუშტები ამოუშვას.

თქვენის ფიქრით, ამ ავტორმა ვითომ ცოტას მიაღწია? საერთო დონე დასწია.

სულიერ საჭურისებსაც შეუძლიათ მაღალი ნოტის აღება.

მავან და მავან ტაკიმასხარებს ყალბად ეულერთ ზანზალაკები.

დაღვრილი სისხლი ჯერ კიდევ ფეთქავს. ეპოის ფეთქვით.

მისი აზრი წმინდა წყლის ტკბობაა. არავის რ გაანაყოფიერებს.

არც ერთი თვალსაზრისით არ შეიძლება ბრმად ყოფნა.

ფრთხილად მოექეცი ცხოვრების დრამატიზაციას! ხომ შეიძლება თქვენი როლის უკეთესი შემსრულებელი მონახონ!

მერანს იმისთვისა აქვს ფრთები, რომ ნაკლები იტლინკაოს.

პირველმა ისროლე ქვა, თორემ ეპიგონის სახელი გაგივარდება.

დრომ უხვად დაგვასაჩუქრა გენიოსებით. იმედია, რომ ზოგიერთი ნიჭიერი ურევია.

რაც გინდა მიაწერო, ადამიანის ტყავზე ყველაფერი დაეტევა. სანამ ის ზედა აქვს ადამიანს.

გაწვრთნილი თუთიყუშები ალარაფერს იმეორებენ.

მკვლელებთან შეუთანხმებლად აღდგომა მართლა ვაჟკაცობაა!

უფრთხილდი: როცა შენ დიდებითა ხარ გაცისკროვნებული, შენს მტრებს უპირატესობა აქვთ — ჩრდილში გიდარაჯებენ.

ხან იუმორისტს ნაღველი იპყრობს, ქებადიდება თურმე იუმორზე სასაცილოა.

ხან ადამიანს ისეთი გრძნობა აქვს, ვითომ სცენაზეა ატუზული, თუმცა სტატისტი სულაც არ არის.

ჩრდილები ჩვენზე ნიჭიერები არიან, ჩვენს ნაქნარს ძალდაუტანებლად იმეორებენ.

ბედნიერება ბოლოთი მეჭირა. გამიფრინდა და ხელში ფრთა შემარჩინა, რომელი ფრთითაც ვწერ.

დანაშაული მქადაგებლებისა და მორალისტების მუზაა.

ჯოხქვეშ თვით დოლშიც ილვიძებს მუზა.

ყოველ საკუთარი თავის პატივისმცემელ სცენაზე ორმო უნდა იყოს, სადაც სირცხვილისაგან ჩაცვივდებოდნენ.

ზოგიერთებს ფრთები კუზიდან ეზრდებათ.

საკუთარი უძლურება ისეთივე საშიშია, როგორც ვისიმე ძალმომრეობა.

ძლივს ლუღლუღებს? სამაგიეროდ, ახლებურად!

თაობათა სუსტი მეხსიერება მხოლოდ ლეგენდებს ინახავს.

ღამეს იქ ნუ გაითევ, სადაც თვით მწერებსაც კი არ ეძინებათ.

მონების ოცნებაა: ბაზარი, სადაც თავიანთი ბატონების ყიდვა შეეძლებათ.

ჩანაფიქრი თავში შიგნიდან ხვდება.

ჰაერი შეხუთულია! ფანჯრები გამოაღეთ, დაე ეს გარედანაც ვიგრძნოთ!

ვალდებულია თუ არა ყოველი, თავის თავში რამე ღირებულს რომ იპოვნის, გაიქცეს და უახლოეს მილიციის განყოფილებას შეატყობინოს?

არ არის ადამიანი, რომელიც შეიძლება ისე სულელი იყოს, რომ დროდადრო თავი არ მოისულელოს.

ვინ არის, რომ სილის გაწვნის შემდეგ ლოყაზე დარჩენილ თითების ანაბეჭდებს სწავლობდეს?

ოჯახურ წრეს ფარგლით ვერ შემოხაზავ.

ხან ლორიც დაცინვით ღრუტუნებს მწყემსის მისამართით: „უყურეთ, ამ მეღორესო!“

პროგრესი: ჩვენს წინაპრებს ნადირის ტყავი ემოსათ, ჩვენ კი ადამიანისაშიც უხერხულად ვგრძნობთ თავს.

რამდენ ხმად ითვლება დათვლისას ისტორიის ხმა?

ადამიანს ორი პროფილი აქვს — მარცხენა და მარჯვენა და კიდევ ორი შიგნით.

წერტილი კითხვის ნიშნის ქვეშ დასვი!

კაციჭამიებიც იხსნიან ხოლმე ადამიანებს ზვიგენის ხახიდან.

იუდებმაც ისწავლეს ჯვრების ზიდვა.

ხან ქურდებსაც ადგათ შარავანდედი. და სულაც არა მოპარული.

ფოთოლი თრთის. მაგრამ მითხარით ერთი, ფოთოლს რისთვისღა შეიძლება პასუხი აგებინონ?

პირველი ადამიანი თავს მარტო არა გრძნობდა, იმან ხომ თვლა არ იცოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაციჭამია თავს იმართლებს: „ადამიანი საქონელიაო“.

სახიფათო ჟამს საკუთარ თავში ნუ მიიმალები, იქ აუცილებლად მოგძებნიან.

რამდენი ბულბული უნდა შთანთქას მტაცებელმა, რომ ამღერდეს?

ფერფლით აღმდგარი ყველა ფენიქსი როდი აღიარებს თავის წარსულს.

უბედურია, ვინც ვარსკვლავებს მანამ ვერა ხედავს, სანამ თვალებიდან ნაპერწკლები არ წამოსცვივა.

არიან ადამიანები, რომლებმაც ზოგიერთ ენაზე მხოლოდ „დიახ“ იციან, ზოგიერთზე კი — მხოლოდ „არა“.

შეუძლია თუ არა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ შეჭმულ მისიონერს, რომ თავისი მისია შესრულებულად მიიჩნიოს?

შენი სიზმრების მოჩვენებანი შენი საინიდან მიირთმევენ.

მსროლელის გამოცდილებიდან: დიდებს უფრო ძნელად ვახვედრებთ, ვიდრე პატარებს.

პიროვნების გაორება რთული ფსიქიკური მოშლილობაა: უთვალავი პირი, პიროვნებას რომ შეადგენენ, ამ დროს ორამდე მცირდება.

იმას ისეთი მხედველობის არე ჰქონდა, რომ იქიდან გამოასახლეს.

მანამდე მაინც ვიყოთ ადამიანები, სანამ მეცნიერებას არ აღმოუჩენია, რომ ვიღაც სხვანი ვართ.

როდისღა უნდა დაიპყროს ადამიანმა ადამიანთაშორისი სივრცე?

მწვერვალზე ასულს გამართლება აქვს — სადღა უნდა წავიდეს!

ბორკილებს არ უყვართ ყურადღების მიბორკვა.

ჯალათის ძველისძველი ოცნებაა: მსხვერპლის მიერ ნათქვამი ქათინაური ეკზეკუციის ხარისხის გამო.

ადამიანებს ხშირად ჰერი უშლის ზრდაში ხელს.

ყოველი მწყემსი როდი ზრუნავს, რომ თავისი სამწყსო სულის მაღლობებზე აძოვოს.

მომავალ ეპოქათა მეცნიერებისთვის ისევე ფასეულია დღევანდელი ეპოქის სისულელეები, როგორც სიბრძნე მისი.

ვინც სიკვდილის ჟამს განსხვავება ვერ იგრძნო, არც უნდა დაბადებულიყო.

ვინც ალტაცებისაგან კვდება, უმჯობესია, რომ აღარ აღდგეს.

შეცდომები როცა მცირდება, ძალზე დიდი ფასი ედება.

„ნუ ერწმუნები“ — ჩურჩულებს ეშმაკი. „ერწმუნე!“ შეაგონებს ანგელოზი. ხან კი პირიქით ხდება.

„ყოველი ნაბიჯი რისკთან არის დაკავშირებული. — ამბობდა ერთი ცეკვის მასწავლებელი. — შეიძლება ახალი ცეკვა იშვას“.

რამდენი ადამიანი მიემართება საკუთარ ჰორიზონტებს მიღმა!

ქანქარაც დროის ტაქტს უწყობს ფეხს.

კაციჭამია ადამიანს არ იზიზღებს.

შენ შენი საუკუნის შვილი ხარ. შენზეა დამოკიდებული, ის ვის აირჩევს, რათა შენ გშვას.

გახსოვდეს: თუკი პოზიციის დაცვა არ შეიძლება, დაკავება შეიძლება.

ჭეშმარიტ რჩეულს არჩევანი არა აქვს.

საიდუმლოს გასაღებებს ნუ აჩხარუნებ.

ფეხის დადება ყველაზე უკეთ ქონდრისკაცებმა იციან. ეს იმათი დონეა.

ოსტატს სისულელე მიუტანა. „საკმარისია, რომ ამისგან სიბრძნე გამოვიდეს?“ „ცოტა კიდევაც დარჩება“, — უპასუხა ოსტატმა.

ვინც XIX საუკუნეში ცხოვრობდა, იმათგან წინასწარ ცოტა ვინმე თუ ხედავდა, რომ მერე XX უნდა დამდგარიყო.

ქვეყანა სულაც არ არის შეშლილი, თუმცაღა არც ნორმალური ადამიანებისთვის არის მოწყობილი. ის მხოლოდ ნორმირებული ადამიანებისაა.

ლაბირინთებშიც კი გაჩნდა უკვე წარწერები: „დაბნევა აკრძალულია!“

სამართლიანობა თავის მხარეზე უნდა იყოს.

არის ხოლმე ისეთი დროება, როცა სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ ფილოსოფოსს შეუძლია თქმა: „საბედნიეროდ, გაუგებარი დავრჩი!“

იმას სინდისი წმინდა აქვს. არასოდეს გამოუყენებია.

სულ ქვედა არქეოლოგიურ ფენებამდე რომ დავალთ, იქ ეგების იმ დიდი კულტურის კვალი აღმოჩნდეს, რომელიც ადამიანის გაჩენამდე არსებობდა.

ტექნიკა ისეთ სრულყოფილებას მიაღწევს, რომ ადამიანს თავისი თავი აღარ დასჭირდება.

ჭკუაზე ისინი იშლებიან, ვისაც ჭკუა აქვს.

ვისაც ბოროტმოქმედების ნაყოფი შეხვდება ხოლმე, კურკებს ნოყიერ ნიადაგზე მაინც ნულა გადმოაფურთხებს.

საკმარისია თავი ილუზიას მისცე, რომ რეალური შედეგები იგრძნო.

ღიმილის დროს ბაგეთა კუთხეები თავისუფლების ხარისხის პროპორციულია.

ადამიანებს ტიტვლებს ვხედავ, მაგრამ ყოველთვის არ ვამბობ, ვხედავ-მეთქი, ადგებიან და თავს შემამოსინებენ.

თავისუფლებას, როგორც უდიდეს საუნჯეს, ცხრაკლიტულში ისინი ინახავენ, ვინც იმას ყველაზე ნაკლებად აფასებს.

უმეცრება ცოდნას არ ჩამორჩება. ისინი ერთად ითვისებენ გენიალურობის ერთსა და იმავე ხელუხლებელ სივრცეებს.

ვინც არ ესწრება, ის არასოდეს მართალი არ არის, მაგრამ ხშირად სიცოცხლეს ინარჩუნებს.

ხან რაღაც იმალება იმის უკან, რის წინაც ჩვენ ვიმალებით.

ბრმა ფანატიკოსს თვალებზე ეტყობა.

მამების დანაშაულისთვის ხან მხოლოდ ვაჟიშვილებს აჯილდოებენ.

გადაკრულ შეკითხვებს ვაძლევ, რომ მიკიბულ-მოკიბული პასუხი ავიცდინო.

რომელი კაციც ცხოვრებას ვერ შეჰგუებია, თავიდან უნდა ვასწავლოთ, შეიძლება ყოფიერების სხვა რომელიმე ფორმისთვის ივარგოს.

მეორედ მოსვლის პირველივე ნიშნების შემჩნევისას თუ სიტყვას ამინდზე ჩამოვაგდებთ, ყველა პირდაღებული მოგვისმენს.

შენ რა უნდა გექნა, უკეთუ შენს ღმერთს სურდა, რომ სხვა ღმერთების წინაშე გექო და გედიდებინა იგი?

ბევრნი ავტობიოგრაფიებში თავიანთ არარსებობას ჩქმალავენ.

სიცრუე არაფრით არ განსხვავდება სიმართლისაგან, გარდა იმისა, რომ თვითონ სიმართლე არ არის.

როცა ტყვედ ჩავარდნილებმა ხელები ასწიეს, მტერმა ისეთი განრისხებულნი დაინახა ისინი, რომ თავად უკუიქცა შეშინებული.

იმისათვის, რომ ბედნიერი გახდეს, ზოგიერთს მხოლოდ ბედნიერება არა ჰყოფნის.

ბოროტმოქმედებს ტრანსპარანტი მოჰქონდათ: „ნუ იტანჯავთ სინდისს, მშვიდად დააძინეთ!“

მაიმუნები რაც უფრო გვიან იქცეოდნენ ადამიანებად, მით უფრო ნაკლები ადამიანის სისხლი დაიღვრებოდა.

ისეთ ძველისძველ ჭეშმარიტებებს ვამბობ, რომ კაცობრიობას ისინი უკვე აღარ ახსოვს.

ქონდრისკაცებს მდაბლად უნდა დაუკრა თავი.

ტაკიმასხარას განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა ბრძანებელთაგან ბოძებული. ვინც თავს მბრძანებლად არა გრძნობდა, იმ უფლებებს ვერ უბოძებდა ტაკიმასხარას.

აზროვნების პროდუქცია აუდის თუ არა მოსახლეობის ნამატს?

ვერ წარმომიდგენია, რომ ქვეყნის დასასრული წინ უსწრებდეს სიმართლის ზეიმს.

ჰერმაფროდიტებსა და საჭურისებს ნუ [illegible]აწყვეტინებთ სიჭარბისა და დაუკმაყოფილებლობის პრობლემებს.

ზევით რომ ამოფოფხდე, ფრთები უნდა დაკეცო.

ძარცვა-გლეჯაში უდანაშაულოებს აქვთ თუ არა ნაძარცვის განაწილებაში მონაწილეობის უფლება?

შეუძლია თუ არა ადამიანს ბოროტება აგვარიდოს? შეუძლია. ერთხელ, მახსოვს, მზერა ამარიდა. და დროულად ვუშველე თავს.

წყაროს რომ მივაღწიოთ, წყალაღმა ცურვაა საჭირო.

გაბერილია? ალბათ უხერხემლოა.

ჩამოუყალიბებელი ადამიანებიც იხრწნებიან.

უკბილო ტირანების გაცინება აკრძალულია.

გახსოვდეთ: ადამიანს სხვა არჩევანი არა აქვს — ადამიანი უნდა იყოს!

ორი ძალა ახასიათებს ინტელექტის სამყაროს: სიზუსტე და უაზრობა. ამოცანა: არ დავუშვათ ჰიბრიდის, ანუ აბსოლუტურად ზუსტი უაზრობის გაჩენა.

ჯერ კიდევ რატომ არ გამხდარან ადამიანები კაციჭამიები? თუმცაღა, არის კულინარიის რაღაც პროგრესის იმედი.

თუმცა კაცთმოყვარეობა წინ მიდის. მკვლელებს სულ უფრო ჰუმანურად სჯიან.

ვისაც სძინავს და თავის თავს ლომგულს ხედავს, დაე ძაან ნუ ხვრინავს.

ყველაფერს ერთ ტომარაში ნუ ჰყრი. ვეღარ ასწევ.

დროს ნუ ჩამორჩები, თორემ იმათ აწყენინებ, ვინც იმას მიაჭენებს.

დასკვნა ძნელი დასაწყისია.

ადამიანი რკინაა. ამიტომ არის, რომ ხან ბორკილს უცხო სხეულად არ აღიქვამს.

ზოგიერთები სხვებზე მაღლები იყვნენ მთელი თავით, რომელიც მოაჭრეს.

ძალღივით ემსახურებოდა: და აკი ჩააძაღლეს კიდეც.

მარიონეტები ამაოდ ოცნებობენ ჰამლეტის მონოლოგზე.

იმაზე ვერაფერს გეტყვი. მხოლოდ ტიტველი მყავს ნანახი.

ზოგიერთნი მარცხენა და მარჯვენა თვალით ზუსტად ერთსა და იმავეს ხედავენ და მიაჩნიათ, რომ ეს ობიექტივიზმია.

სულ უფრო ახლოს მივდივართ ღვთის მეცნიერულ აღმოჩენასთან. ღმერთო, რა გელის მაშინ!

ძალიან ძნელია ნადირის მოფერება, როცა ადამიანის ტყავით არის შემოსილი.

გზის მაჩვენებლებს შეუძლიათ შარაგზაც ლაბირინთად აქციონ.

ვინც ქვეყნის შექმნას ვერ ჩასწვდენია, არც საზოგადოების გასაჭირი ესმის.

ჩვეულებრივ უკვე საბოლოო რედაქცია გვესმის ამოოხვრისა.

მოკლედ უნდა განვმარტავდეთ, რათა ფრაზა იმავე ეპოქაში დავამთავროთ.

ოჰ, ეს ალტრუიზმი! ხან გიჟივით გინდა ხელი დასცხო მაგიდას, მაგრამ უკანასკნელ წამს ამჩნევ, რომ ვიღაცას დესერტს დაუქცევდი.

არიან დალტონიკები, ფერებს ვერ არჩევენ, მაგრამ სამაგიეროდ ელფერში ერკვევიან.

აი სასაცილო ის იქნება, თუ მეორედ მოსვლის წინ ქვეყნის დაქცევას ვერ მოასწრებენ!

გონება გახსნილი ჰქონდა, სამწუხაროდ, ყურთამდე.

თავის სიტყვებში ეპოქა მოამწყვდია. პოეტზე ლაპარაკობთ? არა, მოსამართლეზე.

მესიებიც მოუთმენლად ელიან თავიანთ მოსვლას.

ქვეყნიერება არ არსებობს, ის ყოველწუთიერად იქმნება კვლავ. ხანგრძლივობის შთაბეჭდილებას გამონაგონის ნაკლებობა წარმოშობს.

თავისი დროის სინდისი იყო, თვითონ კი არა ჰქონდა.

თუ ერთი ნამდვილი ტაკიმასხარა მასხრად იგდებს მეორე ნამდვილ ტაკიმასხარას, მაშასადამე, ერთ-ერთი არანამდვილია.

ის უფლებებს ისე მკაცრად იცავს, რომ ვეღარავის გამოუყენებია.

ერთხელ სიზმარში ხომ მაინც შეიძლება თავს ჩვენი პიროვნების გაორების ნება მივცეთ. ერთ ჩვენგანს ვინც უნდა, ის გახდება, ხოლო მეორე საჭირო დროს გამოგვაღვიძებს.

მათრახიც ამოიყრის ყლორტებს, თუ ხელსაყრელ ნიადაგში მოხვდა.

ორფევსი მარტო ევრიდიკეს საძებნელად როდი ჩადის ჯოჯოხეთში.

ეშმაკები დაცემულ ანგელოზებად და ადამიანთაგან წამოწეულებად იყოფიან.

უძილობა ეპოქათა დაავადებაა, რომელ ეპოქებშიც ადამიანებს ნაბრძანები აქვთ, რომ ბევრ რამეზე დახუჭონ თვალები.

ყველანი ერთი თიხიდან ვართ გამოძერწილნი და ამიტომ ხან საშიშროების წინაშე ვართ, რომ სხვებთან ერთად ერთ ტიგელში ჩაგვყრიან, რათა მესამენი გამოძერწონ.

უპრეცედენტობაც პრეცედენტს ქმნის.

ქელეხის ტაკიმასხარობა ღრმად ადამიანური მისიაა.

ყურადღება! მწერლობაში აუფეთქებელი ჭურვია. მისი ავტორი კიდევ მრავალი წლის შემდეგაც საშიშია.

სატირა ვერასოდეს გაივლის კონკურსს. ჟიურიში მისი ობიექტები სხედან.

წამების დროს ის თვითონაც იგლეჯდა ხორცებს. „რას შვრები?“ — ჰკითხა მოთმინებადაკარგულმა ჯალათმა. „ვამოწმებ, საშინელ სიზმარში ხომ არა ვარ-მეთქი“.

კრიტიკოსმა საყვედური უთხრა ტრაგიკოსს, საკმარისად სასაცილო ვერა ხარო.

ზოგიერთნი თავიანთ დამარცხებას ზეიმობენ, გამარჯვებულთა ლხინზე არიან მიწვეულნი.

ანთროპოლოგია ფსევდომეცნიერებად მიმაჩნია. როგორც ის განსაზღვრავს ადამიანს, ამქვეყნად ხალხი ვეღარ დატეულა და ეგ არის.

ბევრი გუშაგი შესულა ღრმად, თუმცაღა სულ ორიოდე ნაბიჯი გადაუდგამს იქით და აქეთ.

ქირომანტები თავს აფარებენ ფრაზას: „ჭუჭყიან ხელებზე არ შეიძლება მკითხაობა!“

ადამიანს იარლიყებს ვაკრავ, რათა მისი სიშიშვლე დავმალო.

ილმუვლეთ! მილიონი წლით უფრო ახალგაზრდა იგრძენით თავი.

რაც ადამიანი უკანა ფეხებზე დადგა, მას შემდეგ წონასწორობა ვერ მოუპოვებია.

ენის გამოყოფაში ისე გაიწაფა, ენის წვერზე რა აქვს, ვერ დაუნახავ.

ჭეშმარიტი წამებული ის არის, ვისაც ამ წოდებაზეც კი უარი ეთქვა.

ბრმებში ცალთვალაც ვეღარ ხედავს.

დგება ხოლმე ისეთი დრო, როცა სატირას პათოსის მიერ დანგრეულის აღდგენა უხდება.

მათემატიკას არ ვეთანხმები. მიმაჩნია, რომ ნულების ჯამი საშინელ ციფრსა ქმნის.

ხან პრემიის მინიჭება უფრო ადვილია, ვიდრე სიმართლის აღიარება.

ბოლოს და ბოლოს ურთიერთგაგებას მიაღწიეს. შეთანხმდნენ, რომ მტრები არიან.

თავს კეისრად უფრო ადვილად გამოაცხადებ, ვიდრე შიკრიკად.

ცხოვრებისგან შეუძლებელს ნუ ვითხოვთ? რატომ? რატომ და, შეზღუდული შესაძლებლობანი აქვს.

მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ჰარამხანების მოშლისა. ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებას უერთდებიან, მაგრამ საჭურისები ძალზე დიდ ზეგავლენას ახდენენ ამ ცხოვრებაზე.

გატეხილი კომპასის ისარი აღარ ცახცახებს. პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვს.

ხდება ხოლმე, რომ დასჯას დანაშაული მოსდევს.

ხან დრო ადამიანებს სისხლს უყინავს ძარღვებში, რათა არ გაიხრწნან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთ იანუსს ორი სახე ჰქონდა. კიდევ უფრო მეტსახოვანი ღმერთებიც კარგა ბლომად იყვნენ. აი დასტური იმისა, თუ რაოდენ უჭირდათ ღმერთებს თავის დროზე.

კანიბალებს უხერხემლოები ურჩევნიათ.

თუ ქურუმებს კუჭი სტკივათ, ღმერთს ძნელად მოსანელებელ მსხვერპლს ნუ მიართმევ.

გთხოვ, განასხვავო მსუბუქი მუზა და მსუბუქი ყოფაქცევის მუზა.

ვისაც ხელებით შეუძლია ბრძანება, ბევრი ლაპარაკი აღარ სჭირდება.

„მუდმივად ვუბრუნდებით პირველ სიყვარულს“. შესაძლებელია, ოღონდ ყოველთვის სხვადასხვა მიზნით.

ხან ყავლგასული სიტყვაც რჩება ისევ ნომენკლატურაში.

იდეებისა და რწმენის სალ კლდეებშიც არის მღვიმეები. სადაც ადამიანები ბინადრობენ.

ხან ზედაპირზე ისე ძნელია სუნთქვა, რომ სულის მოსათქმელად სიღრმეში უნდა ჩაეშვა.

შეიძლება ფსკერს მიაღწიო და სიღრმეში არც იყო ჩასული.

სატირას, რომელსაც მიმატების ნიშანი აზის, შეიძლება ეგრევე ჯვარი დავუსვათ.

საკუთარი თავისთვის ძალიან ძნელია სიმართლის თქმა, მაშინაც კი, როცა იცი.

ადამიანები იბადებიან სოციალური დაკვეთის შესასრულებლად და კერძო თაოსნობით.

ჩვენი დღეები დათვლილია — სტატისტიკოსების მიერ.

სიმართლე ყოველთვის მაღლა ამოტივტივდება ხოლმე. ამიტომაც მაშინვე ჩაყვინთვა უხდება.

ჭრელი ცხოვრება ჰქონდა. დროშებს იცვლიდა.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიალოგი

## ოპტიმიზმისათვის გვაქვს მტკიცე საფუძველი

საქვეყნოდაა ცნობილი კურორტი წყალტუბო. წელიწადში 120 ათასი კაცი ჩამოდის იქ სამკურნალოდ. გარდა ამისა, ქალაქის ზონას თავისი დიდი პრობლემები აქვს გადასაჭრელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თუ კულტურული ცხოვრების დარგში.

ამ პრობლემებზე საუბრობენ პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გივი აბზიანიძე** და ჩვენი კორესპონდენტი **გურამ მეხი.**

**წყალტუბო, უპირველეს ყოვლისა, კურორტის ასოციაციას იწვევს. იმდენად დიდია ამ მსოფლიო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერის პოპულარობა, რომ, ასე გვგონია, იგი მხოლოდ საკურორტო ცხოვრებით ცხოვრობს. არადა, ვიცით, რომ წყალტუბოს ზონა სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონია დასავლეთ საქართველოში. რამდენადაც ვიცით, იგი მრავალდარგოვანიცაა. აქედან გამომდინარე, ქალაქის ზონის ხელმძღვანელობის წინაშე მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი, მრავალი, ამოცანაა ამოსახსნელი.**

**ჩემს შეკითხვას ორ ნაწილად დავსვამ. პირველი: რა უმთავრესი ამოცანები დგას ქალაქის პარტორგანიზაციის წინაშე და როგორია მათი გადაწყვეტის ახლო თუ შორეული გზები.**

**მეორე: თქვენ წლების მანძილზე ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბრძანდებოდით და ძირითადად სამრეწველო და სამშენებლო პრობლემებს ეჭიდებოდით. ახლა სოფლის მეურნეობის უმთავრეს მიმართულებებს და მისთვის დამახასიათებელ ნიუანსებსაც უნდა ჩასწვდეთ. ერთი სიტყვით, როგორ შეეწყვეთ ახალ თანამდებობას?**

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედში საკმაოდ რთული, მაგრამ სავსებით რეალური ამოცანები დგას.

მესამე საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ გაზრდილი მოთხოვნები დაუსახა სახალხო მეურნეობასა და სოციალურ-კულტურულ დარგებს. განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობას. დღეისათვის ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყველა მშრომელის საშური და გადაუდებელი საქმეა ძალებისა და რესურსების მობილიზებით ამთავითვე აიღონ დამკვრელური მუშაობის ტემპი, დააჩქარონ წარმოების ზრდა, მეცხოველეობის განვითარება, საკვები ბაზის განმტკიცება, მკვეთრად გააძლიერონ ეკონომიკის ხელმძღვანელობა და დაგეგმვა. მიაღწიონ საზოგადოებრივი მეურნეობების საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებას ახალ-ახალი რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის... 

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზე აქმნელგასაკეთებლის თავი და თავი ის არის, რომ ქალაქის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, განამტკიცონ დისციპლინა და წესრიგი ყოველ სამუშაო უბანზე, დაძლიონ ფორმალიზმი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში და სხვ.

პარტია მატერიალური წარმოებისა და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს წარმმართველი ძალაა. ასეა ჩვენს ზონაშიც, ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში აღრიცხვაზე მყოფი თითქმის 4700 კომუნისტიდან 80 პროცენტზე მეტი მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული, ვფიქრობთ, ეს კარგი ტენდენციაა.

პარტიული ორგანიზაციების როლის, ავტორიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მათი სტრუქტურის სრულყოფას. ამას წინათ გამართული ანგარიშგება-არჩევნების დროს და მის შემდგომ პერიოდში დამატებით შეიქმნა 15 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, აგრეთვე — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მეთოდკაბინეტები. შერჩეულია საბაზო პარტიული ორგანიზაციები, დღენიადაგ ვზრუნავთ პარტიული დისციპლინის განმტკიცებისა და კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის.

რიგი ცვლილებები განიცადა თვით საქალაქო კომიტეტის შემადგენლობამ. III საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე იგი თითქმის სანახევ

როდ განახლდა. მუშათა და კოლმეურნეთა ხვედრითი წილი მასში 39,4 პროცენტიდან 48,1 პროცენტამდე გაიზარდა. სწორედ ამ განახლებული შემადგენლობის ხელმძღვანელობით უნდა დავძლიოთ ის დიდი ამოცანები, რაც სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობებმა, სკკპ ცკ-ის 1983 წლის დეკემბრის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმებმა დაგვისახეს.

ჩვენს საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ქალაქის ზონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, განსაკუთრებით სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, ყოველგვარი დისციპლინის განმტკიცების საკითხებს.

მთავარი მიზანია მატერიალური წარმოების მოცულობის განუხრელი ზრდის დამკვიდრებული ტენდენციის შენარჩუნება. სამრეწველო პროდუქციის წარმოება შარშანდელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზრდება. სამრეწველო საწარმოებმა წლეულს უნდა გამოუშვან 70 მილიონ 540 ათასზე მეტი მანეთის ღირებულების პროდუქცია. ეს 1988 წლის გეგმის შესრულების მაჩვენებლებს 4 მილიონ 615 ათასი მანეთით აღემატება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ივალდებულეს შრომის ნაყოფიერება გეგმიურთან შედარებით გაზარდონ 2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება კი დამატებით შეამცირონ 0,8 პროცენტით. ამის შედეგად გამოშვებული იქნება 1 მილიონ 400 ათასამდე მანეთით მეტი სასაქონლო პროდუქცია.

წლეულს კვების მრეწველობის საწარმოები გამოუშვებენ 42 მილიონ 169 ათასი მანეთის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები — 13 მილიონ 230 ათასი მანეთის, საქგუმბრინის მაღაროთა სამმართველო — 3 მილიონ 485 ათასი მანეთის პროდუქციას, ანუ შარშანდელზე მნიშვნელოვნად მეტს.

სახალხო-სამეურნეო გეგმის მიხედვით გამოვუშვებთ 7 მილიონ 471 ათასი მანეთის წმინდა ნორმატიულ პროდუქციას, ანუ 4,7 პროცენტით მეტს, ვიდრე შარშან. სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება წინა წელთან შედარებით 5,7 პროცენტით გაიზრდება.

პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული ქალაქში ფარმაცევტული მრეწველობის- განვითარებისათვის. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არა მარტო გაზრდის მრეწველობის მოცულობას, არამედ გარკვეულწილად გადაწყვეტს ქალაქში ამჟამად სპეციალობის მიხედვით დაუსაქმებელი სამედიცინო განათლების მქონე კადრებისა და რიგ სოფლებში ჭარბი მუშახელის გამოყენების პრობლემას.

ქალაქის ზონაში მიმდინარე წელს კაპიტალურ მშენებლობაზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 22 მილიონ 900 ათასზე მეტი მანეთი, აქედან საბინაო მშენებლობას მოხმარდება 1 მილიონ 500 ათასამდე მანეთი. მრეწველობის განვითარებას — 6 მილიონზე მეტი მანეთი, კურორტის კეთილმოწყობას — 8 მილიონ 100 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობას — 2 მილიონ 200 ათასი მანეთი.

ცხოვრება სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ტრანსპორტს. 1984 წელს სატვირთო გადაზიდვათა მოცულობა ქალაქში ითვალისწინებს 1 მილიონ 47 ათას ტონას. გადაყვანილი იქნება 7 მილიონ 580 ათასზე მეტი მგზავრი.

კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობის გეგმა შეადგენს 1 მლნ 565 ათას მანეთს.

დიდი ამოცანები დგას ქალაქის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა წინაშე. საექსპლოატაციოდ გადაეცემა საათში 25 ტონის წარმადობის ასფალტ-ბეტონის ქარხანა, გაყვანილი იქნება 2 კილომეტრი სიგრძის გაზის ქსელი, განმტკიცდება სპეცავტომეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბინაო ფონდისა და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე თითქმის 800 ათასი მანეთი დაიხარჯება.

გათვალისწინებულია ზონის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება გაიზარდოს 4 პროცენტით და მიაღწიოს 22 მილიონ 100 ათას მანეთს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მნიშვნელოვანი ზრდა დაგეგმილია იმის საფუძველზე, რომ შემდგომ ამაღლდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, კიდევ უფრო გაფართოვდეს მელიორაცია, განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ქიმიზაციის ღონისძიებანი, გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაღრმავდეს წარმოების ინტენსიფიკაცია.

წყალტუბოს ზონა ტრადიციულად მებოსტნეობის კლასიკურ რეგიონად არის ცნობილი. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დათმეს მოწინავე პოზიციები, დარგის ჩამორჩენას ქრონიკული ხასიათი მიეცა. წარმოებულ პროდუქციაში საგრძნობლად შემცირდა ნედლი ბოსტნეულის ხვედრითი წილი. შარშან მთლიანად დამზადებული 21 ათასი ტონა ბოსტნეულიდან საზოგადოებრივ მეურნეობათა წილად მოდის მხოლოდ 8740 ტონა, დანარჩენი კი არასტანდარტული და ხმელი ბოსტნეულია.

ბოსტნეულის თითქმის ყველა სახეობაში დაბალია საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა, დიდია დანახარჯები ერთეული პროდუქციის წარმოებაზე. დღეისათვის დარგი თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობაში ზარალიანია. ნაკლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება ექცეოდა ისეთი სწრაფსარეალიზაციო და წონადი კულტურის წარმოებას, როგორიცაა პამიდორი.

მესამე საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ აღნიშნული დარგის განვითარების კონკრეტული პროგრამა დასახა. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთობლივ დადგენილებაში ჩამოაყალიბეს დარგში არსებული ჩამორჩენის დაძლევის კომპლექსური ღონისძიებანი, რომელთა სარეალიზაციოდ მიმდინარეობს გეგმაზომიერი მუშაობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე გადაიდგა იმედის მომცემი, წარმატების პირველი ნაბიჯები.

წლეულს სახელმწიფოს უნდა მივყიდოთ 22.410 ტონა ბოსტნეული, 13.600 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 5. 890 ტონა ხილი, 4,600 ტონა ყურძენი, 2. 455 ტონა ხორცი, 3.995 ტონა რძე, 20 მილიონ 500 ათასი ცალი კვერცხი, 380 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ზონაში ბოსტნეულის წარმოება თანდათან გაიზარდოს 25, 30, 40 ათას ტონამდე. ამაში ხელს შეგვიწყობს სპეციალიზაციის განხორციელება, რომელიც ძირითადად ოთხი მიმართულებით უნდა წარიმართოს. ესენია: ბოსტნეული, ჩაი, მეცხოველეობა და სამხრეთული კულტურები. ამ საკითხებზე უკვე ვმუშაობთ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან და ვამზადებთ ერთობლივ დადგენილებას.

მაქსიმალურად უნდა ავამოქმედოთ საყულიის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსი, რომელსაც ხორცისა და რძის გადიდების უამრავი რეზერვი მოეპოვება. ამ მიმართულებით გასული წლის მიწურულს გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯები.

ჯეროვანი ყურადღება ეთმობა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფას, რომლის საუკეთესო ფორმას კოლექტიური იჯარა წარმოადგენს.

შარშან უგანრიგო რგოლები შეიქმნა „საქსახკომსოფლტექნიკის“ საწარმოო გაერთიანებაში, ქვიტირის, მაღლაკის მებოსტნეობისა და ამავე სოფლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, გვიშტიბის და ცხუნკურის კოლმეურნეობებში. ამ ფორმით მუშაობამ მეურნეობებს გარკვეული მოგება მისცა.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქვიტირის საბჭოთა მეურნეობის მეშვიდე ბრიგადის რგოლი, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი ზურაბ ყუბანეიშვილი თავკაცობს. რგოლმა გაპიროვნებული 2-3 ჰექტარი ნარგავი პამიდორის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 172 ცენტნერამდე აიყვანა და მეურნეობის შესაბამის მაჩვენებელს 6-ჯერ აჯობა. გარდა ამისა, რგოლმა დაზოგა დიდი რაოდენობის მატერიალური სახსრები და ამით მეურნეობას 6 ათასამდე მანეთი მოგება მისცა.

პარტიის საქალაქო კომიტეტი საჭიროდ თვლის, რომ კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადებისა და რგოლების გამოცდილებამ გავრცელება უნდა ჰპოვოს და მიმდინარე წელი გახდეს კოლექტიური იჯარის მასობრივი დანერგვის ეტაპის დასაწყისი. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეს პროგრესული ფორმა მტკიცედ დამკვიდრდეს საზოგადოებრივ მეურნეობათა საქმიანობის პრაქტიკაში.

ქალაქის ზონის ტერიტორიაზე შევისწავლეთ არსებული ბუნებრივი და თავისუფალი შრომითი რესურსები, დაისახა მათი გამოყენების გზები. შეიქმნა დამხმარე საწარმოთა და სარეწთა სამეურნეობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც წლეულს 3,4 მილიონი მანეთის სამშენებლო მასალებს და კვების პროდუქტებს აწარმოებს მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ადგილობრივი ნედლეულით აგურის, საკედლე ბლოკების, გრანიტის ფილების, კირის გამოშვების შესაძლებლობანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჯ. პატიაშვილის რჩევით და მეცნიერ-მუშაკებთან ერთად შემუშავებული რეკომენდაციებით ქალაქის ზონაში მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ახალი დარგის — ციტრუსოვანი კულტურების, კერძოდ, ცინტრაუის, ფეიხოას, ასევე სხვა სამრეწველო კულტურების — უნაბის, ბროწეულის, ჩაის ახალი ჯიშების დარგვა. გარკვეულ ყურადღებას დავუთმობთ ბროწეულის გაშენებას, განსაკუთრებით ქვიანი ზონის ნიადაგებზე, სადაც ნაკლებად ხარობს სხვა კულტურები. „ბროწეულას“ სახელს ხომ გამართლება უნდა! უკვე გაშენდა 22 ჰექტარი ბროწეული, 4 ჰექტარი ციტრანჟი და სხვა, ვფიქრობთ, ჩვენი ზონის პირობებში იგი მთლიანად გაამართლებს და უახლოეს 3-4 წელიწადში მაღალ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს.

ქალაქის ზონაში მეკურდღლეობის პერსპექტივების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სავსებით შესაძლებელია ზონის ერთ-ერთ საზოგადოებრივ მეურნეობას მივცეთ მებოცვრეობის მიმართულება. ასევე გათვალისწინებული გვაქვს მაღალმთიანი სოფლების კოლმეურნეობათა ბაზაზე ჩამოვაყალიბოთ ხალებიანი ირმების მეურნეობა.

ვფიქრობთ, მომავალში მუშაობის ასე წარმართვას, რომ 1986 წლის ბოლოსათვის არ გვყავდეს არც ერთი ზარალიანი მეურნეობა, ამის ტენდენცია უკვე იგრძნობა. თუ 1982 წელს

33 საზოგადოებრივი მეურნეობიდან ზარალიანი იყო 13 მეურნეობა და მთლიანად სოფლის მეურნეობაში ზარალმა 910 ათასი მანეთი შეადგინა, შარშან ზარალიან მეურნეობათა ციფრი შემცირდა 4 ერთეულამდე, ხოლო სოფლის მეურნეობაში მოგებამ უკვე 488 ათას მანეთს მიაღწია ფასდანამატისა და დოტაციის გარეშე. მთლიანად კი მოგებამ 4 მილიონ 322 ათასი მანეთი შეადგინა. მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. ჩვენი მიზანია ამ მიმართულებით კვლავ განვაგრძოთ გონივრული მუშაობა, სამეურნეო საქმიანობა ავიყვანოთ მაღალ ეკონომიკურ დონეზე. ამ მეტად რთული ამოცანის რეალიზაციისათვის პრაქტიკაში დავნერგეთ მეურნეობრიობის პარტიული ხელმძღვანელობის ახალი ფორმა — სისტემატური შეხვედრები საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებთან და მთავარ სპეციალისტებთან, რასაც გარკვეული შედეგი მოაქვს.

აქვე ერთ მომენტსაც მინდა გავუსვა ხაზი, ზონის მებოსტნე მეურნეობებში ძალზე გვიჭირს მაქსიმალურად მუშახელის გამოყვანა, რადგან მოსახლეობა საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებაზეა დასაქმებული, საიდანაც საკმაოდ მაღალ შემოსავალს ღებულობს, ეს მაშინ, როცა საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული ხელფასი ძალზე უმნიშვნელოა, თუნდაც მუშამ მინდვრად მთელი დატვირთვით იმუშაოს. აქედან ხსნას ბრიგადული იჯარის ფართოდ დანერგვაში ვხედავთ, როცა მშრომელებს დავაინტერესებთ თავიანთი მუშაობის საბოლოო შედეგებით, მატერიალური წახალისების ახალი ფორმების დანერგვით. ამ კუთხით მუშაობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ ფართო ფრონტით გაიშალა და შედეგსაც მალალს მოველით. ეს კი მშრომელებს თვალნათლივ დაარწმუნებს საზოგადოებრივი შრომის სიკეთეში და, ვფიქრობთ, ეს უარყოფითი ტენდენცია ჩვენთანაც თანდათან აღმოიფხვრება.

**წელან აღვნიშნე, რომ წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. წლის განმავლობაში აქ მრავალი უცხოელი და საბჭოთა ადამიანი ჩამოდის სამკურნალოდ.**

**წლების განმავლობაში იხვეწებოდა თუ არა სამკურნალო მეთოდები? არის თუ არა პროცედურების ჩატარების და სამკურნალო კურსის შედგენის რაიმე სიახლე, თუ მხოლოდ წყალტუბოს „სასწაულმოქმედი“ წყლის იმედით ხდება მკურნალობა? წყალტუბოელმა ექიმებმა დაამუშავეს თუ არა რაიმე თეორია, რომელმაც აღიარება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის ანალოგიურ სამკურნალო ცენტრებში? გაქვთ თუ არა რაიმე კონკრეტული გეგმა, რომ წყალტუბო მსოფლიოში ცნობილი გახდეს არა მარტო თავისი სამკურნალო წყლის თვისებებით, არამედ მკურნალობის მეცნიერულად ჩამოყალიბებული, პრაქტიკულ-თეორიულად დასაბუთებული მეთოდებით?**

წყალტუბო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკავშირო მნიშვნელობის უადრესად თვითმყოფადი და კოლორიტული კურორტია. მისი კლიმატური პირობები და მინერალური წყლების განსაკუთრებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებები უამრავ დამსვენებელს იზიდავს. აქ ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ათასი ავადმყოფი და დამსვენებელი ჩამოდის საბჭოეთის ყველა კუთხიდან და უცხოეთის ქვეყნებიდან. წყალტუბო განსაკუთრებულია არა მარტო უნიკალური მინერალური წყლებითა და მისი დიდი დებეტით, არამედ მკურნალობის მაღალეფექტიანობით, სამკურნალო დაწესებულებათა კეთილმოწყობის საკმაოდ მაღალი დონითა და ოდითგანვე პოპულარობით.

ამჟამად კურორტის 17 სამკურნალო დაწესებულება წლის განმავლობაში 120 ათასამდე ავადმყოფ-დამსვენებელს ემსახურება. მშენებლობის პროცესშია კიდევ ორი სანატორიუმი, რომელთა საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ კურორტის გამტარიანობა ყოველთვიურად 1000 კაცით გაიზრდება.

მშრომელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა საბჭოთა წყობილების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენი ჭეშმარიტი დემოკრატიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი გამოვლინებაა. ამის ნათელი მაგალითია სანატორიუმი „საქართველო“, რომელიც ნახევარი წელია ფუნქციონირებს და მასში ერთდროულად 500 სოფლის მშრომელი იკაჟებს ჯანმრთელობას.

საკურორტო-სამკურნალო მომსახურების პროგრესი დიდად არის დამოკიდებული მეცნიერების უახლესი მიღწევების სწორედ ათვისება-დანერგვაზე.

როგორც ცნობილია, წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის მეთოდიკა შორეული წარსულიდან იქმნებოდა და იხვეწებოდა. მკურნალობის მეთოდიკის პირველი სამი ეტაპი, რომლებიც მოიცავს მე-12—მე-18 საუკუნეებს, მოკლებული იყო ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს და აბაზანებს პრიმიტიული წესით იყენებდნენ.

პირველი სერიოზული ნაბიჯი წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის მეთოდიკაში 1925-1928 წლებში გადაიდგა და იგი მეოთხე ეტაპს განეკუთვნება. მკურნალობაში ახალი მეთოდების აღმოცენება და დანერგვა დაკავშირებული იყო წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს შექმნასა და პირველი სტაციონალური დაწესებულების გახსნასთან. ამ წლებში განისაზღვრა მკურნალობის ვადა — 15 დღე, თითოეულ აბაზანის მიღების ხანგრძლივობა — 20 წუთი, აბაზანების საერთო რაოდენობა — 30. მკურნალობის მეთოდის მეხუთე-მეექვსე ეტაპებზე რაი

მე სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა. ამ მეთოდმა 1958 წლამდე იარსება.

დაგროვილი მეცნიერული მასალის საფუძველზე, 1958 წელს, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის მიერ, პროფესორ გ. წითლანაძის ხელმძღვანელობით, მოწოდებული იქნა ახალი მეთოდიკა (მე-7 ეტაპი), რომელიც ემყარებოდა სისტემატურ დაკვირვებებს და სადაც განსაზღვრული იყო დაავადებათა სტადია, ფაზა, მიმდინარეობის სიმძლავრე, ავადმყოფისადმი ინდივიდუალური მიდგომა. ამჯერად დადგინდა 20 დღიანი მკურნალობა, დღეგამოშვებით ერთი-ორი აბაზანის მიღება, სულ მკურნალობის კურსზე — 18-28 აბაზანა. პირველად დაინერგა მკურნალობაში კომპლექსური მეთოდი, როგორიცაა ფიზიოთერაპია, მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა აუზში და დარბაზში.

შემდეგ საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ფილიალისა და კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს ერთობლივი მონაწილეობით მრავალი ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდით შეივსო მკურნალობის კომპლექსი, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ავადმყოფთა თანამედროვე მოთხოვნებს.

რაც შეეხება სამკურნალო პროცედურათა სიახლეებს, დღეისათვის მკურნალობის კომპლექსში შედის ფიზიოთერაპიული პროცედურები, სამკურნალო ვარჯიში აუზსა და დარბაზში, მშრალი მასაჟები და მასაჟები წყალში, წყალქვეშა ჰორიზონტალური გაჭიმვა ხერხემლის მთელი რიგი დაავადების დროს, წყალქვეშა მექანოთერაპია, აეროზოლოთერაპია, მუდმივი მაგნიტური ველის აპლიკაციები და სხვ., რაც უფრო აძლიერებს ჩვენი კურორტის „სასწაულმოქმედი“ წყლების სამკურნალო ღირსებებს.

წყალტუბოს მინერალური წყლების ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების შესწავლას მიეძღვნა 7 სადოქტორო და 40-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. ამ შრომებში დამუშავებულია მკურნალობის კომპლექსური მეთოდები, ჩვენებები და წინააღმდეგ ჩვენებები, ნორმატივები, მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური ბუნება და მისი ადამიანების ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი.

წყალტუბოს შესახებ გამოქვეყნებულია თითქმის ათასამდე მეცნიერული ნაშრომი. პირველ რიგში აღსანიშნავია ისეთი პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, როგორიცაა წყალტუბოს მინერალური წყლისა და მისი დებეტის ღამით შენახვისა და მისი დღის საათებში სამკურნალოდ გამოყენების შესაძლებლობანი, რაც ორჯერ გაზრდის წყალტუბოს, როგორც ბალნეოლოგიური კურორტის სიმძლავრეს.

საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენთან იქნა გამოკვლეული კარსტული გამოქვაბულების მიკროკლიმატი და მისი სამკურნალოდ გამოყენების შესაძლებლობა. ამ მეცნიერული მონაცემების პრაქტიკაში დანერგვა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მძლავრი სპელეოთერაპიული კურორტი: წყალტუბოს ზონაში საკმაოდ ბევრია ამგვარი გამოქვაბულები.

ასევე საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენი კურორტის ბაზაზე შემუშავდა და დაინერგა დიფერენცირებული მკურნალობის მეთოდები გულსისხლძარღვთა და საყრდენ-სამოძრაო სისტემით დაავადებულ ბავშვთათვის. ამით წყალტუბომ ახალი, პედიატრიული პროფილი შეიძინა.

ამჟამად არსებული მინერალური წყლის დებეტიდან სამკურნალოდ გამოიყენება თითქმის ერთი მესამედი. ერთგვარი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ წყალტუბოს კურორტის სიმძლავრეზე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მის 9 სააბაზანოში წყლისა და დამხმარე პროცედურების ჩათვლით ყოველდღიურად ტარდება 12 ათასი პროცედურა (8500 აბაზანისა და 8800 დამხმარე). ყველა სააბაზანოს 805 ინდივიდუალური კაბინა და 11 აუზი ერთი საათის განმავლობაში ატარებს 1050 პროცედურას.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, № 1 აბაზანა აშენდა 1892 წელს, ხოლო რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1927 წელს. № 3 აბაზანა — 1911 წელს, № 4 აბაზანა — 1894 წელს. ამ უკანასკნელს ორჯერ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია (ბოლოს — 1958 წელს), № 5 აბაზანა აშენდა 1939 წელს, № 6 აბაზანა — 1951 წელს, № 7 აბაზანა — 1934 წელს, № 8 აბაზანა — 1959 წელს. № 9 აბაზანის პირველი კორპუსი მწყობრში ჩადგა 1969 წელს, ხოლო მეორე კორპუსი — 1980 წელს.

სააბაზანოები სრული დატვირთვით, ყოველდღიურად 12-14 საათის განმავლობაში მუშაობენ გამოსასვლელი დღის გარეშე. მიუხედავად ამისა, სააბაზანო მომსახურება ვერ აკმაყოფილებს სანატორიუმის მოთხოვნებს. ამიტომ უახლოეს მომავალში განზრახულია ახალი სააბაზანოს მშენებლობა და სააბაზანოთა წყალმომარაგების გაუმჯობესების მეშვეობით ღამის დებეტის გამოყენება. ეს მკვეთრად გააუმჯობესებს სააბაზანოთა მუშაობას და აამაღლებს ავადმყოფ-დამსვენებელთა მომსახურების დონეს.

**ყოველ წელს 120 ათასამდე კაცია წყალტუბოს სტუმარი, აქ ჩამოდიან ყველა მოძმე რესპუბლიკიდან, საზღვარგარეთიდან.**

**მკურნალობისა და დასვენების შემდეგ, თავისუფალ დროს, ბუნებრივია, ისინი ეცნობიან ქართველი ერის კულტურას, მის**

---

ოპტიმიზმისათვის გვაქვს მტკიცე საფუძველი

ისტორიულ წარსულს, ლიტერატურას, ხელოვნებას.

როგორ ზრუნავენ ქალაქის მესვეურნი და თვით სანატორიუმების ხელმძღვანელები, რათა სტუმრებს გააცნონ ჩვენი ერის კულტურის ძეგლები, ღირსშესანიშნაობანი, და საერთოდ, რესპუბლიკის ცხოვრება?

აქვთ თუ არა სანატორიუმებს ბიბლიოთეკები (ან იქნებ ქალაქშია სტუმრებისათვის ბიბლიოთეკა?), რა ადგილი აქვს დათმობილი მის ფონდში ქართველი მწერლების და პოეტების ნაწარმოებებს რუსულ ენაზე? არის თუ არა სტენდები ან თვალსაჩინო ლიტერატურა, სადაც დამსვენებელი ძალდაუტანებლად და ხალისით გაეცნობიან ქართული კინოს, თეატრის, საერთოდ, ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელთა მიღწევებს? ეწყობა თუ არა მათთვის ექსკურსიები გელათში, ქუთაისსა და ახლომახლო რაიონებში, სადაც კვალიფიციური ექსკურსიამძღოლები შინაარსიან ინფორმაციის დონეზე მაინც გააცნობენ სტუმრებს ქართველი ერის დიდ ისტორიულ წარსულს და კულტურას? აჩვენებენ თუ არა სტუმრებს ქართულ ფილმებს, იწვევენ თუ არა ქალაქში რესპუბლიკის პროფესიულ-მუსიკალურ კოლექტივებს, ხდება თუ არა რეპერტუარის დამტკიცება რესტორნების ორკესტრებისათვის, სადაც ხშირად, კაცმა არ იცის, რა ნაწარმოებებს არ ასრულებენ შესაბამისი საშემსრულებლო დონით?

წყალტუბოს უნიკალური წყლების სიკეთე კარგა ხანია გასცდა ქვეყნის ფარგლებს. თვალს სიამოვნებს შესანიშნავი არქიტექტურული გემოვნებით აშენებული სანატორიუმ-სასახლეები, სააბაზანოები და სამკურნალო დანიშნულების სხვა ობიექტები. იგი კეთილ, სტუმართმოყვარე მასპინძლად იქცა ბევრი საზღვარგარეთელი სტუმრისათვისაც. დამსვენებელთა რაოდენობით ხომ წყალტუბო ყველაზე ხალხმრავალი კურორტია რესპუბლიკაში.

ჩვენთან სამკურნალოდ თუ დასასვენებლად ჩამოსულ სტუმრებს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, მის აწმყოსა და მომავალზე ინფორმაცია, ბუნებრივია, უპირველესად აქ ეძლევათ. ამ ამოცანას ძირითადად ქალაქის ზონაში არსებული ბიბლიოთეკები და მუზეუმები ასრულებენ.

ქ. წყალტუბოსა და მისი ზონის სოფლების წარსულს, მათს დღევანდელობასა და შემოქმედებითი შრომის მიღწევებს ასახავს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც 1969 წლიდან ჩაეყარა საფუძველი.

წყალტუბოს სტუმრები ინტერესით ეცნობიან მუზეუმის ექსპოზიციებს, რომლებიც მოიცავენ პერიოდებს უძველესი დროიდან დღემდე: ქვისა და ბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება, დასავლეთსაქართველო ფეოდალურ ხანაში, შუა საუკუნეების კულტურა და ხელოვნება, იმერეთის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა მე-17 საუკუნეში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ბატონყმობის გაუქმება და მრავალი სხვა ექსპოზიცია — მდიდარ მასალებს აწვდის დამთვალიერებლებს ჩვენი მხარის ისტორიულ წარსულსა და აწმყოზე.

ქალაქ-კურორტის სტუმრებს ხიბლავთ სათაფლიის მღვიმე და დინოზავრთა ნაკვალევი, რომლებიც ნაკრძალის ტერიტორიაზეა. სულ მალე, სათაფლიის რეკონსტრუქციისა და ექსპოზიციის მოწყობის შემდეგ სპელეოლოგიური მუზეუმი მიიღებს დამთვალიერებლებს. ეს მუზეუმი ჯერჯერობით ერთადერთი იქნება მთელს საბჭოთა კავშირში. ამჟამად სათაფლიის მღვიმეში მიმდინარეობს კეთილმოწყობითი სამუშაოები — ფერადი განათება, სარეკლამო სტენდები, მღვიმეში სავალი გზების მოწყობა. შემუშავებულია დინოზავრის ნაკვალევის გადახურვის პროექტები. ჯერჯერობით ტურისტებს მღვიმის მხოლოდ 120 მეტრიანი მონაკვეთის დათვალიერების შესაძლებლობა აქვთ. კეთილმოწყობის შემდეგ აქ გაიხსნება მეორე გასასვლელი და ბუნების ამ უნიკალური ძეგლის დათვალიერება მთლიანად ხელმისაწვდომი გახდება.

თვალსაჩინო საექსკურსიო ობიექტია ხომულის ტერიტორიაზე მდებარე თეთრი მღვიმე, რომელიც გვიანი, ანუ ზედა პალეოლითის პერიოდს განეკუთვნება. ამ მღვიმეს გარდა ტურისტულისა, სამკურნალო მიზნებითაც გამოიყენებენ. იგი სპეციალისტების მიერ რეკომენდებულია, როგორც ქმედითი საშუალება ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა სამკურნალოდ.

მოკლე დროში საზეიმოდ აღინიშნება ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის გახსნა მის მშობლიურ სოფელ ჩუნეშში. კულტურის დიდ კერად მუზეუმის გადაქცევას ხელს შეუწყობს მის ბაზაზე დაარსებული სახალხო უნივერსიტეტი, რომლის უახლოეს მომავალში შექმნა გადაწყვიტა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტმა. წყალტუბოელებს ეამაყებათ, რომ უნივერსიტეტს რექტორობას გაუწევს პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. მუზეუმში თავმოყრილი ექსპონატები მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად დაგვეხმარება, რომ სტუმრებს უკეთ გავაცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი. ამ მიზნით დამსვენებელთა ექსკურსიები ეწყობა აგრეთვე ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, სამხატვრო-საგამოფენო დარბაზისა და დიდების მემორიალის დასათვალიერებლად.

კურორტის დამსვენებლებისათვის რეგულა-

რულად ეწყობა ექსკურსიები გელათში, ალექსანდრე წულუკიძის, ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმებში.

მარტო გასულ, 1983 წელს წყალტუბოს სამკურნალო დაწესებულებებში ჩამოსული დამსვენებლებისათვის მოეწყო 487 ექსკურსია, რომელშიც 18 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. კურორტ-ქალაქის დასათვალიერებლად მოწყობილ 232 გასეირნებაში მონაწილეობდა 25 ათასამდე კაცი. ამასთან სანატორიუმებსა და კინოთეატრებში ავადმყოფ-დამსვენებლებისათვის ყოველთვიურად უჩვენებენ ოცზე მეტ ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ კინოფილმებს.

კურორტ-ქალაქში ჩამოსული სტუმრების სანიმუშო კულტურული მომსახურებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბიბლიოთეკები, რომელთა საქმიანობა ეყრდნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ“.. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კურორტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შეადგენს 40 ათას ეგზემპლარს. აქ სხვადასხვა პროფილის ლიტერატურასთან ერთად ნახავთ არა ერთ იშვიათ უნიკალურ გამოცემასაც. ბიბლიოთეკა ოპერატიულად ეხმაურება მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და ღირსშესანიშნავ თარიღებს. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების, პარტიის ყრილობებისა და პლენუმების დოკუმენტების პროპაგანდა.

ბიბლიოთეკის მყუდროდ და გემოვნებით მოწყობილ ვრცელ სამკითხველო დარბაზში სისტემატურად ეწყობა შეხვედრები საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებთან, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან, კურორტის მოწინავე ადამიანებთან, აქ გამართულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ ავადმყოფი დამსვენებლებიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდი შთამაგონებელი როლი შეასრულა საქართველომ დიდი რუსი და უცხოელი მწერლების შემოქმედებაში. აქ ხშირად ეწყობა ლიტერატურული საღამოები: „გრიბოედოვი და საქართველო“, „პუშკინი და საქართველო“, „ლერმონტოვი და საქართველო“, „გორკი და საქართველო“, „მაიაკოვსკი და საქართველო“, „ალ. დიუმა და საქართველო“ და სხვ.

ბიბლიოთეკის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საზეიმო დღეები. ამ იუბილეს მიეძღვნა ციკლი სანატორიუმებში გამართული საღამოებისა რუსეთ-საქართველოს მეგობრობაზე.

ბიბლიოთეკაში შეიქმნა ლიტერატურულ-მუსიკალური ჟურნალი „ხალხთა მეგობრობა გამარჯვების საწინდარია“, რომელშიც აისახა საბჭოთა საქართველოს ურღვევი მეგობრობა ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა რესპუბლიკასთან. ჟურნალი წარდგენილი იყო ბიბლიოთეკების მუშაობის დათვალიერება-კონკურსზე და საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ ჩვენი ბიბლიოთეკა გამარჯვებულად სცნო.

„კურორტი — ხალხის სამსახურში“ — ლენინური დეკრეტის ეს პრინციპი საფუძვლად უდევს ჩვენი სანატორიუმების ბიბლიოთეკების მუშაობას. ყველა სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობს ბიბლიოთეკა, რომელთა საერთო წიგნადი ფონდი 70.481 ეგზემპლარია. აქ თვალსაჩინო ფონდი ეთმობა რუსულ ენაზე დასტამბულ ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს. ბიბლიოთეკებში მოწყობილია სტენდები და გამოფენები, სადაც ავადმყოფი-დამსვენებლები ეცნობიან რესპუბლიკის ხელოვნების ყველა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მიღწევებს.

კურორტ-ქალაქში ჩამოსული სტუმრების წინაშე ლექციებით გამოდიან თვალსაჩინო მეცნიერები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: კ. ცქიტიშვილი, შ. ხანთაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ა. ფალიაშვილი და სხვები, რომლებმაც წაიკითხეს ლექციები: „ქართველები დიდ სამამულო ომში“, „ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვები“, „ადამიანი და კანონი“, „კურორტი წყალტუბო და მისი სამკურნალო ფაქტორები“, „ჩაი და ჩაის მრეწველობა საქართველოში“ და სხვ. სულ 1983 წელს სამკურნალო დაწესებულებებში წაკითხული იქნა 446 ლექცია.

დამაკმაყოფილებელია მუსიკალური მომსახურეობის საერთო დონეც. საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად 20 დღეში ერთხელ წყალტუბოში პროფესიულ მსახიობ შემსრულებელთა მონაწილეობით ტარდება კონცერტები. შარშან, მაგალითად, კონცერტებზე თავიანთი ხელოვნება უჩვენეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტ. მალიშევამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ე. მირიანაშვილმა, ვ. მაისურაძემ და ე. ჭელიძემ. კონცერტები გამართეს ესტრადის მსახიობებმა თ. ცაგურიამ, ს. ნონიაშვილმა, ჯ. მურადელმა და სხვებმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა, ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა და სხვა მუსიკალურმა კოლექტივებმა. ამასთან ტარდება თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების კონცერტები თანამშრომელთა და დამსვენებელთა მონაწილეობით. თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები შექმნილია სანატორიუმებში „მეგობრობაში“, „მეშახტეში“, „იმერეთში“. კურორტ-ქალაქში ახლახან ჩამოყალიბდა

---

ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, რომელიც სულ მალე მრავალფეროვანი პროგრამით წარდგება დამსვენებელთა წინაშე.

შარშან ავადმყოფ-დამსვენებლებისათვის პროფესიონალ მსახიობთა ძალებით ჩატარდა 276 კონცერტი, ხოლო თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივებისა — 194 კონცერტი. სამკურნალო დაწესებულებებში ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან, ტარდება სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და პოეზიის საღამოები და სხვა ღონისძიებები.

სამწუხაროდ, ქალაქს დღემდე არა აქვს ასეთი მნიშვნელოვანი კულტურული კერები, როგორიცაა თეატრი და საზაფხულო ესტრადა (თეატრისა და საზაფხულო ესტრადის მშენებლობა დაიწყო 1979 წელს და რატომღაც დაკონსერვდა. ამჟამად თეატრის მშენებლობაზე მუშაობა მიმდინარეობს კონსერვაციაზე გამოყოფილი თანხით. საზაფხულო ესტრადის მშენებლობა კი განახლდა).

ამის გამო შვიდი წელია ქალაქში ვერ მოგვიწვევია ჩვენი რესპუბლიკის სახელგანთქმული საესტრადო კოლექტივები. ბაზების უქონლობამ დაღი დაასვა ადგილობრივი მხატვრული კოლექტივების ჩამოყალიბებასა და დახელოვნებასაც. საგუნდო, ვოკალური, ქორეოგრაფიული, საბალეტო, ხალხური სიმღერების შემსწავლელი კოლექტივების შექმნისათვის უკვე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. გარკვეულად გაუმჯობესდა საზაფხულო ესტრადის პროექტი, რომელშიც კლიმატური პირობების გათვალისწინებით შეტანილია რიგი ცვლილებები.

ქალაქის დიდი შენაძენი იქნება სამხატვრო-საგამოფენო დარბაზი, რომელიც კინოთეატრ „კომკავშირელის“ ბაზაზე აიგება. პერსპექტივაშია საორღანო მუსიკის დარბაზისა და ცირკის შენობის აგება. განზრახულია ქალაქში ყოველწლიურად ჩატარდეს სიმღერის ფესტივალი. შემუშავდა პროექტები ახალი სამუსიკო სკოლის მშენებლობისა და საბავშვო ქალაქის შესაქმნელად — ახლანდელი რკინიგზის ვაგზლისა და ავტოსადგურის ტერიტორიაზე. შედარებით დაბალ დონეზეა წიგნით ვაჭრობა. „საქწიგნის“ მაღაზიის ახალ შენობაში გადატანა უახლოეს მომავალში უთუოდ გააუმჯობესებს წიგნით ვაჭრობისა და მისი პროპაგანდის ორგანიზაციასაც.

**რას გვეტყოდით ქალაქ წყალტუბოსა და მისი ზონის მომსახურების სფეროში არსებული მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ?**

ქალაქ-კურორტის განვითარების პრობლემები. მისი კეთილმოწყობა, ავადმყოფ-დამსვენებელთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომუნალურ, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გამართულ მუშაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის საქალაქო კომიტეტმა შარშან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ვაჭრობისადმი ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. ამის შედეგად შეიმჩნევა საქონელბრუნვის საერთო და ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების მოცულობის ზრდა. საშუალო წლიური ზრდა საქონელბრუნვაში აჭარბებს საშუალო რესპუბლიკურს, ინერგება ვაჭრობის თანამედროვე პროგრესული ფორმები და მეთოდები, გაფართოვდა სავაჭრო დაწესებულებათა ქსელი, განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს ქალაქის დიდი დასახლების მიკრორაიონში, ოქტომბრის ქუჩაზე გახსნილი კომკავშირული მაღაზია და სხვა ობიექტები. საგრძნობლად შემცირდა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სავაჭრო მომსახურებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. შარშან წყალტუბოსა და მის ზონაში საქონელბრუნვის გეგმა, 97,3, მათ შორის „საზკვებაში“ — 99,9 პროცენტით შესრულდა. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ უპასუხებს მთელი რიგი სავაჭრო ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არადამაკმაყოფილებელია სავალდებულო ასორტიმენტის საქონლით სავაჭრო ქსელის მომარაგება. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს.

ქალაქსა და მის ზონაში წინგამსწრები ტემპით ვითარდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. მომსახურების მოცულობის ზრდის ტემპმა წინა წელთან შედარებით 31 პროცენტი შეადგინა. მაღლდება მომსახურების კულტურა, ინერგება უახლესი მეთოდები და ფორმები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო ზედიზედ ცხრაჯერ დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით.

მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად ჯერ კიდევ არის გადასაჭრელი პრობლემები. დაბალია სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, გაუმჯობესებას მოითხოვს კურორტზე ჩამოსულ დამსვენებელთა მომსახურება. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებისათვის მზადდება კურორტზე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სანიმუშოდ დაყენების ღონისძიებათა ერთიანი სისტემა.

რადიკალურ გარდაქმნას საჭიროებს ქალაქ-კურორტში კომუნალური მომსახურება. გასაუმჯობესებელია მთლიანად სანიტარული სამსახური, რასაც სპეციალური ტექნიკის ნაკლებობითაც თან ერთვის. სავალალო მდგომარეობაშია ქუჩების სავალი ნაწილი, განათების ქსელის, წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, სანიაღვრე მეურნეობის ტექნიკური მდგომარეობა, შეფერხებებია თბომომარაგების საქმეში. ყოველივე ეს მო-

სახლეობისა და ავადმყოფ-დამსვენებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ჯერ კიდევ მწვავედ დგას ქალაქში საბინაო პრობლემა. ბარაკებში ცხოვრობს 800-ზე მეტი ოჯახი, უბინაოა საკმაოდ ბევრი, ხოლო საბინაო პირობების გაუმჯობესებას 800-ზე მეტი ოჯახი საჭიროებს. მდგომარეობას ისიც ართულებს. რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა, მოწესრიგებას მოითხოვს საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების საკითხი. ბოლო ხანებში განხორციელებული გადამჭრელი ღონისძიებების მიუხედავად ქალაქში კვლავ არის ეგრეთწოდებული „დაკეტილი ბინები“.

გადახალისებული კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა უკვე შეუდგა ქალაქის ყველაზე გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტას. შენდება ასფალტ-ბეტონის ქარხანა. შეიქმნა თბომეურნეობის სარემონტო-საექსპლოატაციო უბანი. წლეულს კომუნალურ საწარმოთა კომბინატს გამოეყოფა სათანადო მექანიზმები და სპეცავტომანქანები, ტარდება ღონისძიებანი ქალაქ-კურორტის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის, მეორე წრიული ქუჩის ნაწილის მშენებლობის, ქალაქში შემოსასვლელის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობის წინა მოედნის, პირველი წრიული ქუჩისა და სხვათა რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის პროექტების დაჩქარებისა და მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის. დაწყებულია „ცივი ტბის“ გაწმენდისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

კომუნალური მომსახურების ამჟამად არსებული მდგომარეობა, გადასაწყვეტ პრობლემათა სიძნელეები და აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებს საქალაქო საბჭოს აღმასკომის როლის გამოკვეთისა და ამაღლების აუცილებლობას. საჭიროა გაცილებით მიზანმიმართული მუშაობა ზემდგომ ორგანოებში სოციალურ პრობლემათა დასაბუთებისა და დასმული საკითხების გადაჭრის გათვალისწინებით.

**ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქალაქის სახეს. ვინ ხელმძღვანელობს ქალაქის გაფორმებას? რამდენად აკმაყოფილებს ბაღებისა და სკვერების მოწყობის დონე დღევანდელ მოთხოვნილებებს? ალაგ-ალაგ გვხვდება უგემოვნო ქანდაკებები. ხომ არ დადგა დრო გვეფიქრა მათ აღებაზე? ჰყავს თუ არა ქალაქს მთავარი დეკორატორი?**

ქალაქ-კურორტი ამ ბოლო წლებში კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა. ათეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა წყალტუბოს, როგორც სოციალისტური ყაიდის კურორტის დამახასიათებელი არქიტექტურული სახე, ხუროთმოძღვრული საინტერესო ობიექტებითა და მშვენიერი მწვანე სამოსელით. მიუხედავად ამისა, მისი ბუნებრივი შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოყენებული, რის გამო ქალაქის იერსახე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ბოლო ხანებში კურორტის ესთეტიკურ-მხატვრული სრულქმნისა და კეთილმოწყობის სამუშაოები არაგეგმაზომიერად მიმდინარეობდა. ზოგან დაბალი მხატვრული დონის ქანდაკებებიც გვხვდება, იყო ქალაქ-კურორტის განაშენიანების გენერალური გეგმის დარღვევის შემთხვევებიც. ქალაქის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხების მოგვარებას. ქალაქის შემდგომი ზრდა-განვითარების პრობლემების შესწავლა-დაზუსტებისა და სამერმისო პროგრამის შემუშავების მიზნით წყალტუბოში მოვიწვიეთ რესპუბლიკის თვალსაჩინო არქიტექტორები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები, უკვე განისაზღვრა პირველ რიგში შესასრულებელ სამუშაოთა პროგრამა.

თანდათან შეისხამს ხორცს, კურორტის ბალნეოლოგიური ზონის პარკის მხატვრულ-არქიტექტურული გაფორმების იდეური ჩანაფიქრი. აქ „თხრობა“ დაიწყება მოედანზე, სადაც ოდითგანვე მიაშურებდა ხოლმე წყალტუბოს წყლებზე ჩამოსული — ახალი ფოსტა-ტელეგრაფის შენობის წინ. განზრახულია შეიქმნას წყლის თემაზე სკულპტურულ-არქიტექტურული კომპოზიცია, ლეგენდა წყალტუბოს წარმოშობის შესახებ. პერსპექტივაშია მსუბუქი საპარკო კომპოზიციის შექმნა, რომელიც მოგვითხრობს წყალტუბოს სამკურნალო წყლების ისტორიაზე დასაბამიდან დღემდე მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, საკურორტო ორგანიზაციის ლენინურ დეკრეტსა და სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებულ დასვენების უფლებაზე.

ამ კომპოზიციას ორგანულად გადაერთვის რამდენიმე ობიექტი, რომლებიც განაგრძობენ წყალტუბოზე თხრობას. პროექტში მტკიცედ არის გამიზნული ის, რომ მხატვრული სახეებით წყალტუბოზე თხრობა განზოგადდეს რესპუბლიკის მასშტაბით. ნაჩვენები იქნეს ქართველი ხალხის ისტორია და კულტურა, საბჭოური წლების მიღწევები, საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა.

გათვალისწინებულია კეთილმოწყობისათვის საჭირო მცირე ფორმების არქიტექტურული ობიექტების (ჭიხურები, წყლის სასმელი ფარდულები, ხიდები, არხების განათება, საპარკო სკამები და სხვ.) განხორციელება. ეს, ალბათ, პირველ რიგშია გასაკეთებელი, რადგან წყალტუბოს აკლია ასეთი ხასიათის ერთიანი მხატვრულ-არქიტექტურული მიდგომით შესრულებული საჭირო ელემენტები.

საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის

## ოპტიმიზმისათვის გვაქვს მტკიცე საფუძველი

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ვახტანგ დავითაიამ დაამთავრა საჭადრაკო სასახლის დაპროექტება. მისი მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება და ქალაქისათვის უდავოდ დიდი შენაძენი იქნება.

ჭადრაკის სასახლეს მსოფლიო ჩემპიონების ანატოლი კარპოვისა და მაია ჩიბურდანიძის მონაწილეობით უკვე ჩაეყარა საფუძველი მიმდინარე წლის მარტის ბოლოს მინერალური წყაროების პარკში. ქალაქის გამწვანებას ხელმძღვანელობს ორი ორგანიზაცია — ქალაქის გამწვანების კანტორა და „კურორტ-მწვანემშენი“, რომლებიც დაკომპლექტებული არიან სათანადო კადრებით და გარკვეულ მუშაობას ეწევიან მინერალური წყაროების პარკის გალამაზების, სკვერების მოწყობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ქალაქს არა ჰყავს მთავარი დეკორატორი, ქალაქის გაფორმებას ხელმძღვანელობს მთავარი მხატვარი თ. გობეჯიშვილი. არის იმის საფუძველი, რომ უახლოეს მომავალში წყალტუბოში შეიქმნეს სამხატვრო გაფორმების სამსახურები.

ასევე გათვალისწინებული გვაქვს ქალაქში გავხსნათ ყვავილების მაღაზია, მოვაწყოთ კონკურსები საუკეთესო სახლის, ეზოს გამოსავლინებლად. მშობლიური ქალაქ-კურორტისადმი სიყვარულის გაღვივებას ითვალისწინებდა საქალაქო გაზეთ „დროშის“ ინიციატივა, რომელმაც თავის ფურცლებზე შემოიღო რუბრიკა „თუ წყალტუბოელი ხარ“... ამ რუბრიკით გაზეთში ბევრი საინტერესო მასალა დაისტამბა.

**წყალტუბოს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა არ მიატოვონ ქალაქის ზონა. თვით წყალტუბოა კულტურის მნიშვნელოვანი კერა, გვერდზეა ქუთაისიც. როგორია ახალგაზრდების ადგილზე დამაგრების მდგომარეობა, რა გაკეთდება იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ არ მიატოვოს მშობლიური წყალტუბო?**

ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებით ეკიდებიან სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, პედაგოგთა კადრების მომზადებას, სწავლების ხარისხის სრულყოფას. ამჟამად ქალაქის ზონის სკოლებში სწავლობს 11.000-ზე მეტი მოსწავლე. გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლა დაამთავრა 768 მოსწავლემ. 32-მა მათგანმა სწავლა განაგრძო უმაღლეს სასწავლებელში, ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი პროფტექნიკურ სასწავლებელში დაეუფლება მუშურ პროფესიას.

ქალაქის ზონის ახალგაზრდობის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს მხოლოდ სკოლები წარმართავენ. სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნია არც ერთი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, ახალგაზრდობის შრომითი და ზნეობრივ აღზრდის და წარგვემართა ქალაქის მოთხოვნათა შესაბამისად, ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად, რომლებიც ქალაქისა და კურორტისათვის ამჟამად დეფიციტურად ითვლება. ამ პრობლემების გადაწყვეტა მკვეთრად გააუმჯობესებს ავადმყოფ-დამსვენებელთა მომსახურების კულტურას და ხელს შეუწყობს ზონის ახალგაზრდობის მიგრაციის პროცესის შემცირებას.

ამჟამად არის აზრი, საქგუმბრინის მაღაროთა სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, უახლოეს მომავალში ვიზრუნებთ ქალაქში საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დაარსებისათვის.

მჭიდრო კონტაქტი გვაქვს დამყარებული რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წარგზავნილ ქალაქის ზონის ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან. მათთან ყოველწლიურად ეწყობა შეხვედრები ქალაქის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ მუშაკებთან, შრომით კოლექტივებთან. ასევე თამამად მოვკიდეთ ხელი ახალგაზრდების დაწინაურების, დამრიგებლური მოძრაობის კიდევ უფრო განვითარების საკითხებს.

ქ. წყალტუბოს სამუსიკო სკოლა თავის მუშაობას მრავალფეროვნად და შინაარსიანად წარმართავს. სკოლის აღსაზრდელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საგუნდო კოლექტივების დათვალიერებაში, მაღალ შეფასებას იმსახურებენ ინდივიდუალურ შემსრულებელთა დათვალიერებაშიც, მაღალ შეფასებას იმსახურებენ ინდივიდუალურ შემსრულებელთა დათვალიერება-კონკურსში, ტრადიციად დამკვიდრდა კონცერტების მომზადება ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შესაბამისად იზრდება მუსიკალური განათლების მიღების მსურველთა რიცხვი, რომელთაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებთ სკოლის ავარიული, ამორტიზებული შენობა. დღეისათვის შემუშავებულია სამუსიკო სკოლის მშენებლობის პროექტი, რომლის დროული დამთავრება საგრძნობლად გააუმჯობესებს სკოლის მუშაობას.

დადებითი ძვრებია ქალაქის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების შექმნის მხრივაც. გადახალისდა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების საქალაქო გამგეობასთან არსებული მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი ა. მაჭავარიანი), დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა მათი რეპერტუარი.

ახალი ძალებით შეივსო და მუშაობა განაახლა და ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან არსებულმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „წყარომ“ (ხელმძღვანელი ი. აფრიდონიძე) და ბიჭუნების ხალხური საკრავების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანსამბლმა „ნაკადულმა“ (ხელმძღვანელი ი. მეფარიშვილი).

არსებობის რამოდენიმე კვირას ითვლის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან შექმნილი საბალეტო სკოლა (ხელმძღვანელი ა. ისუპოვი) და კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია. შექმნილია ყველა პირობა საბალეტო და ქართული ხალხური ცეკვის მაღალ პროფესიულ დონეზე დაუფლებისათვის.

გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთა-აცილებისათვის. გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ წლების მანძილზე მიტოვებული იყო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უბანი. ამჟამად ყველა ღონეს ვხმარობთ ამ ბოროტების ძირშივე აღსაკვეთად. გავაძლიერეთ ბრძოლა საქმოსნობის წინააღმდეგ. ბევრმა საქმოსანმა დატოვა ქალაქი და მისი ზონა. ახლა უკვე ველარ შევხვდებით ლაპარაკს საამქროების თუ სავაჭრო ობიექტების „გახსნის“ შესახებ. ეს რწმენას უბრუნებს ახალგაზრდებს, სტიმულს აძლევს აქტიური მუშაობისათვის.

დღევანდელი ახალგაზრდობა წარმოუდგენელია სპორტის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ წყალტუბოს რელიეფური მდგომარეობა საშუალებას იძლევა ავაშენოთ ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნები და კორტები. ვფიქრობ, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი.

და მეორე: მართალია, ქუთაისში კარგა ხანია დაარსდა ჟურნალი „განთიადი“ და შეიქმნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალი, რაც, უდავოდ, მიიზიდავს წყალტუბოსა და ახლო-მახლო რაიონების შემოქმედებით ახალგაზრდობას, მაგრამ რა კეთდება თვით წყალტუბოს ზონაში, არის თუ არა შემოქმედებითი წრეები, სადაც ჩაეგმება ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, მხატვარი თუ მუსიკოსი? და საერთოდ, რას უპირისპირებთ რესტორანს, რომელიც, სამწუხაროდ, სულ უფრო დიდ ადგილს იჭერს ახალგაზრდობის ცხოვრებაში?

ქალაქის ზონაში ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტთან ერთად ხელმძღვანელობს სამი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება: „კოლმეურნე“, „განთიადი“ და „სპარტაკი“, აგრეთვე განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლა. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მთლიანად მოიცავს სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებსა და შრომითი კოლექტივების ახალგაზრდობას. დღეისათვის ქალაქის ზონაში კულტივირებულია სპორტის 17 სახეობა, მათ შორის 13 — ოლიმპიური. ბოლო ხანებში დაინერგა ჩვენი ქალაქისათვის სპორტის ახალი სახეობები: კრივი, ბალახის ჰოკეი, ველოსპორტი და რეგბი.

ქმედითი ღონისძიებები ტარდება ფიზკულტურულ-სპორტული მასობრიობის დანერგვისათვის. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ქალაქის ზონის სპორტსმენთა წვრთნასა და დაოსტატებას ემსახურება 90 ფრენბურთის, 32 კალათბურთის, 40 ფეხბურთის, 8 ხელბურთის მარტივი ტიპის მოედანი, გარდა ამისა ჩვენს განკარგულებაშია 9 მარტივი ტიპის სასროლი ტირი, 25 სპორტული დარბაზი, ჩოგბურთის ორი კორტი და ქალაქის სპორტული კომპლექსი.

მშენებლობის პროცესშია დოსააფის საქალაქო კომიტეტის 50 მეტრიანი ტირი. ბოლო ორ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა კურორტის მართვის საბჭოს საჭადრაკო კლუბი და ძალოსნობის დარბაზი, საგგუმბრინის მაღაროთა სამმართველოს სპორტული კომპლექსი და საცურაო აუზი. შენდება ვარცისჰესების სამშენებლო სამმართველოს სპორტული კომპლექსი, გრძელდება ქალაქის ცენტრალური სტადიონის (12 ათასი მაყურებლისათვის) და კურორტის სპორტული კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პერსპექტივაშია სოფელ რიონის ტერიტორიაზე ნიჩბოსნობის ბაზის მოწყობა და საკოლმეურნეო ბაზრის რეკონსტრუქცია სპორტულ თამაშობათა დარბაზისათვის. კეთილმოეწყობა „ცივი ტბის“ შემოგარენი, საფუძველი ჩაეყრება ფეხბურთის სპეციალიზებულ სკოლას.

მშრომელთა სულიერი ცხოვრების აღზრდისა და განვითარებისათვის წყალტუბოსა და მის ზონაში ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა.

ახლახან საქალაქო გაზეთ „დროშის“ რედაქციასთან შეიქმნა ლიტერატურული წრე, რომელშიც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული 30-მდე ახალგაზრდა გაერთიანდა. ისინი თვეში ერთხელ განიხილავენ წრის წევრთა ნაწარმოებებს. წრეს ხელმძღვანელობას გაუწევს წყალტუბოს მკვიდრი, ცნობილი მწერალი ოტია იოსელიანი.

ქალაქში მუშაობს ქორეოგრაფიული სტუდია, დრამატული წრეები, საჭადრაკო კლუბი „მერანი“. სოფელ ჩუნეშში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი. ახლახან ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, საბალეტო ჯგუფი, ქალაქის კულტურის სახლთან შეიქმნა ბავშვთა საქალაქო ცეკვის ანსამბლი, რომელთაც ხელოვნების გამოცდილი მუშაკები გიორგი ძოწენიძე, ავთანდილ მაჭავარიანი და ასლან ისუპოვი ჩაუდგნენ სათავეში. უახლოეს ხანში გათვალისწინებულია წყალტუ

ოპტიმიზმისათვის გვაქვს მტკიცე საფუძველი

ბოს რკინიგზის სადგურისა და მისი შემოგარენის ბაზაზე მოვაწყოთ ბავშვთა ქალაქი, უკვე დაიწყო სამხატვრო გალერეის მშენებლობა.

ახალგაზრდობის თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების მიზნით სამი წელია წყალტუბოში მოქმედებს ახალგაზრდა შემოქმედთა და სპეციალისტთა კლუბი „იმედი“. აქ შექმნილია 7 სექცია, რომლებიც რეგულარულად ატარებენ დისპუტებს პრობლემატურ საკითხებზე, შეხვედრებს კურორტზე ჩამოსულ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან. აწყობენ თვითნასწავლ მხატვართა გამოფენებს, ახალგაზრდა სპეციალისტთა შეკრებებს, ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციებს, ლიტერატურულ საღამოებს და სხვა ღონისძიებებს.

როცა ქალაქ-კურორტში ჭადრაკის სასახლე აშენდება, გათვალისწინებული გვაქვს საფუძველი ჩავუყაროთ საჭადრაკო ტურნირებს, რომლის გარკვეული ტრადიცია უკვე გაგვაჩნია.

**უკანასკნელი შეკითხვაღა დამრჩა: რაზე ოცნებობთ, რისი გაკეთება გსურთ ქალაქის ზონაში? გთხოვთ, მიპასუხოთ, თუკი რასაკვირველია, თქვენი ჩანაფიქრი ჯერჯერობით საიდუმლოს არ წარმოადგენს.**

როგორც ამბობენ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს. საფიქრალი და საოცნებო მართლაც რომ ბევრი გვაქვს, მათ შესახებ ნაწილობრივ ზემოთ დასმულ კითხვებშიც გავეცით პასუხი.

ყველაზე მთავარი ისაა, რომ კურორტი წყალტუბო ავიყვანოთ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, რათა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა მშრომელებმა და უცხოელმა სტუმრებმა მაქსიმალურად ისარგებლონ წყალტუბოს „ჯადოსნური“ წყლების ყველა სიკეთით. ამის მიღწევა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების შრომითი კოლექტივების მუშაობაზე, თითოეული თანამშრომლის, ყველა წყალტუბოელის მაღალ პასუხისმგებლობაზე, ეროვნული სიამაყის გრძნობაზე...

მიზნად ვისახავთ მეგობრული კავშირურთიერთობა დავამყაროთ ჩვენი ქვეყნისა და სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოების მონათესავე კურორტებთან, რაც გამოცდილების გაზიარების საშუალებასაც მოგვცემს. ქალაქ ფოთის ექსპერიმენტის მაგალითზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კურორტისა და მომსახურების სფეროს მართვის ახალი ფორმის დანერგვისათვის.

ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია კურორტის იერის შემდგომი სრულყოფა. ზონის სოფლების გამშვენიერებაზეც გვმართებს ფიქრი და ზრუნვა. ფართო მოწონება ხვდა გეგუთისა და ქვიტირის სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და აქტივის თაოსნობას სოფლებისათვის კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული ცენტრებისა და მაგისტრალების სანიმუშოდ კეთილმოწყობის შესახებ.

ქალაქის ზონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა კარგად დაიწყეს მე-11 ხუთწლედის მეოთხე წელი. პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი წარმატებით გაანაღდა ყველა სამრეწველო საწარმომ. კარგად მიდის საქმე აგრეთვე სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროსა და წარმოების სხვა უბნებზე. ეს საფუძველს გვაძლევს ჩვენი საქმიანობა წარვმართოთ დევიზით: „ვიმუშაოთ ჩამორჩენილების გარეშე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში!“

მთავარი მაინც ისაა, რომ შევძლოთ პატიოსნად, თავდადებით ვუსწოროთ მხარი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დიდ ორგანიზატორულ-პარტიულ და იდეოლოგიურ მუშაობას, ყოველნაირად ვიზრუნოთ ჩვენი მშრომელების კეთილდღეობის ამაღლებისათვის, კურორტზე ჩამოსული დამსვენებლების ღირსეული დახვედრისა და მომსახურეობისათვის.

ამ მიმართებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები და პირველი წარმატებებიც მოვიპოვეთ, მაგრამ მიღწეული ზღვარი არ არის, გასაკეთებელი კვლავ ბევრია, რასაც მაქსიმალურად მოვახმართ მთელ ჩვენს ენერგიასა და ძალ-ღონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევაზ ჯაფარიძე

# მწერლის პირუთვნელი სიტყვა

რევაზ მიშველაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ცხოველი ყურადღება. მან მწერლობაში შემოიტანა თავისი სამყარო, მოვლენების თავისებური აღქმა, ხატვა-ძერწვის თავისებური მანერა, აქამდე ცნობილ არც ერთ მანერას რომ არა ჰგავს და მხოლოდ და მხოლოდ რ. მიშველაძის შემოქმედების თავისებურებაა.

არის კიდევ ერთი რამ, რითაც რევაზ მიშველაძე ბევრი თანამოკალმისაგან გამოირჩევა. ესაა ავტორის მკვეთრად გამოხატული დამოკიდებულება ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ, ნაწარმოების პუბლიცისტური სიმახვილე, დასაგმობის დაგმობისა და დასამკვიდრებლის დამკვიდრების პათოსი.

ცხოველი ინტერესი, რევაზ მიშველაძის ყოველი ახალი ნაწარმოები რომ აღძრავს, სწორედ ამით აიხსნება. ამიტომაა, რომ მას ეძებენ მკითხველები და ყოველთვის პოულობენ მწერლის მართალ, პატიოსან პოზიციას, პოულობენ გულმართალ და შეულამაზებელ პასუხს ცხოვრების მიერ წამოჭრილ მრავალ საჭირბოროტო პრობლემაზე.

თუ ე. წ. საშენი მასალის მხრიდან მივუდგებით, ხალხის ყოფის აღწერის თვალსაზრისით, რევაზ მიშველაძის შემოქმედება უაღრესად მრავალფეროვანია. მისი გმირები სხვადასხვა სოციალურ ფენას განეკუთვნებიან, ერთმანეთისაგან განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობენ, საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა სფეროში ტრიალებენ.

ყველა ამ სფეროში, გმირის პირად ცხოვრებაში, მე ამას ხაზგასმით ვამბობ, ავტორი შინაური კაცია. მის თვალს და ყურს არაფერი, თვით უბრალო წვრილმანიც კი არ გამოეპარება. მაგრამ განა ყველაფერს წერს, რასაც ხედავს და რაც იცის? განა ყველაფერს მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას? არა, ის წერს მხოლოდ იმას, რაც არსებითად, მოვლენის დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია.

რევაზ მიშველაძის გმირებს თითქოს მათი ცხოვრების იმ მოკლე მონაკვეთში მივუსწრით, როდესაც კონკრეტული საქციელით ისინი თავიანთი ცხოვრების საიდუმლოს ავლენდნენ, როდესაც გაჩნდა შესაძლებლობა ისინი მთლიანად გამადიდებელ შუშაში დაგვენახა.

მერე რა, თუ მოთხრობები მოცულობით პატარაა, ხშირად სამ-ოთხ გვერდსაც არ აღემატება! სამაგიეროდ, გმირი ან გმირის მთელი გალერეა ისე მსუყედაა დახატული, რომ მკითხველის ფანტაზიაში თვალნათლივ იძერწება ადამიანთა ხასიათები, მათი სულისკვეთება, სულიერი ინტერესები და მიდრეკილებები, ავი და კარგი, მათი „ცხოვრების რომანი“.

საილუსტრაციოდ ერთ საშუალო მოცულობის მოთხრობა „ამკლებს“ გავიხსენებ.

მოთხრობა მთლიანად მოულოდნელობაზე და კონტრასტებზეა აგებული, მაგრამ არც ერთი და არც მეორე თვალში არ გეჩხირება, ვინაიდან ავტორი ერთი წუთითაც არ ცდილობს, მკითხველი განაცვიფროს, ტრიუკებითა და მალაყებით დააინტერესოს. მოულოდნელობები და კონტრასტები სრულიად ბუნებრივი და ცხოვრებისეულია, ადამიანების ყოველდღიურ ყოფას ერთი ნაბიჯითაც არ შორდება.

ორი მონადირე პატიმართა კოლონიის ტერიტორიაზე მოხვდება. აქვეა კარგა მოზრდილი ტბა. რაკი ვერაფერი უნადირიათ, მეგობრები გადაწყვეტენ თევზაობაში მაინც სცადონ ბედი, მაგრამ საქმეს ის აბრკოლებს, რომ არც ანკესი გააჩნიათ და არც ბადე. წაადგებიან წყალსატუმბი სადგურის ჯიხურს. ტუმბოებს პატიმრები ემსახურებიან. ახლა ირგვლივ არავინ ჩანს. სად წავიდნენ ნეტავ? აქვე იქნებიან, რადგან ამუშავებულ ტუმბოებს უპატრონოდ დიდხანს ვერ დასტოვებენ. ფიცრულში შეაბიჯეს. „კარმა გაიჭრიალა და თავზე წამოგვადგა მაჩვისფერ სვიტრზე უსახელოებო ფრენჩწამოსხმული, ნიფხვისამარა ტანმორჩილი კაცი.

— გამარჯობათ, უფროსებო! აბხოდზე ხართ? რაღაც არ მეცნობით.

— მონადირეები ვართ.

—ოო, ყველაზე კარგი ხალხი! რა ინადირეთ?

— ვერაფერი.

— დილას აქეთ ჩაიარეთ?

— არა, გარდაბნიდან მოვედით.

— იმიტომაც არ მახსოვხართ. რომ დამენახეთ, არ გირჩევდით დღეს ნადირობას. ორი დღე ხაწვრთნელი ვარჯიში ქონდათ. გაყრუებული იყო აქაურობა. რა ფრინველი გაჩერდებოდა."

თითქოს ხალისიანი დიალოგია, მაგრამ ნაღველი მაინც გასდევს, სიტყვასა და სიტყვას შუა, ინტონაციაში, ურთიერთის მიმართ კეთილი განწყობილება გამოსჭვივის. ეს კიდევ უფრო ღრმავდება ქვემოთ, ღრმავდება თითქოსდა თავისთავად, ყოველგვარი ძალის დატანების გარეშე, ამავე დროს ერთადერთ ფრაზაში ჩნდება, რას და როგორ აკეთებს ეს „მაჩვისფერ სვიტრზე უსახელოებო ფრენჩმოსხმული კაცი":

„წამოდგა, ფანჯრის რაფაზე გაქონილ, წელში გამოყვანილ ჭიქას მისწვდა, არყით ნახევრამდე გაავსო და მომაწოდა.

— დაილოცეთ, შეციებული იქნებით, ჩემი არ იყოს. ძრავა ცხელდებოდა. პრაკლატკას ვცვლიდი და წელი გამეყინა. ჩუმი, შემპარავი სიცივეა დღეს.

ჭიქა გამოვართვი. ღმერთმა ამისი დალევის ჯანი ნუ მოგიშალოთ-მეთქი, გადავკარი და ნიორს დავწვდი.

— მაპატიეთ, ღარიბი მასპინძელი ვარ".

დამეთანხმებით, რომ ყველაფერი ჩანს, ყველაფერს ვხედავთ და ვგრძნობთ, თანაც გაცილებით მეტს, ვიდრე აქ შავით თეთრზე წერია. საჭირო არ აღმოჩნდა არც ბუნების აღწერა, არც მოქმედ პირთა განწყობილების ანალიზი, ე. წ. ფსიქოლოგიური ჩაღრმავება.

გმირის პირით ნათქვამი ფრაზა იმდენად ბუნებრივი, ტევადი და ზუსტია, რომ ყურს შიგ ჩაგდებული ბარბარიზმიც კი არ ეხამუშება. ეს ბარბარიზმი აუცილებელია. უთუოდ ყალბად აჟღერდებოდა, მის ადგილას აქ სხვა სიტყვა რომ იყოს ნახმარი. მოთხრობა, როგორც ცხოვრება, მდორედ, თავისთავად, თავისი კანონებით გრძელდება, ავტორი თითქოს არც არაფერ შუაშია. გაჩნდა სასროლი ბადე, რომელიც წინადღეს ვაიმებადურ სამხედროებს უხმარიათ, აქა-იქ გაუგლეჯიათ და ტუმბოების ზედამხედველ მასპინძელს დილიდან საღამომდე უკემსია. ის ღიმილით, უბოროტოდ ბუზღუნებს. თითქოს სიამოვნებს კიდევაც, ბადეს შეკეთება რომ დასჭირდა და მონადირეებს წყლისპირისკენ მიუძღვის.

— პატიმარი ხართ? — ვკითხე.

— კი, ბატონო, — არაყი სულმოუთქმელად დალია და ნიორი დაყნოსა. — თხუთმეტში ვზივარ. ექვსი წელიღა დამრჩა.

— რაზე, თუ საიდუმლო არ არის?

— მკვლელობა! "

გმირის სავსებით ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ასევე სრულიად მოულოდნელი, დაუჯერებელი პასუხი. თითქოს ყურისძირში ზარბაზანი დაცალეს. ნუთუ მართალია? ნუთუ ამ თვინიერმა კაცმა, თავისი ნებით, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ჭიანჭველასაც კი ფეხს რომ არ დააბიჯებს, კაცი მოკლა? მერე ამას ასე ადვილად ამბობს, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს?

მაგრამ არაფერი ეს, მკითხველს გულში რომ გაგიელვებს, მოთხრობაში არ წერია. ზემოთ მოყვანილ დიალოგს უშუალოდ მოსდევს ფრაზა: „გოგის მეტი არაფერი უკითხავს".

შემდეგ თევზაობის სცენაა. ავტორს თითქოს კიდევაც დაავიწყდა გმირის შემზარავი აღსარება, ერთადერთ სიტყვაში რომ გამოიხატა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. გმირები რაღაც სხვა მოქმედებას „ასრულებენ", მოქმედების შესაფერის რეპლიკებს უცვლიან ერთმანეთს, „მკვლელობა" კი ქვეტექსტში რჩება, მისი ფსიქოლოგიური კვალი. შემდეგ ქვეტექსტი ზემოთ მოტივტივდება და ასეთ სახეს იღებს:

„ შევყურებ ჩვენი მასპინძლის სუსტ მხრებს, წინ წამოწეულ შუბლს, შეერთებულ წარბებსა და სვავის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირს, უწესრიგოდ გაზრდილ ულვაშებში არამკითხედ ჩაჩრილს. შევყურებ და ვფიქრობ, ეს აქ ტბის პირას არხეინად დააბიჯებს, ხოლო ამისი ხელით განგმირული მიწაში წევს... კი, ასეთებს შეუძლიათ კაცი მოკლან. ამ დაფანჩული წარბების, ორად გაყოფილი სქელი შუბლის და ფოსოებში მიკარგული წაქისფერი თვალების პატრონები სიმფონიურ მუსიკას არ უსმენენ, ლექსებს არ კითხულობენ, ხელოვნებისადმი მათი ინტერესი სკეტჩის დონეს არ შორდება, სპორტი ჭირივით სძულთ და პატიება არ იციან!"

„პატიება არ იციან!"

ავტორმა ბოლოში მოაქცია ეს ფრაზა, ამით ყურადღება გაამახვილა და მკითხველს უთხრა, რომ შენდობის, პატიების, ავისათვის ავის მიზღვაზე უარის თქმის უნარი ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანისა და საზოგადოების ერთი უპირველესი სპეციფიური ნიშანია. უიმისოდ ბუნებაში გაბატონებული ჰარმონია დაირღვეოდა, კაცობრიობა გზას ასცდებოდა, საზოგადოებას მორალური საყრდენი გამოეცლებოდა.

აქტუალურია? საჭიროა დღეს ამ ძველი და ყოველ მომდევნო ისტორიულ ეპოქაში მარად ახალი ფილოსოფიის ქადაგება? საჭიროა და მერე როგორ!

ავტორმა უძნელესი გზა აირჩია. მან მკითხველის სიმპათია აღძრა ადამიანისადმი, რომელიც მკვლელი აღმოჩნდა, რომელმაც ხელჰყო სხვისი სიცოცხლე და თავი ისე უჭირავს, თითქოს ბუზიც არავისთვის აეფრინოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არის აქ ავტორის თვალსაზრისი? რა სურს მას? რას გვიქადაგებს თავისი მოთხრობის მხატვრულ ქსოვილში ღრმად ჩამარხული ტენდენციით? მისი გმირი ან სრულებითაც არ არის ისეთი, როგორიც თავიდან მოგვეჩვენა, ანდა მკვლელის ეპითეტს უნებლიეთ ატარებს, რადგან თავისი სიმართლის, უდანაშაულობის დამტკიცება ვერ შესძლო, სასამართლო შეცდომის მსხვერპლია და იძულებულია, სხვისი სიმძიმე სამარის კარამდე ატაროს.

შეიძლებოდა, რასაკვირველია, მოთხრობის სიუჟეტი ამ მიმართულებით განვითარებულიყო და მაშინ მას სრულიად სხვა აზრობრივი დატვირთვა მიეცემოდა, მაგრამ ყველა შესაძლო ვარიანტიდან რევაზ მიშველაძემ ყველაზე უფრო რთული და ძნელად თავისგასართმევი ვარიანტი აირჩია: მან „დაუშვა" დილემის ორივე კომპონენტი, „დაუშვა" ისიც, რომ გმირი სწორედ ისეთია, როგორადაც მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში წარმოსდგა და, ამავე დროს, მკვლელიც არის, არავითარი სასამართლო შეცდომა არ მომხდარა, სასჯელს დამსახურებულად, კოდექსის შესაბამისი მუხლის მიხედვით იხდის.

ეს ხომ ბეწვის ხიდია, ალესილი დანის პირზე შიშველი ფეხით გავლას უდრის. ავტორმა გაიარა ბეწვის ხიდზე, გაიარა ისე, რომ მკითხველის გული აქტიური სიკეთისადმი მხარდაჭერით აღავსო, ფაქტის წიაღში ღრმად ჩაგვახედა. მკვლელობა, რომელიც ჟორა ჯინჭარაძემ ჩაიდინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალდატანებითი მკვლელობაა, იგი მიაგავს მკვლელობას „აუცილებელი თავდაცვის ვითარებაში", ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიმძიმის ცენტრი აქ ზნეობის სფეროშია გადატანილი.

მოვუსმინოთ მკვლელს:

„მესამეჯერ ვარ ახლა ნასამართლევი. პირველად რომ დამიჭირეს, თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი. არაფერი ისეთი. ჩემს ძმაკაცს სცემდა ვიღაც უცნობი. მაშინ უცნობი იყო... მოუგდია ფეხქვეშ ეს ჩემი ძმაკაცი და წიხლებით ცემს. ხან აქედან მივუდექი იმ დევს, ხან აქედან. ვეხვეწე, ვიტირე. ორჯერ იმნაირად მკრა ხელი... ძლივს წამოდგება თავპირდასისხლიანებული ეს ჩემი კლასელი, ორ ნაბიჯს გადადგამს საწყალი განზე, მივარდება, დაარტყამს და დააგდებს, კლავს რა... ფიქრის დრო აღარ იყო. მოვძებნე გადაჭრილი მილი, მივარბენინე და... მაშინ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. მეორეჯერ დინამოს სტადიონის შესასვლელში დამიჭირეს.. ორი თვის გამოსული ვიყავი ციხიდან... ჭკუანასწავლი. მიჭირავს ჩემი ბილეთი ხელში და მივდივარ ფეხბურთის საყურებლად. ბალღების ტალღა ხან იქით აწყდება, ხან აქეთ. თუ გახსოვთ, მაშინ ცხენოსანი მილიციელები ვამოყავდათ. ერთ ადგილზე ბალღები შეჩოჩქოლდა. ერთიც ვნახოთ, ბავშვის განწირული ყვირილი ისმის. ქურთის ბიჭია, ათი-თორმეტი წლის, უბილეთოდ გადადიოდა რკინის ღობეზე. დაინახა მილიციელმა და ცხენით მიაწვა... სადაცაა გულმკერდს შეუნგრევს. იძახე ახლა იქ, „არ გრცხვენია, მოქალაქე მილიციელო?" სად არის ამის დრო! დავაძვრე ჟამა, მუცელში გავურჭე ცხენს. ბავშვი სიკვდილს გადავარჩინე. ეს მეორედ გასამართლება. მესამედ, ახლა რაზე ვზივარ..."

არის თუ არა ზნეობრივი იძულება? მოქმედებს თუ არა ჯინჭარაძე პრინციპით: „არ შემიძლია ხელი არ გავანძრიო?" ბიუროკრატიული ასოკირკიტობა მისგან მოითხოვს სწორედ იმას, რაც წესიერი მოქალაქისათვის დასაგმობია — გულგრილობას, განზე გადგომას, გმირი კი მოქმედებს თავისი ადამიანური და მოქალაქეობრივი მრწამსის კარნახით, მოქმედებს და.. მესამეჯერ ასამართლებენ!

ამავე პრინციპით მოქმედებდა სიცოცხლეს ნაადრევად, ტრაგიკულ ვითარებაში გამოსალმებული შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი ალექსანდრე გამყრელიძე, ქუჩაში უმწეო ქალს რომ გამოესარჩლა და ბოროტმოქმედის მსხვერპლი გახდა. როგორ ფიქრობთ, სუსტი მხარის ინტერესების დასაცავად მოწოდებული გამყრელიძე ბოროტ კაცს თავს ასე ადვილად შეაკლავდა, ისიც მისებრ შეიარაღებული რომ ყოფილიყო? იქნებ საწინააღმდეგო სურათის მოწმეც გავმხდარიყავით? მაშინ როგორ შეტრიალდებოდა საქმე? რას დავარქმევდით ამ უკეთილშობილეს ადამიანს — ალექსანდრე გამყრელიძეს?

მაგრამ ისევ რევაზ მიშველაძის მოთხრობას დავუბრუნდეთ.

ახლა რის გამო ზის ჟორა ჯინჭარაძე? რატომ მოუკლავს კაცი?

კვლავ გმირს მოვუსმინოთ:

„...მე და ჩემმა მეზობელმა სახლი ავაშენეთ საზიაროდ... ფული არ მაქვსო, მითხრა... მერე რა... აგერ ფული და მერე გავსწორდეთ-მეთქი. ეს რომ მითხრა... სახლის აშენება დაწყებული გვქონდა. შუა გზაზე ხომ ვერ შევჩერდებოდით... არ ჩანდა ცუდი კაცი, ნოტარიუსში მუშაობდა სადღაც, ვასესხე ფული ორამდე ერთი სიტყვით და ავაშენეთ სახლი. კარის მეზობელზე უფრო ახლობელს ხელწერილს გამოვართმევ? არც მიფიქრია, თუ პირს მიშლიდა. მოკლედ, სასამართლომ საქმე არ მიიღო, ხელწერილი არ გაქვსო; უბნის რწმუნებულმა ვერაფერი შეაგნებინა. ნათესავ-მეგობრები შევკრიბეთ და უარი დამირტყა. ცილს მწამებს, ჩემთვის კაპიკი არ მოუციაო. ფული ჯანაბას! ხომ გასკდი კაცი გულზე... საღამოს გადავუდი. მარტო იყო. „გერა, რატომ აკეთებ მაგ საქმეს-მეთქი". „წადი, მიჩივლე, არ გაძლევ, მორჩა და გათავდაო". „რანაირად, გერა, მართმევ ჩემ ფულს-მეთქი?" „გართმევო". „მერე

სულ არ გეშინია არაფრის-მეთქი?“ „არ მეში-ნიაო“. „აბა, იცოდე, წყნარად გეუბნები, თუ ოც დღეში ფულს არ მომიტან, მოგკლავ, ჩემო გერა-მეთქი“. „ოცი დღე რად გინდა ახლავე გეუბნები, არ მოგიტან და ყურებზე ხახვს ვერ დამაჭრიო“. ოცი დღე მაინც მივეცი, იქნებ გონზე მოვიდეს-მეთქი. ოცი დღის მერე მოვკალი. არ დაიჯერებთ, ბატონო, არც ერთი წუთი არ ჩამითვლია ჩემი თავი მკვლელად, სასამართლოში წელში გამართული ვიდექი... ხომ ხედავთ არაფერი მოსაყოლი არაა, მაგრამ შორიდან მე მაინც მკვლელი და საშიში კაცი ვჩანვარ... მოდი, ჩვენს სიმართლეს გაუმარჯოს!...“

„ჩვენ სიმართლეს“!.. ეს პიროვნების მიერ შეკოწიწებული სუბიექტური „სიმართლე“ არაა, აქ დაუწერელი მორალური კოდექსის მოთხოვნა, საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული სამართლიანობის მიუდგომელი გრძნობა იგულისხმება. საზოგადოებას უნდა შესწევდეს უნარი მართლად განჭვრიტოს „შეუიარაღებული თვალისათვის“ შეუმჩნეველი მისი ყოველი ნიუანსი, რათა დამნაშავე მსჯავრს ვერ გაექცეს, მართალ კაცს კი თავისი სიმართლე არ დაეკარგოს.

არა, რევაზ მიშველაძის „ამკლები“ არ ქადაგებს იმას, რომ ანარქიას მივყოთ ხელი და ყოველმა კაცმა სამართალი თავად გააჩინოს, მაგრამ ხომ გვარწმუნებს მოთხრობის მხატვრული ქსოვილი, რომ ჟორა ჯინჭარაძე არ არის ის, რადაც მას სახავენ, მის მოქმედებას მხოლოდ სამართლიანობის დამყარების დაუძლეველი ლტოლვა მიუძღვის წინ, ის მარტო მაშინ მიმართავს უკიდურეს ზომას, როდესაც საზოგადოების გულგრილობა ყოველგვარ წრეს გადადის და დაუსჯელი ბოროტება ფეხქვეშ გათელილი სიკეთის დამარცხებას ზეიმობს!

„ამკლებს“ აზრობრივად ენათესავება მწერლის მეორე მოთხრობა „ნამუსის ქუდი“. იქ არავინ არავის კლავს, გარეგნულად ტრაგიკული თითქოს არაფერი ხდება, მაგრამ ტრაგიზმი, უსასოო სასოწარკვეთილება ქვეტექსტშია, იგი გულს გიღრღნის, მოსვენებას გიკარგავს, აქტიური მოქმედებისაკენ მოგიწოდებს. მოთხრობას სააშკარაოზე გამოაქვს ადამიანისათვის ყველაზე უფრო სათაკილო გრძნობა — ცინიზმი, გულგრილობა, „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირის“ უბადრუკი თეორია.

ცხოვრებისაგან კუთხეში მიგდებულ ნოე კაკაბაძეს თავისი გაჭირვება თავზე საყრელად ყოფნის. ის ყოველ ცისმარე დღე ქუჩაში დგას და სპორტლოტოს ბილეთებს ყიდის. ბოლო დროს სპორტლოტოს თითქმის აღარავინ ეტანება და მოხუცს უქმად დგომით გული უსივდება. აი, ერთხელ, საღამოხანს, შინ რომ მიდის, გზად ქალაქის პარკში გაივლის და რას ხედავს: ღლიცინა ბიჭებს, დრო რომ რითიმე მოკლან და თავდავიწყებ: სხვის დამცირებაში იპოვნონ, შუაში გონებასუსტი ლერი მოუქცევიათ და აწვალებენ. წრეში დაფრინავს ლერის ქუდი. „მომე!..“ — სასოწარკვეთილი გაჰყვირის ლერი და თავის ქუდს გულამოვარდნილი დასდევს, მაგრამ ამაოდ. ცხოვრებამოყირჭებული, გაზულუქებული უსაქმურები, პოტენციური სისხლის სამართლის დამნაშავენი, მიწას რომ ტყუილად ამძიმებენ, ამითაც არ კმაყოფილდებიან, დასცინიან ბუნებისაგან დაჩაგრული ადამიანის სიყვარულს, ხარხარებენ საკუთარ უპირატესობაში ღრმად დარწმუნებულნი. უბედურის წამებას და აბუჩად აგდებას ბოლო არ უჩანს. ირგვლივ ხალხია, მაგრამ არ ჩანს ადამიანი, ვისაც გულზე ლახვარივით დაესობოდა თავისივე მსგავსის ულვთო წამება და აღკვეთდა ამ ჯოჯოხეთს!

ტრაგიზმი სწორედ აქ არის — ადამიანთა გულგრილობაში, გულქვაობაში, განურჩევლობაში, ცინიზმში, სხვისი წვალებით ტკბობაში!

მხოლოდ ჭირგამოვლილი ნოე შეიჭრება წრეში და განრისხებული იყვირებს „მიეცით ქუდი!“ „ნოე ბატონო, შენ ხარ? რა შეგვაშინე, შე კაცო?“ ლაწირაკები თითქოს შეკრთებიან, საქმეში უფროსი, ათას ჭირგადანახადი კაცის ჩარევა მათ თითქოს შეაცბუნებს, საცოდავ ლერის ქუდს დაუბრუნებენ, მაგრამ აქ ხდება მოულოდნელი რამ, კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და გულის გამგმირავი: ვიღაც თავზეხელაღებული ახლა მოხუცს წაართმევს ქუდს და ამფსონს ესვრის. ნოე ამას არ მოელოდა, როგორ წარმოიდგენდა; არ მოელოდა არც მკითხველი. შეურაცხყოფისაგან დამუნჯებულ მოხუცს ლამის მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოს. „ცოტა ხანს გაჩერდა, იქნებ ამდენ ხალხში ერთი ქომაგი მაინც გამიჩნდესო, მაგრამ „შესანიშნავ სამეულთან“ ურთიერთობის გამწვავებას ვერავინ ბედავდა.“ „მომეცით... არა ვარ თქვენი ტოლი მე!“ — ქვეყნის სამასხაროდ გადაქცეული მოხუცებული, როგორც წეღან გონებასუსტი ლერი, ხან ერთს მივარდება, ხან მეორეს, მაყურებლები კი ხარხარებენ, სიცილისაგან ერთმანეთს აწყდებიან. „მომეცი ჩემი ქუდი, ნუ აგლახავებ ჩემზე ამ ხალხს, არ ვარ მე მაგის ღირსი!“ „მე წაგართვი ქუდი? ვინცხამ წაგართვა იმას მოკითხე. შენ რომ რამე ჩაგაბაროს კაცმა, მიცემ სხვას?“ და ასე შემდეგ გაუთავებლივ. ხდება ეს დღისით, მზისით, ქვეყნის თვალწინ, აზრადაც არავის ებადება, რომ უბოროტესი დანაშაულის მოწმე და მონაწილეა. სადღაც გვერდზე მიდის დიდი ცხოვრება, მიდის თავისი უზარმაზარი პრობლემებით, ყოფნა-არყოფნის ჭიდილით, „შესანიშნავი სამეული“ და მისი მაყურებელი ბრბო კი (სწორედ ბრბო, სხვა რა შეიძლება ამ საქმეგამოლეული ხალხის ცქერას ეწოდოს!) პაპისტოლი კაცის უმაგალითო გაცუცურაკებაა. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელისა და ამაღლებულის დამდაბლებით. მიწასთან გასწორებით და ლაფში ამოსვრით ერთობა.

ვაი რომ სიმართლეა, მკაცრი, დაუნდობელი, ჯავრისაგან გულგასენილი მოყვრის პირით თქმული!

თვითნებობა, სინდისის ქენჯნის სრული უქონლობა, იმის შეგნება, რომ შენი საზოგადოებრივი მდგომარეობა საზოგადოებაზე მაღლა გაყენებს, გზას უხსნის ძალმომრეობას და ადამიანთა ურთიერთობის ყოველგვარი ნორმის დანაშაულებრივ დარღვევას. რევაზ მიშველაძეს არცთუ უსაბუთოდ მიაჩნია, რომ ეს ჩვენი დღევანდელობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მანკია და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი მოვალეა მის წინააღმდეგ უკომპრომისოდ გაილაშქროს. ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა მწერალმა? მოთხრობები და ნოველები „თარჯიმანი“, „დღე პირველი“, „ილაჯი“, „დარდი“. „ენუქი“, „გალიაში რომ გაგზარდე“ და სხვები. რევაზ მიშველაძემ სწორედ ამ პრობლემას მიუძღვნა. ყველა მოთხრობაში სიცოცხლის ნერვი ფეთქს, ჩვენი თანამედროვე, ჩვენი დროის სიხარულითა და საწუხარით შეპყრობილი ადამიანები ცხოვრობენ.

აი, თუნდაც „უსაფლავო კაცის“ პერსონაჟი მელიტონი. მელიტონი სასაფლაოს დირექტორია, სასაფლაო აჭმევს მას პურს, ისევე როგორც გლეხკაცს ვენახი და ბაღი, და ამიტომაც გაშინაურებია. სახლიც იქვე უდგას. ეზოს სასაფლაოსაგან ღობე ყოფს. მელიტონი საფლავის მიწას ყიდის და ფული ფულს ემატება. აივსო საწყაო, გაიყიდა ყოველი გოჯი მიწა, სადაც კი მიცვალებულის დამარხვა შეიძლებოდა, სასაფლაო დახურულად გამოაცხადეს. რაღა გზას უნდა დასდგომოდა მელიტონი, რომელსაც მადა ჭამაში მოუვიდა? ღობეს უკან დაახევინა და თავისი ეზოს საფლავებად გაყიდვას შეუდგა. მალე გათავდა ეზოც. სახლში შესასვლელი ბილიკიღა დარჩა. მოულოდნელად მოკვდა მელიტონი. ასე მოულოდნელად კვდება ყველა, ვისაც თავი უკვდავი ჰგონია. როგორც ყველა მკვდარს საფლავი მასაც დასჭირდა, მაგრამ აქ, არც სასაფლაოზე და არც ეზოში, ოდესღაც აქაურობის ბატონ-პატრონის დასამარხი მიწა აღარ არის...

რაოდენ ვიწროა ჰორიზონტი, რაოდენ დაბალია ცა, სუნთქვაც კი ჭირს. დოვლათის დაგროვების თვითმიზნად ქცევას რა ზომამდე დაუმონებია ადამიანი. ფულის, უზომოდ ბევრი ფულის შოვნის სურვილი ჟანგივით მოსდებია კაცის გულს და ადამიანს თავისი ადამიანური სახე დაუკარგავს.

ამასთან დაკავშირებით, ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბული მწერლის ერთტომეულიდან კიდევ ერთი მოთხრობა — „ბაგრატის ტაძარი“ მაგონდება. ეს მოთხრობები გარეგნულად თითქოს ერთმანეთს არა ჰგვანან, ვინაიდან მწერალს ისინი სხვადასხვა მასალისაგან აუგია. მაგრამ თუ უფრო ღრმად დავუკვირდებით, აზრობრივ ნათესაობას სიტყვასა და სიტყვას შორის ამოვიკითხავთ.

ქალაქ საფიჩხიაში სტუმრად ჩამოდის ვიღაც უცხოელი სონგი, ქალაქის დაწესებულებების ხელმძღვანელებს მინდობილი აქვთ სონგს თითო დღით, დილიდან საღამომდე უმასპინძლონ. უცხოელს უამრავი რამ წაუკითხავს, სანამ აქეთ წამოვიდოდა, იცის აქაურობა, ხარბად ათვალიერებს ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, კიდევ მეტის შეტყობა სურს. სამწუხაროდ, ყველა მისი კითხვა უპასუხოდ რჩება, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მასპინძლები მიკიბულ-მოკიბული, არაფრის მთქმელი პასუხით კმაყოფილდებიან. მათ არაფერი გაეგებათ ქალაქის წარსულისა, რომლითაც თავს იწონებენ, არც ბაგრატის ტაძრის გარშემო იციან რამე და ნატრობენ, აქაურობას მალე გაეცალონ, რათა მამაპაპურ სუფრას მოუსხდნენ და უცხოელ სტუმარს თავიანთი ქართველობა დაუმტკიცონ. ასე გრძელდება ყოველდღე. ყოველი ახალი მასპინძელი დღეს ბაგრატის ტაძრის ნანგრევზე ასვლით იწყებს, არც კი კითხულობს — იქნებ გუშინ უკვე ნახეს ეს ნანგრევი? — და შებინდებამდე... შუაღამისას, ღრეობით ამთავრებს.

მწერალს სალებავები არ დაუშურებია და მოვლენის წიაღში წვდომის ჩვეული მანერით გადმოუცია გაოგნებული უცხოელი ტურისტის მასპინძელთა სულიერი ავლადიდება. ნუთუ ეს იმათი შთამომავლებია, ვინც მეათე-მეთერთმეტე საუკუნის მიჯნაზე დიდებული ბაგრატის ტაძარი ააშენა, მახვილი აღმართა, მრავალტანჯული სამშობლო გააერთიანა და ქრისტიანული და მაჰმადიანური სამყაროების მიჯნაზე ახლო აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი სამეფო შექმნა?

თუ ამ ფართო ისტორიულ ფონზე არ გავიაზრეთ, მოთხრობის მიზანსა და დანიშნულებას ვერ მივწვდებით. რევაზ მიშველაძე პირუთვნელი მხატვარია, ის თვალს უსწორებს სინამდვილეს და თავისი ტალანტის წყალობით მკითხველსაც აიძულებს, საღად იაზროვნოს, ნაოცნებარი ან წარმოდგენილი რეალობად არ მიიღოს, მოვლენები სწორად შეაფასოს და აქედან საჭირო დასკვნები გამოიტანოს.

მწერალი ერთფეროვნებასა და მონოტონურობას ვერ გაექცეოდა, ცხოვრების სინამდვილეს, მის ავ-კარგს მხოლოდ ერთი რაკურსიდან რომ ხედავდეს და ხატვა-ძერწვისას ერთსა და იმავე სალებავებს რომ იშველიებდეს. იმ პერსონაჟების გვერდით, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ, მის მოთხრობებში გამოყვანილი არიან კეთილი საწყისის მატარებელი ადამიანებიც, ალტრუისტები, უანგაროდ რომ ზრუნავენ სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა კეთილდღეობისათვის, მაგრამ ავტორი სწორხაზოვნებას ვერ ასცდებოდა, აქ რომ არ შეჩერებულიყო და თავისი გმირები ახალი პრობლემების წინაშე არ დაეყენებინა.

ამ ყაიდის ნაწარმოებებს განეკუთვნებიან: „ყაყანი", „ფათუშა", „სპირიდონი", „სტუმარი", „უბრალონი", ქურდი", „შემთხვევა", „დავითი", „იმედო", ტვირთი", „ქველი" და სხვ.

მოთხრობა „ქველში", რომლითაც მწერლის ზემოთხსენებული ერთტომეული იხსნება, მარტოხელა მოქალაქე, მუზეუმის მეცნიერმუშაკი, ცხოვრების ძირმწარენაჭამი გიგა სახამბერიძის მრავალშვილიან, ხელმოკლე ოჯახს საკუთარ დანაზოგს მიუტანს და აჩუქებს, თქვენ უფრო გჭირდებათ ეს, მოიხმარეთო.

მოთხრობა ავტორს ცოცხლად, ზესაშური ოსტატობით, ცხოვრების ღრმა ცოდნითა და გონებამახვილობით აქვს დაწერილი.

„წაქცევაზე მისული, კარმოღლეტილი ჩეჩმიდან ხუთიოდე წლის თავბურძგლა ბიჭი გამოვიდა და ჭიშკართან, უცნობის შორიახლოს, უხმოდ გაჩერდა. სარდაფიდან ნიფხვისამარა კანჭებჩაშავებული გოგო გამოხოხდა და ბიჭს გვერდით დაუდგა... ყავრით დახურულ სახურავზე წითური, ჭორფლიანი ათიოდე წლის ბიჭი გადმოდგა. ერთხანს შორიდან ზვერავდა უცნობს, მერე კატის ნაბიჯებით მიუახლოვდა და შუაში ჩადგა. სამივენი კარგა ხანს უნდობლად, შიშნარევი მზერით, თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდნენ შავმოსასხამიან კაცს."

ამ კაცმა თავისი დანაზოგი მოიტანა სახამბერიძეებისათვის გადასაცემად. უპირველეს ყოვლისა, თვით სახამბერიძის ოჯახი და ბოლოს ყველა გაოცა და დააეჭვა გიგას ნაბიჯმა. რას ნიშნავდა ეს? ყველაფერი იფიქრეს, გარდა იმისა, რაც ნამდვილად მოხდა: კაცმა გაჭირვებული თვისტომისათვის ხელის გამართვა გადაწყვიტა და კიდევაც მოიმოქმედა ეს.

ასეთსავე გაოცებას და ადამიანების ეჭვს იწვევს მეორე მოთხრობის — „ტვირთის" მთავარი გმირის რამაზ თაყაიშვილის საქციელი. ის, თავგამოდებული მამულიშვილი, ოთხასი წლის წინათ უცხოეთში დამარხული დიდი ქართველი მეცნიერის ნეშტს მოასვენებს. ვინ არის მიცვალებული? რად მოხვდება ამდენი დავიდარაბის გადამტან რამაზ თაყაიშვილს? როგორ შეიძლება, ნორმალურმა კაცმა დაიჯეროს, რომ ყოველივე ეს უანგაროდ ხდება? არა და ხომ ვიცით, რომ ყველაფერი დღესავით ნათელია?!

რევაზ მიშველაძე თანამემამულის არსებაში ჩასაფრებულ ავ სულს ებრძვის, რომელსაც არაფერი არ სწამს და არ სჯერა, რასაც ხელი არ ეკიდება, რაც არ შეიძლება სასწორზე დაიდოს და აიწონოს, ეკამათება, ამხელს, ხამარცხვინო ბოძზე აკრავს, მაგრამ მის ხმას ნაღველი ეპარება: ეს საქმე არცთუ ისე ადვილია, თაობების მეცადინეობა უნდა, გაძნელდება გადაბრუნებული ურმის ლაფიდან ამოთრევა!

ზემოთ ვამბობდი, რევაზ მიშველაძე ერთობ ძუნწად, თავშეკავებულად, შერჩევით წერსმეთქი. ეს მით უფრო ითქმის დეტალებზე, რომლებსაც ავტორი ასევე გააზრებულად, ზუსტად თავის ადგილზე იყენებს. დეტალის საშუალებით ის ახალ ინფორმაციას გვაწვდის და მკითხველის ფანტაზიას მეტ გასაქანს აძლევს.

აი, ერთი, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, სიტყვის მასალად მოხმობილი დეტალი:

„ოდესღაც ეს მიწები, წყალწითელას გაღმაგამოღმა, ვინმე სალუქვაძის ყოფილა. დრონი იცვალნენ, მიწაზე კერძო საკუთრებამ ჭირი მოგჭამათ, სახელი კი მინდორს ძველი დარჩა. არ ვიცით, ცხონებული სალუქვაძე რაში იყენებდა ამ მინდორს, კოლმეურნეობას კი ნამდვილად არაფერში არგია. მოუსავლიანი, წიპული მიწაა, ბალახიც არ ხარობს ხეირიანად".

ვითომდა სხვათაშორის, სხვა ამბავთან დაკავშირებით, მთხრობელი გაკვრით ეხება მოვლენას, რომელმაც ქართული სოფლის ბედი გადაწყვიტა, სავარგული უნაყოფო ხრიოკად აქცია, ოდითგანვე მიწაზე მიჯაჭვულ ქართველ გლეხკაცს მარჩენალ მიწაზე გული აუყარა. ის გლეხკაცი ახლა მიწას გაჰქცევია, გაქალაქებულა ანდა სახლ-კარი ოდესღაც ნაპატიებ, ნაკელით განოყიერებულ საყანე ხოდაბუნში ჩაუდგამს და შინ ბოსტანსაც აღარ იკეთებს, რომ რევაზ მიშველაძის სხვა მოთხრობის — „არულის" გმირივით პირის გასახველებელი და ლობიოს შესაკმაზი მწვანილი ბაზარში არ იყიდოს. რამდენი ასეთი „ჩამონართმევი" მიწა, ვენახი და ბაღი გავერანდა, დაიმეწყრა, ჩაიხრამა, არავის მიწად იქცა, ისე გარდაიქმნა, რომ ვეღარც კი წარმოიდგენ, თუ ოდესმე რისიმე მოსავალი მოდიოდა!

დღეს მივხვდით წინა თაობის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს. ვცდილობთ გავასწოროთ, ცხოვრებას კვლავ ნორმალური მდინარება მივცეთ. გლეხს უკან ვეპატიჟებით, „ჩამონართმევ" მიწას ვთავაზობთ, მაგრამ მას ამის გაგონებაც აღარ უნდა, გუშინდელი მიწის ბურჯი მიწის მადლს გადასჩვევია, სხვა საფიქრალი და საწუხარი გასჩენია.

შორს წაგვიყვანდა, კრებულში შეტანილი ყველა მოთხრობა, მწერლის მიერ აღძრული ყველა პრობლემა, ყველა მოტივი სათითაოდ, გამოწვლილვით რომ განგვეხილა, ყველა მათ, როგორც უკვე ითქვა, მწერლის აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია აერთიანებს. რევაზ მიშველაძე ერთი იმ რჩეულთაგანია, ვინც თავისი შემოქმედების სულისკვეთებით, პუბლიცისტური პათოსით მაშვრალ წინამორბედთა მამულიშვილურ ტრადიციას აგრძელებს. მე, როგორც ასაკით უფროსმა მეგობარმა, მსურს ახალი გამარჯვებები ვუსურვო მას ამ სამშვილიშვილო საქმეში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

# დრო ხედავს ახალ გზისკენ გადახრას...

ჩვენი დროის პოეზია იქმნება იმ ცვალებადი მოვლენებისაგან, რომელთა წინააღმდეგობრივი ბუნება შემოქმედის არაერთმნიშვნელოვანსა და მოულოდნელობებით აღსავსე გრძნობად — ემოციურ შესაძლებლობებს აძლევს დასაბამს. ისინი სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით წარმოაჩენენ ერთის შეხედვით ჩვენთვის უკვე ნაცნობსა და ახლობელ მოვლენებს. განსხვავებული რაკურსით ხსნიან იმ ყოფითსა თუ გონებისათვის ძნელად მისაღწევ „იეროგლიფებს", რომელთა მიწიერი შინაარსი თითქოს არც თუ იმდენად მნიშვნელოვნად წარმოუდგება ჩვენს აღქმით შესაძლებლობებს.

არა იმიტომ ვამბობ მე „წინ",
რომ იქ რაღაც აღმოვაჩინე,
არამედ, ღმერთო, მეშინია უკან მიხედვის,
რადგანაც იქ, იმ წარსულში,
იმ თეთრ გორაზე,
თრთვილით დაფარულ ჯაგებს შორის,
დამსხდარან ორნი:
მელა—ლამაზი და ცბიერი ყელმოხატული,
და მგელი, მგელი,
მომლოდინე, როგორც ისარი.

(ბ. ხარანაული)

პოეტის ამგვარი მედიტაციები ახლებური წარმოსახვებით ამდიდრებენ მკითხველის ცნობიერებას, ახლებური ინფორმაციებით ტვირთავენ მის ემოციურ სამყაროს. ბუნებრივია, პოეტურ ნოვაციათა შეცნობა მთელ რიგ სირთულეებთან არის ხოლმე დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა კი ფრიად და ფრიად ძნელდება სააზროვნო პოეტური „მასალის" იმგვარად წარმოდგენა, როგორი ჩანაფიქრითაც იგი მოევლინა „სამყაროს". სწორედ ამიტომ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახალი პოეტური ტალღის სრულფასოვანი აღქმა აუდიტორიასთან ახლებურ ურთიერთობასაც ითვალისწინებს. ერთ დროს სიკეიროსს — ცნობილ მექსიკელ მონუმენტალისტ-მხატვარს ასეთი რამ უთქვამს: „—ფრესკის ხელოვნება კედლის მხატვრობისა და ცვალებადი აუდიტორიის ურთიერთდამოკიდებულებაშია მხოლოდ წარმოსადგენი". სხვათაშორის ეს ფაქტის კონსტატაციაა, რამეთუ კედლის ფერწერის შინაგანი დინამიზმი განისაზღვრება შეცნობის განსაკუთრებული რაკურსით.

ალბათ ძნელდება შერჩევა პოზიციისა, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მთელი სისრულით მოიხილო ფერთა გამმაში ამეტყველებული ფიგურები. ახლებური ხედვა ხელოვნების ნიმუშისა, ბუნებრივია მაყურებლისა და მკითხველის გემოვნების ცვალებადობასაც ეფუძნება. სამწუხაროდ ხშირია ხოლმე იმგვარი შემთხვევები, როდესაც მკითხველის ცნობიერება „იტანჯება" იმ პრობლემათა შემეცნების ცდებით, რომელნიც ახალსა და ამდენად მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავენ თავის თავში. ამგვარმა პოზიციამ არ უნდა გამოგვატანინოს დასკვნა, თითქოს წარსულის ნოსტალგია — არაგულწრფელია, ან ჩვენი საუკეთესო მხატვრული ქმნილებები არ აღელვებდნენ ჩვენს სულს. წარსულის „ძვირფასი სახებანი" ალბათ მხოლოდ სიყვარულისა და მათთან დაშორებით გამოწვეული სინანულის ცრემლიანი განწყობილებებით განგვაწყობენ. სწორედ ამ უნიკალური ტრადიციის სიღრმისეული შეცნობით ხდება საკუთარი ინდივიდუალობის გააზრებული და დამოუკიდებელი გრძნობის დადგენა იმ თაობის პოეტებში, რომელთაც ძირითადად 70-იან წლებით დაათარიღეს შემოქმედებითი ცხოვრების პირველი ნაბიჯები.

რა გვეკუთვნის ჩვენ?
იქნებ ეს წამი,
ეს წამი ძილსა და ღვიძილს შუა, —
მიჭყლეტილი ამ უდიდეს მოვლენებს
შორის —
რომელსაც არვინ არ უმღერდა,
არვის ახსოვდა

(ბ. ხარანაული)

იმ პოეტთა შემოქმედებით სახეს, რომელთა შესახებაც ვაპირებ საუბარს ყველაზე უფრო სრულად და ხელშესახებად განასახიერებს ბესიკ ხარანაულის უაღრესად საინტერესო და თავისთავადი პოეზია.

ო, შენ ჯერ კიდევ
ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ,
მაგრამ სულ მალე,
როცა ამ ქვეყნად
არ დარჩება კაცი, რომ შენთვის
არ დაედგას ფეხი,
შენ მაშინ
ღმერთად იქცევი და მიგვატოვებ.

ყოფიერების ეს ზნეობრივი ფორმულა პოეტის სულიერი ფიზიონომიის განმსაზღვრელ ნიშნადაა ქცეული, რადგან ყოფიერება მისი ღრმა

რწმენით არყოფნის დროებითი მანიფესტაცია და მისი გაცხადებული ხილული სახეა. ანალოგიური მორალურ-ზნეობრივი მაქსიმალიზმითაა ალბეჭდილი პოეტის არა ერთი და ორი ლექსი:

და, ჰა, ყოველთვის, როცა ცხოვრებას
ნებისყოფიან მზერას მივაპყრობ
და დავაპირებ,
რომ ვაქციო სიღარიბე ჩემი —
სიმდიდრედ,
ხოლო სიმხდალე — ვაჟკაცობად...
მაშინვე მომდის მოჩვენება
საწყალ ავადმყოფ
და შემცივნულ გოგონასი... და მეუბნება:
„მე უთვალავი წელი არის,
რაც თავი მახსოვს, სულ ასე ვარ
და ყველა, ვინც კი
შენებრ საბრძოლოდ შემართულა,
მე მადგამს ხოლმე ფეხს
თავის გზაზე!“

საერთო ლირიკული შთაბეჭდილება, მისი ემოციური შეფერილობა, განწყობილებათა იმგვარ რიგს წარმოშობს, რომელიც ალტრუისტულ მსოფლშეგრძნებასთანაა დაკავშირებული. პოეტის ეთიკურ-მორალური კონცეფცია წმინდა ადამიანური სახით წარმოსახავს სულის უფაქიზეს ხვეულებს, რომელთათვისაც ყოფიერებასთან შეხების ჟამი იმგვარი ხარისხით ვლინდება, რომელიც საცნაურსა ხდის მკითხველისათვის პოეტის ცხოვრების ფილოსოფიას. აბსოლუტური გულწრფელობის შინაგანი მოთხოვნილება და ერთგვარი მოკრძალება მკითხველის წინაშე ბოლომდე გახსნისა, აიძულებს ხოლმე მას ეძიოს ერთადერთი შესაძლებლობა საკუთარი სულიერი ფიზიონომიის წარმოსაჩენად — კერძოდ, სიმბოლიურ ფორმაში გაათვალსაჩინოს ყოველივე ის, რაც საკუთარი სულის ინგრედიენტს შეადგენს. მის ლექსებში კვლავ და კვლავ ხმიანდება ახალი ეჭვები, სინდისის ქენჯნის სახეცვლილი ვარიაციები. რჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ შემოქმედებითი პროცესი წარმოიდგინება მისთვის ვიწრო, ყოფიერების გარსიდან გასვლის და სულიერ თავისუფლებასთან მიახლების ნეტარ წუთებად.

აი, ასე ვექცევი ჩემს თავს,
თითქოს გზაზე თუნუქის კოლოფს
მივაგორებდე.
ღამე, ნადგომით სავსე ღამე...
მაგრამ უფრო შემზარავია,
ტანჯვაში რომ გაგახსენდება,
რომ დილის შუქმა ისევ უნდა შეგარიგოს
სუყველაფერთან,
რასაც ღამით გამოეთხოვე.

ცხოვრების ფერადოვან დუღილს მიყურადებული პოეტი, შინაგანად მაინც საკუთარი სულის სიღრმეებისკენაა თვალმიმართული. სწორედ იქ, ყველაზე უტყუარ და ერთგულ წიაღში აღმოაჩენს ხოლმე პასუხს იმ მტკივნეულ კითხვებზე, რასაც ცხოვრება აყენებს მის წინაშე. მისი პიროვნებიდან ამოიზრდება მოვალეობისა და მონანიების (ობიექტურად—სამყაროში არსებული დანაშაულის გამო) შეგრძნება, რაც საოცარი ვნებიანობით ითხოვს დაუნჯებას. მტანჯველი კითხვებით შემოჯარული, იგი თითქოს ცდილობს მოიშუშოს „დაავადებული სინდისის“ მწველი განცდები. მაღალი ადამიანური ვნებებით ალბეჭდილი პოეტური სახეები ფიქრისა და განსჯისაკენ მიმართავენ მკითხველის ცნობიერებას. პოეტის მედიტაციები მოულოდნელი სახით წარმოსახავენ ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მოვლენებს, რომელნიც ახალი რაკურსით ირეკლებიან შემოქმედის გრძნობად—ემოციურ შესაძლებლობათა სიბრტყეზე:

არის წუთები,
ძილგატეხილს, შუაღამისას
შემოგესმება ხმაური რამ, რომელიც
გაბნევს
და ვერ ხვდები,
თუ რას გაგონებს:
ცხენის ფეხის ხმას,
ბავშვობიდან რომ ჩარჩა ხსოვნას,
შიშს, ხეთა შრიალს,
თუ ქალის ნაბიჯს,
სტუდენტობის წლების წვალებას,
არის ხმაური,
ძილგატეხილს, შუაღამისას
შემოგესმება... და მხოლოდ გვიან,
გაჭირვებით ხვდები, რომ იგი
დედამიწის გულისფეთქვაა.

ბესიკ ხარანაულის ლექსებისათვის დამახასიათებელია დრამატიზმის კონცეპტუალური ხასიათი. იგი სხვადასხვა ტონალობით ჩნდება ხოლმე ამა თუ იმ ლექსში და ფიქრით დატვირთულ სააზროვნო სიტუაციათა გამომწვევ ფაქტორად იქცევა. განსჯითი, გონისმიერი საწყისის პრიორიტეტი, გარკვეული ხარისხით თრგუნავს ინტუიციის როლს და მკითხველის უფრო გონისმიერ აღქმას ითვალისწინებს სრულყოფილი გაცნობიერების თვალსაზრისით.

სულ რამოდენიმე სტროფშია ხოლმე კონდენსირებული პოეტური მედიტაცია, მაგრამ მისი მოქმედების ძალა მიგვანიშნებს თუ რა მაღალი სულიერი ენერგიითაა იგი მიღწეული.

ბესიკ ხარანაულის თემატური რეპერტუარისათვის ფრიად ნიშნეულია წარსულის ხილვებით ნასაზრდოები რემინისცენციები. მისი ლექსების კონკრეტული ნიადაგის მოსინჯვა და ამ გზით რეალურ სულიერ პრობლემატიკასთან მიახლოება ნათელს მოჰფენს წარსულის ნოსტალგიით გამოწვეულ უმძაფრესი განცდების იდუმალებას...

ჩემო ბავშვობა, კვლავ შემოავლე
შენი ნეკნები ჩემს სულს, რომელიც
ძველ ჰურჰელშია გაწყალებული.

რაა ბავშვობა? ათიოდე გახსენებას ჰქვია
ბავშვობა?
ჩვენ შევატოვეთ ჩვენი ბავშვობა .
დროს, რომ აქამდე გამოვეშვით
და ახლა აქ ვართ, აქეთ ნაპირზე,
ის კი, ლამაზი და საწყალი,
იმ მხარეს დარჩა — ეს სიკვდილზე
უარესია.

წარუხოცელი სევდა და ტკივილი დაჰყვება პოეტის გარდასულთან მიახლოების წუთებს. შთამბეჭდავი და მეტად მნიშვნელოვანია შედეგი ამ განწყობილებისა. იმ თაობის შემოქმედთა შორის, რომელსაც იგი ეკუთვნის, ყველაზე ძლიერ სწორედ მის სულს ალებეჭდა ბავშვობის ცხოველი განცდა, დროის ნისლით დაბინდული წარსულის ხილუეტები. მის პოეზიაში წარსულით „ნასაზრდოები“ ტკივილი გაცილებით უფრო ღრმა განცდად წარმოიდგინება, ვიდრე ცხოვრების ვრცელ გზაზე მიღებული ნეტარებით გამოწვეული იმპულსები. ამიტომაცაა, რომ პოეტის საუკეთესო ქმნილებებში ასე ძალუმად ისმის ადამიანური სევდის გამოძახილი.

დამისხი, ფშავლის დედაკაცო, შენი არაყი
და მითხარი: „შე ჩემთავმკვდარო“.
ამ სიტყვისათვის აქ მოვსულვარ,
როგორც წამლისთვის.
დამისხი, ფშავლის დედაკაცო,
ოღონდ ნუ მეტყვი, რომ უცხო ვარ,
რადგანაც იქ, საიდანაც გამოვიქეცი,
ვთქვი, რომ მივდივარ ჩემს მხარეში,
ჩემს ქვეყანაში.

პოეტის ლექსებში საგრძნობია ის ზომიერება, რომელიც არასოდეს იკარებს ყალბ სენტიმენტებსა და უსასრულო ოხვრას, არასოდეს იქცევა მისთვის წარსულის ხილვა სულიერი ტრაგიზმის იმ მდგომარეობად, რომელიც ხელოვნურ ეგზალტაციასა და მასში განზავებულ შინაგან ტკბობას გულისხმობს. ეს თეატრალიზებული პოზა, ნარცისულ თვითშეყვარებასთან რომ არის ხოლმე წილნაყარი, არაორგანულია მისთვის. ამიტომაც, არასოდესაა მკითხველის ცნობიერება, მისი გრძნობად-ემოციური შესაძლებლობები, ფსევდო სოლიდარული პოეტის განცდებისა და ფიქრების მიმართ. არ შეიძლება ნეიტრალური იყო პოეტის ამგვარ მედიტაციასთან ზიარების ჟამს:

უთხარი, დედი, ამ მინდვრებსა და ამ
მთა-გორებს,
ამ სოფლებსა და ამ ქალაქებს,
ამ ქალებსა და ამ ვაჟკაცებს,
რომ დაგიბრუნონ შენი შვილი.
გამომგლიჯე ყველას თითო-თითო ნაწილი,
შეიგროვე კვლავ შენს კალთაში,
გაეცალე აქაურობას.
სადმე ხის ჩრდილში,
მწვანე ველზე წყლის პირს დაჯექი
და აწასხი ისევ თავიდან.

პირადად განცდილი და გადალახული ტკივილი მისი შემოქმედებისათვის მამოძრავებელ ძალად და მოტივადაა ხოლმე ქცეული. სულის ჭრილობების გაშიშვლებით იგი აღწევს მხატვრული სიმართლის ისეთ სიმაღლეს, რომლის სრულყოფილი აღქმა ესთეტიკურ განცდასთანაა დაკავშირებული. იგი მიმართავს მკითხველს ფიქრისაკენ, ზნეობრივი და მორალური მაქსიმალიზმისაკენ, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისაკენ. პოეტის ანალიტიკური გონება უარყოფს ყოველგვარ ილუზიებს, ჟანგლირების ხელოვნებას, მკითხველთან კოკეტობის თვით უმცირეს შესაძლებლობებს. სხვათაშორის ამგვარი პოზიცია არც თუ საჩინოა დღევანდელ ქართულ პოეზიაში. ამიტომაცაა იგი განსაკუთრებულად ფასეული და ხაზგასასმელი.

...ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ბედნიერადაა შერწყმული „ინტელექტუალური კრიტიციზმი“ და „ლირიკული იმპულსი“. შეიძლება ითქვას, რომ თაობის განწყობილებები მან ყველაზე უფრო ღრმად და სრულყოფილად წარმოსახა ინდივიდუალური საშუალებებით.

მისი პოეზია შეიძლება შეადარო ფიქრს, გაძლიერებულს მრავალგზისი ექოთი.

სხვაგვარად წარმოუდგენელია აღქმა პოეტური სენტენციისა:

რა არის ორმოცი წლის კაცის ცხოვრება?
ახალგაზრდობის უკანასკნელ წრეს უვლის
იგი
და ფინიშთან კი ყვავილებით არავინ
ელის.
უცდიან საყვედურებით, უცდიან
პრეტენზიებით,
უცდიან ყველაფერი რომ გაუგეს—ისე!
იციან რა ჩიტიც არის, რაც შეუძლია.
ის კი აგვიანებს, აგვიანებს ფინიშამდე,
სწელავს თავის წრეს
და ამ ტრაგიკულ წამებიდან აკვირდება
ირგვლივ მანძილს და ირგვლივ წარსულს.

პოეტის ვნებათაღელვა მკვიდრად განფენილა სააზროვნო სიტუაციათა მთელ სივრცეზე—ვითარცა ანარეკლი წარსულისა და დღევანდელობის მძაფრი განცდისა. საცნაურია ისიც, რომ ვითარცა ყოველი ღრმა ფიქრებთან ნაზიარები პოეზია, იგი, არა მხოლოდ კრიტიკული, არამედ აღმსარებლობითიცაა.

მისი ლირიკული ლექსი, როგორც წესი, ეძღვნება რომელიმე მკაცრად გამოკვეთილ თემას ან კონკრეტულ საგანს. ეს გადამწყვეტ გავლენას ახდენს პოეტის სტილზე. ყოველივე ზედმეტი ჰქრება, ყოველი სიტყვა, ყოველი ეპითეტი ან სახე მთლიანად ექვემდებარება თემასა და ჩანაფიქრს. მდიდარი სახეობრივი სისტემის ფონზე იქმნება შთაბეჭდილება გამოსახვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებათა უმკაცრესი ეკონომიისა, სათქმელი მთლიანად ერთ ლექსში ამოიწურება და ამდენად ღირებულება ყოველი სტრიქონისა მნიშვნელოვნად იზრდება. აი რამდენიმე ნიმუში ამგვარი ლექსისა:

ნეტავი ეს კაცი გამაბანებინა,
დამასმევინა მაგიდასთან,
ცხელი კერძი მიმატანინა,
და იდაყვდაყრდნობით იმისათვის
მაყურებინა,
და ისევ როგორ უბრუნდება მის
სხეულს ძალა
და გულს—იმედი.

და კიდევ:

მე ისე არ დამავიწყდება
ის ადგილი
სადაც შენ გნახე,
როგორც მგელს არ დაავიწყდება,
სადაც დათოფეს.

ბესიკ ხარანაულის ლექსების სრულყოფილი გაცნობიერება არ წარმოადგენს უბრალო შემეცნებით პროცესს, რადგანაც ისინი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ინფორმაციის მატარებელნი არიან. მათი ესთეტიკური მნიშვნელობა ყოველთვის არ არის ადვილად „მოსაპოვებელი“. თუ ცალკეული ლექსები შედარებით რთულია აღსაქმელად, მხოლოდ იმიტომ, რომ მათში არაფერია ნაკლებარსებითი — განმარტებითი სიტყვებისა და სააზროვნო „გადასასვლელების“ სახით. პოეტისათვის თითქოს აუცილებელია ერთდროულად წარმოსახოს ისე ბევრი, რომ ჯაჭვი მსჯელობისა დაუმორჩილოს მხოლოდ საბოლოო შედეგს, კერძოდ აზრის აპოგეას. აი ნიმუში ამგვარი პოეტიკისა —

როცა უმანკო ნაკადულის ხმა
შენში მთვლემარე შიშს წამოაფრენს —
თითქოს წარღვნის სუნმა დაგკრაო!

და კიდევ:

ო, როგორ მინდა გავექცე ყველას,
ვისაც შეუძლია ძველი სიტყვები რომ
მითხრას ისევ.
აქ ცხოვრებას არავინ არ იწყებს თავიდან.

პოეტის ზოგიერთი ლექსის დატეხილ ფრაზებში აზრის ისეთი რაოდენობაა ჩადებული, რომ მისი სიმძიმე ერთგვარად არღვევს ფორმას (თვით თავისუფალი ლექსისას), თუმც თავისებურ მკაცრ სილამაზეს მაინც არ ჰკარგავს:

ხანდახან მე ჩემს თავზე ვამბობ:
უყურეთ, ჩადის!
— კაცი, მისი ფეხის ხმა არის...

ბესიკ ხარანაული მიწიერ ვნებათა პოეტია. მისი სამყარო ჩვენს ირგვლივ კი არა, თვით ჩვენს შინაგან არსებაშია საძიებელი. იგი, თითქმის ყოველთვის კონკრეტული და ზუსტად წარმოსახული გრძნობადი შთაბეჭდილებებით მეტყველებს:

მე მითხრეს, რომ მოკვდა კაცი
და მიამბეს მის ცხოვრებაზე,
ჩემნაირი ბედის ყოფილა...

ყოველივე ადვილად მისაწვდომია, მაგრამ ყველა ბუნებრივია ვერ შესძლებს წარმოსახოს იგი, მითუმეტეს პოეტური ფორმით:

რა ვქნა, თავი გადავაქნიო?
ჩავიწყო ხელები ჯიბეებში და შინ
წავიდე?
ჩემს დანახვაზე რომ ატეხონ
წივილ-კივილი?
მე ხომ მკვდარი ვარ!

სოლიდურ ფუნდამენტზე აფუძნებს ხოლმე პოეტი თავის პოეტურ ფიქრს. საოცრად საინტერესოა პოეტიკური გრადაცია მისი ლექსებისა — მოტივი თანდათანობით ღრმავდება, რეალური საგნები სიმბოლოების მნიშვნელობას იძენენ, სახეები უფრო ტევადნი ხდებიან, მათ ემატება აზრი და მნიშვნელობა, აღმოცენდება ახალი იდეები და წარმოდგენები, იზრდება ურთიერთკავშირები და აზრი ისე შორს მიექანება, რომ ბოლოსა და ბოლოს ფილოსოფიურ განზომილებებს იძენს. ლექსი წარმოსახავს პიროვნების მთელს მსოფლმხედველობას, რომლის მკრთალი კონტურები უკვე მისი პირველი სტრიქონებიდანვე ამოიცნობოდა.

მე სულ სხვა ქვეყნებს მოგაყენებ კარს,
უგუნურო!
სხვა ტყეებიდან გამოგხედავ და
გამოგძახებ,
და გაგაბრაზებ
სხვა მგლებთან და სხვა ირმებთან
გადახვეული.
მხედავ, რა მინდვრებს ვეხვევი ყელზე
და რა მდინარე მყავს გაწვრთნილი
გველივით, მხედავ!
მე ყველაფერი ის ვარ ერთად, რაც კი
ოდესმე
გაგკვირვებია შენს საცოდავ არსებობაში.
ჩემი ძარღვები სავსე არის შენი ეკლებით.
ნუთუ ამ ხალხის მეშინოდა ოცი წლის
წინაო,
როგორ ჩამქრალა ჰინჰრიანი გორები,
ღმერთო!
მათი ალმურიც, მწვანე, ბასრი, ხანჯლის
პირივით,
აღარსად არის და ფეხებში მელაქუცებს
სულ სხვა ბალახი, ქეციანი სოფლის
ძაღლივით.
ნუთუ ამ ხალხის მეშინოდა ოცი წლის
წინათ,
ნუთუ ამ ხალხის ბაგეთაგან ნათქვამი
წყევლა
მერეკებოდა ყრუ მინდვრებში, სადაც
უმწეო
და ბავშვური მონოლოგებით ვიოხებდი
გულს...

ვერ შემაშინებს სახეების უსიერობა,
ჩამოვუქროლებ ამ შუბლებს და ამ
თავებს კეტით,
ჩამოვუქროლებ, როგორც შუშის ცარიელ
კოლბებს,
ჩამოვუქროლებ და ჩავაქრობ ამ
მბჟუტავ ქოხებს
და არ გავუშვებ კბილს მე ჩემი წუხილის
კალთას.

**ამ სახის ლექსებში, (ისინი კი საკმაოდ მრავალნი არიან) პოეტი თავის თავსა და ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობებზე მსჯელობს. იგი ცდილობს მისწვდეს წარმავალ შთაბეჭდილებებს და სულის ფარულ მოძრაობებს, რომელნიც მაუწყებელნი არიან მორალური და ზნეობრივი კრიზისისა, მათი მსხვრევისა. მისი უკიდურესად დაჭიმული სულის სიმები ეხმიანებიან სულ უმცირეს შეხებასაც კი. შინაგანი ინტუიცია შესაძლებლობას აძლევს მას ამოიცნოს და გადმოსცეს ერთი შეხედვით თითქოს გამოუთქმელი და გაუცნობიერებელი ფსიქოლოგიური დეტალი, ამავე დროს სულითხორცამდე იგრძნოს სილამაზისა და უჩუმარი მშვენიერების თრთოლვა — რაც ძალიან ხშირად პასტორალურ ხილვასთან არის ხოლმე წილნაყარი:**

მე ვენაცვალე გზის პირზე ნათიბს,
შუა ქალაქში, ასფალტის გასწვრივ.
დავწვები პირქვე, ფეხსაცმელებს
გვერდით მოვიწყობ,
გამვლელს რაც უნდა, ის გაიფიქროს...
მე ვენაცვალე გზის პირზე ნათიბს.
თქვენ აქ რა გინდათ, ტკბილო სურნელო,
ჭიანჭველებო, კუტკალიებო,
შენ აქ რა გინდა, მწვანე ქათიბო,
ხაწირის კალთას როგორ შეგაჭრა,
ნეტა ვინ იყო ის დალოცვილი?

**ჩვეულებრივად, პოეტის წარმოსახვა მჭიდროდ უკავშირდება აზრს, უფრო სწორად, აზრი შთააგონებს და მიმართავს მის დინებას. განწყობილებათა გადმოცემის ჟამს იგი თითქმის ყოველთვის შინაგანი ფარული ლოგიკით ისაზღვრება. გრძნობაში განზავებული იდეა მნიშვნელოვანი სააზროვნო მასშტაბებითაა დამახასიათებელი. ფრიად სიმპტომატურია ერთი რამ—პოეტის ლირიკული ხასიათის პოემები, თუ ზოგიერთი დრამატული განწყობილებებით აღბეჭდილი ვრცელი ლექსი, მძაფრ ფსიქოლოგიურ ჩანახატებად სახიერდება, რომელთა ერთი შეხედვით „დაძენძილი" სიუჟეტური ქსოვილი საერთო აზრის მრავალპლანიანი არგუმენტაციის გამოვლენად წარმოიდგინება.**

**ბესიკ ხარანაულის პოეზიაში აქა-იქ გაკრთება ხოლმე თავისუფალი იმპროვიზაციის მომხიბვლელი მხუბუქი „ჰანგები", რომელთაც თავისებური ემოციური განწყობა შეაქვთ პოეტის საერთო მსოფლშეგრძნებაში. ამ ხასიათის ლექსებს სიცოცხლით ტკბობის სურნელი დასდევს. მათში პოეტის ხილვის ობიექტი თავისი განსაკუთრებული მშვენიერებით წარსდგება ხოლმე მკითხველის წინაშე.**

ისე მისხლტება ქალიშვილი გულარძნილ
ბრბოში
როგორც კალაპოტს აცდენილი მთის
ნაკადული,
უცხო ნაპირებს რომ არ უნდა ტანი
შეახოს.

**და ბოლოს, რით არის ბესიკ ხარანაულის პოეზია მნიშვნელოვანი და ღირებული? უპირველესად ყოველი სულიერისა და უსულოს დაფარული არსისადმი გულისხმიერებით, თანაგანცდითა და ალერსებით. მას მშვენივრად ეხერხება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მჭერმეტყველებით მოუთხროს მკითხველს იმ ძლიერ ვნებათაღელვის შესახებ, რომელიც პირთამდე ავსებს მის სულს.**

**(გაგრძელება იქნება)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი ჩარკვიანი

# ვისთვის რას იტყვი

შეგვიძლია ასე დავიწყოთ.

ოთახი. ნახევრად მოლებული ნამრუდისფერი ფარდები. სერვანტის თაროზე სარკის შუშის უკან — მომწვანო და მოწითალო ფუჟერები, ორნამენტირებული ბროლის ჭიქები. სიგარეტის მტრედისფერი კვამლი ოდნავ ლივლივებს. უსუფრო პრიალა მაგიდაზე — ვერცხლის ორთომელები და ფრანგული კონიაკის გაბერილი ბოთლი. ნამდვილი თურქული ყავით სავსე ფინჯანები. ბუდეშურთვალება ქალი და ტანკენარი ვაჟი.

მარადისი დიალოგი.

— რატომ მალავთ, რომ თინათინს ემიჯნურებოდით და ამავე დროს მრავალი წლის მანძილზე ხორეშანი თქვენი ხორციელი მეგობარი იყო. თქვენ საშიში კაცი ბრძანდებით, ქალების მუსუსი, — კეკლუცად წარმოსთქვამს ბუდეშურთვალება.

— ნეტავ ვინ ბიწიერმა გამჭორა აგრერიგ ლირწად, — ვაჟის ხმაში ვნება გამოკრთის. — რის თინათინი, რის ხორეშანი, რა საქმე მაქვს ამ ნუვორიშებთან. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. თქვენ კარგად იცით, მე ვის ვაღმერთებ...

— მერე ჩემზედაც იტყვით — ჯანდაბამდეო...

— გევედრებით, გულს ნუ მიკლავთ.ჩემი ტრფობა თქვენდამი დაუსაბამო და გაუქრობელია, ჩემო ციცინათელავ.

— ოჰ, მაგრე ნუ მეუბნებით, მაცდურო...

— სხვანაირად არ შემიძლია...

და ასე შემდეგ. შევწყვიტოთ ბუტაფორული თხრობა ყველაზე დამაინტრიგებელ ადგილას, ვინაიდან ამბავი შეგვიძლია სულ სხვანაირად დავიწყოთ. ქალი და ვაჟი დარჩებიან — ამას წყალი არ გაუვა. ოღონდ ბუდეშური თვალებისა და ტანკენარობისა რა მოგახსენოთ. სარკმელი გრძელ და ვიწრო აივანზე გამავალ შემინულ კარად იქცევა, ხოლო ნამრუდისფერ ფარდებს იქ გავაგზავნით, სადაც ცოტა ხნით ადრე ვაჟმა მოსხივცისკარე ნუვორიშები — ტურფა თინათინი და ტანადი ხორეშანი გაამგზავრა. რასაკვირველია, სერვანტსაც თავისი ატრიბუტებით საერთოდ უმემკვიდრეოდ დავტოვებთ, პრიალა მაგიდის ნაცვლად მრგვალს დავდგამთ, მუშამბას გადავაფარებთ. დაბალჭერიან პატარა ოთახში უხვად დავკიდებთ ადვილად საშოვნელი, ადგილობრივი წარმოების სიგარეტის რუხ, მძიმე ბოლს. მუშამბის სუფრას კი რითი გავაწყობთ, ამას არცა აქვს რაიმე მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში ფაიფურის ფინჯანებით სურნელოვან მოკკოს მასპინძელი ნაღდად ვერ მიართმევს სტუმარს. გაბერილი ბოთლის ყიდვის თავიც არ ექნება. თუ მაინცდამაინც საჭირო გახდა, მის ადგილს ბევრად უფრო გამხდარი და შეუდარებლად მშობლიური ჭურჭელი დაიკავებს მუშის გათლილ ჭიქებთან ერთად.

მაშასადამე, მაგიდასთან:

მანანა— შვლის ოცდაათს გადაცილებული ნუკრი

და

ნოდარი — ორმოციოდე წლის არწივი.

საუბარიო მინდოდა დამეწერა, მაგრამ სიჩუმე სუფევს. გულისსწორეზს ისედაც მშვენივრად ესმით ერთმანეთის. მათ შეისისხლხორცეს .დიდი წინაპრის ნაანდერძევი იმის თაობაზე, რომ ყოვლად საძულველია უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში. ჩვენ ოდნავ დაგვაგვიანდა, თორემ იმ საალერსო, თაფლერბოიან სიტყვებსაც გავიგონებდით, რასაც მანანა არ იშურებდა.

— შენი ხნის დახავსებული ქვა აღარ გდია არსად. ხოდა, რას დაგიდია მაგ ლაყე თავი და რას დაეთრევი აქეთ-იქით. ამდენი არ გესმის, შე დებილო, რომ სირცხვილია შენ ასაკში აცუნცრუკება.

— კარგი, მორჩი ერთი.

— უყურე, უყურე, სიმართლის მოსმენას უარობს ეს დაჩაჩანაკებული დონ-ჟუანი! შენ რომ ქალს მოეწონები, იმას ჭკუა მოეკითხება? რას მიგიგავს მაგ დაჭმუჭნული პირ-სახე, —

— უფრო გაკაპასდა შვლის ნუკრი. — არა, უთუოდ სხვა ინტერესი აქვთ იმ კახპებს. ალბათ ფულებს ახარჯავ ჭონჭად, შე ქვეყნის გლახავ.

— დრანჯობის რომელი მოყვარული მნახე.

— უხალისოდ ამოღერღლა არწივმა.

— დაიწყე ისევ, დაიწყე სულხან საბას ლექსიკონიდან ციტატები. დრანჯობაა თუ პრანჭობაა არ ვიცი მე, მაგრამ იმ ყოვლად გახრწნილ ლეილას რომ ეტმასნები და ეგრიხები, ქვეყანამ გაიგო. თუ შეგრჩა ვაჟკაცობის ნატამალი,

არ დაფიცო. ხომ გაქვს რომანი იმ თეირანის მაიმუნთან, იმ ლეილასთან?

— რომანი კი არა, ნოველა.

აქაც უკვდავი დიალოგი, რაც დუმილით დამთავრდა.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია კიდევ სხვანაირად დავიწყოთ. მოცემულია: ერთოთახიანი იზოლირებული ბინა; მრგვალი მაგიდა. კაცი და ქალი, თუნდაც ნოდარი და მანანა; სიგარეტის ბოლი. უნდა დავამტკიცოთ... ის მერე გამოჩნდება, თუ შევძლებთ რამის დამტკიცებას.

რომანი და ნოველა. ნოველა და რომანი, — კიდევ და კიდევ გაიმეორა ნოდარმა. — არსებობენ ჟანრები, რომელთა დასახელებაც კი შიშნარევ მოკრძალებას იწვევს. ვთქვათ, ფილოსოფიური ტრაქტატი, სექსტინა, სონეტთა გვირგვინი. მომაჯადოებლად წკრიალებენ რონდო, სტანსები, მადრიგალი, ნოველა. რეტიანდები და ქუდი გინდა მოიხადო, როცა გესმის — პოემა, ეპოპეა, რომანი.., თუმცა...

მღვრიე-ყვითელი, უქაფო ლუდით სავსე კათხები. პლასტმასის ღრმა თეფშში ჩაყრილ ზღვა მწვანილში ჩაძირული ქაბაბის ნაჭრები. ეს ყველაფერი ქვის მრგვალ და მაღალ მაგიდაზე იდო, რომელიც ორი სალტით გამაგრებულ ლითონის ოთხ ფეხს ეყრდნობოდა. აქ იდექით შენ და ის სიგარეტგაჩრილი, საკმაოდ ხნიერი ყმაწვილი. კარგი ბიჭი იქამდე, სანამ თავის შემოქმედებაზე არ დაიწყებს ლაპარაკს. სამწუხაროდ, მაშინ სწორედ ასეთი მომენტი იყო მის ცხოვრებაში, რადგან იმ დღეებში რაღაცა სქელტანიანი ქმნილებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა და მშობელი ხალხი.

ხოლა, ორ ნაფაზს შორის მოქცეულ დროის მცირე მონაკვეთში ახერხებდა ბარე შვიდჯერ წარმოეთქვა ორი ელემენტისაგან შემდგარი, გაუთიშავად შეკრული სიტყვა — ჩემირომანი — შვიდივე არსებულ ბრუნვაში. ცხადია, განსაკუთრებული პათეტიკურობით წოდებითი გამოირჩეოდა: ო, ჩემორომანო, შენს ნამდვილ ფასს მხოლოდ მომავალი გაიგებს! განსაზღვრულ ინტერესს მოკლებული არც სხვა ბრუნვები იყო. მაგალითად, მოქმედებითი: ჩემი რომანით იწყება თანამედროვე ქართული პროზა. ანდა ნათესაობითი: ჩემირომანის ფეხის ფრჩხილად არ ღირს მთელი მაგათი ნაჯღაბნი. ანდა მიცემითი: ჩემირომანს მტერები ვერ გაიგებენ. დანარჩენი სამი ბრუნვის საშუალებით თავის ნაწარმოებზე მოლაპარაკე მწერლისათვის საკმაოდ ბანალური აზრები გამოთქვა. რაღაცა იმდაგვარი, რომ მისი შემოქმედება ვარსკვლავებს ეთამაშება, ეპოქის სულისკვეთებას გადმოსცემს და ზნეობრივი განახლების ქარიშხალის საწინდარია. ახლა ამით ვის გააკვირვებ.

მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა ნაწარმოების მოცულობა გახდა ჟანრის განსაზღვრის არა მარტო აუცილებელი, არამედ საკმარისი ნიშანი. ხუთ ბეჭდამდე — ნოველა. ოცამდე მოთხრობა. ორმოცდაათამდე — ვრცელი მოთხრობა. შემდეგ — რომანი. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს უწევს თუ არა ავტორი ანგარიშს ამ ჟანრის ერთ დროს მიღებულ სპეციფიკას... მით უკეთესი თუ არ უწევს! ნოვატორმა ხელოვანმა გაუკვალავი გზით უნდა იაროს! და საერთოდ არ დაიმძიმოს მსუბუქი თავი წინამორბედების დრომოჭმული ნაწერების კითხვით! — ასე გონია ხნიერ ყმაწვილს. გარდა ამისა, იგი დარწმუნებულია, რომ სრულიად არ ჰირდება რომანს ცხოვრებისეული მოვლენების ღრმა და მრავალმხრივი გააზრება, გასიგრძეგანება. ზედმეტია სოციალური მოტივები, გადმონაშთია ეპიკური ელემენტები და მითუმეტეს ეპიკური ნაკადი. ხოლო სისხლსავსე გმირთა გალერეაზე ლაზღანდარობა ობმოდებული კონსერვატორების, პირწავარდნილი დოგმატიკოსების, გაქანებული ტალმუდისტების ხვედრია. მაგ დარტყმულები ნაწარმოებს, თუკი მასში ერთი ცოცხალი კაცის სახე არაა, რომანად კი არა, ჩანახატად ვერ ჩათვლიან. რა მოეკითხებათ გათავხედებული ტვინის პატრონებს.

ხუმრობა იქით იყოს.

ჟანრი სახეს ადვილად არ იცვლის. ურჩობა და გაძალიანება სჩვევია. მაშინაც კი, როდესაც სათანადო პირობები მომწიფებულია, რამდენიმე დიდი შემოქმედია საჭირო გარდატეხის შესამზადებლად და მოსახდენად. ახალი ჟანრის შექმნა კი ალბათ მხოლოდ გენიოსებს ძალუძთ.

ბაირონმა „დონ ჟუანს“, შემდგომ პუშკინმა „ევგენი ონეგინს“, რომლის გმირი ინგლისელი პოეტის ამ ნაწარმოებს გატაცებით კითხულობდა, რომანი ლექსად უწოდეს. ზედგამოჭრილი სახელწოდებაა. საქმე გვაქვს ფართო ტილოებთან, სადაც მოცულია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მხარე, ეპოქის ინტელექტუალური ძიებები, ყოფა, სატირა, იუმორი, პერსონაჟთა გამოკვეთილი სახეები, ათასი სხვა რამ, მათ შორის პოლიტიკა. მაგრამ პუშკინის მომდევნო პოეტმა — ლერმონტოვმა პროზაული რომანი დაწერა. იქნებ არ დასცალდა, თორემ ისეთი პოემების ავტორს, როგორებიცაა „საშკა“ და „ტამბოველი ხაზინადარის ცოლი“, უეჭველად ქონდა შესაბამისი მონაცემები. მისი სატირა კი პუშკინის სატირაზე უფრო გესლიანი იყო. თუმცა ონავრობა პუშკინს არანაკლებად სჩვეოდა. თუნდაც „გავრილიადა“, არა, საკმარისია ონეგინის გუვერნიორის გვარი გავიხსენოთ.

გოგოლს ნიმუშად დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ქონდა, როდესაც დიდი მასშტაბის ნაწარმოებს მოკიდა ხელი. „მკვდარ სულებს“ ამიტომ ეწოდათ პოემა. პირველი ნაწილი უნდა

ყოფილიყო ჯოჯოხეთი, მეორე — სალხინებელი, მესამე — სამოთხე. პასუხობდა თუ არა თხზულება პოემის ჟანრის მოთხოვნებს — ამას წმინდა თეორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან პირველი ნაწილი ბრწყინვალე გამოვიდა და ამ შემთხვევაში ავტორის ნება-სურვილი კანონის ძალას იძენს.

გოგოლმა ვერ გაასრულა თავისი საქმე. აფორიაქებული, გაღიზიანებული წერდა ის პოემის მეორე ნაწილს... და როდესაც მიხვდა, — რაც სურს, იმას ვერ აღწევს, ყველა სიმაღლის დაპყრობას ჩვეულმა, სხვების წამლეკი სახელ-დიდების პატრონმა შოკი განიცადა. პარიკი მოისროლა, მზერაარეულმა აჭრელებული ქაღალდები შეაგროვა და წლების ნაჯაფი ცეცხლს შეუკეთა. ეს მარცხი გოგოლი-მხატვრის გამარჯვება იყო. იგი თავის ტალანტს ვერ მოერია და იმდროინდელი რუსეთის სინამდვილე სალხინებლად ვერ აღიქვა. მითუმეტეს სამოთხედ.

...როგორ განიცდიდა, რომ დადებითი გმირის სახეს ვერ ქმნის!

სამზარეულოდან ნოდარს ქვაბების ჟღარუნი, დანა-ჩანგლის ჩხარაჩხური და წყლის ჩხრიალი მოესმა.

„კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ჩემი თავგადასავალი“, „ბაშიაჩუკი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“. არცერთ ამ შესანიშნავ ნაწარმოებს — და ეს, მკაცრად თუ მივუდექით, სამართლიანია — რომანი არ ქვია. შენი ნაცნობი ხნიერი ყმაწვილი კი რომანის ავტორია და ეგ ამბავი ზემონათქვამის გამოც გეხამუშება, გეჩოთირება. თუმცა საუხერხულო და მითუმეტეს საგანგაშო არაფერია. უილაჯო თხზულებას გინდა რომანი უწოდე და გინდა ატლანტიკის ოკეანე — მაინც ვერაფერს უშველი. იცი, რომ დრო სათანადოს მიუზღავს, და მაინც არ გსიამოვნებს... გაღიზიანებს შეურყეველი თავდაჯერებულობა... ლიტერატურული უზრდელობა... ალვირახსნილობა ხელოვნებაში... გადამეტებული ალვირახსნილობა, თუკი ასეთი შეიძლება არსებობდეს...

მოკალი და არ ყოფნის ხნიერ ყმაწვილს ჭკუა და ნიჭი მოჩვენებითი თავმდაბლობა გამოიჩინოს იქ, სადაც საჭიროა და მომგებიანია. არ ესმის, რა შესაშური რეპუტაცია შეუძლია შეიქმნას. („როგორი მოკრძალებული კაცია! არავითარი პრეტენზიები არა აქვს და ამასთან ერთად, სხვათაშორის, სადღაც დამაფიქრებელი რომანი დაწერა“). არ ყოფნის ნიჭი მოჩვენებითი თავმდაბლობა გამოიჩინოს. თორემ...

თორემ ის ვინ არ იცის, რომ დიდი მწერლების ნაწილს, ნიჭის გარდა, წრეგადასული პატივმოყვარეობა ამოძრავებდა. მის გარეშე წარმოუდგენელია ბალზაკი შებმოდა იმ ტიტანურ ამოცანას, რასაც ალბათ პრომეთე შეუშინდებლად შებმოდა და თითქმის ბოლომდე განეხორციელებინა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად. პატივმოყვარეობამ თავგანწირვა განაპირობა, რომლის მსგავსი არ მოიპოვება ლიტერატურის ისტორიაში.

სტენდალის პატივმოყვარეობა მარტო მწერლობაზე არ ვრცელდებოდა. ნაპოლეონის ლაშქრობების მონაწილეს სხვა ასპარეზიც იზიდავდა. მაგრამ ის სხვა კარიერა ოცნების ნაბუშარი უფრო იყო, კანონიერი შვილი კი მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული მოღვაწეობა გახლდათ. სტენდალმა თავის არნახულ რომანს „წითელი და შავი“ ქრონიკა უწოდა. მორიდებულობაა? ალბათ. ოღონდ ზომიერი, ვინაიდან უპრეტენზიო, კდემამოსილ სიტყვას თან ახლავს განმარტება და ნაწარმოების ჟანრი შემდეგ სახეს იღებს — მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკა. ეს განა მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მოქმედება იმ საუკუნეში ხდება? თუ იმასაც, რომ წიგნი ახალი, მეცხრამეტე საუკუნის სულისკვეთებას გამოხატავს? მგონი ორი აზრი არ არის ამის შესახებ.

სტენდალი „პარმის სავანის“ წინათქმაში მწარე სიტყვებით გაუმასპინძლდა თანამემამულეებს, იტალიელები კი აქო როგორც მძაფრ ვნებებს აყოლილი ხალხი. ამან და მწერლის ბიოგრაფიის ზოგიერთმა მომენტმა საბაბი მისცა ცალკეულ მეცნიერს განეცხადებინა, რომ სტენდალს არ უყვარდა ფრანგები, მეტიც — ვერ იტანდა მათ. „ჩემზე ამბობენ — ის სიავეს ქართვლისა ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია...“ რაოდენი სიყვარული იყო ამ სიძულვილში თუნდაც იმაში გამომჟღავნდა, რომ „პარმის სავანის“ მთავარი გმირი — ფაბრიციო დელ დონგო ფრანგია, ნაპოლეონის ოფიცრის უკანონო შვილია. ეს საკმაოდ გამჭვირვალედაა ნაჩვენები. საგულისხმო დეტალი, ფაბრიციოს დასანახავად სძულს თავისი ოფიციალური, იტალიელი მამა.

საიდან სადაო. სად ჩვენი ხნიერი ყმაწვილი და სად სტენდალი. ის ულამაზო ფრანგი ქალებთან თითქმის გამუდმებით ფიასკოს განიცდიდა და ამის გამო ნიჭიერების იმედით უნდა ეცხოვრა.

გარეთ ძლიერი წვიმა მოდიოდა. ნოდარმა აივნის კარი გამოაღო და ტენიანი, ხალისიანი ჰაერი მხიარულად შემოიჭრა ოთახში.

ახლა ძნელი წარმოსადგენია, რა მოდაში იყვნენ ორმოცდაათიანი წლების ბოლოს იმჟამად ცოცხალი პროზაიკოსები — რემარკი და ჰემინგუეი. რემარკი შემთხვევით არ მოვაქციე წინ. ამ მწერლის ნაწარმოებებს, პირველ რიგში „სამ ამხანაგს“, ბევრი კითხულობდა და უფრო მეტი საუბარში ახსენებდა წამდაუწუმ.

ჰემინგუეის ძნელად აღსაქმელი, გარეგნულად თითქოს პრიმიტიულობაზე დასული მოჩვენებითი სიმარტივის გამო ლიტერატურულად უფრო მომზადებული ხალხი ეტანებოდა.

უდიდესი მწერლების შემოქმედებას იცნობდი და მიუხედავად ამისა „დასავლეთის ფრონტმა“ და „დაბრუნებამ“ ბარე თხუთმეტჯერ წაგაკითხეს თავი. ყველაზე საკვირველია, რომ მაშინაც გრძნობდი რემარკის ნაწერების ერთგვარ ფსიქოლოგიურ და აზრობრივ შეზღუდულობას, ზედაპირულობას. ერთხელ და სამუდამოდ ამოჩემებული შეხედულებების გაყინულ სიმყარეს, რასაც ვერავითარი იჭვნეულობა, ყოყმანი, ორჭოფობა ვერ ეკარება. მტანჯველი ძიების, დიალექტიკური განვითარების შედეგად კი არ დგინდება ესა თუ ის აზრი. არამედ მზამზარეული შემოდის წიგნის პირველ ფურცლებზე და ბოლო გვერდამდე არ იცვლება. ეს საბოლოო ჯამში დოგმატიზმია და იგი შემოქმედის დიაპაზონის შემოფარგლულობაზე მეტყველებს, გარკვეულად აღიზიანებს გაცნობიერებულ მკითხველს. საქმეს ვერ უშველიან გმირების მსჯელობები, რომლებსაც სითამამის პრეტენზია გააჩნიათ და მიღებული ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ არიან მიმართული.

წიგნის მიერ მოცემულ დროში გმირი უნდა იცვლებოდეს. ეს პროცესი ორგანულად შეერწყმის მოქმედების განვითარებას და ოდნავი დეკლარაციულობაც კი მისთვის მომაკვდინებელია.

„დაბრუნებაში“ ნაძალადევი ელფერი დაკრავს ყოფილი ჯარისკაცების გამოსვლებს სასამართლოს სხდომაზე, სადაც მათ ამხანაგს მკვლელობისათვის ასამართლებდნენ. „საიდან ქონდა რევოლვერი, უფალო მოსამართლევ? რევოლვერი ყოველთვის თან დააქვს ისევე, როგორც ცხვირსახოცი ან საათი. რაში ჰირდება? რევოლვერი ცხვირსახოცზე ბევრად უფრო ჰირდება, ვინ იცის, სიკვდილს რამდენჯერ გადაარჩინა. რატომ მოკლა მეტოქე? ფრონტზე იმდენი კაცი მოკლა, რომლებსაც მისთვის არაფერი დაუშავებიათ, და ამას, ბრალიანს დაუსჯელს გაუშვებდა?!.“ დაახლოებით ასე მსჯელობდნენ რემარკის გმირები და უკვე ნახსენები ერთგვარი ზედაპირულობა ამგვარ ხელოვნურად თავსმოხვეულ შეხედულებებშიაც ვლინდება. საქმე გვაქვს ელემენტარულ გადამეტებასთან, რაც არ შეესაბამება რემარკისათვის ნიშანდობლივ მკაცრ ინტონაციას, შეულამაზებელ სტილს.

კარგი. ასე იყოს. მაშინ რითი მოგხიბლა რემარკმა — შეგიძლია ამ კითხვას უპასუხო? აბა, შეეცადე. პირველ რიგში ლიტერატურული, ფორმისეული ოსტატობა. აქ უმაღლეს ოსტატობაზე არაა ლაპარაკი, ვთქვათ, ისეთზე, როგორსაც ლევ ტოლსტოი „ჰაჯი-მურატში“ ამჟღავნებს. მაგრამ ნაწარმოების არქიტექტონიკა, შეფარდებით უხმარი გამომსახველი საშუალებები, ლაკონიური ფრაზა, მიმზიდველი სიუჟეტი, მოქმედი პირების შედარებით რელიეფური სახეები, სინამდვილის ურბანისტული აღქმა, ემოციური საწყისის პირველ პლანზე წამოწევა, სიყვარული როგორც პროტესტი სამყაროს უაზრობისა და დაუნდობლობის წინააღმდეგ — ყველაფერი ეს გულგრილს ვერ დაგტოვებდა, ინტერესს აღგიგზნებდა.

შემდეგ. რემარკი მისთვის ხელმისაწვდომ სიმართლეს ყოველთვის ბოლომდე ამბობს. ჯარისკაცი კვდება, სარეცელთან მდგარი ამხანაგი მისი კარგი ჩექმების დაპატრონებაზე ფიქრობს, ეშინია უცხო პირმა — სანიტარმა არ ჩაიგდოს ხელში. ეს ამხანაგი სრულიად არ არის ხელიდან წასული ცინიკოსი, მომაკვდავის გადარჩენა რომ შეეძლებოდეს, არაფერს დაზოგავდა. მაგრამ რახან დახმარების გაწევა წარმოუდგენელია, ჩექმების დაკარგვა არ ღირს. რემარკისათვის ემოციური საწყისი უფრო მიმზიდველია, ოღონდ რაციონალურს იგი როდი უარყოფს. მის გამოვლენას სავსებით მისაღებად და აუცილებლად მიიჩნევს, მითუმეტეს ექსტრემალურ სიტუაციაში. აქ ისევ სტენდალი გახსენდება. ფაბრიციოს ნამდვილმა მამამ ლეიტენანტმა რობერმა, ზარბაზნის ჰურვით მოკლულ ავსტრიელ ოფიცერს გახადა შარვალი და თვითონ ჩაიცვა...

და ბოლოს. რემარკის მიერ ფრონტზე წარმოშობილი მეგობრობის იდეალიზირებული ასახვა მომგებიანი გამოდგა. ყოველ კაცს სწამს, რომ კარგი მეგობრობის გაწევა ძალუძს და თვითონაც უანგარო ძმაკაცობის ღირსია. ხოლო ვინაიდან ნაფიქრალი და სინამდვილეში მომხდარი ხშირად საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ჩნდება უკმარისობის გრძნობა, ქვეშეცნეულად აწუხებს ადამიანს დაუოკებელი წადილი. ამ დროს რემარკის გმირების გულითადი მეგობრობის შესახებ კითხვა უებარი წამალი გამოდგა. ხომ გახსოვს მწერლობისგან საკმაოდ შორს მდგარი ლიტერატორის (არიან ასეთები) მსჯელობა იმის შესახებ, სამი ამხანაგიდან ვინ იცის ყველაზე უკეთ თავგადადებული მეგობრობა. უპირატესობა ოტო კესტერს ეძლეოდა. სწორედ ეს სიტყვაძუნწი კაცი დღენიადაგ დაეძებს გოტფრიდ ლენცის მკვლელებს, რათა შური იძიოს, და იგივე კესტერი ყიდის შესანიშნავ ავტომობილს „კარლს“, რომ რობი ლოკამპმა იქონიოს სატრფოს სამკურნალოდ საჭირო თანხა.

კითხულობდა ამას მწერლობისგან შორს მდგარი ლიტერატორი და სიამოვნებდა ფიქ-

რი, რომ თითონაც ასე მოიქცევა. თუკი ნააზრევი და ნამოქმედარი შემდგომში არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, ამას თავისი მიზეზი ქონდა. ცხოვრებამ უმუხთლა ლიტერატორს. იგი ვერა და ვერ მოხვდა ზუსტად ისეთივე გარემოებებში, როგორებშიც ოტო კესტერი, მაშასადამე, არ მიეცა საშუალება უმწიკვლოდ შეესრულებინა ზნეობრივი ვალი. თუმცა ლიტერატორი დღესაც არ იტეხს იხტიბარს. სჯერა, ბედი ისე არ გაწირავს, რომ უანგარობისა და კეთილშობილების გამოსამჟღავნებლად ოპტიმალური პირობები არ შეუქმნას. ნეტარ არიან მორწმუნენი...

ახლა ცოტა რამ ჰემინგუეიზე. დიდი ხანია იგი მოდური მწერალი აღარ არის. კრიტიკოსები თავისი აზრის განსამტკიცებლად ძალზე იშვიათად მიმართავენ ციტატებს მისი ნაწარმოებებიდან, ათასში ერთხელ ახსენებენ მის სახელს. არადა, წინათ ლამის უკანასკნელი ცნობების გადმოცემისას რადიო მის გმირებს იმოწმებდა. „ხეინერის ეკიპაჟმა თავდაუზოგავად იმუშავა, როგორც მოხუცმა ჰემინგუეის ვრცელი მოთხრობიდან „მოხუცი და ზღვა" და გეგმის ზევით ათეული ტონა თევზი მოიპოვა. ახლა კი ამინდის შესახებ..." თუმცა შევეშვათ ოხუნჯობას.

ყველა ახალგაზრდა პროზაიკოსის მოთხრობებს ჰემინგუეის ნაწარმოებებს უფარდებდნენ და გავლენაზე ლაპარაკობდნენ, ხანდახან წერდნენ კიდევაც. ხშირ შემთხვევაში არც თუ უსაფუძვლოდ. იყო გავლენა დამმონებელი, როდესაც, ასე ვთქვათ, დიდი იმედის მომცემი ავტორის ეგრეთ წოდებულ ნიჭიერ თხზულებაში გმირები — მოამერიკელო-მოევროპიელო ჭეელები — ქართულად მეტყველებდნენ და ახალთბილისურადაც უქცევდნენ. გარდა ამისა, იყო შემთხვევები შემოქმედებითი ზემოქმედებისა, რასაც აუგი არ ეთქმის.

ამჟამად ჰემინგუეიმ კლასიკოსის რანგში გადაინაცვლა. როგორც ბევრ სხვა კლასიკოსს, მასაც კანტიკუნტად იხსენებენ ხოლმე. არადა, შენ დღეს მეტს ფიქრობ ამ მწერალზე, ვიდრე მაშინ, როცა ყოველ ფეხის გადადგმაზე ისმოდა — ჰემინგუეი, ჰემინგუეი... ჰემინგუეი ამბობს, ჰემინგუეი ამტკიცებს, ვარაუდს გამოსთქვამს, ახახავს, ნადირობს, ისვრის, გრაპას სვამს, ვისკის უბრახუნებს, თევზს იჭერს სპინინგით, ძრავიან ნავს მართავს და ასე შემდეგ დაუსრულებლივ და გამაღიზიანებლად. გასაგებია, წინააღმდეგობის გრძნობა გიჩნდებოდა. ჰემინგუეისათვის მომაკვდინებელ პარალელებს იმარჯვებდი.

...დიდი არაფერი შვილია, თქვენ რომ იცოდეთ, ეგ სახელგანთქმული მონადირე. გაბერეს მისი მნიშვნელობა. ბოლოსდაბოლოს ტოლსტოის, სტენდალს, ბალზაკს თავი თუნდაც დავანებოთ, სად ჩეხოვი ან ფლობერი და სად ჰემინგუეი. მარკ ტვენი მაგისთანა თხუთმეტს იყიდის... შიგადაშიგ ასე იკრიფებოდნენ [illegible] უნივერსიტეტის ბაღში, როდესაც იქ მორიგი თაობის გენიოსების მოვალეობის შემსრულებლები არ ჩანდნენ. დამსწრე ხალხი კი ამ საკითხზე საკამათოდ სრულიად არ იყო განწყობილი. იგი სხვა, ბევრად უფრო ყოფითი პრობლემის გადაწყვეტას ლამობდა. ვერც გაამტყუნებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰემინგუეი აღიქმებოდა როგორც პირველ მსოფლიო ომის სანგრებში ჯოჯოხეთგამოვლილი ჯარისკაცი. გვიან გაიგე, რომ იმ ომში მისი მონაწილეობა დაახლოებით ერთი თვით შემოიფარგლება. სანიტარული მანქანის მძღოლი ყოფილა, მოწინავე ხაზზე ბრძოლაში არც ჩაბმულა, ისე დაიჭრა. ჰოსპიტალიდან გამოსვლისას შესძლო სამწყობრო სამსახურის ლეიტენანტის წოდების მიღება. ფრონტისკენ მიუწევდა გული და ამასობაში ზავი დაიდო. შემდგომ საბერძნეთ-თურქეთის, ესპანეთის სამოქალაქო, მეორე მსოფლიო ომებში ჰემინგუეი კორესპონდენტად ჩადიოდა. ოცდაათიანორმოციან წლებში სახელმოხვეჭილ მწერალს უსათუოდ პრივილეგიებსაც უქმნიდნენ სხვა კალმოსნებთან შედარებით. ომში ყველა კაცის სიცოცხლე ვარდება საფრთხეში და არა მარტო სანგარში მყოფი ჯარისკაცის, მაგრამ მაინც, მაინც... მოწინავეზე და მისგან თხუთმეტი კილომეტრის მოშორებით სხვადასხვა ცხოვრება მიმდინარეობს. ჰემინგუეი ერიდება მოწინავე ხაზზე წარმოებული ბრძოლის დახატვას, ვინაიდან ერთგულობს თავის პრინციპს — წეროს მხოლოდ იმაზე, რაც კარგად იცის.

ჰემინგუეის ოსტატობაში ეჭვი არ შეიძლება შეგეპაროს. თუმცა მისი მანერის ერთფეროვნება უდავოა. თითქმის ყველა რომანის და მრავალი ნოველის მთავარი გმირი საბოლოო ჯამში ერთიდაიგივე კაცია. იგი სამშობლოს თავისი ნებითაა მოწყვეტილი, მეგობრები არა ყავს, მშობლებს, ოჯახს იშვიათად, ყრუდ იხსენიებს. ცხოვრებისეულ ფათერაკებს მარტოდმარტო ვაჟკაცურად აღუდგება წინ, თუმცა დარწმუნებულია, რომ არსებობა ტრაგედიაა, ამ სპექტაკლის დაუნდობელი მსვლელობა წინასწარაა დადგენილი. ახლობელი ადამიანი მისთვის მხოლოდ საყვარელი ქალია და სხვადასხვა მიზეზის გამო სიყვარულის ბედნიერებაც ხანმოკლე აღმოჩნდება ხოლმე.

რაც შეეხება მეორე პლანის პერსონაჟებს, ისინი მეტწილად მოარული დეკორაციების შთაბეჭდილებას უფრო ქმნიან, ვიდრე ცოცხალი პიროვნებების.

ჰემინგუეის ქალები სხვა გმირებზე მეტად გვანან ერთმანეთს. მათ დასახასიათებლად მწერალი შინაგან მონოლოგს არ მიმართავს. მიჯნურთან ლოგინში წოლისას დაუსრულებელი დიალოგების დროს კი ყველა მათგანი და-

ახლოებით ერთიდაიგივეს ლაპარაკობს (ნათქვამი კაფეში გამართულ საუბრებსაც შეეხება). ის, რაც რომანში „მშვიდობით, იარაღო“ მხატვრულ მიგნებად აღიქმება, რომანში „მდინარის გაღმა, ხეების ჩრდილში“ მომაბეზრებლად მოგეჩვენება. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა რომელ ნაწარმოებს წაიკითხავ ადრე.

სიკვდილის წინ კეტრინ ბარკლი თხოვს ფრედ ჰენრის — სხვა ქალიშვილებთან ყოფნისას „ჩვენი სიტყვები“ არა თქვაო. სამწუხაროდ, რობერტ ჯორდანად და პოლკოვნიკ კანტუალად გარდასახული ფრედ ჰენრი ძველებურად საუბრობს, ორიგინალობას მაინცდამაინც არ იჩენს. თუმცა ეს ცოდვად არ უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან იგი ელაპარაკება ისევ კეტრინ ბარკლის ერთგან მარიად და მეორეგან რენატად გარდაქმნილს.

ეს ყველაფერი სწორად მიგაჩნია, მაგრამ ჰემინგუეის შემოქმედება გიყვარს. მართალია, ასტრალურ აზრებს არ ეძებ მწერლის ნაწერებში, მითებს და ლეგენდებს არ იშველიებ მათ განსამარტავად.

„გქონდეს და არ გქონდეს“. საოცრად ძლიერი რომანი. ჰარი მორგანი ფრედ ჰენრისაგან მხოლოდ განათლების დონით და სოციალური მდგომარეობით არ განსხვავდება. იგი უხეში, შეუპოვარი, კადნიერი და დაუნდობელია. გაიძვერა მისტერ სინგს ხელებით დაახრჩობს. არ იორჭოფებს ისე გადაწყვეტს თავისი ამხანაგის ედი მარშალის მოკვლას. სასიკვდილოდ განწირული ხვდება ეს სულიან-ხორციანა ინდივიდუალისტი, რომ ადამიანს მარტო მყოფს არაფერი არ შეუძლია.

ღამით ნავზე გათამაშებული სისხლიანი სცენა. სროლა და ორმხრივი მარცხი. გემბანზე ოთხი ცხედარი, მძიმედ დაჭრილი კაცი. დინებას მინდობილი ნავი მისცურავს ღია ოკეანეში.

სამი შესანიშნავი მოთხრობა.

„მკვლელები“. განგსტერების დაკანონებული უხამსობა. დაუსჯელობის გრძნობით განპირობებული შემზარავი უტიფრობა, საძაგელი იუმორით შეზავებული, აგდებული და უკეთური ლაპარაკი. და ამ დროს სადღაც ღარიბულ ოთახში დამალული ყოფილი მოკრივე ოლე ანდერსონი — უშველებელი, ღონიერი, მან იცის — აუცილებლად მოკლავენ და რცხვენია, რომ ამისი ეშინია.

„ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“. აფრიკა. ოცდათხუთმეტი წლის მილიონერი და მისი მზეთუნახავი, ფეხმსუბუქი ცოლი, რომელიც დაუყოვნებლივ ისარგებლებს ხელსაყრელი შემთხვევით, რათა პროფესიონალ მონადირეს სარეცელი გაუყოს. გაგულისებული მაკომბერი, რომელიც ხარებზე ნადირობისას ბრაზის გამოისობით შიშს დასძლევს, უილსონის სიხარული მაკომბერის სულში მომხდარი გარდატეხის გამო და მარგარეტი, მარგო, ვინც 6.5 კალიბრის „მანლიხერის“ ტყვიით ქმარს თავს გაუხეთქავს, რათა ერთბაშად მოსპოს მისთვის უნდომი ლაღი, ხალისიანი განწყობილება, რაც უცებ დაეუფლა სხვებს. იგრძნო მარგომ, უხერხემლო მაკომბერი ვაჟკაცად იქცა, ახლა უკვე მოღალატე ცოლს მიატოვებდა. მითუმეტეს მარგომ ქვეცნობიერად იცოდა, რომ აქ, აფრიკაში, ჯერ კიდევ ჩაითვლებოდა მზეთუნახავად, მაგრამ შეერთებულ შტატებში მაინცდამაინც დიდი მზეთუნახავი აღარ იყო.

„კილიმანჯაროს თოვლი“. საფიქრებელია, ეს ჰემინგუეის სეფე-მოთხრობაა. ყოველთვის საშიშია მთავარ გმირად მწერლის არჩევა. შესაძლებელია საკუთარ წვენში ხარშვას ვერ დააღწიო თავი. ჰემინგუეიმ ეს საფრთხე გადალახა. ჰარის სახე მრავალწახნაგოვანია. სიკვდილის წინ მის წარმოსახვაში სხვადასხვა სურათი ცოცხლდება. საბერძნეთ-თურქეთის ომი, თხილამურებზე სიარული, ვიღაც კონსტანტინოპოლელი აფუებულ მკერდიანი მეძავი და მასთან გატარებული ღამე, პარიზის ღარიბული უბანი, რომლის მკვიდრები ორ კატეგორიად განიყოფებოდნენ — ლოთებად და სპორტსმენებად... ჰარიმ ყველაფერ ამაზე ვერ დაწერა, რადგან გააჩანაგა ნიჭი, დაღუპა იგი ლოთობით, სიზარმაცით, უსაქმურობით, ყოყლოჩინობით. ისიც არ იყო შემთხვევითი, რომ ყოველი მომდევნო ცოლი თავის წინამორბედზე უფრო მდიდარი იყო.

მოთხრობას ბრწყინვალე დასასრული აგვირგვინებს. სახე კილიმანჯაროს თეთრ, მზით განათებულ, კვადრატულ მწვერვალისა, რაც მთელ მსოფლიოს გადაეფარება, მწვერვალისა, საითაც თურმე მთელი სიცოცხლე მიისწრაფოდა ჰარი.

ამგვარი პასაჟები აუქმებენ, არარაობად აქცევენ შემოქმედების ყველა სისუსტეს, ერთფეროვნება იქნება ეს, ალაგ-ალაგ უბრალოების პრიმიტიულობაში გადასვლა, საკუთარი მოტივების გადამღერება თუ ქალების მინაგვარი სახეები. ყოველ შემთხვევაში ჰემინგუეის შენ ვერ აკადრებ, რომ ალბათ სამართლიანად პოპულარული მარკესი შეადარო მთელი მისი მითოლოგიური პლასტებით და არანაკლებად შესანიშნავი სხვა სიკეთით. იმიტომ რომ დიდი ლიტერატურა პროვინციელისთვის სანუკვარი ჟონგლიორობა არასდროს ყოფილა, მის მსახურს სისხლში უნდა ქონდეს ინტელიგენტობა. ჰემინგუეის იგი გააჩნდა, თუმცა ყოველნაირად ცდილობდა არ გამოეჩინა.

წვიმამ გადაიღო. აივნიდან საკმაოდ შორს მთის კალთაზე მოჩანს მოგუგუნე, ხალხით სავსე ტრიბუნა. მის წინ დროდადრო გაიქროლებენ

გიორგი ჩარკვიანი
ვისთვის რას იტყვი

ყვითელ, ლურჯ, მწვანე, წითელ კამზოლიანი მხედრები, გაიქროლებენ და აივნის შორიახლო რამდენიმე რიგად დარგულ ალვისხეების ფოთლებში ჩაყვინთავენ, რომ კაი ხნის მერე მოპირდაპირე მხარეს ამოხტნენ ზურმუხტისფერ მდორე მდინარიდან. მიაჭენებენ სხარტ ცხენებს, რომლებსაც შეუხამებელი სახელები ჰქვიათ — მორჟი, ინდიკატორი, სიმფონია, პირამიდონი... რადიოს უკვე გამოცხადებული აქვს და პროგრამაშიც წერია: პირამიდონი, ინგლისური ულაყი, მამა — ამადაამ წლის კიევის დიდ დერბიში გამარჯვებული პირატი, დედა — კრასნოდარის ცხენსაშენის ფაშატი დოტაცია... ტრიბუნებზე გამალებით უცემთ გული, ფეხზე დგებიან, ყვირიან და ბოლოს რკინიგზის ბილეთის მაგვარ, მანეთად ნაყიდ მუყაოს ნაჭრებს მტვერში მოისვრიან. ამოგმინულ სიტყვას — აფერისტებო! — მურტალ და პრიმიტიულ გინებას მიაყოლებენ. შემდეგ რადიო აცნობებს საზოგადოებას მოგების ოდენობას — მანეთი და ოცდაათი კაპიკი, რასაც ნიშნისმომგები ხარხარი, სტვენა, მხნე შეძახილები მოყვებიან, ყელში მობჯენილი ბოღმა გაქრება, ისევ და ისევ დაიწყება პროგრამების შესწავლა, კონსულტაციები სახელის მქონე მოთამაშეებთან, სალაროებისკენ სიარული...

გახსოვს ორწლიანი ცხენების დოღი? ერთ მათგანს სისხლი უდუღდა. ყველა უკან მოიტოვა. ბოლოს მოსახვევი გაიარა, სწორზე გამოვიდა. ფაფარაწეწილი და ყინაშლილი მიჯირითობდა, რა იცოდა მისი გამარჯვება არ იყო დაგეგმილი. ჟოკეიმ სადავე მოქაჩა, რკინის ლაგამმა ცხენს ტუჩები აუხია, თავი მაღლა ააწევინა. ნაბიჯი აერია, წაიქცა, წამოდგომას შეეცადა, ოდნავ წამოწეული ისევ ჩაიკეცა, მარჯვენა გვერდით მიწას გაერთხა. ისმოდა მაყურებლების მუქარიანი აურზაური. რადიომ ყველას გასაგებად რამდენიმეჯერ იყვირა, რომ დოღის შედეგი გაუქმებულია. რატომ? — ამის შესახებ არაფერი უთქვამს. მერე საიდანღაც გამოჩნდა ხაკისფერ გიმნასტურიანი დაბალი კაცი მცირეკალიბრიანი შაშხანით ხელში. ლულა ცხენს თავზე მიადო. სროლის ხმა ალბათ თვითონაც არ გაუგონია. ოთხმა-ხუთმა კაცმა რის ვაივაგლახით გვამი მომწვანო ბრეზენტით დაფენილ ურიკაზე დადო და მახში შებმულმა ჯაგლაგმა ნელი ნაბიჯით სადღაც გასწია. ხალხი დაშოშმინდა. ტოტალიზატორი მთელი დატვირთვით ამოქმედდა.

გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთი მოთხრობის მთავარი გმირი მთაში გაზრდილი ცხენია, სალამურა, რომელსაც შავი და წყლიანი თვალები აქვს. უნდათ იპოდრომის ბედაურად აქციონ, მაგრამ მის უჯიათობას ვერ გატეხენ. პირველსავე ჯირითის დროს მხედარს გადმოაგდებს და თითონ ხიდიდან ხევში გადაეშვება. მოთხრობის დასასრულს დახეიბრებულ სალამურას კოლა ქვია და ვიღაც მედროგეს ემსახურება. გურამ რჩეულიშვილისათვის ოდნავ უჩვეულო დაბოლოებაა თითქოს. ჩვეულებრივ მისი გმირები სხვის ნებაზე სიარულს არ ურიგდებიან. ამ შემთხვევაში არა აქვს არსებითი მნიშვნელობა კაცი იქნება ეს თუ ცხენი, როგორც არა აქვს მნიშვნელობა კიპლინგის ბაგირა ჯიქია თუ ადამიანი. ასოკირკიტულად თუ მივუდექით „სალამურაში“ უზუსტოებებს შევამჩნევთ. წუნდებულ ულაყს იპოდრომზე მოკლავენ, მედროგეს არ მიყიდიან, რადგან სადოლე ბედაური სასაპალნე და სატალახო ცხენად არ გამოდგება... მისი არც დროგში, არც ფაეტონში შებმა არ შეიძლება. მწერალმა მხატვრული მიზნების განსახორციელებლად უგულებელყო ამგვარი კნინი სიმართლე და მშვენიერი მოთხრობა დაწერა.

აივნიდან კვლავ გამოჩნდნენ ფერად კამზოლიანი მხედრები.

ნუთუ ოცდაოთხი წელიწადი გავიდა. სოფელში მსხლის ძირას იჯექი, გაზეთების დასტა იქვე გედო. „თბილისის“ მეოთხე გვერდს ჩვეულებრივ არც გადახედავდი ხოლმე და იმ დღეს რატომღაც ჩაიკითხე სამგლოვიარო განცხადებები. გვარი, სახელი, მამის სახელი დაემთხვნენ მისას, მიხვდი ვისზეა ლაპარაკი და მაინც არ გჯეროდა, რომ ცოცხალი არ არის.

მეგობრები არ იყავით. არც ამხანაგები. ერთი-ორჯერ სუფრაზე მოხვდით სასაუზმე „სამაიაში“, შეიძლება სხვაგანაც.

გურამ რჩეულიშვილი მიმბაძველი არასოდეს ყოფილა. „ცისკარში“ დაბეჭდილ პირველ მოთხრობებს ოდნავ ეტყობოდათ ჰემინგუეის გავლენა, უპირატესად კი ორიგინალობით გამოირჩეოდნენ. „ალავერდობა“, „ირინკა“, „უსახელო უფლისციხელი“, ზოგიერთი სხვა — ეს ნაღდი და ჭეშმარიტი ლიტერატურაა. შეიძლება დაგავიწყდეს სახელი, მაგრამ არ დაგავიწყდება მთიელი ქალწული, მამის უსამართლო სილა რომ იუკადრისა და თავი ჩამოიხრჩო.

ნოდარი ოთახში შებრუნდა. ცხენთა შეჯიბრება გრძელდებოდა.

1958 წლის 5 თებერვალს იმ ქალაქში სასტიკი სიცივე იყო. სკოლაში მისულს გითხრეს — ყინვის გამო სწავლა არ შედგებაო. როგორც კი ეზოს გარშემორტყმულ ღობეს გამოსცდებოდი, ბურუსში გახვეული სკოლის შენობა ხეირიანად არც ჩანდა. ოდნავ ქვევით თუ ჩახვიდოდი დათოვლილი ტრამალი დაგვხვდებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ თოვლიან ჯინჯლიან მახის ქვეშ დიდი მდინარე მოედინება. ყველგან ნამქერიანი ქარი ტრიალებდა.

მეორე დღე ახეთი ბედნიერი არ გათენებულა. თერმომეტრი ხულ რაღაც მინუს ოცდარვა გრადუსს აჩვენებდა. მიუხედავად ამგვარი მისასალმებელი ამინდისა ბევრი მოწაფე შატალოზე წავიდა.

პირველი გაკვეთილი — გეოგრაფია. გახწავლიდათ დირექტორი — პიოტრ ხერგეევიჩი. კლასში გაცეცხლებული შემოვიდა, მაგიდისკენ გაემართა და დაიყვირა: ხულ გაგათახხირათ ყინვამ! მთელი გაკვეთილი იღრინებოდა. ხასწავლო ნაწილის გამგემ შემოიხედა და მიიღო პედაგოგიური თვალსაზრისით სრულყოფილი დირექტივა: დაუყოვნებლივ შეადგინეთ გაკვეთილებიდან გაქცეული წუნკლების სია. მე იმ ძაღლიშვილებს დედას ვუტირებ.

ოცი წლის შემდეგ თქვენ ქუჩაზე აგებულ ორსართულიან კაფეში შეიარე, ბარში ერთი ჭიქა კონიაკი დალიე და სკოლას მიაკითხე. დირექტორმა თავის კაბინეტში წაგიყვანა, სიგარეტი შემოგთავაზა. იჯექით, ეწეოდით, საუბრობდით.

ხწორედ აქ იყავით რვა თუ ცხრა ბიჭი კედელთან აყუდებული. პიოტრ ხერგეევიჩის ხმა გრგვინავდა, კედლებს ეხეთქებოდა, ოთახში ვერ ეტეოდა: „აუცილებელია... ორიანების ლიკვიდაცია... შემჭიდროებულ ვადებში..., ყოველგვარი მიზეზის გარეშე... ლიკვიდაცია... ლიკვიდაცია...“ ბოლოს ალბათ მობეზრდა ყვირილი და ჩვეულებრივად იკითხა: დრო საკმაო გაქვთ, ხომ გამოასწორებთ? რა თქმა უნდა, უხათუოდ, უეჭველად, ნამდვილად, ამის მეტს რას გავუკეთებთ მშობლიურ სკოლას, თუ არა და, თქვენი დანა და ჩვენი კისრები, მოგვჭერით ეს ცარიელი, არაფერში გამოსადეგი თავები.

პიოტრ ხერგეევიჩი ყოველთვის ცდილობდა მოწაფეებში შიში დაეთესა და კიდევაც აღწევდა მიზანს. მიკრო-მონარქი, ვისაც რაიონულ განათლების განყოფილებაში და ალბათ უფრო მაღლაც ანგარიშს უწევდნენ. ერთხელ ინგლისშიც კი მიავლინეს. შესაძლოა, გამოცდილების გასაზიარებლად. მისი მივლინების დღეები ხალისიანობით და მხიარულობით ლამის არდადეგების დღეებს უტოლდებოდნენ მოწაფეებისთვის. ალბათ მასწავლებლებისთვისაც.

პიოტრ ხერგეევიჩს გამორჩეულად ის ცნობები უყვარდა, რასაც სახელმძღვანელო არ აღნუსხავდა. უცებ შეგეკითხებოდა — დამისახელეთ, რა სამხედრო-საზღვაო ბაზები ქონდა გერმანიას ჩრდილოეთით (კუნძული ჰელგოლანდი, კუქსჰაფენი, ვილგელმსხაფენი), და თუკი უპასუხებდი, ოდნავ გაწბილებული, ვინაიდან დაცინვის საშუალება არ მიეცი, მოაყოლებდა — აბა, მითხარით, შვეცია რამდენ კვერცხს აწარმოებს წელიწადში? მაგრამ ამათუიმ ქვეყნის ეკონომიკის დამახასიათებელ ციფრებზე არანაკლებ იგი ეტრფოდა სკოლის მოსწრების მაჩვენებელ ციფრს. „96,6%, რას გავს ეს! საჭიროა ამ რიცხვის გაზრდა 0,7 %-ით. წინააღმდეგ შემთხვევაში დავკარგავთ პირველ ადგილს რაიონში. უმთავრესი ამოცანა... ორიანები... დაუნდობლად მოისმის ლიკვიდაცია... ლიკვიდაცია...“

ახლა, ოცი წლის შემდეგ, თქვენი კლასის დამრიგებელს მიაკითხე. სხვა მასწავლებლები უცნობები იყვნენ. ნიკოლაი ფილიპოვიჩი. მარცხენა იღლიაში დაფისათვის განკუთვნილი ყვითელი სამკუთხა სახაზავი, მარცხენა ხელში მრავალწლოვანი პორტფელი, ცარცით გასვრილი პიჯაკი. გონია იხევ ის რუხი კოსტუმი ეცვა, როგორც იქნა რომ შეიკერა გოგოლის აკაკი აკაკიევიჩის შინელის არ იყოს... ხელს დიდხანს გართმევდა, ძალიან ცდილობდა გაღიმებას — არც თუ მთლად უშედეგოდ. ბოლოს დინჯად გითხრა — იცით, არ მახსოვხართო. გაკვეთილზე მაინც შეგიპატიჟა.

იგივე კლასი, იგივე მასწავლებელი, იგივე ალგებრა. ნიკოლაი ფილიპოვიჩი იმეორებს გაუცვეთელ სიტყვებს. რატომ არ შეიძლება ნულზე გაყოფა? არ იცით. და ძველებურად აღშფოთდა: იმიტომ რომ ნულზე გაყოფას აზრი არა აქვს... რიცხვ პის თუკი ერთეულად მივიღებთ, მაშინ ყველა აწ არსებული რაციონალური რიცხვი ირაციონალურად იქცევა... მინუს ერთიდან კვადრატული ფესვის ამოღება პირობითი ამბავია, შეთანხმების შედეგია...

მეორე გაკვეთილზე უნდოდა შეეყვანე. თითქმის შეიცხადა — როგორ, არ დარჩებითო?! მახვეწარი კილოთი გელაპარაკა. კინაღამ დაგიყოლია. მაგრამ დროზე მოეგე გონს. სამუშაო მაქვს, ნიკოლაი ფილიპოვიჩ, სამუშაო. სამწუხაროდ, არ მცალია, სხვა დროს გამოვივლი.

როდესაც იხევ შეიარე კაფეში, საკმაოდ რთული გრძნობა დაგეუფლა. მასში გარკვევა არცთუ ადვილი აღმოჩნდა. ასაკი, რასაკვირველია, არ გახარებდა, მაგრამ მაინც გსიამოვნებდა, რომ დამოუკიდებელი კაცი ხარ და ჯიბეში ორი ოცდახუთმანეთიანი და რამდენიმე თუმნიანი გიდევს. ცხოვრობ სასტუმრო „ბუდაპეშტის“ ერთადგილიან ნომერში, სადაც მაგიდა და საწოლი ძლივს ეტევიან.

სკოლაში, აღარ მისულხარ. ხუთიოდე წლის მერე შემთხვევით შეიტყე დირექტორის გარდაცვალება და უსიამოვნო გრძნობამ გაგკენწლა. წარმოუდგენელი იყო, რომ ეს მოუსვენარი, თავდაჯერებული, მოურიდებელი კაცი ფერფლად იქცა და მისი ფერფლით სავსე ურნა ელექტრომატარებლით შორს, ქალაქგარეთ წაიღეს მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წევრებმა და იქ მდებარე სასაფლაოს კოლუმბარიუმის რომელიღაც რიგში ჩააკირინეს სხვა მოქალაქეთა ნეშტის გვერდით, რომელთაც პიოტრ ხერგეევიჩი არასდროს არ იცნობდა.

ნიკოლაი ფილიპოვიჩი ალბათ ახლაც ატარებს გაკვეთილებს, კვლავაც ამაოდ ცდილობს ევ-

მოტანელი ჭეშმარიტებები შეასმენინოს გაურჯელ და ენამწარე მოწაფეებს, რომლებიც მას, რა თქმა უნდა, ისევ „პლეშს“, ესე იგი პოხლიკას, ეძახიან და დაუნდობლად დახცინიან მის პოხონდრიებს...

დიდხანს იცოცხლოს ნიკოლაი ფილიპოვიჩმა. მანამდი, სანამ წრის კვადრატის ამოცანა არ იქნება გადაწყვეტილი. იმ შემთხვევაში, თუკი დღესაა ცოცხალი, რაშიც ეჭვი გეპარება.

ღია კარებიდან ისევ ისმოდა იპოდრომზე მყოფი მაყურებლების ყიჟინი.

წიგნი თეთრყდიანი იყო. ავტორის გვარი და სახელი ისევე, როგორც სათაური, მსხვილი წითელი ასოებით ეწერა. „ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა... როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია“... ამ ლექსმა გაგრძნობინა უჩვეულო რამ — ხალისიანი სევდა. გულწრფელი განცდები, ჭეშმარიტი ტკივილი და ამავე დროს — ხალასი აღტაცება დაქალებული ვეფხვის სილამაზით, მოდიდებული სიყვარულის ყოველგვარი გამოვლინებით, გაუტეხავი, წარმართული მხნეობა, არავითარი გაბოროტება, არავითარი სასოწარკვეთილება. სხვა კლასიკურ ლექსში: „მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი — თავი შუაზე გადამიჩეხა“. თითქოსდა ვაება და გოდებაა უპრიანი, მაგრამ სიცოცხლე და სიყვარული საუკუნეების მსახვრალ ხელს გაბედულად შეებრძოლებიან, დამარცხებულად არ სცნობენ თავს: „მოდი, გეძახი ათას წლის მერე, დამნაცროს ელვამ შენი ტანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა“. რუსთაველის სიტყვებს იმეორებს ისევ აღმსდგარი, სიკვდილის დამთრგუნველი მიჯნური.

გიორგი ლეონიძის ლექსებთან შეხვედრა მაშინ შენთვის საქართველოსთან შეხვედრა იყო. მთაგორიან, ვენახიან, ზღვიან, ტაძრებიან, ცხელსისხლიან ქვეყანასთან. იქ, სატახტო, დიდ, უკვდავ ქალაქში, ტიტველ მახათის მთიდან მზე სალვინით და შოთის პურით ადგებოდა ბანებს, ქუჩებში ლექსებისა და ტარხუნის სურნელი ირეოდა და თვალციმციმა ქალი აბანოდან ამაივლიდა ხოლმე. მზიანი მუშამბების შემქმნელი მხატვარი ფუნჯს ღვინოში აწობდა, ხოლო კალმახური ზურგის მქონე კამათლები სარკმელთან ყალყზე დგებოდნენ, როგორც ყაბახის ცხენები. უცებ სულ სხვა მხრიდან დანახული ეს ქალაქი არ შეიძლება უფრო მეტად არ შეგეყვარებოდა.

...გარეთ გადაუღებლივ თოვდა. ღრუბლიანი რუხი ცა ისე დაბლა ჩამოსულიყო, რომ სახლების სახურავებს აწვებოდა მკერდით. ფიფქები მიმინოსგან დაფეთებულ მტრედებს სრულიად არ გავდნენ. მიუხედავად ამისა... სავსე ფილთათოფი გინდოდა და ნაქერალი ცხენი, რომ ვეელად გაჭრილ სიჭაბუკეს დასწევოდი. „ჩქარა. თორემ წასულა ჩემი ახალგაზრდობა“. გული გეთანადრებოდა, მტკივნეულად განვიცდიდი დროის დაუნდობლობას. ჩვიდმეტი წლის არც იყავი მაშინ.

ქართულად როგორ იქნება — გენდრიკოვის თუ გენდრიკის შესახვევი? მახლას, როგორც არის! მაიაკოვსკის ძველი სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკა. ვითომ საკურსო სამუშაოსათვის მასალებს აგროვებდი, ფაქტიურად კი მეოცე საუკუნის ცნობილ და ნაკლებად ცნობილ რუსი პოეტების ორმოცი-ორმოცდაათი წლის უკან გამოსულ წიგნებს კითხულობდი. ზოგიერთს ავტორისეული წარწერა ამშვენებდა. ახლაც გახსოვს ბორის პასტერნაკის მიერ ალექსეი კრუჩონიხისათვის ნასახსოვრებ კრებულზე მინაწერის შინაარსი. სათნო ალიოშასო... სათნო და კრუჩონიხი, ვინც ლიტერატურული ხულიგნობის გამო უარი თქვა არა მარტო ლექსის შინაარსზე, არამედ საერთოდ არსებულ სიტყვებზე, „ზაუმის“, ესე იგი ჭკუისიქითა ენის, ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. უკვე იცოდი მისი სახელგანთქმული სტროფი, კეთილგონიერი ლიტერატორების გასაღიზიანებლად, ეპატაჟისათვის რომ დაწერა. „დირ, ბულ, შჩილ, უბეშჩურ სკუმ ვი სო ბუ რლ ზე“. მკვეთრ მახვილს და რბილ და მაგარ თანხმოვნებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს აბდაუბდა თარგმანში არაფერს კარგავს.

ნიჭი ყველაფერში გამოჩნდება მაინც. ხლებნიკოვის ზაუმსაც კი ასე თუ ისე ერთგვარი თითქოს დამაფიქრებელი ჟღერადობა გააჩნია. საგნობრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვებით დაწერილ ლექსებზე რომ არაფერი ვთქვათ. მაიაკოვსკი ტყუილა კი არ აფასებდა თავისი ამხანაგის და თანამებრძოლის შემოქმედებას.

იქვე, ბიბლიოთეკაში, წაიკითხე კრუჩონიხის თბილისში ოციან წლებში გამოცემული წიგნი „ვლადიმერ მაიაკოვსკის სატრფიალო თავგადასავალი“. როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანა. კრუჩონიხი-კრიტიკოსი ბევრით არაფრით ჯობია კრუჩონიხ-პოეტს.

ერთ დღეს მუზეუმში შეხვედრა მოუწყეს ქართველ პოეტებს. სამნი მოვიდნენ — გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ ნონეშვილი. მოგონებებით გამოვიდნენ, ლექსები წაიკითხეს.

გიორგი ლეონიძემ აუდიტორიის ლიტერატურული განსწავლულობის დონე ვერ გაიანგარიშა და ცდილობდა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ მაიაკოვსკი მხოლოდ დეკლარაციულად უარყოფდა სხვა პოეტების შემოქმედებას, სინამდვილეში კი ყველა კარგი ლექსისადმი მოწიწებას იჩენდა. აქ მსხდომთათვის ეს იმდენად კარგად იყო ცნობილი, რომ ბანალურ ჭეშმარიტებად ქცეულიყო, რის განმეორება ერთგვარ უხერხულობას იწვევს. მათ გოგლაზე არანაკლებ იცოდნენ მაიაკოვსკის შემოქმედება, ბიოგრაფია და თეორიული შეხედულებები, მაგრამ არც ერთი მათგანი მაიაკოვსკის პირადად არ შეხვედროდა... გოგლას ყურადღებით უსმენდნენ. მისი ბო-

ხი ხმა ბატონობდა პატარა დარბაზში. ერთხელ ორთაჭალის ბაღში, — თქვა გოგლამ და გაიღიმა, — ეს კი ისეთი ბაღი იყო, სადაც ნადიმი საღამოს იწყებოდა და დილით თავდებოდა, აი სწორედ იქ მაიაკოვსკისთან ერთად ვიყავით. მთელი ღამე ბლოკისა და ახმატოვას ლექსებს კითხულობდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახალგაზრდებმა არ იფიქრონ, თითქოს მაიაკოვსკი სხვა პოეტების შემოქმედებას პატივს არ სცემდა. ღვინო არ დაულევია. (აგდებულად) შეიძლება ერთი-ორი პატარა ჭიქა. ქართული თუ იცოდა? (ისევ გაიღიმა, დააყოვნა) კი, იცოდა. იმერულად უქცევდა. ისე ესენინს ბევრად უფრო ახლო ვიცნობდი. (გაიცინა) ერთხელ თეთრ დუქანში ვიჩხუბეთ კიდევაც. ვიჩხუბეთ ახლა როგორ, ცემა-ტყეპა კი არ გაგვიმართავს. შემაგინა და გავარტყი. მყისვე შევრიგდით, გადავეხვიეთ და ვაკოცეთ ერთმანეთს. ლხინი განვაგრძეთ. (კიდევ გაიცინა) ამის შესახებ მერე გაზეთში ფელეტონი გამოაქვეყნეს, „მოხულიგნო პოეტები" ჰქვიოდა.

ეზოში შესასვლელ კარებთან სიგარეტს ეწეოდი. იქვე სიმონ ჩიქოვანი ნერვიულად ბოლთას სცემდა. „გოგლა, გოგლა", —რამდენჯერმე გალიზიანებით დაიძახა. „დარჩითო, კინო ნახეთო, — გაისმა შიგნიდან ბოხი, ჩახრინწული ხმა, — დავრჩეთ, სიმონ, უხერხულია", „რას ამბობ, — ხელი აიქნია სიმონმა, —წამოდი, კაცო, გვეჩქარება". ბოლოს წავიდნენ. მათ, რასაკვირველია, აზრადაც არ მოსვლიათ, რომ შენ ქართველი ხარ და გესმის, რაზე ლაპარაკობენ.

სამი თუ ოთხი თვის შემდეგ სიმონ ჩიქოვანს თერთმეტსართულიან, იმჟამად თბილისის ყველაზე მაღალ შენობაში, „მნათობის" რედაქციაში მიუტანე შენი ნაცოდვილარი ლექსები. ნაცოდვილარით ახლა ამბობ და ბოლომდე ამის ხანდახან ახლაც არ გჯერა, მაშინ კი ცხადია ზოგიერთს თითქმის შედევრად მიიჩნევდი. სიმონი დიდხანს გელაპარაკა, ფანტაზია მოგიწონა, მოულოდნელი ასოციაციები, ტექნიკა. ერთი ლექსი გადაიკითხა, სადაც გადამეტებული ალიტერაცია განზრახ იყო გამოყენებული. ჩაათავებდა სტროფს და ამოგხედავდა, ეუჰ, — იტყოდა. ვერ მიხვდებოდი ექაშნიკება თუ პირიქით. ეს როგორ გააკეთეო, — თქვა ბოლოს და ისევ ვერ გაიგე კარგი თუ ცუდი გააკეთე. ალბათ კარგი, —ასე გადაწყვიტე. თავი დაირწმუნე, რომ ყოფილ ფუტურისტს, ვისაც ალბათ მოსწონდა ასეთი შეულერადებები, როგორც — „დაებადე დარიალს... დარიალს ვინ დაიარს", გულგრილს არ დატოვებენ ამგვარი სტრიქონები: „ეტყობა ეტყოდა სიტყვების ეტიუდს — ყოყოჩი ყაყაჩო ყეყეჩი ყაყანა"; ან ამნაირი რითმები: გაზეთებს —გაზეთილს, სახლები —სახელი; ანდა ამისთანა დისონანსები: ხახები—ხოხობი, თრთვილი—რთველი. მიხვდება, რომ იცნობ ხლებნიკოვს, ასეევს, პასტერნაკს, იჭნებ ვადიმ შერშენევიჩსაც კი. და რაღა თქმა უნდა, მაიაკოვსკის.

ამ პოეტის აულაგმავი ძალა პირველად მაშინ იგრძენი, როცა „შარვლიანი ღრუბელი" წაიკითხე. ძალა იგრძენი, მაგრამ იმხანად ესენინით იყავი აღფრთოვანებული და მასთან მაიაკოვსკის გატოლება არც კი გიფიქრია. ისევე, როგორც რამდენიმე ხნის მერე ესენინს არაფრის დიდებით მაიაკოვსკის არ გაუთანაბრებდი, იმდენად მაღლა აყენებდი ამ უკანასკნელს. ხოლო ადრე „ღრუბლის" მებრძოლი პათოსი, სარკასტულობა, უჩვეულო შედარებები, გამომწვევი ტონი ძალიან მოგეწონა, მაგრამ ეს ნაწარმოები პოეზიად ვერ აღიქვი, სხვა რამე გეგონა. რა „სხვა", თითონ არ იცოდი. ტრადიციული მწერლობის ინერცია ვერ დაძლიე. გარეგნული პოეტური სამკაულების დამამსხვრეველმა ნოვატორობამ შეცდომაში შეგიყვანა. საკვირველია, მაგრამ აზრობრივ ნოვატორობას უფრო ადვილად აულე ალღო.

მაიაკოვსკი გენიალური შემოქმედი არის. რა მასშტაბის გენიოსი (აქაც არსებობს გრადაცია), ამას მომავალი დაადგენს.

ლირიკოსი, ეპიკოსი, სატირიკოსი, დრამატურგი, პროზის ოსტატი, და ბოლოს, კარგი მხატვარი... და ამასთან ერთად ჭეშმარიტი რევოლუციონერი, ჰუმანისტი, მოქალაქე, გულისხმიერი და სპეტაკი ადამიანი.

თუკი შესძლებ, აუცილებლად უნდა დაწერო პოემაზე „ამის შესახებ". მის განსაცვიფრებელ ტროპებზე, თეთრ დათვად ქცეულ და ერთდროულად კაცად დარჩენილ ლირიკულ გმირზე, რომელიც უფრო ადრინდელი პოემის გმირს შეხვდება მოგზაურობის დროს. დაწერო არნახულად ყვითელ დაისზე, თოვლიც რომ გააყვითლა და ამ თოვლზე მომავალ ბიჭზე. იმაზე, რომ პოეტი ვალდებულია არა მარტო თავის, არამედ ყველას ბედნიერებაზე იფიქროს. მაიაკოვსკის ოცნებაზე, რომ ოჯახში მამა სამყაროდ მაინც გარდაიქმნას, დედა კი დედამიწად მაინც.

ესენინმა თავისთავს სოფლის უკანასკნელი პოეტი უწოდა. თუ თემატიკით ვიმსჯელებთ, ქალაქზე მას საკმაოდ ბევრი ლექსი აქვს შექმნილი. მაგრამ საქმე იმდენად ის კი არ არის, რაზე სწერ, არამედ მხატვრული აზროვნების არსი, მასში როგორი მსოფლშეგრძნება, როგორი ალქმა — ქალაქური თუ სოფლურია გაბატონებული. ესაა მთავარი. მაიაკოვსკი პოლემიკური გადამეტებით აღნიშნავდა —ძველი პოეტი მართებულად მიიჩნევდა ქალის ყვავილთან შედარებას, ახალი პოეტი პი-

რიქით — მას ყვავილი აგონებს ქალს. მაშასადამე, ინდუსტრიალურ ქალაქში მცხოვრები შემოქმედი მოწყვეტილია ბუნებას, იშვიათად თუ დაინახავს ყვავილს. რასაკვირველია, ამ მსჯელობებს ბევრი სუსტი მხარე აქვთ, ყველაფერი ეს მეტისმეტად პირობითია. თუნდაც იმიტომ, რომ ქალი არც ძველი პოეტებისათვის იყო უცხო ფენომენი...

ისეთი რთული და მასშტაბური მოვლენა, როგორიც სერგეი ესენინის პოეზიაა, არ შეიძლება ერთმა განსაზღვრებამ დამაკმაყოფილებლად განმარტოს. მის გვერდით დაყენებული სიტყვა სოფლური — თითქმის დამაკნინებლად ჟღერს. და თუ მაინცდამაინც საჭიროა, ამ ადგილას ყველას აჯობებს ზედსართავი სახელი — დიდი. სწორედ იგი შეესატყვისება იმ მხატვრის შემოქმედებას, ვინც პოემა „შავი კაცი“ დაწერა, რომლის ნერვიული დაძაბულობა ურბანისტული მსოფლშეგრძნობის ნაშიერია და სოფლურ სიდინჯესთან არაფერი აქვს საერთო. პუშკინის პატარა ტრაგედიაში ნახსენებმა შავმა კაცმა, მოცარტს რომ ეჩვენება ჩრდილივით უკან დამდევსო, მეოცე საუკუნეში გადმოინაცვლა და პოეტს მიაკითხა. შავი კაცი უყვებოდა მას კალუგისა თუ რიაზანის რომელიღაც სოფელში გაზრდილი ყვითელთმიანი და ცისფერთვალება ბიჭის უკუღმართ ცხოვრებაზე. ეს ბიჭი, როცა დავაჟკაცდა, მონიჭიერო და პეწიანი მგოსანი გახდა, რომელიც ორმოცი წელს გადაცილებულ ქალს საზიზღარ გოგოს და თავის სატრფოს ეძახდა.

ცილინდრიანი შავი კაცი არ ეშვებოდა პოეტს, არ წყვეტდა მხუთავ ლაპარაკს, დაჟინებით აცქერდებოდა მოსაუბრეს და ამ დროს მისი, შავი კაცის, თვალები ცისფერი ნარწყევით იფარებოდნენ... ბოლოს გაცოფებულმა, გაცეცხლებულმა პოეტმა თუ იმ ყვითელთმიანმა ბიჭმა (თუ ორივემ ისევ ერთ არსებად ქცეულებმა) პირდაპირ სიფათში ესროლა შავ კაცს მძიმე ჯოხი. და ამის შემდეგ ოთახში დარჩნენ — პოეტი ცილინდრით თავზე და დამსხვრეული სარკე. სხვა არავინ.

ზაფხულის წუნარი წვიმა მოდიოდა და რძესავით თეთრი ნისლის ნაგლეჯები მწვანე მთის კალთებზე მისცურავდნენ. აივანზე მაგიდა იდგა, ზედ — წითელი ალუბლით გავსებული თეფში და გადაშლილი წიგნი. ქვევიდან, ეზოდან, ისმის: „სასადილოში ბულღამა ვჭამე, ხო, კარგი ბულღამა იყო“... წიგნის გვერდები იფურცლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მეცხრამეტე საუკუნეში რესტორნიდან ქალი და მამაკაცი ბრუნდებიან ფიაკრით და, როცა სარკმლებში გაზის ფარნების შუქი იჭრება, ღვინომოკიდებულ ქალს თვალები აუელვარდება ხოლმე. არც ერთი ხმას არ იღებს, მამაკაცი თავს იმტვრევს, რაზე ფიქრობს მისი თანამგზავრი, ერთადერთი წადილი დაუფლებია და ვერ ბედავს გულის მოთხებას. ამ დროს იგრძნობს მორიდებულ შეხებას, უსიტყვო მოწოდებას... პარიზის ქვით მოკირწყლულ ქუჩებს მიყვება ცხენებშებმული, ბორბლებზე დადგმული კოლოფი და შიგნით მამაკაცი და ქალი ეხუტებიან ერთმანეთს. აქ, ამ უსუფთაო კოლოფში, იწყება ჟორჟ დიუროასა და კლოტილდა დე მარელის სიყვარული, რომელიც სისპეტაკის ნიმუშად არ გამოდგება. იქნება სასარეცლო ალტაცება, წრეგადასული ვნება, რომელთა აღწერას ავტორი მოერიდება. იქნება განზრახ იაფფასიან სასაუზმეებში სიარული, კლოტილდას საყვარლის და ქმრის თითქმის დაამხანაგება, გარდა ამისა, იქნება სხვადასხვა კონფლიქტები, სკანდალი ფოლი-ბერჟერში იქაური მეძავის რაშელის გამო, გაბუტვა, გამოწვეული დიუროას პირველი ქორწინებით, დაბოლოს, მეორე ცოლის შერთვის წინ თვითონ დამნაშავე დიუროა უწყალოდ დაბეგვავს თავის სატრფოს. მაგრამ ეს სიყვარული ამ განსაცდელსაც გაუძლებს.

...ალუბალი წითელ ლაქას ტოვებს წიგნის ფურცელზე.

...გაივლის ხანი და ნახავ ზამთრულ პარიზს. იცხოვრებ საშუალო დონის სასტუმრო „ტრიანონში“, რომელიც მოპასანის მიერ არაერთგზის ნახსენებ ვოჟირარის ვიწრო ქუჩის მახლობლად მდებარეობს.

ჩვეულებრივი ტურისტული მარშრუტები. ეიფელის კოშკი, მოპასანს რომ დასანახავად ეზარებოდა, დიდი ბულვარები, ტრიუმფალური თაღი, მხოლოდ ყვავილებით მორთული უცნობი ჯარისკაცის საფლავი, თანხმობის მოედანი, სადაც ერთ დროს გილიოტინა იდგა, ვანდომის სვეტი და მის გარშემო ძვირფასეულობის მაღაზიების გაჭედილი ვიტრინები, მონმარტრი, სადაც სახელგაუთქვამი მხატვარი, ცოტაოდენი ფული თუ გადაუხადე, ხუთ წუთში შენ პორტრეტს დახატავს...

ერთხელ დილის ექვს საათზე გამოხვედი სენ-მიშელის ბულვარზე, რომ სამუშაოზე მიმავალი ხალხის პირველი ტალღა გენახა. დაგამახსოვრდა თითქოს თუ თითქმის მომღიმარი, მოხდენილად ჩაცმული ჩექმებიანი ქალიშვილები. წინა დღითაც ასე თითქოს თუ თითქმის მოღიმარი ქალი იხილე, რომელიც ტუვიაგაუმტარი სამი შუშის უკან მოექციათ. იგი ხუთასი წლის უკან დახატა ცაცია მხატვარმა, რა თქმა უნდა, მარცხენა ხელით გამოსახა პატარა ტილოზე. დიდხანს უცქერდი ჯოკონდას, ხელს არავინ გიშლიდა, ვინაიდან ამოზნექილი შუშის წინ ბევრად ნაკლები ხალხი იყო, ვიდრე ზამთარში ლუდის რიგში მიგდებულ ქუჩაში მდგარ ჯიხურთან.

გაეთვალისწინებინათ აგრეთვე ნაპოლეონის ახლანდელი საფლავის დათვალიერება, რომელიც კარგად რომ დაინახო მაღლა განლაგებული წრიული აივნიდან, ქედი უნდა მოიდრიკო. იქვე, იატაკზე, დაწერილია იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდებები, სადაც გამარჯვება მოიპოვა გენერალმა, პირველმა კონსულმა და შემდგომ იმპერატორმა. ეგვიპტის კამპანიაც არაა დავიწყებული. და შენ, კაიროდან ახლახან ჩამოსულს, გაგახსენდა ცნობილი ფრაზა ფრანგი მხედართმთავრის ერთერთი ბრძანებიდან: ჯარისკაცებო, ამ პირამიდებიდან ორმოცი საუკუნე გიმზერთ...

პირამიდებს იშვიათად აწვიმთ. ლურჯი ცა, ბაცი ყვითელი ქვიშა და თითქმის იგივე ფერის გიგანტური აკლდამები. სფინქსი, რომელსაც ნაპოლეონის ოფიცრებმა დამბაჩის ტყვიებით ცხვირი მოამტვრიეს, როცა ქანდაკება უდაბნოდან ქარის მიერ მოტანილ ქვიშაში ყელამდე იყო ჩაფლული.

...ხეოპსის პირამიდაში შეხვედი. ზევით და ზევით მიდიხარ გაურანდავი ფიცრებისაგან ნაჩქარევად გაკეთებული კიბით, როგორითაც სახლის შენებისას დროებით სარგებლობენ ხოლმე. მკრთალად ანათებენ დაუდევრად გაყვანილ, მოშვებულ მავთულებზე აქა-იქ ჩამოკიდებული ელექტრონის ნათურები. ვენტილაცია არაა, სუნთქვა ჭირს. სულს ძლივს ითქვამ შიგადაშიგ განლაგებულ გადასასვლელებში. უნებური ფიქრი —რა ოხრობა გინდოდა, რაზე შემოხვედი, ახლა მდაბიომ ფეხები რომ გაჭიმო ფარაონის განსასვენებელ ადგილას, როგორი საქმეა. კაი დახლი დაგიდგება... ბოლოს, როგორც იქნა, ის საკანი, სადაც ქვის სარკოფაგი დგას. ორივე ხელი მოკიდე სარკოფაგს და უკან წამოხვედი. გზაში ზევით მიმავალი, შენზე უფრო გაჭირვებული შავტუხა კაცი შეგხვდა. ჩალის ფერი ედო. ქართული მეტიჩრობა გამოიჩინე. „დახმარება ხომ არ გჭირდებათ?“ — ისეთი ინგლისურით კითხე, რომ იმან კი არა ნახევარი შენც ვერ გაიგე. ამას თავმომწონე პასუხი მოყვა კიდევ უფრო უარესი ინგლისურით: „როგორ გეკადრებათ, ყველაფერი რიგზეა“. ამ დროს ოფლის მსხვილი წვეთები უფარავდა სახეს და ხელით კიბის მოაჯირი ეკავა, რომ არ წაქცეულიყო.

ყველა ვერ გაიგებს, რა სასიამოვნოა პირამიდიდან გამოსვლის შემდეგ სრულიად თავისუფლად სუნთქვა!

მთვარიანი ღამით აქვე სინათლის, მუსიკის და ხმის წარმოდგენას დაესწრები. პირამიდებს ხან წითელს, ხან მწვანეს, ხან ყვითელ შუქს აფრქვევენ და სახელგანთქმული ლოურენს ოლივიე თავისი ოქსფორდული თუ კემბრიჯული გამოთქმით ყვება ოდესღაც მომხდარ ამბებს. უცებ გაიოცებ, რომ ხუთი ათასი და ოთხი ათასი წლის უკან ნაცხოვრებ ადამიანებს შორის ვერავითარ განსხვავებას ხედავ და ნუთუ კიდევ ხუთი ათასი წლის შემდეგ ჩვენი შთამომავლები სოფოკლეს და შექსპირს ერთი ეპოქის შვილებად, თითქმის თანამედროვეებად მიიჩნევენ?!

პირამიდებზე და ისტორიაზე ფიქრი არ მოგასვენებს არც აქ, კაიროში, არც ალექსანდრიაში, სადაც იცხოვრებ სასტუმროში, რის საძირკველს ხმელთაშუა ზღვის ტალღები ლოკავენ, იმ ზღვისა, რომლის ნაპირებზე ძველეგვიპტური, ძველბერძნული, რომაული ცივილიზაციები წარმოიშვნენ და დაემხნენ. შენ დღისით დალიე მისი მლაშე და ლურჯი წყალი, ხოლო ღამით პარიზს მიმავალი იაპონური თვითმფრინავით თავზე გადაევლები რამდენიმე საათის განმავლობაში.

გასცქერი მრუმე სივრცეს სასტუმროს ფანჯრიდან და გახსენდება ამ ზღვის დიდი ყური — ევქსინეს პონტი.

გაგონდება ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტის თითქმის მივარდნილი პლაჟი რიონის შესართავის მახლობლად. აქ, ფაზისის პირას, რომლის სათავედ ძველი ბერძნები ყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილას სათავეს თვლიდნენ, ასე რომ ფაზისი ქიათურაში ჩამოდის და არა ქუთაისში, გათამაშდა იასონისა და მედეას სიყვარულის პირველი მოქმედება და ბერძნებმა გაიტაცეს ოქროს საწმისი, რომელიც, მითებს თუ დავუჯერებთ, თავის დროზე კოლხეთში საბერძნეთიდან იყო ჩამოტანილი.

...სილაზე ვწექი. ზღვა ჩუმად სუნთქავდა. დაუპატიჟებელ სტუმრებად გეწვიენ აბეზარი, სუსხიანი ფიქრები, მაგრამ შენ მოიშორე ისინი.

ნუთუ ზუსტად ასეთი ამინდი იდგა, ზღვასაც ამნაირი ფერი ქონდა, როცა ათნიჩბიანი და იალქნიანი გემი „არგო" კოლხეთის ნაპირს მოადგა?! აი, მოსცურავენ საბერძნეთის დიდებული გმირები და მათ დელფინების და თევზების ჯოგები მოსდევენ, რათა ორფევსის სიმღერით და ოქროს კიფარის სიმების ჟღერით დატკბნენ. უკან გმირებმა მოიტოვეს საშიში და მხიარული გზა. შეტაკებები ექვსხელიან გოლიათებთან, სპილენძისფრთიან, ჯადოსნურ ფრინველებთან, ბრძოლები, ჩხუბი, მოძრავ კლდეებს შორის გამოღწევა, დალხინებული ცხოვრება ამორძალების ქვეყანაში. გაბედულად მიისწრაფოდნენ წინ არგონავტები, ანტიკური კონკისტადორები, და აი მოაღწიეს კიდეც კოლხეთს.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ დამთავრდა იასონისა და მედეას სიყვარული. თუმცა ერთი სპექტაკლი გახსოვს ამ თემაზე თანამედროვე პიესის საფუძველზე დადგმული. ახალი მედეა კეთილი იყო — იგი არ კლავდა თავის შვილებს.

ევრიპიდეს მედეა მისანი, ჯადოქარი, ცოდვებით დამძიმებული, ცხელსისხლიანი ქალია. ის კლავს შვილებს, რადგან მათ გადასარჩენ გზას ვერ ხედავს, და კიდევ იმიტომ, რომ ეწამოს თვითონ და გააწამოს იასონი. და ვნებათა შეხლაში, ურთიერთ საწინააღმდეგო გრძნობათა მორევში, ბორგვაში... [illegible]

вარდნილ გრიგალში იკვეთება ტრაგედია. ტრაგედიაში ყოველთვის ბევრი შეუსაბამობაა, თუკი მას სალი აზროვნების საზომით მივუდექით. მაგრამ ჭეშმარიტ ხელოვნებაში იგი ყოველთვის ამაღლებულია და სულიერად განწმენდს მკითხველს თუ მაყურებელს.

..მწარე და გამოფიტული იყო იასონის შემდგომი ცხოვრება. ყველაფერი წარსულში დარჩა — მოგზაურობა, ოქროს საწმისი, სიყვარული, შვილები. უმიზნოდ ხეტიალობდა იასონი და ერთხელ წააწყდა თავისი სიჭაბუკის, ოცნებების და იმედების გემს. „არგო" ხმელეთზე იდგა, მას დიდიხანია აღარ უხმობდა ოკეანეს ლაღი სივრცე. დაწვა „არგოს" ჩრდილში იასონი და დაიძინა. უცებ დაინგრა დახავსებული ხომალდი და ნამსხვრევებს ქვეშ დამარხა იასონი. ისინი ერთად მოკვდნენ — გემი და ადამიანი.

...მზე უფრო და უფრო დაბლა ჩამოდის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტის პლაჟზე იმყოფები და მრავალი ცხოვრებისეული ჭეშმარიტებების მცოდნე, ბრძენ შავ ზღვას გასცქერი. და მოულოდნელად მედეას დაინახავ. იგი წყლის ცისფერ ზედაპირზე მოდის ნაპირისკენ. მედეას აცვია თეთრი, თანამედროვე, მუხლისთავებს რომ აჩენს, ისეთი კაბა და თეთრი მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელები. მედეა გიახლოვდება. მას ნაცნობი სახე აქვს...

...ვერა, მაინც ვერ მოიშორე სუსხიანი ფიქრები.

ტატო გელენავა
რევაზ ჩხარტიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „უჩვეულო სიმბიოზის“ გამო

ალმანახ „კრიტიკის“ შარშანდელ ნომერში დაიბეჭდა ჯემალ შარაშიძის ვრცელი წერილი „უჩვეულო სიმბიოზი“ („კრიტიკა“, 1983 წ. № 1). წერილის პირველივე ფრაზა უჩვეულოდ ეფექტურია: „სოსო სიგუას რომანი განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“. საერთოდ, ამ ფრაზის მიღმა იგულისხმება, რომ მწერალს კარგი ნაწარმოები დაუწერია, მაგრამ როცა ამ ფრაზას სარკასტულ იერს მივანიჭებთ, აქ უკვე თავად კრიტიკოსის მიკერძოება მჟღავნდება განსახილველი წიგნისა თუ მისი ავტორის მიმართ და, ბუნებრივია, წერილის დასკვნითმა ნაწილმა ასეთი სახე უნდა მიიღოს: „მეთორმეტე პარალელი“ არის იმის ნიმუში როგორი არ უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები“. როგორც ვხედავთ, კრიტიკოსის წინასწარ შემუშავებულმა თვალსაზრისმა ფრჩხილებიდან დაიხსნა თავი, თორემ ჯ. შარაშიძეს უნდა სცოდნოდა, რომ არც მკითხველი საზოგადოება და არც სალიტერატურო კრიტიკა (მაგ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“) ს. სიგუას რომანზე ასე არ ფიქრობს.

პირდაპირ უნდა ვთქვათ: „მეთორმეტე პარალელი“ განსაკუთრებული მოვლენა არ არის, მაგრამ არცთუ უინტერესო რომანია, ოღონდ დანახვა და ობიექტური შეფასებაა საჭირო, ამასთან, კრიტიკოსის გულწრფელი თანადგომაც არ იქნებოდა ურიგო.

წერილში არის კიდევ ერთი კატეგორიული თეზა: სოსო სიგუა არის ლიტერატორი და არა პროზაიკოსი. აქ კიდევ ერთხელ გაიხსნა ფრჩხილი, ვინაიდან ეს აზრი, არც მეტი, არც ნაკლები, წერილობითი გამჟღავნებაა იმ უკმაყოფილებისა, კრიტიკოსების მიმართ რომ გამოთქვამენ კულუარებში, როცა ეს უკანასკნელნი კრიტიკულ წერილებთან ერთად მხატვრულ ნაწარმოებსაც წერენ. რატომღაც ავიწყდებათ, რომ რუსული და უცხოური ლიტერატურა ბევრ მრავალჟანროვან პროფესიონალ მწერალს იცნობს, თუმცა ეს ფაქტი არც ქართული ლიტერატურისთვის არის უცხო.

ჯ. შარაშიძე ს. სიგუას რომანს განიხილავს მხოლოდ როგორც ეპიკურ; ტრადიციულ-ყოფით ნაწარმოებს. კრიტიკოსი რომ პირველ შთაბეჭდილებას ბრმად არ დანდობოდა, შენიშნავდა: რომანში თავს იყრის სხვადასხვა მიმართულების სტილური პლასტები, რაც ქმნის სამ ფენას. ერთი მხრივ, ის აგებულია, როგორც ტრადიციულ-ყოფითი ნაწარმოები. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი პლანია და მას მთავარი დატვირთვა არ ეკისრება. იგი ფონი და საშუალებაა მოვლენათა წარმოსაჩენად. დაკვირვებულ კრიტიკოსს ეს არ უნდა გამორჩეს.

ნაწარმოების მეორე მხარე სიმბოლურია. შეიძლება ითქვას, რომანის ყოველი თავი, ცალკეული პასაჟები და ზოგჯერ სტრიქონებიც კი (რომლებიც პერიოდულად მეორდება და იწვევს განსხვავებულ თვალსაზრისთა შეჯახებას) გადატანითი, სიმბოლური აზრის მქონეა და მისი პირდაპირი აღქმა მხოლოდ გაუგებრობამდე მიგვიყვანს. მაგრამ ეს გაუგებრობა მწერალს როდი უნდა მივაწეროთ.

რომანის მესამე მხარე ირონიულ-პაროდიულია. კრიტიკოსს რომ დაკვირვებით წაეკითხა ერთ-ერთი თავი „აბსურდი“, შეატყობდა, რომ აბელის ცხოვრება, გატაცება და მიზანი აბსურდულია, ცხოვრებისაგან დაცილებული, რის გამოც იგი უნებურად ზედმეტ ადამიანად იქცა, საზოგადოებას განუდგა და თავის თავში ჩაიკეტა. წერილის ავტორი კარგად ხედავს აბელის ამ წინააღმდეგობრივ ხასიათს, მაგრამ ვერ აანალიზებს, რატომ ხატავს მწერალი ამგვარად თავის პერსონაჟს. როგორც ჩანს, კრიტიკოსი არც იმას დაუკვირდა, რომ პაროდიულია მედეას მატილდად სახელდება. რომანში ასევე პაროდიულია დირექტორის სახე და მისი პირდაპირი აღქმა, რა თქმა უნდა, გაუგებრობამდე მიგვიყვანს.

რომანის რეალისტურ-ყოფით პლანზე მსჯელობისას კრიტიკოსს გამორჩა, რომ 1) პერსონაჟებს ავტორი მხოლოდ სახელით იხსენიებს. სახელები იწვევენ გარკვეულ ასოციაციებს. გეოგრაფიული გარემო — თანამედროვე დიდი ქალაქი — მთლიანად შეთხზულია. ამგვარად უნდა ვიგულისხმოთ რომანში მითითებული კაფე „მარსი“, „ორფეოსის პროსპექტი“, კინოთეატრი „გლადიატორი“ და სხვ. 2) ქალაქი დანახულია კრიტიკული თვალით. ადამიანს ადა-

* იბეჭდება შემოკლებით

მიანისა აღარ სჯერა, გაბატონებულია უგულობა და ინდიფერენტიზმი. ცხადია, ასეთი გარემო, ცივილიზაციის სტრესი მოქმედებს პერსონაჟებზე. სწორედ მეშჩანურმა საზოგადოებამ აქცია აბელი ინდივიდუალისტად, ფრაზიორ, მეოცნებე მარტოსულად. ყოველივე ამას განხილვა და შეფასება სჭირდება, თუ გვინდა რომანის ავ-კარგს ჩავწვდეთ.

„მეთორმეტე პარალელი“ კი არ არის ტრადიციული რომანი. ამას ჯ. შარაშიძეც მშვენივრად ამჩნევს, მაგრამ რატომღაც სწორ კვალიფიკაციას არ უძებნის.

თავისუფალი კომპოზიცია, ასოციაციური აზროვნება, შინაგანი მონოლოგები, ინტელექტუალური განსჯანი, პიროვნების დეპერსონიზაცია, მასალის დაშლა „მეთორმეტე პარალელს“, თუ არ ვცდებით, ანტირომანის მაგალითად წარმოგვიდგენს ქართულ მწერლობაში. მას არ თვლიდნენ რომანად იმიტომ, რომ არ გააჩნია ფაბულა, არ გადმოსცემს ამბავს და ეფუძნება თავისუფალ ასოციაციებს, რაც შეეხება სიმბოლიზებას და პაროდირებას. შექმნასა და გაუფასურებას, ესეც ანტირომანის („ახალი რომანი“) სპეციფიკური თვისებაა. სულ სხვა საკითხია, რა დონითაა ეს გაკეთებული ს. სიგუას რომანში.

ჯ. შარაშიძე შენიშნავს: რომანში საგრძნობი ადგილი უკავია მეცნიერულ მასალას, ინტელექტუალურ განსჯას. რატომ უკვირს კრიტიკოსს? პერსონაჟი საზოგადოების წარმომადგენელია, იგი ან გლეხია, ან მუშა, ან ინტელიგენტი, იმ საკითხებზე ფიქრობს და აზროვნებს, რომელიც მისი ცხოვრების ორგანულ ნაწილს შეადგენს. ნოდარ გელოვანი (გ. ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადი“) ფიზიკის ურთულეს პრობლემებზეა დაფიქრებული და იგი ვერ იაზროვნებს ისე, როგორც ჟურნალისტი ოთარ ნიჟარაძე ჟურნალისტიკის საკითხებზე (გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“). ნებისმიერი პერსონაჟი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ამ ცხოვრების ასახვაა აუცილებელი, თუ გვინდა პერსონაჟის მოქმედება და საქციელი ვირწმუნოთ. გავიხსენოთ, რომ მწერალი აბელი თხზავს ავანგარდისტულ რომანს, მალხაზი მუშაობს ხელოვნური ინტელექტის პრობლემაზე, მედეას გენეტური ინჟინერი აინტერესებს. სამივე არარსებულის შექმნას ცდილობს. ამისათვის აბელი სიტყვათა წიაღში იჭრება (მისი პროფესიაა), მალხაზს სურს ადამიანურ ვნებათ გადატანა რკინის სამყაროში, მედეას — ხელოვნური უჯრედის შექმნა. ისინი ერთმანეთს ვერ უგებენ, თუმცა საერთო მიზანს ემსახურებიან. „მეთორმეტე პარალელს“ განსაზღვრავს არა სიუჟეტის ლოგიკა, არამედ იდეისა. მიუხედავად ამისა, კეთილად განწყობილი კრიტიკოსი დაინახავდა, რომ მწერალმა მოგვცა პერსონაჟთა დასამახსოვრებელი, ინდივიდუალური ხასიათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, სრულიად ნათელია „მეთორმეტე პარალელის“ ინტელექტუალური ხასიათი, ხოლო ინტელექტუალური მოდელი ყოველთვის გულისხმობს პირობითი სქემების დაშვებას, სპეციფიკურ ხელოვნურობას. ჯ. შარაშიძე ყოფითი მასალისა და მეცნიერული ცოდნის, სახისა და ცნების შერწყმას „უჩვეულო სიმბიოზად“ ნათლავს და პრინციპულ შეცდომად თვლის. მაგრამ რა ვუყოთ ინტელექტუალურ რომანებს? არ წავიკითხოთ? თუ იქნებ ისინი არ განეკუთვნებიან მხატვრულ ნაწარმოებებს? „მეთორმეტე პარალელი“ არის ინტელექტუალური ანტი-რომანი და თუ მისი უარყოფა გვსურს, მხოლოდ ამ პოზიციიდან უნდა ვედავოთ ავტორს. „მეთორმეტე პარალელის“ სიუჟეტური სტრუქტურის გასაგებად თვით ს. სიგუას გამონათქვამიც დაგვეხმარებოდა. იგი წერს: რომანში ტიპს ერთვის ან ცვლის არქეტიპი, ხასიათს — მოდელი, ეპიკურ თხრობას და დიალოგს — მონოლოგი და ასოციაცია, სიყვარულს — სექსი, სიუჟეტს — იდეა“ (ენა და ტექსტი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1983 წ. 4. მარტი).

ახლა სიუჟეტისა და კომპოზიციის შესახებ.

რომანი 24 თავისაგან შედგება, თითოეული თავი არსებითად ცალკე ნოველაა, რომელსაც მთლიანი ხასიათი და სიუჟეტი აქვს. აქ ძირითადად დაცულია ტრადიციული, რეალისტური ჟანრის, პოეტიკა. ნოველებს შორის რომ კავშირი არ არსებობდეს, მაშინ შეიძლებოდა, ვთქვათ, XX თავის („თამარ“) გადმოტანა XV თავის („სუროს კედელი“) ადგილზე და პირიქით, მაგრამ რომანს აქვს მთლიანი სიუჟეტიც, თუმცა, კრიტიკოსის მართებული მოსაზრებით, გარეგნულად არა მძაფრი და დინამიკური. მთავარი ყურადღება, ჩვენი აზრით, უნდა მიექცეს ფსიქოლოგიური კოლიზიის განვითარებას. ნაწარმოების ბოლო თავში („კედელი“) ერთიანდება ცალკეულ ნოველებად გაბნეული სიუჟეტური ხაზები. დაცულია დროის მთლიანი ქრონოლოგია; კრიტიკოსი აიგივებს აბელსა და წიგნის ავტორს. ჯ. შარაშიძეს ავიწყდება, რომ პერსონაჟი ხშირად გამოთქვამს ისეთ აზრებს, რომლებიც საპირისპიროა ს. სიგუას სტატიებში განვითარებული შეხედულებებისა, ავტორი არ თანაუგრძნობს თავის გმირებს, უფრო მეტიც, ირონიულად არის განწყობილი მათდამი ჯ. შარაშიძის აზრით, აბელი არც სულმდაბალია და არც მოღალატე, იგი, საერთოდ, პიროვნება არაა, არაფერი არ არის. მაშინ, როგორ მოხდა, რომ ამ „არაფერმა“ კრიტიკოსის ყურადღება ისე მიიზიდა, ოცდაოთხგვერდიანი სტატია დააწერინა? რომანის ანალიზი ხომ კრიტიკოსმა, ფაქტიურად, ერთი პერსონაჟის განხი-

ლვით ამოწურა. მაშასადამე, აბელი რაღაც მაინც ყოფილა, რაღაცით მაინც იქცევს კრიტიკოსის ყურადღებას.

მაგრამ მოავარი აქ სხვა რამეა: კრიტიკოსი იმდენად გაიტაცა რომანის განქიქების სურვილმა, ვერც კი მიხვდა, რომ შეურაცხყოფა მიაყენა სხსო სიგუას პიროვნებას. მტკიცების ჯ. შარაშიძისეულ გზას რომ გავყვეთ, მაშინ ლუარსაბ თათქარიძე ილია ჭავჭავაძე აღმოჩნდება, კვაჭი კვაჭანტირაძე — მიხეილ ჯავახიშვილი...

კრიტიკოსი გაოცებულია: როგორ შეიძლება ერთ ადამიანს ერთდროულად ორი ქალი უყვარდესო. უნდა შევახსენოთ, რომ სიყვარული რომანში არც ასახულა. ხოლო პერსონაჟის დამოკიდებულება ორი ქალისადმი ამ შემთხვევაში სწორედ იმას გვიჩვენებს, რომ აბელის ბუნება გაორებულია, ეს კი ცნობიერ-არაცნობიერის დაპირისპირებით იხატება. აბელი ხომ ე. წ. საზღვარზე მდგარი პიროვნებაა, არ შეიძლება მისი საქციელი ნორმალური ადამიანის საქციელით განისაზღვროს. ასეთი პიროვნების ქცევასა და შეხედულებებს, ცხადია, ალოგიზმიც ახლავს და წინააღმდეგობანიც (ეს ფაქტიც მოაგონებდა კრიტიკოსს, რომ პერსონაჟისა და ავტორის გაიგივება არაფრით არ შეიძლება).

ჯ. შარაშიძე შენიშნავს, აბელი ნევრასტენიკიაო. თუ აბელი ნევრასტენიკია, რატომ მოითხოვს კრიტიკოსი მისგან საზოგადოებრივი ეტიკეტის ზუსტ დაცვას, ექსცესებისაგან თავის შეკავებას?! „უცნაური პერსონაჟი" (შდრ. — ნ. კაკაბაძემ, „უცნაური პერსონაჟი", „ლიტერატურული საქართველო", 1983 წ. 25 თებერვალი) რომ ჩვეულებრივ სიტუაციაში ჩვეულებრივად მოიქცეს, მაშინ ის „უცნაური" აღარ იქნება. სხვა საკითხია, სჭირდება თუ არა ჩვენს ლიტერატურას ამგვარი პერსონაჟების მომრავლება.

მაინც როგორ არის მოტივირებული აბელის ბუნება? აბელი ძალზე განიცდის, რომ უნებურად კაცს მანქანა დააჯახა და მოკლა. ამ განცდას ისიც ამძაფრებს რომ წლების წინათ, ბავშობაში, მისი მიზეზით ძმა ავად გამხდარა და გარდაცვლილა. სინანული და გულისტკივილი, წუხილი და შეშფოთება თანდათან ჩამოუყალიბდება ეჭვად, შიშად, მანიად. ამას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ის, რომ დაღუპული კაცი მედეას მამა უნდა იყოს, მეორე მხრივ, გარემო, რომელშიც პერსონაჟი ცხოვრობს. აბელის ქცევა, მოქმედება და შეხედულებანი ამ საწყისიდან იღებს სათავეს. კრიტიკოსი ვერ ხედავს კავშირს მიზეზსა და შედეგს შორის და, ცხადია, პერსონაჟის ხასიათი დაუჯერებლად ეჩვენება.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, კრიტიკოსს რომანი ყურადღებით არ წაუკითხავს, მხოლოდ თვალი გადაუვლია. კრიტიკოსი წერს: „აბელი იგონებს მშობლების ურთიერთობას: „ჩვენ სიყვარული ალბათ თოლიებად გვაქვს", ეუბნებოდა მამა დედას, რომელიც ლერწამივით ცისკენ გასაფრენად მიიწევდა". უთუოდ ლამაზადაა თქმული, მაგრამ რაოდენ არაბუნებრივია ასეთი სტილი ამ სიტყვებით გამოხატული შინაარსისათვის! არ შეიძლება ცოლ-ქმარი ასე მეტყველებდეს, თანაც მოზრდილი შვილის თანდასწრებით. უსიამოვნო ასოციაციას აღძრავს აგრეთვე შვილის მიერ დედის, როგორც ცისკენ მისწრაფებული ლერწმის წარმოდგენა".

ნუთუ კრიტიკოსს არ ეჩვენება, რომ ეს უცნაური და ულოგიკო ტირადაა!? განა მართლა ასეა რომანში? ეტყობა, კრიტიკოსმა ვერ შენიშნა, რომ აბელი „მშობლების ურთიერთობას" კი არ იგონებს, არამედ სიზმარს ხედავს. სიზმრის ლოგიკა კი არ ემთხვევა რეალურ ურთიერთობათა ლოგიკას. ამ სიზმრის შინაარსი ევრიდიკესა და ორფეოსის მითის მოდიფიკაციაა. სიზმრის მეშვეობით ერთიანდება რომანში მითი და პიროვნების წარსული ხოლო ამ სურათის მიზანია პერსონაჟის არაცნობიერი იმპულსების წარმოდგენა და მოტივირება. სიზმრის მძაფრმა განცდამ აღუდგინა აბელს თამარის გადავიწყებული სახე. მისი მომავალი მარშრუტი ორფეოსისა და ევრიდიკეს მითის პაროდიული განმეორებაა, თანამედროვე ვარიაციაა. ამით იგი, მისდაუნებურად, კიდევ ერთხელ გაექცა სინამდვილეს.

„თამარი" უცხო იყო, როგორც სამოთხის ქვრივი". ლამაზადაა თქმული, მაგრამ გამოთქმა მოკლებულია შინაარსს", წერს კრიტიკოსი. მაგრამ რატომ არის გამოთქმა შინაარსს მოკლებული? ამაზე კრიტიკოსი დუმს. ეტყობა, მან არ იცის, რომ „სამოთხის ქვრივი" ფრინველს ჰქვია, ხოლო ქალის ფრინველთან შედარება დასაშვებია არა თუ სიზმარში, ცხადშიც კი.

ჯ. შარაშიძის მტკიცებით, „მეთორმეტე პარალელის" თითქმის ყველა გვერდიდან მოჩქეფს წარმტაც, ღრმაშინაარსოვან ამაღლებულ სიტყვათა ნაკადი, მაგრამ ამ სიტყვებს დაკარგული აქვთ გამომსახველობითი ფუნქცია და მათი უწყვეტი დინება მხოლოდ გამაოგნებელი ეფექტის, ძლიერი ხმაურის ან რაღაც განსაკუთრებულის, ძნელად გასაგების დამღლელ შთაბეჭდილებას ტოვებს". ამას ხომ დასაბუთება უნდა? დასაბუთებისაგან კი კრიტიკოსი თავს იკავებს. შესაძლოა, ცალკეულ პასაჟებში მართლაც საგრძნობი იყოს მაღალფარდოვანი მეტყველება, მაგრამ ეს შეეხება არა რეალური მასალის გააზრებას, ყოფითი დეტალების აღწერას, არამედ მონოლოგებს, წარსულის

მოგონებას ან სიზმრის ჩვენებას. კრიტიკოსს რომ კეთილგანწყობის პოზიციიდან წაეკითხა რომანი, ამგვარ დასკვნას არ შემოგვთავაზებდა. ს. სიგუას ფრაზა მეტწილ მოკლეა და დაწურული, რაც ტექსტის სწრაფ წაკითხვას მოითხოვს. შესაძლოა, ჯ. შარაშიძეს არ მოსწონდეს ექსპრესიული სტილი. ეს მისი ნებაა, მაგრამ არ არის სწორი ამ მიზეზით ს. სიგუას რომანის სახეთა სისტემა „ესთეტიკურობის იმიტაციად“ და „უსიცოცხლოდ“ მივიჩნიოთ.

კრიტიკოსი წერს, ნაწარმოებს რომ წერტილი დასმოდა, პერსონაჟი იმიტომ იღუპებაო. რატომ გონია კრიტიკოსს, რომ ს. სიგუამ არ იცის, ნაწარმოების დასამთავრებლად სულაც არაა აუცილებელი პერსონაჟის დაღუპვა. მეორეც, ასეთი დასასრული, რაც უნდა ხელოვნურად მოეჩვენოს კრიტიკოსს, განა არ აღძრავს იმის ფიქრს, რატომ დაასრულა ამგვარად ავტორმა ნაწარმოები, ხომ არ დევს აქ მწერლის პოზიცია, რა გვითხრა, რაზე ჩაგვაფიქრა? ყოველივე ამას ახსნა სჭირდება და არა ხელაღებით ძაგება და განქიქება.

კრიტიკოსი წერს: „მწერალი ყოველთვის მეცნიერულად როდი მსჯელობს მის მიერ დასმულ საკითხებზე“, რომ არაერთი საკითხი „ცრუმეცნიერული ან ანტიმეცნიერულია“. როცა ასეთ ბრალდებას ვუყენებთ მწერალს, ხომ უნდა ვეცადოთ მის დასაბუთებას?

აბელი დაესწრო პროფესორის ლექციას, რომელიც დანაშაულის მემკვიდრეობით ბუნებას ეხებოდა. ლექციამ იმდენად შეაძრწუნა, რომ აუდიტორიიდან გაიქცა. ამის შემდეგ იგი ფიქრობდა: ყველამ თავად უნდა ეძიოს სულის ხსნის, ცოდვათა გამოსყიდვის გზა და თუ ვერ მოახერხებს, სჯობს თავი მოიკლას, რადგან იგი ბუნებას დამნაშავის ტიპად გაუჩენია“. წერილის ავტორი ამ აზრებს მწერალს მიაწერს და კიცხავს, პრიმიტიულად ესმის დამნაშავეობის საზოგადოებრივი არსიო. კვლავ უცნაური ახირებაა: რატომ აწერს ამ აზრს კრიტიკოსი სოსო სიგუას? ამ აზრებს რომანში პროფესორი წარმოთქვამს ლექციაზე, პროფესორის აზრი კი ემყარება ლომბროზოს ცნობილ წიგნს „დანაშაული და მემკვიდრეობითობა“.

კრიტიკოსი გვთავაზობს ქვეცნობიერის ფროიდისტულ ახსნას და შემდეგ მწერლის ერთ-ერთ დიდ შეცდომად მიიჩნევს „კეთილი და ბოროტი საწყისის დაპირისპირების ქვეცნობიერებასთან დაკავშირებას“. თან იქვე შენიშნავს ს. სიგუა ამ პრობლემას მეცნიერული პოზიციიდან არ განიხილავსო. თუმცა ჯ. შარაშიძე მწერალს სწორედ ამ პოზიციიდან აკრიტიკებს. უნდა შევნიშნოთ კრიტიკოსს, რომ მწერალს კეთილისა და ბოროტის ჩვენება კი არ აინტერესებს, არამედ ჰუმანურისა (ცნობიერის) და ბარბაროსულის (ქვეცნობიერის) კონფლიქტისა, რაც არღვევს პიროვნების ჰარმონიულ მთლიანობას. აბელის ნევროზული [illegible] გაბზარვითაა ახსნილი. ქვეცნობიერ [illegible] გამოხატულია მხეცისებური სახით, რადგან იგი ბიოლოგიურ ინსტინქტთა და სურვილთა კრებადი ხატია. ტრადიციული ორი „მე“-ს ანუ პიროვნებისა და მისი დემონის შეჯახება შეცვლილია ცნობიერ-არაცნობიერის მოდელით. ცხადია, მხეცთან დავა ზნეობრიობაზე შეუძლებელია. ჯ. შარაშიძე კი ამბობს, აქ კეთილისა და ბოროტის საკითხია წამოჭრილიო, რაც ქვეცნობიერის სფეროს ნამდვილად არ განეკუთვნება. ნაწარმოებში გაშლილია არა კეთილისა და ბოროტის, არამედ სიკვდილისა და სიცოცხლის ყოფასა და ფსიქიკაში არეკლილი ბრძოლის პერიპეტიები. ასე რომ, მთელი ტირადა ამაოდ მიეძღვნა იმ შეხედულების კრიტიკას, რომელიც ს. სიგუას არ ეკუთვნის.

კრიტიკოსის აზრით, მწერალს რომანში ქვეცნობიერების პრობლემა „ჰაიჰარად წამოუჭრია, რითაც შემოქმედებით ზომიერების ძირითადი ნორმები უცერემონიოდ გადაულახავს“. ეტყობა, ჯ. შარაშიძე ს. სიგუას ცუდად იცნობს არა მხოლოდ როგორც ბელეტრისტს, არამედ როგორც ლიტერატორსაც, თორემ ასე დაჯერებულად არ განუმარტავდა ქვეცნობიერის ბუნებას. რომანში აკი პირველივე თავიდან იწყება ქვეცნობიერ ლტოლვათა სუბლიმირება და კულმინაციას აღწევს ფინალში, როცა სწორედ ქვეცნობიერი უბიძგებს პერსონაჟს სიკვდილისაკენ. ქვეცნობიერის ნაირგვარი სახეცვლილება ამ ნაწარმოების ერთ-ერთი სააზროვნო მასალაა. მის გარეშე მართლაც აუხსნელი იქნება არქეტიპებისაკენ სწრაფვა ეროსისა და თანატოსის ურთიერთმიმართება, რობოტის თუ ხელოვნური უჯრედის პრობლემა. განა სწორია, თითქოს ქვეცნობიერის ფსიქიკა, რომელიც ინსტინქტების, გაუცნობიერებელი განცდების ალოგიკური სამეფოა, „ნატიფი და დახვეწილი“ იყოს?!

ასევე სრული გაუგებრობა უდევს საფუძვლად აბელის ტრადიციებთან მიმართების საკითხის განხილვას. პერსონაჟის შეხედულება ემყარება რა სოფოკლეს ტრაგედიას, არამედ მის ფსიქოანალიზურ გააზრებას, ჯ. შარაშიძე კი პირველწყაროს მიხედვით მსჯელობს. ცდება ის, როცა სიტყვას, პასაჟს თუ პერსონაჟს პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვამს, ყოველგვარი განზოგადების ან გადატანითი აზრის გარეშე. როგორც ცნობილია, შემოქმედი ებრძვის ტრადიციების ნაწილს, მისთვის შინაგანად მიუღებელს, და აგრძელებს ტრადიციების ნაწილს, მისთვის შინაგანად მისაღებს. ყოველი ახალი კი, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, იბადება კრიტიკის ფორმით, იგი ძველის დაძლევაც არის და გაგრძელებაც. ამიტომ არის „ოიდიპოსის ფენომენი“ დიალექტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონის — უარყოფის უარყოფის კანონის მეტაფორული სახელწოდება და ეს რომანში მშვენივრადაა გამოხატული.

კრიტიკოსი კონტექსტიდან გამოყოფს ფრაზას „კაენი... ძმებს აუმხედრდა და ისინი დახოცა" და დარწმუნებული, ავტორი შეცდომაში გამოვიჭირეო, ირონიულად შენიშნავს: „ბიბლიურ კაენს არასგზით არ შეეძლო ძმების დახოცვა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას მხოლოდ ერთი ძმა ჰყავდა, აბელი". რა თქმა უნდა, კაენს ერთი ძმა ჰყავდა. მაშ, რაშია საქმე, საიდან გაჩნდა ეს ფრაზა ტექსტში, ან რატომ გაჩნდა? ან ნამდვილად არის ასეთი ფრაზა ტექსტში? აბელი ახასიათებს ადამიანის მიზნისაკენ სწრაფვის სამ ფაზას და თითოეულის სიმბოლოდ მიმართავს კაენს, ოიდიპოსსა და კეისარს. არ არის ეს უმნიშვნელო სიმბოლო, მის ახსნას დაკვირვება სჭირდება და არა ირონიული მიდგომა. ტექსტში ხაზგასმით წერია: „იგი (ე. ი. ადამიანი, — ავტ.) ჯერ არის კაენი, რომელიც ძმებს აუმხედრდა და დახოცა". კრიტიკოსი ვერ ჩასწვდა ამ ფრაზის აზრს, ვერ მიხვდა, რომ აქ კაენი სიმბოლურია და არა კონკრეტული. როგორ შეიძლება ყოფითი გაგებით ადამიანს „ჯერ" კაენი ერქვას, „შემდეგ" ოიდიპოსი და სულ „ბოლოს" კი კეისარი. ძმები კრიტიკოსმა სისხლისმიერი მნიშვნელობით გაიგო, მაშინ როცა კონტექსტის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ იგი ნიშნავს „მოძმეს". მსჯელობა ხომ საზოგადოებრივ წრეს ეხება და არა ოჯახურს.

ახლა დასკვნის გამო:

ჯ. შარაშიძეს შეუმუშავებია თვალსაზრისი ხოსო სიგუას, როგორც მწერლისა და კრიტიკოსის შესახებ, უნდა ვაღიაროთ, საინტერესო თვალსაზრისი. მაგრამ მას, ისევე როგორც საერთოდ ფროიდისტულ კრიტიკას, არაფერი აქვს საერთო ხარისხის, მხატვრული ღირებულების ცნებასთან. ამიტომაა, რომ კრიტიკოსი სწორ მიმართულებას ვერ ამყარებს საანალიზო ნაწარმოებსა და თავის შეხედულებებს შორის. მისი მსჯელობა დასაბუთებულია თეორიული თვალსაზრისით, მაგრამ, არასწორია ს. სიგუას რომანის მიმართ. სრულიად აშკარაა, რომ იგი განსახილველი წიგნიდან კი არ ამოდიოდა, არამედ განსახილველი წიგნი გამოიყენა თავისი თეორიული დებულების დასამტკიცებლად (ისევ და ისევ წინასწარ შემუშავებული თეორიული თვალსაზრისის გამო). ამ ხერხით, კვლავ ვიმეორებთ, შესაძლოა შევქმნათ ობიექტური ილუზია, მაგრამ ასე სიმართლე არამც და არამც არ გაირკვევა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რატომ აქვს ჯ. შარაშიძეს ასეთი კატეგორიული, თვითდაჯერებული ტონი, რატომ ერთხელაც არ წამოსცდა „მე ვფიქრობ", „ჩემი აზრით", და სხვ. რატომ ერთხელ არ დაუკვირდა კრიტიკულად თავისსავე ნააზრევს?! რა თქმა უნდა, გასაკრიტიკებელი უნდა გავაკრიტიკოთ, მაგრამ არავინ მოგვიწონებს, თვალი დავხუჭოთ იმაზე, რაც კარგია და მოსაწონი. ობიექტური კრიტიკოსი განსახილველ რომანში არაერთ მოსაწონ პასაჟს, დეტალს, მხატვრულ სახესა და ხასიათს იპოვის. რა თქმა უნდა, ს. სიგუას რომანი უნაკლო არ არის (ან რა არის ამაში გასაკვირი?!); ნაწარმოები არათანაბრად არის დაწერილი, მეტი მოტივირება ჰირდება ზოგიერთ ეპიზოდს, ალბათ მხატვრული დამაჯერებლობა აკლია აბელის დამოკიდებულებას მედეასადმი, დასახვეწია და გამოსაკვეთი პაროდიული ხაზი, შესამცირებელია ცალკეული მონოლოგები, ამოსაღებია არაფრისმთქმელი ფრაზები, ალაგ-ალაგ პათეტიკური კილოც უნდა განელდეს.

„მეთორმეტე პარალელი" მწერლის პირველი მხატვრული ნაწარმოებია და იგი სულაც არ იძლევა მკაცრი დასკვნების გამოტანის საბაბს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ სირაძე

# ქართული ესთეტიკის სპეციფიკისათვის

## მზის ესთეტიკა

3. ქ ა ლ ი ს თ მ ა. ვაზის მზიურობის გამომხატველი S მხოლოდ ჩუქურთმაში როდი გვხვდება, ჩემის აზრით, ის ჩანს დეკორატულად გამოხატულ თმის კოწოლთა ფორმაში, რომელიც S-ის მოხაზულობისდაგვარია. ასეთია წმ. მამაის ჰედურ ხატზე გამოსახული ლომის ოქროსფერი ფაფარი. ოქროსფერი კოწოლი თმისა მზიური ძალმოსილების ნიშანია, ეს კი მზის მითოსური ესთეტიკიდან მომდინარეობს. ამიტომაც წერდა დავით აღმაშენებელი:

„მეგვიპტური გულმძიმობა, ქანანელთა ჩვეულებანი — მსხვერპლვა ნაშობთა, ზმნა და სახრვა, კ ო წ ო ლ ი თ მ ა თ ა და სხვანი, რომელთა შენ ჰბრძანე არა—მსგავსება, უწარმდებეხად მოვიგენ თვით მათთა პირმშოთა სახეთასაცა“ („გალობანი სინანულისანი“).

აქ თმათა კოწოლისადმი პატივი სხვა ავადსახსენებელი „ეგვიპტური გულმძიმობისა“ და „ქანანელთა ჩუეულებათა“ ტოლფარდ ცოდვადაა შერაცხილი. და აღმაშენებლისავე სიტყვით, მე ამ ცოდვის მატარებელი ვარო „პირველი, საშუალო და დასასრული“. ეს თქმულია „სინანულის გალობათა“ მეორე საგალობელში. შემდეგ ამას მოსდევს სხვა ცოდვები. „გალობანი სინანულისანში“ ბევრი ისეთი მითოსური ჩვეულებაა დაგმობილი, რომლებიც მძლავრობდნენ ქრისტიანულ საქართველოში ადრეც, დავით აღმაშენებლის დროსაც და მის შემდეგაც. ისინი ხშირად გაუონავდნენ სასულიერო მწერლობაში და მას მითოსთან აახლოვებდნენ.., მათგან უმთავრესი იყო ის წარმოდგენები, რომლებიც მზის კულტს ეყრდნობოდნენ. ამგვარ წარმოდგენებს უკავშირდებოდა ქალის თმათა მზიურობა. ამას კი ძველთაძველი ტრადიცია ჰქონდა.

ამირანის მითის მშვენებაა ქალღმერთი დალი. ტანმშვენიერ დალის ოქროს ნაწნავები აურია. მისი სახე ციურ მნათობთა მშვენებას ახხივებს. ეს უკვე მითოსური სახეა და ასეთი იქნებოდა იმისდა მიუხედავად, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო მთელი ეს თქმულება (შევადაროთ ნესტანზე ნათქვამი: „მან განანათლა ქვეყანა, გაცუდდეს შუქნი მზისანი“). ოქროსთმიანი დალის სამკვიდრო მაღალი საჭიხვეებია, აქედან კი უფრო ახლოა მზე. მისი ოქროს ნაწნავებიც იმის მაუწყებელია, რომ დალი ღვთაებასთანაა წილნაყარი, თანაც მზიურ ღვთაებასთან. იგი ღვთაების სწორფერია. მისსავე თმებშია მისი ღვთაებრივი ძალა. ამიტომაც როცა ამ თმებს შეჰრიან, დალი იღუპება.

თმათა საკრალურ მნიშვნელობაზე ქართული წარმოდგენების წყარო „ამირანიანის“ გარდა ბიბლიაც ყოფილა. „მსაჯულთა წიგნი“ მოგვითხრობს, თუ როგორ დააუძლურა დალილამ სამსონი: „მოიყვანა მკუეცარი და დაჰყვინა შვიდივე იგი კოწოლი თავისაი და იწყო დამდაბლებად და განეშორა მისგან ძალი მისი“ (16, 19). შამიშონ (სამსონ) ნათელსა ნიშნავდა. ბიზანტიური ეგზეგეტიკის მიხედვით სამსონსაც ოქროს თმები ჰქონდა.

თმა ზოგჯერ მცენარეულად მზარდი ძალის სიმბოლო იყო, ზოგჯერაც საერთოდ მზისკენ მიმსწრაფი ყოველი ძალის სიმბოლო.

საქართველოში თმა მზიური ძალისა და მშვენების სიმბოლოდ ქცეულა. ამგვარი პარადიგმატიული პერსპექტივა ამ სიმბოლოს ბიზანტიაშიც ჰქონდა, მეტადრე ოქროსფერ თმებს, რადგან ოქრო ღვთაებრივი ნათლის სიმბოლო იყო (ს. ავერინცევი). როცა წმინდანთა შარავანდედი შეიქმნა, შეუძლებელია იგი არ დაკავშირებოდა თმის მზიურობის წარმოდგენას. ადამიანის თავი ღვთიურობის გამომხატველი იყო, თმა კი მზიურობისა და ღვთაებრიობასთან წილნაყარობის ნიშანი. ყოველივე ეს გადავიდა შარავანდედში. ოღონდ მასში ის ძველი საგნობრიობა თმისა უნდა დაკარგულიყო და ასეც მოხდა. და დარჩა ოქროსფერი, ვითარცა ნათელმოსილების სიმბოლო.

მაშასადამე, ჩვენში ფრესკათა შარავანდედი შეიძლებოდა დაკავშირებოდა დალის ოქროსფერი თმების ღვთიურობას.

დალის ოქროსფერი თმების მითოლოგემა ჩვენში აგრეთვე დაკავშირებია ქრისტიანობის უმთავრეს სიმბოლოს — ჯვარს.

ჯვრის წინაქრისტიანულ სიმბოლიკას ჩვენშიაც ისევე, როგორც სხვაგან, დიდი ისტორია აქვს, რასაც ქართული განსახოვნებისათვის არქეტიპულ სახეთა ფუნქცია ენიჭება. ამგვარ განსახოვნებაში ეროვნული ელემენტის წარმოსაჩენად აქვე უნდა გავითვალისწინოთ ჯვრის სიმბოლიკის დოგმატიკურ-კანონიკური შინაარსი.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი № 6.

ცნობილი ქრისტოლოგის პ. ფლორენსკის გამოკვლევებით, ჯვრის გააზრება ქრისტიანულ ანტინომიას ემყარებოდა, რომელიც ითხოვდა ხის ჯვრის მიღმა დაგვენახა სულიერი ჯვარი, სულიერ ჯვართან კი მიმართება მყარდება ვითარცა სუბიექტთან. იგი ღვთის სახეა და თანაც ადამიანის სიმბოლოცაა, ადამიანში ღვთაებრივის სიმბოლოა. ნ. ფეოდოროვის მიხედვით, ჯვარული ვერტიკალი შეიძლება იყოს სიმბოლო ადამიანის სულიერი ზეაღსწრაფვისა. სხვაგვარად: ჯვრის ფორმაში კაცსახოვანი ღვთაებაა, მაგრამ მისი სულიერი შინაარსი ადამიანის სხეულთან ფორმალურ მსგავსებაზე არ დაიყვანება. ამიტომაც ჯერ კიდევ აპოლოგეტიკისა და პატრისტიკის წარმომადგენლები ბუნების სულ სხვადასხვაგვარ მოვლენებში ხედავენ ჯვარსახოვნებას და ეს მიაჩნიათ ბუნების ღვთაებრიობით გამსჭვალვის ნიშნად. ორივენი მფრინავ ჩიტებში ხედავდნენ ჯვარსახოვნებას, ეს მერე სულის ზეაღსწრაფვას უკავშირდებოდა. ავგუსტინე, ამბროსი მედიოლანელი და იოანე დამასკელი ჯვარსახოვნებას ხედავდნენ იალქნებში და ქვეყნის ოთხ მხარეში. ამიტომაც ასკვნიან: ჯვარი სამყაროს სიბრძნეა ანუ მისი „სოფიაა", „ქრისტიანული შემეცნება ჭეშმარიტად ჭვრეტს მთელს ამქვეყნიურ ცხოვრებას ჯვრის სახებაში. ყველაფერი ჯვარია, ყველაფერი ჯვარსახოვანია — ჯვარი უდევს საფუძვლად ყოფიერებას, ვითარცა ყოფიერების ჭეშმარიტი ფორმა და არა მხოლოდ გარეგნული, არამედ ვითარცა მაორგანიზებელი ფორმა, პლატონური „სტაუროს" (პ. ფლორენსკი, 95).

პ. ფლორენსკის მოჰყავს ფსალმუნის სიტყვები: „გამოგვიჩნდა ჩუენ ნათელი პირისა შენისა, უფალო" (4,7), და დასძენს: ამ ნათელში ჯვარი იგულისხმებაო. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ძველი აღთქმის ღმერთში ქრისტე ჩანს ნათელი ჯვარის სახით. ამიტომ ჯვარი უფრო მეტია, ვიდრე თუნდაც ჯვარცმის მოგონების სიმბოლო.

ბიზანტიელმა წმინდანმა ანდრია სალოსმა იხილა სამი ცა. პირველ ცაზე ჩანდა ჯვარი, ხოლო მის მახლობლად — მგალობელნი. მეორე ცაზე ორი ჯვარი აღმართულიყო. მესამე ცაზე გამოჩნდა სამი ჯვარი, რომლებიც დიდად დიდი ნათლით ბრწყინავდნენ. წმინდანს ეცხადება ჯვარი, ციდან ჩამოშვებული და ცეცხლივით მოკაშკაშე, რომელიც შუქსაც ჰფენდა დიდ ველს. ეს ჯვარი მას წინ გაუძღვება და გზას გაუნათებს. აქაც ჩანს ჯვარისა და ნათლის განუყოფელი კავშირი. და რაც ნათლის სახე შემოდიოდა, ქართულ სახისმეტყველებაში მას მკვიდრი ადგილი განეკუთვნებოდა.

შატბერდის კრებულისეულ „ნინოს ცხოვრებაში" წერია: „იხილეს საკვირველი იგი, ნათლითა ბრწყინვალეი სუეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილად თვისა" (გვ. 345). მეფე მირიანმა „ნათელი ბრწყინვალებისაი იხილა მსგავსად ჯ ვ ა რ ი ს ა... განუნათლა ბნელი იგი ნათელმან ჯვარისამან წინაშე თვალთა მისთა" (გვ. 350), ასეთი წარმოდგენების საფუძველზე, სავსებით ბუნებრივია, რომ მონათვლა ჯვარსა და ნათელს დაკავშირებოდა.

ჩვენში ჯვრის ნათელთან დაკავშირებას წინაქრისტიანული ტრადიციაც ჰქონია. ცნობილია ბოლნისის სიონზე წრეში ჩახატული ტოლფერდა ჯვარი (თითქოსდა, „ჯვარი მალტისა"). ამგვარი ჯვარი ჯვარცმის ჯვრის ფორმას არ იცავს. ეს აიხსნება მისი კავშირით მზის ძველთაძველ გამოსახულებებთან. ამას მხარს უჭერს ქართული ჰერალდიკა, ხალხური ორნამენტი.

მზისა და ჯვრის კავშირი ქართულ წარმოდგენებში სხვაგვარად განვითარებულა და ამჯერად ესაა ჩვენთვის არსებითი.

წმ. ნინო საქართველოში მოვიდა და თან მოიტანა ჯვარი ვაზისა. ამ ჯვრით უნდა დაელოცა ხალხი, უნდა დაენერგა ახალი რწმენა. რატომ ვაზი აირჩია ნინომ ჯვრის გასაკეთებლად? თუ რაიმე საგანგებო მიზეზი არა, მოულოდნელიც კი იყო ჯვრის ვაზისგან გაკეთება.

ვაზის ჯვარი თავდაპირველად „ნინოს ცხოვრების" XII საუკუნის ვრცელ მეტაფრასულ რედაქციაშია (ქ. ცხადაძე). მანამდელი ცნობით, ჯუარი „ნასხლევისაა" („შატბერდის კრებული", გვ. 322). თუმცა „ნასხლევიც" იგივე ვაზის ყლორტია, ანუ „მორჩი" (გავიხსენოთ: „შენ ხარ ვენახი... მორჩი კეთილი"). ჯვარი ნინოს ღვთისმშობელმა მისცა (კვლავ ისიც გავიხსენოთ, რომ ღვთისმშობელი თვითონაა „ვენახი" და „მზე გაბრწყინვებული").

მაინც როგორ დაუკავშირდა ერთმანეთს ქართულ წარმოდგენებში ჯვარი და ვაზი?

ეს აიხსნება იმით, რომ ვაზიც და ჯვარიც ქართულ მითოსში დაკავშირებული იყვნენ ნათელთან და მზესთან, ვაზიც ისევე იყო აღვსილი მითოსური მზის ნათლის ძალით, როგორც ჯვარი.

ნინოს ჯვარი ქართველთა მოქცევის სიმბოლო გახდა. სარწმუნოებრივ მოქცევას კი ქართული სიტყვახმარებით „მონათვლა" ჰქვია, რასაც თავდაპირველად საგანგებო ყურადღება კორნელი კეკელიძემ მიაქცია. „მონათვლა" ადამიანში ნათლის შემოტანას გულისხმობდა. და აქ კარგად ჩანს ქრისტიანობისთვის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის წმინდა ქართული გააზრება. აქაც „ნათელია" გააზრების საფუძველი, რაც უძველესი ტრადიციებითაა პირობადებული და ამიტომ ბუნებრივადაა ჩართული ენის „შინა-ფორმაში" და გვეჩვენება როგორც ერთადერთი შესაძლებელი გააზრება. სინამდვილეში იოანე ნათლისმცემელმა („ნათლისმცემელიც" ქართული სახელდებაა) ქრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეს კურთხევა მდინარე იორდანეში განბანვით განახორციელა. ამიტომ ამას „მონათვლა“ კი არა, „განბანვა“ შეიძლებოდა დარქმეოდა და „ნათლისმცემლისთვის“ შეიძლებოდა „განმბანველი“ გვეწოდებინა (მართლაც, ასეთი შინაარსისაა მისი ბერძნული სახელწოდება. რუსულში მის სახელწოდებაში, ისევე როგორც მონათვლის აღმნიშვნელ ტერმინში, ჯვარია წინწამოწეული — („крещение“).

მონათვლა, შემდეგ ინიციაცია და, საერთოდ, ყოველგვარი ღვთაებრივი მეტამორფოზა რომ მზეს უკავშირდება, ეს ჯერ კიდევ ფარნაოზის სიზმრიდანაც ჩანს.

„იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა“ — გვითხრობს ლეონტი მროველი (ქც. 1, 1955, 21).

ქართული „მონათვლა“ და „ნათლისმცემელი“ ქრისტიანულ რიტუალში წყალში კურთხევასაც გულისხმობს და ჯვარსაც, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ნათლით აშინაარსებს. რაც მთავარია: ამ აქტის ადამიანური ასპექტია ხაზგასმული, ე. ი. ის, რაც მის სულში ხდება, მისი გარდაქმნა, სულიერი მეტამორფოზა და არა ამის მისაღწევი საშუალებანი. რადგანაც ამ შემთხვევაში ნათელია არსებითი რამ და ნათელი მზისა საგულვებელია ვაზში, იგი ადვილად უკავშირდება ჯვარს, ქრისტიანულ ნათელს.

ამრიგად: ქართული მზიური ვაზი ერწყმის ქრისტიანულ ნათელ ჯვარს (ანუ ჯვარ-პატიოსანს. „პატიოსანი ჯვარი“ იხ. „შატბერდის კრებულში“, გვ. 323). და მივიღეთ ქართული მითოლოგემა-სიმბოლო „ჯვარი ვაზისა“. მასში შერწყმულია ქართული წარმართული ესთეტიკური წარსული და ქრისტიანული აწმყო, ამ სახეში ჩანს ქრისტიანობაც და ქართული მითოსიც, ცხადია, ქრისტიანულად გადააზრებული.

დაბოლოს, ჩვენთვის კიდევ ერთი არსებითი ფაქტის შესახებ. საკრალური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმასაც, რომ ჯვარი ვაზისა ნინოს თმით იყო შეკრული. ძველი სიმბოლიკით, თმები მითოსური მზის სხივებია. ქრისტიანობას იგი ახლებურად უნდა გადაეაზრებინა, თმების მზიურობას ქრისტიანობაში მაშინ ექნებოდა პარადიგმატული პერსპექტივა, თუ იგი სულიერ სინათლეს დაუკავშირდებოდა. სულიერ სინათლეს კი, როგორც ვთქვით, ჯვარი გამოხატავდა, ჯვარი, რომელიც ქრისტეს სიმბოლო იყო. ვაზი იყო სიმბოლო ღვთისმშობლისა (და ამიტომაც იქმნება ვაზიდან ჯვარი), ხოლო თმებია ღვთისმშობლის ნათელმოსილების სიმბოლო, ჯვარი ნინოს ღვთისმშობელმა გადასცა და სახეობრივად ამაში აირეკლა საქართველოს ღვთისმშობლისათვის წილხვდომილობის იდეა.

საყურადღებოა, რომ თმების მოტივი, რომელიც იმთავითვე უნდა არსებულიყო ფოლკლორულად, ნინოს კანონიკურ „ცხოვრებაში“ არ შეუტანიათ. ჩანს, ქრისტიანიზებისდა მიუხედავად, ესმოდათ თმების მითოსურ-საკრალური მნიშვნელობა და ამიტომ ერიდებოდნენ მას. ქართულ მწერლობაში იგი პირველად „კალმასობაშია“ ფიქსირებული. მანამდე ამ მოტივს გადმოცემის სახით იხსენიებენ გულდენშტადტი და მურავიოვი (ქ. ცხადაძე).

ამრიგად, ვაზის, ჯვრისა და თმების კავშირს ჩვენში სოლარული საფუძველი ჰქონია, აქვე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ „სოლარულ კულტს ერწყმის „დიდი დედაც“ და ვიღებთ ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების ბარბალეს ან „დიდი დედის ნანას“ კულტს, მაგრამ რადგან ეს კულტი სოლარულია, ამიტომ მის ემბლემაში უნდა ჩანდეს როგორც მისი ქალური ბუნება, ისევე მზესთან მსგავსება“ (იაზო კიკვიძე).

ადვილი შესამჩნევია მსგავსება „დიდი დედის ნანას“ მითოსურ კულტსა და წმინდა ნინოს შორის, რომლის თმები სულიერი სინათლის სიმბოლო შეიძლებოდა გამხდარიყო.

აქაც მზიური ესთეტიკა განახლების საშუალებას იძლეოდა, და როცა მითოსური თუ რელიგიური წარმოდგენები ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს, წარსული მემკვიდრეობის ათვისების საფუძველს ქმნიდა კვლავ და კვლავ ესთეტიკური შემეცნება, აზროვნების ესთეტიზაცია.

4. მ ზ ე. მითოსშიც და ქრისტიანულ ხანაშიც ორი მზეა: ერთია მზე ხილული, ხოლო მეორე უხილავი ანუ სულიერი მზე. იცვლებოდა გაგება როგორც სულიერი მზისა, ისევე ხილულისა, მაგრამ უცვლელი იყო მზიური განსახოვნების ზოგადი მოდელი. ამ სფეროშიაც შეგვიძლია ამოვიკითხოთ ქართული ესთეტიკის ზოგიერთი სპეციფიკური ნიშნები.

ამ მიზნით მე განვიხილავ მზეს, ვითარცა სახეს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გასდევს ქართულ სახისმეტყველებას.

მზის ესთეტიკამ ჩვენში განსახოვნების მრავალი ფორმა გამოკვეთა. მის საფუძველზე პარადიგმული მნიშვნელობის მქონე არაერთი სახე ჩამოყალიბდა. მათ თანდათან შეფარდებითი თავისთავადობა შეიძინეს და, თითქოსდა ერთგვარად დაშორდნენ კიდევაც მზეს. ასეთი იყო ჩუქურთმის მზიური მოტივები, ვაზისა და ქალის თმების მხატვრული სახეები. მაგრამ დარჩა თავად მზე, როგორც ეიდეტური სახეების პარადიგმა. იგი ძალმოსილი იყო ეიკონურ განსახოვნებას მთლიანად არასდროს არ დამორჩილებოდა, ე. ი. ყოველთვის ინარჩუნებდა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთავად მნიშვნელობას, ვითარცა მხატვრული სახე.

მზე იმთავითვე იყო ერთადერთობის სიმბოლო: სახე ღვთისა, სიმბოლო ღვთიური ძალის ყოვლისმომცველობისა. ამავე საფუძველზე იგი გვიან გახდა პიროვნების ინდივიდუალური განუმეორებლობის სიმბოლო და სიმბოლო თვითშემეცნებისა.

მზის სილამაზემ ქართველთა უძველეს ოჯახურ ყოფაშიაც დაისადგურა და დიდხანს შემორჩა თავისი უძველესი ფორმით. ამისი ცხადყოფაა ძველი ქართული საცხოვრისის, ანუ გლეხური დარბაზის, დედაბოძი.

ასეთი დარბაზი ერთსადაიმავე დროს საცხოვრისიც იყო და საკულტო ნაგებობაც. აქ გაუთიშავი იყო უტილიტარულ-ყოფითი და სულიერი მხარე. და ამაში ვლინდება სწორედ ყოფიერების ეიდეტური გაგება.

დარბაზის საკულტო შინაარსი დაკავშირებული იყო დედაბოძთან. დედაბოძი დარბაზის წარმართული „იკონოსტასია", იგი დარბაზის ცენტრში იდგა და განასახოვნებდა ცხოვრების ხეს. ის ოჯახის მთლიანობის სიმბოლოც იყო, ამიტომ იყო დედაბოძი ერთი. მას რომ ჰერი ეყრდნობოდა, ეს ოჯახის ზეცასთან კავშირს გამოხატავდა, მზესთან კავშირს დედაბოძზე გამოსახული ბორჯღალი გულისხმობდა. დარბაზის შუაცეცხლი მითოსური მზის ამქვეყნიურ „ჰიპოსტაზად" ითვლებოდა. ცეცხლი, ბორჯღალი და მზე, — ასეთი იყო მითოსური „სამების" იერარქია.

ამ სამ ჰიპოსთაზთაგან კერიის ცეცხლი კონკრეტულ ოჯახის მზესთან ზიარებას გამოხატავდა, ამ ზიარების ზოგადი სიმბოლო კი ბორჯღალი იყო. ამ გზით ოჯახი („კერა") ეზიარება ზოგად ნათელს და ამ კოსმიური ნათელის სიმბოლურ მიკროკოსმოსად იქცევა. ერთმანეთს უნათესავდება ოჯახის ცეცხლი და კოსმიური ცეცხლი ანუ მზე. მცენარისა და ცხოველის კულტი ლოკალურ გარემოს უკავშირდება, ხოლო მზე, ნათელი და ცეცხლი უნივერსალური იერარქიის საფეხურად იქცეოდნენ და მოიცავდნენ ყველაფერს, სკნელიდან ზესკნელამდე.

ასეთია ერთი უმთავრესი პარადიგმატული მნიშვნელობა მზისა, ვითარცა მხატვრული სახისა. მითოსურ ხანაში შეძენილი პარადიგმატული მნიშვნელობა ძალას არა ჰკარგავს ქრისტიანობის ხანაში.

ამის ნათელსაყოფად განვიხილოთ ერთი ცნობილი ჭედური ხატი, რომელშიაც მზის ესთეტიკაა არეკლილი. ესაა წმ. მამაის ხატი („მამაი" საკუთარი სახელია). წმ. მამაი ლომზე ზის, ხელში ჯვარი უჭირავს, თავზე კი ოქროსფერი დიადემა ადგას. ლომი თითქოსდა გრიფონს (მითოსურ ძაღლს) ჰგავს, თუმცა მხოლოდ ფეხებით. მას ოქროსფერი ფაფარი აყრია, ფაფარი ლომის ძლიერებას გვანიშნებს, ეს ხაზგასმულია მისი ოქროსფერით, რომელიც ფონზე გამოირჩევა დიადემასთან ერთად. ფაფარის კოწოლები S-ის მსგავსი მოხაზულობისაა. მთლიანად ჭედურობა ბრტყელი დისკოა და გამოსახულებათა რელიეფი ამ დისკოზეა შესრულებული. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს (საერთოდ, ფრესკებზე წრეში ჩახატული გამოსახულებანი ხშირია, ჭედური დისკოსებური ხატი კი იშვიათობაა). ამ შემთხვევაში დისკო მზის სიმბოლო უნდა იყოს, რომელსაც ზოდიაქალური სიმბოლიკით უკავშირდება ლომი. ასე რომ, წმ. მამაის ქრისტიანული ხატის ლომი და მზე (დისკო-მზე და ოქროსფერი კოწოლი — მზე) მითოსურ-ასტრალურ განსახოვნებას მოიცავს.

გაშინაარსებული ჩანს ისიც, რომ წმინდანი ზის ლომზე. ეს ძლიერების წარმართული სიმბოლოს (ლომის) სულიერი ძლიერებით (წმინდანობით) დათრგუნვას მოასწავებს. ამას შეესაბამება დეკორატულად შესრულებული, ფოთლოვანი ორნამენტით დასრულებულ ლომის კუდზე დასმული ქარაგმა წ-ა). თუ არა ასეთი კომპოზიცია და დისკო-მზე, შეიძლებოდა ლომი ქრისტეს სიმბოლოც ყოფილიყო. ცნობილია, რომ ქართულ საგალობლებში ლომის გაღვიძება აღდგომისას ქრისტეს ძალმოსილების აღზევებას მოასწავებს (გ. იმედაშვილი). აქ კი, მამაის ხატზე, ლომის ამგვარი სიმბოლიკა გამორიცხულია.

ამავე კომპოზიციაზე მეორე მზეცაა (პირობითად თუ ვიტყვით, მესამე მზე იქნება ლომის ოქროსფერი ფაფარი, მზის სხივებისა და ლომის მზიური ძლიერების სიმბოლო, აი, საიდან შეიძლება, რომ ლომის კოწოლი ვაზსაც კი დაუკავშირდეს. გავიხსენოთ S ხაზი ქართული ჩუქურთმისა).

მეორე მზეა წმ. მამაის ოქროსფერი შარავანდედი. მასში განსახოვნებული მზე სხვა მზეა, კერძოდ — სულიერი მზე, მზე-დისკო კი მატერიალური მზეა. „სულიერი მზე" (ანუ შარავანდედი) ღვთიური ნათლით ბრწყინვალებს და ამიტომ განსხვავდება იგი დისკო-მზისაგან.

მატერიალურმა დისკომ მატერიალური მზე განასახოვნა, ოქროსფერმა შარავანდედმა კი სულიერი მზე. ამის გვერდზეა მეორე წყვილი: ლომი — მატერიალური სამყაროს ძლიერება და წმინდანის სულიერი სიძლიერე. ეს წყვილეული განსახოვნება დაკავშირებულია მზის ესთეტიკასთან, კერძოდ, მზის სხვადასხვა განსახოვნებასთან. აქაა ეიდეტური მზე (მზე-დისკო, კოწოლი — მზის სხივი) და ეიკონური მზე (შარავანდედი). მთელი ეს კომპოზიცია კი საბოლოო ჯამში ეიკონური განსახოვნებაა: სახეებს საბოლოოდ არა აქვთ თავისთავადი მნიშვნელობა, მათი მიღმური შინაარსი ვერ ამოიწუ-

რება პლასტიკის დონეზე წაკითხვით. საჭიროა მივწვდეთ პლასტიკის მიღმა შინაარსს... ამას ითხოვს ეიკონური განსახოვნების ბუნება.

ესაა მაგალითი, თუ როგორ გადავიდა მითოსური, ანუ ეიდეტური მზე, მზის შუასაუკუნოვან, ხატისებურ ანუ ეიკონურ განსახოვნებაში. შემდეგში მზის პარადიგმას ახალი პერსპექტივა უნდა ჰქონოდა, კერძოდ, რენესანსული სახისმეტყველების პერსპექტივა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს პერსპექტივა მზისა ქედურობაში არ განხორციელებულა. მისი ხორცშესხმა პოეზიაში მოხდა „ვეფხისტყაოსანში“ შეგვიძლია ვიხილოთ მზე წარმართული სილამაზით, მზე-ხატი ღვთისა („მზიანისა ღამისა“) და მხატვრული მზე. ხან ისეც ხდება, რომ ჭირს მას შორის ზღვარის დადება.

## მუსიკალურ-ანსამბლური იერარქიზმი

ამგვარ პრინციპზე აგებულ სახეთა საფუძველი ხდება დროის ახლებური გაგება, რაც ქრისტიანობამ მოიტანა:

ამ ახალი გაგებით „სოფელი“ იმიტომაა წუთიერი, ანუ წუთისოფელი, რომ იგი მარადიულობის წინაშე გაიაზრება. ბევრი რამ მეორდება ამქვეყნად, მაგრამ ყველაფერი მაინც მარადიულობისაკენ მიისწრაფვის ან სიკვდილით, ანდა სიცოცხლით.

ქრისტიანობის შემდეგ წრებრუნვითი დრო სწორხაზობრივმა ანუ ვექტორულმა დრომ შეცვალა. ასეთი დრო ყველაფერს მიაქანებს ერთი საერთო მიზნისაკენ. ესაა მიზნობრივი ანუ ტელეოლოგიური დრო, რომელიც ყველაფერს ათანასწორებს. საგანგებოდაა გასათვალისწინებელი, რომ დროის სწორხაზობრიობა აქ ციკლურობასაც შეიცავდა. კალენდარში ყველაფერი მეორდება, ისევე როგორც ლიტურგიაში, მაგრამ, ასეთი წრებრუნვისდა მიუხედავად, ყველაფერი მაინც საერთო მიზნისკენ მიისწრაფვის. ესაა ესქატოლოგიური განკითხვის დღე.

დროის ახალი გაგება რომ მსოფლგაგების საფუძველია, ეს მრავალმხრივ ვლინდება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული თვითშემეცნების ერთ-ერთ გამოხატულებად იქცა ერის არსებობის დროული განსაზღვრა, ანდა პირუკუ — კონკრეტული დროის მითოლოგიზაცია. ეს ხდება ისტორიული თვითშემეცნების კონკრეტული მიზნებისდა მიხედვით. ეროვნული ისტორია უნდა ჩართულიყო მსოფლიო ისტორიაში, ანუ უნდა დაკავშირებოდა ბიბლიის ამბებს. სწორედ ასე იწყება „ქართლის ცხოვრება“, და არაერთი აგიოგრაფიული თხზულება (მაგალითად, „კოსტანტი კახის წამება“). ეროვნულ ეპონიმად ქართლოსის გამოცხადება, თუნდაც სრულიად გაურკვეველ მითოსურ დროში, ნიშნავს, რომ წარსულისკენ არ ხედავენ ეროვნული დროის უსაზღვროებას. მარადიულობა მომავალში უნდა იყოს. მაგრამ მარადიულობაც დასაზღვრულია ესქატოლოგიით. ეს საერთო-საკაცობრიო მომავალია და ეროვნული მერმისიც ერწყმის მას. ამას მიანიშნებს იოანე-ზოსიმეს მიერ ქართული ენის ზოგადსაკაცობრიო ენად მიჩნევა. ჟამთა დინებაში ერი მარტვილივით ცხოვრობს. მარტვილობა ხომ რჩეულთა ხვედრია და მხოლოდ მარტვილები ელიან მარადიულ ბედნიერებას.

დროც სიმბოლური გახდა. კონკრეტული დრო მარადიულობის ეიკონურ სახედ ჩაითვალა. ამას საგანგებოდ აღნიშნავდა იოანე პეტრიწი: „ხრონოსსაო“ (კონკრეტულ დროს) იტყვიან ხატად სამარადმყოისადო“ (§ 50).

ქართველი აგიოგრაფები თავიანთი პერსონაჟების თავგადასავალს დროის ყველა შესაძლებელი განზომილებით ათარიღებენ. კონკრეტულ დროს დროის საყოველთაო მდინარებაში რთავენ.

ფრესკებზე წამიერება და მარადიულობა ერთმანეთს ემთხვევა: წამი გამარადიულებულია. ფრესკაზე მოძრაობა არაა და მხოლოდ ერთი მდგომარეობა მარადიულობის ღირსადაა მიჩნეული. მარადიულობა აქ მიიღწევა წმინდა ნათლის წინაშე პირისპირ დგომით. ამგვარ ნათელში არა ჩანს კონკრეტული დრო, არც ნათლის მყისობაში და არც მის განფენილობაში.

ყოველივე ეს მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების ესთეტიკისათვის და, მეტადრე, როცა მუსიკურ-ანსამბლურ განსახოვნებაზე ვსაუბრობთ.

ამგვარ ესთეტიკას ემყარება ეიკონური სახეები ანუ ხატები. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, „ხატია“ („ეიკონ“) არა მხოლოდ თავად ხატი, არამედ ფრესკაც, მინიატურაც და ქრისტიანული ტაძარიც. მათში ხდება მიმეტური და არამიმეტური ნაკადების ანტინომიური გაერთიანება.

როგორც ვთქვით, მიზნობრივ დინებას ემორჩილება ყველაფერი, ადამიანთა ცხოვრებაც და ქვეყნიერებაც, „განკითხვის დღითაა“ გაშინაარსებული ტელეოლოგიური დრო. ტელეოლოგიურმა დრომ ტელეოლოგიური სიუჟეტი დაამკვიდრა. სიუჟეტური დრო არა უბრალოდ მედინია, არამედ მიზნობრივად მედინი. ამის გვერდით მკვიდრდება სახეთა ანსამბლურობა, თანაც ტელეოლოგიური ანსამბლურობა, რომელიც ითხოვს, რომ არქიტექტურული ფორმები, გინა ფრესკები, აღვიქვათ ცალცალკეც და იმავდროს — მთლიანობაშიაც, ამიტომ უმართებულოა მათი აღქმა იზოლირებული პორტრეტივით (როგორც ამას ზოგჯერ გამოფენაზე წარმოგვიდგენენ ცალკეული კოპიოებით).

ყველაფერი ანსამბლურია შუა საუკუნეებში და ამიტომ ამდროინდელ ესთეტიკას შეიძლება ეწოდოს ანსამბლურობის ესთეტიკა. ანსამბლუ-

რია სოციალური სტრუქტურა, კოსმოლოგია (ცათა წყებანი, თუ ანგელოსთა დასები), საეკლესიო იერარქია, ჰიმნოგრაფიული კანონები, საგალობელთა კრებულები, მრავალთავები, აგიოგრაფიული პერსონაჟები, მთელი ლიტურგია და ა. შ.

სიუჟეტური დრო ადვილად უკავშირდება „მხატვრულ" (სიუჟეტურ) სივრცეს და მთლიანობა დრო-სივრცისა (ხრონოტოპი) განსახოვნების საფუძველი ხდება. ყოველ ეიკონურ (ხატოვან-სიმბოლურ) სახეში ჩანს ანსამბლური დრო-სივრცე. მაგალითად, შუშანიკის, ვითარცა წმინდანის, სახე ამქვეყნიურობის იმქვეყნიურობასთან კავშირით წარმოჩნდება. აქაც ყოფიერება მიემართება მარადიულობას. ე.ი. ხრონოპოტი მედინია და თანაც მიზნობრივად მედინი.

ტაძარიც კი, თავისი ეგრერიგი მდგრადი არქიტექტურული ფორმებით, ვერ წარმოიდგინება თავისთავში ჩაკეტილ რაობად. იგი მიემართება მიწიდან ზეცისაკენ. თვითონ ანსამბლურ-იერარქიულ მდინარებაშია აღსაქმელი. მისი ტელეოლოგიური ცენტრია გუმბათი, რომელმაც საბოლოოდ ჩვენი ცნობიერება ზეციური ნათლისკენ უნდა წარმართოს. საბოლოო მიზანი კვლავ და კვლავ ნათელია.

მუსიკურ-ანსამბლური იერარქიზმისთვისაც ოთხ სახეს განვიხილავ: 1. ტელეოლოგიური სიუჟეტები (აგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში), 2. აზრის სილამაზე (სინათლე-სიბნელის ანტინომია). 3. აბსტრაქტული მონუმენტალიზმი (კონკრეტულ-ისტორიულისა და ზოგადის ანტინომია), 4. ფრესკები და ცათა იერარქია (სტატიკისა და დინამიკის ანტინომია).

1. ამგვარ სახეთა შინაარსი ზენათლისაკენ წარმართავს ცნობიერებას. ყოველი სახის მიღმური შინაარსი ნათლის რომელიღაც ხარისხს გულისხმობს. უნდა მოხდეს სახის მატერიალური რეალიების დემატერიალიზება, მათი გასულიერება. რაც მთავარია: ამგვარი სახეები არ გულისხმობს სილამაზის შექმნას (სადმე რომც იყოს სილამაზე, ის არ მნიშვნელობს). ისინი ითვალისწინებენ არა ესთეტიკურ ტკბობას, არამედ შთაგონებას. აქ ტელეოლოგიური სიუჟეტი ერთხელ კიდევ გაგახსენებთ, რომ სახეები სასულიერო მწერლობისა (ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგებისა) არ წარმოადგენენ წმინდა მხატვრულ რაობას. ესენია ეიკონური (ანუ — ხატის ტიპის) სახეები, მათი შინაარსი მიღმურია, ტრანსცენდენტური და ირაციონალური. ამიტომ მათი რაობა ვერ დაიყვანება მათსავე გრძნობად-კონკრეტულ ფორმაზე. ასევე ეიკონური ხასიათისაა აგიოგრაფიული ნაწარმოები. ის მთლიანად ეიკონური სახეა, სიმბოლოა ზოგადი პარადიგმისა. მისი ერთ-ერთი პირველნიმუშია სტეფანე პირველმოწამის შესახებ სახარებისეული თხრობა, უფრო მეტად კი თავად ქრისტეს ცხოვრება. ესაა ადამიანის ახალი იდეალი. მის მიღწევას, საამისო გზების წარმოჩენას ემსახურება აგიოგრაფიის ტელეოლოგიური სიუჟეტი.

„აბო ტფილელის წამების" თავების დასაწყისში მოცემულია მათი მოკლე ფაბულური ქარგა, სადაც გაცხადებულია, თუ რა აღიწერება ამა თუ იმ თავში. ამით იმთავითვე ნათელყოფილია საბოლოო მიზანი მოქმედებათა განვითარებისა და ამით წინასწარვე გამორიცხულია მოულოდნელობის ეფექტი მომდევნო თხრობაში. ასეთ შემთხვევებში საბოლოო შედეგი წინარე მოვლენათა მოულოდნელ რეზულტატად კი არ წარმოგვიდგება, არამედ, პირიქით, ყოველი წინარე მოვლენა საბოლოო მიზნის გამო ხდება და მასში პოვებს გამართლებას.

ტელეოლოგიურ სიუჟეტებს ბუნებრივად უკავშირდება მოქმედებათა დროში უწყვეტად გადმოცემის პრინციპი, რასაც ქართულ აგიოგრაფიაში ვხვდებით. ავტორები ცდილობენ მოვლენები როგორმე ერთმანეთს დაუკავშირონ დროში. და როცა ასეთი თანმიმდევრობა წყდება, ისინი ცდილობენ უწყვეტობა აღადგინონ საგანგებო ჩანართებით („პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ"), რათა სიუჟეტურმა დრომ შექმნას ემპირიული დროიდან არდაშორების ილუზია. ასეთი იყო ზოგადესთეტიკური თუ ზოგადპოეტიკური პრინციპი, თუმცა პრაქტიკულად იგი ზოგჯერ ირღვევა, მაგრამ ეს პრინციპის უარყოფამდე არ მისულა აგიოგრაფიაში. აგიოგრაფია ისევე აუცილებლად თვლის სიუჟეტის უწყვეტობის დაცვას, როგორც ეს მუსიკაშია. ამ აზრითაც აგიოგრაფიული სიუჟეტი მუსიკურია, ისევე როგორც მუსიკურია სიუჟეტი ლიტურგიისა ან ტაძრის ფრესკული ინტერიერისა.

ტელეოლოგიური სიუჟეტის მიზანია პიროვნების სულიერი განწმენდა. ამას ემსახურება აგიოგრაფიული „ხრონოტოპი" (დრო-სივრცე). განწმენდის გზაზე სიუჟეტური საფეხურები იერარქიულ ანსამბლს ქმნიან. მთელი ეს იერარქიული ანსამბლი სიმბოლური შინაარსისაა, იგი მთლიანად ეიკონური სახეა. მას მთლიანად აცისკროვნებს ზენათელის მოფენა. ფრესკაზე ცალკეული წმინდანი ნათელცხებულია. შარავანდედის ნათელი ხომ უმაღლეს სიწმინდესთან ზიარების ნიშანია და ასეც აღიქმება წმინდანის სახე. მაგრამ წმინდანები ჩართულია ერთ მთლიან სიუჟეტებში. იგი საფეხურებრივია, მუსიკურ-ანსამბლურია. ამ წყებათა სიუჟეტური ცენტრია გუმბათი ან საკურთხეველი. ამ სიუჟეტურ საფეხურებში თავისებურად გამოხატულია იდეა, რომ წმინდანი უმაღლეს ნათელს ეზიარება „სათნოებათა კიბით".

2. აზრის სილამაზე. ქართულ სასულიე-

რო მწერლობაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება აზრის სილამაზეზე დამყარებულ სახეებს, რაც ხშირად იგნორირებულია ხოლმე. დღეს მათ ზოგჯერ ემოციური პლანით აღვიქვამთ და ფაქტიურად ვშორდებით იმდროინდელი სახისმეტყველების სპეციფიკას, ვივიწყებთ, რომ სახეობრიობას ქმნის აზრობრივი, სტრუქტურებიც. მაგალითად, „შუშანიკის წამებაში“ არაერთი ასეთი სახეა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხე. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა. და შენ მამისა საქმენი განჰრყვნენ და სხვად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხვნა სახედ, თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ, მან ღმერთი ცათა და ქუეყანისა აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყვანისეც“, ესაა აზრობრივ პარალელიზმზე აგებული სახე, რომელიც ემყარება ე.წ. შემოქმედების ინტელექტუალურ კონცეფციას (მას სათავე უდევს ასეთ პრინციპში: ღმერთი ხელოვანია წმინდა სიბრძნით, გონებრივი შემოქმედებით, „რომლისა სიბრძნისა მიერ განგებულ არისო შუენიერებაი იგი ამის სოფლისაი“, — წერდა იპოლიტე რომაელი თავის ცნობილ „თარგმანებაში ქება ქებათაი“, გვ. 250). ამგვარ სახეებში „ლოგიკის სილამაზეა“ და არა ოდენ ემოციათა სილამაზე.

აგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში თვით ლოგიკურ კონსტრუქციებზე აგებული სახეებიც ეიკონურია. „წინასახის“ მიღმა იგულისხმება პირველსახე, უმაღლესი ლოგოსი ანუ „სიტყვა-აზრი“. წინასახეს მივყავართ მიღმური ტრანსცენდენტური ლოგოსისაკენ.

ეს გზა ხილული წინასახიდან, უხილავი მისტიკური პირველსახისაკენ, რომელიც სხვა არრა არის, თუ არ „წმინდა ნათელი“, გულისხმობს ტრადიციულ, საფეხურებრივ შემეცნებას. მას აქვს საწყისი პირველსახეში, მაგრამ არ აქვს საზღვარი. ამას გულისხმობდა იოანე დამასკელი, როცა წერდა — „სახე არისო ხილვა და ჩვენება დაფარულისა.“ „დაფარული აზრის“ სილამაზე (უკეთ — ამაღლებულობა) მისსავე იდუმალებაშია. გარეგნულად აზრი აღიქმება ვითარცა სიცხადე და ნათელი (ხილვადი ნათელი). მაგრამ მისი გარეგნული ნათელმოსილება გულისხმობს ზენათლის ანუ სახის მიღმურ შინაარსს. ზენათელი ზესიბნელეა. „წმინდა ნათელში, — ამბობს ჰეგელი, — წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი როგორც რამ წმინდა სიწყვდიადეში“, — გალაკტიონის მიერ ჰეგელიდან დამოწმებული ეს აზრი სინამდვილეში პლატონური ნეოპლატონიზმია. ამავე სააზროვნო ნაკადში შედის სულხან-საბას მეტად საყურადღებო განმარტება: „ღმერთი გადმოითარგმანების წვა და ხედვა“.

აზრის სილამაზე მარტო ლიტერატ[illegible] ხეებში როდი განიცდებოდა. სილამ[illegible] ვდნენ ფილოსოფიურ აზრშიაც. ამ თვალთახედვით, ფილოსოფიური აზრიც ესთეტიკურ ფენომენს წარმოადგენდა. მეტიც: უმაღლესი სილამაზის წვდომა ფილოსოფიას და თეოლოგიას ხელეწიფებაო. ამიტომ იყო, რომ ჩახრუხაძე და შავთელი წერდნენ: სილამაზის ყველაზე სრულყოფილი გამოხატვა ფილოსოფოსთა საქმეაო. მსგავსი შეხედულება რუსთაველთანაც ჩანს, როცა ის თინათინის მშვენიერებაზე წერს: „ბრძენი ხამს მისდა საქებრად“.

აზრის სილამაზის განცდა არაა მხოლოდ წარსულის კუთვნილება.. თანამედროვე მეცნიერება ნათელყოფს, რომ ლოგიკურ აზროვნებას ახლავს ესთეტიკური განცდა (რ. სირაძე, დავით ანჰალთი და აზრის სილამაზის პრობლემა.— „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 8). აღარას ვიტყვით ინტელექტუალისტურ სახისმეტყველებაზე რომანტიზმში და თანამედროვე პოეზიაში.

3. **აბსტრაქტული მონუმენტალიზმი.** შუა საუკუნეებში ამაღლებულობის ნიშანია მონუმენტურობა. მონუმენტურობა ერთ-ერთი უმაღლესი ესთეტიკური კატეგორიაა. მონუმენტურობა განსახოვნების ზოგადი პრინციპია, მონუმენტურია ქართული ასომთავრული, თვით მინიატურული ილუსტრაციები ხელნაწერი წიგნებისა, მონუმენტურია საგალობელი და ფრესკა, ქართული ტაძარი (რარიგ მცირე ფორმითაც არ უნდა იყოს იგი).

მცირე ფორმებს მონუმენტურობას ანიჭებს ზეაღმსწრაფი სულიერი შინაარსი. ნებისმიერი ეიკონური სახე ასე თუ ისე სიმბოლურია და რეალობის ზეშთასოფელთან შემაერთებელი. სახე რომ მედიუმია, დამაკავშირებელია სოფლისა და ზეშთასოფლისა, — ეს არის მონუმენტურობის ძირითადი ნიშანი შუა საუკუნეებში. ეიკონურ სახეთა იდუმალი სიმბოლური შინაარსი შეიცნობა „ხედვით“, „გონების თვალით“. აზრის იდუმალება ზენათელითაა გაცისკროვნებული. იგი სახის შინაარსის უსაზღვროებას შეგვაგრძნობინებს. ნათელი სიცხადეა აბსტრაქტული შინაარსისა. ამიტომაც მსგავსი სახეები გამოხატულებაა აბსტრაქტული მონუმენტალიზმისა.

დ. ლიხაჩოვმა დაამკვიდრა მონუმენტური ისტორიზმის ცნება, რომელიც გულისხმობს პერსონაჟთა მოაზრებას მთელი მსოფლიო ისტორიის ფონზე. აგიოგრაფიაში ისტორიული პიროვნება დახატულია არა ისე, როგორიც იყო თავისი ინდივიდუალობით, არამედ ისე, როგორიც უნდა ყოფილიყო. „ეს ადამიანის იდეალიზაცია კი არაა, ესაა იდეალიზება მისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა“ (დ. ლიხაჩოვი). ამგვარ სახეთა მონუმენტალობა აბსტრაქტულია. აბსტრაქტულია ამ პერსონაჟთა სოციალური სახეც. „აბსტრაქცია გამოწვეული

იყო წადილით, ყოველ „დროულში“ და „მიწიერში“, ბუნების მოვლენებში, კაცთა ცხოვრებაში, ისტორიულ მოვლენებში დაენახათ მარადიულობის სიმბოლოები და ნიშნები“ (დ. ლიხაჩოვი).

აბსტრაქტული მონუმენტალიზმი გულისხმობს განსახოვნების უაღრესად ფართო ფონს. ტაძარი შენდება ცისა და მიწის შემაერთებლად, აგიოგრაფიული პერსონაჟის „ფონია“ მთელი მსოფლიო ისტორია. „შუშანიკის წამება“ ასახავს იმდროინდელი მსოფლიოს ძირითად წინააღმდეგობას — ბრძოლას ორ მსოფლიო რელიგიას, ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის. და, რაც მთავარია, კიდევ უფრო დიდი ბრძოლაა ნაჩვენები — ბრძოლა სულსა და ხორცს შორის.

„აბოს წამებაში“ წმინდანი სახე ნაჩვენებია ქართველთა ეროვნული რაობის გააზრებით. ეს კი ხდება მსოფლიო ისტორიის ზოგად ფონზე. აქ ოთხი მომენტი გამოიყოფა ქართველთა ეროვნული რაობის დასახასიათებლად. 1. ჩვენ ვცხოვრობთ „ყურესა ქვეყნისასა“ და მარტონი ვიცავთ თავს მაჰმადიანთაგანო („ქვეყნის ყური“ აქ იმდროინდელ „ოიკუმენას“ ანუ კულტურულ მსოფლიოს გულისხმობს); 2. ჩვენ უძველესი ქრისტიანი ქვეყანა ვართო; 3. ჩვენი სარწმუნოება ბერძნებისას არ ჩამორჩებაო; 4. ქართლი წმინდანთა სამშობლოაო. მხოლოდ ამის შემდეგ და ასეთ ფართო ფონზეა ნაჩვენები აბოს ღვაწლი.

„წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ ფონის მონუმენტურობა მიღწეულია ნინოს ამაღლებით მოციქულთა დონეზე, რამაც უნდა მოხსნას ეჭვი ქართული ეკლესიის ავტოკეფალობისადმი; ნინო ღვთისმშობლის ნაცვალია, ღვთისმშობლის ნაცვლად მოვიდა იგი ქართლში. ეს კი, გარკვეული აზრით, ქართულ ეკლესიას არათუ უთანასწორებს აპოსტოლურ ეკლესიებს, არამედ მათზე აღმატებულადაც კი სახავს. მაგრამ აქ ისტორიის ადგილს იჭერს მითოსური თხრობა და ამ ფორმითაა მოწოდებული ეროვნული საეკლესიო ისტორია. ამიტომაც ვერ შევიდა ნინოს თავდაპირველი „ცხოვრება“ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, სადაც ბატონობს ე. წ. „ვასილოგრაფის“ ჟანრი, ანუ ჟანრი მეფეთა ცხოვრებისა. მართალია, შემდეგ ლეონტი მროველიც ბევრ რაიმეს იყენებს ნინოს თავდაპირველი „ცხოვრებიდან“, მაგრამ „მოქცევაი ქართლისაი“, ვითარცა საეკლესიო ისტორია მაინც ცალკე დარჩა. მონუმენტალიზმის პრინციპი აქ საეკლესიო ისტორიათა ჟანრს მიჰყვება. მას მეტი აქვს საერთო აგიოგრაფიასთან, ვიდრე მეფეთა „ცხოვრებებთან“, მიუხედავად ამ ჟანრთა საერთო სინკრეტიზმისა.

მომდევნო ეპოქებს ქართულ აგიოგრაფიაში აბსტრაქტული მონუმენტალიზმის ახალი იერსახეები შემოაქვს. ათონელები უკვე მსოფლიო წმინდანის რანგში არიან აღზევებულნი. ისინი „ჰრომაელებს“ უტოლდებიან. „ჰრომაელნი“ კი მარტო ეროვნებას კი არ გულისხმობდა, არამედ უმთავრესი კულტურის მატარებელს, კულტურტრეგერსაც.

აბსტრაქტული მონუმენტალიზმი უმაღლეს დონეს აღწევს თამარის ისტორიებში. მათში უკვე შერწყმულია „მეფეთა ცხოვრების“ („ვასილოგრაფის“), აგიოგრაფიის, საეკლესიო ისტორიათა ჟანრების პრინციპები, რომელთაც ემატება საერო მწერლობის ტენდენციები, თავისი მითოლოგიით, თავისი აღმოსავლურ-დასავლური სინთეზით. ამგვარი ყოვლისმომცველი სინთეზის საშუალებას ქმნიდა მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების ესთეტიკური წესი, აზროვნების ესთეტიზაცია. და სწორედ ამ საფუძველზე და შესაბამისი ფორმით თამარი ცხადდება მეოთხე ჰიპოსტაზად ანუ წმინდა სამების მეოთხე წევრად. აქ კვლავ ჩანს ნათლის ესთეტიკა, რადგანაც ამ იდეით თამარი ზიარებულია „სამმზობასთან“ (ტრისელიოს) თავისი სულითაც და თავისი სხეულითაც, რამეთუ ისტორიკოსებთანაც და მეხოტბეებთანაც თამარის ტანი მიჩნეულია წმინდა ნათებით გამსჭვალულ ეთეროვან სხეულად.

ამაზე მაღლა აბსტრაქტული მონუმენტალიზმი ველარ განვითარდებოდა.

ეიკონურმა სახისმეტყველებამ მაქსიმალურად გამოავლინა თავისი თავი. ამას კი მომავლის პერსპექტივა მხოლოდ საერო მწერლობის სახისმეტყველებაში ჰქონდა. აქ უკვე ღმერთის განსაცდელად საჭირო გრძნობით განიცადეს ადამიანური, საკუთრივ კაცად-კაცური და ქალად-ქალური მშვენიერება. ასეთია ნესტანის სახე.

4. ფ რ ე ს კ ე ბ ი  დ ა  ფ რ ე ს კ ა თ ა  ი ე რ ა რ ქ ი ა. ქართულ ტაძარში თითოეული ფრესკა თუ ფრესკული კომპოზიცია თავისთავადი მხატვრული რაობაა. ამასთანავე ტაძრის მთელი ინტერიერი, ყველა ფრესკა ერთად, ერთ მთლიან მხატვრულ ანსამბლს წარმოადგენს. რა ქმნის ამგვარი ანსამბლის მთლიანობას? — ამ კითხვას ყოველი ცალკეული ტაძრისათვის სხვადასხვა პასუხი შეიძლება გაეცეს, მაგრამ არსებობს საერთო საფუძვლებიც.

ყოველ ტაძარში ფრესკები თანმიმდევრობითაა განლაგებული კარიბჭიდან საკურთხევლისაკენ და დაბლიდან გუმბათისაკენ, ე. ი. ისე როგორც ტაძრის დგომაა ორიენტირებული — აღმოსავლეთისაკენ, ანუ მიქცეული მზისკენ და სინათლისაკენ. ფრესკები განლაგებულია წმინდანთა სიწმინდის ხარისხისდა მიხედვით, რაც ნათლის ხარისხთა იერარქიას შეესაბამება. ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ არაა ყურადღებული და, ვგონებ საგანგებოდ არც კია

შესწავლილი, რომ ტაძარში ცათა იერარქიაა გამოხატული, რომ მასში მოცემული უნდა იყოს სამოთხის ცათა თანამიმდევრობა და არა ანალოგია (მიკროკოსმოსით) მთელი სამყაროსა (მაკროკოსმოსისა).

ფრესკები კედლებზე წესის მიხედვით იყო განლაგებული. კედლებზე წარმოიდგინებოდა 9 ცა. ჰორიზონტალურად — კარიბჭიდან საკურთხევლამდე და ვერტიკალურად — იატაკიდან გუმბათამდე. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. ეს „ცები" შეესაბამებოდნენ იმ 9 ცას, რომელიც მაშინდელი კოსმოლოგიით ამ ჩვენი ხილული ცის ზემოთ იყო და ღვთის სასუფევლამდე აღწევდა. თითოეულ „ცას" შეესაბამებოდა ფრესკათა გარკვეული რიგი ანუ რეგისტრი, რომლებიც ხშირად გამჭოლი ხაზით იყო ხოლმე გამოყოფილი. კარიბჭიდან იწყებოდა პირველი „ცა", ანუ ფრესკათა პირველი რეგისტრი, რომელსაც ვერტიკალში შეესაბამებოდა ფრესკათა სულ დაბლა მდებარე შრე. და როცა გვსურს მთლიანობაში წარმოვიდგინოთ ცხრა ცის ყოველი ფრესკა წარმოდგენითვე ერთმანეთს უნდა დავამთხვიოთ ჰორიზონტალური და ვერტიკალური რეგისტრები. ისინი ერთმანეთს შეავსებენ და მივიღებთ ცხრა „ცად" განლაგებულ წმინდანთა სამყაროს როგორც ეს „ღვთაებრივი კომედიის" სამოთხეშია. მათ მიღმა დარჩება საკურთხევლის კონქისა და გუმბათის გამოსახულებანი, ანუ უმაღლესი, საღვთო სფერო-სასუფეველი, რომლის შესაბამისად გუმბათში გამოხატულია ხოლმე ქრისტე-პანტოკრატორი (ყოვლისმპყრობელი), ხოლო აბსიდის კონქში — ან ქრისტე ანდა — ღვთისმშობელი.

ამგვარად გაერთიანდებიან ფრესკები და გაერთიანდებიან „ცებიც". ცანი ლაგდებიან საფეხურებად და ტაძრის სივრცე გადაიქცევა ზეაღმავალი მშვენიერების იერარქიად. მთელ ამ ანსამბლს გააჩნია ტელეოლოგიური სიუჟეტი, რომლის ცენტრია უმაღლესი ნათელი.

ნათლის იერარქიას შეესაბამება წმინდანთა სიწმინდის ხარისხი და ამის მიხედვითაა ფრესკები განლაგებული ტაძარში. ეგევეა ანსამბლური იერარქიის საფუძველი.

ფრესკა უაღრესად სტატიკური გამოსახულებაა. ეს სტატიკურობა გადალახულია მთელი ანსამბლის მიზნობრივი სიუჟეტით. სტატიკური სახეები ფრესკისა ჩართულია ინტერიერის საერთო სიუჟეტის მდინარებაში, რომელიც მიემართება სინათლის სულ მაღალი და მაღალი ხარისხებისაკენ.

როცა კარიბჭიდან საკურთხევლისაკენ თვალი მიჰყვება ფრესკათა წყებას, შინაგანი ხილვით ჩავუვლით ცათა იერარქიას და მივემართებით მეტი სინათლისა და სიწმინდისაკენ. ტაძარში შემსვლელის გზა კარიბჭიდან საკურთხევლისაკენ სიმბოლურია და იგი გულისხმობს შინაგან სულიერ წიაღსვლას. იგი „საფეხურებრივად" შინაგანი სულიერი განწმენდის გზაა. სიმბოლური აზრით, ესაა გზა მარადიულობისაკენ.

ამ გზაზე დროს მარადიულობისაკენ გავივლით სივრცეში, დრო დაიძლევა სივრცით, რადგანაც დრო სივრცეშია გასაგნებული. დრო, რომელსაც ითხოვს გავლა კარიბჭიდან საკურთხევლამდე, სხვაგვარადაც სიმბოლურია. იგი სიმბოლურად გამომხატველია კოსმიური დროისა.

სივრცული სიუჟეტი (ფრესკათა განლაგება) დროულ თანმიმდევრობასაც გულისხმობს. სხვაგავარად: დრო გასაგნებულია ფრესკათა თანმიმდევრობაში. მივყვებით ამ სივრცეს და მივდივართ დროში.

„სიუჟეტური დრო წარმოგვიდგება გარკვეული წარმოსახული დროული სივრცის სახით, საცა თითოეულ სიუჟეტურ ფაქტს აქვს თავისი კონკრეტული ადგილი" (გ. მარგველაშვილი). ასეთია ტაძრის ფრესკათა „ხრონოტოპი".

აქ კითხვა — როდის? გულისხმობს კითხვას — სად?

აღარ ხდება ძიება დაკარგული დროისა, რადგან წარსული დრო მომავლის დროდაა გადაქცეული. დრო არ დაიკარგება, ის გასაგნებულია. დროული სიმყარე ფრესკათა სახეებისა ჩართულია ფრესკათა მუსიკურ-ანსამბლური თანმიმდევრობის დროულ დინებაში.

ზეყოფიერება ყოფიერებაში ეხსნება კაცს, როცა დრო ხილვადია.

## მხატვრული სიტყვა

საკუთრივ მხატვრული სიტყვა რენესანსმა დაამკვიდრა. მანამდე სიტყვა იყო ეიდეტური ან ეიკონური. ეიდეტური და ეიკონური სიტყვა უნივერსალური იყო იმ აზრით, რომ ისინი ესთეტიკურიც იყო, მითოსურ რელიგიურიც და ფილოსოფიურიც. მხატვრული სიტყვა ოდენ-ესთეტიკური შინაარსს გამოხატავს. სამაგიეროდ, იგი თვითონ იქცევა დემიურგად.

სიტყვის უნივერსალობის იდეა ანტიკურ ლოგოსშიცაა და ქრისტიანულ „ღმრთის სიტყვაშიც". ესეც ლოგოსია ანუ „სიტყვა-აზრი" (სხვაგავრი, უშუალო შესატყვისი „ლოგოსს" ქართულში არა აქვს. ჯერ კიდევ ბიბლიის ქართველი მთარგმნელები „ლოგოსს" უფარდებდნენ „სიტყვას", მაგრამ „სიტყვა" ფართო მნიშვნელობით ესმოდათ).

რენესანსმა გამოიყენა სიტყვა-დემიურგის იდეა და ესთეტიკურად გააშინაარსა, სიტყვა „ხორცქმნილი" გახადა, იგი სისხლხორცეულობით აღავსო. მას შესძინა მხატვრული სიცოცხლე. გაუთიშველად იქნა განცდილი სიტყვის როგორც „ხორცი," ისევე „სული". მხატვრული სიტყვა, სიტყვა დემიურგი გააზრეს როგორც ანალოგი უნივერსალური „ლოგოსისა" ანუ ქრისტე-ლოგოსისა („ქრისტე,

ღმრთისა სიტყვა“ — ამ იდეას დაემყარენ). ამ ანალოგიით სიტყვა შეემსგავსა ადამიანს, ხორცისა და სულის გამაერთიანებელს. ასე გაიბა კავშირი: ადამიანი — სიტყვა — ღმერთი. ეს მიმართება სამ შემოქმედს გულისხმობდა: ღმერთი-შემოქმედი, ადამიანი-შემოქმედი და სიტყვა-შემოქმედი. სიტყვა-შემოქმედი უკვე შორეული, მკრთალი მინამსგავსი კი არ იყო ღვთისა, არამედ თავად იყო ღვთაებრივი აქტი.

სიტყვა-დემიურგის ღირსების საზომად სახეთა ორიგინალობა დამკვიდრდა. მანამდე ეს არ იყო ღირსების საზომი. ოღონდ ორიგინალობის ტენდენციას არც კონვენციური მოტივები უარუყვია და არც ე. წ. ნიმუშის ესთეტიკა. რადგანაც რენესანსს მსჭვალავდა უმთავრესი იდეა, რომელიც პოლ ვალერის სიტყვებით შეიძლება გამოითქვას: არსებობს ორიგინალობაზე უფრო მნიშვნელოვანი რამე და ესაა უნივერსალობა. ამიტომ მიუბრუნდა რენესანსული სახისმეტყველება უნივერსალურ არქეტიპებს, პარადიგმატული პერსპექტივის მქონე მითოსურ სახეებს.

მათ შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მზისა და ნათლის ესთეტიკაზე აგებული არქეტიპული სახეები. ამგვარი სახისმეტყველება სხვა პრინციპზე აგებულ სახეებსაც მსჭვალავს.

1. პ ო ე ტ უ რ ი   ს ი ტ ყ ვ ა ქ მ ნ ა დ ო ბ ა. „ვეფხისტყაოსანში“ პოეტური სიტყვაქმნადობა სათაურიდანვე იწყება, ვეფხისტყაოსანი არაა ჩვეულებრივი სახელდება, იგი მხატვრული სახეა. მსგავსი სიტყვაქმნადობა რუსთველმა დაამკვიდრა და იგი შემდეგ ბუნებრივად ექცა ქართულს. ვეფხისტყაოსნობა ორსაფეხუროვანი სიმბოლოცაა. იგი უშუალოდ გულისხმობს ტარიელს, სიმბოლურად კი ნესტანსაც. ტარიელი სახელდებულია ნესტანის სიმბოლოთი (ვეფხის ტყავით). თანაც ვეფხის შავ-ყვითელი ფერი მწუხარებისა და დაუოკებელი სიყვარულის სიმბოლო შეიძლება იყოს. ამდენად იგი განწყობილების სიმბოლოა. ვეფხისტყაოსნობა ტარიელის ტრაგედიაა და, ბუნებრივია, რომ მისი სურვილია არ იყოს ვეფხისტყაოსანი. აქვე ისიცაა მოაზრებული, რომ ვეფხის კოცნა იმგვარი ეგზალტაციაა, როცა კაცი ველარ ერევა თავის გრძნობას და ვახელება სიამოვნებად ექცევა. ამგვარი სიშმაგე „მამაცთა უაზრობაა“. ვეფხის კოცნა სიმბოლოა სიკვდილ-სიცოცხლის მთლიანობის შეგრძნებისა. სიცოცხლით სავსება სიკვდილს ეთამაშება. სიცოცხლით სავსება სიყვარულია და თუ სიყვარული ბადებს სიცოცხლეს, ის სიკვდილსაც ბადებს. ტარიელი კლავს ვეფხს, რომ ამ სიკვდილით სიკვდილი დათრგუნოს. სპობს სიკვდილის ცოცხლად არსებობას. კლავს ვეფხს და მას გადააქცევს სიყვარულის „წმინდა სიმბოლოდ“ — ვეფხის ტყავად, რათა თვითონ „შეიმოსოს“ სიყვარულით, მაგრამ მისთვის სიყვარული რჩება ოდენ ესთეტიკურ ფაქტად და აქედანვე მოდის მისივე შეგრძნება უკმარისობისა.

„ქთინათინობდა“ ან „გასისხლმდინარდა“ ქართულში მხოლოდ ერთგზის იყო ნახმარი. არც თვით რუსთაველი იმეორებს მათ. მიუხედავად ამისა, მსგავსი სიტყვაქმნადობა აღიქმება როგორც სრულიად ბუნებრივი ქართული. ეს სიტყვები თვითონ ქმნიან ახალ, განუმეორებელ პოეტურ სინამდვილეს. ეს სინამდვილე, ისევე როგორც თვით ეს სიტყვები, მხოლოდ პოეტურად არსებობს. ასეთ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობა ჭარბობს ნებისმიერ კონკრეტულ მოვლენას და ფაქტს.

„ბუკმან ხმა გაიზეარა“ ((450)“, „ნაგუშინდლევი“ (816), „უცხენმალეს“, (179), „მიიქედნეს“ (758), „იანაზდენითა“ (755), „გახმამყივარდა“ (572). „მოეძმობილა“ (872), „მოშამბნარენი“ (1330), „გასატკივარდა“ (572), „შერაშენდა“ (1158), „იქედგოროსა“ (1569), — ამ სიტყვათა შექმნა პოეტური ფაქტია. ამ სიტყვებში მზისა და ნათლის ესთეტიკა უშუალოდ არა ჩანს. მაგრამ მისი ერთგვარი გავლენა აქაც კი შეგვიძლია დავინახოთ, თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვაა მზე. ეს სიტყვა პოემაში უმეტესწილად მხატვრული მნიშვნელობითაა მოხმობილი. და ისე იშვიათია „ჩვეულებრივი“, ხილული მზე, რომ კანონზომიერების სახით შეიძლებოდა დაგვესკვნა: რუსთველის ცნობიერებაში ეს სიტყვა არსებითად მხატვრულად მნიშვნელობს.

რატომაა ასე? თავად „მზის“ რაობაა ასეთი თუ მისდამი ახალი მიმართება იწყება? ერთიცაა და მეორეც. მზე თავისი ერთადერთობით მისი სიმბოლურად გააზრების აუცილებლობას იწვევდა. ის რომ სიმბოლურად არ გააზრებულიყო, თავად უნდა ყოფილიყო უზენაესი ძალა, რაც ქრისტიანობასთან შეუთავსებელი იყო. მზე თავისი ერთადერთობით პიროვნების ინდივიდუალური განუმეორებლობის სიმბოლოც შეიძლებოდა გამხდარიყო. ამას მივყავდით მზის ანთროპომორფულ სიმბოლიკასთან. რუსთველის მხატვრული აზროვნება მზის კოსმოლოგიური და ანთროპომორფული სიმბოლიკა ერთმანეთს ერწყმის, ყოველივე ამის შედეგად „მზე“ შეიძლება გამხდარიყო ერთ-ერთი უპირველესი სიტყვათაგანი, რომელშიაც ყველაზე უფრო ცხადად გამოვლინდებოდა მხატვრულად გაშინაარსება. მხატვრული „მზე“ (და საერთოდ სიტყვათა მხატვრულად გადააზრება) უპირველეს იმპულსად უნდა ქცეულიყო მხატვრული სიტყვაქმნადობისათვის.

2. გ მ ი რ ე ბ ი — მ ზ ი უ რ ი  მ შ ვ ე ნ ე ბ ი თ. რუსთველის ეპოქამდე ქართულმა სიტყვამ

ღვთის გამოხატვის დიდი გზა გამოიარა. მას მოუხდა გამოეხატა საკუთარი წარმართული ღვთაებანიც და თავსმოხვეულ უცხო კულტთა რაობანიც. მაგრამ მისთვის ყველაზე დიდ ასპარეზად მაინც ქრისტიანული სახისმეტყველება იქცა. ამ დროისათვის ხშირად უკვე დაკარგული იყო ის ადრეული მითოსური პლასტი, რითაც ქართული სიტყვა ახალ, ქრისტიანულ ღვთაებას უნდა მისადაგებოდა. აღარა ჩანს თვით „ღმერთის" ეტიმოლოგია, დღეს ძნელია ითქვას, ესმოდათ თუ არა ამ სიტყვის უძველესი შინაარსი მაშინ, როცა მას პირველად იყენებდნენ ბიბლიის თარგმნისას. მაგრამ სიტყვის უძველესი მნიშვნელობის დავიწყება მის ცხოველმყოფელობას ვერ აუძლურებდა. ზოგჯერ პირიქითაც ხდება. იდუმალება აძლიერებს შთაბეჭდილებას. „უფალში" ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ჩანს (რაც ბერძნულ „კვიროსს" შეესაბამება), მაგრამ მისი შინაარსი პოეტურ სიტყვახმარებაში გაცილებით ფართოა. საამისო „პოტენციას" ქმნის მისივე იდუმალებით მოცული სემანტიკური სიღრმე, რომელიც ასეა ფიქსირებული რუსთველთან: „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო".

ქართული საღმრთო სახელები მნიშვნელოვანია ქართული ენის ფილოსოფიისათვის. „ბიზანტიური სისტემა" ხშირად იცვლებოდა ქართულით. ეს ჩანს არა მხოლოდ ბიბლიის თარგმანში, არა მხოლოდ ეფრემ მცირისა და პეტრიწის სიტყვახმარებაში, არამედ ქართულ აგიოგრაფიასა და საგალობლებში.

„ერთის" შემდეგ, ღმერთს, ვითარცა „ზღვარს სახელდებითი აღნიშვნის ყოველგვარი შესაძლებლობისა" (ნიკოლოზ კუზანელი), ქართულ მწერლობაში ყველაზე უფრო ხშირად მიემართებოდა შემდეგი საღმრთო სახელები (უფრო ზუსტად, საღმთო სახეები): „მზე" და „თვალშეუდგამი ნათელი"; ეს კარგადაა ნაჩვენები ჰიმნოგრაფიიდანაც (გ. იმედაშვილი) და აგიოგრაფიიდანაც („ვეფხისტყაოსნის" მზისმეტყველება"). ამ ორ სახეს ვერ ესწორება თვით უპირველესი ატრიბუტი პლატონურ-ნეოპლატონისტურ-ქრისტიანული ღვთაებისა — „კეთილი" (ძველქართულად „სახიერი").

და სწორედ აქ მომხდარა ერთი უმნიშვნელოვანესი რენესანსული გარდატეხა:

რენესანსულ მწერლობაში (ჯერ მეხოტბეებთან და შემდეგ „ვეფხისტყაოსანში") ეს საღვთო სახელები („მზე" და „თვალშეუდგამი ნათელი") გადაიტანეს ადამიანზე და იმ ნიშნებით, რასაც ადრე ღმერთს მიაწერდნენ, ამიერიდან მხატვრულ ნაწარმოებთა პერსონაჟები განასახოვნეს. ცხადია, ასეთი გადანაცვლება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მხატვრული გზით. მისტიკურ-სიმბოლური „მზე" და „თვალშეუდგამი ნათელი" მხატვრულ სახეებად იქცნენ. მთავარი ის იყო, რომ ადამიანი ადამიანური მშვენებით გამ[illegible] ღვთო ატრიბუტებით, ადამიანური სიყვარული განიცადეს იგივე ძალით, რითაც მანამდე ღვთაებას განიცდიდნენ.

ასე მნიშვნელობს „ვეფხისტყაოსანში" მზე და ნათელი. თინათინი „მზეა". „მისგან მზეც საწუნარია". ხილულ მზეზე აღმატებულობა ღვთაებრივ ნათელსა ჰფენს მის სახეს. ამიტომაც ძნელად წვდება მის მშვენებას პოეტი. ჰიმნოგრაფია ასეთ განცდებს უკავშირებდა ღვთაებას, ღვთისმშობელს ან წმინდანებს: „ვერ მისწუთებისო გონება ჩუენი ჴერისაებრ ქებად შენდა, — ეს ღვთისმშობელზეა ნათქვამი („ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი" გვ. 8). ნესტანის მშვენება კი ასე განიცდება: „რა მიბრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგეს შუქნი კლდესა. თვალთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა ზესა. დავიწუხენ თვალნი ყოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა". ესაა სწორედ „თვალშეუდგამი ნათელი". თვალშეუდგამი ნათელია ნესტანის ადამიანური მშვენება. იგი განიცდება ღვთაების განცდის ძალით. „თვალშეუდგამი ნათელის" არეოპაგიტული მისტიკა (იხ. „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის") რუსთველთან მხატვრულ სახისმეტყველებადაა გარდაქმნილი. ცხადია, ნესტანის მზიურობაც ირაციონალური სახეა და მისტიკური ხედვის შემცველია, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მხატვრულ-ესთეტიკურია. უმართებულო იქნებოდა მხატვრულ სისტემათა განვითარება მხოლოდ რაციონალურ საწყისებზე დაგვეყვანა და მისტიკურ ნაკადთა მნიშვნელობა უგულებელგვეყო. მისტიკური ხედვა ხშირად მხატვრულ ილუზიათა სიღრმის განმსაზღვრელია. და იქნებ, არსებითიც სწორედ ის იყო, თუ როდის რა ილუზიებით ცხოვრობდა ადამიანი.

სწორედ რენესანსული ილუზიების წყალობით ღვთაებრივი ნათლით შემოსეს პიროვნება.

3. მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი  ს ი ტ ყ ვ ა  დ ა  პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს  თ ვ ი თ შ ე მ ე ც ნ ე ბ ა. პიროვნულ-ინდივიდუალური საწყისის განვითარება რენესანსული აზროვნების უმთავრეს ნიშანთაგანია. მხატვრული სიტყვა ამას ემსახურება, ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი გაშუალებულად. ვფიქრობ, რომ ასეა გაშინაარსებული „ვეფხისტყაოსნის" ასტრალური სამყარო: ვარსკვლავები სულის მოძრაობათა სიმბოლოებია. სული იხილვება ინტროსპექციით, იგი „შინაგანი ფორმაა". სული ღვთაებრივი სამყაროა. ამ აზრით, იგი შინაგანი ზეცაა, ვითარცა უსაზღვროება. და როცა მას სწადია დასაზღვრულობა, როგორც უსაზღვროებას, მაშინ მისი წახნაგები ვარსკვლავებად წარმოესახება ადა-

მიანს. მხატვრულად იგი შორეულ ვარსკვლავების ზეცად წარმოიდგინება, მაგრამ ამით პიროვნების თვითშემეცნება ხორციელდება. შინაგანი სამყარო გატანილია გარეთ და გასაგნებულია.

ავთანდილის ცნობილი ასტრალური ლოცვა, ჩვეულებრივ, განიხილება ხოლმე რუსთველის ასტროლოგიური შეხედულებების დასადგენად და ეს გასაგებიცაა. მართლაც, ასეთია მისი გარეგნული პლანი.

ეს ლოცვა უნდა გავიაზროთ როგორც სიტყვის ძალის ცხადყოფა. სიტყვა მიემართება ზეცას და იხმობს მნათობებს. სიტყვა „შინაგანად“, თავის თავში განახორციელებს ზეციურ სამყაროს. ადამიანური სიტყვა ზეადამიანური ძალისა ხდება. მაგრამ სხვა რამ კიდევ უფრო არსებითია.

ამ ლოცვას ავთანდილი წარმოთქვამს მაშინ, როცა ფრიდონისაკენ მიემართება. ამ დროს მას ათასგვარი განცდა და ფიქრი აღეძვრის: უპირველეს ყოვლისა, ნესტანის პოვნის სურვილი, მოეძალება ფიქრი წუთისოფლის ამაოებაზე, („ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“). შემდეგ ის აფიქრებს, რომ „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდე“. უმძიმს ტარიელთან გაყრაც და „ტირს, ხმა მისწვდების ცადამდის“. სევდა მის სხეულსაც დასტყობია. „კვლა თინათინის გონება ავსებს უფროვე ჭირითა“. სულში სიბნელესა გრძნობს, „იტყვის, თუ „ბნელი რას მიკვირს, რათგან დაგაგდე მზეო, და“! სიკვდილს რომ გაუმკლავდეს, მნათობებს წარმოიდგენს და მათ მიმართავს: უპირველესად, მზეს — სიყვარულის გამგებელს, შემდეგ ზუალს — უბედურებათა სათავეს, მუშთარს — სიმართლის გამკანონებელს, მარიხს — ომისა და სიკვდილის მომასწავებელს, ასპიროზს — სიყვარულის მკურნალს, ოტარიდს — ბედნიერების გამრიგეს და მთვარეს — მიჯნურთა ნუგეშს.

ამდენი განცდა ტრიალებს ავთანდილის სულში და ის წარმოიდგენს მნათობებს, რომლებიც, ცხადია, ზეცაზე არა ჩანან. წარმოიდგენს, რომ ისინი მას ემოწმებიან და თან მიჰყვებიან შორეულ გზებზე.

„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე
მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი. მუშთარი და ზუალ ჩემთვის
ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმედ
მყვებიან,
მას გააგონონ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი
მდებიან“ (965).

ამ ასტროლოგიურ წარმოდგენებში გასაგნებულია ავთანდილის სულიერი განცდები. ასტრალური ზეცა ხილვადი. თვალსაჩინო სურათია იმისა, რაც ავთანდილის სულში ხდება. ამიტომ სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ არაა დაცული მნათობთა ის რიგი, რომელიც იმდროინდელ მოძღვრებებში იყო მიღებული. რუსთველი სულიერ ძვრათა სურათს ქმნიდა და არა ასტროლოგიურს. ვერც თავის ბედს ამოიკითხავდა ავთანდილი მნათობთა ასეთ თანმიმდევრობაში.

ესაა ლოცვად ზეაღვლენილი ვედრება მნათობებისადმი. ყოველი ლოცვა მიემართება ზეცას, ღვთიურ სამყაროს და ასეა აქაც. მაგრამ სადაა ღვთიური სამყარო? ზეცაზე? სადაა თავად ღვთაებრივი ზეცა? ეფრემ მცირე განმარტავდა: რომ ვამბობთ ღმერთი ზეცაზეა, ეს პირობითიაო. მის ადგილად ზეცას მხოლოდ სიმაღლის განცდისათვის წარმოვიდგენთო. ე. ი. ეფრემი ე. წ. საუფლო ლოცვის სიტყვებსაც (...„რომელი ხარ ცათა შინა“) პირობითად მიიჩნევდა. მაშ სადღაა ადგილი ღმრთისა? თვითონ სახარება განმარტავს ამას: ღმერთი სულსა შინა არსო. ამიტომ ღვთაებრივი ზეცაც სულში იხილვება. ზეცა სიმბოლოა სულის სიმაღლისა და უსაზღვრობისა.

ამრიგად, ავთანდილის ლოცვა მხოლოდ ზეცისკენ კი არაა მიმართული (ესაა მხოლოდ მისი ასტრალური პლანი), არამედ უკუმიმართულიცაა საკუთარი სულისკენ.

ვარსკვლავებზე ლოცვა ავთანდილის შინაგანი ძალისხმევაა. ეს ლოცვა საკუთარ სულიერ ძალთა გაცხოველებაა. იგი ინიციაციაა შინაგანი ძალისხმევით (ნიშანდობლივი უნდა იყოს, რომ ინიციაციის შემდეგ ავთანდილის ხმა ესმით ცხოველებს, ისინი უსმენენ მის სიმღერას და მას თანაუგრძნობენ. შეიგრძნობა დიდი ჰარმონია).

ვარსკვლავები სიმბოლოებია სულიერი ძალებისა, სიმბოლოებია განწყობილებებისა, სულიერ მოძრაობათა წახნაგებისა. ავთანდილი ვარსკვლავებს ხედავს საკუთარ სულში, იგი საკუთარ სულში იმზირება და ზეციურ უსაზღვროებას ჭვრეტს.

ყოველივე ეს კი სიტყვიერი აქტია, სიტყვით ხორციელდება, სიტყვის ძალის ცხადყოფაა. სიტყვა აერთიანებს ვარსკვლავებს და ადამიანის სულიერ სამყაროს. მხატვრული სიტყვა აქცევს მნათობებს სულიერ ძალთა სიმბოლოებად. ძალნი ზეციერნი ვარკვლავთა სახეში თვითშემეცნების მხატვრულ სახედ იქცევიან. მხატვრული სიტყვა იქცევა ადამიანის ინიციაციის საშუალებად.

ასეთ სახეს იღებს ნათლის ესთეტიკაზე დამყარებული მხატვრული სიტყვის რენესანსული უნივერსალიზმი...

მაინც რატომ ვამთავრებთ რუსთველით? არსებითად, არც ვამთავრებთ. აქ მხოლოდ ვწყვეტთ საკითხთა განხილვას ეპოქათა მიხე-

დვით, რადგანაც ძირითადად ნათლის ესთეტიკის თავისებურებანი უკვე გამოვლინდა.

ამრიგად, ნათლის ესთეტიკის ზოგადი პრინციპი ასეთია:

არსებობს მილმური დიდი ღვთაებრივი სილამაზე. ისაა იდუმალი, როგორც სული. იგი ნათელივით მოეფინება ქვეყნიერებას და ყველაფერს მშვენიერებით განასხივოსნებს. მაგრამ ყველაფერს ერთნაირად როდი აქვს „მიმღებლობა" იმ ნათლისა, რასაც მშვენიერება მოაქვს. ამიტომაც იქმნება მშვენიერი იერარქია. ბუნების საგნებს, ეიდეტიკური ესთეტიკის თვალსაზრისით, მშვენიერებას ანიჭებს მზიურობა, ხოლო ეიკონურ სახეებში მშვენიერება შეაქვს მათ ზენათლის სიმბოლიკით გაშინაარსებას. მხატვრული სახეების მშვენიერებას ხელოვანი ქმნის. ეს აღარაა მხოლოდ განმეორება წინასწარვე არსებული ღვთაებრივი მშვენიერებისა. ღვთაებრივ შემოქმედებას თვით ხელოვანი ახორციელებს.

ამრიგად, ქართული სახისმეტყველების საფუძველია ნათლის ესთეტიკა.

მშვენიერების მომტანი ნათელიო, — რომ ვამბობთ, ეს მეტაფორულად თუ ანალოგიად კი არ უნდა გავიგოთ. ნათელი მშვენიერების სუბსტანციაა. ეს ნათელი გააზრებულია, ვითარცა დიდი სიცხადე და დიდი შეუცნობლობა, როგორც მათი მთლიანობა, როგორც ანტინომია. ამ თვალსაზრისით იყო განსაზღვრული ქართული ესთეტიკის წარმატებანიც და მისი დასაზღვრულობაც. სისტემურ და კატეგორიულ მოძღვრებამდე იგი არ მისულა. იგი ანტინომიურ მოდუსთა მთლიანობას ესწრაფვის: მისთვის ყოველგვარ ცნობადს შეუცნობლობაც ახლავს. სწორედ ასეთია ნათლის ესთეტიკა.

# ცოტა რამ „ცისკრის" ახალგაზრდა ავტორებზე

ალექსანდრე სიგიტაშვილი დაიბადა 1952 წელს, ქ. თბილისში.

1969 წელს დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის 32-ე საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1981 წელს.

ტატო გელენავა — დაიბადა 1948 წელს ქ. სოხუმში, 1973 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი კლასიკური ფილოლოგიის განხრით. მუშაობს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. იბეჭდება 1964 წლიდან. „ცისკარში" იბეჭდება პირველად.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 3. 04. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 06. 84 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1014. უე 08021. ტირაჟი 58.500.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 124/93

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ